

ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე

ი ვ ა ნ ე  
კ ე ჯ ე ს ე ლ ი ძ ე



ც ს ო კ ჯ ე ჯ ა  
ე ო ღ ვ ა წ ე ო ჯ ა  
უ ე ე ო ჭ ე ე ღ ა ჯ ა



საქელმწიფო გამომცემლობა  
„საბჭოთა საქაღთიველი“  
1959

## შ ე ს ა მ ა ლ ი

XIX საუკუნის 60-იანი წლები დიდი ლიტერატურული გავლენების პერიოდია ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიაში.

ამ დროს შემოქმედების ასპარეზზე გამოვიდა საზოგადოებრივი აზრისა და მხატვრული ზიტყვის გოლიათთა მთელი პლეადა (აკ. წერეთელი, გ. წერეთელი, ნიკ. ნიკოლაძე, ანტ. ვუურცელაძე) ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.

ამ სახელგანთქმულ მწერალთა ლიტერატურული მემკვიდრეობის დაუფლება ყოველად წარმოუდგენელია მათ უშუალო წინამორბედთა და თანამედროვეთა მოღვაწეობა-შემოქმედების საფუძვლიანი შესწავლის გარეშე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ივანე კერესელიძე.

ივანე კერესელიძე XIX საუკუნის 50-60-იანი წლების ქართული აზროვნებისა და ლიტერატურის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა. საკმარისია ითქვას, რომ გიორგი ერისთავმა მას ჩააბარა ეროვნული კულტურის ორივე დედაბოძი — თეატრი და ჟურნალი.

რუსეთის განმანათავისუფლებელი მოძრაობის გავლენითა და ადგილობრივი ცხოვრების წინსვლის შედეგად წარმოშობილ პროგრესულ-პატრიოტულ ძალებზე დაყრდნობით ივ. კერესელიძემ საფუძველი ჩაუყარა უსუბსიდიო ქართულ პრესას, ხელმძღვანელობდა იმდროინდელ ერთადერთ ქართულ ორკონოს — ლიტერატურულ ჟურნალს „ცისკარს“. სათავე დაუდო ქართულ რეალისტურ კრიტიკასა და პუბლიცისტიკას

და როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ თხზულებებში პირველთაგანმა მიიტანა იერიში ბატონყმური წყობილების, დახვეწებული ფეოდალურ-პატრიარქალური შეხედულებებისა და თავადაზნაურული არისტოკრატიის ეროვნული გამცემლობის წინააღმდეგ.

ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ქართველი შესამოცინელები ივ. კერესელიძეს თავიანთ უშუალო წინამორბედად თვლიდნენ. ივანე კერესელიძის მოღვაწეობას ილია ჭავჭავაძის „ივერია“ 1893 წელს შემდეგ შეფასებას აძლევდა: „აი, დასაწყისი ჩვეუნი ახალის ცხოვრების მოძრაობისა! მოძრაობა აქედამ იწყება, დღესაც სუსტად მომდინარე, მაგრამ მაინც დაიძრა, სათავე მოძრაობისა აქ იწყება.. დავიხსოვნოთ, რომ მოძრაობის მიზეზი ის იყო!“

ნიკო ნიკოლაძე — ქართველ მესამოციანელთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ივ. კერესელიძის მოღვაწეობას ასე ახასიათებდა: „ვინც... ხელს უწყობდა თანამემამულეთა განათლებას, ნერგავდა ხალხში უმაღლეს იდეალებსა და მისწრაფებებს, შახლობელი და ძვირფასი უნდა იყოს ყველასათვის, ვისთვისაც წარმოუდგენელია მართო ცხოველური ინსტიტუტებით აღჭურვილ ადამიანთა შორის ცხოვრება.“

განა ბ-ნი კერესელიძე ასეთ სასარგებლო მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის? — იკითხავთ ალბათ... აქვს კი მას საერთოდ რაიმე დამსახურება? სახელდობრ, რა? სწორ პასუხს ვერავენ გაგცემთ... ეს შედეგია იმ სავალალო მდგომარეობისა, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი არიან ის ადამიანები, რომელთაც რაიმე რიგიანი გაეკეთებინოთ თავისი სანშობლოს სასარგებლოდ. და ის კი, რომელსაც საამისო უნარიც აქვს და წილადაც ერგო ბედნიერება გამოდგომოდა სამშობლოს, უთუოდ დიდად დააფასებს იმათ დამსახურებას, ვინც მასზე ადრე იღწვოდა მშობელი ქვეყნის საკეთილდღეოდ..

ასეთ მოღვაწეთა თვალში წინამორბედთა ჩამორჩენა როდღი ამცირებს მათდამი მადლობის გრძნობას. პირიქით, მას მტკიცედ აქვს შეგნებული, რომ მხოლოდ წინამორბედთა შრომა-ღვაწლის წყალობით გახდა დღეს შესაძლებელი მისი

საკუთარი მოღვაწეობა, რომ მის წარმატებებს სწორედ ამ წინამორბედთა მოღვაწეობამ მოუშადა ნიადაგი...

ასეთი ისტორიული უმაღლრობა იმ უნიჭო ეგოისტების ჯანუშორებელი ხვედრია, რომელთა გულში სამშობლოს სიყვარულიც კი ვერ აღძრავს პატივისცემას იმ მოღვაწეებისადმი, რწმენითა და სიმართლით რომ ემსახურებოდნენ მშობელ ქვეყანას, ემსახურებოდნენ, რამდენადაც ძალა და სახსარი შესწევდათ. სწორედ ამიტომ არ უნდა გავვიკვირდეს, თუ ჩვენს პირობებში ივანე კერესელიძეს ჯეროვანი დაფასება და საზოგადოებრივი აღიარება ჯერ კიდევ დიდხანს ვერ ეღირსება.

...ივ. კერესელიძე... მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მხნედ იღწვოდა მშობლიური ლიტერატურის წარსამატებლად, მთელი თავისი შესაძლებლობა მან ამ ღიად საქმეს ანაცვალა და საკუთარი მხრებით ეწეოდა ლიტერატურის მძიმე უღელს... ეს ფაქტი უკვე თავისთავად მეტყველებს, თუ რაოდენად მცირე იყო კერესელიძის ეპოქაში მისწრაფება ცოდნის შეძენისადმი. რომ მის უმეცარ თანამედროვეებს არ შეეძლოთ მატერიალურად უზრუნველყოთ ის ერთადერთი მოღვაწე, რომელიც წიგნზე მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა... პირდაპირ განსაცვიფრებელია მასშტაბი იმ შრომისა, რომელიც 1857-1887 წლებში ი. ი. კერესელიძემ მოახმარა ქართულ ლიტერატურას“.

შემდგომი პერიოდის ზოგიერთმა კრიტიკოსმა ანგარაში არ გაუწია ქართველ მესამოციანელთა ამ საგულისხმო დებულებებს და მთლიანად უარყო ივ. კერესელიძისა და მისი თაობის პროგრესული როლი ქართული აზროვნებისა და ლიტერატურის განვითარებაში. ამგვარ კრიტიკას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო თერგდალეულთა წინა თაობის მოღვაწეობის სამართლიანი შეფასება; ილია ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლთა მსოფლმხედველობას იგი არსებითად სთიშავდა ქართული ლიტერატურის განვითარების საერთო მაგისტრალიდან.

მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმი იძლევა ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების სწორი მეცნიერული

ახსნის შესაძლებლობას. „მარქსიზმის მთელი არსი, — წერს ვ. ი. ლენინი, — მთელი მისი სისტემა მოითხოვს, რომ ყოველი დებულება განვიხილოთ მხოლოდ ა) ისტორიულად; ბ) მხოლოდ სხვა დებულებებთან დაკავშირებით; ც) მხოლოდ ისტორიის კონკრეტულ გამოცდილებასთან დაკავშირებით“.

მდიდარი ფაქტიური მასალის მარქსისტულ-ლენინური ანალიზის საფუძველზე, დღეს ღირსეულადაა შეფასებული ბევრი ქართველი მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა. რევოლუციამდელი კრიტიკის მცდარი შეხედულებები უარყოფილია. მაგრამ ივანე კერესელიძის მოღვაწეობა-შეპოქმედება ჯერ კიდევ არაა ჯაფუძვლიანად შესწავლილი.

ჩვენი მიზანია ნაწილობრივ მაინც შევავსოთ ეს ხარვეზი.

## ც ხ ო ვ რ ე ბ ა

ივანე ივანეს-ძე (იოანეს-ძე) კერესელიძე დაიბადა თბილისში, 1829 წ. 10 ნოემბერს<sup>1</sup>. მისი წინაპრები რაჭველი გლეხები იყვნენ. XVIII ს. ბოლოს მწერლის პაპა, იოსებ კერესელიძე, საცხოვრებლად ონიდან ცაგერში გადასულა. ლეჩხუმი იმ დროს ოდიშის სამთავროს შემადგენელი ნაწილი იყო და ჩამოსახლებულ რაჭველ გლეხს დადიანის ყურადღება დაუმსახურებია. ოდიშის მთავარს იოსებ კერესელიძისათვის აზნაურობაც უბოძებია. იოსებ კერესელიძის შვილი, იოანე, 18 წლისა რომ გამხდარა, ლევან დადიანის ნებართვით თბილისში გადმოსახლებულა. იმ დროს მხოლოდ ქართული ენა სცოდნია მას, მაგრამ მალე რუსულიც შეუსწავლია. მოგვიანებით, მთავრობას ფშავ-ხევსურეთშიაც გაუმწესებია სამსახურში<sup>2</sup>.

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდში დაცული მასალებიდან ჩანს, რომ ივანე (იოანე) კერესელიძე თბილისში გადმოსახლების შემდეგ, 1800-იან

---

<sup>1</sup> ივ. კერესელიძის დაბადების მოწმობა, საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმის ფონდი № 17475-ბ.

<sup>2</sup> ზ. ჭიჭინაძე — „ივ. კერესელიძე“, 1902.

ს. ცაიშვილი — „ივ. კერესელიძის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხისათვის“, „სახალხო განათლება“, 1951, № 51.

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივი, 5, № 1152.

წლებში, ერეკლე მეორის ზიძის — ვახტანგ ორბელიანის (თეკლე ბატონიშვილის მეუღლის), ოჯახში დამდგარა შინამოსამსახურედ. ზრდილობიან, საქმიან ახალგაზრდას საერთო სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია. განსაკუთრებით თურმე თეკლე ბატონიშვილი მფარველობდა მას. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ, იოანე ერთ ხანს კვლავ ორბელიანების ოჯახშია შინამოსამსახურედ (მამულების გამგედაც). შემდეგ თბილისის მაზრის დიამბეგად დაინიშნა<sup>1</sup>.

1830 წელს იოანე კერესელიძე ყაჩაღებმა მოკლეს<sup>2</sup>.

ივანე კერესელიძის დედა — ანახანუმ მოსეს ასული ტუსიშვილი, წარმოშობით კახელი იყო, სოფ. ახმეტიდან.

ანას (ანახანუმის) მამა თბილისში ცხოვრობდა. 1795 წელს, როცა ალა-მაჰმად-ხანმა თბილისი ააოხრა, მოსე ტუსიშვილის ოჯახი სხვა ქართველ ოჯახებთან ერთად სპარსელებმა ტყვედ წაიყვანეს. 1805 წელს მოსე ტუსიშვილს ქალი შეეძინა; რადგან თეირანში მართლმადიდებელი მღვდელი არ იყო, ბავშვი სომხის ტერტერას მოუნათლავს და სახელად ანახანუმი დაურქმევია<sup>3</sup>.

1813 წელს მოსე ტუსიშვილის ოჯახი სპარსეთიდან საქართველოში დაბრუნდა. აქ მშობლებმა განიზრახეს შვილისათვის მართლმადიდებელთა სარწმუნოება მიეღებინებინათ, მაგრამ გოგონამ უარი თქვა. ამ დროს იგი უკვე თავისუფლად ლაპარაკობდა სომხურად. აღსანიშნავია, რომ ივ. კერესელიძემაც ბავშვობიდანვე ზედმიწევნით იცოდა ეს ენა<sup>4</sup>.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ანახანუმ ტუსიშვილი ცოლად გაჰყვა ვინმე მოსია ბეგლარიშვილს, რომელიც მალე გარდაიცვალა. 1827 წელს, 22 წლის ქვრივი, იმ დროს უკვე მთის

1 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, 13458-ხ. გვ. 1.

2 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ ერთ-ერთ ხელნაწერში (4737-ხ) ზ. კიკინაძე აღნიშნავს, თითქოს იოანე კერესელიძე 1832 წ. შეთქმულების მონაწილეებმა მოკლეს.

3 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, 13458-ხ. გვ. 2.

4 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, 17471-ხ, გვ. 2 (ივანე კერესელიძის ავტოგრაფი — „ცოლშვილიანობა ჩემი“).

დიამბეგს, „თელავის მაზრის სოფ. მატანს მცხოვრებ იოანე კერესელიძეს შეუუღლდა“<sup>1</sup>. მას დარჩა ერთადერთი შვილი — ივანე, რომელიც მამის სიკვდილის დროს ერთი წლისა იყო.

დაობლებული ოჯახი მეტად უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა. დედა-შვილს უბრალო თავშესაფარიც არ გააჩნდათ. შვიდი მანეთი თვიური პენსია, რომელიც მათ დაუნიშნეს, უნუგეშოდ დარჩენილ ოჯახს სილატაკიდან ვერ დაიხსნიდა. მძიმე პირობებში მყოფ ქვრივ-ობოლს მოგვიანებით თეკლე ბატონიშვილი და მისი ვაჟი ალექსანდრე ორბელიანი ეხმარებოდნენ. 40-იან წლებში ანახანუმი ანჩისხატის უბანში — თეკლე ბატონიშვილის სასახლის მეზობლად გადმოვიდა საცხოვრებლად და ახლოს გაეცნო ორბელიანების ოჯახს<sup>2</sup>.

თეკლე ბატონიშვილის დახმარებამ და მფარველობამ გარკვეული როლი შეასრულა ივანე კერესელიძის სწავლა-აღზრდაში, ვინაიდან მისთვის, როგორც მდაბიოსთვის, სასწავლებლის კარი დახშული იყო.

თეკლე ბატონიშვილი და მისი ვაჟები — სახელოვანი მწიგნობრები იყვნენ. მათ ოჯახში ძველი ქართული ხელნაწერების მდიდარი ბიბლიოთეკა არსებობდა. როგორც ცნობილია, თეკლე ბატონიშვილი, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები მწერლობასაც მისდევდნენ.

ანახანუმი დაუახლოვდა თეკლე ბატონიშვილს, ეხმარებოდა სხვადასხვა საშინაო საქმეებში, და ობოლი შვილის აღზრდის იმედსაც მასზე ამყარებდა.

პატარა ვანომაც, როგორც ნიჭიერმა, შრომისმოყვარე და მოკრძალებულმა ბავშვმა, თავიდანვე მიიქცია თეკლე ბატონიშვილისა და ალ. ორბელიანის ყურადღება. იგი დიდი გულმოდგინებით ისმენდა დედობრივი სიყვარულით აღსავსე მო-

---

<sup>1</sup> ს. ც. ს. ს. ა. ფ — 23, საქმე — 3.

<sup>2</sup> ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრება, რომ ივანე კერესელიძე თეკლე ბატონიშვილის ნათლული იყო, არ დასტურდება. (იხ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, 17475-ხ და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, S-1634.



ხუცი ბატონიშვილის ნაამბობს მისი დედებულის მამის ერეკლე მეორის საგმირო საქმეებზე.

„ჩვენში იტყვიან: — წერს ალ: ორბელიანი, — ჩემს ხელში დაიბადაო და ჩემს ხელში გაიზარდაო, ისე, კერესელიძე ჩემს თვალწინ თითქმის ასე იყო. შევხედავდი ყმაწვილს ბიჭსა, რომ ხშირად ხელში წიგნი ეჭირა და გულმოდგინედ სწავლობდა. დავუძახებდი: ისწავლე, ისწავლე შენმა გაზრდამ, ეცხვერს კარგსა მოგცემს“<sup>1</sup>.

როცა მომავალ მწერალს ათი წელი შეუსრულდა, მაშასადამე, 1839 წელს დედამ იგი მიაბარა ხაჩატურ აბოვიანის კერძო პანსიონში, სადაც ვანო ორი წლის განმავლობაში სწავლობდა.

1841 წელს ივანე დედას მიუბარებია სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მას სემინარიაში სწავლის ნება ეძლეოდა, მაგრამ ვანომ კეთილშობილთა გიმნაზია აჩვენა. გიმნაზიაში ივ. კერესელიძე თეკლე ბატონიშვილის პროტექციით მიიღეს, რადგან აქ სწავლის უფლება მხოლოდ თავადაზნაურთა შვილებს ჰქონდათ.

როგორც ირკვევა, გიმნაზიაში იგი 1843 წელს შესულა. ამ სასწავლებელს მაშინ უკვე საპატიო სახელი ჰქონდა მოპოვებული. ივანე კერესელიძემდე აქ სწავლობდნენ ნ. ბარათაშვილი, დ. ყიფიანი და სხვა გამოჩენილი ადამიანები.

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია ივ. კერესელიძის კარაბადინი, რომლის ყდაზეც მისივე ხელით წარწერილია: „ნათარგმნი სხვადასხვა დაბეჭდილის რუსულის წიგნებითგან, მეხუთე კლასის ტფილისის გიმნაზიის მოწაფის ივანე კერესელიძისაგან 1848 წელსა“<sup>2</sup>.

გიმნაზიაში ყოფნის დროსვე ივანე კერესელიძე იწყებს ლექსების წერას, ეცნობა ბექდვის საქმეს და ქართული წიგნების გამოცემაზე ოცნებობს. გიმნაზიაში გატარებულ წლებს მწერალი ასე იგონებს: „მე ჯერეთ სკოლის სკამზე ვიჯექი, რომ ქართულად ლექსების წერას შევეჩვიე. რასაც დავწერდი, იმას ხან ბატონიშვილს ვაჩვენებდი და ხან ალექსანდრეს.

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, S-1634.

<sup>2</sup> საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, 17471-ბ.

იგინი გასინჯავდნენ. იმ დროს ტფილისში ნ. ბარათაშვილი უკვე სახელოვნებდა ლექსებით. მე ერთხელ ანჩისხატის ეკლესიაში წავედი და იქ, ეკლესიის გალავანში, ვნახე ნ. ბარათაშვილი, მას ჩალის ქუდი ეხურა. მაშინ ტფილისში იყვნენ თითო-ორი ისეთი ქართველი, რომელნიც მოწაფეებს ერთად გვაგროვებდნენ და მწიგნობრობის სიყვარულს გვიქადაგებდნენ. ასეთი ქადაგებით გამოჩენილი იყო ალ. ორბელიანი...“<sup>1</sup>.

სწავლა-განათლების საქმე კლასიკურ გიმნაზიაში ცუდად იყო დაყენებული. არისტოკრატიული ახალგაზრდობის უმრავლესობა ცხოვრებას ფუქსავატურად ატარებდა. ერთი თანამედროვის გადმოცემით, ორმოცი-ორმოცდაათი წლის კაცებიც კი ქუჩაში კოჭობანას თამაშობდნენ.

„ციხკარში“ დაბეჭდილ ერთ წერილში ივ. კერესელიძე წერდა, — გიმნაზია ჩვენი ბედნიერებისა და უბედობის სათავე იყო; არც შენობა იყო შესაფერი და არც სწავლაო.

მას შემდეგ, რაც კავკასიაში მეფისნაცვლად მიხ. ვორონცოვი დაინიშნა, ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც მშობლიური კულტურის სამსახურს ესწრაფოდა, გზა გაეხსნა და ამან კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობის გამოცოცხლება დააჩქარა. ვორონცოვის პოლიტიკამ გიმნაზიის ცხოვრებაზეც მოახდინა გავლენა და იმ მოსწავლე ახალგაზრდებს, რომლებიც ქვეყნის სამსახურისათვის ემზადებოდნენ. იმედის ფრთა შეასხა.

გ. ერისთავის დრამატული დასის პირველი წარმოდგენები თბილისის გიმნაზიის დარბაზში გაიმართა. ქაბუჯი ივანე კერესელიძე, რომელიც გიმნაზიის უფროს კლასში სწავლობდა, მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ დასის საქმიანობაში.

გიმნაზიელი პოეტი აღტაცებული დარჩა ქართული წარმოდგენის წარმატებით. „1849 წელს, — წერდა იგი ორმოცი წლის შემდეგ, — განსვენებულის ვორონცოვის სურვილით ტფილისის გიმნაზიის ზალაში, დროებით გამართულ სცენაზე წარმოდგინეს გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“...“

<sup>1</sup> ი. ზ. კვიციანიძე, „ივ. კერესელიძე“ 1902.

დაესწრო თვით კორონცოვი და ძლიერ მოეწონა კიდევ ქართული წარმოდგენა“<sup>1</sup>.

1846 წ., როცა ივ. კერესელიძე გიმნაზიის IV კლასში სწავლობდა, თეკლე ბატონიშვილი გარდაიცვალა. მართალია, ივანესათვის არც ალექსანდრეს მიუკლია მზრუნველობა, მაგრამ ორბელიანების ოჯახში ძველებური სიტბო და მშობ-ლიური სიყვარული მაინც აღარ ეგულებოდა.

1850 წელს ივ. კერესელიძემ წარმატებით დაამთავრა გიმნაზია. სწავლამოწყურებული ჭაბუკი ოცნებობდა უმაღ-ლეს განათლებაზე, რუსეთში გამგზავრებაზე, მაგრამ საამისო პირობები არ ჰქონდა. უმწეო დედა მოუთმენლად მოელოდა ერთადერთი შვილის სამსახურის დაწყებასა და საკუთარი თავშესაფრის შექმნას. უმაღლესი განათლებით დაინტერესე-ბულ ახალგაზრდას შეეძლო ყველა ეს დაბრკოლება გადაე-ლაზა, რომ სს'ვა, უფრო სერიოზულ მიზეზს არ ეჩინა თავი. გიმნაზიის უკანასკნელ კლასში ივ. კერესელიძე გააფრთხი-ლეს — აზნაურობის მოწმობა წარედგინა ღირექციისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ატესტატს ვერ მიიღებდა.

კეთილშობილთა გიმნაზიაში, როგორც ვიცით, ივ. კერე-სელიძე თეკლე ბატონიშვილის შუამდგომლობთ მიიღეს, ვი-ნაიდან აზნაურობის დამამტკიცებელი საბუთი მას არ გააჩნ-და. დედისგან ივანეს გაგონილი ჰქონია რომ პაპამისს — გლახ იოსებ კერესელიძეს — რალაც დამსახურებისთვის და-დიანმა აზნაურობა უბოძა. განსაცდელში მყოფი ივანეც ამ მეტად საეჭვო გადმოცემას ჩაებლაუჭა; უატესტატოდ რომ არ დარჩენილიყო, დაიწყო აზნაურობის ძიება. ამ საქმის დევნამ, რომელიც ათასგვარ დამტორებასთან იყო დაკავშირებული, ათეული წლობით გასტანა და მაინც ამაოდ ჩაიარა.

როგორც წარჩინებული აბიტურიენტი, ივ. კერესელიძე გიმნაზიაშივე დატოვეს ზედამხედველისა და ქართული ენის მასწავლებლის თანამდებობაზე<sup>2</sup>, მაგრამ რადგან აზნაურო-ბის საბუთის წარდგენა ვერ მოახერხა, გიმნაზიიდან დაითხო-ვეს და შემდეგ თბილისის საგუბერნიო სამმართველოს რო-

<sup>1</sup> „ივერია“, 1893. № 17.

<sup>2</sup> საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, 13458-ბ.

მელილაც კანცელარიაში მოწყობილა მოხელედ; მალე აქაც მოუთხოვიათ გიმნაზიის ატესტატი და აზნაურობის მოწმობა რომელიდაც დაბალ ჩინზე წარსადგენად, მაგრამ რადგანაც ეს საბუთები არ გააჩნდა, აღარც ხარისხზე წარუდგენიათ და ცხადია, სამსახურსაც უნდა გამოთხოვებოდა.

სწორედ ამ დროს ივ. კერესელიძე დავ. დადიანმა მიიწვია შვილების აღმზრდელ-მასწავლებლად. ეს, შეიძლება ითქვას, ერთადერთი გამოსავალი იყო მისთვის და ამიტომ სიხარულით დათანხმდა, მიუხედავად იმისა, რომ საყვარელ საქმეს — ქართულ თეატრსა და მშობლიური კულტურის აღორძინებით გულანთებულ მეგობართა წრეს უნდა გამოთხოვებოდა.

რუს და ქართველ მოღვაწეებთან ერთად — დადიანიც სასახლეში უცხოელი სტუმრებიც ზშირად ჩამოდიოდნენ. მთავრის მეუღლე ეკატერინე ლიტერატურის დიდი მოტრფიალე იყო. მას მხარს უმშვენიებდა უფროსი დაი ნინო — ალ. გრიბოედოვის ქვრივი, რომელიც მთელი თვეობით რჩებოდა აქ.

ზუგდიდში გატარებულ წლებს ივ. კერესელიძისათვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია. იგი გატაცებით დაეწაფა დადიანების მდიდარი ბიბლიოთეკის წიგნებსა და ხელნაწერებს; ისმენდა ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეების წარმტაც მოგონებებს ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ალექსანდრე ჭავჭავაძეზე, ალ. გრიბოედოვზე, პუშკინსა და ლერმონტოვზე. ახალგაზრდა პოეტი-პედაგოგი ახლო ეცნობა რუსულ-ქართული კულტურის ძვირფას მემკვიდრეობას; უახლოესი წარსულის საოცნებო სურათები ხელშესახებ სინამდვილედ გადაიქცა.

ეკატერინე დადიანის მეშვეობით ივ. კერესელიძემ პირველად გაიცნო ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის მანამდე დაუბეჭდავი ბევრი ლექსი. მოკლე ხნის შემდეგ იგი თვითონვე გახდა ქართული ლიტერატურის ამ ბრწყინვალე წარმომადგენელთა ნაწერების გულმხურვალე პროპაგანდისტი. მისმა „ცისკარმა“ მკვდრეთით აღადგინა და მშობელ ხალხს დაუბრუნა ბარათაშვილის უკვდავი პოეზია.

თუ რამდენად დაახლოებული ყოფილა ახალგაზრდა ივანე კერესელიძე ჭავჭავაძის სახელგანთქმულ ასულებთან, იქი-

დანაც ჩანს, რომ ორივე დას ერთად დაუხატნიათ მისი პორტრეტი, რომელიც ამჟამად საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში ინახება.

სამეგრელოში ყოფნის დროს ივ. კერესელიძე ახლოს გაეცნო ბატონყმობის უღელქვეშ მგმინავი ქართველი გლეხობის მდგომარეობას და მთელი არსებით განიცადა მათი აუტანელი ტანჯვა-წამება.

თუმცა დადიანების ოჯახი ადვილად ვერ ელეოდა ახალგაზრდა მასწავლებელს, მაგრამ ივანე უკვე თბილისისკენ მოისწრაფოდა; აქ, ქართული კულტურის ცენტრში, მას გადაუდებელი საქმეები. მჩქეფარე კულტურული მოღვაწეობა ელოდა.

დადიანებმა გულუბვად დაასაჩუქრეს ახალგაზრდა მწერალი და მან გადაწყვიტა ამ ფულით საკუთარი თავშესაფარი შეექმნა. გიორგი ივანეს ძე კერესელიძე ამის შესახებ გადმოგვცემს:

„როგორც კი დაბრუნდა ივანე სამეგრელოდან, იქიდან ჩამოტანილი ფულით შეიძინა მშვენიერი მამული ს. ბოგეში — ორასი დღიური მიწა სახნავ-სათესი, პატარა ტყე; მოაშენა ვენახი, აიშენა ბინა, წისქვილი, შეიძინა საქონელი და ყველაფერი, რაც საჭირო იყო სახნავ-სათესისათვის. იყიდა სახლი ალექსანდრეს ქუჩაზე (დღეს ჩინოშვილის ქუჩა), რომელშიაც 8.500 მანეთი მისცა. ასე რომ, ივანემ ზურგი გაიპაგრა... ნამეტან ბედნიერებას გრძნობდა მისი დედა ახაბანუმი“<sup>1</sup>.

ივანე კერესელიძე აქტიურად ჩაება თბილისის კულტურულ საქმიანობაში. უპირველეს ყოვლისა, კვლავ დაუბრუნდა გიორგი ერისთავის თეატრს, რომელთანაც ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს იყო დაკავშირებული.

ქართულ თეატრს ივ. კერესელიძე აწვდიდა პიესებს, გამოდიოდა სხვადასხვა როლებში და სცვლიდა გიორგი ერისთავს, როცა ეს უკანასკნელი რაიმე მიზეზით რეპეტიციებს ვერ ესწრებოდა. 1854 წლიდან ქართული თეატრის ბედი უკუღმა

<sup>1</sup> ივ. კერესელიძე. მოგონებები. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, 13458-ბ.

დატრიალდა. გ. ერისთავი იძულებული გახდა ამ საქმისათვის თავი მიენებებია.

უპატრონოდ დარჩენილ. ყოველგვარ სახსარსა და მფარველობას მოკლებულ, ხელისუფლების მიერ დევნილ თეატრს 1854 წლიდან ივ. კერესელიძე ჩაუდგა სათავეში. სამწუხაროდ, ქართული თეატრი ვერავითარმა ღონისძიებამ ვერ დაიხსნა მეფის გონებაჩლუნგ მოხელეთა უგუნური განაჩენისაგან. 1856 წელს თეატრმა არსებობა შეწყვიტა. ივანე კერესელიძეს ამ საქმეში რამდენიმე ათასი მანეთი ვალიც დაედო და ამან პირველი მახვილი ჩასცა მის პატარა მეურნეობას.

თეატრში მუშაობის დროს ივ. კერესელიძე დაუახლოვდა მსახიობ ნინო უზნაძეს, რომელიც თავდავიწყებით შეუყვარდა. ნინო მომხიბლავი და გულკეთილი ქალი იყო. როგორც შესანიშნავ მომღერალსა და მოცეკვავეს, მას მთელი თბილისი იცნობდა.

მათ იქორწინეს 1857 წლის 15 ივნისს. ნინო მაშინ მხოლოდ თხუთმეტი წლისა იყო<sup>1</sup>.

ნინო უზნაძე ივ. კერესელიძის განუყრელი მეგობარი და თანამებრძოლი გახდა. პატრიოტული ენთუზიაზმით აღსავსე ქალს, ნინო უზნაძეს, თავის მეუღლესთან ერთად, ქართული კულტურისა და ლიტერატურის წინაშე დიდი ამაგი მიუძღვის. იგი სტოიკური სიმტკიცით იტანდა ყოველგვარ გაჭირვებას, მხარში ედგა თავის დაუდგრომელ ქმარს და მასთან ერთად ეწეოდა ოჯახური ცხოვრებისა თუ საზოგადოებრივი მუშაობის მძიმე ჰაპანს. იგი არ ერიდებოდა განუწყვეტელ ფიზიკურ მუშაობასაც და „ცისკრის“ რედაქტორის ყველაზე სანდო და ერთგული თანაშემწე იყო რთულ სარედაქციო საქმიანობაშიაც. უამრავ საოჯახო საქმეებთან ერთად, „ასოებს ნინო აწყობდა და ჟურნალსაც — ბეჭდავდა, როცა ივანეს ჟურნალი მიჰქონდა დასარიგებლად, ნინო სტამბაში მუშაობდა“<sup>2</sup>.

ნინო უზნაძე ფაქიზი ლიტერატურული გემოვნებით იყო დაჯილდოებული და ივანე კერესელიძის ოჯახი სულ მოკლე

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, 17471-ბ.

<sup>2</sup> საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, 13457-ბ.

ხანში თბილისის კულტურული ცხოვრების ცენტრად გადაიქცა.

ქართული კულტურის ენთუზიასტებს მუდამ იზიდავდა ეს სტუმართმოყვარე ოჯახი, სადაც მათ გულგამილი ხედვებოდა მშობლიური ლიტერატურის აყვავების სურვილით ფრთაშესხმული ცოლ-ქმარი.

ივანე კერესელიძისა და ნინო უზნაძის ღარიბი, მაგრამ ქართული კულტურის მოღვაწეთათვის მუდამ სახემცინარი ოჯახი 50-60-იან წლებში ერთგვარ ლიტერატურულ სალონსაც წარმოადგენდა.

ამ საკითხზე საინტერესო მასალას გვაწვდის აკაკი წერეთელი:

„თბილისში ჩამოვედი 1862 წელს, თუმცა ისე ვიყავი დაღლილი, რომ მარტო ერთი ღამის მოსვენება არ კმაროდა გამოსაშუშებლად. მე მაინც მეორე დღესვე ადრე წავედი „ცისკრის“ რედაქტორის სანახაუდ, რომელსაც პირადად ვერ ვიცნობდი და მიწერ-მოწერით კი დიდი ხნის მეგობრები ვიყავით.

ის იდგა საკუთარს სახლში ალექსანდრეს ქუჩაზე და სტამბაც აქავე ჰქონდა. ერთმა ახალგაზრდა ტანმორჩილმა ქალმა გამიღო კარი და ჩემი ვინაობა რომ გაიგო, ნათესაურად შემომცინა და თანაც შესძახა ქმარს:

— ივანე! ივანე! ყმაწვილო, გამოდი, ნახე ვინ გვესტუმრა! გამოვიდა ერთი შავგვრემანი, კარგი თვალტანადი ვაჟკაცი, ამათვალეერ-ჩამათვალეერა და ბოლოს, ჩემი სახელი რომ ვუთხარი, სიცილით გადამეხვია. ეს იყო ივანე კერესელიძე....

...შემიწვია ოთახში, იქ მოხუცებული ქალი დაგვხვდა. ის მისკენ მიბრუნდა და უთხრა:

— დედი, ეს ის არის, რომ დასწერა: „გულს პერანგი დაქფართხალეზსო“. ხომ გაქსოვს? აკი ნატრობდი, ნეტავი მაჩვენაო!.. აი, აგისრულდა კიდევ ნატვრა.

— უი, მართლა, შვილო! — წამოიძახა ბებერმა და გადამეხვია. დამსვეს, შემომისხდნენ გარს სამივე ისეთი შეხაფიფებით, თითქოს მათი დიდი ხნის დაკარგული შვილი ვყოფილიყავ და დამიწყეს მუსაიფი. ... მოხუც დედამისს უნდოდა

უფრო იმერეთის ანუ შვეტყო და ახალგაზრდა ცოლი კი  
ლექსებზე მესაუბრებოდა“<sup>1</sup>.

შემდეგ აკაკის გადმოცემული აქვს ივ. კერესელიძის  
ოჯახში ქართველ ნწერლებთან შეხვედრისა და საუბრის  
საინტერესო ეპიზოდები.

1859 წელს საქართველოს ესტუმრა ფრანგი მწერალი  
ალ. დიუმა (მამა). იგი აღტაცებული დარჩა აქ გატარებული  
დღეებით და გულთბილი სტრიქონებიც მიუძღვნა ჩვენს სამ-  
შობლოსა და პირადად ივ. კერესელიძეს.

ქართული ლიტერატურისა და კულტურის საჭირბოროტო  
საკითხებზე მოსალაპარაკებლად ამ საქმის გულშემატყვიარნი  
ივ. კერესელიძის სახლში იყრიდნენ თავს და ღვინით სავსე  
ხელადასთან, თუ ჭიქა ჩაისთან, მსჯელობდნენ ყურნალისა და  
თეატრის მდგომარეობაზე.

ივანე კერესელიძესა და ნინო უზნაძეს სამი შვილი ჰყავ-  
დათ.

1858 წლის 14 ნოემბერს მათ ეყოლათ პირველი შვილი—  
ელენე (ლიზა), რომელიც დიმიტრი ბერიძემ (ბერიევმა) მო-  
ნათლა, — 1860 წელს შეეძინათ მეორე ქალი, სოფიო, რო-  
მელიც გრიგოლ ორბელიანს მოუნათლავს. 1865 წ. შეეძინათ  
ვაჟი — გიორგი<sup>2</sup>.

1852-56 წწ. ივ. კერესელიძემ ხელი მიჰყო ქართული  
წიგნების გამოცემას. მოკლე ხნის მანძილზე დაბეჭდა საკუ-  
თარი პოემები: „მწყემსის სიყვარული“ და „ნაოხარი სო-  
ფელი“, „საკითხავი წიგნი ახალ მოსწავლეთა ყრმათათვის“,  
„ანბანი ახალ მოსწავლეთა ყრმათათვის“, „მოკეთე სიტყვა“  
და სხვა, რომელთა ნაწილს იგი უფასოდ არიგებდა ხალხში.

1853 წ. ბოლოს გ. ერისთავის „ცისკარი“ დაიხურა. ლი-  
ტერატურული ყურნალის დაარსება ივ. კერესელიძის დიდი  
ხნის ოცნება იყო და 1854 წლიდან მან მტკიცედ მოჰკიდა  
ხელი ამ საქმეს. 1856 წ. შემოდგომაზე „ცისკრის“ აღდგენის  
ნებართვა მიიღო და 1857 წ. იანვრიდან ყურნალის გამოცე-  
მასაც შეუდგა. თვრამეტი წლის განმავლობაში დაუცხრომელ

<sup>1</sup> აკაკი, „ორი შეხვედრა“. „კვალი“. 1893 წ. № 2..

<sup>2</sup> საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი, 17471-ხ.



შრომას ეწეოდა ამ ჟურნალის შესანარჩუნებლად. „ცისკარ-  
მა“ შეიწირა მისი ქონება და ჯანმრთელობა, შეიძლება ითქ-  
ვას, რომ ივ. კერესელიძე პირველი ქართველი პროფესიონალი  
მწერალია, რომელმაც მთელი სიცოცხლე მხოლოდ ქართული  
კულტურისა და ლიტერატურის სამსახურში გაატარა. სხვა  
ინტერესი და მისწრაფება მას არასოდეს ჰქონია. ივ. კერესე-  
ლიძის ოჯახის ყველა წევრი — დიდიდან პატარამდე —  
„ცისკარის“ უფასო თანამშრომელი იყო. ამ მხრივაც ივ. კე-  
რესელიძე და მისი ოჯახი კულტურისა და ლიტერატურის  
უანგარო მოღვაწეობის შთამაგონებელ მაგალითს წარმოად-  
გენს.

თვითონ ხელმოკლე და ცხოვრების სახსარს მოკლებული  
ივ. კერესელიძე გაპირვებულთა და ღარიბთა დასახმარებლად  
უკანასკნელ კაპიკააც არ ზოგავდა. ივანე კერესელიძე მატე-  
რიალურ დახმარებას უწევდა რუსეთის უმაღლეს სასწავ-  
ლებლებში მყოფ ქართველ სტუდენტებს, აგროვებდა მათ-  
თვის ფულს, მართავდა წარმოდგენებს და სხვებსაც ურ-  
ჩევდა დახმარება გაეწიათ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

ფრიად საგულიანოა ერთი მისი თანამედროვის სიტყვე-  
ბი: ყველა საჭირო საქმისათვის იმ დროს სულ ვანო კერესე-  
ლიძის სახელი გაისმოდა. ყველაფრის აღსრულება მას ედებო-  
და კისერზე... დიდი ნაკლებობა იყო ქართველი მოღვაწე-  
ებისა და მთელს ქალაქში კაცი ქართველ მოღვაწეს ვერ ნა-  
ხავდაო.

თანამედროვენი განსაკუთრებული კმაყოფილებით იგო-  
ნებდნენ ივ. კერესელიძის სტუმართმოყვარეობასა და ხელ-  
გაშლილობას, მის ტკბილ და აუჩქარებელ მუსაიფს.

აკაკი წერეთელი, მაგალითად, ასე აგვიწერს ივანე კერე-  
სელიძესთან პირველ შეხვედრას: „...გამოვიდა ერთი შეგვე-  
რემანი კაცი, კარგი თვალტანადი ვაჟკაცი; ამათვალისწინებ-  
თვალაერა და ბოლოს ჩემი სახელი რომ ვუთხარი, სიცილით  
გადამეხვია. ეს იყო ივანე კერესელიძე.

საკვირველი მწუხარე სახე ჰქონდა, — რომ იცინოდა, მა-  
შინაც თითქოს სტირისო, ასე ეგონებოდა კაცს, მაგრამ ეს  
მოკმეხვნა-სევდიანობა შვენოდა და სასიამოვნო საყურებე-

ლიც იყო. ... ცოტა ზანს შემდეგ წასვლა დავაპირე, მაგრამ რედაქტორმა ახირებულად შემომხედა, გაიცინა, ბროლივით კბილები გამოაჩინა, გადააქნია თავი და მითხრა:

— რაო, ყმაწვილო, ეკალმა ხომ არ გიჩხვლიტა? სად მიდიხარ? ვაიმე! ვაიმე! შენც სკვინჩაობა გცოდნია? ვინ პოეტა და ვინ ეგა? ... მაგრამ ეგება არ იცი, თუ რას ვეძახი „სკვინჩაობას?“ ვიზიტს. ერთი სკვინჩა ჩიტი არის მოუხვენარი. ჭერ ერთ ხეზე შეხტება და დაიძახებს, მერე მეორეზე გადაფრინდება... მერე მესამეზე და ამგვარად სულ ჩამოივლის მთელ ტყეს. ახლანდელი ვიზიტობაც სწორედ ამისთანაა! ბიჭო, თუ არაფერი საქმე გაქვს, რად მოდიხარ? არა, მე ქართველი კაცი ვარ და ძალიან მეჩავრება ჩიტირეკიაობაო!.. შენ ახლა სად უნდა წახვიდე? სასტუმროში? აბა, კიდევ ეგ, სასტუმრო დაგვიყენებს ჩვენ თვალებს! იქ ხომ წყალსაც ვერ იშოვნის უყიდლად?.. შეიძლება მოხრაკული თავვი მოგიტანონ და შენ კი მწყერი გეგონოს. სჯობია ჩვენთან დარჩე სადილად. კაი მწვადი, კაი ჩიხირთმა, ყველი, წვანილი, ზედ კაი ღვინო, კაი პური და კაი გული...

მე სანამდი დავეთანხმებოდი, იმან ბიჭს დაუძახა. შეჰვიდა ერთი პატარა მკვირცხლი ახალგაზრდა...

— ...გასწი, შვილო! ჩამოუარე ჩვენებს ყველას — დიმიტრის<sup>1</sup>, ალექსანდრეს<sup>2</sup>, ლავრენტის<sup>3</sup>, ერთი სიტყვით, ყველა ჩვენებს ... და სთხოვე სადილად ჩემთან მობრძანდნენ“.

ივანე კერესელიძის ოჯახში გატარებული დრო აკაკის მეტად ცოცხლად აქვს აღწერილი. ქართულ სუფრასთან — გულმართალი მასპინძლის მეთაურობით — სტუმრები საუბრობდნენ მშობლიური კულტურისა და ლიტერატურის წარმატებაზე, არჩევდნენ ახალ ლექსებს, მსჯელობდნენ ქვეყნის მომავალზე.

აკაკის მოგონებებიდან ვგებულობთ, რომ ამ გულუხვ მასპინძელს არც მაშინ ჰქონდა თავზე საყრელი ქონება; ის

---

<sup>1</sup> დიმიტრი ბერიძე. <sup>2</sup> ალექსანდრე ორბელიანი. <sup>3</sup> ლავრენტი არღუზიანი.

სახლიც კი, რომელშიაც შექვედრა მოუწყო აკაკის, იმ დროს „პრიკაზში“ ჰქონდა დაგირავებული და მოვალეები მოსვენებას არ აძლევდნენ. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მასპინძელს მხიარულად ემღერა, ეხუმრა და ძვირფასი სტუმრები დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით გაეცილებია.

ივანე კერესელიძე საუკეთესო მომღერალი და დამკვრელი იყო. თეკლე ბატონიშვილმა მას ჯერ კიდევ ბავშვობისას აჩუქა თარი, რომელსაც ივანე დიდის მოწიწებით ინახავდა.

თარზე ვირტუოზული დაკვრით მას აღტაცებაში მოჰყავდა ფაქიზი მუსიკალური გემოვნებით განთქმული ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებიც<sup>1</sup>.

აკაკი წერეთელი გადმოგვცემს: „... კედელზე ჩამოკიდებული იყო თარი, ჩანგური, დირა, დიპლოპიტო, სალამური, კიანური და სხვანი. მასპინძელმა ჩამოიღო თარი, დაუკრა და დაამღერა:

ამა სოფლისა ცხოვრება  
ვერცხლით არ მოიპოვება,  
მდიდარიც ბევრი ყოფილა,  
ობრად რჩენოდეს ქონება“...<sup>2</sup>

საკუთარ ლექსებს ივანე უმთავრესად თარზე ამღერებდა. კარგად უკრავდა ვიოლინოსა და როიალზეც, რომელიც სასტუმრო ოთახში ედგა. ამ ადამიანის ყოფასა და ხასიათში ერთმანეთში იყო გადახლართული ქართული და ევროპული თვისებები და ჩვეულებანი.

თვით გრიგოლ ორბელიანი, განთქმული არისტოკრატიული ქედმაღლობით, ივ. კერესელიძის მეგობარი და თანამეუფრე იყო. მისი შვილის ნათლია, მისი ჟურნალის ერთ-ერთი განყოფილების გამგე<sup>3</sup>.

ივ. კერესელიძე „ჩინოვნიკობას“ გაურბოდა, მაგრამ ეკონომიური სივიწროვის გამო მაინც იძულებული გახდა ხელი-

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, № 13456-ბ. ვ. 2.

<sup>2</sup> აკაკი. ორი შეხვედრა. „კვალი“, 1893. № 2.

<sup>3</sup> საქართველოს ლიტ. მუზეუმი, 13461-ბ.

სუფლებისათვის სამსახური ეთხოვა. 1859 წ. 15 დეკემბერს მეფისნაცვლის სახელზე დაწერილ განცხადებაში ივ. კერესელიძე შტატგარეშე ჩინონიკად დანიშვნას თხოულობდა. განცხადებაზე უარი უთხრეს, რადგან მისი აზნაურობის საკითხი გადაწყვეტილი არ იყო. 1863 წ. გრ. ორბელიანისათვის განცხადებით მიუმართავს საქსახურში დანიშვნის შესახებ. გრ. ორბელიანს დაუქმყოფილება კერესელიძის თხოვნა. იგი დაუნიშნავთ საგუბერნიო სამმართველოში VII კლასის უკამაგირო მოხელედ. ივ. კერესელიძემ დაიწყო აღნიშნულ სამმართველოში საქსახური, მაგრამ მალე უკმაყოფილება მოუვიდა კანცელარიის უფროს იაკინთე დიმიტრის ძე მესხიშვილთან, რის გამოც იგი დაითხოვეს.

70-იანი წლებიდან ივ. კერესელიძის მდგომარეობა გაუარესდა. „ცისკარი“ დროის მოთხოვნილებებს ჩამორჩა, ასპარეზზე ახალი, უფრო პროგრესული თაობა გამოვიდა, უფრო მოწინავე ორგანოები დაარსდა; ივ. კერესელიძე კი „ცისკარს“ არ ეშვებოდა, ყოვლის ღონისძიებით ცდილობდა მის შენარჩუნებასა და გამშვენიერებას. მაგრამ ეს ადვილი საქმე აღარ იყო. ქურნალის მკითხველთა რიცხვი იმ დროს ხშირად 50-მდეც ვეღარ აღწევდა. აღებული ხარჯები მატულობდა და წინანდელ ვალებს, სარგებელთან ერთად, ახალიც ემატებოდა. დაიწყო მამულებისა და სახლების გაყიდვა ბოგვსა და თბილისში. ჩალის ფასად იყიდებოდა ყველაფერი, რადგან, უმრავლეს შემთხვევაში, წინასწარ იყო დაგირაგებული. როცა ყველა საშუალება ამოიწურა, 1874 წ. სტამბათავის ყოფილ მოწაფეს, ექვთიმე ხელაძეს მიჰყიდა. ამ დროს ივ. კერესელიძე სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იმყოფებოდა. წვრილი ვალების მოსაშორებლად ჯერ სახლი დააგირავა, მერე 3500 მანეთად დააგირავა მამული სოფ. ბოგვში, მაგრამ ვალები მაინც ვერ გასწვინდა<sup>1</sup>. „ცისკარის“ საქმეს კი ვერც სტამბის გაყიდვამ უშველა და ვერც მამულების დაგირაგებამ. ხელისმომწერები ფულს ვერ იხდიდნენ და, გ. კერესელიძის სიტყვით რომ ვთქვათ, „ცისკარს“ რა გააძლებდა“.

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი. 13458-ბ.

1869 წ. ივ. კერესელიძემ აჭარაში იმოგზაურა და ხიმ-  
შიაშვილთან მოლაპარაკება გამართა. შემდეგ 400 ცალი  
„ცისკარიც“ გაგზავნა იქ უფასოდ. ამ საქმისათვის მთავრო-  
ბისაგან მიღებული დახმარება ივ. კერესელიძემ ჟურნალს  
მოახმარა, მაგრამ მის გადასარჩენად საკმარისი არც ეს აღ-  
მოჩნდა.

1875 წელს, 18 წლის არსებობის შემდეგ, „ცისკარი“ დაი-  
ხურა და რედაქტორ-გამომცემელს აურაცხელი ვალები დაუ-  
ტოვა.

ამ ვალებში ჯერ თბილისის სახლი გაიყიდა (ყოფ. ალექ-  
სანდრეს, ახლა ნინოშვილის ქ. № 15) და ივ. კერესელიძის  
ოჯახი ქუჩაში დარჩა. ბინის დაჭირავება გადაწყვიტა, მაგრამ  
სახლის პატრონებმა უარი უთხრეს. იფიქრეს — კერესელიძე  
გადატაკებულია და ქირას ვერ გადაგვიხდისო. ხუთი თვის  
უბინაობის შემდეგ ივანემ დიდის წვალებით ავეპალაში იშო-  
ვა ორი პატარა ოთახი 15 მანეთად თვეში. მაგრამ ავეჯი სრუ-  
ლებით აღარ გააჩნდა, რადგან სახლთან ერთად ოთახების  
მოწყობილობაც წვრილ-წვრილად გაიყიდა. აღებული ფული  
დარჩენილი ვალების სარგებელს უნდებოდა<sup>1</sup>.

...„მახსოვს, რანაირი ცხარის ცრემლით ტიროდა ჩემი  
უფროსი 15 წლის დაი ლიზა, როცა გამოიტანეს ჩვენი ბა-  
ნიდან გასაყიდი როიალი, მისი საყვარელი საკრავი“<sup>2</sup> — იგო-  
ნებს ივ. კერესელიძის ვაჟი გიორგი.

1870 წლის 21 თებერვალს, 65 წლის ასაკში გარდაიცვალა  
ივ. კერესელიძის დედა.

მძიმე შრომამ, ნერვიულობამ, მოუსვენარმა ცხოვრებამ და  
იფიქრმა ვწერლის მეუღლეც მოაუძღურა და დააავადმყოფა.  
36 წლის ნინო უზნაძე 1878 წლის 21 თებერვალს გარდაიცვა-  
ლა<sup>3</sup>.

ამ ხანებში ინტენდანტის თანაშემწემ, ვინმე დავით ავალი-  
შვილმა, ივანე კერესელიძეს 2.000 მანეთი ასესხა ერთი  
წლით. ივანემ ვერც ეს ვალი გადაიხადა დროზე. ავალიშვილმა

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, № 13461-ბ.

<sup>2</sup> სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, № 13460-ბ.

<sup>3</sup> იგივე ფონდი — № 17471-ბ.

სასამართლოში უჩივლა, მაგრამ შას უკვე აღარაფერი ჰქონდა ისეთი, რომ საჯარო ვაჭრობით გასასყიდად გამოდგარიყო. ავალიშვილი ციხეში ჩასმით დაემუქრა ივანეს, რომელიც როგორც „ურჩი გადამხდელი“ ძლივს გადაურჩა სასამართლო განაჩენს<sup>1</sup>.

1878 წელს ივ. კერესელიძე მეორედ დაქორწინდა; ცოლად შეირთო გიორგი ამილახვრის ასული ანასტასია<sup>2</sup>, რომელსაც საკმაო მზითვი (მამული და სახლ-კარი სოფელ ჭალაში) მოჰყვა.

მოითქვა თუ არა ოდნავ სული, სამოც წელს მიტანებულმა ივანე კერესელიძემ საზოგადოებრივი მოღვაწეობაც განაახლა. 1887 წელს დააარსა სასოფლო-სამეურნეო გაზეთი „ციხკარი“, რომელმაც ცენზურისაგან ათვალწუნებისა და უსახსრობის გამო, ნხოლოდ ექვს თვეს იარსება და გამომცემელს ახალი ვალეები დაატეხა თავს.

მოწინავე ინტელიგენცია ცდილობდა ოდნავ მაინც შეემსუბუქებია მოხუცი მწერლის მდგომარეობა და მის სასარგებლოდ ზოგჯერ საქველმოქმედო საღამოებს მართავდა.

ამის თაობაზე „ივერიაში“ ასეთ ცნობებს ვხვდებით: „ბატონს ი. ი. კერესელიძეს, ძველსა და მოხუცებულს ქართველს მწერალს, რომლის სასარგებლოდაც ამას წინათ „ტფილისის საარტიტო საზოგადოებამ“ წარმოადგინა ახალი კომედია ლენაკისა: „Кто в лес, кто по дрова“, — ეს პიესა გადაუთარგმნია ქართულად ქართულს თეატრში წარმოსადგენად“<sup>3</sup>.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები ივ. კერესელიძემ, უმთავრესად, სოფ. ბოგვეში გაატარა; თბილისში იშვიათად ჩამოდიოდა.

ბოგვეში მისი ხშირი სტუმარი იყო ზაქარია ჭიჭინაძე, რომელიც მოგონებებს იწერდა მოხუცი მწერლისაგან.

1890 წელს ივანეს წერილი გაუგზავნია ზაქარია ჭიჭინაძისათვის:

<sup>1</sup> საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი, № 13458-ბ.

<sup>2</sup> საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი, № 17471-ბ.

<sup>3</sup> ივერია, 1890, 7.

„ძმაო ზაქარია! სოფელში რომ მოვდიოდი, შენ ბათუმში იყავი და ძლიერ მეწყინა, შენი უნახავი რომ წავედი. შენი ავადმყოფობა მითხრეს, და ძლიერ შეეწუხნდი. ნეტავი ახლა მაინც როგორა ხარ? მომწერე... შენი იმშვიდობიანობის წერილი. ეგება „ობოზრენიეც“, რაც გამოსულა 20 ივლისიდან, როგორმე მომაწოდო: ლამის სოფელში გავგიყდე უგაზეთოდ. ძლიერ მადლობელი დაგირჩები და თუ არ მოგკვდი, გადაგიხდი. სხვა რა მოგწერო. იცოცხლე, იბედნიერე, და ნუ დაივიწყებ შენი ბედნიერების, კეთილდღეობის მოსურნე და ყველგან დაღიწყებულ ივანე კერესელიძეს“<sup>1</sup>.

ივ. კერესელიძესთან უკანასკნელი შესვედრის შესახებ ზაქარია ჰიკინაძე წერს: „...მისი სიკვდილის ორი კვირის წინათ მე ვიყავი მასთან ავლაბარში, სადილი გიახელით და მან თარი დაუკრა და თავის ლექსი „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“ დაამღერა ზედ“<sup>2</sup>...“

მოხუც მწერალთან უკანასკნელი შესვედრის საინტერესო აღწერა დაგვიტოვა აქაკი წერეთელმა.

— „...შარშან, სწორედ ოცდაათს წელს შემდეგ ქუჩაში შემეყარა ერთი ვიღაც მოხუცი კაცი, — გადმოგვცემს აქაკი, — გაჩერდა და შემომძახა: „კაცო, ეგ შენა ხარო?“ მეც შევიჩერდი და ვიცანი კერესელიძე. — ღმერთო, რა ცუდია სიბერე და რანაირად სცვლის კაცს! ძველი ნაცნობი კერესელიძის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. — სახეს მწუხარების ბეჭედი ღრმად დაესვა. რას მიყურებო! მითხრა მწუხარე ხმით. — გიკვირს განა, რომ ასე მხედავ?... ასე სცოდნია ამ მუხთალ სოფელს:

დავბერდი, დაჩაჩანაკდი,  
წვერი შემეჭნა ჰალარა. —  
შინ ცოლ-შვილს მოვძულეზივარ,  
ბატონს ვუნდებვარ აღარა!..

მოიცა, შვილო, შენც ასე მოგივა, მაგრამ რას ვანბობ? შენ ღმერთმა გაშოროს ჩემი დღე. — კაი სიბერეც კარგია, მაგრამ ჩი-

<sup>1</sup> ზ. ჰიკინაძე — „ივ. კერესელიძე“, 1902, გვ. 37.

<sup>2</sup> იქვე.

პი ღმერთმა შეინახოს. ის კურთხეული დრო, შენ რომ გინახავს, წავიდა. ჩვენიანები, ვისაც იცნობდი, წავიდნენ, აღარ არიან... ლავრენტი, დანიელი, დიმიტრი, ალექსანდრე და სხვანი. მელა დავრჩი ობლად და მე რომ ჩემი გაჭირვება შევჩვილო, გულის მოსაფხანად, აღარავინ დარჩენილა, — სულ სხვა დრო მოვიდა, სხვა კაცები!.. ჭვარცმული ვარ, სწორედ ჭვარცმული. აი, ახლაც სუდიდან მოვდივარ. ღარიბი ხომ ყველასთან მტყუანია. ამტყუნია ერთი ვილაც იუდა მოვალე და მახრჩობს: ხან დილას შემატარებს სუდში და ხან საღამოს. ვეუბნები: კაცო, ქრისტიანო, რა მოგიცია, რომ მთხოვო? უსამართლოდ ლისტი ჩავიგდია ხელში და მალრჩობ... ჰა, შვილო, მიიხედ-მოიხედე, თუ რამე მეზადოს, წაიღე და მომშორდი!.. არა! უნდა, კოტრად „ნესოსტოიატელნად“ გამოგაცხადო. ამ აზრით შემეყვანა დღეს სუდში, მაგრამ ღმერთმა უშველოს მღებროვს, ტყუილად კი არ უყვარს საწყალ ხალხს. მე ვუთხარი, არაფერი მზადია-მეთქი.

— რა ხელობისა ხარო.

— ქართველი ლიტერატორი-მეთქი.

— მაშ თუ მაგრეა, ნაწერები გექნება და ეგეც ქონება არის, და აქედან დაკმაყოფილდეს შენი მოვალეო!..

ამ ერთ ჭირს გადავრჩი, მაგრამ სხვებს? რომელ ერთს გავეძლო. მაგრამ ამ გზაში რომ გაგაჩერე და შემოგჩივი, არა სჯობია, ჩემსა წავიდეთო!..

მომკიდა ხელი და წამიყვანა; ახალ გოლანდიაში იდგა. მის ოთახში რომ შევედი, შევეკრთი... ძველებურად ველარა ვნახე რა! თარი და ჭიანური კი ისევ კედელზე ჰქონდა ჩამოკიდებული.

— აი, აბა ამაზეა ნათქვამი — კიდევ დამიწყო:

ჩემი ავლა-დიდებაო,  
კატას აეკიდებო!..

ერთი რაღაც საცოდავი მამული მქონდა, იმასაც მიყიდის ბანკი. გუშინ მივედი, დაუფროქე საზოგადოებას, მაპატიეთ. ნუ გამიყიდით და უარი მითხრეს: უსტავი ნებას არ გვაძლევსო. ვინ მე და ვინ მათხოვრობა, მაგრამ მე კიდევ სხვამ გამაბე-



დვინა. საზოგადოდ ქართველისაგან მანულის შელევვა, ღვთისგმობაა... — „ჩვენი ქვეყანა გმირთა აკლდამააო“, — ალექსანდრე იტყოდა ხოლმე. მე და ჩემმა ღმერთმა, რომ მართალია!.. ჩვენი მიწები სულ ქართველების, ჩვენი მამა-პაპების სისხლით არის მორწყული და ძვლებით დაპოხიერებული...

ბოლოს მითხრა: — ძალიან მიამა, რომ შემოხვედი. შენც უსახლკარო ხარ, მეც. არცარა შენა გაქვს და არც მე. მოდი, ერთი ჩვენი არაფერები შევეერთოთ და პური ერთად ვკამოთ. მეც დავეთანხმე, დავრჩი სადილადა.

სუფრაზე ნელ-ნელა გამხიარულდა ივანე. დაავიწყდა დარდები, ჩამოაგდო საუბარი საზოგადო საქმეებზე და სრულიად შეიცვალა — ძველად ბერძნებს სწამდათ, რომ ხანდახან განგებ ჩაჰოდიან ღმერთები და მათ რჩეულ კაცებს შვენიებას უმატებენო. სწორედ მართალია, როდესაც კაცი მაღალი, ღვთიური რამეთი არის გამსჭვალული, მაშინ მისი შინაგანი ძლიერება გარეგანათაც იხატება და შვენიება ემატება.

...ამგვარი რამეები ბევრი ილაპარაკა. ბედს უჩივოდა... მეც ჩემის მხრივ ვანუგეშებდი და ვეუბნებოდი, რომ სახელი და ღიღებაც კარგი რამე არის-მეთქი. მაგრამ ის კი წაჰდაუწუმ იძახოდა:

რათ მინდა შენი ღიღებო,  
შიმშილით კუჭი მიხმებო...<sup>1</sup>

ივ. კერესელიძის სიცოცხლე მშობლიური ლიტერატურის სამსახურში დაიფერფლა. ხანგრძლივი, მძიმე შრომით მოღლილი და გაჭირვებით დაძაბუნებული მსოფლიანი მწერალი სიცოცხლის უკანასკნელ წელს თარგმნის ქიშმიშოვის ვრცელ თხზულებას ინდოეთში ერეკლე მეფის ლაშქრობათა შესახებ. ამავე ხანებში კიდევ ერთხელ ცდილობს აღადგინოს „ციცქარი“, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრმა ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა. გარდაცვალებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე ივ. კერესელიძე ეცნობა საცენზურო კომიტეტისადმი გამოკზავნილ მომართვას და ხელს აწერს მას. მომართვაში წე-

<sup>1</sup> აკაკი. ორი შეხვედრა, „კვალი“, 1893, 2.

რია:... „Ходатайство коллежского секретаря Ивана Кереселидзе о разрешении ему издавать в г.ср. Тифлисе ежемесячный сельско-хозяйственный журнал на грузинском языке под названием „Цискари“ признано г.Министром Внутренних Дел не подлежащим удствлетврению“<sup>1</sup>.

1892 წლის 19 დეკემბერს ივ. კერესელიძე ქალაქში გავიდა ფულის საშოვნელად. ძლიერი ყინვები იყო. მსუბუქად ჩაცმული, მოუძღოლებული მოხუცი გაცივდა და ფილტვების ანთებით ავად გახდა. გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“ იუწყებოდა: „Престарелый грузинский писатель и первый редактор первого грузинского журнала „Цискари“, Ив. Кереселидзе, как нам передает в настоящее время сильно занемог. Материальное положение его крайне стесненное“<sup>2</sup>.

მრავალ ტანჯვას გამოვლილმა ავადმყოფობას ვეღარ გაუძლო და 21 დეკემბერს, ავლაბრის ერთ მიყრუებულ ქუჩაზე, თავის ღარიბულ ბინაში გარდაიცვალა.

ივანე კერესელიძის გარდაცვალებამ ადგილობრივ პრესაში საკმაო გამოხმაურება კპოვა.

გაზეთი „ივერია“ საზოგადოებას აუწყებდა: „21 დეკემბერს, ღამის 2 საათზედ გარდაიცვალა ფილტვების ანთებით ჩვენს ლიტერატურაში ცნობილი მოღვაწე, ჟურნალ „ცისკარის“ რედაქტორი ივანე ივანეს ძე კერესელიძე, 63 წლისა, ავლაბარში, სირაჩხანას თავზე, იერასალიძის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში“<sup>3</sup>.

„ამ უკანასკნელ დროს, — ვკითხულობთ „ივერიის“ ამავდენომერში, — ეს მხნე და პატივცემული მოღვაწე, ივანე ივანეს ძე, ძლიერ გაჭირვებული იყო და თითქმის არსაიდგან არ მოეძებნებოდა სახსარი ცხოვრებისა, მაგრამ უკანასკნელ დღემდე კალამი ძირს არ დაუდვია და შეძლებისამებრ ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს, ვიდრე უღმობელმა სიკვდილმა წუ-

<sup>1</sup> ს. ც. ს. ს. ფონდი 480, საქმე — 617.

<sup>2</sup> Гав. „Новое Обозрение“, 1892, 3093, 20 декабря.

<sup>3</sup> „ივერია“. 1892. 23 დეკემბერი.

თისოფელს არ გამოასალმა და ბოლო არ მოუღო მის მოღვაწეობას იმ ქვეყნის წინაშე, რომლის სიყვარულითაც უკანასკნელ დღემდე გული უცემდა ამ პატივცემულსა, მხნესა და ერთგულს მოღვაწეს ჩვენის მწერლობისა და ლიტერატურისას, საუკუნოდ იყოს ხსენება მისი“.

„Новое обозрение“-ში გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც ავტორი წერს: „კერესელიძის სახელი არასოდეს დაავიწყდება ქართველ საზოგადოებას, ვინაიდან სახელი მისი დაკავშირებულია ქართული ლიტერატურისა და მწერლობის აღორძინებასთან. კერესელიძე მხნედ და დაუღალავად შრომობდა ქართული ლიტერატურისათვის... და აი, სასტიკმა 1892 წელმა კერესელიძის გარდაცვალებით გვისაყვედურა: რად დაივიწყეთ უკანასკნელნი წელნი პატიოსანის მოღვაწისა, რომელმაც პირველად დაიწყო შრომა ჟურნალ-გაზეთების აღორძინებისათვის?..“

„ივერია“ ასე აღწერს ივ. კერესელიძის დასაფლავებას: „შაბათს, 26 დეკემბერს, დასაფლავებული იქნა დიდუბის ეკლესიის გალავანში... ი. ი. კერესელიძე. მიცვალებული გამოასვენეს სადგურიდამ, რომელიც ავლაბარშია, დილის ათ საათზედ... გამოსვენებაზედ დაესწრნენ წარმომადგენელნი ჩვენის ინტელიგენციისა. გზადაგზა პროცესიას მიემატნენ ბევრნი სხვანიცა და დიდუბის ეკლესიაში საკმაოდ ბლომად მოპროვდნენ მსურველნი უკანასკნელის ვალის გარდახდისა იმ კაცის წინაშე, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს მწერლობასა და ჩვენს ჟურნალ-გაზეთობას. განსვენებულის კუბოს ამკობდა გვირგვინები, რომლებიც გამოეგზავნა სხვადასხვა ჩვენებურ საზოგადოებათა.... „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“, „ქართველ მოვაჭრეთა“, „ივერიისა“ და „მეურნეს“ რედაქციებისა, „ტიფლისკი ლისტოკისა“, დრამატული საზოგადოებისა, „ქართული წიგნების გამომცემელ ამხანაგობისა“, რომლის ლენტზედაც ეწერა ლექსი:

...და გვწამს, რომ დარი იდარებს,  
დროც შოვა უკეთესია:  
ნაყოფს მოიტანს შესაფერს  
ის, რაც შენ დაგიტესია.

განსვენებულის საფლავზე სიტყვა წარმოთქვა პეტრე უმიკაშვილმა. ი. ჭავჭავაძის თხოვნით პ. უმიკაშვილმა ეს სიტყვა „ივერიაში“ გამოაქვეყნა.

1892 წლის 29 დეკემბრის ნომერში ივ. კერესელიძის დაკრძალვის აღწერასთან ერთად ი. ჭავჭავაძის „ივერიამ“ გარკვეული შეფასება მისცა განსვენებულის მოღვაწეობას:

„საუკუნოდ დარჩება ხსენება ჩვენის განათლების ისტორიაში ამ მწერლობის პირველი მოღვაწესი და ქართული ჟურნალ-გაზეთობის პიონერისა“.  
(ხაზი ჩვენია. ა. კ.).

გაზეთმა „კვალმა“ დაბეჭდა ივ. კერესელიძის სურათი და გამოაქვეყნა აკაკის „ორი შეხვედრა“.

ივ. კერესელიძის ფონდის შესაქმნელად მუშებმა და ხელოსნებმა ფულის შეგროვება<sup>1</sup> დაიწყეს და თბილისში ძეგლის აგების სამზადისსაც შეუდგნენ.

ამის თაობაზე „ივერიაში“ წერილებიც დაიბეჭდა. ერთ-ერთი წერილის ავტორი წერდა: „რადგან კერესელიძეს სიცოცხლეში ვერ აღუვგეთ ძეგლი, ახლა მაინც ვსცეთ პატივი და ავუგოთ ღირსეული ძეგლიო“<sup>2</sup>.

„ივერიამ“ ძეგლის ასაგებად ფულის შემომწირავთა სიების ბეჭდვა დაიწყო, მაგრამ მაშინდელ პირობებში ამ საქმის განხორციელება ვერ მოხერხდა.

ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი გრძნობდა, რომ ივანე კერესელიძის წინაშე ის ვალში იყო, ამიტომ 1901 წელს კვლავ განაზღაურა ლაპარაკი ივანე კერესელიძისათვის ძეგლის აგების შესახებ. ამ საკითხზე საგანგებო კრებაც დაინიშნა. საქმის პრაქტიკული განხორციელება სოფ. მგალობლიშვილს დაევალა. მანაც დაიწყო მოლაპარაკება მოიჯარადესთან „ალგეთის ქვის ლოდის“ ჩამოტანაზე და „ძეგლის ირგვლივ მოაჯირის“ გაკეთებაზე<sup>3</sup>. „ივერიამ“ კვლავ გამოაქვეყნა შემომწირავთა სიები. ყველა გრძნობდა, რომ ქართული მწიგნობრობის მოამაგეს, ჟურნალისტიკის პიონერს, პირველ

<sup>1</sup> „ივერია“ 1892, 29 დეკემბერი.

<sup>2</sup> „ივერია“ 1893, № 2.

<sup>3</sup> „მწვემისი“, 1901, 19.

მწერალსა და მოღვაწეს მშობლიურ ქალაქში აუცილებლად ეკუთვნოდა ძეგლის აგება, მაგრამ საქმე ვერც ამჯერად იქნა ბოლომდე მიყვანილი.

ამავე პერიოდში ბევრს წერდნენ იმის შესახებაც, რომ სა-  
ქირო იყო ივ. კერესელიძის თხზულებათა გამოცემა. რომ: „ეს  
იქნებოდა ჯილდო ივ. კერესელიძის იმ შრომისა, რაც მან  
1855-1892 წლამდე გასწია... რომ ამის შესრულება ქართველ-  
თათვის საეალღებულოცაა“... მაგრამ ვერც ეს აზრი განხორ-  
ციელდა.

## ივანე კერესელიძის სარედაქციო მოღვაწეობიდან

1854 წლიდან პოლიტიკური ვითარება ჩვენში ქართული კულტურის საზიანოდ წარიმართა. ეორონცოვის ნაცვლად დანიშნულ მურავიოვს სხვა ღირექტივები ჰქონდა ადგილობრივ ხალხებთან ურთიერთობის შესახებ. იგი უნდობლად ეკიდებოდა კავკასიის ერთა კულტურულ აღორძინებას. ამ მოძრაობაში იმპერიისათვის საშიშ ტენდენციას ხედავდა. ქართულ კულტურას მფარველი და მატერიალური მხარდამჭერი მოაკლდა. ეორონცოვის დროს თეატრს ბევრი მიეტმანა, რომ „კეთილი მოხუცი“ ეამებინა და იმ გზით ჩინ-მუნდირი მიეღო. მურავიოვისა და ბარატინსკის მმართველობის წლებში ეს პირები ჩამოსცილდნენ ქართულ საქმეებს. არც ერთ იმდროინდელ მოღვაწეს არ ეყო გაბედულება, რომ ანთებული ლამპარი არ ჩაეჭრო. 1854 წ. არსებობა შეწყვიტა გ. ერისთავის „ცისკარმა“.

გიორგი ერისთავმა უდიდესი სამსახური გაუწია მშობლიურ კულტურას როგორც ჟურნალისა და თეატრის დაარსებით, ისე შესანიშნავი დრამატული თქზულებებით. ივ. კერესელიძე. როგორც სხვა იმდროინდელი პროგრესული მოღვაწეები, დიდად აფასებდა გიორგი ერისთავის როლს. იგი წერდა: „რა გრძნობით ვუყურებდით თ. გ. ერისთავს, რომელმანცა დააფუძნა „ცისკარი“, აღადგინა დაცემული ქართული ენა, მრავალი კეთილი შესძინა საქართველოს და უფრო მეტს შესძინებდა, უკეთუ ჩვენ გადაგვეხადა მადლობა დამფუძნებლისათვის. მაგრამ რა, მაგდენი სინდისი არის ჩვენში? ნაცვლად მადლო-

ბისა, ხშირად დამდურება ისმოდა იმგვარ კაცზედ, რომლის ტალანტი და შრომა ღირსი არის შენიშენისა და რომლის წყალობითაც ახლაც გამოდის ჟურნალი“...<sup>1</sup>

„ცისკარის“ დახურვის შემდეგ ქართული ლიტერატურის ისედაც სუსტი მაჩისცემა თითქმის შეწყდა. კულტურული მოღვაწეობის ასპარეზი დაცარიელდა. ნ. ნიკოლაძის სიტყვით რომ ვთქვათ. „ქართული ენა ვის ახსოვდა, ქართველ მწერლებს ვინ აქცევდა ყურადღებას... ქართველი მწერალი ზოგს ტუტუცად მიაჩნდა და ზოგს გიჟად. საქმე გამოლევია, ჯღაბნისო, — ამბობდნენ“...

ქართული ენის საჭიროებაზე არისტოკრატიულ წრეებში პოლემიკა იმართებოდა. ალ. ორბელიანი 1858 წ. წერდა: „ერთს რომელთანაჲ შეემთხვა ლაპარაკი შესახებ ქართულის ენის, რომელსაცა აღვწერ და ასე იყო: ის. — თქვენ რომ აქებთ ქართულს ენას თქვენს რვეულში, ნეტა რა საქებია ან საყვარელი ქართული ენა და ან თვით ქართული ჟურნალი? ქართულს სიტყვიერებას ჰქონდა თავისი დიდების ერთი დრო და მაშინ დასრულდა იმის საკვირველება, ეს იყო მეფის თამარის დრო!“<sup>2</sup>

ამგვარ პირობებში გამოდის კულტურის ასპარეზზე სამოღვაწეოდ ივ. კერესელიძე. „ნუ დავივიწყებთ იმ დროს, — წერს პეტრე უმიკაშვილი, — როდესაც გამოვიდა ივანე კერესელიძე საზოგადო ასპარეზზე, როდესაც მისწყდა პირველი აღტაცება საზოგადოების მცირედის ნაწილისა, როდესაც მივიწყებული იქმნა მწერლობაცა და თეატრიც, როდესაც მწერლობის ხმა აღარსად ისმოდა, როდესაც ჩვენი საზოგადოება მიყრუებული იჯდა. იგი გამოვიდა მარტო და გვერდით უდგა მხოლოდ განსვენებული თავ. ალექსანდრე ორბელიანი, ამის გამოსვლის დღიდან იწყება ახალი ხანა ჩვენის ცხოვრებისა, როდესაც საზოგადოება და მწერლობა მოქმედებას იწყებს მხოლოდ თავისის გულით და თავისის იმედით და არა სხვის მოლოდინით. წინათ, გიორგი ერისთავი რომ იწყებს მოღვაწეობას, მას

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1857. დეკემბერი.

<sup>2</sup> „ცისკარი“. 1858, ივლისი.

მფარველობენ და ახალისებენ ძლიერნი ამა ქვეყნისა; მცირე, წარჩინებული ნაწილი საზოგადოებისა მას ახალისებს, სიძნელე მდგომარეობისა ჯერ არ სჩანს“<sup>1</sup>.

მართლაც, „სულ სხვაა კერესელიძის მოღვაწეობის დასაწყისი“, როდესაც თბილისის საზოგადოება მიყუჩებულ-მიყრუებულა, როცა ეს მღაბიო — გლადიატორივით მარტო გამოდის არენაზე, როცა არისტოკრატებს სათაკილოდ მიჩინიათ იმ საქმეში გარევა, რომელშიც „ვილაც კერესელიძეა“ მოთავედ.

ასეთი იყო ქართული ლიტერატურის განვითარების სიძნელები. მეორეს მხრივ, საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო. რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიურ და სულიერ ცხოვრებაში კი XIX საუკუნის 50-იან წლებში სერიოზული ცვლილებები მოხდა, რომლებსაც აუცილებლად სათანადო შეგავლენა უნდა მოეხდინა ქართული კულტურის განვითარებაზე.

ყირიმის 1853-1856 წლების ომმა საყოველთაოდ გამოაშკარადა მეფის რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენილობა, ცხადყო ბატონყმობის მოსპობის აუცილებლობა, ხელი შეუწყო კაპიტალისტური წარმოების წინსვლას, პოლიტიკურ გამოცოცხლებას, დემოკრატიული ფენების ამოძრავებას.

რუსეთს ბატონყმობის წინააღმდეგ აჯანყებულთა ბრძოლის ძლიერმა ტალღამ გადაუარა. ამ ბრძოლის ხმა მხატვრულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაშიც გაისმა. დაიბადა განახლების იმედები.

დოკუმენტური მასალებით მტკიცდება, რომ ამ დროს საქართველოშიც იცნობდნენ ბელინსკისა და გერცენის ნაწერებს. ზაქარია ჭიჭინაძეს დამაჯერებელი საბუთები მოაქვს, რომ 1857 წელს „ცისკრის“ რედაქციაში გერცენის გამოცემებიც ჰქონდათ. „კოლოკოლის“ მკითხველ ქართველთა შორის ზ. ჭიჭინაძე ასახელებს ივ. კერესელიძესა და ალექსანდრე ჩიქოვანს, რომლის ბინაშიაც მას უნახავს „კოლოკოლის“ 1857-1858 წლების კომპლექტი, დაყდავებული და ხშირი კითხვისა-

<sup>1</sup> „ივერია“, 1893. № 4.



გან გაცვეთილი. ზაქარიას სიტყვით, ალ. ჩიქოვანი ამ გამოცემების გავლენას განიცდიდა და „ცისკარში“ — „კოლოკოლის“ თანახმა წერილებიც იბეჭდებოდა“. მას საგანგებო თავიც გაუთვალისწინებია „ქართველი ერის სოციალური განვითარების ისტორიის მასალებში“ სათაურით: „...ამ სოციალური აზროვნების თანახმა წერილების წერა და ბეჭდვა ქართულს უფრონაღ „ცისკარში“ (თავი მეთორმეტე) <sup>1</sup>.

უნდა გავიხსენოთ, რომ 1857-1858 წლებში ალ. ჩიქოვანი იყო „ცისკარის“ აქტიური თანამშრომელი. ივ. კერესელიძის იდეური თანამებრძოლი. მის ხსოვნას ივ. კერესელიძემ ლექსი მიუძღვნა და ნეკროლოგთან ერთად „ცისკარში“ გამოაქვეყნა.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია საინტერესო მასალები, რომ ქუთაისში დაპატიმრებულ მასწავლებელ ვასილევსკის, რომელიც მანამდე თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში მუშაობდა, წლების განმავლობაში მიმოწერა ჰქონია „კოლოკოლის“ გამომცემელთან, რის გამოც გიმნაზიიდან მისი დათხოვნაც გადაუწყვეტიათ <sup>2</sup>. ვასილევსკი „კოლოკოლის“ კორესპონდენტი ყოფილა საქართველოში. ივ. კერესელიძე, რომელიც თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში მსწავლობდა და შემდეგ იქვე მსახურობდა ზედამხედველად, ცხადია, იცნობდა „კოლოკოლის“ ამ მუდმივ კორესპონდენტს.

უკანასკნელ დროს გამოვლინდა მასალები, რომ 1862 წელს საქართველოში „კოლოკოლს“ ავრცელებდა მასწავლებელი ვორონოვი, რომელიც იმავე წლის სექტემბერში დააპატიმრეს. ვორონოვს დავალებული ჰქონია „კოლოკოლის“ გასავრცელებლად ახალი გზის გამონახვა. „კოლოკოლის“ გავრცელების ძველი გზა“ 1857-1858 წლებში თურქეთიდან საქართველოზე გადმოდიოდა. ასე რომ, ზაქ. ჰიკინაძის ცნობები სავსებით დამაჯერებელი ხდება <sup>3</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, 72837-ბ.

<sup>2</sup> ა. გაჩეჩილაძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. გვ. 359. ს. ც. ს. ს. ა. ფ. 8, საქმე — 1774.

<sup>3</sup> შ. სააკაძე, ლიტერატურული გაზეტი. 1957 წ. 30 მარტი.

კვლევამ დაადასტურა, რომ „ცისკრის“ პროგრესული თანამშრომლები, კერძოდ, ივ. კერესელიძე, არა მარტო კითხულობდნენ „კოლოკოლს“, კიდევ იყენებდნენ მას თავიანთ სტატიებში. ამას ადასტურებს პარაფრაზები „კოლოკოლიდან“ (ამ საკითხზე ქვემოთ ვრცლად გვექნება საუბარი).

ანტ. ფურცელაძე, ივ. კერესელიძის დაახლოებული პირი და „ცისკრის“ აქტიური თანამშრომელი, წერს: „На собраниях стали мы читать журналы, газеты и книги с новым направлением. Стали к нам попадать даже и заграничные издания“<sup>1</sup>.

ასეთ პირობებში ქართული ჟურნალი ხალხის ინტერესების გამომხატველი უნდა ყოფილიყო; ამ საქმის განხორციელება ისტორიულად დიდი პროგრესული ამოცანის გადაწყვეტას ნიშნავდა.

ჟურნალის გამოცემის სურვილი ივ. კერესელიძეს გ. ერისთავის „ცისკრის“ არსებობის დროსაც ჰქონია, ხოლო მისი დახურვის შემდეგ „გულში ჩაუნერგავს... ქართული ჟურნალის გამოცემა ან მისი განახლება“. თავისი მიზანი მაზლობელთათვისაც გაუზიარებია. „ერთხელ მოვიდა ივ. კერესელიძე და მოთხრა, — აღნიშნავს ალ. ორბელიანი, — გ. ერისთავი „ცისკრის“ რედაქტორობაზე ხელს იღებს, სოფელში მიდის. არ ვიცი, თქვენ რას მირჩევთ, მე მინდა რედაქტორობა ვიკისრო და ჟურნალი გამოვცეო“<sup>2</sup>. განზრახვის შეასრულებლად ივ. კერესელიძეს რამდენიმე წლის გულმოდგინე მუშაობა დასჭირდა.

ჯერ კიდევ გიმნაზიის ზედამხედველად ყოფნისას ივ. კერესელიძემ ურთიერთობა დაამყარა თანამგრძობებთან. სათავეში ჩაუდგა ქართული წიგნისა და ჟურნალის პროპაგანდას. განსაკუთრებით, დაბალი წრეებიდან გამოსულ ინტელიგენციაში. „მე, ზ. ანტონოვი და რამდენიმე სხვა პირი შევიკრიბენით და დავიწყეთ შრომა, როგორც წარმოდგენების გასამართავად, ისე ქართული წიგნების საბეჭდად“. — გადმოგვცემს ივ.

<sup>1</sup> Закавказская речь. 1911, № 256—257.

<sup>2</sup> საქართველოს სახ. მუზეუმი, S — 1634.

კერესელიძის ნათქვამს ზ. ჭიჭინაძე<sup>1</sup>. კერესელიძე მასობრივ მხარდაჭერას ეძებდა და ამ მიზნით კრებებსა და საუბრებსაც ატარებდა. „ჩვენი ქადაგების დედააზრი ერში ნელ-ნელა იდგამდა ფეხს. — წერს იგი, — მალე ბევრი გამოტყდა ქართული ჟურნალის გამოცემის საჭიროებაში. მე, სიდაც წავიდოდი, ყველგან ამაზე მქონდა საუბარი... რამდენ გზისამე აქაიქ კრებებიც დავნიშნეთ და იქ ჟურნალის გამოცემაზე საუბარი ავტეხეთ... 1855 წელს ერთ კრებაზე გადაწყვიტეთ ჟურნალის გამოცემა“<sup>2</sup>. მეორე ადგილზე იგი ამბობს: „ვიდრე გამოცემას დავიწყებდით, მანამდის ხალხში „ცისკრის“ გამოცემის ცნობებს ზოგიერთი კეთილი პირი ავრცელებდა“.

ამრიგად, საქმის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად ივ. კერესელიძე უშუალოდ ხალხთან, საზოგადოებასთან იჭერს საქმეს; — ქმნის აქტივს, ეძებს საიმედო თანამგრძნობთ, ამზადებს საზოგადოებრივ აზრს.

1854 წ. მას უკვე „ცისკრის“ აღდგენის შესახებ შეუტანია განცხადება და გ. ერისთავისგანაც სათანადო ნებართვა მიუღია. გიორგი ერისთავის „ცისკრის“ ნაკლოვანებებისა და დახურვის ერთი მიზეზთაგანი იყო საკუთარი სტამბის უქონლობა; ვორონცოვისაგან ნაბოძებ სტამბაში პირველ რიგში ოფიციალური მასალა იბეჭდებოდა. ივ. კერესელიძემ გადაწყვიტა ჟურნალისათვის საკუთარი საგამომცემლო ბაზა შეექმნა. გ. ერისთავისაგან 900 მანეთად ნაყიდი პრიმიტიული სტამბა მოაწესრიგა და „ცისკრის“ გამოცემის ნებართვის მიღებამდე წიგნების ბეჭდვა გააჩაღა.

„ცისკრის“ დაარსებისთანავე რედაქტორის წინაშე წამოიჭრა მრავალი სიძნელე, რომელთაგან ყველაზე მტკივნეული იყო ჭელისმომწერთა სიმცირე. ივ. კერესელიძე ბევრგვარ საშუალებას მიმართავდა ამ წინააღმდეგობის დასაძლევად. იშვიათად ნახავთ ნომერს, რომელშიც არ იყოს რედაქტორის განცხადება — მოწოდება ქართველი საზოგადოებისად-

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, ივ. კერესელიძე. 1903.

<sup>2</sup> იქვე.

მი. ამ განცხადებებში ივ. კერესელიძე ხან ემუდარება თანამემამულეებს, ხელი მოაწერონ „ცისკარს“; მოთმინებით განუმარტავს მათ ჟურნალის როლს მშობლიური კულტურის განვითარებაში, ხანაც — საზოგადოების გულგრილობით აღშფოთებული. — მრისხანედ თავს ესხვის მათ დანაშაულებრივ ინდიფერენტულობას და სამარცხვინო ბოძზე აკრავს მოწინააღმდეგეებს.

თანამემამულეებს გულწრფელად უმხელდა ივ. კერესელიძე გასაკირს, მაგრამ უცხოელებთან ამაყად ექცირა თავი. როცა აღ. დიუმა შეეკითხა, რანდენი ხელისმომწერი გყავსო, რედაქტორმა თამამად მიუგო — ექვსასიო. დიუმა გაოცებულა — ასე მცირე ხელისმომწერთა იმედით ჟურნალს როგორ სცემო. ივ. კერესელიძე ხშირად მოიგონებდა ამ შემთხვევას სევდიანი ირონიით: ბევრი არ მომიტყვილებია. 60 ხელისმომწერი მყავდა და მეც მხოლოდ ერთი ნოლი მივეუმატეო.

მკითხველთა მოსაზიდავად „ცისკარი“ სხვა ღონისძიებებსაც მიმართავდა. აღსანიშნავია, მაგალითად, ბაქარ ქართლელის (დიმ. ყიფიანის) „წერილები თეიმურაზისაღში“ და თეიმურაზის პასუხები. ამ წერილებს ივ. კერესელიძე საინტერესო შენიშვნებს ურთავდა<sup>1</sup>.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ივ. კერესელიძეს ჰყავდა კორესპონდენტ-გამავრცელებლები, რომლებთანაც პირადად იყო დაკავშირებული; ხშირად აღნიშნავდა მათ დამსახურებას მშობლიური კულტურის წინაშე, რათა ამით სხვებიც წაეხალისებინა.

1860 წ. მაისის ნომერში ივ. კერესელიძე მადლობით იხსენიებს ელიზბარ ერისთავსა და გაბ. მამაცაშვილს, „რომელნიცა გვეწვევიან ყოველწლივ ხელისმომწერთ მოპოებით ქართლის მხრივ“: ასეთსავე მუშაობას აწარმოებდნენ სამეგრელოში რაფ. ერისთავი, კახეთში — ბარ. ჯორჯაძე, იმერეთში — დიმ. ბაქრაძე, გ. დოდობერიძე, ი. მამაცაშვილი, გურიაში — ლევან გურიელი და სხვ.

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1860, იანვარი.

ივ. კერესელიძე არ კმაყოფილდებოდა კორესპონდენტ-ხელისმომწერებთან მიწერ-მოწერით. ხელისმომწერნი უურნალის ფასის ანაზღაურებას ვერ ახერხებდნენ. თანხის ნახევარი აუკრეფელი რჩებოდა და რედაქტორს თავის ჯიბიდან უხდებოდა ხარჯების დაფარვა. იგი გულიანტყვილით წერს, რომ „უდროო დროს მისვლით შეწუხებულ „ბატონს“ არა ურთხელ მის ცხვირწინ მიუჯახუნებია კარი“. შეურაცხყოფილს „სრემლით ავსებია თვალი“, მაგრამ მოთმინებით აუტანია დამცირება და კვლავ „კვიტანციით ხელში“ მისულა ძალად მკითხველთან, იქნებ, ახლა მაინც შეხვედროდა კაი გუნებაზე.

ხელისმომწერთა მოსაპოვებლად და დარჩენილი დავალიანებების დასაფარავად ივ. კერესელიძე სოფელ-სოფელ დადიოდა. სად არ ნახავდით ამ დაუდგრომელ „მოსეტრალე რედაქტორს“. ხან ფეხით, ხან ცხენით, ხან ურმით მას მთელი საქართველო შემოვლილი ჰქონდა. კახეთი, ქართლი, მესხეთი, იმერეთი, სამეგრელო, აჭარა, რაქა, ლეჩხუმი, გურია კარგად იცნობდა ამ ჩვენებურ შოველს. მიდიოდა და ისეთ ადგილებშიაც მიჰქონდა „ცისკარი“ და ქართული წიგნი, სადაც ქართულად ნაბეჭდი მანამდე არავის ენახა. აგროვებდა ხელისმომწერთაგან ხორბალს, ღვინოს, სიპინდს, ჩამოჰქონდა თბილისში, თვითონვე ჰყიდდა ბაზარზე და ასე ანაღდებდა ხელმწერის თანხას — შთაგონებული იმ რწმენით, რომ „ქართული უურნალის არსებობას არა თუ დააფასებდა ახლანდელი თაობა, შთამომავლობაც სასიქადულოდ მიიღებდა“.

ამ მოგზაურობის დროს იგი კავშირს აბამდა „ცისკრის“ კორესპონდენტ-გამავრცელებლებთან, ატარებდა მათთან საუბარს, აკვირდებოდა ხალხის ცხოვრებას.

გარდა სარედაქციო წერილებისა, ივ. კერესელიძემ სპეციალური სტატიები მიუძღვნა ქართული უურნალის გავრცელებსა და ხალხში წიგნის შეტანის საკითხებს.

„ცისკრის“ გამოცემის საქმეში გარკვეულ როლს ასრულებდა ცალკეულ პირთა, კერძოდ, შეძლებულ თავადაზნაურთა მატერიალური დახმარება. ზოგიერთი მათგანი „ცის-

კრის“ რამდენიმე ეგზემპლარს იწერდა. ამ ქველმოქმედ ხელისმომწერთა გვარებს რედაქტორი მუდამ განააკუთრებული მადლობით აცხადებდა.

წარჩინებულ თავადაზნაურთა ამგვარ ქველმოქმედებას, რომლის გარეშეც უურნალს გაუქირდებოდა არსებობა, უაყოფითი გავლენა ჰქონდა „ცისკრის“ იდეურ მიმართულებაზე, ჰბოძავდა რედაქტორის თავისუფლებას. აიძულებდა ნაშეესუსტებინა ზოგიერთი გულწრფელი შეხედულება და უურნალის ნოსპობას შიშით, ზოგჯერ ისეთ დათმობაზე წასულიყო. რომელიც მის პირად თვალსაზრისს არ გამოხატავდა.

უურნალს ივ. კერესელიძე მეტი რაოდენობით ბეჭდავდა, ვიდრე ხელისმომწერთაგან ჰქონდა დაკვეთილი; ზედმეტ ეგზემპლარებს უფასოდ არიგებდა მდაბიო ხალხში, რათა წიგნისა და განათლებისადმი სიყვარული აღეძრა<sup>1</sup>. ასევე უფასოდ ვზაენიდა უურნალს საქართველოს შორეულ და მთიან რაიონებში. სერგეი მესხის ერთ-ერთ კერძო წერილში შემონახულია ცნობა, რომ თურქთა მონობაში მყოფ აქარაში კერესელიძემ „ცისკრის“ სამასამდე ეგზემპლარი გაგზავნა უფასოდ ვინმე მაისუროვის ხელით<sup>2</sup>.

„ცისკრის“ წენარჩუნებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ლიტერატურული მასალით მის უზრუნველყოფას. ქართული პრესა 70-იან წლებშიც მწვავედ განიცდიდა მასალის ნაკლებობას, ხოლო 50-იან წლებში, როცა პერიოდული ლიტერატურა ჩვენში ის იყო ფეხს იკიდებდა, თვითველანომარის შეესება რედაქტორისათვის თავსამტკვრეც ამოცანას წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ მოსამზადებელი მუშაობის პერიოდში ივ. კერესელიძემ მკვიდრო ურთიერთობა დაამყარა თბილისსა და პროვინციასი მცხოვრებ მწერლებთან, მთარგმნელებთან, მწიგნობრებთან. პირადად გაეცნო მათ ნაწერებს და შეუდგა უურნალისათვის თხზულებების შერჩევას. მწერლებთან ურთიერ-

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, № 13236-ბ.

<sup>2</sup> ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, 645.

თობა ივ. კერესელიძემ სულ უფრო განამტკიცა და ამით საკმაოდ მყარი დასაყრდენი შეუქმნა ყურნალს. მასალის შესაგროვებლად ივ. კერესელიძე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდა. 1857 წელს ამ მიზნით, მოიარა ქართლი, 1859 წელს — კახეთი და ა. შ. მაგალითად, დ. ციციშვილის სახლში (სოფ. ქარელი) ივანეს უნახავს მრავალი ძველი თხზულება, რომელთა ნაწილი „ცისკარში“ დაბეჭდა<sup>1</sup>.

მიუხედავად ასეთი გულმოდგინებისა, 1857 წლის ნომრები მაინც ღარიბია მხატვრული თხზულებებით. როგორც ჩანს, შეკრებილი მასალა ივ. კერესელიძეს არ აკმაყოფილებდა. ამიტომ, ყურნალის მორიგი ჩომერი რომ როგორმე შეეფასო, თვითონ რედაქტორი სახელდახელოდ წერდა სხვადასხვა საკითხებზე.

ვინაიდან თანამშრომლებთან ურთიერთობა და შემოსული მასალის დასაბეჭდად მომზადება ნაზოლოდ ივ. კერესელიძეს უხდებოდა, მოწინავე ინტელიგენციას სურდა შეეწყობოდა მისთვის ეს ტვირთი. 1859 წ. ლავრენტი არდაზიანი წერდა: „განეუცხადებთ მადლობას უ. რედაქტორს კერესელიძეს დაუცხრომელი შრომისათვის, რომელსაც უკეთესად დაათვათებს შთამომავლობა და ამასთანავე, ვურჩევთ მოიპოვოს ორი ან ერთი მაინც ამხანაგი, რომ უკეთ წავიდეს ყურნალი, თორემ მარტოს ამ მძიმეს საქმეში დიდად გაუჭირდება“<sup>2</sup>.

თანამშრომელთა წახალისებას ივ. კერესელიძე დიდ ყურადღებას აქცევდა; თავის მოვალეობად თვლიდა მკითხველთათვის ეცნობებინა ყურნალში მოწინაწილე მწერალთა გვარები და მადლობა მოეხსენებინა მათთვის. 1857 წ. ივნისის ნომერში, მაგალითად, რედაქტორი სათითაოდ ასახელებს ყურნალის ყველა თანამშრომელს და რჩეულთა შორის მადლობას უცხადებს ისეთ ახალგაზრდა თანამშრომელსაც, როგორც იყო იმ დროს ილია ქავჭავაძე.

ივანე კერესელიძის სახლი ლიტერატულ სალონს წარმოადგენდა. აქ იკრიბებოდნენ: ლ. არდაზიანი, დ. კონკაძე, ა. წერე-

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1857, დეკემბერი.

<sup>2</sup> „ცისკარი“. 1859, სექტემბერი.

თელი, რ. ერისთავი, ა. ფურცელაძე. ა. ორბელიანი, ბ. ჯორჯაძე, პ. უშიკაშვილი, დ. ბერიძე და იმ დროის სხვა გამოჩენილი მწერალ-მოღვაწეები.

„ცისკარში“ სათანამშრომლოდ, ლიტერატორებთან ერთად, ივ. კერესელიძე სხვა დარგის შემსახვევსაც იწვევდა; შემოიღო წერილების წერა ისტორიულ-ეკონომიურ, სასოფლო-სამეურნეო, მუნიციპალური და სხვა საკითხებზე. ზოგჯერ არაქართველ სპეციალისტებსაც უკვეთავდა საქონალს სტატიებს, რომლებსაც თვითონვე თარგმნიდა.

რაკი ჟურნალს დამოუკიდებელი მატერიალური ბაზა არ გააჩნდა და მისი არსებობა მთლიანად ხელისმომწერთა თანხაზე იყო დამოკიდებული, რედაქტორი იძულებული ხდებოდა ზოგჯერ სუსტი ნაწარმოებიც დაებეჭდა.

„...მაგითი არა ვართ უბედური ჩვენი წოდების ხალხი? — წერს იგი ერთ-ერთ სტატიაში, — გზავნიან იტალიანურს ენაზედ ნაჩხაბსა იმ კაცის ხელით, რომ თუ ერთი უარი უთხარი, საუკუნოდ უნდა დაშარხო ეს ერთი, მხოლოდ ობოლი ჟურნალი და თანაც ზედ დაამატებენ: ვაი, თქვენს ტყავს, თუ ერთი სიტყვა გაგისწორებიათო. ჩვენც ვფიქრობთ, ეპ, დავბეჭდავთ და ეგების ერთი ღვთისნიერი კაცი გამოჩნდეს და ეს შალგმორეული ყანა გაგვიმარგლოს შეთქი“.

განებივრებულ ავტორებს პირად შეურაცხყოფად მიაჩნდათ, თუ „ცისკარში“ მათი ნაწერი არ დაიბეჭდებოდა. ერთ-ერთმა მათგანმა — მეფისნაცვლის კანცელარიის უფროსმა იაკინთე მესხიშვილმა ჯერ სამსახურიდან მოახსენევინა, ხოლო შემდეგ პოლიციის წინაშეც დააბეზდა ივ. კერესელიძე, რომელმაც მისი უვარგისი მოთხოვნა „სიქსტი მეხუთე“ ჟურნალში არ გამოაქვეყნა.

ილია ჭავჭავაძე 1861 წ. წერდა: „ჩვენ გვიკვირს, უ. რედაქტორი როგორ ბეჭდავს „შეშლილსავით“ და უფრო შეშლილი „ზაღაჩებლსავით“ გამოუქვეყნებ სტატიებსა? მაგრამ უ. კერესელიძე გასამტყუნარი არ არი. აბა ნუ დაბეჭდავს და ჰნახავს რამდენი ხელისმომწერი მოაკლდება გულნატყენ ვილაც მოზადაჩეების მეცადინეობით. თუ ხელისმომწერი არ ეყოლება: ჟურნალსა, როგორ იცოცხლებს იგი? ეგრეთ ჯოჯოხეთში არის



ხოლოვე ყოველი რედაქტორი, რომლის ეურნალსაც საკუთარი კაპიტალი ანუ თანხა არა აქვს. გინდა თუ არა, უნდა დაშოკიდებული იყო იმ კაცებზედ, რომელნიც წინდაუხედავად, უთავბოლოდ, რაც მოხვდება და როგორც მოხვდებათ ჰბლაგნიან, რადგანაც იმედი აქვთ, რომ საბრალო „ცისკარი“, მათგან ფულთ დავალბული, ნებით თუ არა ნებით, ალაგს მისცემს თავის ფურცლებში იმათ გამოუსადეგ სტატიასა. რად უნდა ვემდუროდეთ უ. რედაქტორს, რომ ეურნალი არ უვარგა? აბა რა თანხები გავუმართეთ, რომ თავისუფლად ამოერჩია სტატიები და არ ჰშინებოდა წყენისა, როცა იძულებული იქნებოდა ჩაებარებინა უკანვე გამოსადეგ პატრონისათვის მისი გამოუსადეგი სტატია“? <sup>1</sup>

ანტ. ფურცელაძე ერთგან წერს: „ბელინსკისა არ იყვეს, რანდენნაირი თხზულებები, თარგმანები და ვინ იცის, კიდევ რაები არ მოდიან რედაქციაში... და... ამ თავის თხზულებაზედ გაუბტყელებით სხვილის ასობით ჩინი, ტიტული, თავისა და მაჰის სახელი და გვარი, — ასე გასინჯეთ თავად დიმიტრი თუმანიშვილის სტატიებიც მოგვდის და არ გვაკლებს თავის უნიკო მოწყალებასა. ბევრი ამათგანი ფულსაც გზავნის, ოლონდ დაგვიბეჭდეთ: ერთს ამგვარ მწერალთაგანს ყველი და ურბოც გამოგზავნა ერთი ლექსის დასაბეჭდად. ბოლოს გამოდის. რომ მათი აზრი ყოფილა, რომ თავისი სახელი და გვარი დაბეჭდილი ნახონ“ <sup>2</sup>.

ივ. კერესელიძე ფართოდ უღებდა ეურნალის კარს ნიჭიერ ახალგაზრდებს; ცდილობდა დროულად დაებეჭდა მათი ნაწერები. დაგვიანების ან შეცდომებით დაბეჭდვის შემთხვევაში, აქვეყნებდა ახსნა-განმარტებებს. თანამშრომელთაღმი ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულება მაღალი ლიტერატურული ეთიკის ტრადიციას ქვნიდა.

„ცისკრის“ რედაქტორს აღტაცებას გვრიდა თანამშრომელთა წარმატება. 1861 წლის აპრილს ნომერში იგი სიხარუ-

<sup>1</sup> ი. კვავკავაძე, თხზულებათა კრებული, ტ. III.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1863, იელისი.

ლით იუწყებოდა: „მოგვლის წერილები, სადაც აქებენ არდაზიანის რომანს („სოლომონ ისაკის მეჯღანუაშვილი“), ჩვენც ვუერთდებით ამ ხმას და ვსთხოვთ არდაზიანს, გაამდიდროს ჩვენი მწერლობა“.

ივანე კერესელიძე ცდილობდა გაეთართობინა ეურნალის შინაარსი; აარსებდა ახალ განყოფილებებს. 1859 წელს იგი იუწყებოდა: „...ეურნალი ჩვენი მომავალს წელს გამოვა უკეთ განვრცელებითა და განმშვენიერებით. იგი შეიცავს შვიდს წიგნს: 1. ძველს ნამდვილს ქართულს ნაწარმოებებს; 2. ახლანდელ ნამდვილს წარმოებას ან ნათარგმნას; 3. ლექსება ა უწინდელთა და ახლანდელთა; 4. ჰსწავლასა და ხელოვნებასა; 5. მსუბუქს განრკვევასა; 6. სოფლიურსა სახლოსნობასა; 7. სხვადასხვა ანბავსა“<sup>1</sup>.

1860 წლიდან რედაქციამ შემოიღო მოკლე ცნობების ბეჭდვა რუბრიკით — „გამოკრებული“, სადაც საინტერესო პოლიტიკური და მეცნიერული ინფორმაციები გამოქვეყნდა.

1862 წელს პირველად შეიქმნა „ცისკარის“ რედაქცია; დაარსდა განყოფილებები; უცხოური და ქართული სიტყვიერების განყოფილებას განაგებდა ლავრენტი არდაზიანი, პოეზიისას — გრიგოლ ორბელიანი; მეცნიერების, ხელოვნების, ისტორიისა და ფილოლოგიისას — დიმიტრი ბაქრაძე; შინაური მიმოხილვისა და ბიბლიოგრაფიის — ანტონ ფურცელაძე, ხოლო სხვადასხვა ამბების განყოფილებას — ნიკ. ბერძნიშვილი.

ქართული სალიტერატურო ეურნალის ისტორიაში ბევრ მაგალითს ვერ დავასახელებთ, რომ ერთდროულად ასეთი ძლიერი და სახელმძოვრეჭილი მწერლები და მეცნიერები ყოფილიყვნენ ეურნალის განყოფილებათა მესვეურებად.

ივ. კერესელიძე აღგენდა „ცისკარის“ მორიგი ნომრის გეგმას; 1859 წლიდან იგი წინასწარ აცნობდა მკითხველებს შემდეგი წლის პროგრამას.

თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილი ქართული ეურნალის წინააღმდეგი იყო. ივ. კერესელიძემ 1857 წ. ივნისში ამცნო საზოგადოებას, რომ ზოგიერთები მზად არიან თოფიც.

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1859, დეკემბერი.

ესროლონ ჩვენს ჟურნალსო. ჟურნალის შენარჩუნების მიზნით „ცისკრის“ რედაქტორი ცდილობდა თანამემამულეთა გულში გაეღვიძებინა ეროვნული გრძნობა, ემოქმედნა მათს თავმოყვარეობაზე, ჩაეფიქრებინა ისინი სამშობლოს ბედზე. ივ. კერესელიძე არწმუნებდა თანამემამულეებს, რომ „ცისკრის“ დახურვა შეურაცხყოფა იქნებოდა იმდროინდელ ქართველთათვის. „გზა გახსნილი გვაქვს, ალაგი გვაქვს ჟურნალში“, — მოუწოდებდა მათ.

დარწმუნების მეთოდი, რომელსაც ივ. კერესელიძე „ცისკრის“ შესანარჩუნებლად მიმართავდა, საკმარისი არ აღმოჩნდა. ჟურნალისადმი მტრულად განწყობილი ჯგუფი ფარხშალს არ ჰყრიდა, განაგრძობდა „ცისკრის“ საწინააღმდეგო საქმიანობას. „ცისკრის“ ფურცლებზე არა ერთსა და ორ განცხადებას ვხვდებით, რომ ჟურნალის მოწინააღმდეგეებს შეთქმულებაც ჰქონდათ მოწყობილი. ამ განცხადებებში ვკითხულობთ: „სახოგადოება წინააღმდეგობს კიდევ ჟურნალს“; „ჟურნალს ოთხკუთხევი აღუდგენ“; „ყველა მხრიდან ისმის მღურვა“; „ზოგიერთები არც ხელს უწერენ ჟურნალს და ყველას ეხვეწებიან მუხლმოდრეკით — არავინ მოაწეროს „ცისკრისათვის“... „ამაზე შეთქმულებაცა აქვთ საიღუმლოთ და ყოველს მხარეს დაფარვით ცდილობენ დიდათ, სადაც ბრძანება გასდით, უბრძანებენ, სადაც არა და ეხვეწებიან“..

ჟურნალის შენარჩუნებისათვის ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. გადამწყვეტ მომენტში, როცა საკითხი „ცისკრის“ ყოფნა-არყოფნის შესახებ დგებოდა, ივ. კერესელიძე გაბედულად უპირისპირდებოდა პრივილეგიურ წრეებს და ჰკიცხავდა მათ. ამ ბრძოლაზე საკმაო წარმოდგენას გვაძლევს ივ. კერესელიძის შემდეგი სიტყვები: „მრთელს საქართველოში, თითქმის მილიონ ნახევარზე მეტ ქართველში მხოლოდ ერთი ჟურნალი გამოდის, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ „ცისკარი“ ძლიერ შორავს სისრულეში მოყვანილს ჟურნალებს. ვინ არის ამის მიზეზი — იქნება ზოგი ერთმა მკითხველთაგანმა წინდაუხედავად ბრძანოს, გამომცემი არის ამის მიზეზიო. უკაცრავათ, ამის მიზეზი გამომცემი კი არ გახლავთ, თვითონ ქართველები ბრძანდებიან... შემწეობა? არა თუ შემწეობა,

ზოგიერთი პატივცემული ქართველი გადამტერებია კიდევ და მოსპობაც სდომებია. გადამტერებია იმ საგანს, რომელიც შეადგენს თვითონ იმათ საკუთრებას, მთელის ხალხის სარგებლობას. ამგვარი საქმე გაკეთდება არა გინებით, არამედ საზოგადო მეცადინეობით“.

ივ. კერესელიძე არ დაკმაყოფილდა ჩუმი მუშაობით, არ მიჰყვა საზოგადოების დინებას; სათავეში ჩაუდგა მშობლიური ენისა და ლიტერატურის განვითარებისათვის მძიმე იერიშს. ჯერ კიდევ 1857 წ. ივნისში თავს დაესხა ქართული ლიტერატურის მტრებს; მაშინაც კი, როცა ქვით ჩაქოლვას უპირებდნენ, იგი ენერგიულად განაგრძობდა დაწყებულ ბრძოლას.

არისტოკრატიის მონეტებულ ნაწილს აჩაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, თუ უსიციოცხლო, მათი მონამორჩილი ყურნალი იარსებებდა. ივ. კერესელიძე ცდილობდა არა მარტო შეენარჩუნებინა ყურნალი, არამედ — გარკვეული დამოუკიდებლობაც მოეპოვებინა მისთვის. ეს იყო იდეური ბრძოლა, რომელიც ახალ საფეხურს წარმოადგენდა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

ამ ბრძოლაში „ცისკარის“ ჯგუფი რამდენაღმე დარაზნული და იდეურად შეიარაღებული გამოვიდა. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ბრძოლამ მას შემდეგ მიიღო, რაც ივანე კერესელიძემ „მოლაყბის“ ფსევდონიმით დაიწყო იმდროისათვის მეტად გაბედული ფელეტონების ბეჭდვა. მოლაყბე ამ ორგანიზაციული ბრძოლის შეთაურად მოგვევლინა.

ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „რალა თავი შეგაწყინოთ. ამ „ცისკარის“ საგანზე ბევრი თათბირი გექონდა ჩვენ თერთმეტთა, იძულებულ-ქმნილთა; ის ჩვენი მეთურთმეტე მოლაყბე ამოვირჩიეთ: წადი, ქართველებზედ ლაყბობას მოჰყევ, ვინაილგან ზოგიერთნი წინააღმდეგნი არიან „ცისკარისა“, ამისათვის სთქვი და დასწერე იმათზე, მაგრამ თუ შენი ლაყბობა ეჯავროსთ, შეგვატყობინე და უჩვენოლ არას შეუდგეო“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1859, თებერვალი.

ქართული პრესის ფურცლებზე ამ ორგანიზაციული გამოსვლის ფაქტი საყურადღებო მოვლენად უნდა მიგვეჩნია ჩვენი აზროვნების ისტორიაში. მაგრამ „ცისკრის“ ჯგუფი არც ამით დაკმაყოფილდა. იგი შემდეგშიაც საკმაო აქტივობას იჩენდა ყურნალის ფურცლებზეა თუ პრაქტიკულ საქმიანობაში.

რედაქტორი და მისი თანამოაზრენი ერთნაირი სიმტკიცით ებრძოდნენ როგორც ქართული ყურნალის მტრებს, ისე ყურნალში დაბეჭდილ პროგრესულ ნაწარმოებთა მოწინააღმდეგეებს: „როგორ თუ აღარ გამოიცემა („მოლაყბის ფურცელი“) ზოგიერთების სასიამოვნოდ, რომელზედაცა გაფრთხილებული ვართ, არა ვთქვით რა იმაზე? ბატონებო, ამ თერთმეტს ჩვენ ნუ მაგვიყვანთ იქამდისინ, რომ თავი და გული შეგაწყინოთ დიდათ. არამცთუ მხოლოდ თქვენი ლაპარაკის წარსხანება შეგვაშინებს ჩვენ, არამედ ჩაც უარესია, ის რომ დაგვმართოთ, უფრო ძლიერად დავწერთ თქვენზედ“.

როგორც ვხედავთ, ივანე კერესელიძის მიერ 1857 წლის ივნისში დაწყებული იდეური ბრძოლა წლების განმავლობაში გრძელდებოდა; პრინციპულ საკითხებში „ცისკრის“ ჯგუფი სიმტკიცეს იჩენდა. საქართველოს იმდროინდელი პირობების შესაბამისად, ამ ბრძოლას და მასში ივანე კერესელიძის მონაწილეობას ორი მხარე ჰქონდა. ერთის მხრივ, ივ. კერესელიძე, როგორც „ცისკრის“ რედაქტორი, მკითხველთა ჩამორჩენილი. რეაქციული ნაწილის დასაშოშმინებლად, დარწმუნების მეთოდს მიმართავდა, თითქოს ბოდისაღაც იხდიდა მათ წინაშე; ხოლო, მეორეს მხრივ, მოლაყბის ნილაბაფარებული, დაუნდობელ შეტევას აწარმოებდა ამ წრეების წინააღმდეგ. სქოლასტიკურ კრიტიკას არ შეეძლო ბრძოლის ამ თავისებურების გაშიფვრა, რადგან სრულებით არ ითვალისწინებდა საქართველოს ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების სპეციფიკას; ვერ ხედავდა, რომ ქართული ლიტერატურისა და კულტურის განვითარება 50 — 60-იან წლებში იდეური ბრძოლის ნიშანქვეშ მიმდინარეობდა.

ყურნალის შესანარჩუნებლად საჭირო იყო არა მარტო აშკარა მტრების წამოჩოქება, არამედ იმ რეაქციულ მოაზროვნეთა დათრგუნვაც, რომლებიც ვანგაშს სტეხნდნენ, ეპოქის

მოთხოვნილებების შესაფერ ნაწარპობთა განოქვეყნებისათვის ყურნალიდან „უკუდგომით“ იპუქრებოდნენ.

„ცისკრის“ ჯგუფი მუქარაზე მუქარით უპასუხებდა: „აღრი თვე გვიცნობებია, თუ იმ ჩვენს დაწერილზე ყიჟინას მოპყვებით, გავვლანძღამთ, უფრო უარესი და უარესი დაიწერება ჩვენს წინააღმდეგებზე“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

რედაქცია გარკვევით სვამს საკითხს ძველისა და ახლის, რეაქციულისა და პროგრესულის გამიჯვნის შესახებ. კატეგორიულად მოითხოვს „ცისკრისაგან“ რეაქციონერთა ჩამოშორებას. უფრო მეტი: „ცისკარი“ თავს ახალი აზრების, მოწინავე შეხედულებების მედროშედ აცხადებს, ხოლო რეაქციონერებს ურჩევს რეაქციული ყურნალის დაარსებას და ამ ორ დასს შორის ბრძოლის გაჩაღებას მოითხოვს, არა ერთი ყურნალის, არამედ ორი ქართული გამოცემის ფურცლებზე, რომელთაგან ერთი პროგრესული შეხედულებების დასაცავად იბრძოლებს („ცისკარი“), ხოლო მეორე — დახავსებული, რეაქციული მიმართულების მებაირახტრე იქნება.

„ეს ჩვენი „ციკარი“ ხომ ვითომც „ცისკარია“; თქვენის მოწყალებით, ახლა თქვენ თორმეტი მზე. გამოეცით მეორე ქართული ყურნალი და ეს ორნი მხარენი შევიპიდნეთ: თქვენ, თორმეტი მზის დასნი და ჩვენ, მცირედი „ცისკრისა“ (დასი). ვწერთ და დავბეჭდოთ ერთმანეთზე“.

ეს „მცირედი დასი“ მოწინააღმდეგეებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იწვევს: „...ამ მოლაყბეს რომ მოპკლავთ, მას უკან გადარეული დაპსწერს უფრო უარესად და გარკვევით; ამასაც რომ მოპკლავთ, მერე თავხედი და ბოლომდისინ ასე ვივლით, მანამდისინ სულ ერთიანად არ გაგვწყვეტთ... ჩვენ კარგად ვიცით ჩვენი ვალი.

ამის ნება გვაქვს ჩვენ მოცემული<sup>1</sup>. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ივ. კერესელიძეს ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული ინტელიგენციის იმედი ჰქონდა. ეს რწმენა მან 1857 წ. გამოსატა წერილში „მკითხველთადმი“, იგი შემდეგშიც ხშირად გამოდის ამ ინტელიგენციისადმი საჯარო მოწოდებით — დაიკავოს აღგილი ცხოვრების მოედანზე, სათავეში ჩაუდგეს ქვეყნის წინსვლას. სამარცხვინო ბოძზე აკრავს მაღალ ხარისხზე მყოფ თავადაზნაურებს, რომლებსაც საქვეყნო საქმეზე გული გასცივებოდათ. ივ. კერესელიძე 1857 წ. ხოტბას ასხამდა და სავშობლოს მხსნელად აცხადებდა დაბალი წრეებიდან გამოსულ ახალგაზრდობას. იგი წერდა: „ერთი მხოლოდ ამითღა ვნუგეშობთ, რომ არიან იმ გვარნი პირნიცა, უმეტესად ყმაწვილნი კაცნი ამ ახლის განათლებისანი, რომელთაცა ესმით უურნალის ღირსება და ძალა და რომელთა იმედითაც ვეწევით შრომას, მაგრამ ვწუხვარ მით, რომ არა აქვსთ ის ხარისხი, რომელს ხარისხზედაც ნავარდობენ სახელით ქართველნი და გულით არაქართველნი. კვალად არ ვკარგავ იმედს, იქნება, ეკალზედ ვარდი აღმოცენდეს“<sup>2</sup>.

ამავე აზრს ივ. კერესელიძე არა ერთხელ იმეორებს სხვა წერილებშიც. ერთგან იგი ამბობს: „თუ არიან ისეთნი, რომელთაც ესმით ძალა ამგვარი საზოგადო საქმისა, ისინი საუბედუროდ ჩვენდა, ღარიბნი არიან, და რომელთაც აქვთ შეძლება, დიდ ხარისხზედაც იმყოფებიან, იმათ ასე გასცივებითა გული, რომ არც ქართველებში ურევიათ და არც სხვათა სჯულის ხალხში“.

50-იანი წლების მხოლოდ ნახევარში ქართულ კულტურულ საქმიანობაში აქტიურად ჩაებნენ ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდები, რომლებმაც დიდი ენერჯია და სიმტკიცე გამოიჩინეს; როგორც ცნობილია, გ. ერისთავის შემდეგ ქართულ თეატრს ეს ახალგაზრდები ასულდგმულელებდნენ. ივ. კერესელიძე მკიდროდ იყო დაკავშირებული

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1859, თებერვალი.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1857, ივნისი.



სტუდანი: (მარცხნიდან მარჯვნივ) 1. ა. ჩიქოვანი, 2. უცხოპი პირი, 3. უცხოპი პირი,  
4. გ. რჩეულიშვილი, 5. ლ. არღაზიანი, ღგანა: ი. კერესელიძე და დ. კონქაძე.



მათან (ბაპერაშვილი, კორძია, უზნაძე, ზენკლაშვილი, ბიბილური, კიკნაძე, მეიფარიანი, აბრამიძე და სხვ.).

„ციხერის“ წამყვან ბირთვსაც მისი არსებობის პირველ წლებში ეს ინტელიგენცია წარმოადგენდა. ჟურნალის ყველაზე აქტიურ თანამშრომლებად გვევლინებიან: ალ. სავანელი, გრ. რჩეულიშვილი, ლ. არდაზიანი, ნ. ბერძინიშვილი, რ. ერისთავი, დ. ბაქრაძე, ალ. ჩიქოვანი, ი. მამაცაშვილი, დ. ქონქაძე, გ. დვანაძე და სხვანი.

საარქივო მასალისა და ზოგიერთი სხვა წყაროს შესწავლა გვარწმუნებს, რომ 50-იანი წლების მეორე ნახევარში თბილისში არსებობდა ქართული ლიტერატურის მოყვარულთა წრე; ამ წრის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის დ. ქონქაძე წერილში ცოლისძმისადმი „Я взялся за грузинскую литературу; у нас здесь издается на грузинском языке журнал и молодежь всеми силами поддерживает его. Национальное чувство пробуждается. (ხაზი ჩვენია ა. კ.). Я начал одну повесть под заглавием „Сурамская крепость“.

დემოკრატიულად განწყობილ ლიტერატორ-მოღვაწეთა ამ წრის შესახებ დანიელ ქონქაძე „სურამის ციხეშიაც“ გვაწვდის ზოგიერთ ცნობას. იგი წერს: „იმ ზაფხულს, იმ საშინელ სიცხეში, როდესაც ქალაქში მცხოვრებნი ეძებდნენ სიგრილეს ქალაქგარეთ, აქ რამდენიმე ყმაწვილთ, რომელთა რიცხვში ერთია თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე, დადეს პირობა მთელ ზაფხულს, ყოველ საღამოს, შეყრა რიყეზედ, ან ჩისხატის ჩასწვრივ და იქ დროების გატარება კარგა შუალდამედინ. იმ პირობაში, სხვათაშორის, იყო ერთი მუხლი, რომლითაც მორიგე პირს უნდა ეთქვა ერთი მოთხრობა, ანუ არაკი, ანუ სხვა რაიმე, ჩვენისაქართველოს ცხოვრებიდან“<sup>1</sup>. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

დ. ქონქაძე მოთხრობის სხვა ადგილებშიც ეხება ამ წრის საქმიანობას. „სურამის ციხეც“ წრის შეკრებაზე მოხმენილ

<sup>1</sup> დ. ქონქაძე, „სურამის ციხე“, 1926.

ამბავს წარმოადგენს. სწორი არ არის ზოგიერთი მკვლევარის მტკიცება, თითქოს დანიელ ჭონქაძეს შეძლებული ოჯახებიდან გამოსულ ახალგაზრდა ქართველთა უზრუნველი ცხოვრება ჰქონდეს აღწერილი ამ სურათებში; მოთხრობიდან გარკვევით ჩანს, რომ წრის წევრები მსჯელობდნენ საჭირობოროტო საკითხებზე; მათ შორის ბატონყმობის მოსპობის შესახებაც. ცხადია, ამ სურათებში დანიელ ჭონქაძე შეფარვით გადმოგვცემს ქართული ლიტერატურის მოყვარულთა წრის მოღვაწეობას. საგულისხმოა, რომ იგი ასახელებს კიდევ მის მიერ აღწერილი წრის წევრებს: „პ-ფილოსოფოსი“, „კნიაზი ლიბერალი“ და სხვ.

„ცისკართან“ არსებული წრის შესახებ მოსე ჯანაშვილი გვაუწყებს: „ესენი იყრებოდნენ „ცისკრის“ რედაქტორ ივ. კერესელიძესთან და ცდილობდნენ გლახთა სასარგებლო წერილები ებეჭდათ გაზეთში ან ცალკე წიგნებად“<sup>1</sup>. მ. ჯანაშვილის სიტყვით, ამ წრემ დასახული მიზნების შესაბამისად გადაწყვიტა ახალი ხალხური სამწერლობო ენის შემოღებაც.

წრის შემადგენლობაზე მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს ფოტოსურათი, რომელსაც პირველად ვაქვეყნებთ. იგი გადაღებულია 1858 წ. „ცისკრის“ რედაქციაში. ივ. კერესელიძესთან ერთად აქ ვხედავთ დ. ჭონქაძეს, ალ. ჩიქოვანს, გრ. რჩეულიშვილს, ლ. არდაზიანსა და სხვ.

ივ. კერესელიძისა და მისი თანამებრძოლების პროგრესული საქმიანობა კარგად იყო ცნობილი თბილისში მცხოვრებ მოწინავე რუს მოღვაწეთათვის.

მოვიტანთ მხოლოდ ერთ მაგალითს. 1859 წელს ივ. კერესელიძემ ვერ შეძლო სტამბის ღირებულების დარჩენილი 300 მანეთის დროულად გადახდა და სტამბა დახურეს. ქურნალის გამოცემა შეფერხდა. „მე აქეთ-იქით მივაწყდი, — გადმოგვცემს ივანე კერესელიძე, — მაგრამ ვერსაიდან რა ვიშოვნე, ხელისმომწერთაგან ხომ ფულის აღება ადვილად არ შეიძლებოდა, რადგან ზოგი ხელისმომწერი „ცისკრის“ ფულში

<sup>1</sup> ნაშრომი, 1907.

ფქვილს, ხორბალს, ღვინოს, შეშას, ნახშირს და ამგვარებს იძლეოდნენ. ზოგი ცხვარს, თხას, ქათმებს გზავნიდნენ, ზოგი ძროხას. მე დიდათ დაღონებული ვიყავი და არ ვიცოდი, რა უნდა მომეხერხებინა. დღე დაღამდა და არსაიდან რა ხსნა იქმნა. ღამის 10 საათი იქნებოდა, ვილაცამ კარის ზარი დარეკა, მე კარი გავაღე; ერთმა კაცმა წერილი მომცა. მომტანს ვკითხე, ვისგან არის ეს წერილი, მან გვარი მითხრა. მე შინ შეველ, ის კაცი მაშინვე წასულიყო, მე გავხსენ წერილი, შიგ 300 მან. იღო და მასთან წერილი ასეთის შინაარსის, რუსულად დაწერილი: „ძმაო ივან ივანიჩ! ამ დღეებში მე თქვენ განახეთ და შეგატყვევთ, რომ... ძლიერ დარდიანად იყავით, რადგანაც თქვენი ერთადერთი ჟურნალი „ცისკარი“ შეუძლებლობის გამო დახურულა. ასეთ საქმეს მე პატივს ვცემ, ვაფასებ, რომ თქვენ ქართველთათვის ჟურნალი დააარსეთ, მე უკანონოთ მიმაჩნია მისი შეჩერება, მე თანავუგრძნობ მის არსებობას, ამიტომ გიგზავნით 300 მანეთს, გარდაეცით... და მით დაიხსენით სტამბა და „ცისკარის“ ბეჭდვაც განაგრძეთ; რაც შეეხება 300 მანეთს, ეს თქვენ გარდამიხადეთ ისე, როგორც შეიძლოთ. თქვენი საქმის პატივისმცემელი შესტაკოვი“<sup>1</sup>.

თბილისის გიმნაზიის მასწავლებლის ივანე ანდრიას ძე შესტაკოვის ამ ძმურ დახმარებას ქართული ლიტერატურის მოყვარულთა წრეში დიდი აღფრთოვანება გამოუწვევია როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, ივ. შესტაკოვი ხელისუფლებას მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამავე გიმნაზიის იმ პედაგოგებთან, რომლებიც „კოლოკოლის“ გავრცელებაში მონაწილეობდნენ.

მოწინავე ინტელიგენცია დიდ იმედს ამყარებდა „ცისკარზე“. პ. უმიკაშვილი 1872 წ. წერდა: „ცისკარის“ გამოსვლა ჩვენის ლიტერატურის ბნელს ცაზე მართლა დილის წინამორბედს ცისკარის ვარსკვლავსა ჰგავდა. მუდამ თვე თითო დაბეჭდილის წიგნის განოსვლა ისეთს იშვიათს საქმეს შეადგენდა, რომ აქამდის არავის ენახა. ყველა — მოხუცებული და ყმაწვილი, კაცი და დედაკაცი, ამ გარემოებით აღტაცებული,

უგზავნიდა ერისთავს და კერესელიძეს ლექსად და პროზად ნაწერს შესხმასა და ქებასა. ეს კაცები უუსაკვირველეს კაცებად მიაჩნდათ... აქეზებდნენ, ამხნეებდნენ და ძმობრივის და თანამემამულის სიყვარულს უცხადებდნენ... ეს საკვირვლად არ უნდა მიგვაჩნდეს... აქამდისინ დაფანტული თხზულებები მწერლებისა მკითხველს დაბეჭდილი წარმოუდგა თვალწინა, ერთად, შეგროვილი თითო წიგნში. ძველს საყვარელს თხზულებებს აქ ხედავდნენ დაბეჭდილს და აღტაცებით უყურებდნენ... ამგვარად მოხდა ბეჭდვითი დაახლოება მწერლებისა, რომელნიც აქამდინ გაფანტულნი იყვნენ. ამავე ბეჭდვის მადლით მკითხველიც მწერლებს დაუახლოვდა“<sup>1</sup>.

ჟურნალის დაცვისა და გაუმჯობესების საკითხებზე ივ. კერესელიძე დროდადრო კრებებსაც იწვევდა, აცნობდა თანამგრძნობებს თავის მუშაობას და მათთან ერთად სახაჟდა საჭირო ღონისძიებებს.

ქართული ლიტერატურის მოყვარულთ რედაქცია მოუწოდებდა უფრო აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ასეთი კრებების ორგანიზაციაში. ერთგან ვკითხულობთ: „ვინც გამოჩენით იციან ქართული ენა, ხანდისხან შეიყარნენ ქართულის სიტყვიერების განსჯისა და იმის წარმატებისათვის. ეს იქნება კარგი შექცევა და სასარგებლო ჩვენი „ცისკრისა“<sup>2</sup>.

მაგრამ უდავოა, რომ ქართული ლიტერატურის მოყვარულთა წრის საქმიანობას არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი. წრის წევრები სუსტად მონაწილეობდნენ ჟურნალის მუშაობაში. მართებული იქნება, თუ ვიტყვი, რომ ეს იყო შეერთებული ლიტერატურული შრომის ჩანასახი.

„ცისკრის“ მენარჩუნებისათვის ბრძოლამ ივ. კერესელიძეს დაანახვა საზოგადოებრივი ცხოვრების მახინჯი მხარეები. „მაღალ ხარისხზე მყოფი გულგაციებული თანამემამულეების“ ვერაგობით სასოწარკვეთილ რედაქტორს მტკვარში თავის დახრჩობაც გადაუწყვეტია. მივიჩქაროდი მეტეხის ხიდისკენ და დაპაღუპით ჩამომდიოდა ცრემლებით.

<sup>1</sup> „კრებული“, 1872, 8 — 9.

<sup>2</sup> „ცისკარი“. 1860. ივნისი.

მაგრამ... „ამ სიარულში, — წერს ივ. კერესელიძე, — ჩემის გულის სასიამოვნოს შევეფეთე. ვნახე უცებ, ზის ერთის დუქნის კარზედ ხაბაზი, უბრალო ხაბაზი, უძევს მუხლზედ ცისკარი მეთერთმეტე ნუმერი, კითხულობს სალაყბო ფურცელს მაღლივ ხმით, თანახმა უხდება ყოველში მოლაყბეს და წინააღმდეგ სიტყვებით ლაპარაკობს ქართველებზე, თან ამას იძახის. „ახ, ნეტამც შეძლება მქონდეს ვიყიდო ამის თანა წიგნებიო! ეს არაფერი, შემოხვევიაან გარშემო დუქნის მეზობელი და უნდა ნახოთ, თუ რა სასოებით უგდებენ ყურსა, რიგისჯის, რიგითავის აზრს ამბობს, რიგი ყვირის და იმეორებს წარკითხულს... რამწამს ეს ვნახე წაცდენით მომივიდა, თუ მეტი სიხარულით, ისე დავიყვირე, რომ გამვლელ-გამომვლელნი შედგნენ...“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ამ შემთხვევით აღტაცებული „ცისკრის“ რედაქტორი ასკვნის: „მაღლობა შენ, ღმერთო, თავი არ დამირჩიამეთქი...“ ...ახლა კი იმედი მაქვს, რომ თავის დროზედ ჩვენი ლიტერატურაც შეიქმნება ღირსი ყურადღებისა“<sup>1</sup>. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ამრიგად, ჯერ კიდევ 1858 წელს, ივანე კერესელიძემ დაინახა იმდროინდელი ქართველი მუშა — „უბრალო ხაბაზი“, შეამჩნია მის გარშემო შეკრებილი თანამოძმენი, რომლებიც ქუჩაში სახალხოდ მსჯელობდნენ ქვეყნის საჭიროებოტო საკითხებზე. ესეც უდავოდ ახალი მოვლენა იყო ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

„ბრწყინვალე წოდებას“ ივ. კერესელიძე ნიშნის მიგებით მიუთითებს უბრალო ხაბაზის მაგალითზე და სარკასტულად შენიშნავს: „...მხოლოდ თქვენ, მაღალ საზოგადოებისანო, სუინებებთ გაუშვათ თქვენი ენა უყურადღებოთ, წუ ვიძახით ამას: რა საჭიროა, რათ გვიჩნდა, რომ აღარავინ კითხულობს,

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1858, მარტა.

რომ აღარავის უნდა „ცისკარი“. ნუ იტყვით ამ ცრუ სიტყვებსა, მრავალს უნდა — უმეტესად მდაბიო ხალხს, ხედავთ ხაბაზებიც კი წახალისდნენ“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

უბრალო ადამიანების მხარდაჭერით წახალისებული რედაქტორი ამბობს: „ყოვლის ღონისძიებით დავადგინოთ იმ ხარისხზედ ჩვენი „ცისკარი“, რომლითაცა შეგვეძლოს დავარქვათ „ცისკარს“ განათებული დღე, ანუ ცხადი დღე. გავუთენოთ ღვთის გულსათვის დილა. ხედავთ ხაბაზები რა ებს სჩადიან? მე კიდევ იქა ვარ, — ხაბაზებთან, ხაბაზებთან, ხაბაზებთან...“<sup>1</sup>

იღუპრი თვალსაზრისის ხაზგასასმელად, 1858 წლის მარტის ფურცელში ივანე კერესელიძეს შეტანილი აქვს საგანგებო თავი: „მდაბიო ხალხისაგან „ცისკარის“ სიტყვარული“.

ივ. კერესელიძე ანგარიშს უწევდა უბრალო მკითხველის მოთხოვნილებებს — რა მოსწონდა, რა აინტერესებდა მას. იგი გადმოგვცემს: „აკაკის ლექსებმა პირველს დროიდანვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება... მისი ლექსი, როცა „ცისკარში“ იბეჭდებოდა, იმ ნომერს ყოველთვის უფრო მეტს ვბეჭდავდით... როცა მის ნაწერს მივიღებდო, მაშინ სიხარულით აღარ ვიცოდით რა მექნა, მიტომ, რომ ხალხში ძალიან კითხულობდნენ აკაკის ლექსებს“<sup>2</sup>.

ივ. კერესელიძის გულწრფელ მისწრაფებებს მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა. ერთ-ერთ ასეთ გადაულახავ დაბრკოლებას ცენზურა წარმოადგენდა.

საცენზურო კომიტეტში დასაბეჭდად წარდგენილი მასალები შესამოწმებლად ეგზავნებოდა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოსა და კეთილსაიმედოდ მიჩნეულ მოხელეებს. მაგალითად, კომიტეტის თავმჯდომარის ალექსანდრე პეტრეს ძე მაქსიმოვიჩის განკარგულებით, სამი ქართული პიესა

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1858, მარტი.

<sup>2</sup> ზ. კვიციანიძე, „აკ. წერეთელი“, 1897 წ.

საქართველოს ეგზარხოსს გადაეცა დასკვნისათვის. ცნობილია, რომ სინოდი ყველაზე მკაცრ ცენზორს წარმოადგენდა<sup>1</sup>. „ცისკარში“ დასაბუქდი ნაწერები დასკვნისათვის ეგზავნებოდა აგრეთვე რეაქციონერ მოხელეებს, როგორც იყო, მაგალითად, იაკინთე მესხიშვილი და სხვანი.

„ცისკრის“ ცენზორობა მხოლოდ ერთ მოხელეს ჰქონდა მინდობილი, ამიტომ მისი ავადმყოფობის, გარდაცვალებისა ან რაიმე მიზეზით ადგილზე არ ყოფნისას „ცისკრის“ გამოსვლა თვეობით ბრკოლდებოდა.

„ცისკრის“ ფურცლებზე ვხვდებით წერილებს, რომლებშიც რედაქცია და ჟურნალის თანაშრომლები გაბედულად თავს ესხმიან თავისუფალი სიტყვის ჭალათებს.

ერთ-ერთ „სალაყბო ფურცელში“ ცენზურის წინააღმდეგ ამხედრებული ივ. კერესელიძე წერს: „...ფუ, შეგარცხვინა ღმერთმა, ჩემო თავო, რაებს ბოღამ? ნუ გადადიხარ გონიერების სამზღვარს. ხომ იცი კარგად, რა წარმოსდგება მაგ ბოღვისაგან. სუს! ეს რაღა ამბავია? ხმა გაიკმოდო, სწორე არა თქვა რაო,— ჩემი თავი თვითონ მევე მიბრძანებს. მეტი რა გზაა, გონიერს პირუტყვს უგუნურს პირუტყვად მაქცევს დროება. რა გაეწყობა (ხაზი ჩვენია. ა. კ.) ...არ იქნა, ვერ მოვიშორე ეს წყეული ბარგი, რომ ეგების სუბუქად, თავისუფლად მევლო და თავისუფლად დამემლერა თანხმობის დუღუკზედა. ...ოჰ რა მამულის სიყვარულის სიმღერებს დავმღერდი.. მაშინ ნახავდით, როგორ შევარყევდი თქვენის გრძნობის შინაგანს სიმს. (ხაზი ჩვენია. ა. კ.). — როდესაც ტყეში მგზავრი მიმავალობს, რაც უნდა ცუდის ხმის მქონებელი და უჯინშო კაცი იყოს, რომ ღრიალებს, იმ ღრიალში რათა ჰპოვებს რაღაც მიუწვდომელს სულის სიმშვიდეს, რათა? რათა და ამათ, რომ მაშინის სრული თავისუფალია, თავისუფლად წარმოსთქვამს, რაცა სურს (ხაზი ჩვენია. ა. კ.). აი, წაველი. რა ვქნა, რო-

<sup>1</sup> პ. გუგუშვილი. ქართული ჟურნალისტიკა. 1941. გვ. 292.

დესაც ამ აზრებს გამოვუდგები, თითქოს ქარი მაქვსო სხეულში, ხელები მებმინან, აღარ მოქმედებენ, თითქოს შეკრული მაქვსო. მაშ, ნუ დამემდურები თ!.. ჩემს ავადმყოფობას დაემდურენით, რომ კარგს საგანზე დევრა მოგახსენოთ რა. რა ვქნა, სწეული ვარ, წყეულს შინაგანს თვისებასაჰკითხეთ. ესე იგი სწეულებას, რომლითაც შეკრული ვარ; მაგრამ ესეც კი უნდა მოგახსენოთ, ჰაქიმმაც (ცენზორმა ა. კ.) აღმიკრძალა: როდესაც ამგვარებს გამოუდგები, სწეულება გაგიახლდება და ამგვარ სწეულებას ტანჯვითი სიკვდილი მოსდევსო... (ხაზი ჩვენია. ა. კ.). მაშ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ საყვარელნო ქართველებო. იქამდინ, ვიდრე მეორეს „ცისკრის“ წიგნში მნახავდეთ. იქ ბევრი რამ უნდა მოგახსენოთ, თუ მანამდინ ჩემმა სწეულებამ არ მისწრო და არ მომისოს სიკვდილის ცელი, რომელსაც ავერიდები“<sup>1</sup>. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

1863 წლის მაისის ნომერში დაბეჭდილი „შინაური მიმოხილვა“, რომელიც ივანე კერესელიძის კალაშს უნდა ეკუთვნოდეს, უმოწყალოდაა დაგლეჯილი ცენზორის მიერ; ავტორი ხან გადაკრული, ხან პირდაპირი გამოთქმებით დაუნდობლად ესხმის თავს „ტვინმეისტერს“. „ამ ცოტა ხანში,—წერს იგი,—ქალაქში ბევრი წესანიშნავი საქმეები მოხდა, რომლებზედაც ჩვენა გვსურდა მოლაპარაკება ჩვენს საყვარელ მკითხველთან, მაგრამ სადაც ათას სენთან კაცს ექიმიც იმისთანა შეხვდება. რომ ავადმყოფს სასარგებლო საქმელსაც აღუკრძალავს და ეუბნება, თუ არ აღასრულებ ჩენს ბრძანებასა, სიკვდილს ხელთ მიგცემო, იქ ავადმყოფი კრიჭაშეკრულია და სრული ექიმის მონაა...

ჩვენ ექიმებს თავი ვანებოთ; ჩვენ ექიმებზედ არ გვინდოდა ლაპარაკი, რა ჩვენი საქმეა, ჩვენი საქმე — სუ...“

შემდეგ ავტორს სურს შეეხოს სხვადასხვა აქტუალურ სა-

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1862, სექტემბერი.



კითხებს და ცენზურის წერტილებით სავსე წერილს ასე აგრო-  
ბელებს: „ბატონყმობის საქმეზედ რას ვიტყვი? ყველა ჩვენმა  
მკითხველმა კარგათ იცის ან დაწყობილება, ან წარმართულება  
ამ საქმისა; თუ ვიტყვით რასმე, ამაზედ უნდა ვსთქვათ და  
სხვა შემთხვევაში უნდა დავიდუმოთ... (ცენზურის წერტილე-  
ბი)... ჩვენში მაინც როგორღაც ისეა, რომ სასარგებლო რასმე  
ამბობდეთ, მტრობაში გართმევენ... სიმართლისას ხომ ნულარ-  
იტყვით: სიმართლის მთქმელი ცხადათ მკვლელათ და მო-  
სისხლეთ მიაჩნიათ... (ცენზურის წერტილები)... აქ შესანიშნა-  
ვი უნდა იყოს ჩვენი ვიგებისა და ტორების ბრძოლა... (ისევ  
ცენზურის წერტილები)... ვიგები დამარცხდნენ... (ცენზურა),  
... ეს ყოველთვის ასეა, სადაც ცარიელი სიტყვაა და არა  
საქმე... მაინც ესეც ძალიანი იყო ჩვენის საზოგადოებისაგან...“  
პირზე ხელაფარებული „ცისკრის“ რედაქტორი მხოლოდ ნა-  
წყვეტ-ნაწყვეტი წინადადებების ამოძახებასლა ახერხებს, მაგ-  
რამ ამ წინადადებებითაც შეიძლება გაგება, თუ რის თქმა უნდა  
მას და რა აზრების შემცველი ადგილები ამოუშლია ცენზორს.  
ავტორი ასე ამთავრებს ამ „შინაურ მიმოხილვას“:

„...ბარემ კიდევ ბევრი სათქმელი გვაქვს  
ჩვენს ვიგებსა და ტორებზედ, მაგრამ რა  
ვჭნათ (ცენზურის წერტილები) ყოველი მხრიდან  
გაბოჭილნი ვართ... (ცენზურის წერტილები) ...ჩვენ ამ  
საგანზედ (ბატონყმობაზე. ა. კ.) ბევრი რამ უნდა გვეთქვა, მაგ-  
რამ... ეპ მე და თქვენ ხომ ვიცნობთ ერთმანეთს, მკითხველო...  
ამ ბატონყმობის საქმეს თავი დავანებოთ ჩვენ, რაკი აქამდინ  
არა ვსთქვით რა, მინამ სათქმელი იყო, ახლაც არას ვიტყვით,  
როდესაც...“

„ცისკარი“ პირველი ქართული პერიოდული გამოცემა  
იყო, რომელიც თავგანწირული იბრძოდა ჯოჯოხეთური სა-  
ცენზურო პირობების წინააღმდეგ და ბეჭდვითი სიტყვის თა-  
ვისუფლებას მოითხოვდა. რედაქციამ კარგად იცოდა, რომ  
ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება საერთო პოლიტიკური თა-  
ვისუფლების შემადგენელი ნაწილია და მისი მოპოვება მხო-  
ლოდ ბრძოლით შეიძლება. „...ჩვენ გვინდა შევეხოთ  
აქლა სხვა საგანს, — წერს ის, — სხვა საგანსა

მეთქი. არა, თუკი იმაზედ ვერას ვიტყოდით, სხვა საგანზედ, რომელზედაც ჩვენ გვინდა ლაპარაკი, ვინ რას გვათქმევინებს... ჩვენ ჯერ მაგ ღირსებადინ არ მივღწეულვართ, რომ ჩვენი აზრი საქვეყნოდ დაბეჭდვით, მტკიცედ დაგაბედვით წარმოვსთქვათ... (ცენზურა)... ჩვენ ვინ გვადირსებს მაგასა, ჯერ ერთი ესა, რომ მკლავი არ გვიჭრის და აქ უმთავრესი ეს არის“<sup>1</sup>.

მძიმე საცენზურო პირობებში ასეთი გაბედული პოლიტიკური შეხედულებების წამოყენება ივანე კერესელიძის, როგორც რედაქტორის, პრინციპულობისა და მებრძოლი განწყობილების აშკარა გამოხატულებაა.

„ცისკარს“ ბრძოლა უხდებოდა როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ ცენზურასთან, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. თავადაზნაურული არისტოკრატია ისეთი თხზულებების წინააღმდეგაც ილაშქრებდა, რომელთა დაბეჭდვა ოფიციალური ცენზურის მიერ ნებადართული იყო. მდამიო მკითხველს, რომელსაც ივ. კერესელიძე ყველაზე მეტ ანგარიშს უწევდა, არ შეეძლო ქარაგმული განოთქმების გაგება, „სტრიქონთა შორის“ აზრის ამოკითხვა. ამ სიძნელეების მიუხედავად, რედაქტორი მაინც ახერხებდა ჟურნალში პროგრესულ-დემოკრატიული აზრების გატარებას, ოფიციალური და საზოგადოებრივი ცენზურისათვის მიუღებელი ნაწარმოებების გამოქვეყნებას, რაც დიდ გამბედაობასთან ერთად, ნიჭსა და მოხერხებას მოითხოვდა, რადგან ილია ჭავჭავაძის სიტყვით რომ ვთქვათ, „ცენზორმა სუნის აღება იცოდა“.

ოფიციალური და საზოგადოებრივი ცენზურის „მოსაგერიებლად“ ივ. კერესელიძე მრავალგვარ საშუალებას მიმართავდა; ჟურნალში ერთდროულად ბეჭდავდა და ამით ფაქტიურად ერთმანეთს უპირისპირებდა რეაქციული და პროგრე-

<sup>1</sup> „ცისკარი“. 1863, მაისი.

სულ-დემოკრატიული მიმართულების თხზულებებს, რითაც ამ უკანასკნელთა გამოქვეყნებას ახერხებდა. პროგრესული აზრების შემცველ წერილებში ზოგჯერ „არაგულწრფელად იმოწმებდა“ მთავრობის ოფიციალურ დადგენილებებს; მთავრობისათვის იდეურად მიუღებელ ნაწარმოებებს აძლევდა მოჩვენებით სათაურებს, ზოგიერთ წერილს იწყებდა და ამთავრებდა „ხელმწიფის არაგულწრფელი ქებით“.

ცენზურის წინააღმდეგ მიმართულ ამ მასალებს „კოლოკოლის“ კვალი ამჩნევია. სიტყვის თავისუფლება გერცენის ორგანოს საპროგრამო მოთხოვნილება იყო. გაზეთის პირველსავე ნომერში გერცენი მოითხოვდა: „Освобождение слова от цензуры! Освобождение крестьян от помещиков! освобождение податного состояния от побоев!“.

ამავე გაზეთის ფურცლებზე იგი წერდა: „Открытая вольная речь—великое дело, без вольной речи—нет вольного человека. Не даром за нее люди дают жизнь, оставляют отечество, бросают достояние“.

ვფიქრობთ, ამ საბრძოლო სტატიების უშუალო გამოძახილი და თითქმის სიტყვასიტყვით გამეორებაა შემდეგი ადგილი ივ. კერესელიძის წერილიდან: „...გონიერს პირუტყვს უგუნურს პირუტყვად მაქცევს დროება... არ იქნა ვერ მოვიშორე ეს წყეული ბარგი, რომ ეგებას სუბუქად, თავისუფლად მევლო და თავისუფლად დამემღერა თანხმობის დუღუკზედა... ოჰ, რა მამულის საყვარელს სიმღერებს დავამღერებდი!.. როდესაც ტყეში მგზავრი მიმავალობს, რაც უნდა ცუდის ხმის მქონებელი და უჯინშო კაცი იყოს, რომ ღრიალებს, იმ ღრიალში რათა ჰპოვებს რაღაც მიუწვდომელს სულის სიმშვიდეს, რათა? რათა და იმათ, რომ მაშინ ის სრული თავისუფალია; თავისუფლად წარმოთქვამს, რაცა სურს“.

ასეთი პარალელების მოტანა მრავლად შეიძლება.

სადავო არაა, რომ მთავრობისათვის ხარკის გადაუხდელად იმ პირობებში პროგრესული ხასიათის წერილი ვერ დაიბეჭ-

დებოდა. რაც შეეხება პროგრესულ იდეებს, ისინი ყოველთვის გულწრფელად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მათი გამოთქმა არა მარტო ნებაყოფლობითი იყო, არამედ სარისკოც. რედაქტორს, რომელიც ასეთ ნაწარმოებებს ბეჭდავდა, შთავრობის წინაშე ავტორზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა.

## ივანე კერესელიძის სალაცხო ფურცლები

ასი წელი შესრულდა, რაც ჟურნალ „ცისკარში“ „მოლაცხის“ ხელმოწერით პირველი „სალაცხო ფურცლები“ გამოქვეყნდა, მაგრამ მათი ავტორის ვინაობა დღემდე ბურუსით იყო მოცული.

ქართულ ლიტერატურაში არც ერთ ფსევდონიმს არ გამოუწვევია ასეთი ცნობისმოყვარეობა და აზრთა სხვადასხვაობა; ამ ფსევდონიმის განსაკუთრებული საიდუმლოება ბევრისმეტყველია. იგი იმ დროზე მოგვითხრობს, როცა მძიმე დაბრკოლებებთან ბრძოლაში მკვიდრი საფუძველი ეყრებოდა ქართულ ჟურნალისტიკას, ქართულ რეალისტურ ლიტერატურას. მოლაცხე ამ ბრძოლის მედროშე იყო — რეალისტური კრიტიკისა და პუბლიცისტიკის მამამთავარი.

პირველი ექვი „სალაცხო ფურცლების“ ავტორის ვინაობაზე ჯერ კიდევ 1859 წელს გამოთქვა გაზეთ „კავკაზში“ ნ. ბერძნიშვილმა. მისი აზრით, „ცისკრის“ 1858 წლის იანვრისა და მარტის „სალაცხო ფურცლები“ ერთი და იგივე ავტორის ნაწარმოებია არ იყო. ნ. ბერძნიშვილი გაკვირვებული იყო მარტის „სალაცხო ფურცლის“ ქარაგმული გამოთქმებით, რომელთა მნიშვნელობა მან ვერ გაიგო.

ამის შემდეგ მოლაცხის ვინაობის დადგენა ქართული

ლიტერატურის ბევრმა მკვლევარმა სცადა. კამათი დღესაც გრძელდება, რადგან საკითხი საბოლოოდ გადაჭრილი არ არის.

ამ საკითხის სამართლიან გადაწყვეტას პრინციპული მნიშვნელობა აქვს 50—60-იანი წლებში ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლისათვის. „Без истории предмета нет теории предмета— аңбоზს ნ. გ. ჩერნიშევსკი, —нет даже мысли о его истории, потому, что нет понятия о предмете, его значении и границах“.

მოლაყბის ვინაობის დასადგენად გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკითხის ისტორიის სწორად გაშუქებას. მკვლევართა შეცდომა სწორედ საკითხის ისტორიის შეუსწავლელობით იყო გამოწვეული. ერთადერთ საბუთად მიჩნეული იყო გ. სულხანიშვილის განცხადება, მაშინ როცა ამ განცხადებით არც დაწყებულა და არც დამთავრებულა მოლაყბის ირგვლივ გაჩაღებული კამათი.

„სალაყბო ფურცლების“ ავტორის ვინაობის საკითხი პრინციპულად 1863 წელს წამოიჭრა ჟურნალ „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეს“ შორის გამწვავებული პოლემიკის დროს.

პოლემიკა მოლაყბის გარშემო გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომ „საქართველოს მოამბის“ მაისის წიგნში გ. წერეთელი თავს დაესხა მოლაყბის 1862 წლის ოქტომბრის „სალაყბო ფურცელს“ და გამოამყლავნა, რომ „სალაყბო ფურცლების“ ავტორი „ცისკარის“ რედაქტორი ივ. კერესელიძე იყო.

„ცისკარის“ 1863 წლის ივლისის ნომერში ქერელი ბექა (ანტონ ფურცელაძე), უპასუხებდა რა გ. წერეთლის კრიტიკულ შენიშვნას მოლაყბის შესახებ, წერდა: „ერთ ალაგას „მოამბე“ უხირდება მოლაყბესა, რომ მწერალი მამა კი არ არის, შეილიაო ხალხსა. ბრავო, „მოამბეც“ — გამოიცან! გამოცანაც გერგება, მაგრამ მეტს კი ვერ იფიქრებდა „მოამბე“ ...ვსთქვათ მოლაყბე შესცადა, მაგრამ „მოამბე“ ველარ არის წყალობის თვალთ მოლაყბეზედ, რადგანაც თანამშრომელია „ცისკარისა“, რომელსაც სდევნის ყოვლის მცადინეობით. ერთს დროს თითონ ილია ჭავჭავაძე სხვა ფრივ გა-

იძახოდან ამ ლიტერატორზედ“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ქერელი ბექას კრიტიკულ წერილს ამ ადგილზე ივ. კერესელიძემ შემდეგი შენიშვნა დაურთო: „ცისკარის“ რედაქცია საქართველოს დაბეჭდოს ამ სხოლოში თ. ილია ჭავჭავაძისაგან მოწერილი წიგნი მოლაყბის შესახებ, დასამტკიცებლად ამის, რომ უფ. „მოამბის“ რედაქტორი არა სდგას არასოდეს ერთს აზრზედ. აი, რასა სწერს: „ამას წინათ მგონია შენი სტატიები იყო „ცისკარში“ და მოლაყბედ აცხადებდი შენ თავს. შენ იყავ თუ სხვა, პირფერობით არ ვიტყვი, კარგი რამ იყო. რაც კი შეეხება ენას, სწორედ ფენომენი იყო ჩვენს გორიზონტზედ; ჰაზრითაც არ იყო დასაწუნი. დასაწუნი მეთქი? დასაწუნი კი არა, ძლიერ მოსაწონიც იყო. რა მახვილათ დაეცამოლაყბექართველობას, რაკარგად იწყოქართველის უბედურებაზე დაცინება დარალამაზქართულ ჯარაზედ დართულ სიტყვებით ტიტინებდა (ხაზი ჩვენია. ა. კ.). რა სიხარბით ვკითხულობდით მარტივ სიტყვასა კარგის გულიდამ გამოსულს! უნდა გენახა, რა სიჩქარით გადადიოდა ხელიდამ ხელში ის ბედნიერი „ცისკარის“ ნომრები, სადაც მოლაყბის ფურცლები ბრწყინავდნენ სხვათა შორის“.

როგორც აღვნიშნეთ, ივ. კერესელიძის მიერ „ცისკარში“ ამ ბარათის გამოქვეყნება ფაქტიურად წარმოადგენდა პასუხს „საქართველოს მოამბის“ იმ თანამშრომელთაღმე, რომლებმაც, ჯერ კიდევ ი. კერესელიძისა და გაბრ. სულხანიშვილის წერილების დაბეჭდვამდე, სახელდობრ მაშინ, როცა მათთვის ამჟამად შეიქნა, რომ „მოლაყბე“ ივ. კერესელიძის ფსევდონიმი იყო, ხმა გაავრცელეს, პირველი „სალაყბო ფურცლები“ ამ „მოლაყბეს“ (ე. ი. კერესელიძეს) არ ეკუთვნისო. ჩვენ მხედველობაში გვაქვს „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის მაისის წიგნში გამოქვეყნებული გ. წერეთლის წერილი „ცისკარს რა აკაკანებდა“, რომელშიაც ავტორი, მიმართავს რა კერესელიძეს, წერს: „...იმას თუ იტყვი, რომ ზოგიერთი ჩვენის ცხოვრების უმსგავსო ფაქტი, რომელიც თავის უმსგავსოებით ყველას თვალში ეჩხირებოდა, შეგიტა-

ნია სალაცხო ფურცელში, როგორც მექრონიკეს — ეს კი-  
დედ დიდი საქადული არ არის, ხამეტხავეად,  
როცა სევიტყვეთ, რომ იმის შემტანიც შენ  
არა ყოფილხარ“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ქერელმა ბექამ (ანტ. ფურცელაძემ) გ. წერეთლის სწორედ  
ეს წერილი გააკრიტიკა „ცისკარში“; ამასთან დაკავშორებით,  
ივ. კერესელიძემ, დასამტკიცებლად იმისა, რომ გ. წერეთლის  
სიტყვები: „იმის შემტანიც შენ არ ყოფილხარო“, — უსამარ-  
თლო და არასწორი იყო, — ისარგებლა შემთხვევით და ილია  
ქავჭავაძის წერილიც გამოაქვეყნა. ეს იყო არა მარტო პასუხი  
„საქართველოს მოამბის“ ბრალდებაზე, არამედ მაგარი სილა-  
ც იმ პირისათვის, რომელსაც შეეძლო „საქართველოს მოამბის“  
რედაქციისათვის ასეთი არასწორი ცნობა მიეწოდებინა.

ივანე კერესელიძის ეს შენიშვნა „საქართველოს მოამბემ“  
უყურადღებოდ არ დატოვა. ჟურნალმა „ცისკარის“ საპასუხოდ  
გამოაქვეყნა გაბრიელ სულხანიშვილის შემდეგი წერილი:  
„უფ. „ცისკარის“ რედაქტორო, ეგ წიგნი ჩვენთან იყო მოწერი-  
ლი და თქვენ რა უფლება გაქვთ, რომ სხვის გან-  
დასხვასთან მოწერილს წიგნსა დაუკითხა-  
ვათა ჰბეჭდავთ? ჯერ თქვენ თანაც რომ ყოფი-  
ლიყო მოწერილი, მაშინაც ზრდილობა და  
მართებულობა ნებას არ მოგცემდათ დამწე-  
რის დაუკითხავად დაგებეჭდათ. (ხაზი ჩვე-  
ნია. ა. კ.). ძალიან ცუდი ჩვეულება გქონიათ, თუ როცა გაგი-  
კირდებათ ხოლმე, მაგვარ უმართებულო საქმეს იღენთ. მაგ  
წიგნით უნდა გეჩვენებინათ, რომ ქავჭავაძე ერთ აზრზედ არა  
დგასო, რადგანაც მაშინ მოლაყბეს აქებდაო და ესლა კი ამა-  
გებსო. მაგ წიგნის თარიღი რომ გამოგეცხადებინათ, მაშინ  
თქვენი ცილის შეწამება თავის თავად დაირღვევოდა, ამას მიმ-  
ხვდარხართ, რომ თარიღი წიგნთან არ დაგიბეჭდიათ. თქვენ  
ძალიან კარგად იცით, რომ მოლაყბის სახე-  
ლითა ბევრი სხვადასხვა კაცი ჰსწერდა  
თქვენს ცისკარში. ისიც კარგად იცით,  
რომ პირველი ორი სტატია, ერთი მგო-  
ნია 1857 წლის დეკემბრისა და მეორე 1853



წლის იანვრის „ცისკარში“ მოლაყბის სახელით რომ დაიბეჭდა, ასეთი კარგნი იყვნენ, რომ მრავალნი მზადენი გააჩინეს და იმ მიმზადებმა მოლაყბის სახელით დაიწყეს წერა. იმათში მგონი თითონ თქვენც ერიენით, მაგრამ ეს მიმზადენი იმ პირველ მოლაყბესთან გროშად არ ღირდენ, რომელმაც იმ ორ სტატიის შემდეგ ერთი სტრიქონიც აღარ აღირსა თქვენს ცისკარსა (ხაზი ჩვენია. ა. კ.) უფ. ჰავჭავაძე იმ პირველს, იმ ორ (ხაზი ჩვენია. ა. კ.) სტატიის დამწერს აქებს მაგ წიგნით, რომელსაც თქვენ და თქვენი რაზმი ისე უხეიროდ ჰმზადდა (ხაზი ჩვენია. ა. კ.) და ვერ მიჰბაძა კი.

ამას თითონ წიგნის თარიღი დაგიმტკიცებთ. ეგ წიგნი პეტერბურგიდამ მგონი თებერვალში, თუ მარტში არის მოწერილი, 1858 წლისას. მაგ დრომდინ იმ ორ სტატიის დამწერის გარდა სხვა არავინ იყო „მოლაყბე“, მაშასადამე, ეგ ქება მარტო იმას მიეწერება (ხაზი ჩვენია. ა. კ.). ის მართლად საქებიც იყო; სხვანი კი, რომელთ შორისაც მგონი თქვენც ბრძანდებით, და რომელნიც მის შემდეგ ჰსწერდნენ მოლაყბის სახელითა, ღმერთმა შეინახოს. და თუ უფ. ჰავჭავაძეც აძაგებს ეხლა—იმ პირველი მოლაყბის უხეირო მზადეთა ღირსად აძაგებს. აქედამ ის კი არ გამოდის, რომ ჰავჭავაძე ერთს აზრზედ არა დგას, არამედ ის გამოდის, რომ ჰავჭავაძე, პირველ მოლაყბის სახელით არ მოტყუებულა და ყალბი წმინდა ვერცხლად არ მიუღია. თუ იმ პირველი მოლაყბის ორ სტატიას, რომელსაც წიგნის თარიღით მიეწერება ქება და რომელიც მართლად ღირსია ქებისა — თქვენგანი დაიჩემებს ვინმე, ამაშიაც საქვეყნოდ გაგამხილებთ, რადგანც იმ მოლაყბის სახელი და გვარი ვიცით და ამჟამად კინება არა გვაქვს, რომ გამოვაცხადოთ და თუ ძალას დაგვატანთ, იმასაც გამოვაცხადებთ“<sup>1</sup> (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

<sup>1</sup> საქართველოს შოამბე, 1863, № 7.

გაბრიელ სულხანიშვილის ეს განცხადება დაედო თითქმის ერთადერთ საფუძვლად მოლაყბის ფსევდონიმის გარკვევას. ა. ხახანაშვილი, გ. თუმანიშვილი, არ. ჯორჯაძე, ს. ხუნდაძე, პ. გუგუშვილი და სხვა მკვლევარები პირველი საპი (გაბ. სულხანიშვილის ცნობით ორი) „ფურცლის“ ავტორად თვლიან მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილს, ხოლო შემდეგი „სალაყბო ფურცლების“ ავტორებად — გაბრიელ სულხანიშვილს, ლავრ. არდაზიანს, გრ. რჩეულიშვილსა და ივანე კერესელიძეს.

ვიმეორებთ, რომ ეს მკვლევარები თავიანთ პრინციპულ დასკვნას ამყარებენ მხოლოდ გაბრიელ სულხანიშვილის ცნობებზე, ე. ი. იმ აღამიანის სიტყვებზე, რომელსაც არასოდეს კავშირი არ ჰქონია „ცისკართან“ და სრულიად ბრმა შემთხვევის წყალობით გახდა ამ პოლემიკის მონაწილე.

გაბრიელ სულხანიშვილის განცხადება მწვავე პოლემიკური ტონითაა დაწერილი. ავტორი ჭიუტად ცდილობს უარყოს საზოგადოებაში მტკიცედ დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, რომ „მოლაყბე“ ივ. კერესელიძის ფსევდონიმია. მიუხედავად მწვავე პაექრობისა, გაბრიელ სულხანიშვილი მის მიერ „პირველ მოლაყბედ“ წოდებულ პირს გადაწყვეტილად მხოლოდ ერთი „სალაყბო ფურცლის“ (1858 წ. იანვრის) ავტორად თვლის, ხოლო, იძულებულია რა ანგარიში გაუწიოს იმ დროს ამ საკითხზე გავრცელებულ აზრს, „სალაყბო ფურცლების“ ავტორად ცნობს ივანე კერესელიძესაც, — კერძოდ, მკაფიოდ ჩანს, რომ „საქართველოს მოაპბის“ მიერ გაკრიტიკებული „სალაყბო ფურცლის“ ავტორად მას სწორედ ივ. კერესელიძე მიაჩნია.

პოლემიკის პროცესში მოლაყბის შესახებ ორივე მხარის მიერ გამოთქმული მოსაზრებების დაკვირვებულ შესწავლას საყურადღებო დასკვნამდე მივყავართ: პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ილია ჭავჭავაძე აღაფრთოვანა „ცისკარში“ გამოქვეყნებულმა „სალაყბო ფურცლებმა“, ვინაიდან არ იცოდა ვინ იყო „სალაყბო ფურცლების“ ავტორი, თავისი აღტაცება გ. სულხანიშვილს გაუზიარა. გაბრიელ სულხანიშვილს უურნალ „ცისკართან“ და „სალაყბო ფურცლებთან“ დამოკი-

დებულება არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა სკოდნოდა, ვინ იყო „მოლაყბე“, ამიტომ ილია ჭავჭავაძისაგან მიღებული წერილი მან მიუტანა „ცისკრის“ რედაქტორ ივ. კერესელიძეს ადრესატისათვის გადასაცემად. ხუთი წლის შემდეგ ილია ჭავჭავაძის წერილი „ცისკრის“ რედაქტორის ხელში აღმოჩნდა, რადგან წერილის ნამდვილი ადრესატი სწორედ ის იყო. დასამტკიცებლად იმისა, რომ თვითონ იყო პირველი „სალაყბო ფურცლების“ ავტორი და ილიას წერილიც მას შეეხებოდა, ცხარე პოლემიკის დროს ივ. კერესელიძემ გამოაქვეყნა ეს ბარათი, როგორც თავდასაცავი საბუთი. დავსძენთ, რომ ეს ფაქტიც თავისთავად ივ. კერესელიძის ავტორობის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დადასტურებაა.

**მოლაყბემ უარყო გაბრ. სულხანიშვილის წერილი** გაბრიელ სულხანიშვილმა პირადად „ცისკრის“ რედაქტორს ივ. კერესელიძეს მძიმე ბრალდება წაუყენა — „სხვის მიერ სხვასთან მიწერილი წერილის“ ადრესატისათვის გადაუცემლობა და უნებართვოდ მისი გამოქვეყნება. ეს მით უფრო დიდ ბრალდებად უნდა მივიჩნიოთ, რომ ის პირი, რომელსაც გაბრ. სულხანიშვილი პირველი „სალაყბო ფურცლების“ ავტორად თვლიდა (მის. თუმანიშვილი), კერესელიძის მიერ „ცისკრის“ მტრად იყო გამოცხადებული. ასეთ ვითარებაში ლოგიკური იქნებოდა, რომ „საქართველოს მოამბეს“ გამოექვეყნებინა მის. თუმანიშვილის საპროტესტო წერილი, ან თვით „ცისკრის“ რედაქტორს მხოვხადა ბოდიში სალიტერატურო ეთიკის ელემენტარული ნორმების დარღვევისათვის, — უკიდურეს შემთხვევაში — გაჩუქებულიყო და უყურადღებოდ დაეტოვებინა სასტიკი ბრალდება. მით უმეტეს, რომ გ. სულხანიშვილი იმუქრებოდა: „თუ თქვენთან განი დაიჩემებს ვინმე (პირველ მოლაყბეობას. ა. კ.) ამ აშინაც საქვეყნოდ გაგამხილებთ, რადგანაც იმ მოლაყბის სახელი და გვარი ვიცით... და თუ ძალას და გვატანთ, იმასაც გამოვაცხადებთო“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.). არც ერთი ვარაუდი არ გამართლდა. მუქარამ ივ. კერესელიძე ვერ შეაშინა. იმავე „მოლაყბემ“, ე. ი.

ივანე კერესელიძემ „ცისკრის“ ნომბრის ნომერში მკაცრი პასუხი გასცა გაბრიელ სულხანიშვილს. საკვირველია, რომ ის მკვლევარები, რომლებიც გაბრიელ სულხანიშვილის ყურმოკრულ ცნობას ამ საკითხის გადაჭრის საფუძვლად აღიარებენ, არაერთაზრ ანგარიშს არ უწევენ და სრულებით არ ახსენებენ თვით მოლაყბის (ამ შემთხვევაში „ცისკრის“ რედაქციის) ავტორიტეტულ პასუხს. ვინაიდან ეს მასალა მივიწყებულია, ჩვენ მას ვრცლად მოვიტანთ: „ახლა იტყვიან ჩვენი საყვარელი ქართველები, — მოლაყბე გააჯერეს და ძლივს ერთი ხმა ამოაღებინესო. არასოდეს! არასოდეს არ იფიქროთ, რომ ამ საგანზედ გაჯერებული ვიღებდე კალაშს ხელში... ათასჯერ არა! ან თუნდა ამის მიზეზით ავიღო კალამი ხელში, ვის უნდა გავეპასუხოთ? ვის უნდა ველაპარაკოთ? ვის უნდა გავაგებინოთ რამე? ერთს ვიდასაც თერგდალეულს, რომელსაც არც კარგი ესმის და არც ავი? ან უფ. სულხანოვს, ანუ ჩვენებურად სულხანიშვილს, რომელსაც მოლაყბე მრავალპიროვანი ვგონივარ და ერთს პირს კი შეიცავს ჩემი მაღალ ღირსება?.. ის კი აღარ მოუფიქრებია... რომ საღმრთო წერილის დიდი წინააღმდეგი ჰაზრი და ფრიად მომაკვდინებელი ცოდვაა, — ერთი პირი რომ სამპიროვნად გაშოჰყავდეს. ეს მხოლოდ ღმერთს მიეწერება, დაუსაბამო ღმერთს და არა ჩემისთანა მომაკვდავს, ცოდვილს კაცს; მე ყოვლად უბედური და საზოგადოებისაგან განდევნილი ერთი პირი ვყოფილვარ, ვარდა ვიქნებისა ფლავისკარებამდი, სადაცა თვითონ გაბრიელსაც მოელის ის ხვედრი. მაშ, არცსიცრუე უნდა ვთქვა ამ სიცოცხლის ფიალის დასრულების თვალწინ წარმომდგენმა. კიდევ მოგახსენებთ, საყვარელო ქართველებო, რომ არა! მილიონჯერ არა! არა!...“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

სულხანიშვილის ყალბი ცნობების გასაბათილებლად, ამ „სალაყბო ფურცელს“ კერესელიძე კატეგორიული განცხადებით ამთავრებს: „ამ აზრად შემდგომ ნომერში მოვილაპარაკებთ თქვენთან, საყვარელ ნოქართველებო, მხოლოდ ჩამომახსენით კისულხანოვებისთანაკაცები და ცილსნუმწამებენ, ვითომც ორ-სამ პიროვანი ვიყო, უკაცრაოთ!.. დაეხსენ — დარჩეს მოლაყბეთ — მოლაყბე“.

(ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ამ პასუხიდან ცხადად ჩანს, რომ: 1) სულხანიშვილს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს „ცისკართან“ (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არც სულხანიშვილს აქვს რაიმე პრეტენზია „მოლაყბის“ ფსევდონიმიზე; პირიქით, თავის წერილში იგი დაცინვით იხსენიებს იმ პირებს, რომლებიც „იმ პირველ მოლაყბესთან გროშად არ ღირდნენ“), 2) რომ „მოლაყბე“ ერთი ავტორის ფსევდონიმია და ეს სწორედ ის პირია, რომელიც „საქართველოს მოაპბემ“ გააკრიტიკა (ე. ი. ივანე კერესელიძე). მაშასადამე, 3) „ცისკარის“ რედაქტორს უფლება ჰქონდა თავისად მიეჩნია და გამოეყვეყნებინა ილია ჭავჭავაძის მიერ „მოლაყბის“ სახელზე მოწერილი წერილი<sup>1</sup>.

დამახასიათებელია რომ „ცისკარის“ ასეთი დამაჯერებელი და ავტორიტეტული განცხადების შემდეგ საკითხი გადაწყვეტილად იქნა მიჩნეული და იმ პერიოდის პრესაში ამ თემაზე კამათი შეწყდა.

გაბრ. სულხანიშვილის მუქარა „თუ ძალას დაგვატანთ, იმ პირველი მოლაყბის გვარსაც გამოვაცხადებთო“, — აუსრულებელი დარჩა.

---

<sup>1</sup> „მოლაყბე“ რომ ნამდვილად ერთი ავტორის ფსევდონიმია და სხვას ამ ფსევდონიმის გამოყენება არ შეეძლო, იქიდანაც ჩანს, რომ „სალაყბო ფურცლებთან“ ნათესაობის მქონე დანარჩენ ავტორთა ნაწერები „ცისკარში“ სხვა ფსევდონიმებით იბეჭდებოდა („გარდანქვენილი“, „გ. ქართველი“, „თბილელი“, „მექორე“, „ბიძია თონიკე“ და ა. შ.).

„მოლაყბედ“ — ივ. კობრაძის რედაქციის იქნა აღიარებული რამდენიმე ხნის შემდეგ, სახელ-  
დობრ, 1871-1872 წ.წ. ერთის  
მხრივ, ანტ. ფურცელაძესა და,  
მეორეს მხრივ, გ. წერეთელსა და ნ.

ნიკოლაძეს შორის კვლავ განახლდა უაღრესად მწვავე პოლემიკა. აღსანიშნავია, რომ „მნათობში“, სადაც ანტ. ფურცელაძის პოლემიკური წერილები იბეჭდებოდა, უმთავრესად, „ცისკარის“ ყოფილი თანამშრომლები მოღვაწეობდნენ, ხოლო „კრებული“, სადაც გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის სტატიები ქვეყნდებოდა, „საქართველოს მოამბის“ ყოფილ თანამშრომელთა ხელში იყო. ამ ცხარე პოლემიკის დროს ნ. ნიკოლაძემ ბრალი დასდო ანტ. ფურცელაძეს, რომ 1863 წ. იგი „ცისკარში“ ივ. კერესელიძესთან თანამშრომლობდა<sup>1</sup>. იმავე წლის „მნათობში“ ანტ. ფურცელაძემ მკაცრად უპასუხა ნ. ნიკოლაძეს. თავის წერილში ის, სხვათა შორის, წერდა:

„ა რ ა ხ ლ ა ი მ ი ს ნ ი მ უ წ ი, რ ა ს ა ც ვ ა მ მ ო ბ დ ი მ ე  
მ ო ლ ა ყ ბ ე ზ ე დ, თ ვ ი თ ი მ მ ო ლ ა ყ ბ ე ზ ე დ, რ ო მ ე-  
ლი ც ი ყ ო ი ვ ა ნ ე კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე და რ ო მ ე ლ ს ა ც  
ის ე ა ქ ე ბ და თ ა ვ ის წ ი გ ნ ე ბ შ ი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა-  
ძ ე“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ანტ. ფურცელაძის ეს წერილი „კრებულმა“ უპასუხოდ არ დატოვა. ჟურნალს გაუკრიტიკებელი არ დარჩენია ფურცელაძის არც ერთი დებულება, მაგრამ „მოლაყბე“, რომ მხოლოდ ივ. კერესელიძის ფსევდონიმი იყო, საექვოდ აღარავის გაუხდია. პირიქით, ანტ. ფურცელაძის მოპაექრე ნ. ნიკოლაძემაც (მაშასადამე, „საქართველოს მოამბის“ ყოფილმა თანამშრომლებმაც), შემდეგში რამდენჯერმე განაცხადა, რომ „მოლაყბე“ მხოლოდ ივ. კერესელიძის ფსევდონიმი იყო.

ამრიგად, გ. სულხანიშვილის განცხადების უსაფუძვლობა 1863 წელსვე საყოველთაოდ აღიარებული იქნა და ორივე მხარე დარწმუნდა, რომ ილია ჭავჭავაძის წერილი ნამ-

<sup>1</sup> „კრებული“, 1872, №№ 10-12.

დვილად ივ. კერესელიძეს ეკუთვნოდა, რომ იგი იყო „სალაყ-  
ბო ფურცლების“ დამფუძნებელი.

ყოველივე ამის გამო ანტ. ფურცელაძის აღნიშნულ ცნო-  
ბას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ცნობილია,  
იმ დროს ცოცხალი იყვნენ მ. თუმანიშვილიც, გ. სულხანიშვი-  
ლიც და ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა სხვა პირი; ანტ.  
ფურცელაძის განცხადება, რომ ოდნავადაც საეჭვო ყოფილი-  
ყო, ისინი უპასუხებდნენ „კრებულის“ ან „დროების“ ფურც-  
ლებზე, მაგრამ ფიქრადაც აღარავის მოსვლია საყოველთაოდ  
აღიარებული ფაქტის უარყოფა.

როგორც ვხედავთ, მ. თუმანიშვილის სიცოცხლეში ორ-  
ჯერ 1863 და 1872 წლებში; კატეგორიულად იქნა აღიარე-  
ბული, რომ „მოლაყბე“ მხოლოდ ივ. კერესელიძის ფსევდო-  
ნიმი იყო, მაგრამ მ. თუმანიშვილს კრინტიც არ დაუძრავს.

ამასვე ამტკიცებს ერთი ადგილი ილ. ჭავჭავაძის „გამოცა-  
ნებიდან“, რომლებიც იმავე პერიოდშია დაწერელი. ამ ლექსში  
„სალაყბო ფურცლების“ ისტორიასთან დაკავშირებით ილია  
ჭავჭავაძე პლაგიატობას აბრალებს მ. თუმანიშვილს:

მის ჯურის ხალხს მწერლად მოსწონს  
ვერ კი შეუტყვეს მრუდობა,  
რომ სხვის წიგნიდამ ფრაზების  
იცის ცოტა რამ ქურდობა...

მაშასადამე, საკითხის ისტორია ცხადყოფს, რამდენად უსა-  
ფუძვლოა „მოლაყბის“ ფსევდონიმის გადსაწყვეტად გ. სულ-  
ხანიშვილის საყოველთაოდ უარყოფილი განცხადებისათვის  
ანგარიშის გაწევა.

გაბრიელ სულხანიშვილის წერილზე დაყრდნობით მკვლე-  
ვარებმა პირველი „სალაყბო ფურცლების“ ავტორად, ე. ი.  
ქართული ფელეტონისა და პუბლიცისტიკის მამამთავრად, მი-  
ხეილ თუმანიშვილი აღიარეს. ამასთანავე „ლოლიკურად განაე-  
რცეს“ გაბრ. სულხანიშვილის ისედაც მცდარი, პოლემიკური  
სიცხარით შეთხზული და საყოველთაოდ უარყოფილი ცნობა.  
პროფ. ს. ხუნდაძე ამის თაობაზე წერს: „გ. სულხანოვს თავის  
წერილში ნეცდომით აქვს მოხსენებული ორი წერილი (სიმარ-

თლე შროთხოვს ითქვას, რომ მიუხედავად მწვავე პოლემიკური ტონისა, გაბ. სულხანიშვილი გადაჭრით მხოლოდ ერთ წერილზე — 1858 წლის იანვრის სტატიაზე ლაპარაკობს. ვ. კ.). 1858 წლის თებერვლამდე დაბეჭდილი იყო სამი წერილი. მათი საერთო სათაურია „სალაყბო ფურცელი“<sup>1</sup>.

უკანასკნელ ხანებში „მოლაყბის“ ფსევდონიმის შესახებ საყურადღებო გამოკვლევა გამოაქვეყნა დ. გამეზარდაშვილმა<sup>2</sup>.

დ. გამეზარდაშვილმა დაამტკიცა, რომ 1858 წლის იანვრის „სალაყბო ფურცელი“ არ ეკუთვნის პირველი ორი „ფურცლის“ ავტორს, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხის მართებულად გადაჭრისათვის.

დ. გამეზარდაშვილი წერს: „1858 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში მოთავსებული „სალაყბო ფურცელი“ (ე. ი. მესამე წერილი) რომ მიხ. თუმანიშვილისა არაა, ეს ჩანს არა მარტო ენისა და სტილის ანალიზიდან, არამედ იმავე წლის „ცისკრის“ მესამე ნომერში გამოქვეყნებული მოლაყბის სტატიიდანაც“. ან კიდევ: „1858 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში კვლავ გამოქვეყნდა მოლაყბის სტატია, რომელსაც მკვლევართა უმეტესობა კვლავ მ. თუმანიშვილს მიაწერს, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი მას არ ეკუთვნის“. მნიშვნელოვანია დ. გამეზარდაშვილის შემდეგი დასკვნაც: „საეჭვოა, რომ „მოლაყბის“ ფსევდონიმს რამდენიმე პირი იყოს ამოფარებული. ჩვენი შეხედულებით ამ ფსევდონიმს, გარდა მ. თუმანიშვილისა, მხოლოდ ყურნალის რედაქტორი ი. კერესელიძე იყენებდა“.

ეს დებულებები წინადაგს აცლის მ. თუმანიშვილის ავტორობის მამტკიცებელთა პოზიციას; მკვლევარს მართლაც ეტყობა ერთგვარი დაეჭვება პირველი ორი წერილის ავტორის

<sup>1</sup> გ. წერეთელი, თხზ., ტ. I, ს. ხუნდაძის რედ. გვ. 426.

<sup>2</sup> ლიტერატურული გაზეთი, 1955, № 17; დ. გამეზარდაშვილი — ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, ნაწ. II, 1957 წ., ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია. I, 1956 წ.



ვინაობაზე, მაგრამ, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, იგი არ იცნობდა გაბრ. სულხანიშვილისადმი მოლაყბის საპასუხო წერილსა და ანტ. ფურცელაძის „მნათობის“ სტატიასაც კი. ამიტომ დამოუკიდებელი კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნების აქსიომად მიჩნეულ ვიცდარ შეხედულებასთან მოუკრებლობის გამო, დ. გამეზარდაშვილი ადვილად შესამჩნევ წინააღმდეგობაში ვარდება.

პირველი „სალაყბო ფურცელი“ 1857 წელს მიხ. თუმა- დაიბეჭდა „ცისკრის“ 1857 წლის ნიშვილი „ცისკარში“ ნოემბრის ნომერში, მეორე — დე- არ თანამშრომლობდა კემბრის ნომერში, ხოლო მესამე —

1858 წლის იანვრის ნომერში. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მტკიცედ დავადგინოთ, თანამშრომლობდა თუ არა 1857 წლის ნომერებსა და დეკემბერში მიხ. თუმანიშვილი „ცისკარში“ და ზუსტად განვსაზღვროთ, როდის გახდა იგი „ცისკრის“ თანამშრომელი.

1857 წლის განმავლობაში მიხ. თუმანიშვილი არავითარ მონაწილეობას არ იღებს „ცისკარში“. ამ ჟურნალში არ დაბეჭდილა მისი არც ერთი ნაწარმოები, არც გვარის მოწერით, არც ფსევდონიმით („თთ“ ან „თ“). მიხ. თუმანიშვილს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია „ცისკრის“ განახლებაში, იგი არც ერთხელ არ არის მოხსენიებული რედაქციის განცხადებებში.

მიხ. თუმანიშვილის გვარს „ცისკარზე“ ხელისმონწერთა სიაშიც ვერ ვხვდებით. შეუძლებელია ჟურნალის რედაქციას მაშინვე არ აღენიშნა და საზოგადოებისათვის არ ეცნობებინა, რომ მიხ. თუმანიშვილი ჟურნალის თანამშრომელი გახდა.

მართლაც, დაიწყო თუ არა მიხ. თუმანიშვილმა „ცისკარში“ თანამშრომლობა — 1858 წლის იანვრის მეორე ნახევარში — ჟურნალის რედაქციამ ეს სასიხარულო ამბავი დაუყოვნებლივ აცნობა თავის მკითხველებს.

„ცისკრის“ 1858 წლის იანვრის ნომერში რედაქცია აცხადებს:

„ეხლა ვჭკონებთ აღარა გაგვიჭირდეს რა: ერთმა მცოდნემ და განათლებულმა პირმა მიიღო

დაახლოებული და ნამდვილი თანამშრომლობა ჩვენნი. ამ პირველის წიგნის (1858 წლის იანვრის. ა. კ.) ნახევარი უკვე იყო აღბეჭდილი, როდესაც იმან წინადაგვიდო თავისი თანამშრომლობა; ამისათვის იმისი კალამი შემოვიდა მხოლოდ მეორეს ნახევარში — ე. ი. სხვადასხვა ამბავების ნაწილში (ხაზი ჩვენია. ა. კ.). მშვენივრად შედგენილი, თუმცა შემოკლებული სტატიები მისი, რასაკვირველია, უენიშნულ იქნებიან ყველასაგან და მიიზიდავენ საზოგადოს ყურადღებას. ამას იქითაც აღგვითქვა იმავე პირმა დახმარება თავის შემორომლობით“.

საკიროა დავაზუსტოთ, თუ ვინ არის ეს „მცოდნე და განათლებული პირი“, რომელსაც 1858 წლის იანვრის მეორე ნახევრიდან პირველად დაუწყია „ცისკარში“ წერა და რომლის „კალამი მხოლოდ მეორეს ნახევარში, ე. ი. „სხვადასხვა ამბავების ნაწილში“ შემოსულა.

1858 წლის „ცისკრის“ იანვრის ნომერში — „სხვადასხვა ამბავებში“ სამი „მშვენივრად შედგენილი, შემოკლებული სტატია“ დაბეჭდილი. ეს სტატიებია: 1. „კენჭი კეთილშობილთა და მოქალაქეთა ტფილისში“; 2. „გაგზავნა კეთილშობილთ ყმაწვილთ კაცთა პეტერბურგში“ და 3. „გამოფენა ბუნებისა და ხელთა ნაწარმოების ნიმუშებისა ტფილისში“. სამივე ეს წერილი ხელმოწერილია ფსევდონიმით „თ“ („თთ“), რომელიც მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილს ფსევდონიმს წარმოადგენს. აქვე „სხვადასხვა ამბავების“ განყოფილებაში დაბეჭდილია მესამე „სალაყბო ფურცელი“, რომლის ავტორიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, იგივე მის. თუმანიშვილია.

მოტანილი ამონაწერი აშკარად ამტკიცებს, რომ მის. თუმანიშვილმა მხოლოდ 1858 წლის იანვარში დაიწყო „ცისკარში“ თანამშრომლობა, მანამდე მას ამ ყურნალთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა და ამიტომ შეუძლებელია იგი ყოფილიყო 1857 წლის ნოემბრისა და დეკემბრის „სალაყბო ფურცლების“ ავტორი — ე. ი. ამ ფელეტონების დამფუძნებელი.

„ცისკარს“ 1858 წლის მათისის ნომერში დაბეჭდილი „რედაქციის განცხადება“ ამ კითხვაზე უფრო პირდაპირ პასუხს გვაძლევს: „კახეთიდგან მივიღეთ ცნობა, ვითომც მიეწეროს იმ პირს, რომელმაც აღგვითქვა ი ა ნ ვ რ ი ს თ ვ ე შ ი (ხაზი ჩვენია. ა. კ.) დიდი შემწეობა ცისკარის გამოცემაზე, სტატიების შემოშველებით, ყოველ ნომერზედ თვალგადავლებით...“ და ა. შ.

ივანე კერესელიძე არა ერთხელ უბრუნდება ამ საკითხს „ცისკარს“ ფურცლებზე და ყველგან საგანგებოდ ხაზს უსვამს, რომ მის. თუმანიშვილმა მხოლოდ 1858 წლის იანვრიდან დაიწყო „ცისკარში“ თანამშრომლობა (მაგალითად, „ცისკარის“ 1859 წლის იანვრის განცხადება).

პირველ ორ „სალაყო ფურცელში“ გადმოცემულია მხოლოდ და მხოლოდ ყოველმხრივ შევიწროებული „ცისკარის“ რედაქტორის გულისდუღილი, მისი ჩივილი, რომ ჟურნალი საფრთხეშია ხელისპომწერთა სიმციროსა და მასალის უქონლობის გამო. რედაქციის ამ შინაგანი ტკივილებს გამოწვებული 1857 წელს რომ მართლა მის. თუმანიშვილი ყოფილიყო, მაშინ იგი უკვე 1857 წელს „ცისკარს“ უახლოეს თანამშრომლად უნდა მიგვეჩინა. ნუთუ ეს გულშემატკივარი თანამშრომელი მხოლოდ „სალაყო ფურცლებით“ დაკმაყოფილებოდა და „ცისკარში“ თავის სხვა ნაწარმოებებსაც არ დაბეჭდავდა?.. ეს შეუძლებლად უნდა ვცნოთ. ამას ისიც ადასტურებს, რომ „ცისკარში“ თანამშრომლობის ჩვენს მიერ დადგენილი ერთი თვის განმავლობაში მის. თუმანიშვილმა დიდი ნაყოფიერება გამოიჩინა და ამ ჟურნალის ფურცლებზე ექვსი თხზულება გამოაქვეყნა. 1857 წლის განმავლობაში კი არც ერთი მისი ნაწარმოები არ დაბეჭდილა „ცისკარში“.

ამრიგად, დაბეჭდვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მის. თუმანიშვილმა „ცისკარში“ თანამშრომლობა მხოლოდ 1858 წლის იანვრიდან დაიწყო და სხვა წერილებთან ერთად მას ეკუთვნის იანვრის ნომერში დაბეჭდილი „სალაყო ფურცელი“.

აღსანიშნავია, რომ მიხეილ თუმანიშვილის მოღვაწეობის დაწყება „ცისკარში“ და მისი „სალაყო ფურცელი“ საგანგე-

ბოდ აღინიშნა იმდროინდელ ლიტერატურაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნ. ბერძნიშვილის წერილი დაბეჭდილი გაზ. „კავკაზის“ 1859 წლის № 49-50-ში. ნ. ბერძნიშვილის წერილიდან ვრწმუნდებით, რომ მიხ. თუმანიშვილმა „ცისკარში“ მოღვაწეობა დაიწყო 1858 წლის იანვრიდან. ნ. ბერძნიშვილს მოსწონს მისი „სალაყბო ფურცელი“ და სხვა წერილები, ხოლო პირველი ორი და მომდევნო „სალაყბო ფურცლები“, რომლებიც ივ. კერესელიძის კალამს ეკუთვნის, მას ვერ აკმაყოფილებს. მოვუსმინოთ თვითონ ნ. ბერძნიშვილს: „პირველი წიგნაკის უკანასკნელი განყოფილება ისეთია, რომ მეტი საჭირო აღარ არის. ჩანს, იგი შეუდგენია საყურნალო საქმის მცოდნეს, რომელსაც კარგად სცოდნია თანამედროვე მკითხველის მოთხოვნილება. ნარევეში ვხვდებით საკმაოდ მოზრდილ წერილებს „კენჭი კეთილშობილთა და მოქალაქეთა თბილისში“, „გაგზავნა კეთილშობილთა კაცთა პეტერბურდში“, „გამოფენა ბუნებისა და ხელთა ნაწარმოების ნიმუშებისა თბილისში“.

პირველ ხელზე, საკმარისი არ არის? არა, მომითმინეთ: — ყველა საინტერესო, საჭირბოროტო, გონიერი — წინაა; ე. ი. შეადგენს დაბოლოებას, რომელიც ღირსეულად აგვირგვინებს ყველა საქმეს. ჩვენ ვგულისხმობთ „სალაყბოს ფურცელს“ — არც მეტი, არც ნაკლები, ცელქური ფელეტონი, სუბუქი, სხვადასხვა ფერი, გადმოცემულია მარჯვე სასაუბრო ენით. აქ ანაღწლის მილოცვაა, კრივიც, ბულვარიც, სომხური გაზეთიც, თეატრიც და ოპერაც, მისი მუდამ ქაბუკი სევილიელი დალაქით, ოინბაზი უანმარტიინიც და მუშაითინიც, ძველი ქართული ჯირითიც (ხაზი ჩვენია. ა. კ.). სამწუხაროა ოღონდ, რომ დანარჩენ წიგნაკებში „ფურცელი“ სხვა მიმართულებას იღებს, როგორც გადმოცემის, ისე შინაარსის მხრივაც. და, სიმართლე

რომ ითქვას, მასში არცაა რაიმე შინაარსი, არანედ: „Намекни тонкие на то, чего не ведает никто“<sup>1</sup>.

ყველაფერი შექოფარგულულია რაღაც გაუგებარი და საქმის შეუფერებელი ლაპარაკით, უფრო სწორად, მრავალსიტყვაობით, უსიცოცხლოდ და უთანამედროვებოდ. ნ უ თ უ ე ს ო რ ი მ ა გ ო ბ ა, რ ა დ ი კ ა ლ უ რ ა დ დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ა ე რ თ ს ა და ი მ ა ვ ე მ ო ლ ა ყ ბ ე ს ე კ უ თ ვ ნ ი ს? (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

მნიშვნელობა აქვს იმის გამორკვევასაც, თუ სანამდე გაგრძელდა მის. თუმანიშვილის თანამშრომლობა „ცისკარში“ და რამ გამოიწვია მისი ამ ჟურნალისაგან ჩამოშორება. ამ საკითხს რამდენჯერმე ეხება თვით მის. თუმანიშვილის ვაეი — გიორგი თუმანიშვილი.

მის. თუმანიშვილის „ჩრეული ლექსების“ წინასიტყვაობაში, რომელიც გ. თუმანიშვილის ინიციატივით გამოიცა, ვკითხულობთ: „ეს შრომა (მის. თუმანიშვილის თანამშრომლობა „ცისკარში“. ა. კ.) მხოლოდ ოთხ თვეს გაგრძელდა; ის ვერ შეუერიგდა იმ ლიტერატურულ ურიგობას, რომელიც მეფობდა ადრინდელ „ცისკარში“ და თითქმის სრულიად დაანება თავი მწერლობას“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ეს აზრი განმეორებულია წიგნში „ქართული პოეტები“ (ნაწ. I, 1904 წ.), სადაც ნათქვამია: „ცისკარს“ განშორდა ოთხი თვის შემდეგ; რადგან ვერ შეუერიგდა იმ ლიტერატურულ არეგ-დარევას, რომელიც მეფობდა ადრინდელ „ცისკარში“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ამ აზრს გ. თუმანიშვილი იმეორებს თავის ნაშრომში: „Характеристики и воспоминания“, რომელშიც, სხვათა შორის, მეტად უპატივემლოდ იხსენიებს ივ. კერესელიძეს.

ამრიგად, ის მკვლევარები, რომლებიც მის. თუმანიშვილს

<sup>1</sup> ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის. ქრესტომათია, შედგენილი ს. ხუციშვილის მიერ. 1955 წ., გვ. 128 — 129.

პირველი „სალაყო ფურცლების“ ავტორად თვლიან, ამტკიცებენ, რომ მისი თანამშრომლობა „ცისკარში“ ოთხ თვეს გაგრძელდა (იგულისხმება 1857 წლის ნოემბერ-დეკემბერი და 1858 წლის იანვარ-თებერვალი); როგორც ვნახეთ, ცისკარში თანამშრომლობა მიხ. თუმანიშვილმა დაიწყო მხოლოდ 1858 წ. იანვარში. ვნახოთ ხანამდე გაგრძელდა ეს თანამშრომლობა. ამის პასუხსაც „ცისკარის“ ფურცლებზე ვპოულობთ.

„ცისკარის“ 1858 წ. თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულია მიხ. თუმანიშვილის რამდენიმე ნაწარმოები „თ“-ს ხელმოწერით. ეს ნაწარმოებებია: „ზამთრის შემოღება“, „ლექსი „ფიალა“ და „აღსასრული ქვეყნისა“ (თარგმანი). 1858 წ. მარტის ნომერში მიხ. თუმანიშვილს ვეღარ ვხვდებით. იგი მტრულად განშორდა „ცისკარს“ და ამის შემდეგ არავითარი მონაწილეობა აღარ მიუღია ამ ჟურნალში. გიორგი თუმანიშვილთან ერთად, ამ ფაქტს გაბრ. სულხანიშვილიც ადასტურებს. თავის განცხადებაში: „იმ ო რ ს ტ ა ტ ღ ი ა ს შ ე მ დ ე გ ე რ თ ი ს ტ რ ი ქ ო ნ ი ც ა ღ ა რ ა ღ ი რ ს ა თ ქ ვ ე ნ ს „ც ი ს კ ა რ ს ა“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ამრიგად, მიხ. თუმანიშვილის თანამშრომლობა „ცისკარში“ ერთ თვეზე ცოტა მეტს გაგრძელდა (1858 წლის იანვრის ბოლოდან თებერვლის ბოლომდე) !

1858 წლის მარტის ნომერში გამოქვეყნებული „სალაყო

---

<sup>1</sup> კრიტიკას ვერ უძლებს მოსაზრება, თითქოს მიხ. თუმანიშვილი დაახლოებული იყო „ცისკართან“. „ცისკარის“ დაარსება-განახლების შესახებ უმდიდრესი მასალა არსებობს და მასში მ. თუმანიშვილის გვარს ვერსად ვხვდებით. ცხადია, საბუთად არ გამოდგება დ. ბაქრაძის 1856 წლის წერილი მ. თუმანიშვილისადმი. დიშ. ბაქრაძე, რომელიც იმ დროს (ჟურნალის დაარსებამდე) არ იცნობდა თბილისში საქმის ვითარებას, სთხოვს მ. თუმანიშვილს დაინტერესდეს მისი ერთ-ერთი წერილის ბედით. ეს არის და ე.ა. ერთ-ერთ წერილში დიშ. ბაქრაძე თვითონ აღიარებს: „Я предко приехал в Тифлис“ (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდი, მ. თუმანიშვილის პ. ა. № 792).

მიხ. თუმანიშვილის პირად არქივში დაცულია ასობით ბარათი, მათ შორის, ქართველი მოღვაწეებისა, დაწერილი როგორც „ცისკარის“ დაარ-

ფურცელი“, რომლის ავტორი ივ. კერესელიძეა, მთლიანად მიხ. თუმანიშვილის წინააღმდეგაა მიმართული და გამოწვეულია მასსა და „ცისკარის“ რედაქციას შორის მომხდარი მწვავე უთანხმოებით.

რამ გამოიწვია ეს განხეთქილება?

1858 წლის მაისის „ცისკარში“ გამოქვეყნებულია რედაქციის შემდეგი განცხადება: „კახეთიდან მივიღეთ ცნობა, ვითომც მიეწეროს იმ პირს, რომელმანცა აღგვითქვა იანვრის თვეში (ხაზი ჩვენია. ა. კ.) დიდი შემწეობა „ცისკარის“ გამოცემაზე სტატიების შემოშვლებით, ყოველ ნომერზედ თვალგარდავლება და, დასასრულს, ხელის მოწერით მოპოვება, რომ „ცისკარი“ მოსპობილ არს — ნაცვლად დაპირებისა და კეთილ საქმის შემწეობისა... (აღბათ, ამის ბრალია კახეთში, სიღნაღში, რომ „ცისკარს“ აღარ იწერენო). სიღნაღის ხსენებაც, რომელთანაც მიხ. თუმანიშვილი იყო დაკავშირებული, კიდევ უფრო გვარწმუნებს, რომ სწორედ მასზეა (თუმანიშვილზე) ლაპარაკი<sup>1</sup>.

აქედან იოკვევა, რომ მიხ. თუმანიშვილი წინააღმდეგი ყო-

---

სების, იმე მისი არსებობის წლებში, მაგრამ მათში ამ უურნალის ხსენებაც არ არის.

მიხ. თუმანიშვილმა რომ მხოლოდ 1858 წ. იანვარში დაიწყო „ცისკარში“ თანამშრომლობა, ამას ადასტურებს, სხვათაშორის, ალ. სავანელის 1858 წ. თებერვლის წერილიც. ხოლო ეს „დაახლოებული თანამშრომელი“ რომ სულ მალე განშორდა „ცისკარს“ იქიდან ჩანს, რომ 1858 წ. დეკემბერში ივ. კერესელიძე წერს: „ჩვენსავეთ სხვა და სხვა საგნების გამოდგომა ერთის პირისაგან... (ძნელიაო)“.

<sup>1</sup> მ. თუმანიშვილი მთელი სიცოცხლის განმავლობაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული სიღნაღთან. ჯერ თვითონ მსახურობდა სიღნაღში, იქ მსახურობდნენ და ცხოვრობდნენ აგრეთვე მისი ნათესაები: ალექსანდრე და კირილე თუმანიშვილები. დროდადრო აქ ცხოვრობდა მიხეილ თუმანიშვილის დედაც. მ. თუმანიშვილი სისტემატურად დადიოდა სიღნაღში, ხოლო 1857 წელი თითქმის მთლიანად სიღნაღში გაატარა. ამასთან ერთად, მისი ყველაზე უფრო მახლობელი მეგობრები იყვნენ სიღნაღელი მემკვიდეები: დავით ჯორჯაძე, დიმიტრი ჯორჯაძე, იასე ანდრონიკაშვილი, რამაზ ანდრონიკაშვილი და სხვები, რომლებსაც ათეული წლების განმავლობაში სისტემატური მიწერ-მოწერა ჰქონდათ მასთან. მაგ., 1856 წლის 25 მაისს დავით ჯორჯაძე სიღნაღიდან წერს მ. თუმანიშვილს: „კნიაზმა ალექ-

ფილა „ცისკრის“ გამოცემის განგრძობისა, — ყოველ შემთხვევაში, იმ სახით მაინც, როგორც იმ დროს გამოდიოდა.

მის. თუმანიშვილმა მიმართულება შეუცვალა ივ. კერესელიძის დაფუძნებულ „სალაყბო ფურცლებს“

შთავარი დავა „ცისკრის“ რედაქტორსა და მის. თუმანიშვილს შორის „სალაყბო ფურცლების“ გარშემო გაჩაღებულია. ამით უნდა აიხსნას, რომ 1858 წლის თებერვლის „ცისკარში“ „სალაყბო ფურცელს“ ვერ ვხვდებით. იანვრის „სალაყბო ფურცლის“ ავ-

ტორმა მის. თუმანიშვილმა, რომელიც მკითხველს თავისი წერილის დასასრულში ჰპირდებოდა: „შემდეგ ნომერში მოვილაპარაკოთ თეატრის შესახებო“, ეტყობა, რედაქტორ კერესელიძეს წარუდგინა თავისი „სალაყბო ფურცლის“ გაგრძელება, რომელაც კერესელიძემ დაიწუნა და არ დაბეჭდა. ივ. კერესელიძის აზრით, მის. თუმანიშვილი სცვლიდა კერესელიძის 1857 წლის ნოემბერ-დეკემბრის „სალაყბო ფურცლების“ მიმართულებას, აღარბეჭდა მას თემატურად, ართმევდა აქტუალობას, პოლიტიკურ სიმახვილეს. ივ. კერესელიძე ბრალს სდებს მის. თუმანიშვილს, რომ ეს უკანასკნელი გატაცებულია რომანტიკული ესთეტიზმით, გართობით, თეატრებით, მსუბუქი ამბებით, მაშინ, როცა „სალაყბო ფურცელი“ ჩვენ (ე. ი. კერესელიძემ) — შევქმენით ქართული ენისა და ქართული ჟურნალის დასაცავად. ბრძოლა „სალაყბო ფურცლების“

---

სანდრემ (თუმანიშვილმა) შიამბო, რომ ჩემთვის კარგი რეკომენდაცია მიგიციათ გუბერნატორთან... ამისთანა ჩემდამი კეთილის წყალობისათვის თქვენისა მადლობის მოხსენება პირათ არ შემიძლიან... გარწმუნებთ, კნიაზო, რომ მე ისეთი ვალდებული შევიქმენ, რომ მეტი აღარ შეიძლება და თუ ვიცოცხლებ მარადისი ფიქრი ჩემი ის იქნება, რომ თქვენი სიამოვნე და სამსახური შევიძლო. მხოლოდ ამისთანას კეთილის გულთან, გთხოვთ, ესეც ინებოთ ხოლმე, რომ რააცა ჩემგნით სამსახური და სიამოვნო შესაძლო იყოს, მიბრძანოთ ხოლმე და უმეტესად მადლობელი მქნათ“. (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, მ. თუმანიშვილის პირადი არქივი, №№ 827, 774, 641 და სხვ.).

საუყრადღებოა, რომ მ. თუმანიშვილის არც ერთი სიღნაღელი მეგობარი „ცისკარზე“ ხელისმომწერი არ იყო.



პროგრამისა და ღასიათის შესახებ რომანტიკული ესთეტიზმით გატაცებულ მიხ. თუმანიშვილსა და ივანე კერესელიძეს შორის უაღრესად დამახასიათებელია იმ პერიოდისათვის.

ამ საკითხზე საყურადღებო ცნობებს ვპოულობთ 1858 წლის მარტის, ნოემბრისა და დეკემბრის „სალაყბო ფურცლებში“, რომელთა ავტორი ივანე კერესელიძეა. დასკვნის რა იახვრის „სალაყბო ფურცლის“ ავტორის, ე. ი. მიხ. თუმანიშვილის მიერ უცხო სიტყვების ხმარებას, მაოტის „სალაყბო ფურცლის“ ავტორი — ივანე კერესელიძე წვოს:

„...ამ ცოტა ხანში შემხვდა ერთი პატიოსანი დარბაისელი, ქართულს ენაზედ თითქმის კარგად ნასწავლი, შეჰაყენა გზაზედ და მკითხა: „მამაშენი იოთამ ნუ წაგიწყუდება, ერთი შეასმინე ამ ჩემს ყურს, რას ნიშნავს კომპროზიტორიო...“ „ცისკარში“ ვიღაც მოლაყბე რომ გამოჩენილა, ამ უკანასკნელს წიგნწი ეს რა მიუქარავს (ხაზი ჩვენია. ა. კ.) — ეშმაკმა იცის და ქაჯმა, რას ნიშნავს ბელინი, ცეტი ღონი, ვაგნერიო... მე მოუყევი დამტკიცებას... მაგრამ შენ არ მომიკვდე: ყურიც არ ათხოვა ჩემს დამტკიცებას: როგორც ვხედავ, შენც (ხაზი ჩვენია. ა. კ.) გასულელებულხარო: თქვე ოხრებო, ქრისტიანული სახელები ახსენოთ, ვიდრე ეშმაკებიო. ფიგარო აქა, ფიგარო იქა, ფიგარო ბაზიზე, ფიგარო ჭერში. მე ფიცხლავ სიცილი მომივიღა (ხაზი ჩვენია. ა. კ.) და რა განეშორდი, უკან მომადახა: შე ოხერო, შენც რომ არ გესმის, მე რა უნდა შემასმინოვო. აქ მკითხველი მიხვდება, რომ ზემოხსენებულმა პირმა მკითხა იმ სახელებზედ, რა სახელებიც იყო ნახსენები იანვრის ცისკრის სალაყბოს ფურცელში უფ. მოლაყბის საგან, ესე იგი ჩემგან და არა ჩემგან“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

მარტის „სალაყბოს ფურცლის“ ავტორს (ივ. კერესელიძეს) მთელი რიგი ამონაწერები მოაქვს იანვრის „სალაყბო ფურცლიდან“ (მიხ. თუმანიშვილისა) და დაუზოგავად აკრიტიკებს

და დასცინის მათ: „ის უფ. მოლაყბე—ესე იგი მე და არა მე, (ხაზი ჩვენია. ა. კ.) იმასაც იძახდა: „(როგორც მითხრა ყურში), ბევრნი საიმედონი კაცნი დაპირებიან რედაქტორს დახმარებასო“. ეს ყურში და ჩუმად თქმა ბევრი გავიგეთ და ცხადად კი ჯერ ვერასა ვხვდავთ!“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.). შემდეგ ივ. კერესელიძე პირდაპირ წერს „სალაყბო ფურცელში“, რომ ეს ბრალდებები თუმანიშვილის წინააღმდეგაა მიმართული და არ ერიდება მის დასახელებასაც... „და, თუ იმისთანა დახმარებასა ბრძანებს მოლაყბე, ესე იგი მე და არა მე, როგორის თხზულებებითაც ეხმარების „თ“ (მ. თუმანიშვილი. ხაზი ჩვენია. ა. კ.), სადაც ხმარობს სომხურს ლექსებს „მუყაითი“, ნაცვლად ბეჯითი, ანუ „წაასხავს თავადაზნაურთ!..“ თითქოს ცხვრებს წაასხავდეს და სხ. ამეებს თუ გამოვუდექი ახლა, მორს მოვა, ესენი სულ შემდგომისათვის დარჩეს“.

აკრიტიკებს რა იანვრის „სალაყბო ფურცელს“, მარტის „სალაყბოს ფურცლის“ ავტორი ყოველ მხრივ იცავს და აქებს 1857 წლის ნოემბრისა და დეკემბრის „სალაყბო ფურცლებს“, მათ მიმართულებას, შინაარსს, ენას. აქედან აშკარად ჩანს, რომ 1857 წლის პირველი ორი „სალაყბო ფურცლისა“ და 1858 წლის მარტის „სალაყბოს ფურცლის“ ავტორი ერთი და იგივე პირია, ხოლო 1858 წლის იანვრის „სალაყბო ფურცლის“ ავტორი სულ

---

<sup>1</sup> მარტის „სალაყბოს ფურცლის“ ავტორს (ივ. კერესელიძეს) მის მიერ ყბადაღებული სიტყვები მოტანილი აქვს 1858 წლის იანვრის „ცისკარში“ მიხ. თუმანიშვილის ხელმოწერით დაბეჭდილი წერილიდან; „გაგზავნა კეთილშობილთ ყმაწვილკაცთა პეტერბურღში“, სადაც ვკითხულობთ: „... ზოგნი კიდევ გაემგზავრენ და ზოგთ (თავადაზნაურთ) წაასხავს ამ დღეებში ჩოლოყავეი“; შემდეგ: „...ეგრეთვე გასამხნეებლად თვით შეილთათვის, რომელთაცა მუყაითი სამსახური... იქმნების ასე უხვად დაფასებულ და დაჭილდოებულ“...

კატეგორიულად გამორიცხულია შესაძლებლობა, რომ მარტის „სალაყბო ფურცლის“ ავტორად მ. თუმანიშვილი იქნას მიჩნეული. როგორც ვხედავთ, ეს „სალაყბო ფურცელი“ საგანგებოდ მ. თუმანიშვილის წინააღმდეგაა დაწერილი, დასახელებულია მისი გვარიც და იგი დაუნდობლადაა განქიქებული და გამასხარავებული.

სხვაა. მარტის „სალაყბოს ფურცლის“ ავტორს მოლაყბე თავის ძველ ფსევდონიმად მიახნია, ხოლო იანვრის მოლაყბეს თელის ამ ფსევდონიმის მიმთვისებლად, რომელსაც „სალაყბო ფურცლის“ უკვე დადგენილი მიმართულების შეცვლა განუზრახავს.

მარტის „სალაყბო ფურცლიდან“ გარკვევით ჩანს, რომ მისი ავტორი „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძეა.

ივ. კერესელიძე 1857 წლის დეკემბრის „სალაყბო ფურცელს“ შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: „ხუმრობა იქით იყოს და მე ვიცი, რომ ძალიან გწყინთ ჩემი მოლაყბობა, ესე იგი სიმართლით ლაპარაკი, რაკი გწყინთ, თუ ამას იქით ვილაყბო, ტყავი გამაძრეთ. (ხაზი ჩვენია. ა. კ.), მაინც რატუტუცობაა ჩემის მხრით! რომ არავინ მიგდებს ყურს! რომელმა გაიგონა ჩემი ნათქვამი?“

ამ „სალაყბო ფურცლის“ ავტორმა (ივანე კერესელიძემ) შეასრულა თავისი სიტყვა, — 1858 წლის იანვარსა და თებერვალში მას მართლაც ხმა არ ამოუღია, მაგრამ მარტში იძულებული გახდა კვლავ აეღო ხელში მოლაყბის ბასრი კალამი და გაელაშქრა მის. თუმანიშვილის წინააღმდეგ. იგონებს რა თავის დაპირებას, მარტის „სალაყბოს ფურცელში“ ივ. კერესელიძე წერს: „...თუ ვილაპარაკე წარსულს წელს ამისათვის უფრო არ ვუმატეთ ჩვენს ჩინებულს თვისებასა? რა გაგვტეხს ჩვენა, თუნდა თვითანმე! წარსულს წელს არ აღგითქვით, რომ ხმა აღარ ამომეღო იმაზე დემეტი და აღარამეთქვა რა, ახლავს მკითხეთ, დავიშალე? მაგრამ, არცათუ ვარ გასამტყუნარი, ეს წყეული გული არმეწვება, ეს წყეული გრძნობა ხელს არ იღებს!“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

მარტის „სალაყბოს ფურცლის“ ავტორი მკვეთრად უპირისპირებს ერთმანეთს 1857 წლის ნოემბერ-დეკემბრის ფურცლებსა და 1858 წლის იანვრის „სალაყბო ფურცელს“, აცამტკერებს ამ უკანასკნელს და მის ავტორს, აღფრთოვანებულია

იმ გავლენით, რომელიც პირველმა ორმა „ფურცელმა“ საზოგადოებაზე მოახდინა.

მარტის „სალაყბოს ფურცელში“ ივ. კერესელიძე გადმოგვცემს, რომ მან მთელი თბილისი შემოიარა იმ იმედით, იქნებ, ერთი ნამდვილი ქართველი მაინც ვიპოვო, მაგრამ ამ ძებნას ამაოდ ჩაუვლია. იმედგაცრუებულს ახსენდება „თ“-ს (მიხ. თუმანიშვილის) ორპირობა და გადაწყვეტს თავი დაიხრჩოს მტკვარში. — მიიჩქარის კიდეც მეტეხის ზიდისაკენ, მაგრამ აქ თვალს მოჰკრავს მშრომელ ადამიანს — ხაბაზს, რომელიც 1857 წლის ნოემბრის „სალაყბო ფურცელს“ კითხულობს: „...ზის ხაბაზი, უბრალო ხაბაზი, — წერს ივ. კერესელიძე, — უძევს მუხლზედ „ცისკარი“ მეთერთმეტე ნომერი (ხაზი ჩვენია. ა. კ.). კითხულობს სალაყბო ფურცელს შალღივ ხმით, თანახმა უხდება ყოველში მოლაყბებს (ხაზი ჩვენია. ა. კ.) და წინააღმდეგი სიტყვებით ლაპარაკობს ქართველებზე“.

ეს ცნობა იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ წინააღმდეგ მიხ. თუმანიშვილისა, ივ. კერესელიძე აუცილებლად თვლიდა „სალაყბო ფურცლები“ დაწერილიყო უბრალო ადამიანებისათვის გასაგებად და არა უცხო სიტყვებით შელამაზებული და რომანტიკულად შეფერადებული, როგორც იანვრის „სალაყბო ფურცელია“.

მარტის „სალაყბო ფურცლის“ ავტორი რომ „ცისკრის“ რედაქტორი ივ. კერესელიძეა, ნათლად ჩანს ამ „სალაყბოს ფურცლის“ შემდეგი ადგილიდანაც: „რას უფ. მოლაყბე ესე იგი მე და არა მე, ამასაც იძახდა: „როგორც მითხრა ყურში ბევრნი საიმედონი კაცნი დაჰპირებინან რედაქტორს დახმარებასაო“. ეს ყურში და ჩუმათ თქმა ბევრი გავიგეთ და ცხადად კი ჯერ ვერასა ვხედავთ!“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ამ საკითხში კიდეც უფრო მეტი სინათლე შეაქვს შემდეგ ადგილს 1858 წლის მარტის „სალაყბო ფურცლიდან: „გეფიცვებით ჩემს სამშობლო ენას, რომ რასაც ვამბობდი წარსულს წელს. რასაც ვამბობ ახლა და რასაც ვამბობ მომავალში... ყოველი ფერს ვამ-

ბობდი, ვამბობ და ვიტყვი თქვენის კეთილისათვის, ჩვენის საზოგადოების პატიოსნებისათვის, ჩვენის განათლებისათვის. გახვეწისა ვინ უყვარს, ის მისთვის ცუდს მოინდომებს?.. თუ გიყვარან ქართველები, რატომ აქამდინაც არ შეაქცივე შენის ლაყბობითა და ლაზღანდარობითაო? ...ამაში მართალნი ბრძანდებით, მაგრამ რა ექნა? წყეული შურისძიება არის მიზეზი, წყეული კაცობრიობითი ბოროტება!.. ეს ორნი ცდილობდნენ ჩამოეგდოთ მე და თქვენში იძულება, მაგრამ, წყალობითა ღვთისათა, განვთავისუფლდი. განვსდევნე ყოველივე ბოროტება, დავამარცხე, ჩავფალი უფსკრულში, ახლა თავისუფლად ვსუნთქავ“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

მარტის „სალაყბოს ფურცლის“ დასათაურებაშიაც ივანე კერესელიძეს შემდეგი საგულწმინდო საკითხები შეუტანია: „...შურისძიება მოლაყბეზე... ბოროტ მოქმედის დამარცხება... მოლაყბე და არა მოლაყბე... მღაბიო ხალხისაგან „ცისკრის“ სიყვარული...“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ივ. კერესელიძე სასტიკად აკრიტიკებს „თ“-ს (მიხ. თუმანიშვილს) არა მარტო „სალაყბო ფურცელს“, არამედ იანვრისა და თებერვლის ნომრებში გამოქვეყნებულ სხვა წერილებსაც.

მარტის „სალაყბოს ფურცლის“ მოლაყბე ამ ფსევდონიმს, როგორც აღვნიშნეთ, გადაქრით თავის საკუთარ ფსევდონიმად თვლის. — ხშირად იმეორებს: მე დაგპირდით დეკემბერში, — ჩვენ რომ ურთმანეთს დავშორდით, პირობა მოგეცით, მე ხმას არ ამოვიღებდიო, — ხოლო 1858 წლის იანვრის „სალაყბო ფურცლის“ ავტორს ყოველ ნაბიჯზე იხსენიებს სიტყვებით: „მე და არა მე“ (ე. ი. ჩემს მაგივრად ამ ასპარეზზე დროებით გამოსული სხვა პირი. ა. კ.). ამასთან დაკავშირებით, მარტის „სალაყბოს ფურცლის“ ავტორი (ივ. კერესელიძე) მრავალმნიშვნელოვნად შენიშნავს: „...ზემოხსენებულმა

პირმა მკითხა იმ სახელებზედ, რა სახელებიც იყო ნახსენები იანვრის „ცისკრის“ სალაყბოს ფურცელში — უფ. მოლაყბისაგან, ესეიგი ჩემგან და არა ჩემგან! ახლა ამაზედ გამკიცხავთ, როგორ შენგან და არა შენგანაო! ეს ჯერ ჩვენში დარჩეს, თუ მშვიდობაა შემდგომში განგიმარტებთ ამ ბნელსაზრს“. (ხაზი ჩვენი. ა. კ.).

მართლაც, საოცარი იქნებოდა, მოლაყბე ჟურნალიდან განდევნილი მტრად გამოცხადებული პირის, ე. ი. მიხ. თუმანიშვილის ფსევდონიმი ყოფილიყო, ეს უკვე პოპულარული და მკრელი ფსევდონიმი მისი კანონიერი მფლობელის ჟურნალიდან განდევნის შემდეგ მიეთვისებინა თვითონ „ცისკრის“ რედაქტორს და სულ რამდენიმე დღის შემდეგ ამავე ფსევდონიმით ასე უმოწყალოდ გაემართა ხებინა „სალაყბო ფურცლების“ დამაარსებელი. არა! ეს შეუძლებელია! ეს იქნებოდა არა მართო ლიტერატურული ეთიკის ნორმების დარღვევა, არამედ პირადი შეურაცხყოფაც; ხოლო ამას მიხ. თუმანიშვილი უპასუხოდ არ დატოვებდა. თუმანიშვილმა კი უხმოდ აიტანა შოლტი და ეს ბუნებრივია, ვინაიდან თვითონ მას მოუხდა ერთხელ ნათხოვნი ცხენით მოედანზე გამობრძანება!

მიხ. თუმანიშვილსა და ივ. კერესელიძეს შორის „სალაყბო ფურცლის“ თაობაზე წარმოშობილი კონფლიქტი არც ამით დამთავრებულა<sup>1</sup>. ცნობილია, რომ მიხ. თუმანიშვილი, როგორც

---

<sup>1</sup> მოტანილი საბუთებით (1858 წლის მარტისა და ნოემბრის „სალაყბო ფურცლები“, „ცისკრის“ 1858 წ. მაისის, ივნისისა და 1859 წ. იანვრის სარედაქციო განცხადებები) ექვემდებარება დამტკიცდა, რომ 1858 წლის თებერვალში მიხ. თუმანიშვილსა და ივ. კერესელიძეს შორის მოხდა განხეთქილება, რის შემდეგ მიხ. თუმანიშვილი სამუდამოდ ჩამოშორდა „ცისკარს“. ჩვენი კვლევის სისწორეს სავსებით ადასტურებს გაბრ. სულხანიშვილი, რომელიც წერს, რომ იანვრის შემდეგ იმ მოლაყბემ (გულისხმობს მიხ. თუმანიშვილს) „... ერთი სტრიქონიც აღარ აღიქვა თქვენს „ცისკარსა“. ამასვე ადასტურებს მიხ. თუმანიშვილის ვაჟი გ. თუმანიშვილიც, რომელიც წერს, რომ მიხ. თუმანიშვილი „ვერ შეურიგდა იმ ლიტერატურულ ურიგობას (სხვა ადგილას ნათქვამია „ლიტერატურულ არეკლარევის“), რომელიც მეფობდა ადრინდელ „ცისკარში“ და... სრულიად დაანება თავი მწერლობას“.

თეატრალური რეცენზენტი, თანამშრომლობდა ადგილობრივ რუსულ პრესაში. ივ. კერესელიძის „ცისკარშიც“ მიხ. თუმანიშვილმა სცადა „სალაყბო ფურცელი“ თეატრის დაღმკების მიმოხილვად გადაექცია.

მიხ. თუმანიშვილმა თავისი ერთადერთი „სალაყბო ფურცელი“, როგორც ვთქვით, ასე დაამთავრა: „...თეატრი ჩემი ბომონია: იმაზე გადმიგია ჩემი სიცოცხლე, იქ მიტირნია, იქ მიცინია, იქ დავმტკბარვარ... დარჩეს თეატრი შემდგომს ფურცლამდინ“. მაგრამ, როგორც ვნახეთ, თებერვლის ნომერში ივ. კერესელიძემ მიხ. თუმანიშვილის „სალაყბო ფურცლის“ გაგრძელება აღარ დაბეჭდა, რადგან თებერვალში .ის უკვე გაქვეებული იქნა ჟურნალიდან, ხოლო მარტის „სალაყბოს ფურცელში“ ივანე კერესელიძემ უყურადღებოდ დატოვა მიხ. თუმანიშვილის ზემოთნახსენები დაპირება მკითხველთაღმი და „სალაყბოს ფურცელი“ კვლავ ძველი (1857 წლის) ხაზით წარმართა და საჭირობოროტო საკითხებს შეეხო. ეს გარემოება მკითხველ საზოგადოებას შეუმჩნეველი არ დარჩა. მოთმინებიდან გამოსულმა ი. ბერიძემ ჯავიდან აღშფოთებული წერილი გამოუგზავნა „ცისკრის“ რედაქციას: „... ვის არ ამოუკითხავს შემდგომნი სიტყვანი იანვრის სალაყბო ფურცელში, უ. მოლაყბევ, აღაგზნეთ მკითხველთა გულში მოუთმენლობითი სურვილი მოსასმენად სხვათა და სხვათა თეატრის წარმოდგინებათა... („დარჩეს თეატრი შემდგომს ფურცლამდინო“). ჰკითხნამთ ახლა, აღასრულეთ ესე გვარი პირობა? უნდა მოგახსენოთ, რომ არაა არა თუ თებერვლის ჟურნალით, რომელშიაც ხსენებაც არსად იყო სალაყბო ფურცლისა, არამედ მარტის ჟურნალითაც, სადაც, თუმცა, საკუთარის სიამოვნებით მოგვარ თვალი სიტყვათა: „სალაყბო ფურცელი“, მაგრამ რა რომ დიდეს ზოუთმენლობით ამოვიკითხე წინასიტყვაობა და არა მიმხედლი იმისა, მაინც კიდევ ჩაუფრბინე პირველ ფურცელს, უეცრად ხელები ჩამომცვივდა და წიგნი გამვარდა ხელიდამ. „თეატრი, თეატრი, საღ არის თეატრი? — ვიძახდი გაგიქებულივით, რ ა ტ ო მ ა რ ა ლ ა ს რ უ ლ ა პ ი რ ო ბ ა“? (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

რედაქტორმა ივ. კერესელიძემ ი. ბერიძის ამ წერილს შემდეგი საგულისხმო შენიშვნა წარუბმდევარა: „ამ სტატიას დიდის კმაყოფილებით ვბეჭდავთ, გარნა უკეთუ მოხზველს პასუხი მისცა უ. მოლაყბემ, მაშინ ნუ დაგვემღურება უფ. ბერიძე“<sup>1</sup>.

ი. ბერიძე პასუხს მოითხოვდა იანვრის „სალაყბო ფურცლის“ ავტორისაგან, ე. ი. მიხ. თუმანიშვილისაგან. პასუხიც მიხ. თუმანიშვილს უნდა გაეცა და აეხსნა მკითხველებისათვის, რატომ არ შეასრულა თავისი პირობა და აღარაფერი დასწერა იტალიურ თეატრზე. მას თავი უნდა დაეცვა წაპოყენებული ბრალდებებისაგან. ნაცვლად ამისა, ბერიძეს პასუხი გასცა მოლაყბე კერესელიძემ, რომელიც ბერიძეზე კიდევ უფრო მძიმე ბრალდებებს უყენებს იანვრის მოლაყბეს, ე. ი. თუმანიშვილს, ცხადია, მოლაყბე რომ თუმანიშვილის ფსევდონიმი ყოფილიყო, იგი არც ამის უფლებას მისცემდა ივ. კერესელიძეს.

1858 წლის ნოემბრის ნომერში ივ. კერესელიძემ გავრავიყენა „სალაყბოს ფურცელი“, რომელიც მიხ. თუმანიშვილისა და მისი მოსიყვარულე მოესთეტო მკითხველების (ი. ბერიძე) წინააღმდეგაა მიმართული. ამ „სალაყბოს ფურცელს“ ქართული პუბლიცისტიკის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აკრიტიკებს რა მიხ. თუმანიშვილისა და ი. ბერიძის ყალბ შეჭედულებებს „სალაყბო ფურცლების“, ე. ი. ქართული პუბლიცისტიკისა და ფელეტონის თანამედროვე ამოცანების შესახებ, ყურნალის რედაქტორი ივანე კერესელიძე მტკიცედ იცავს 1857 წლის ნოემბერ-დეკემბრის „სალაყბო ფურცლების“ ხაზს. მისი რწმენით, „სალაყბო ფურცლები“ პირველ რიგში აქტუალურ საზოგადოებრივ საკითხებს უნდა შეხებოდნენ. ასეთ საკითხებად ივ. კერესელიძეს მიაჩნია უკომპრომისო და შეუწინაღობელი ბრძოლა ქართული ყურნალის გასაფრცვლებლად, ქართული ენის დასაცავად და იმ ბოროტებათა გამოსამყლავებლად, რომლებიც ხელს უშლიდა ამ საქმეს.

თავის თვალსაზრისს ივ. კერესელიძე უპირისპირებს მიხ.

<sup>1</sup> ცისკარი. 1858, ოქტომბერი.



თუმანიშვილის 1858 წლის იანვრის „სალაყბო ფურცელში“ გატარებულ ხაზს. ი. კერესელიძის აზრით, მიხ. თუმანიშვილმა „სალაყბო ფურცელს“ გამოაცალა მებრძოლი სული, მისცა სალადობო ხასიათი, — შეაფერადა სინამდვილე, — ქართულ ენას სხვათაშორის წეხნო, სამაგიეროდ, — მთელი გვერდები მიუძღვნა იტალიურ თეატრს, ვაგნერს, დონიცეტის, — მაშინ, როცა ქართველმა მკითხველმა ამათი სახელიც არ იცოდა.

„როგორ შეიძლება იმის თანაკაციოცოს, — წერს მოლაყბე (კერესელიძე), — რომელიც იძახდეს, თუ ღმერთი გწამთ, ნურას ენას, ნურც მამულს, ნურც ზნეობას ახსენებ, მხოლოდ ერთ ტეატრზე ილაპარაკე და შეგვაქციეო... ასე რომ, ერთი ოდენ შეგვაქციოთ მისი ფილოსოფიური გონიერება ტეატრებით, აქტრისებით, აქტიორებით... მოვახსენოთ, რომ ესა და ეს აქტრისა მეტად ლამაზია, ჩინებულად მღერობს, ისე მღერობს, რომ შახის გარემის ხოჯასაც კი მიიზიდავს! (ხაზი ჩვენია. ა. კ.). გმადლობთ ჯავის ფეხზე დამყენებლო!..“

ივ. კერესელიძე ზაზგასმით აღნიშნავს, რომ ი. ბერიძემ „სალაყბოს ფურცლებში“ მოიწონა და გამოარჩია ის, რაც ამ ფურცლებში მთავარი არ უნდა ყოფილიყო (იტალიური ოპერის აქტრისები), ხოლო მთავარი — ბრძოლა ქართული ჟურნალის დამკვიდრებისათვის, — ვერც კი შეამჩნია. ამასთან დაკავშირებით, კერესელიძე იგონებს კრილოვის არაკს იმ კაცზე, რომელსაც ჭიანჭველაც არ დარჩა შეუმჩნეველი და სპილოზე რომ ჰკითხეს, უგულოთ სთქვა: „მაგ პირუტყვისათვის თვალი არ მომიკრავსო“.

1858 წლის ნოემბრის „სალაყბოს ფურცელში“ ივ. კერესელიძე დაუნდობლად ამათრახებს მიხ. თუმანიშვილსაც და „გართობის მოყვარულ“ ი. ბერიძესაც. რედაქტორმა კერესელიძემ ისიც იცის, რომ ი. ბერიძე „ცისკრის“ ხელისმომწერიც არაა და ამ ფაქტს მოხერხებულად იყენებს „სალაყბოს ფურცელში“.

„...კვალად მიწერს, რომ რადგანაც ძველთა ბერძენთა ვერ აღუდგენიათ ენა, რომელზედაც სტყუის, ჩვენს ენასაც ყურადღება უნდა მიექცეს არა შეჭირვებით, არამედ წყნარად, ხვეწნით, თხოვნით (ხაზი ჩვენია. ა. კ.). მივმართოთ თვითონ იმასაც, იმ უფალს ოსეთის განმანათლებელს და ვითხოვოთ მოწიწებით: ინებეთ, თქვენო გონიერების წყაროვო, შემწეობა ენისა, რომელიცა შენისავე წყალობით დაცემულია. ასე წყალობითა, რომ ყოველისავე საგნისა აღყვავება მდგომარეობს ღონისძიებაზე... უ. ბერიძესა, ჰგონია, მართო იმისის პლატონ ფილოსოფიურის კალმის ჩხაფა ააყენებს დაცემულს ლიტერატურასა. უკაცრავად კი ნუ ვიქნები იმასთან და, ამდენი ხელნაწერი წიგნები გვაქვს ჩვენ ქართველებსაცა, რომ შეგვიძლიან ქადილი, აბა რომელმა ბერიძემ მიიღო შრომა დაბეჭდვისა. განა რომ შეძლება უნდოდა? განა რომ შეძლებაცა წარმოსდგება საზოგადოების შემწეობით? შევხვდი „ცისკრის“ რედაქტორს თავის რედაქციაში განგებ და ვკითხე: უფ. ბერიძე, რომელს სტატიის დაბეჭდვაზე ვარდიდად მადლობელი, რადგანაც სულ არარაობას დაუწერია რამე მაინც მეთქი თავის ენაზე, იწერს თუ არა „ცისკარსა“ მეთქი? რედაქტორმა დამარწმუნა, რომ მთელს ოსეთის ოკრუგში იწერს მხოლოდ ერთიო, და მაგვარს გვარსა ჩვენი ხელისმომწერთა სია არ სცნობსო! მე გავვოცდი ამისათვის, რომ ჰკვირობდა, რატომ ვირჩობდი თავსა და გულგრილად არ ვუყურებდი ბერიძეთ მზგავსთა პირთა, რომელნიც, მხოლოდ ლაპარაკობენ სიცრუით და ხმარებაზე და ღონისძიება თუნდა ჰაერში დაიჭირე, იმათთვის სულ ერთია! (ხაზი ჩვენია. ა. კ.)... აფერომ ბერიძე! აფერომ! იშალლა! ღმერთმან გაგიმარჯოს მაგისტანის სჯისათვის!“.

მიხ. თუმანიშვილის უკადრისი საქციელით აღშფოთებული ივ. კერესელიძე ამ „სალაყბოს ფურცელში“ ისევ უბრუნდება თუმანიშვილის მიერ „სალაყბო ფურცლის“ მიმართულების დამახინჯებისა და ამ ნიადაგზე შისი ჟურნალიდან განდევნის

საკითხს, და წერს: „საჭირო აღარ არის გამოუდგე უ. ბერიძის სტატიას, ამისათვის რომ მკითხველი კარგათა ხელდასაცემის.. უკეთესი მაგალითი გვიძევეს წინა-იანერის ნომერში და გვიბეჭდა უფ. რედაქტორმა „ცისკარისა“ ბევრნი კარგნი პირნი და გვხმარებდნენ (დაგვირებდნენ. ა. კ.) შემწეობასაო, უმეტესად ერთი კარგი მცოდნე, განათლებული და თუ გნებავს თუ პირველესი ქართველი ლიტერატორიო? (მ. თუმანიშვილი. ა. კ.) (ხაზი ჩვენია. ა. კ.)... მეტს ქებას ეს მოაქვს!.. ახია, რაც მოუხდინა რედაქტორს (მ. თუმანიშვილი-მა. ა. კ.); მაგრამ რას ვამბობთ, მართო რედაქტორს? — იმისი დაკლება ჩვენია. ასე რომ არ ექო, არ დაემართებოდა ის, რაც გამოგვიცხადა „ცისკარის“ მეათე ნომერში განცხადებით; ჰკვირობენ, რისთვის ვირჩობდი თავსა! ჰკვირობენ, რისთვის ყოველსავე ჩვენს თვისებასა არ ვუყურებ გულგრილად! თუ ღმერთი გწამსთ, რომელი კაცი უნდა იყოს, რომ გულგრილად უყურებდეს ამისთანას საშინელებას: პატიოსანი კაცი (მ. თუმანიშვილი. ა. კ.) აძლევს პირობას შემწეობისას, კეთილსაქმეზე, შემდგომს, რა გამოდის დრო, ზურნა პირში და დოლი გვერდზე და პკივის თაკუთხივ, ვითომც მოსულა კალია და სრულებით დაუნიავებია ჩვენის საზოგადოების სანუგეშო! (იგულისხმება „ცისკარი“. ა. კ.). რასაკვირველია, რომ კაცსა ეს ბოროტება (მ. თუმანიშვილისა. ა. კ.) ეჩვენოს საზიზღრად და ამჯობინოს თავის დარჩობა, უგება აღარ უყუროს მაინც ამ საშინელებასა... (ხაზი ჩვენია. ა. კ.). მართალია, ქალაქისა საუბარიც კარგია, უნეტესად სხვათა მხარეს მყოფთათვის, ანუ რა მოხდება ხოლმე ტფილისში, ანუ რა წიგნი გამოდის ახალი (ქართულ წიგნებად რომ იბეჭდება), რა და რა მასხარები მოდიან, გინა მაიმუნები, ვითომც გაგვაკვირვონ, ესე ყოველი მაშინ არის საჭირო, როდესაც უპირველესი საგნები წინაა

გვედოს, კურთხეულნო, ჯერ ის ვეცადნეთ, რომ მკითხველნი განვამრავლოთ, რომელთაც შეეძლოთ კითხვა ჩვენის კალმის გამოცემისა, შემდგომს რაკი გამრავლდებიან, ყოველი ადვილად შეიძლება, განა წერილმანებს კი არა აქვთ თავისი ღირსებას.. თუკი ტყვილათ დასწერ და არავინ წაიკითხამს, რაში აქნევ შრომას. (ხაზი ჩვენია. ა. კ.). უ. ბერიძეს, სამწუხაროდ ჩვენდა, უნდა ვსთქვათ, რომ ტყვილათ დაუკარგავს დრო. ქართულის ენის შექმნობა უნდოდა, ქართულს ენას ტყვილათ ნუ შეეწევა. ამისთვის რომ მრავალნი თხზულებანი არიან ქართულს ენაზე დაუბეჭდავნი, დახმარებოდა ღონისძიებით იმ პირს, რომელიცა ბეჭდავს და ცდილობს განმრავლებასა. — მოეპოვა რამდენიმე ხელისმომწერი და წარმოედგინა რედაქციაში, მაშინ არა თუ მხოლოდ ერთი ის პირი, ჩვენ ყოველნი დავეუმაღლებდით. კიდევ განვიმეორებ, რომ პირველად ენის აღდგინებისათვის არის ღონისძიება, ხოლო შემდგომს რაკი ღონისძიებებით ზურგს გავვიმაგრებთ, წერაც კარგათ შეიძლება. ახლა ყოველთა ნამდვილ ქართველთა გვმართებს, ფიქრი ღონისძიებებზე; თუ მაშინ წარმატებაში არ შევიდეს ენა და სხვათა არ გადავაქარბოთ. ის სხვა არი.

საკმაო არის ეს. ზოგზე უბასუხოს ჩემმა საზოგადოებამ, რომელმაცა მიწოდა მოლაყბე, რომლისა წყალობითაც ოთხკუთხივ აღგნენ ჩემზედ, და რომლის მეოხებითაც ვნავარდობსალაყბოს მოედანზედ<sup>1</sup>. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

<sup>1</sup> ყოვლად შეუძლებელია ეს „სალაყბო ფურცელი“ (1858 წლის ნოემბრის) იანვრის „ფურცლის“ ავტორს მივაკუთვნოთ, რადგან მასში დასახელებული და გაიციხულია მიხ. თუმანიშვილი. დ. გამეზარდაშვილის აზრით, 1858 წლის ნოემბრისა და დეკემბრის „სალაყბო ფურცლები“ სხვადასხვა ავტორს ეკუთვნის. ამ მოსაზრების გასამართლებლად მკვლევარი იმოწმებს დეკემბრის „სალაყბო ფურცლის“ დასაწყისს, სადაც

როგორც ვხედავთ, ამ „სალაყბოს ფურცლის“ ავტორიც: „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძეა, ხოლო „უპირველესი ლიტერატორი“, რომელიც იანვარში დახმარებას ჰპირდებოდა რედაქციას და „ახი საქმე მოუხდინა რედაქტორს“ — მიხ. თუმანიშვილია. ისიც ნათელია, რომ მოლაყბე კერესელიძე ამ მიზეზით აპირებდა თავის დახრჩობას მტკვარში.

ამ „სალაყბოს ფურცელში“, ისე როგორც „რედაქტორის განცხადებებში“, ლაპარაკია თითქმის მხოლოდ „უურნალისადმი შემწეობაზე“, „ხელისმომწერებზე“. „უურნალის გამოცემის ღონისძიებებზე“, „ქართული ენის დაცვაზე“, ე. ი. იმ საკითხებზე, რომლებსაც მიხ. თუმანიშვილი თავის ერთადერთ „სალაყბო ფურცელში“ (1858 წლის იანვარში) გაკვრით შეეხო.

ვფიქრობთ, მოტანილი მასალებით სავსებით ცხადი ხდება, რომ პირველი ორი „სალაყბო ფურცლის“ (1857 წლის ნოემბრისა და დეკემბრის), აგრეთვე 1858 წლის მარტის, ნოემბრისა და დეკემბრის „სალაყბოს ფურცლების“ ავტორი „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძეა, ხოლო მიხ. თუმანიშვილს ეკუთვნის ერთადერთი „სალაყბო ფურცელი“, გამოქვეყნებული „ცისკრის“ 1858 წლის იანვრის ნომერში.

„სალაყბო ფურცლის“ წარმოშობა „სალაყბო ფურცელი“ სრულებით არ არის შემთხვევითი ქართული უურნალის მოვლენა, რომელიდაც მოხელე-შენარჩუნებისათვის ლიტერატორის კაბინეტური შთაბრძოლის ნაყოფია გონების ნაყოფი. „სალაყბო ფურ-

---

მოლაყბე ასე მიმართავს მკითხველებს: „დიდი ხანია არა მქონია ბედნიერება თქვენთან საუბრისა“. დ. გამეზარდაშვილი მხედველობაში არ იღებს, რომ ნოემბრის „სალაყბო ფურცელი“ წარმოადგენს მხოლოდ პასუხს ი. ბერიძისადმი, ისე როგორც მარტის „სალაყბო ფურცელი“ წარმოადგენდა მ. თუმანიშვილის იანვრის ფელეტონის პასუხს. ამრიგად, ორივე ეს ფურცელი პოლემიკურ ხასიათს ატარებდა და იძულების გამო დაიწერა. 1858 წლის დეკემბერში კი ივ. კერესელიძე, მართლაც, 1857 წლის დეკემბრის შემდეგ პირველად უბრუნდება „სალაყბო ფურცლის“ თავისუფალ თემებს და ამ რეალურ ფაქტს დეკემბრის „სალაყბოს ფურცლის“ დასაწყისში მოხერხებულად იყენებს როგორც ფელეტონურ ხერხს.

ცელი“ წარმოიშვა უადრესად კონკრეტული პირობების შედეგად. იგი მკიდროდაა დაკავშირებული გარკვეულ მიზეზებთან და ამ მიზეზების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია მისი როლის განსაზღვრა. ქართული პუბლიცისტიკის ეს ორიგინალური ენარი იმ პერიოდის სინამდვილიდან ამოიზარდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეურნალის გამოცემა მეტად ძნელ პირობებში უხდებოდა ივ. კერესელიძეს, მაგრამ იგი გულს მაინც არ იტეხდა. მისი რწმენით, „სალიტერატურო ეურნალი წარმოდგენდა პირველ საქმეს“, რომელზედაც დამოკიდებული იყო ქართული ლიტერატურის განვითარება, ხალხის განათლება. როცა ზოგიერთმა რეაქციონერმა აშკარად გაილაშქრა „ცისკრის“ წინააღმდეგ, რედაქტორმა ბრძოლას ბრძოლით უპასუხა; გადაწყვიტა არ დაეთმო პირველი ქართული სალიტერატურო ეურნალი. ივ. კერესელიძე დარწმუნდა, რომ მუდარით დაწერილი განცხადებებით მტრულად განწყობილ ელემენტებთან ვერაფერს გააწყობდა, რომ საჭირო იყო მებრძოლი ტონი, დაუზოგავი მხილება, გადაჯვარებულთა მზის სინათლეზე გამოყვანა, გამათრახება, მათი ზნეობრივი დაცემულობის გამოაშკარავება, ე. ი. ქართული ეურნალისათვის ბრძოლით გზის გაკვლევა... ამ ნიადაგზე და ამ პირობებში წარმოიშვა ქართული ფელეტონი „სალაყბო ფურცელი“; საფუძველი ჩაეყარა ორიგინალურ ქართულ პუბლიცისტიკასა და ლიტერატურულ კრიტიკას.

ჯერ კიდევ 1857 წლის ივნისის ნო- „სალაყბო ფურცელს“ მერში ივ. კერესელიძემ საკუთარი დასაბამი მისცა ივ. ხელმოწერით დაბეჭდა მრისხანე კერესელიძის ივნისის მამხილებელი წერილი არისტოკრატიის წინააღმდეგ, რომელშიც გაბედულად დაესწა თავს ქართული ენისა და ლიტერატურის მტრებს. ეს წერილი შეიძლება ჩაითვალოს პირველ „სალაყბო ფურცლად“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> წერილს ხელს აწერს რედაქტორი ივ. კერესელიძე („რედ.“). როგორც ცნობილია, ამ პერიოდში ივ. კერესელიძე თვითონ წერდა ყველა სარედაქციო განცხადებას, რომლებსაც აწერდა (ზოგჯერ ერთსა და იმავე გვერდზედაც კი). „ი. კ.“ „რ“, „რედ.“ და სხვ. (კერძოდ, ივ. კერესელიძის

წერილის სათაურია „მკითხველთადმი“. ივ. კერესელიძის ხელმოწერით გამოქვეყნებულ ამ წერილსა და 1857 წლის ნოემბრის „ცისკარში“ დაბეჭდილ პირველ „სალაყო ფურცელს“ შორის დიდი მსგავსებაა. ადვილი გამოსაცნობია, რომ თემატიკის, მიმართულების, სტილის მიხედვით ეს ორი ნაწარმოები ერთი ავტორის ქმნილებაა. ნოემბრის „სალაყო ფურცელი“ ხშირად სიტყვასიტყვით იმეორებს ივ. კერესელიძის სტატიას.

ქვემოთ მოგვაქვს ის ამონაწერები ამ წერილიდან, რომლებიც განმეორებულია ნოემბრისა და დეკემბრის „სალაყო ფურცლებში“.

წერილში — „მკითხველთადმი“ ივ. კერესელიძე წერდა: „საყვარელო მკითხველნო, რომელთათვისაც ყოველთვის მზათა ვარ, რაც რამ შეეხება ჩვენს ენას. ჩემი გულწრფელობით ეს თქმა, იქნება, მიაწეროთ თავმოყვარეობას? არა თავმოყვარეობა ჩემი მდგომარეობს მასში, რომ მამული ჩემი, ჩემი ენა, რომლისთვისაც ღისხლი უღვრიათ ჩვენთა განსვენებულთა წინაპართა, იყოს იმ მდგომარეობაში, როგორც შეშვენის ახლანდელს განათლებულს და ამასთან მშვიდობიანს დროსა, რომელიცა მოგვცემია წყალობად ჩვენის დიდის რუსეთის იმპერატორისაგან.“

...ყოველის ხალხის მამულის აღყვავებაში ყოფა და ენის სიმდიდრის საფუძველი იყო უურნალი. ვინცა არის წინააღმდეგი ამ უკანასკნელისა, ესე იგი უურნალისა, ის არის. მტერი მამულისა და თავისთავისა, თავის ენისა, რომელიც კაცი მტრობს თავის ენას, ის სრულებით... სჯობს სწორეთ ვადვიართ... უგრძნობელია და არ არის დირსი ქართველად წოდებისა. (ეს აზ-

---

ხელმოწერას „რედ“ 1857-58 წლების ნომრებში ძალიან ხშირად ვხვდებით). ამ წერილში ივ. კერესელიძე ლაპარაკობს პირველ პირში: „მე ვიცი, მკითხავთ... ყოველთვის მზათა ვარ... ამ მტრობას მე მომაწერენ მგონია... თავისმოყვარეობა ჩემი... არ ვკარგავ იმედს... ჩემი გულწრფელობათ თქმა“... და სხვ.

რები განმეორებულია პირველ და მეორე „სალაყბო ფურცლებში“, წარმოადგენს მათ მთავარ მოტივს).

...ზოგიერთნი არიან წინააღმდეგნი ჩვენი სურნალისა, ეს კი არ იციან აქამომდენ, რომ ამ მტრობას შე მომაწერენ, თავიანთს თავსა თუ საზოგადოებასა? თუ შემომაწერენ, ძალიანსა სცდებიან ის უფალნი... როგორც კსწერენ ერთს რუსულს გაზეთში, სურნალი არის ხმასა საზოგადოებისა, თვითის მტერიც ბოროტი კაცი, მგონია, ეკუთვნოდეს ამ საზოგადოებასა, მაშასადამე, ის პატიოსანი კაცი მტრობს არამე, არამედ თავის თავს.

...რომელი ქართველი იტყვის ამას: „ჯერაც არ მოგიყენებიათ კარზედ ეგ თქვენი რაღაც ჩიხი-ბიხოვო“. მერე რომელი ქართველი?!.. ის ქართველი, რომელიცა თითქმის წარმომადგენელია კერძობითის საზოგადოებისა, კარგს ხარისხზედაც იმყოფება და დიდი ხმაცა აქვს. ის რომ ამას ამბობს, იმის მიხედვით, სხვანი რას მოგახსენებენ?

...აბა მაშინ შეიქნება ჩვენი რედაქცია მდიდარი, რომლისა საშუალებითაც გავოსცემს ჩვენთა წინაპართა ზოგიერთთა თხზულებათა, აქამომდე წარუქითხავთა.

...როგორც ზემოთ ვთქვით (ზოგიერთნი) მზათ არიან თოფიც ესროლონ ჩვენს საცოდავს სურნალსა.

მგონი, ეს დიდი სათაკილო იყოს ჩვენთვის: მილიონ ნახევარი ქართველნი ვცხოვრობთ საქართველოში და ერთი სურნალი თავის წესზე ვერ დაგვიყენებია! მერე ვინ არის მიზეზი? განა არ იცით, ზემოთქმულთა გვარნი პირნი...

პარიჟში სამოცი კომლი სომეხი დგას და იმისთანა სურნალი აქვს, რომ თითქმის ევროპა ჰკვირობს!.. გამოვიდეს და იმ ჩვენმა ქართველმა, რომელისაც წოდების ღირსი არ



არის, თქვას: „ჯერაც არ მოგიყენებიათ ეგ ჩიხი-ბიხოვო, საქვე გამოგლევიათო“.

ერთი მხოლოდ ამითღა ვნუგეშობთ, რომ არიან იმ-გვარნი პირნიცა, უმეტესად ყმაწვილნი კაცნი ამ ახლის განათლებისანი, რომელთაც ესმით ქურნალის ღირსება და ძალა და რომელთა იმედითაც ვეწევით შრომას; მაგრამ ვწუხვარ მით, რომ არა აქვსთ ის ხარისხი, რომელს ხარისხზედაც ნავარდობენ სახელით ქართველნი და გულით არა ქართველნი. კვალად არ ვკარგავ იმედს, იქნება ეკალზედ ვარდი აღმოცენდეს ოდესმე...“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ივ. კერესელიძის ხელმოწერით გამოქვეყნებული ეს წერილი უჩვეულო მოვლენას წარმოადგენდა იმ დროისათვის. ეს პირველი მამხილებელი სიტყვაა იმ პერიოდის ქართულ პუბლიცისტიკაში.

როგორც ჩანს, ეს იყო ახალგაზრდა რედაქტორის სასოწარკვეთილი ცდა — უკანასკნელი საშუალება გამოენახა ქართული ქურნალის გადასარჩენად და არავის მორიდებოდა, რა შედეგიც უნდა მოჰყოლოდა ამას.

სულ მალე გამოიჩინა, რომ ივ. კერესელიძის ეს ნაბიჯი მეტისმეტად გაზედული იყო. მან სასტიკი ბრალდება წაუყენა არისტოკრატისა, ხოლო ქვეყნის მხსნელად გამოაცხადა დაბალი წრეებიდან გამოსული ახალი ინტელიგენცია, რომელიც იმ დროს არავითარი უფლებით არ სარგებლობდა.

ივ. კერესელიძის წერილს „მკითხველთაღმა“ შემოფოთება გამოუწვევია არისტოკრატიულ წრეებში. რედაქტორის მიერ ნილაბჩამოხდილ არისტოკრატებს გადაუწყვეტიათ მისი მოკვლა, „ქვით ჩაქოლვა“ — და მათთვის უსიამოვნო ქურნალის — „ცისკრის“ მოსპობა. ამ ბრძოლამ ნაკადრი ხასიათი მიიღო და მის ანარეკლს ვპოულობთ როგორც კერძო წერილებში, ისე „ცისკრის“ ფურცლებზე.

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1857 წ. ივნისი.

ივანე კერესელიძე ყოველ ღონეს ხმარობს გარს შემოიკრიბოს მოწინავე ელემენტები, დაეყრდნოს მათ, განაგრძოს ბრძოლა არისტოკრატიასთან, შეინარჩუნოს „ცისკარი“ და გამოიყენოს იგი ხალხის მასების გასაღვიძებლად.

ბარათში რაფიელ ერისთავისადმი, რომელიც ივნისის მამხილებელი წერილის გამოქვეყნებიდან ორი თვის შენდევანა დაწერილი, ადვილი შესამჩნევია ამ ბრძოლის გამოძახილი. ამ კერძო ბარათში გამოთქმული აზრები განმეორებულა პირველ და მეორე „სალაყბო ფურცელში“.

„... რაფიელჯან! ხომ კარგად იცი, რომ ეს საქმე საზოგადოა, მე არ შემიხება, ხომ კარგად იცი, რომ ეს ჩემსასარგებლოდ არ არის, მაშასადამე, რათ უნდა დამემღურონეთ, რაც უნდა გაწყენინოთ; (ხაზი ჩვენია. ა. კ.), თუ სიყვარული გაქვს ქართული ენის, უნდა ყოველისფერი მოითმინო, მომცე დარიგება. დამაყენო რიგიან გზაზე, როგორც ქვეშაირტმან მწერალმან, არა თუ შემომიწყრე, — ვის უწყრები? მე, თუ საზოგადო საქმეს? მე, თუ შენს თავსა? განა შენ არ შეგეხება საქმე. შენც იმისთანა ქართველი არა ხარ, როგორც მე? (ხაზი ჩვენია. ა. კ.), ნუ, რაფიელ! ნუ! ნუ ინებებ საცოდავის „ცისკრის“ დაჩაგვრასა, დააცადე გაუთენდეს დილა, თუ ნისლი მიეფარა, სხვა ხალხი, სხვა ენის ხალხი იწახარათ აგვიგდებს და შენთვის რასახელია ერთად ეცადენით, ერთად იზრუნეთ ჩვენის ენისათვის, არ დავცეთ, არ მოვსპოთ! მტერნი გაიხარებენ, სხვათა ენის ხალხს ეამებათ...“<sup>1</sup>.

არისტოკრატიასთან გაჩაღებულმა რამდენიმე თვის ბრძოლამ ივ. კერესელიძე დაარწმუნა, რომ მას, როგორც რედაქტორს, არ შეეძლო თავის ჟურნალში საკუთარი ხელმოწერით გამოექვეყნებინა საბრძოლო მამხილებელი წერილები, მსგავსი ივნისის განცხადებისა — „მკითხველთადმი“. ეს იწვევდა არისტოკრატიის სიძულვილს არა მარტო პირადად ივ. კერესე-

<sup>1</sup> „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, 1935 წ. გვ. 539.

ლიძისადმი, არამედ „ცისკრისადმიც“, ხოლო მატერიალურ სახსარს მოკლებული რედაქტორი იძულებული იყო ამ ფენე-ბისთვისაც გარკვეული ანგარიში გაეწია.

რამდენიმე თვის შემდეგ ივნისის წერილში გამოთქმული აზრების დასაცავად ივ. კერესელიძე „ცისკრის“ ფურცლებზე ახალი საბრძოლო ფელეტონით გამოდის, მაგრამ ამჯერად უკვე მოლაყბის ფსევდონიმით. ეს არის პირველი „სალაყბო ფურ-ცელი“, რომელიც „ცისკრის“ 1857 წლის ნოემბრის ნომერშია გამოქვეყნებული. ამ „სალაყბო ფურცელში“, ივნისის განცხადებასთან შედარებით, ახალი არაფერია ნათქვამი. სტილი იგივეა. წერილის დიდი ნაწილი კი, თითქმის, სიტყვასიტყვითაა განმეორებული.

ნოემბრის „სალაყბო ფურცლიდან“ ირკვევა, რომ უკმაყოფილო არისტოკრატებმა ივნისის განცხადებისათვის შეარქვეს ივანე კერესელიძეს „მოლაყბე“. პირველ „სალაყბო ფურცელში“ ამის შესახებ შემდეგ საგულისხმო ცნობებს ვპოულობთ: „ისე უბედური ვარ, თუ ერთი ხმა ამოვიღე, ფიცხლავ იმას იტყვიან, აი დაიწყო მოლაყბემ, აი მოვიდა მოლაყბე. აბა მოლაყბეს ვკითხოთ, ეს რას იტყვის — ახლა ერთი მკითხეთ, რისთვის შეძახიან მოლაყბეს?

ამისათვის, რომ მართლისთვის, რასაც კი სიმართლებედ ვილაპარაკებ გულმხურვალედ და ხანგრძლივ. მოლაყბე ვარ! ეს ქვეყანა ასეთია, მართალი რომ არ გადის ჩემს წყეულს საზოგადოებაში (როგორ არ დავაწყევლო, რომ ამგვარი შესარცხვენის სახელი მიწოდეს). ახლახან ეშმაკად დაქაჯად ერთი სიტყვა წამომცდა: მართლად თუ ტყვილად ეგ თქვენ იცით, როგორც გინდათ, იფიქრეთ, მე კი მართლად მიმაჩნდა და იმ ერთის სიტყვისათვის ცოტა გაწყდა წმინდის სტეფანესავით ქვირთ არ ჩამქოლეს!.. განატყვილია, რომ ქართველების უბედურებით მდგომარეობაში ყოფნის მიზეზნი ისევ თვით ქართველები არიან? (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

არა, ღვთის გულისათვის მიპასუხეთ, ტყვილია? ამ თქმი-

სათვის ჩასაქოლი ვარ? ამ თქმისათვის და  
ამაზედ ხანგრძლივ და გრძნობით საუბრი-  
სათვის მოლაყბე ვარ?.. რაც გინდათ თქვით,  
დაეხსენ, თქვენც გამლანძღეთ მოლაყბე  
კაცი ჩემის სიმართლისათვის, კიდევ ვიტ-  
ყვი და განვიმეორებ, რომ ჩვენის უბედუ-  
რებით მდგომარეობის მიზეზნი ვართ თვი-  
თონ ჩვენდა ამას კიდევ დავამტკიცებ...“  
(ხაზი ჩვენია. ა. კ.).

პირველ „სალაყბო ფურცელში“ პირდაპირაა მინიშნებუ-  
ლი, რომ ეს ფურცელი რედაქტორის განცხადების დასაცავად  
და გასამართლებლად იბეჭდება. „გასჭირებია და აბა რა ქნა-  
სო“, — ამართლებს მოლაყბე რედაქტორს.

სადავო აღარ უნდა იყოს, რომ პირველი „სალაყბო ფურ-  
ცლის“ ავტორი ივ. კერესელიძეა, რომელსაც ეს „სა-  
ლაყბო ფურცელი“ „ახლანან ეშმაკად და ქაჯად წამოცდე-  
ნილი სიტყვის“ (იგულისხმება ივნისის განცხადება „მკითხ-  
ველთადმი“. ა. კ.) — „ქართველების უბედურებით მდგომარეო-  
ბაში ყოფნის მიზეზნი ისევ თვით ქართველები არიანო“, — და-  
საცავად დაუწერია. რა თქმა უნდა, ამის განცხადება ნოემბერ-  
ში არც მის. თუმანიშვილს შეეძლო და არც რომელიმე სხვა  
ისეთ პირს, რომელსაც მანამდე „ცისკარში“ არაფერი ჰქონ-  
და დაბეჭდილი.

ამის შემდეგ მოლაყბე იმეორებს ივნისის განცხადების  
დებულუბებს. პირველ რიგში იგი ხაზს უსვამს საქართველოს  
რუსეთთან შეერთების უდიდეს პროგრესულ როლს, შემდეგ  
ლაპარაკობს ლიტერატურის, კერძოდ, ჟურნალის მნიშვნელო-  
ბაზე („ეს ხომ კარგად ვიცით, ლიტერატურის საფუძველი  
ჯერ არის ჟურნალი, შემდგომს თეატრი“), ქართული თეატრი-  
სადმი გულგრილობაზე, ხელისმომწვერთა ნაკლებობაზე.  
რასაც, მისი აზრით, შეუძლია „ცისკარიც“ ისევე დასცეს, რო-  
გორც თეატრი დაეცა; აღნიშნავს, აგრეთვე, რომ რედაქციის  
სიღარიბე საზოგადოების სიღარიბეა, რადგანაც „ლიტერატუ-  
რა საზოგადოა და არა კერძოებითი“, რომ „ყოველი ქართვე-  
ლი მოვალეა თავის სამშობლო ენას შემწეობა მისცეს“, რომ

„რედაქტორს კარდაკარ დააქვს კვიტანციები“. შემდეგ ვრცლადაა გაშუქებული რედაქციის საშინაო საქმეები; აღნიშნულია, რომ „ყველაფერში დამნაშავეა მაღალი ხარისხის 'ხალხი'“; „რა უნდა ქნას საცოდავმან ჟურნალის გამომცემმან? — კითხულობს გამწარებული მოლაყბე, — რომ მოსპოს („ცისკარი“. ა. კ.), იტყვიან, რად მოსპოვო? — თუ არიან ისეთნი, რომელთაც ესმით ძალა ამგვარის საზოგადო საგნისა, იზინი, საუბედუროდ ჩვენდა, ღარიბნი არიან“ და ... „რომელთაცა აქვთ შეძლება და დიდ ხარისხზედაც იმყოფებიან, იმათ რე გასციებათ გული, რომ არც ქართველებში ურუვიან და არც სხვათა სჯულის ხალხში“.

ამ „სალაყბო ფურცელს“ ივ. კერესელიძე ასეთი ქარაგმული სიტყვებით ამთავრებს: „...რადგანაც გასურსთ, მოვაწერ ამ ჩემის „სალაყბო ფურცლის“ ქვემოთ, არა ნამდვილს გვარს, არამედ თვით იმ სახელს, რომელსაც ჩემი საზოგადოება მიწოდებს და თუ უეჭველად გასურთ შეიტყოთ, მიპართეთ ზემოხსენებულს საზოგადოებასა და ის გეტყვით, ვინცა ვარ“!

1857 წ. დეკემბრის „სალაყბო ფურცელი“ წარმოადგენს ივანე კერესელიძის ივნისის წერილისა და ნოემბრის „სალაყბო ფურცლის“ გაგრძელებას.

დეკემბრის „ფურცლიდან“ ჩანს, რომ პირველ „სალაყბო ფურცელს“ საზოგადოების მაღალ ფენებში ივნისის განცხადებით გამოწვეული შემფოთება უფრო გაუმწვავებია და ივ. კერესელიძის წინააღმდეგ მთელი არისტოკრატია ამხედრებულია; იგი იძულებული გამხდარა დროებით მაინც შეეწყვიტა ამ ფურცლების ბეჭდვა.

დეკემბრის „სალაყბო ფურცელს“ ივ. კერესელიძე შეჰდევგი სიტყვებით ამთავრებს: „...მე ვიცი, რომ ძალიან გწყინთ ჩემი ლაყბობა, ესე იგი, სიმართლით ლაპარაკი; რაკი გწყინთ, თუ ამას იქით ვილაყბო, ტყავი გამამარეთ“...

მ. თუმანიშვილს, რომელიც მანამდე ქართულ ლიტერატურას ჩამოშორებული იყო, 1858 წ. იანვარში „ცისკარში“ თანამშრომლობის სურვილი გამოუთქვამს<sup>1</sup>. როგორც ეტყობა,

<sup>1</sup> როგორც ვნახეთ, 1857 წ. მის. თუმანიშვილს „ცისკართან“ აბსოლუტურად არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა. საარქივო მასალების

ეს სურვილი მას კერესელიძის მიმზიდველმა „სალაყბო ფურცელმა“ აღუძრა. ივ. კერესელიძემ დააკმაყოფილა მიხ. თუმანიშვილის სურვილი და მკითხველებს განსაკუთრებული განცხადებით აუწყა იანვრიდან ახალი თანამშრომლის შემატება.

მიხ. თუმანიშვილმა „ცისკრის“ იანვრის ნომერში რამდენიმე კორესპონდენცია და თავისი ერთადერთი „სალაყბო ფურცელი“ გამოაქვეყნა.

მას შემდეგ, რაც დავადგინეთ, რომ ლავრ. არდაზიანი მო- 1857 — 1858 წლებში „ცისკარში“ ლაყბის ფსევდონომით დაბეჭდილი ყველა „სალაყბო ფურცელი“, გარდა 1858 წლის იანვრის „ფურცლისა“, ივანე კერესელიძის კალამს ეკუთვნის, — საჭიროა გაირკვეს, ვინ წერდა მოლაყბის ფსევდონიმით 1858 წლის შემდეგ?

ცნობილია, რომ ივანე კერესელიძემ „ცისკრის“ ფურცლებზე გადაქრით განაცხადა, მოლაყბე არ არის „ორპიროვანსამპიროვანი“, — ერთი იყო და ერთ პირად დარჩებაო. ივ.

---

შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ, სურვილიც რომ ჰქონოდა, ამ ხანებში მას მაინც არ შეეძლო „ცისკარში“ მონაწილეობის მიღება. 1857 წლის მაისიდან 1858 წლის იანვრამდე მიხ. თუმანიშვილი თბილისში არ იმყოფებოდა. თბილისის გენერალ-გუბერნატორ გენერალ-მაიორ ლუკაშის განსაკუთრებული ბრძანებით იგი გავზავნილი იყო მივლინებაში სიღნაღის მაზრის უფროსის მაიორ პოტებნიას დანაშაულობათა გამოსარკვევად (საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდი, მიხ. თუმანიშვილის არქივი, №№ 148 — 149). ნ. მირიანაშვილის წერილიდან ჩანს, რომ მიხ. თუმანიშვილს თბილისში ჩამოსვლის ნებაც არ ჰქონდა და ახლო ნათესავის ქორწილსაც კი ვერ დაესწრო (იგივე ფონდი, № 634). მთელი ზაფხული და შემოდგომა მან განუწყვეტლად გაატარა განჯისა და სიღნაღის მაზრებში (იგივე ფონდი, №№ 580 — 614). რა დასაჯერებელია, რომ დიდი სახელმწიფო დავალების შესასრულებლად განჯაში მყოფ მიხ. თუმანიშვილს „სალაყბო ფურცლები“ დაეწერა იმის შესახებ, რომ „ცისკარს“ ცოტა ხელმომწერი ჰყავს, რომ შა. (მიხ. თუმანიშვილს) „ქვით ჩაქოლვით“ ემუქრებოდნენ და რედაქტორს კარდაკარ უხდებდა სიარული კვიტანციით ხელში. „ცისკრისათვის“ მას, დიახაე, არა სცალოდა! დღემდე სადავოდ არავის გაუხდია, რომ „სალაყბო ფურცლები“ (განსაკუთრებით პირველი ორი) დღიური საპირბოროტო მოთხოვნისგან გამორჩეული. მიხ. თუმანიშვილი თბილისში დაბრუნდა 1858 წლის იანვარში. პირველ რიცხვებში მას დაუმთავრებია გენერალ-გუბერნატორის სახელზე ერთი მოხსენებითი ბარათი (იქვე. № 149).

კერესელიძეს შეეძლო მიხ. თუშანიშვილის ერთადერთი „ფურცელი“ ამ განცხადების დროს ანგარიშში არ ჩაეგდო.

მოლაყბე რომ მართლაც „ერთპიროვანი“ იყო, ამას სხვა საბუთებიც ადასტურებს. მაგალითად:

„ცისკრის“ 1862 წლის თებერვლის ნომერში დაბეჭდილია „მებუყეების რამდენიმე სიტყვა“, რომელიც არსებითად „სალაყბო ფურცელს“ წარმოადგენს. წერილს ხელს აწერს „მყვირალა“. იგი შესავალში გვაშცნობს: „ამჟამად ჩვენი მოლაყბე შეუძლოთ შეიქნა და მცირედი ესე აუცილებელი სათქმელი მეპომისსენებია“.

მოლაყბე მიჩნეულია მხოლოდ სალაყბოს ერთ-ერთ წევრად. 1862 წლის იანვრის „ფურცელში“ ვკითხულობთ: „...დოდუმდა მოლაყბე; გაჩუმდა სალაყბოს მწევრი“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოლაყბის ფსევდონიმით წერდნენ აგრეთვე ლავრ. არდაზიანი, გაბრიელ სულხანიშვილი და გრ. რჩეულაშვილი. აქ საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ 1881 წლამდე, ე. ი. პირველი „სალაყბო ფურცლების“ გამოქვეყნებიდან 25 წლის მანძილზე, გარდა ივ. კერესელიძისა, ამ ფურცლების ავტორად, კონკრეტულად, არც ერთი სხვა ავტორის გვარი არ ყოფილა დასახელებული.

იმის საბუთად, რომ მოლაყბის ფსევდონიმით ლავ. არდაზიანიცა და გაბრ. სულხანიშვილიც წერდნენ, აკაკი წერეთლის შემდეგი ცნობა მიაჩნიათ: „სალაყბოში, რომელსაც გაბო სულხანიშვილი სწერდა, ბევრია ხოლმე ლავრენტი არდაზიანის ოხუნჯობაც“<sup>1</sup>.

აკაკი წერეთლის ეს ცნობა სანართლიანად გაკრიტიკებული და უარყოფილია. „სალაყბო ფურცლების“ ავტორად იგი თვლის გაბრიელ სულხანიშვილს, რაც სრულებით არ დასტურდება. როგორც აღვნიშნეთ, გაბრიელ სულხანიშვილის წერილიდან აშკარად ჩანს, რომ მას „სალაყბო ფურცლებთან“ არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა და არც რაიმე პრე-

<sup>1</sup> ა. წერეთელი. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1925, გვ. 85.

ტენზიას აცხადებს. პირიქით, დასცინის კიდევ „სალაყბო ფურცლის“ იმ ავტორებს, რომლებიც, მისი სიტყვით, უნიჭოდ ბაძაჯღნენ „პირველ მოლაყბეს“.

თვით მოლაყბემაც (ივ. კერესელიძემ) გადაჭრით განაცხადა, რომ გაბრ. სულხანიშვილს ამ საქმესთან საერთო არაფერი ჰქონდა; 1863 წ. ნოემბრის „სალაყბო ფურცელში“ სულხანიშვილი მან არამკითხე მოაწებედ გამოაცხადა.

გრ. რჩეულიშვილის ავტორობაც არ დასტურდება რაიმე საბუთით და არც რომელიმე ნეკლევარი ცდილობს ამის დამტკიცებას.

იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლო ხანებში ზოგიერთმა მკვლევარმა უსაფუძვლოდ მიაკუთვნა ლავრენტი არდაზიანს მოლაყბის ცალკეულ თხზულებანი და ისინი გამოიყენა მისი მსოფლმხედველობისა და შემოქმედების დასახასიათებლად, აუცილებლად მიგვაჩნია, უფრო ვრცლად შევეხოთ ამ საკითხს.

ა. გაჩეჩილაძემ საკმაოდ ვრცელი ნარკვევი მიუძღვნა მოლაყბის ფსევდონიმთან ლ. არდაზიანის დამოკიდებულების საკითხს და ამ გამოკვლევის შედეგად მას მიაკუთვნა კომედია „სიქსტი მეხუთე“. ჯერ მარტო ის გარემოება, რომ ლ. არდაზიანის ავტორობის ერთადერთ საბუთად ა. გაჩეჩილაძეს „სტალიური ნიშნები“ მიაჩნია, უკვე საეჭვოდ ხდის მის დასკვნას. ა. გაჩეჩილაძის მოსაზრებით, ივ. კერესელიძე ვერ დასწერდა ისეთ კარგ ნაწარმოებს, როგორცაა კომედია „სიქსტი მეხუთე“ და ამიტომ იგი ლ. არდაზიანს უნდა მიეკუთვნოს.

როგორც ვიცით, მოლაყბე თვითონ აკაკი წერეთელსაც არ მიაჩნდა ლავრ. არდაზიანის ფსევდონიმად. აკაკი ამბობდა: „სალაყბოს ფურცლებს“ გაბრ. სულხანიშვილი სწერდა და ამ ფურცლებში ლავ. არდაზიანის ბევრი ოხუნჯობაც ეჩიომამაშადადამე. ა. წერეთლის აზრით, გაბრ. სულხანიშვილი „სალაყბო ფურცლებში“ იყენებდა ლავრ. არდაზიანის ექსპრომტებს, ცალკეულ გამოთქმებს, ოხუნჯობას. ამრიგად, აკაკის ეს ცნობა საფუძველს არ იძლევა, რომ მოლაყბის ფსევდონიმთან ლავრ. არდაზიანის დამოკიდებულების საკითხი დაისვას.



ამ საკითხის წამოჭრა მით უფრო უადგილოა, რომ ასეთ თხზულებებს, რომლებიც თემატურად ან წერის მანერით რაიმე მსგავსებას აქვდავენებენ „სალაყბო ფურცლებთან“, — ლავრ. არდაზიანი სულ სხვა ფსევდონიმებით აქვეყნებდა. მისი ფსევდონიმები იყო — „ბიძია თონიკე“, „ალექსი ელბაკიძე“, „ლ. ა.“ და სხვა.

ცნობილია, რომ, როცა „საქართველოს მოამბემ“ მკაცრად გააკრიტიკა ლავრ. არდაზიანის წერილი „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“<sup>1</sup>, — გამოქვეყნებული ბიძია თონიკეს ფსევდონიმით, ლავრ. არდაზიანმა თავდასაცავი წერილი ალექსი ელბაკიძის ფსევდონიმით დაბეჭდა. სავსებით ბუნებრივი იქნებოდა, რომ ეს წერილი მას უკვე მოლაყბის ხელმოწერით გამოექვეყნებინა. მაგრამ ვინაიდან, მოლაყბე, ერთი პირის — ივანე კერესელიძის, ფსევდონიმი იყო, ლავრ. არდაზიანს მისი გამოყენების უფლება არ ჰქონდა.

მოლაყბის 1862 წლის ოქტომბრის წერილი თერგდალეულს წინააღმდეგ და ლავრ. არდაზიანის „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“ — თითქმის ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე თემაზეა დაწერილი. მოლაყბე და ბიძია თონიკე რომ ერთი და იმავე პირის ფსევდონიმები ყოფილიყო, ეს საჭირო აღარ იქნებოდა.

რაც შეეხება მოლაყბის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ დაუსრულებელ კომედიას „სიჭსტი მესუთე“-ს, იგი მთლიანად ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია და ზუსტად გადმოგვცემს ივ. კერესელიძის ცხოვრებაში მომხდარ ფაქტს.

როგორც აღვნიშნეთ, 1863 წლის დეკემბერში, გრ. ორბელიანის დახმარებით ივანე კერესელიძე დანიშნული იქნა მეშვიდე კლასის უკამაგრო მოხელედ გუბერნატორის კანცელარიაში, რომლის უფროსიც იყო გრ. ორბელიანის მოკეთე იაკინთე მესხიშვილი — დახვესებული აზრებითა და ჩვევებით გაყდენთილი ჩინოვნიკი.

<sup>1</sup> „ცისკარი“. 1862, ივლისი.

იაკინთე მესხიშვილი მწერლობასაც ეტანებოდა. კერძოდ, დაწერილი ჰქონია მოთხრობა „სიქსტი მეხუთე“. მას უბრძანებია ივ. კერესელიძისათვის, რომ ხსენებული მოთხრობა „ცისკარში“ დაებეჭდა.

ივანე კერესელიძეს არ მოსწონებია ეს თხზულება და მკაცრი განაჩენი უშიშრად წაუწერია წითელი ფანქრით. განრისხებულ იაკინთე მესხიშვილს ივ. კერესელიძე სამსახურიდან მოუხსნია. ამ შემთხვევამ მისცა კომედიის სიუჟეტი ივ. კერესელიძეს.

მოვუსმინოთ ივანე კერესელიძის შვილს გიორგი კერესელიძეს: „... კანცელარიის დირექტორს იაკინთე მესხიშვილს დაუწერია მოთხრობა „სიქსტი მეხუთე“ და უგზავნის ივანეს — ეს მოთხრობა „ცისკარში“ დამიბეჭდეთ. ივანეს წაუკითხავს მოთხრობა, არ მოსწონებია მისი შინაარსი და უარი შეუთვლია იაკინთესთვის. მოსვლია გული იაკინთეს და მეორე დღეს თურმე დათხოვნის ბრძანება სხვათაშორის ქალაქებში შეუპარებია ზელმოსაწერათ და გრიგოლს არ წაუკითხავს ისე მოუწერია ხელი. რამდენიმე დღის შემდეგ ივანე წასულა გრიგოლ ორბელიანთან მადლობის მიზნით, რომ გრიგოლმა დაითხოვა სამსახურიდან. გრიგოლი გაჰკვირდა, როგორ თუ დაგითხოვეო, დღესვე აღგადგენო, მაგრამ მამაჩემმა უარი უთხრა. მეორე დღესვე გრიგოლმა დაიბარა მესხიშვილი და უბრძანა, რომ შემოეტანა მას დათხოვნის თხოვნა. როგორც გამიგია მამაჩემისაგან, იაკინთე იქნა დათხოვნილი... ივანემ დასწერა სამომხმედებიათი კომედია, რომელშიაც იაკინთე მესხიშვილი გამოიყვანა პამპულათ. მამაჩემი იტყოდა ხოლმე, როცა წავუკითხე გრიგოლს ეს პიესაო „სიქსტი მეხუთე“, გრიგოლი სიცოცხლით მოკვდაო. ჩემდასაუბედუროდ, არც ეს პიესა შემომჩრჩა და ისე დაიკარგა, როგორც დაიკარგა ბევრი მისი სხვა ნაწერი“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ზაქ. ჭიჭინაძე ასე გადმოგვცემს ივ. კერესელიძის ნაამბობს: „ერთ ნომერში მე დავბეჭდე სცენა „სიქსტი მეხუთე“,

სხვათა შორის, იქ იაკინთე მესხივეიც გამოვიყვანე. ეს მან იწყინა და მიტომ მე ძრიელაც გადამეკიდა“.

ა. გაჩეჩილაძე არ უარყოფს, რომ „სიქსტი მეხუთე“-ში აღწერილია ივ. კერესელიძის თავგადასავალი, მაგრამ, მისი აზრით, ივ. კერესელიძემ ლავრ. არდაზიანს სთხოვა ამ თემაზე კომედიის დაწერა. ამრიგად, მკვლევარს ის გარემოებაც კი არ მიუღია მხედველობაში, რომ კომედიაში მოლაყბე გაიგივებულია იმ პირთან, რომელმაც იაკინთე მესხიშვილის მოთხრობას მკაცრი განაჩენი გამოუტანა.

ამ დროისათვის ივ. კერესელიძე არა ერთი და ორი დრამატული ნაწარმოების ავტორი იყო. მისი კომედიები 1853 წლიდან სცენაზეც იდგმებოდა; შემდეგ „ცისკარშიც“ იბეჭდებოდა, ზოლო ლავრ. არდაზიანს არასოდეს უცდია თავისი კალამი დრამატურგიაში. მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაურია, იმ დროის ცნობილ კომედიოგრაფს მისთვის საინტერესო, პირადად განცდილ საგანზე ლავრ. არდაზიანისთვის რატომ უნდა ეთხოვა კომედიის დაწერა!..

„სიქსტი მეხუთე“-ში გამათრახებულია მეფის ბრიყვ მოხელეთა მექრთამეობა, გონებრივი სიჩლუნგე, ზნეობრივი დაცემულობა. შეუძლებელია ამასთან დაკავშირებით არ გავიხსენოთ, რომ ეს თემა ივანე კერესელიძის მხატვრული შემოქმედების წამყვანი თემაა და ამ საკითხს მან ბევრი ლექსი და კომედია მიუძღვნა.

„სიქსტი მეხუთე“ დაწერილია კერესელიძისათვის დამახასიათებელი მწვავე ტონით; მთელი ნაწარმოები ჩინოვნიკური ბიუროკრატიის წინააღმდეგაა მიმართული; რაც მთავარია, თხზულებაში ნიღაბჩამონდილია კონკრეტული პირები — თბილისელი მსხვილი მოხლეები. ცხადია, ამ კომედიის გამოქვეყნება „ცისკრისათვის“ მეტად სარისკო საქმე იყო. მაგრამ იაკ. მესხიშვილის ბოროტებით აღშფოთებული ივ. კერესელიძე არავითარ საშიშროებას აღარ მოერიდა. როგორც ჩანს, მოლაყბის კომედიით შეძრწუნებულმა მეფის მოხელეებმა საჩივრით მიმართეს მთავრობას, რის შედეგადაც ცენზურამ აკრძალა „სიქსტი მეხუთეს“ ბეჭდვის გაგრძელება. კომედიის ხელნაწერი ივანე კერესელიძის ოჯახში ინახებოდა;

ავტორი აღფრთოვანებით უკითხავდა მას მახლობელ პირებს. ამჟამად ეს საყურადღებო ნაწარმოები დაკარგულია. ივ. კერესელიძე დაჟინებით ცდილობდა დაებეჭდა კომედიის გაგრძელება; ამ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა რედაქციულ მანევრსაც მიმართა, მაგრამ ვერაფერმა გასჭრა.

1864 წ. მაისის „ცისკარში“ ივ. კერესელიძემ მოახერხა „სიქსტი მეხუთეს“ მეორე მოქმედებიდან ერთი ნაწყვეტის დაბეჭდვა. ეს არის ლექსი: „დიდ კაცებს“. იგი მოლაყბის ხელმოწერით გამოქვეყნდა და ორი სტროფისაგან შედგება.

ა. გაჩეჩილაძეს ამ ლექსის ავტორად ლავრენტი არდაზიანი მიაჩნია. სინამდვილეში მოლაყბის ფსევდონიმით დაბეჭდილი ლექსი „დიდ კაცებს“ — ნაწყვეტი კომედიიდან „სიქსტი მეხუთე“, უცილობლად ივ. კერესელიძის ნაწარმოებია; „ცისკრიდან“ იგი უცვლელადაა გადაბეჭდილი ივანე კერესელიძის თხზულებათა კრებულში, რომელიც 1878 წელს გამოვიდა<sup>1</sup>.

ამ ლექსის ცალკეულ სტრიქონებსა და დამახასიათებელ გამოთქმებს ივ. კერესელიძის აღრინდელ ლექსებშიც ვხვდებით.

ამ ლექსის („დიდ კაცებს“) მეორე სტროფი, ოდნავ შეცვლილი სახით განმეორებულია ლექსში „გადიდკაცებულს“, რომელიც ივანე კერესელიძის ხელმოწერით დაიბეჭდა „ცისკარში“ 1868 წელს.

„სიქსტი მეხუთეს“ აკრძალვის შემდეგ ამ კომედიის სიუჟეტი და სცენები ივ. კერესელიძეს სხვა ნაწარმოებებში გამოუყენებია და, ზელისუფალთათვის თვალის ახვევის მიზნით, შეცვლილი სათაურებით დაუბეჭდავს; ასეთი ნაწარმოებებია, მაგალითად, ლექსი „ადგილიდან დათხოვნილი“ და კომედია „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“; ეს უკანასკნელი დაბეჭდილია „ცისკრის“ 1868 წლის დეკემბრის ნომერში ივ. კერესელიძის ხელმოწერით.

ლექსში „ადგილიდან დათხოვნილი“ ივ. კერესელიძეს განსახიერებელი აქვს იაკინთე მესხიშვილის მიერ მასი სამ-

<sup>1</sup> იხ. თხზ. ივ. კერესელიძისა. დაწერილი 1854—1876 წ., გვ. 56—57.

სახურიდან უდანაშაულოდ დათხოვნის სურათი. პოეტ-  
წერს:

უფროსისა შებმა პირში ძნელია,  
და ჩვენთვის ხომ სამძიმოა, მეკლელია,  
თეთრ ქალაღდის თუ გიბრძანოს „შავია“,  
ღაეთანხმე, თუ არა გსურს ავია!

„სიქსტი მეხუთეში“ ვკითხულობთ: „... რატომ არ იცი,  
კაცი დაბერებულხარ, — რომ შენმა მეუფროსემ გითხრას,  
თეთრის ქალაღდისა შავია, შენც უნდა თავი დაუკრა და უთხ-  
რა, დიახ, შავი გახლავთქო“.

რაც შეეხება კომედიას „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა,  
ნურცა ძველსა მეგობარსა“, აშკარად „სიქსტი მეხუთე“-ს  
ნაწილს წარმოადგენს. როგორც „სიქსტი მეხუთე“, ეს ნაწარ-  
მოებიც არის „კომედია სამს მოქმედებად“; „სიქსტი V-ს“  
აწერია ფრჩხილებში „დაუსრულებელი კომედია“, ხოლო  
1868 წელს გამოქვეყნებულ კომედიას — „ნუ დაჰკარგავ  
ძველსა გზასა“, — აწერია: „შე უსრულებელის კო-  
მედიით გან“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.). ივანე კერესელიძის  
ამ ნაწარმოებებში ერთნაირი საჩკაზმითაა მხილებული მე-  
ფის მოხელეთა გონებრივი სიჩლუნგე, მექრთამეობა, უსაქ-  
მურობა, პროტექცია და ინტრიგანობა. იაკინთე მესხიშვილი  
აქ გამოყვანილია „ლუბერსკის პროკურორ ალექსანდრ ივან-  
ნიჩის“ სახით. სტილის მიხედვითაც ეს კომედიები ერთი ავ-  
ტორის ნაწარმოებია.

„ლუბერსკის პროკურორ ალექსანდრ ივანიჩის“ (იაკინთე  
მესხიშვილს) ამ კომედიაში ასე ახასიათებენ: „...საშინელს  
კაცს ამბობენ, ქვაც კი თრთისო იმის შიშისაგან, იმისთანა  
ხარისხი თურმე აქვს“. (წელით აჩვენებს) „ამ სიპრტყე ჯვარი  
ჰკიდია თურმე ყელზედ. დალოცვილი, რა ჰქვანია კაცი გამო-  
ვიდა! აჰ!“ როგორც იოაკიმე მასხარაძეს („სიქსტი V“) თავში  
ურტყაანდნენ და ითმენდა, ვიდრე სამსახურში დაწინაურდუ-  
ბოდა, ასევე ალექსანდრე ივანიჩიც („ნუ დაჰკარგავ ძველსა  
გზასა...“), წარჩინების მოლოდინში ყოველგვარ დამცირებასა

და „თავში ცემას“ ითმენდა; ერთიცა და მეორეც დაწინაურებაშიღე სხვისგან თხოულობდნენ ფეხსაცმელს და ა. შ.

ამასთანავე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც. რომ გარკვეული მიზეზების გამო, რომელთა ირგვლივ შემდეგ გვექნება საუბარი, 1863 წლის ივლისიდან ლავრენტი არღაზიანი სამუდამოდ ჩამოშორდა „ცისკარს“ და, საერთოდ, სალიტერატურო ასპარეზს. ცხადია, 1864 წ. ივ. კერესელიძე მას რისიმე დაწერას ვეღარ დაავალებდა<sup>1</sup>.

ამრიგად, კომედია „სიქსტი მეხუთე“, გამოქვეყნებული მოლაყბის ფსევდონიმით, ივანე კერესელიძის ნაწარმოებია და მოლაყბის ფსევდონიმის ლავრ. არღაზიანზე გავრცელების ცდა მარცხით დამთავრდა, რითაც კიდევ უფრო განმტკიცდა ერთადერთი სწორი შეხედულება, რომ მოლაყბე მხოლოდ ივანე კერესელიძის ფსევდონიშია.

როგორც ვნახეთ, მიხ. თუმანიშვილს თემატიკური განსხვავება ეკუთვნის მხოლოდ 1858 წლის იანვრის „სალაყბო ფურცელი“; ყველა დანარჩენი „ფურცლის“ ავტორი ივ. კერესელიძეა. საარქივო-სარედაქციო მასალების საფუძველზე გამოტანილ ამ დასკვნას სავსებით ადასტურებს „სალაყბო ფურცლების“ თემატიკურ-შინაარსობლივი და სტილიურ-ენობრივი ანალიზიც.

„სალაყბო ფურცელი“ წარმოიშვა ქურნალ „ცისკარის“ შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, როგორც ამ ბრძოლის ძირითადი იარაღი. 1857 წლის ივნისის წერილის განხილვამ დავარწმუნა, რომ ივ. კერესელიძის „სარედაქციო განცხადებები“ თანდათან გადაიზარდა „სალაყბო ფურცელში“, რომელმაც ქართული ქურნალისათვის ბრძოლის იმ დროინდელი პირობების შესაბამისად, ორიგინალური ფელეტონური ჟანრის ხასიათი მიიღო. ბუნებრივია, რომ ამ ორიგინალური ჟანრის წარმოშობის მიზეზებმა და დანიშნულებამ განაპირობა მისი თემატიკა და სტილიც. „სალაყბო ფურცლების“ ძირითადი თემაა ქურნალი „ცისკარი“. უფრო მეტიც: ფართო

<sup>1</sup> — 1863 წ. შემდეგ... აღარა დაუწერია რა... ლ. არღაზიანს — წერდა გახ. „დროება“ და ქურ. „მნათობი“ 1870 წელს.

გაგებით, ჟურნალი „ცისკარი“ „სალაყბო ფურცლების“ ერთადერთი თემაა. ყველა სხვა საკითხი, რომელსაც მოლაყბე ეხება, ამა თუ იმ სახით ჟურნალ „ცისკართანაა“ დაკავშირებული. რადგან ქართული ჟურნალის დაარსება-შენარჩუნებას მთელი მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა ხელს უშლიდა, ჟურნალის შენარჩუნებისათვის მებრძოლი რედაქტორიც („მოლაყბე“) სულ უფრო აფართოებდა „სალაყბო ფურცლების“ თემატიკას, მაგრამ „ცისკარის“ შენარჩუნებისათვის ბრძოლა მაინც ლეიტმოტივად, გამოსავალ წერტილად რჩებოდა.

„სალაყბო ფურცელი“ დაუზოგავად კიცხავს გადაგვარებულ ქართველებს, მაღალ არისტოკრატიას, რომლებმაც დაივიწყეს მშობლიური ენა, ლიტერატურა და ქართული ჟურნალით დაინტერესებული არ არიან. მოლაყბე უშიშრად ამხელს ლოტოსა და ბანქოს მოთაფაშეებს, მოდებით „გალოთებულ“ დიდკაცებს, ქორიკანებს, ცრუმორწმუნეებს და ქარაფშუტებს, რათა დაასკვნას, რომ ბანქოში ათასი თუმნის წაგება, უსარგებლო „ანტიკმორებში“ ოქროების ფლანგვა, მთელი დღე უნაყოფო ლაყბობა, ქელეხებში ფულის გადაყრა ამ ადამიანებს არაფრად მიაჩნიათ, და ეს მაშინ, როცა „ცისკარის“ გამოსაწერად შვიდი მანეთიც არ ემეტებათ.

„სალაყბო ფურცელში“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობის ახსნას; რუსეთთან შეერთებით, — მოლაყბის აზრით, — ქართველმა ხალხმა კულტურული განვითარების ხელსაყრელი პირობები მოიპოვა, — და, თუ „თვითონ ქართველები არ უშლიდნენ ხელს“, რუსეთის მთავრობა ქართული ჟურნალისა („ცისკარის“) და თეატრის წინააღმდეგი არ არის.

მოლაყბე ძალიან ზშირად ეხება სწავლა-განათლების, სიტყვის თავისუფლების, თავადაზნაურთა არჩევნების საკითხებს, რადგან, მისი რწმენით, ამაზეა დამოკიდებული ქართული ენის, კულტურის, კერძოდ, „ცისკარის“ ბედი. მოლაყბე ხმას იმადლებს ბატონყმობის წინააღმდეგ. მას შეგნებული აქვს, რომ „მაღალი წოდება გადაგვარებულია, ქართულ ჟურ-

ნალს არ ეტანება“ და ქართული ენის, ქართული წიგნის მო-  
მავალი უბრალო ადამიანთა, გლახთა მდგომარეობაზეა და-  
მოკიდებული. „სალაყბო ფურცელში“ ამ თვალსაზრისითაა  
(ეურ. „ცისკრის“ შენარჩუნების თვალსაზრისით) განხილუ-  
ლი და გადაწყვეტილი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა  
აქტუალური საკითხი. ვფიქრობთ, ვერავინ შეგვედავება, თუ  
ვიტყვიან, რომ პირველი „სალაყბო ფურცლის“ (1857 წლის  
ნოემბრის) ერთადერთი თემა „ცისკრის“ ხელისმომწერია.  
„ცისკარს“ ხელისმომწერი არ ჰყავს — დახურვა მოელის;  
საზოგადოება გულგრილად ეკიდება „ცისკარს“; არ იწერს  
მას; რედაქტორს კარდაკარ უხდება კვიტანციების ტარება;  
ახალი დრო ხელსაყრელია ქართული კულტურის განვითარე-  
ბისათვის, „ცისკრისთვის“, მაგრამ თვითონ ქართველები  
არ აქცევენ ყურადღებას თავიანთ ეურნალს; არც თვითონ  
აწერენ ხელს ეურნალზე და სხვადაც ეუბნებიან — არ მოა-  
წეროთ ხელიო. ასეთია პირველი „სალაყბო ფურცლის“ თე-  
მატიკური ქარგა. აქ ვკითხულობთ: „... ამასა ესჩივი ახლა,  
რომ ჩვენს საბრალოსა „ცისკარსაც“ ამისთანა ბედი არ დაე-  
ცეს. პირველის განცხადებით მოიწვევს (რედაქტორი) ყო-  
ველთა ქართველთა ხელისმოსაწერად, რადგანაც გასჭირებია  
გამოცემა მცირეთა ხელისმომწერთა მიხედვით... ყოველი  
ქართველი მოვალეა თავის სამშობლო ენას მიაცეს შემწეო-  
ბა... რედაქტორს კარდაკარ დააქვს კვიტანციები... იქამომ-  
დენ უგრძობელნი ვართ და არა გვესმის რა, ერთი პირი  
თვითონ თავისის ნებით არაოდეს მივა და  
არ მოაწერს ხელსა. ახლა იფიქრეთ, ეს ეურ-  
ნალი ცრომ მსგავსად ტეატრისა მოისპოს,  
ვინ იქნება მიხეზი?..

...ძნელი ეს არის, რომ მგონია ის უფალნი,  
არა თუ სხვათა ჩააგონებდნენ, თვითონაც  
არ იწერენ და თუ იწერენ, აქამომდენ ფულს  
არ შეიტანენ რედაქციისაში... ახლა იფიქრეთ, რა  
უნდა ქნას საცოდავმან გამომცემმან? რომ მოსპოს, იტყვიან,  
რად მოსპოვო? იმას კი აღარ წარმოიდგენენ, რომელი შეძ-  
ლება მოიხმაროს გამოსაცემად?“ და ა. შ.



როგორც ვხედავთ, პირველი „სალაყბო ფურცელი“ მკაცრი გამაფრთხილებელი მიმართვაა ქართველი საზოგადოებისადმი — ხელი მოაწერონ „ცისკარს“. ამ „ფურცელში“ დაწვრილებითაა გადმოცემული „ცისკრის“ რედაქციის მუშაობის ანგარიში. იმ პერიოდისათვის სავსებით ნორმალური მოვლენა იყო ეს. „ცისკარს“ არსებობის ერთი წელი უსრულდებოდა; ახლოვდებოდა მეორე (1858) წელი და სახსარსმოკლებულად რედაქტორი შიშობდა, — თუ მომავალ წელსაც არ ეყოლებოდა ხელისმომწერი და თანამშრომელი, უურნალო პუბლიკაციად დაიხურებოდა და მაშინ გამომცემს (კერესელიძეს) დაუწყებდნენ საყვედურს, რათ დახურეთ. თეატრის საქმეც ხომ ასე იყო, — დასძენს ივ. კერესელიძე, რომელიც სამი წლის განმავლობაში იბრძოდა გ. ერისთავის თეატრის შესანარჩუნებლად.

1857 წლის დეკემბრის, 1858 წ. მარტის, ნოემბრის, დეკემბრისა და სხვა „სალაყბო ფურცლების“ უმთავრეს თემას წარმოადგენს „ცისკარი“, კერძოდ „ცისკრის“ ხელისმომწერი.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ განჯასა თუ სიღნაღში მთავრობის დავალებით მყოფი მიხ. თუმანიშვილი, რომელიც თვითონ არ იყო „ცისკრის“ თანამშრომელი და ხელისმომწერი, — საზოგადოებას არ დაუწყებდა მისი მდგომარეობისათვის სრულიად შეუფერებელ ამგვარ „ღრტიან“ „ცისკარზე“ ხელისმომწერის შესახებ.

მიხ. თუმანიშვილი არასოდეს ყოფილა „ცისკრის“ ხელისმომწერი. „ცისკრის“ არსებობის 17 წლის მანძილზე მისი ნაწარმოებები მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში (1858 წ. იანვარ-თებერვალი) იბეჭდებოდა ამ უურნალში და აბა რა წარმოსადგენია, რომ „ცისკარი“ მისი შემოქმედების მთავარი თემა, მისი სიცოცხლის, ყოფნა-არყოფნის საგანი ყოფილიყო. მას შემდეგ, რაც ამ ფსევდონიმის საიდუმლოების ყველა სარქველი ახდილია, თვალწინ გვიდგას უპრეცედენტო კურიოზი, რომელიც მხოლოდ ღიმილს იწვევს.

უკვე აღვნიშნეთ, რომ მიხ. თუმანიშვილის პირად არქივში (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში) დაცულია მისი მეგობრების ასობით კერძო ბარათი „ცისკრის“ პერიოდისა;

მათში „ცისკრის“ ხსენებაც არ არის. საკმარისი იყო მიხ. თუმანიშვილს თითო სტრიქონი მიეწერა გავლენიანი მეგობრებისათვის, რომ ჟურნალს ათობით ხელისმომწერი შემატებოდა. საგულისხმოა, რომ ივ. კერესელიძის იმდროინდელი კერძო ბარათების ერთადერთი თემა (ისევე როგორც „სალაყბო ფურცლებისა“), არის „ცისკარი“, ჟურნალის ხელისმომწერი.

პირველი „სალაყბო ფურცელი“ ივ. კერესელიძის ამ კერძო წერილების, თითქმის, სიტყვასიტყვითი განმეორებაა.

პირველი „სალაყბო ფურცლის“ (1857 წ. ნოემბერი) დაბეჭდვამდე, ორი თვით ადრე, 1857 წ. სექტემბერში, ივ. კერესელიძე რაფ. ერისთავს სწერდა: „გთხოვ... რაფიელ, ძმაო, ... განაგრძო შენი თანამშრომლობა, თუ მწერლობით, თუ ხელისმომწერთათვის... რა მოუთმენლივ მინდოდა შენი ნახვა მანდა, რომ მეთხოვნა და ჩამებარებინა განცხადებები... უნდა იცოდე რამდენი გასავალია ტიპოგრაფიაზედ და იფიქრე, რა მდგომარეობაში ვიქნები და მე რაღა ზურგის შემოქცევა მინდა...“

ოხ! რაფიელ! რა ასოები მომიტანიხებია, ხუთგვარი. აქამდინ თავასობს არა ვხმარობდი... ახლა ეგ კანონიც სისრულეში მოვა. რა ჟურნალს გამოვცემ იანვრითგან! ხელისმომწერნი, ხელისმომწერნი, ხელის...“

ნათელი ხდება, რომ 1857 წლის შემოდგომაზე ივ. კერესელიძე მთლიანად შთანთქმული იყო „ცისკრის“ საქმეებით; სხვა ცხოვრება მიათვის არ არსებობდა. ყოველმხრივ ზრუნავდა, რომ 1858 წლისათვის ჟურნალი უკვე გამოეცა, მაგრამ ხელისმომწერთა და თანამშრომელთა სიმცირე აფიქრებდა. „ცისკრის“ რედაქტორის ეს კონკრეტული ზრუნვა და განწყობილება აისახა პირველ „სალაყბო ფურცელში“.

მიხ. თუმანიშვილის ერთადერთი „სალაყბო ფურცლის“ (1858 წ. იანვრის) ძირითადი თემა „ცისკრის“ ხელისმომწერი აღარაა; თითქმის სრულებით აღარ ეხება ამ საკითხს. მისი თემატიკაა — თეატრი, კრივი, ჯამბაზები, იტალიური ოპერა, ბულვარი და სხვა სანახაობანი, — დონიცეტი და ჟანმარტინი, ჯირითი, საქართველოს წარსული. მთელ „სალაყბო ფურ-

ცელს“ მიხ. თუმანიშვილი უთმობს იტალიურ ოპერას, უცხო-  
ელ კომპოზიტორებს და, როგორც ეტყობა, გადაწყვეტილი  
აქვს — შემდეგი ფურცლებიც ამ ხაზით წარმართოს. მკითხ-  
ველებს ჰპირდება: „თეატრი ჩემი ბომონია და ამაზე შემდეგ  
მოვილაპარაკებთ“. ამ ფაქტებს ფონზე დაუჭერებელია  
ჯუმბერ ჭუმბურიძის სიტყვები: „... იანერის „სალაყბო ფურ-  
ცელი“ პირველი ორი სტატიის თემატიკას აგრძელებს“-ო.  
როგორც ჩანს, მკვლევარმა ადვილად იგრძნო თავისი შეც-  
დომა და უხერხულობას რომ დააღწიოს თავი, — წერს:  
„... ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს სიტყვა-სიტყვით განმე-  
ორებული არ არის: ავტორი ცდილობს მესამე სტატიაში ეს  
საკითხები ახლებურად (?), თავისებური ფორმით (?) მიაწო-  
დოს მკითხველს და ახალი საკითხებიც (?) დაუმატოს“<sup>1</sup>.

სინამდვილეში საქმე გვაქვს პრინციპულ თემატიკურ გან-  
სხვავებასთან. მიხ. თუმანიშვილის „სალაყბო ფურცელში“  
(1858 წ. იანვარი) სანახაობანი (თეატრი, ჯამბაზები, ჯირითი,  
ოპერა და სხვა) წამყვანი და თავისთავად დამოუკიდებელი  
თემაა. მიხ. თუმანიშვილის „სალაყბო ფურცელი“ დაწერი-  
ლია არა „ცისკარის“ შესახებ, არამედ, ჰხვადასხვა სახის  
სანახაობათა აღწერის გზით მკითხველთა გასართობად. ამა-  
თვითონ მიხ. თუმანიშვილიც აღიარებს წერილის შესავალში.  
ასევე გაიგო მისი „სალაყბო ფურცელი“ იმდროინდელმა  
მკითხველმა საზოგადოებამაც (ნ. ბერძნიშვილისა და ი. ბე-  
რიძის წერილები).

რაც მთავარია, მიხ. თუმანიშვილის ეს ერთადერთი „სა-  
ლაყბო ფურცელი“ გარკვეულად მამხილებელი ხასიათისა არ  
არის. სწორი არ არიან ის მკვლევარები, რომლებიც ცდილობენ  
მსგავსება გამონახონ „კავკაზში“ დაბეჭდილ მიხ. თუმანიშვი-  
ლის წერილებსა და „სალაყბო ფურცლებს“ შორის. აეთი  
მსგავსების ძებნა ნიშნავს „სალაყბო ფურცლების“ მნიშვნე-  
ლობის შეუფასებლობას, რადგან „სალაყბო ფურცელი“, უპირ-  
ველეს ყოვლისა, მკაცრი მამხილებელი ხასიათის ფელეტონია,  
ხოლო მიხ. თუმანიშვილის წერილები მიმოხილვითი ხასია-  
თისაა.

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1957. № 3.

ივ. კერესელიძის „სალაყო ფურცლის“ კრიტიკულ-რეალისტური მიმართულებისაგან განსხვავებით, მიხ. თუმანიშვილის „სალაყო ფურცელს“ რომანტიკული ელფერი დაჰკრავს. თავის ფურცელს მიხ. თუმანიშვილი ამთავრებს ვრცელი ნაწყვეტით გრ. ორბელიანის ლექსიდან „იარალის“. აშკარად ჩანს, რომ მიხ. თუმანიშვილს გადაუწყვეტია კერესელიძის მიერ დაფუძნებული წერილებისათვის რომანტიკული იერი მიეცა და უნებურად ჩამოეშორებინა იგი ყოველდღიური ცხოვრების აქტუალური საკითხებიდან.

მიხ. თუმანიშვილის წერილების (მათ შორის „კავკაზში“ დაბეჭდილი წერილებისაც) საკითხთა რკალი მეტად ვიწროა; ივ. კერესელიძე კი საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ მხარეებს ეხება, რომლებსაც მიხ. თუმანიშვილი არასოდეს შეჰხებია.

იმ ნაშრომთა გაცნობამ, რომლებშიაც „სალაყო ფურცლების“ შინაარსობლივი ანალიზია მოცემული და რომელთა ავტორებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ პირველი სამი „სალაყო ფურცელი“ — ერთსა და იმავე პირს ეკუთვნის, — დაგვარწმუნა, რომ თუმანიშვილის 1858 წლის იანვრის „სალაყო ფურცელი“ იშვიათად, — ან თითქმის ჰრულებით არაა დამოწმებული, მაშინ, როცა პირველი ორი და მომდევნო (ე. ი. ივ. კერესელიძის) ფურცლები ციტირებულია თითქმის ყოველ გვერდზე<sup>1</sup>. მიხ. თუმანიშვილის „სალაყო ფურცელშიც“ ვხვდებით ზოგიერთ კრიტიკულ შენიშვნას თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებებზე, მაგრამ ამ ორიოდ შენიშვნასაც ქარაგმული, სასხვათაშორისო, ლიტერატურულად შელამაზებული ხასიათი აქვს, აკლია კერესელიძის ფურცლების პუბლიცისტური სიმანვილე, პირდაპირობა, მებრძოლი სულისკვეთება, აქტუალობა.

ამრიგად, მიხ. თუმანიშვილმა შეცვალა პირველი „სალაყო ფურცლების“ თემატიკა და ივ. კერესელიძის მიერ დაფუძნებული ფელეტონების ძირითად თემად სანახაობანი გამოაცხადა. თემატიკიდან ამგვარმა გადახვევამ უთანხმოება

<sup>1</sup> გრიგოლ კიკნაძე, „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“, 1953 წ.

გამოიწვია ივ. კერესელიძესა და მიხ. თუმანიშვილს შორის. ამას ადასტურებს ივ. კერესელიძის 1858 წლის მარტისა და ნოემბრის „სალაყბო ფურცლები“, აგრეთვე სარედაქციო განცხადებები.

1858 წლის ნოემბრის „სალაყბო ფურცელში“ ივ. კერესელიძე აკრიტიკებს მიხ. თუმანიშვილის ერთადერთი „ფურცლის“ (1858 წ. იანვრის) თემატიკას და წერს: „...ქალაქისა საუბარიც კარგია, უმეტესად სხვათა მხარეს მყოფთათვის, ანუ რა მოხდება ხოლმე ტფილისში, ანუ რა წიგნი გამოდის ახალი..., რა და რა მასხარები მოდიან, გინა შიშიუნები, ვითომც ვაგვაკვირონ. ეს ყოველი მაშინ არის საპირო, როდესაც უპირველესი საგანი წინ არ გვედოს. კურთხეულნო, ჯერ ის ვეცადნეთ, რომ მკითხველნი განვამრავლოთ, რომელთაც შეეძლოთ კითხვა ჩვენის კალმის გამონაცემისა; შემდგომს, რაკი გამრავლდებიან, ყოველი ადვილად შეიძლება... მოეპოვა რამდენიმე ხელის მომწერნი (ბერიძეს) და წარმოედგინა რედაქციაში... ახლა ყოველთა მამდვილ ქართველთა გვმართებს ფიქრი ღონისძიებაზე“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

როგორც ვხედავთ, „სალაყბო ფურცლის“ დამფუძნებელი (ივ. კერესელიძე) მოაგონებს მკითხველს, რომ მოლაყბის ფელეტონების უმთავრესი თემაა „ცისკარი“, კერძოდ, „ცისკრის“ ხელისმომწერი, რომელსაც სრულებით არ შეხებია მცხ. თუმანიშვილი.

ივ. კერესელიძისა და მიხ. თუმანიშვილის შემოქმედების (ამ შემთხვევაში „სალაყბო ფურცლების“) თემატიკა სავსებით გამოხატავდა მათს საზოგადოებრივ ინტერესებს, მოღვაწეობის შინაარსს, ცხოვრების საგანს. ივ. კერესელიძის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა „ცისკართან“ იყო დაკავშირებული. მისი მუდმივი ზრუნვის საგანიც „ცისკრის“ ხელისმომწერნი, — „ღონიძიების მოპოვება“ იყო, რადგან ამის გარეშე ჟურნალს არსებობა არ შეეძლო. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ მის „სალაყბო ფურცლებში“ (კერძოდ, პირველ ორ

„ფურცელში“) „ცისკარის“ რედაქტორის გულისდუღილსა ვგრძნობთ. გარეშე პირი ვერასოდეს იგრძნობდა და გადმოგვცემდა რედაქციისა და რედაქტორის ტკივილებს ასეთი სიზუსტითა და მხურვალეებით.

მიხ. თუმანიშვილის ერთადერთი „სალაყბო ფურცლის“ თემატიკაც საკვებით შეესაბამება მისი ავტორის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ინტერესებს. მიხ. თუმანიშვილი ამ დროს გატაცებული იყო იტალიური ოპერით, თბილისში მყოფი გასტროლიორებითა და საერთოდ, სხვადასხვა სანახაობით.

სამსახურებრივი მივლინებიდან თბილისში დაბრუნებულმა მიხ. თუმანიშვილმა 1858 წ. იანვარში ვრცელი მოხსენება წარუდგინა გენერალ-გუბერნატორ ლუკაშს, რის შემდეგაც იგი დროს ატარებდა მასთან სტუმრად მყოფ ივ. ევლახოვთან. ევლახოვის წერილებიდან ჩანს, რომ იანვარში ისინი ერთად ესწრებოდნენ იტალიურ ოპერებს და ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს. ეს შთაბეჭდილებები თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს მიხ. თუმანიშვილის ერთადერთი (1858 წ. იანვრის) „სალაყბო ფურცლის“ სათანადო აღვლილებს<sup>1</sup>.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ „სალაყბო ფურცლების“ ნაწილი „აქტუალური თემატიკის შემცველია“, ხოლო დანარჩენი — „წვრილმან საყოფაცხოვრებო საკითხებს შეეხება“.

დავ. გამეზარდაშვილი, მაგალითად, წერს: „მოლაყბის წერილები „ცისკარში“ იბეჭდებოდა 1857 წლიდან 1866 წლამდე, მაგრამ ჩვენი ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის ისტორიისათვის მეტი მნიშვნელობა აქვს იმ წერილებს, რომლებიც 1861 წლამდე გამოქვეყნდა. ამასთან, მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ მ. თუმანიშვილთან ერთად ამ პერიოდში „მოლაყბის“ ფსევდონიმით წერს ვიღაც მეორე პირი, რომელიც ბაძავს მ. თუმანიშვილს, როგორც სტილის, ისე

<sup>1</sup> საქართველოს სახ. მუზეუმი, მ. თუმანიშვილის ფონდი, 620.

საკითხების შერჩევის მხრივ, მაგრამ მაინც გარკვეულად განსხვავდება მისგან<sup>1</sup>.

რადგან დავ. გამეზარდაშვილს ექვი არ ეპარება, რომ პირველი ორი „სალაყბო ფურცლის“ ავტორი მის. თუმანიშვილია, ამიტომ მის. თუმანიშვილის ზტილსა და თემატიკაზე ივი აღნიშნული ფურცლების მიხედვით მსჯელობს. „სალაყბო ფურცლების“ ასეთი კლასიფიკაცია სწორი არ არის. მკვლევარი მართალია მხოლოდ იმაში, რომ „სალაყბო ფურცლების“ აქტუალობა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ძალა თანდათან შესუსტდა. მაგრამ ამ გარემოებას ავტორობის საკითხთან არავითარი კავშირი არა აქვს. დროთა ვითარებაში „სალაყბო ფურცელი“ ჩამორჩა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას. საზოგადოებრივი აზრი სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ, ასპარეზზე გამოვიდა ილია ჭავჭავაძის თაობა, მოლაყბე (ივ. კერესელიძე) კი 1866 წელსაც თითქმის იმასვე იმეორებდა თავის „სალაყბო ფურცლებში“, რასაც 1857 წელს წერდა. ეს ფაქტი ჯერ კიდევ 1863 წელს შენიშნა ანტ. ფურცელაძემ, რომელიც „მოლაყბეს“ მხოლოდ ივ. კერესელიძის ფსევდონიმად თვლიდა. იგი წერდა: „...გავიდა დრო და როგორც სხვანიც მრავალნი, რომელნიც ზჰამაღლა ჰქადაგებდნენ სიახლეს და ვერ შენიშნეს, რომ დრომ იმისი ნაქადაგები დიდი ხანია შემოიტანა და კიდევ დაძველდა და ისინი კი ისევ იმას გაიძახოდნენ ის გვინდაო, რაც დიდი ხანია დაძველებულია, დარჩა დროს უკან ჩვენი მოლაყბეცა და ახალს ხალხს უქადაგებს ისევ იმასა, რაც იმის დროს ახალი იყო. მაგრამ ახლა იმედია ისევ მოეწიოს დროს“. („ციცკარი“, 1863, იანვარი).

მიუხედავად იმისა, რომ 60-იან წლებში „სალაყბო ფურცელი“ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას ჩამორჩა, მისი თემატიკა მაინც უცვლელი დარჩა. ამ პერიოდშიაც მოლაყბე ეხება მექრთამეობას, პროტექციონიზმს, უპასუხისმგებლობას, საზოგადოებრივი ინტერესების პირადში გაცვლას, მოღებით გატაცებას, ცრუმორწმუნეობას და სხვა., რადგან

<sup>1</sup> ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1956, გვ. 519.

საზოგადოებრივი ცხოვრების ეს მანკიერი მხარეები მას მიაჩნია ქართული ენის დავიწყების, ქართული კულტურის ჩამორჩენის, ეროვნული შეგნების დაქვეითების, ხალხის დუხპირი მდგომარეობის ერთ უმთავრეს მიზეზად.

ბოლოდროინდელი „სალაყბო ფურცლების“ აქტუალობის გასათვალისწინებლად საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი „სალაყბო ფურცელი“ (1866 წ. ივლისი) აშხელს თავადაზნაურთა არჩევნების თვალთმაქცურ ხასიათს, კიცხავს მაღალი არისტოკრატიის ეგოიზმს, ქართული კულტურის საკითხებისადმი მის გულგრილობას და ადამიანთა თანაწორუფლებიანობას ქადაგებს.

ენობრივ-სტილიური ნიშნები

ყველა „სალაყბო ფურცელი“, გარდა 1858 წლის იანვრის ფურცლისა, საერთო სტილიური ნიშნებით ხასიათდება. ივანე კერესელიძის ხელმოწერილ ნაწარმოებებსა და „სალაყბო ფურცლებს“ შორის ნათესაობის დასადგენად შესაძლებელია მრავალი სრულიად მსგავსი ადგილის მოტანა.

მკითხველისთვის რომ უფრო აშკარა გახდეს, თუ რა თვალუწვდენი განსხვავებაა ივ. კერესელიძის „სალაყბო ფურცლებსა“ და მის თუშანიშვილის ერთადერთ „სალაყბო ფურცელს“ შორის ენის, სტილის, იდეისა და, საერთოდ, ლიტერატურული მიმართულების თვალაზრისით, — მოვიტანთ რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითს.

1857 წლის დეკემბრის „სალაყბო ფურცელში“ ივ. კერესელიძე წერს: „...რადგანაც ვახსენე ახლანდელი დრო, უნდა კიდევ განვიმარტოთ ახლანდელის დროს მნიშვნელობა: როგორც წარსულს „ციხკრის“ ნომერში, აგრეთვე ახლა ვახსენებ ჩვენ საზოგადო უბედურებასა და ეს კი არ ვიცი, რას ეძახით საზოგადოდ უბედურებას? უბედურება კი არა და ამისთანა ბედნიერს მდგომარეობაში თავის დღეშიაც არა ვყოფილვართ. პირველი აქედგან ავიღოთ: აბა რომელი მტერი აწუხებს ჩვენს მყუდროებით მდგომარეობასა? აბა რომელი ბარბაროსი მამადიანი ატყვევებს ჩვენს ცოლს, გინა შვილს, გინა ნათესავს და სხვა, მზგავსად აღრინდელის ქართველთ მეფობის დროებისა, რომელშიაც კაცი არ იყო, რომ გადარჩენოდა ამისთანა

120



უსაშინელესს ხვედრსა, თითქმის ყოველი კაცი მტერს უნდებოდა და თავის ტყვეებს უკანასკლევდა, ან სწავლისათვის ვისა სცალოდა, ან წერისათვის; ან სახლისა და ან კარისათვის?“...

„ციხკრის“ მომდევნო ნოჰერში დაბეჭდილია მიხ. თუმანიშვილის „სალაყბო ფურცელი“. ამავე საკითხზე ავტორი წერს: „...პოი, სადა ხართ, უწინდელნო დარბაისელნო, უწინდელნო თანამესაუბრენო... გონებიანი იყო თქვენი სიტყვა, და რასაც იტყოდით, ყველას ჰქონდა ფასი. მართალში არ ერია ტყუილი, ჭუმრობაში ლაზღანდარობა. სადა ხართ, აღზდექით, გვასმინეთ თქვენი ხმა, გვასწავეთ, დაგვეხმარენით — მაგრამ სადღა არიან ეს პატივცემულნი მოსაუბრენი პატივცემულის ძველის დროისანი? უბრალოდ განისმის ჩემი ძახილი, ამოდ აღმიპყრია ხელნი, — ჩამი-ჩუმი არ ოსმის სალაყბოზე. მაძლევს ხმას მხოლოდ ცარიელი, ცივი ჰაერი... რა გვეშველება, მამ სად წავიდეთ, რა გიჩვენოთ ღირსი ნახვისა?.. გექმნებათ გაგონილი უწინდელი კრივიანობა, რომელშიც გაერევოდნენ დიდის გვარის პირნი, განაგებდნენ და განამხნევებდნენ მოკრივეთ. ეხლა ვინღა არიან, ვიღა დარჩენილან იმათ სამაგიეროდ: ვჰხედავთ მოკრივეთ შორის ვინღაც ადამიანებს კარტუზებით და გაგლესილნი პალტოებით, და ესრეთ ამ კარტუზებს და პალტოებს დაუჭერიათ ადგილი ძველებურის კალმუხის ქუდეებისა და ფარსაკიანის ქულაჯებისა... დღე არის ზამთრიანი. მზე ჭერ კიდევ მალღაა, მაგრამ, გაბმული გაციებულს ბურუსიანს ჰაერში, არ აჩენს სხივებს და გადმოადგამს ცუნგლიანს სინათლეს ძველს გორგასლანის ქალაქს... ეს ბინა ერთ რიგად მიემგზავსება ძველს სალაყბოს, რომლისთვისაც მე ეხლა ვჰსწუხ და ვოხრაგ... ბნელი და ცივი ღამე აწვა ყაბახს. თუმცა ვარსკვლავებს ყინვისაგან მოჭერილს გაჰქონდათ კაშკაში. მომაგონდა ძველის დროის შექცევაები, უწინდელი ასპარეზობა, უწინდელი ჭირითობა ყაბახზე, სადაც...“ (მოაქვს ნაწყვეტი გრ. ორბელიანის ლექსიდან „იარაღის“).

1857 წლის ნოემბერ-დეკემბრის „ფურცლებში“ ივ. კერესელიძე არა ერთხელ იმეორებს: „როგორათაც ადრე ვსთქვი, მართლისათვის მოლაყბეს მეძახიან. — აბა ნამ, თუ გრძნობა რამ მოიპოვება ჩვენში, დავსხდეთ ერთად და მოვილაპარაკოთ

ერთს საგანზედ, მხოლოდ სისწორით მიპასუხეთ და ქეშმარიტებით, თქვენის სამშობლოს ენის მზეს!.. ოჰ, ეგრე, ჩემო სამშობლო ენის მოყვარეო ქართველო!.. ახლა მინდა გიანბოთ გულგრილად, როგორც შეშვენის ქართველის თვისებასა, ერთის ქართულის ენის მოყვარის ქართველის ანბავი... მე ვიცი, რომ ძალიან გწყინთ ჩემი ლაყბობა, ესე იგი სიმართლით ლაპარაკი... რომელმა გაიგონა ჩემი ნათქვამი? არა თუ გაიგეს, სულელსაც მეძახიან...“

მიხ. თუმანიშვილი „სალაყბო ფურცლის“ დანიშნულებაზე წერს: „...დავლოცოთ ახალ ნაშობი წელი, დავლულუნოთ ნანა, ვუგალობოთ ქება... მთელი წელიწადი იყოს აღვსილი მხოლოდ ერთის სიხარულით, ლხინით... თქვენთვის, სულ თქვენთვის, საყვარელნო მკითხველნო, რომ გაგართოთ, გასიამოვნოთ, ლაზღანდარობა ხომ გიყვართ და აი შევიდეთ, ნუ დავზოგავთ ერთ-ორ მინალთუნს... აქეთ-იქიდამ ისმოდა მხოლოდ სახელები: როსტინისა, ბელლინისა, დონიციეტისა, ვერდისა, მეიერბერისა და ასე გასინჯეთ ვაგნერისაც. — ამ თანამედროვე გერმანიის კომპოზიტორისა, რომელსაც შემოუტანია ახალი კანონები მუზიკის ხელოვნებაში და თითქმისა გული წაგვიხდინოს ტკბილ მოსასმენს იტალიურს ჰანგებზე“.

ივ. კერესელიძე დეკემბრის ნომერში გულდაწყვეტილი წერს, რომ ზელისმონწერნი არ ჰყავს „ცისკარს“, გასაქირშია: „ღმერთსა ჩვენთვის მოუცია ნიჭი მხოლოდ ლაპარაკში! აი, ბატონი ბრძანდებით, დავსხდეთ, მოვიკეცოთ ქართულად და ვილაპარაკოთ, ვნახოთ რა გამოვა? ჩვენი საქმე როგორ წავაწინ? ცისკრისას თუ ბრძანებთ წავიკითხოთო, აქამდინ რომ არა წავგიკითხავს რა, ახლა რაღას წარიკითხავთ. უკაცრავად კი თუ ვიქნები და, ჩვენს ცისკარს უმეტეს ნაწილად კითხულობენ ბუხები, რა რომ თავისუფლად განისვენებენ მოსამსახურეების ოთახში, იმისი ადგილი იქ არის, კაბინეტში შეტანა როგორ იქნება — ქართულს ენაზედ არის დაბეჭდილი...“

„ცისკრის“ შემდგომ ნომერში კი მიხ. თუმანიშვილი უზრუნველად აცხადებს: „იციოთ მკითხველნო, მეტადრე რას ვიწადი მე, თქვენი მონა და ფეხის მტვერი? იმას, რომ ჩამოვარდეს ჩემში და თქვენში მშვიდობიანობა, თუ მეტი რამ

მომივიდეს ლაყბობა, თქვენც მომიტევეთ და აღარ გამოძე-  
კიდნეთ... მე ვარ თქვენი ზონა, თქვენთვის გაჩენილი, რომ არ  
მოიწყინოთ, არ მიეცნეთ მილულებას... ჩვენი რედაქტორიც  
არ არის ახლა უიმედო და უფრთო: როგორც მითხრა ყურში,  
ბევრნი საიმედონი კაცნი დაჰპირებიან დახმარებას; ჯერ არ  
ასახელებს იმათს სახელს“.

ივანე კერესელიძე თავის მკითხველს მიმართავს გამოთქ-  
მით: „ჩემო სამშობლო ენის მოყვარე ქართველო!“ (1857,  
№ 12), მიხ. თუმანიშვილი კი უბრალოდ: „ჩემო მკითხველო“  
ან „მკითხველნო!“ (1858, № 1). როგორც 1857 წლის პირველ  
ორ „სალაყბო ფურცელში“, ისე შემდეგშიაც ივ. კერესელიძე  
ხშირად ხმარობს პირადად მისთვის დამახასიათებელ ისეთ გა-  
მოთქმებს, რომლებსაც სხვების ნაწერებში ვერ ვხვდებით.  
მაგალითად: „...დაბრძანდით თუ არა ქართულად ტახტზედ?“ —  
„დასდექ კალამო, საქართველოს ბატის გამონაცემო!“ — „მო-  
მიტევეთ, უკაცრავად ნუ ვიქნები, შეგაწუხებთ ბევრის ჩემის  
ლაყბობით, ამასთანავე, მგონია, მოკეცითაც დაილაღენით,  
აბრძანდით თუ აგრეა, ნუ შეწუხდებით“; — „თქვენი სამშობ-  
ლო ენის მზეს გაფიცებთ“, „ქართულის ენის მოყვარე ქართ-  
ველს ვახლავარ სამსახურში“.

წინადადება: „ვინც წარმატებაში წავა, ჩვენ უკან მივდი-  
ვართ; ვინც წარმატებაში შევა, ჩვენ გვაკლდება“ — გვხვდება  
როგორც „სალაყბო ფურცლებში“ (1863, დეკემბერი), ისე  
ივ. კერესელიძის სარედაქციო განცხადებებში; აგრეთვე გამო-  
თქმა: „მეტადრე ამ წელიწადს, ამ ახალს დამდეგს წელიწადს,  
ჯერ ორმოცდა ათი, თუნდა ვთქვათ, სამოცია [ხელის მომწერის],  
მრთელს იმერეთში, გურიაში, აბხაზეთში, მეგრელიაში და  
სრულიათ საქართველოში“ — არა ერთხელ მეორდება სარე-  
დაქციო განცხადებებშიც.

საკმარისია წავიკითხოთ ივ. კერესელიძის ხელმოწერით  
დაბეჭდილი თხზულებები: „რამდენიმე აზრი შესახებ კენჭის  
დამთავრებზეა“ („ცისკარი“, 1861 წ. თებერვალი), „ახალი  
სამართალი და იმისი მოქმედება ხალხზედ“ („ცისკარი“, 1866 წ.  
აპრილი), „ტფილისის მოგზაურობითგან“ („ცისკარი“, 1868 წ.  
მაისი), „ტფილისის ამბები“ („ცისკარი“, 1870 წ. მაისი) და

ბევრი სხვა, რათა დავრწმუნდეთ, რომ ამ ნაწარმოებთა სტილი არაფრით განსხვავდება „სალაყბო ფურცლების“ სტილი-საგან.

„სალაყბო ფურცლის“ (გარდა 1858 წ. იანვრის „ფურცლისა“) ერთი უმთავრესი ნიშანია — საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებათა და მაღალი მდგომარეობის მქონე ცალკეულ პირთა მოურიდებელი მხილება, გაკიცხვა-განქიქება. პირველსავე „სალაყბო ფურცლებში“ გამათრახებელი არიან დიდი თანამდებობის ქართველები, რომლებიც ქართულ ჟურნალს აბუჩად იგდებენ. მაგალითად, სამარცხვინო ბოძნეა გაკრული ის არისტოკრატი (უსათუოდ კონკრეტული პიროვნება), რომელსაც უთქვამს, რა საჭიროა ქართული ენა, იგი მხოლოდ დიდმიდან თბილისის აბანოებამდეა გამოსადეგო. ასევე სახალხოდ გაშვებულია ის დიდი თანამდებობის ქართველი, რომელსაც „უმალღესი პირისთვის“ განუცხადებია: „რა საჭირო გახლავსთ ქართული ტეატრი, მაშინ, როდესაც რომ არის რუსული და ამასთანავე ოპერა იტალიანურს ენაზეო“.

მოლაყბე ხაზს უსვამს „სალაყბო ფურცლის“ მამხილებელ დანიშნულებას: „ბევრნი დამიწყებენ აუგათ ლაპარაკს და კიცხვას: ამას როგორ კბედავსო? ასე პირდაპირ როგორ ლაპარაკობს და არ ეშინია არც ღვთისა და არც ღვთის რისხვისა. — არა, მოწყალენო ხელმწიფენო! რასაც სიცრუით ვილაპარაკებ და ვიტყვი, იქ მეშინიან ღვთისაც; ღვთის რისხვისაც და თვითონ უკანასკნელის კაცისაც; რასაც სიმართლით ვილაპარაკებ, იქ, ვინც იყოს, არ მოვერიდები“. 1866 წ. იგი წერს: „რაც რამ ვრცი, ცისკრით ვილაპარაკებ, ეს არის ჩვენი მოენე... მე მართლის თქმა მიყვარს, ამასთანავე, პირდაპირ... ჩემი ყოფაცხოვრება დამიღამებია სიმართლეზედ და სიმართლეზედვე ვაპირებ გადავებას“. მიხ. თუმანიშვილის მხატვრულსა და პუბლიცისტურ შემოქმედებაში მოურიდებელი, პირდაპირი მხილების შემცველ ადგილებს თითქმის ვერ ვხვდებით. დაუზოგავი, პირდაპირი მხილება უცხო იყო მისი ლიტერატურული მიმართულებისათვის და შეუფერებელი მისი საზოგადოებრივი მდგომარეობისათვის. ივ. კერესელიძის თითქმის მთელი პუბლიცისტური და მხატვრული შემოქმედება მამხილებელი

ხასიათისაა. პირდაპირი, დაუზოგავი მხილება მას მწერლის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია. მის ნაწერებში გარკვევით ისმის მოლაყბის უღმობელი ხმა. სანიმუშოდ ავიღოთ ლექსი — „ნიკო ნიკოლაძეს“, სადაც პოეტი ასე მიმართავს ახალგაზრდა მებრძოლ პუბლიცისტს:

შენი კალამი კალამია? — არის ისარი  
განგმირე, ძმავ, ბოროტების გულის ფიცარი.  
შენი ნაწერი რა ნაწერი? არის მკვეთელი  
ხრმალი უებრო — ბოროტების მარად მსდევნელი..  
ოჰ, რა გაბედვით, შეუპოვრად და სასაცილოდ  
გამოგყავს შავის ნიღბით ბურჯილ მრთელ ხალხის წინა  
პირი, ბოროტით შეთხუპნილი, მზა კაცთ მავნებლად,  
ქვეყნის განგაშად, საკიცხავად და დასასჯელად..  
წავა? სად წავა? მართლის გზასა ვერსად იხილევს.  
მაგ ისრით, მედგრაღ ტყორცნით მართალთ გული განკურნავ,  
მით მოძმეთ შორის დიდი ღვაწლი დაიმსახურე..

1857 წლის „სამგზავრო წერილებში“, რომელიც „სალაყ-ბო ფურცლებია“ დაფუძნებამდეა დაწერილი, ივ. კერესელიძემ მოხერხებულად ამართახებს გორის სამაზრო ხელისუფლებას ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში უმოქმედობისათვის.

„სალაყბო ფურცლის“ დაფუძნებამდეა დაბეჭდილი აგრეთვე ივ. კერესელიძის შემდეგი სიტყვებიც: „მრავალნი, ძალიან მრავალნი შესანიშნავნი საგანნი არიან (ჩვენს ცხოვრებაში), იმგვარნი საგანნი, რომელთაცა აქამომდენ არცა ერთისა მწერლის კალამი არ მოხვედრია“.

„სალაყბო ფურცლებისათვის“ (გარდა 1858 წ. იანვრის „ფურცლისა“) დამახასიათებელია მწარე სატირული ტონი, ამა თუ იმ პირის ან მანკის სუსხიანი დაცინვა, რომელიც მოულოდნელად, დამოძღვრით მთავრდება.

ერთი მაგალითი. 1858 წლის დეკემბრის „სალაყბო ფურცელში“ ივ. კერესელიძემ მიწასთან ასწორებს „ფენომენს“, — თბილისში ცნობილ ახალგაზრდა არისტოკრატს, რომელსაც მეფე ერეკლეზე მედიდურად უჭირავს თავი და ეურნალის თაობაზე მასთან მისულ „ცისკრის“ რედაქტორს ცხვირწინ კარს მიუჯახუნებს. ამართახებს რა ამ ცხვირაწეულ ქართველს, ავტორი ასეთი შემავგონებელი წამოძახილით ამთავრებს სუ-

რათს: „აი საფუძველი ქართველებისა, აი ნუგეში, აი საიდან წარმოსდგება წარმატება საწყლის ენისა“...

მის. თუმანიშვილის მხატვრულ-პუბლიცისტური შემოქმედებისათვის უცხოა ამგვარი სატირა ზემოაღნიშნული სიტუაციითა და მორალით. ივანე კერესელიძის შემოქმედება მდიდარია ამგვარი თხზულებებით (ლექსი — „ოჰ, ქართველო, რა კაცი ხარ“ და სხვ.).

მოლავზე მუდამ გულმხურვალედ ლაპარაკობს საერთო საქმეზე, განსაკუთრებით „ცისკარზე“. მის სიტყვებში ისმის საერთო საქმის წარუმატებლობით გამოწვეული გულსტიკილი, საოცარი მდუღარება, რომელსაც იგი დაუფარავად, თანაგრძნობის გამოწვევის აშკარა სურვილით უზიარებს მკითხველს. ეს ნიშანიც ყველა „სალაყბო ფურცლის“ დამახასიათებელი თვისებაა, გარდა 1858 წლის იანვრის ფურცლისა.

1857 წლის დეკემბრის „სალაყბო ფურცელში“ ვკითხულობთ: „უფ! ძალიან დავიღალე... თქვენ იქნება გგონიათ ლაპარაკით დავიღალე, ესე იგი წერით! არა,... არცა წერით დავღალულვარ და არცა ლაპარაკით. გულმოსულს კაცს რა მოღალავს. მე დავიღალე რა წარმამიდგა ეს საშინელება, რომ ჩვენის თავის უბედურს მდგომარეობაში ყოფნის მიზეზნი ვართ თვითონ ჩვენვე! კაცი თავის თავსა თვითონა მტრობდეს!!! არა, თუ ღმერთი გრწამსთ, ამაზედ უსაშინელესება გაგონილა სადმე?“

მის. თუმანიშვილის შემოქმედებაში ამ თვისების ნიშანწყალიც არსადაა, ხოლო ივ. კერესელიძის თხზულებებიდან მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისი „სარედაქციო განცხადებები“.

ივ. კერესელიძის ერთ-ერთ სარედაქციო განცხადებაში ვკითხულობთ: „მგონი ეს დიდი სათაკილო იყოს ჩვენთვის: მილიონ ნახევარი ქართველნი ვცხოვრობთ საქართველოში და ერთი ჟურნალი თავის წესზე ვერ დაგვიყენებია! მერე ვინ არის მიზეზი? განა არ იცით ზემოთქმულთა გვარნი პირნი“.

ძალიან ხშირად „სალაყბო ფურცლებში“ სიტყვასიტყვითაა განმეორებული ივ. კერესელიძის ხელმოწერილი თხზულებების, კერძოდ, „სარედაქციო განცხადებების“ ადგილები.

დავკმაყოფილდებით რამდენიმე მაგალითით. 1857 წლის დეკემბრის „სალაყბო ფურცელში“ ნათქვამია: „ამისთანას ბედნიერს მდგომარეობაში თავის დღეშიაც არა ვყოფილვართ ჩვენს დიდის ხელმწიფის და საზოგადოს მამის წყალობითა“. ივ. კერესელიძის ამავე პერიოდის ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „გარწმუნებთ, რაც შეშვენის ჩვენს მამულს და ჩვენის საზოგადოს მამის საზოგადოებითს ზრუნვითს დროებას (არაფერს დავიშურებთ)“.

იმავე „სალაყბო ფურცელში“ მოლაყბე ასე ახასიათებს გიორგი ერისთავის დამსახურებას ქართული კულტურის წინაშე: „თ. გ. ერისთავი ვახსენე და უალაგო არ იქნება ვსთქვა: რა გრძნობით ვუყურებდით თ. გ. ერისთავს, რომელმანცა დააფუძნა „ცისკარი“, აღადგინა დაცემული ქართული ენა, მრავალი კეთილი შესძინა საქართველოს და... რომლის წყალობითაც ახლაცა გამოდის ჟურნალი“.

თავისი სახელითა და გვართ ხელმოწერილ წერილში — „კენჭი“, — ივ. კერესელიძე წერს: „ეს მებნუთე წელიწადია, რაც გამოდის ჩვენს ენაზედ სალიტერატურო ჟურნალი ჩემს მხედველობის ქვეშ... არ შეიძლება ამ შემთხვევაში, არ მოვახსენო მადლობა ამ ჟურნალის დამფუძნებელს თ. გიორგი ერისთავსა, რომელიცა იმყოფება ახლა აქ და რომელიცა იყო მიზეზი ახლანდელს საუკუნეში ჩვენის ლიტერატურის გზის გახსნისა“. ეს სიტყვები ივ. კერესელიძეს განმეორებულ აქვს აგრეთვე ნეკროლოგში გ. ერისთავის შესახებ და მისდამი მიძღვნილ ლექსში.

ივ. კერესელიძის 1857 წ. ივნისის სარედაქციო განცხადებაში აღნიშნულია: „მილიონ ნახევარი ქართველნი ვცხოვრობთ საქართველოში და ერთი ჟურნალი თავის წესზე ვერ დაგვიყენებია... პარიჟში სამოცი კომლი სომეხი დგას და იმისთანა ჟურნალი აქვსთ, რომ თითქმის ევროპა ჰკვირობს“.

1857 წ. სექტემბერში დაწერილ კერძო ბარათში ივ. კერესელიძე წერს: „...ნუ, ნუ ინებებ საცოდავის „ცისკრის“ დაჩაგვრასა, დააცადე გაუთენდეს დილა!.. მეტადრე ახლა, რომ სომხებმაც დაიწყეს ტფილისში გამოცემა. ჩვენ რომ აღარ გამოვცეთ, რა იქნება!“ არცხვენს რა თანამემამულეებს, მო-

ლაცხეს მკაფიო მაგალითები მოაქვს მოძმე სომეხი ხალხის კულტურული ცხოვრებიდან და მისაბამად თვლის მათ. როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს არა უბრალო სტილიურ ნათესაობასთან, არამედ „სალაყბო ფურცლის“ დაარსებამდე დაწერილი თხზულებების აზრებისა და ფელეტონური ხერხების ზუსტ განმეორებასთან.

მთელი რიგი ინდივიდუალური გამოთქმები და სხვა ენობრივი რეალიები, რომლებსაც ძალიან ხშირად ვხვდებით „სალაყბო ფურცლებში“, ნბოლოდ ივ. კერესელიძის თხზულებებსა და კერძო წერილებში პოულობს პარალელს. ასეთებია: „სხვათა ენა“, „თრინჯული“ (იტალიურის ნაცვლად), „ჩხაბა“, „სოფ. ჯანდამი“, „აფერუმ!“, „სარწმუნო ვარ“, „ქაჯეთის ქვეყანა“, „გვენაჯიშება“, „შექირება“, „სამშობლოს ენის მოყვარულო ქართველო“, „ღვარძლი არ შემოვიტანოთ ჩვენს ენაში“, „ემმაკათ და ქაჯათ“, „მღერობს“, „ჩვენს ჩირქებზედ ლაპარაკი დაგვეკვებება“, „გრძნობით წარმოთქმელი მწერალი“, „სისრულეში მოვა“, „მტერნი გაიხარებენ“. „რა ნაჟუსი იქნება“, „დააცადე, გაუთენდეს დილა“ [„ცის-კარს“], „მკითხველნო, რომელთათვისაც ყოველთვის მზათა ვარ“, „ჩემი გულწრფელობითი ესე თქმა“, „ერთი ჟურნალი თავის წესზე ვერ დაგვიყენებია“, „შემიძლიან გაბედვით მოგიგო“, „მცირეთა ხელისმოწერთა მიხედვით“, „ყოველი ქართველი მოვალეა თავის სამშობლო ენას მისცეს შემწეობა“, „უგრძნობელნი ვართ“, „აქამომდენ ფულს არ შეიტანენ რედაქციაში“, „ჩვენს ქვეყანაში მეფობს ყოველით კერძო მყუდროება და მოსვენება“, „ვიფიქროთ ჩვენს შვილიშვილზედ“, „გავისწოროთ ზნეობა, წამბდარი ზნეობა ქართველთ არ შეშენის“, „ვიფიქროთ მომავალზედ“, „რედაქციის სიღარიბე არის საზოგადოების სიღარიბე“, „ძლიერ შორავს“, „ზოგნა ერთმა“, „ყოველი ღონისძიება მოგვიხმარებია“, „საზოგადოთ მეცადინეობით“, „შორს დამნახველი ქართველი და შორს საქმის შემტყობი“, „მილიონ ნახევარზე მეტ ქართველებში ერთი მხოლოდ ჟურნალი გამოდის“, „ამის მიზეზი გამომცემი კი არ გახლავთ, თვითონ ქართველები ბრძანდებიან“, „ახ! დასდექ კალამო, საქართველოს ბატის გამონაცემო“, „გაზა



ის ღარიბნი ჩვენი ძმანი საზოგადოებას არ შეადგენენ?", „მივ-  
ხედოთ სომხებს, თითოთ საჩვენებელ სომხებს“, „სთველი ფუ-  
ლებისა“, „იყო ღირსი შენიშვნისა“, „თუ მკითხველნი იქნე-  
ბიან ვინმე, ე. ი. თუ რედაქტორს ხელისმომწერნი ეყოლე-  
ბიან“, „ნამდვილთ ქართველთა“, „ახიც არის!.. არა, რომელს  
ესმის ჩემი ლაპარაკი?“, „ყოველი კაცი მოვალეა უყვარდეს  
თავისი მამული“, „თავისმოყვარეობა ჩვენი“ და ბევრი სხვა.

მიხ. თუმანიშვილის ნაწერებში ამ ინდივიდუალურ გა-  
მოთქმებს ვერ ვხვდებით.

რამდენიმე მაგალითი:

1. „ნაჩხაბი“ („ჩხაბა“): ივ. კერესელიძის 1857 წ. სექტე-  
მბრის ბარათი რაფ. ერისთავისადმი; ივ. კერესელიძის 1864 წ.  
სექტემბრის განცხადება. 1860 წ. თებერვლის სარედაქციო  
განცხადება და სხვ. 1858 წ. მარტის „სალაყბო ფურცელი“,  
1863 წლის ნოემბრის „სალაყბო ფურცელი“ და სხვ.

2. „სხვათა ენა“ („სხვათა ენის ხალხი“): ივ. კერესელიძის  
1857 წ. სექტემბრის ბარათი რაფ. ერისთავისადმი (სამჭერაა  
განმეორებული); 1857 წ. ივნისის განცხადება, 1858 წ. ნო-  
ემბრის განცხადება და სხვ.

— 1857 წ. ნოემბრისა და დეკემბრის (პირველი) „სალაყბო  
ფურცელი“, 1861 წ. თებერვლის „სალაყბო ფურცელი“,  
1862 წ. იანვრის „სალაყბო ფურცელი“, 1858 წ. მარტის „სა-  
ლაყბო ფურცელი“, 1858 წ. ნოემბრის „სალაყბო ფურცელი“,  
1858 წ. დეკემბრის „სალაყბო ფურცელი“ და სხვ.

3. „სარწმუნო ვარ“: ივ. კერესელიძის 1856 წ. „სამგზავრო  
წერილები“, ივ. კერესელიძის 1857 წ. დეკემბრის განცხადება;  
1857 წ. ივნისის განცხადება, 1858 წ. დეკემბრის განცხადება  
და სხვ.

— 1857 წ. ნოემბრის (პირველი) „სალაყბო ფურცელი“;  
1857 წ. დეკემბრის (მეორე) „სალაყბო ფურცელი“ (რამდენ-  
ჯერმეა განმეორებული) და სხვ.

4. „თრინჯული“: — 1857 წ. ნოემბრისა და დეკემბრის  
(პირველი ორი) „სალაყბო ფურცლები“, 1858 წ. ნოემბრის  
„სალაყბო ფურცელი“ (დამახასიათებელია, რომ სიტყვას  
„იტალიური“ ივ. კერესელიძე 1857 წ. ნოემბერ-დეკემბრის

ფურცლებში უკეთებენ შენიშვნას: „თრინჯული“; 1858 წ. იანვრის ფურცელში მიხ. თუშანიშვილი მხოლოდ „იტალიურს“ ხმარობს; შემდეგ ფურცლებში ივ. კერესელიძე კვლავ შენიშნავს („თრინჯული“).

„მივხედოთ სომხებს, თითოთ საჩვენებელ სომხებს“: ივ. კერესელიძის 1857 წ. ივნისის განცხადება; 1857 წ. სექტემბრის წერილი რაფ. ერისთავისადმი; 1857 წ. ნოემბრის, 1860 წ. დეკემბრის, 1863 წ. დეკემბრის „სალაყო ფურცლები“.

5. „მღერობს“: ივ. კერესელიძის 1857 წ. სექტემბრის ბარათი რაფ. ერისთავისადმი; 1858 წ. ნოემბრის „სალაყო ფურცელი“ და სხვ.

6. „ჩემი გულწრფელობითი ესე თქმა“: ივ. კერესელიძის 1857 წ. ივნისის სარედაქციო განცხადება; 1857 წ. დეკემბრის „სალაყო ფურცელი“, 1860 წ. დეკემბრის „სალაყო ფურცელი“, 1858 წ. მარტის „სალაყო ფურცელი“ და სხვ.

7. „რედაქციის სიღარიბე არის საზოგადოების სიღარიბე“: ივ. კერესელიძის 1857 წ. ივნისის განცხადება; 1857 წ. ნოემბრის (პირველი) „სალაყო ფურცელი“ და სხვ.

8. „მილიონ ნახევარზე მეტ ქართველში ერთი მხოლოდ ეურნალი გაჰოდის“: ივ. კერესელიძის 1857 წ. ივნისის განცხადება; ივ. კერესელიძის 1857 წ. სექტემბრის წერილი რაფ. ერისთავისადმი; ივ. კერესელიძის 1864 წ. სექტემბრის განცხადება; 1857 წ. ნოემბრის (პირველი) „სალაყო ფურცელი“ და სხვ.

9. „ამის მიზეზი თვითონ ქართველები ბრძანდებიან“: ივ. კერესელიძის 1857 წ. ივნისის განცხადება; ივ. კერესელიძის 1864 წ. სექტემბრის განცხადება; — 1857 წ. ნოემბრის (პირველი) „სალაყო ფურცელი“; 1860 წ. დეკემბრის „სალაყო ფურცელი“, 1862 წ. იანვრის „სალაყო ფურცელი“ და სხვ.

10. „სამშობლოს ენის მოყვარენო ქართველნო“: 1858 წ. ნოემბრის განცხადება, — 1857 წ. ნოემბრის „სალაყო ფურცელი“, 1857 წ. დეკემბრის „სალაყო ფურცელი“, 1858 წ. მარტის „სალაყო ფურცელი“ და სხვ.

(„მხოლოდ თქვენ, სამშობლოს ენის მოყვარენო ქართველ-  
ნო, თქვენზედ არის დაპოკიდებული ყოველივე იმედი, თქვენ-  
ზედ არის დაფუძნებული „ცისკრის“ წარმატებაც და ნაკლუ-  
ლოვანებაც“. ივ. კერესელიძის „განცხადებიდან“, 1853 წ.  
[ოქტომბერი]).

11. „ღვარძლი არ შემოიტანოს ჩვენს სუფთა ენაში“:  
ივ. კერესელიძის 1860 წ. იანვრის განცხადება; 1864 წ.  
სექტემბრის განცხადება; 1864 წ. აპრილის „სალაყბო ფურ-  
ცელი“ („სიქსტი V“) და სხვ.

12. „გაუფენოთ [„ცისკარს“] ღვთის გულისათვის დილა“:  
ივ. კერესელიძის 1857 წ. სექტემბრის წერილი რაფ. ერისთა-  
ვისადმი; მისივე ლექსი „ცისკარი 1857 წ.“, 1958 წ. მარტის  
„სალაყბო ფურცელი“ და სხვ.

ჩვენს მიერ დადგენილია ივ. კერესელიძის ენის ზოგიერთი  
გრამატიკული თავისებურებაც, რომელიც დამახასიათებელია  
აგრეთვე „სალაყბო ფურცლებისათვის“. მაგალითად, საზღვ-  
რული არსებითი სახელის წინ მსახლვრელ ზედსართავ სა-  
ხელს ივ. კერესელიძე მოქმედებით ბრუნვაში სვამს. („გულწი-  
ფელობითი თქმა“, „ბედნიერებითი მდგომარეობა“ და სხვ.);  
პირველ თურმეობითში ზმნებს ივ. კერესელიძე ხმარობს  
„ეს“ სუფიქსით („დაგრჩომიეს“, „გცოდნებიეს“, „გქონები-  
ეს“, „მოკლებიეს“, „დაგდუშებიეს“, „დაგიკრეფიეს“ და  
სხვ.). ვფიქრობთ, წარმოდგენილი მაასალაც საკმაოა იმის და-  
სამტკიცებლად, რომ ივ. კერესელიძის ხელმოწერილი თხზუ-  
ლებებისა და ყველა „სალაყბო ფურცლის“ ენობრივ-სტრუ-  
ქტურული ნიშნები (გარდა 1858 წ. იანვრის ფურცლისა) საესებით  
იდენტურია.

„სალაყბო ფურცლების“ ბევრი ადგილი სიტყვაპიტყვით  
გვხვდება ივ. კერესელიძის იმ ნაწერებში, რომლებიც მოლაყ-  
ბის ფსევდონიმის გამოჩენამდე დაიწერა.

1857 წ. სექტემბრის წერილში ვკითხულობთ: „ერთად  
ეცადენით, ერთად იზრუნეთ ჩვენის ენისათვის. არ დავცეთ,  
არ მოვსპოთ... ხომ კარგად იცი, რომ ეს საქმე საზოგადოა“. ეს  
კონტრატუქცია გამეორებულია პირველ „სალაყბო ფურცელ-  
ში“: „მხოლოდ თქვენ, სამშობლოს ენის მოყვარენო ქართველ-

ნო, თქვენზედ არის დამოკიდებული ყოველივე იმედი, თქვენზედ არის დაფუძნებული „ცისკრის“ წარმატებაც და ნაკლულევანბაც... შევუდგეთ ერთად, საზოგადოდ საზოგადოს საქმეს“. (აგრეთვე ივ. კერესელიძის ხელმოწერით დაბეჭდილი სარედაქციო განცხადება, 1858 წ. ნოემბერი).

სრულიად საწინააღმდეგო დასკვნამდე მივყავართ მიხ. თუმანიშვილის შემოქმედების ენობრივ-სტილიურ ანალიზს. მიხ. თუმანიშვილის სტილი კარდინალურად განსხვავდება „სალაყბო ფურცლების“ სტილისგან; სამაგიეროდ, იგი სავსებით შეესატყვისება 1858 წლის იანვრის „სალაყბო ფურცლის“ სტილს, რომელიც მიხ. თუმანიშვილს ეკუთვნის.

მიხ. თუმანიშვილის ენისათვის დამახასიათებელია არქაული ფორმები, სევდადაკრული უზრუნველი ტონი, დარბაისლური რიტმი, რომანტიკულ-პოეტური მელანქოლია. მიხ. თუმანიშვილის ენა გაშალაშინებული და მშვიდია; იგრძნობა, რომ ავტორი გულმოდგინედ ეძებს მოხდენილ გამოთქმებს, ანგარიშს უწევს დადგენილ ნორმებს. მას განსაკუთრებით აინტერესებს მხატვრული მხარე, დახვეწილობა; არ ჩქარობს, ეძებს ლიტერატურულ პარალელებს და ა. შ. ეს სტილი სავსებით შეესაბამებოდა მიხ. თუმანიშვილის ლიტერატურულ მიმართულებასა და საზოგადოებრივ მდგომარეობას. წერაში აუჩქარებლობა, სიღინჯე, დაკვირვება, სიღარბაისლე, ხელი-სუფლებასთან და საზოგადოებასთან რენომეს შენარჩუნების სურვილი, ცხადია, ლიტერატურულ სტილზედაც სათანადო ზეგავლენას ახდენდა. მიხ. თუმანიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის მიუღღგომელი ანალიზი გვარწმუნებს, რომ, როგორც შემოქმედი, იგი ბოლომდე რომანტიკოსად დარჩა. ამ მხრივ მიხ. თუმანიშვილს გარკვეული ადგილი უჭირავს ქართული მწერლობის ისტორიაში. უდავოდ მნიშვნელოვანია იგი, აგრეთვე, როგორც ჩვენი კულტურის მოღვაწე; რეალისტური შემოქმედების პოზიციებზე დადგომა მან ვერ შეძლო.

მიხ. თუმანიშვილის სტილისთვის დამახასიათებელია მანერულობაც, რაც, სხვათა შორის, უცხო სიტყვებისა და სახელეების გადაჭარბებით ხმარებაშიაც გამოიხატება. თავის ერთადერთ

„სალაყბო ფურცელში“ იგი ახსენებს ბელინის, დონიციეტის, ვაგნერს და სხვ. 1858 წ. მარტისა და ნოემბრის „სალაყბო ფურცლებში“ ივ. კერესელიძემ სასააცილოდ აიგდო ეს.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, კერძოდ, 1838 წლიდან, მიხ. თუმანიშვილი, შეიძლება ითქვას, ფაქტიურად ჩამოცილდა სალიტერატურო ასპარეზს. 37 წლის განმავლობაში მან მხოლოდ ორიოდ უმნიშვნელო ნაწარმოებილა შექმნა. 50-იან წლებში რამდენიმე რეცენზია გამოაქვეყნა გაზ. „კავკაზში“. ამ რეცენზიებს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ.

40-70-იან წლებში მიხ. თუმანიშვილის შემოქმედების ხასიათზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ იმ ნაწარმოებთა მიხედვით, რომლებიც მან „ცისკარში“ თანამშრომლობის ერთი თვის (1858 წ. იანვარ-თებერვალი) განმავლობაში გამოაქვეყნა (კორესპონდენციები, ცხადია, ამ თვალსაზრისით ანგარიშგასაწევი არ არის). ძირითადად ამ ნაწარმოებთა მიხედვით შეიძლება მიხ. თუმანიშვილის ლიტერატურულ მიმართულებასა და სტილზე მსჯელობა. რამდენადაც იმ დროის ქართულ პერიოდიკას ვიცნობთ, სხვა მხატვრული თხზულებანი მიხ. თუმანიშვილს არ გამოუქვეყნებია. ეს თხზულებებია: ლექსი „ფილა“, „ზამთრის შემოღამება“ (რასტოპჩინინდგან), „აღსასრული ქვეყნისა“ (კამენსკიდან) და 1958 წ. იანვრის „სალაყბო ფურცელი“. არცერთი ამ თხზულებათაგანი არ არის რეალისტური ნაწარმოები. ავტორი თარგმნის არა რეალისტური, არამედ მისტიკურ („აღსასრული ქვეყნისა“) და რომანტიკულ („ზამთრის შემოღამება“) თხზულებებს.

ივ. კერესელიძის ენა მღელვარე, დაუმუშავებელი, პოლემიკური, პირდაპირი, შეუფარავ-შეულამაზებელია. წინადადებებს აკლია დახვეწა. ეტყობა, ავტორს გასარანდავად არ ეცალა. იგი ხშირად ხმარობს ტლანქ, ლიტერატურაში ჭერ დაუმკვიდრებელ გამოთქმებს, უგულუბელყოფს არქაულ ნორმებს. ივ. კერესელიძის ამ ხალხურმა კილომ ილია ჭავჭავაძის ქება დაიმსახურა. ილიამ არა მარტო „სალაყბო ფურცლების“ ენა მოიწონა, არამედ ამ თვალსაზრისით ივ. კერესელიძის სხვა თხზულებანიც შეაქო.

ივ. კერესელიძის ავტორ- მთელ რიგ შემთხვევებში „ცის-  
რობა მუდღუნდება „სა- კრის“ რედაქტორი თავის თავს მო-  
ლაყბო ფურცლების“ ლაყბესთან აიგივეებს. „თერგდალე-  
ქარაგმულ გამოთქმებ- ულის“ (კირ. ლორთქიფანიძის) წე-  
შიც რილს: „ორიოდე სიტყვა „ცისკარ-  
ზედ“ („ცისკარი, 1862 წ. სექტემბე-

რა) ივ. კერესელიძე შემდეგ შენიშვნას ურთავს:

„ჩვენ თერგდალეულს პასუხს არ ვაძლევთ, რადგანაც მო-  
ლაყბემ იკისრა პასუხის მიცემა და ამასთანავე იბეჭდება ამ  
საგანზედ მოლაყბის შესავალი. უმეტესად ამისათვის არ ვაძ-  
ლევთ ჩვენ პასუხს, რომ ჩვენი და უფ. მოლაყბის  
აზრი სავსებით ერთია“! (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

„თერგდალეულის“ წერილს, რომელსაც ივანე კერესელი-  
ძის ეს შენიშვნა აქვს დართული, მოჰყვება „სალაყბოს ფურ-  
ცელი“; მოლაყბე ცდილობს დაიცვას „ცისკარი“ ყველა იმ  
ბრალდებისაგან, რომლებიც კირ. ლორთქიფანიძის წერილშია  
წამოყენებული.

1862 წ. ოქტომბრის „სალაყბო ფურცელში“ ივ. კერესე-  
ლიძე ამბობს, რომ თერგდალეულმა: „მეც (ე. ი. მოლაყ-  
ბეც. ა. კ.) მაქოო“, — (ხაზი ჩვენია. ა. კ.). ამავე დროს, —  
იცავს რა თავს, — წერს: „...ამაში რედაქტორმა რა ქნას, მწერ-  
ლები ზომ სტამბის საბეჭდავი არ არის, რომ ლონდონიდან  
დაიბაროს“.

ამ „სალაყბოს ფურცლის“ უდავო ავტორს, ივანე კერესე-  
ლიძეს, რომ მოლაყბე თავის ფაქტობრივად მიაჩნია,  
ცხადად ჩანს შემდეგი სიტყვებიდანაც: „...აქებს თერგდალეუ-  
ლი ზოგიერთს მწერლებს, რომელთაც შრომები „ცისკარში“  
დაბეჭდილები იყვნენ: დ. ჰონჭაძეს, დიმ. ყიფიანს, გარდაქეშ-  
ნელს, ბერიძეს, ლავრ. არდაზიანს და მე, უღირსს  
მონას და მოსამსახურეს (ე. ი. მოლაყბეს. ა. კ.) (ხაზი  
ჩვენია. ა. კ.).

„თერგდალეულმა“ სასაცილოდ აიგდო ივანე კერესელიძის  
ლექსი „ცისკარი“, რომელიც „ცისკრის“ 1957 წლის პირველ  
ნომერშია დაბეჭდილი.

მოლაყბე აღშფოთებულია თერგდალეულის კრიტიკით,

იცავს თავს, განმარტავს ცალკეულ სტრიქონებს და ავტორისათვის დამახასიათებელი გულისტკივილით წერს: „...ამ ლექსს თქვენ სხვაგვარად და უკუღმით მარტავთ“.

„თერგდალეულის“ (კირ. ლორთქიფანიძის) მოსაზრებების დასაცავად, ივ. კერესელიძის 1862 წლის ოქტომბერ-ნოემბრის „სალაყბოს ფურცლებს“ წინააღმდეგ. „საქართველოს მოაზრების“ 1863 წლის მაისის წიგნში დაიბეჭდა გ. წერეთლის წერილი — „ცისკარს“ რა აკაკნებდა?“. ავტორი გადაჭარბებული პოლემიკური სიცხარით ეკამათება „ცისკარის“ რედაქტორს და, არსებითად, ამქლავნებს, რომ „მოლაყბე“ ივ. კერესელიძის ფსევდონიმაა.

გ. წერეთელს მოაქვს ივ. კერესელიძის შემდეგი სიტყვები 1862 წლის ნოემბრის „სალაყბო ფურცლიდან“: „...აქებს თერგდალეული ზოგიერთს მწერლებს, რომელთ შრომები „ცისკარში“ დაბეჭდილი იყვნენ: ჰონჭაძეს, დიმიტრი ყიფანას, გარდაქმნელს, ბერიძეს, დიმიტრი ბაქრაძეს, ლავრენტი არდაზიანს და მ. ე. უღირასს მონას და მოსამსახურეს (ე. ი. „მოლაყბეს“. ა. კ.)“. ამ სიტყვებს გ. წერეთელი ანეთჟენიშენას ურთავს ფრჩხილებში: „ტყვილა პირს ნუ იწეავ. რა საქებიცა ხარ. შევიტყვეთ...“ მოაქვს ისევ ი. კერესელიძის სიტყვები: „ქებისთვის დიდი მადლობა“! — და კვლავ ეკამათება: „სულ ტყვილა! თუ მართლა თერგდალეულმა გაქო, ძლიერ შემცდარა“.

1860 წლის თებერვლის „სალაყბო ფურცელში“, აკრიტიკებს რა თავადაზნაურთა წინამძღოლის არჩევნებს, მოლაყბე ამბობს: „დაბოლოების დროს უნდოდა კიდევ წაეკითხა ერთს (იგულისხმება მოხსენება. ა. კ.) და ეს ერთიც გახლდათ უფალი ჩვენი რედაქტორი, მაგრამ ამას კი აღარ მისცეს ნება, ესეც არას ითხოვდესო; უნდა კი დაიბეჭდოს, რაცა ჰქონია მომზადებული. ამ პირობით ვუგზავნი შენის წიგნის პირს კერესელიძეს, რომ ამ ჩემის სალაყბოს ფურცლის ქვემოთ ის თვისა ქმნილებაც ჩაურთოს“. ამ სიტყვებს კერესელიძე შემდეგ შენიშვნას ურთავს: „მეტი გზა არ არის, უნდა აღვიაროთ უფ. მოლაყბის თხოვნა“.

1862 წლის იანვრის „სალაყბო ფურცელშიც“ ადვილი გა-

მოსაცნობია ივ. კერესელიძე. იგი წერს: ...თუ შემდგომს თვე-ში ეყოლებიან მკითხველნი „ცისკარს“, რომლის პირველი ერთგული თანამშრომელი ვარ მე, და რომლის აღმოფხვრას... მეცადინეობენ ზოგიერთნი... მოვილაპარაკებ და საზოგადოებასვე წარუდგენ დასასჯელად საზოგადოს ხმით“. „...1864 წლის იანვრის „ცისკარში“ ივანე კერესელიძე წერს: „...ამაზე (იგულისხმება წინამძღოლის არჩევნები. ა. კ.) დიდი მოლაპარაკება გვმართებს მკითხველებთან, მაგრამ რადგანაც მოველით მოლაყბისაგან დაწვრილებით აღწერას ამ საგანზედ, ამისათვის ჩვენ არა გვეთქმის რა. ჩვენი მოლაყბე ყოველთვის ამ შეკრებაში იმყოფება და რასაკვირველია დიდის ყურადღებით ადევნებს თვალყურს“.

აქვე „ცისკარის“ რედაქტორი გვატყობინებს: „...ამ საგანზედ (იგულისხმება ქართული წარმოდგენა. ა. კ.) აღგვითქვა შემდგომს ნომერში მოლაყბემ მკითხველებთან მოლაპარაკება, სადაც მკითხველნი დაწვრილებით შეიტყობენ ამის გარემოებას“.

შეგვიძლია მრავალი მსგავსი ამონაწერები მოვიტანოთ იმის დასადასტურებლად, რომ „ცისკარის“ რედაქტორი მოლაყბის სახელით ლაპარაკობს, წინასწარ იცის, რას და როგორ დაწერს მოლაყბე, რომელ ნომერში გამოაქვეყნებს მის ახალ „სალაყბო ფურცელს“ და ა. შ.

რამ აიძულა ივანე კერესელიძე ამოსარედაქციო მანერები ფარებოდა ასე საიდუმლოდ დაცულ მოლაყბის ფსევდონიმის დაფარვის მიზნით ფსევდონიმს?

მოლაყბის ფსევდონიმის ასეთ დაფარულობას სერიოზული მიზეზები აქვს და ეს მიზეზები, როგორც ითქვა, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმ ჭოგობეთურ პირობებზე, რომლებშიაც პირველ ქართულ სალიტერატურო ჟურნალს უხდებოდა მუშაობა.

მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ივანე კერესელიძე, როგორც მდაბიო, — ნამდვილ დევნას განიცდიდა. — „ბრწყინვალე საზოგადოება“ მას ზემოდან დასცქეროდა.

ივანე კერესელიძის საზოგადოებრივი მდგომარეობის დასახასიათებლად მოვიტან ამონაწერს ალ. ორბელიანის წერი-



ლიდან „სალაყბოს ფურცელზედ“, საიდანაც აშკარად დავინახავთ, რომ იმდროინდელ საზოგადოებას „სალაყბო ფურცლების“ ავტორად ერთხმად ივანე კერესელიძე მიაჩნდა.

ალ. ორბელიანი წერს: „იმ დღეს ერთს შეყრილობაში შევედი, რამ წამს დამინახეს, მაშინვე უფ. კერესელიძეს დაუწყეს გამობა და თან მე მაყვედრიდნენ: ემანდ შენი კერესელიძე, ემანდა რა დაუწერია „ცისკარში“ თავის „სალაყბოს ფურცელშიო“... (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

შემდეგ ალ. ორბელიანი განაგრძობს, ეს „სალაყბო ფურცელი“ ხელმეორედ ყურადღებით გადავიკითხეო... „ყაბახზე გამოვიდა; ფენომენისაკენ წავიდა და სხვანი... ამის კითხვა რომ დავასრულე, ამ დროს უ. კერესელიძე შემოვიდა ჩემთან და სამღურავი ვუთხარი — „რა დასაწერია ამგვარი იმაზე მეთქი?“ ყოვლისფრით დამარწმუნა, რომ ფანტაზიათ იყო მოხსენებულნი და არას პირს ვიზედმო“... (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

...აბა, ესეც როგორ არ ითქვას აქ? იმ შეყრილობაში, ზევით რომ ვსთქვი, სადაც უ. კერესელიძეს ჰგმობდნენ დიდად იმ სალაყბოს ფურცლისათვის, იმ ანბავში, ერთი პატროსანი აღამიანი შემოვიდა, იკითხა, რა ყოფა გაქვსთ, რა ამბავიაო? — ყველამ ერთპირად დადადჰყო და უ. კერესელიძეს გამობა დაუწყეს: აი, რა დაუწერიაო. იმან გაცინებით უთხრა: — არა! მაგ სალაყბოს ფურცლებს კერესელიძე ხომ არა სწერს, სხვაზედ თქვა, — ესა და ეს თავადის შვილი ჰსწერს და არა კერესელიძეო. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

...ამ სიტყვებზე ცეცხლს რომ წყალი დაასხა, ისე განელდნენ ყველანი და ერთმანეთს დაუწყეს დამშვიდებულის სახით ცქერა და ბოლოს ერთმა თქვა სიამოვნებით: — ჰო, ეგ კი! იმან რო დასწეროს, შეეფერება და ამას იქით კიდევ მოვიწონებთ მაგ სალაყბოს ფურცელსო. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

აჰა, ჩემო ხელმწიფენო! ამაზედ მე აღარაფერს ვიტყვი აქ<sup>1</sup>.  
ალექსანდრე ორბელიანის ამ წერილიდან აშკარაა, რომ სამი  
წლის განმავლობაში „მოლაყბედ“ მხოლოდ ი. კერესელიძეს  
თვლიდნენ და თვით კერესელიძეც ადასტურებს ამას ალ. ორ-  
ბელიანთან საუბარში — „ფანტაზიათ იყო მოხსენებულო“. <sup>2</sup>  
წოდებრივი ფანატიზმით დაბრმავებულ საზოგადოებას „სა-  
ლაყბო ფურცლების“ შინაარსი ისე არ აღლევებდა, როგორც  
ის, თუ ვინ იყო ამ ფურცლების ავტორი — მდაბიო კერესე-  
ლიძე, თუ ბრწყინვალე თავადი.

1859 წლისათვის ივ. კერესელიძის „სალაყბო ფურცლებს“  
ისე აუხმედრებია არისტოკრატია, რომ აუცილებელი გამხდა-  
რა ავტორიტეტული პირის — ალ. ორბელიანის საჭარო გამო-  
ქომავება.

„ვინმე თავადიშვილის ავტორობაც“ „ცეცხლის დასანე-  
ლებლად“ მოგონილი და ამით ისიც აშკარა ხდება, თუ რა-  
ტომ ემშვიდობებოდა არისტოკრატის მიერ დაშინებული ივ.  
კერესელიძე ჯერ კიდევ 1857 წლის დეკემბრის „სალაყბო  
ფურცელში“ თავის მკითხველებს და რა მიზნით დაუთმო მან  
მომდევნო თვეში სალაყბოს ტრიბუნა თავად თუმანიშვილს<sup>2</sup>.

1858 წლის თებერვლის შემდეგ მიხ. თუმანიშვილ! „ცის-  
კართან“ არავითარი ურთიერთობა აღარ ჰქონდა. აქას თვით  
მისი ვაჟი გ. თუმანიშვილიც ადასტურებს. მაშ, რომელ თავა-  
დიშვილზე ლაპარაკობს 1859 წელს ალ. ორბელიანი? ეს დე-  
ტალიც ფარდას ხდის მოლაყბის ფსევდონიმის მთელ საიდუმ-  
ლოებას.

გულუბრყვილოა ზოგიერთი მკვლევარის მტკიცება, რომ

---

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1859, იანვარი.

<sup>2</sup> ამჭერადაც (1859 წ. იანვარში), ალ. ორბელიანის წერილის მხარ-  
დასაპერად და არისტოკრატთა დასაშოშმინებლად, ივ. კერესელიძე კვლავ  
გადაკერით ლაპარაკობს „იანვრის მოლაყბეზე“, როგორც „სალაყბო ფურ-  
ცლების“ ავტორზე. ეს გარემოება ვერ შეუნიშნავეს ჯუმბ. ჭუმბურიძეს,  
რომელიც წერს: „ამ საკმაოდ ბუნდოვანი განცხადებიდან მკითხველი რა-  
საკვირველია ვერაფერს მიხვდა“. ივ. კერესელიძის განცხადების მიზანაც  
სწორედ ეს იყო.

„სალაყბო ფურცლით“ უკმაყოფილო თავადები მიხ. თუმანი-შვილს მტკვარში გადაგდებას უპირებდნენო. ალ. ორბელიანის სიტყვები ნათლად გვიჩვენებს, რომ წოდებრივი ფანატიზმით მოშხამულ საზოგადოებაში რაც ბრწყინვალე თავადს მალად ეთვლებოდა, იეს უბრალო ადამიანისათვის მიუტევებელი ცოდვა იყო.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მოლაყბე სამარცხვინო ბოძზე აკრავს კონკრეტულ პირებს — მეფის მსხვილ მოხელეებს, უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლებს, რომლებიც, თუ დარწმუნდებოდნენ, რომ მოლაყბე კერესელიძე იყო, სასტიკად იძიებდნენ შურს.

აღნიშნული მიზეზების გამო, ივ. კერესელიძე მრავალგვარ ხერხსა და სარედაქციო მანევრს მიმართავდა, რათა უარეყო საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, რომ მოლაყბე მისი ფსევდონიმი იყო.

კერესელიძის სარედაქციო მანევრები არა მარტო მაშინ ახდენდა შთაბეჭდილებას და გზაკვალს ურევდა კნობის-მოყვარეებს, არამედ, შემდეგშიაც აძნელებდა კვლევა-ძიებას.

ივ. კერესელიძე თავის სარედაქციო განცხადებებსა და შენიშვნებში აშკარა ხელოვნური სიჯიუტით ლაპარაკობს „უფ. მოლაყბეზე“, როგორც გარეშე პირზე. რომელსაც, ვითომ, რედაქციასთან უშუალო კავშირი არა აქვს. იგი ხან თანაუგრძნობს მოლაყბეს, ხან უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ მოლაყბის სტატიებმა ჟურნალს ხელისმომწერები ჩამოაშორა. მაგრამ მაინც ადვილი შესამჩნევია, რომ ეს განცხადებები მიზნად ისახავს დარაზმოს მოწინავე საზოგადოება მოლაყბის დასაცავად, შექმნას საზოგადოებრივი აზრი მის სასარგებლოდ.

დროდადრო ის მთელ ლაშქრობებს აწყობს ამ მიმართებით. ეს ხდება მაშინ, როცა მოლაყბეს, ე. ი. ივანე კერესელიძეს, უკვე მზად აქვს ახალი „სალაყბოს ფურცელი“ ან აპირებს მის დაწერას.

ამასთან დაკავშირებით, „ცისკრის“ ფურცლებზე ჩაიდება წინასწარი კამპანია—გამოდინან „მებუკეები“,—„ავყია“, „მეყვი-

რალა“ და სხვები, რომლებიც რედაქტორისაგან მოითხოვენ, აუცილებლად დაბეჭდოს „სალაყბო ფურცლები“, „თორემ მუქარა ჩვენც შეგვიძლიაო“. ამის შემდეგ, თითქოს, მუქარით იძულებული ივ. კერესელიძე, აქვეყნებს თავის „სალაყბო ფურცელს“.

„ცისკრის“ რედაქტორის „განცხადებებიდან“ მკაფიოდ ჩანს, რომ მისი სიმპათია მთლიანად მოლაყბის მხარეზეა. „რა კპოვეთ იმ სტატიაში (იგულისხმება „სალაყბო ფურცელი“. ა. კ.) წინააღმდეგი? — მიმართავს ივ. კერესელიძე არისტოკრატებს, — გარწმუნებთ, რომ რასაცაჰსწერდა უ. მოლაყბე ყოველივე იყო გამოსული კეთილის გულითგან გულმტკივნეულობით“<sup>1</sup>. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

1859 წლის „ცისკრის“ იანვრის ნომერში ივანე კერესელიძე სარედაქციო განცხადებაში მკითხველებს აცნობებს: „ჩვენი ჟურნალი არის საზოგადო, მაშასადამე, არის ხმა საზოგადოებისა, უკეთუ მკირედი რამ ვპოვეთ საწყენოდ მკითხველთა, მაშინვე მოვიხმარებთ ყოველსავე ღონისძიებას მიზეზის მოსპობისათვის. ამასთანავე ვუბრუნებთ უ. მოლაყბეს ბოდიშით თავის „სალაყბო ფურცლებს“, დღეიდან ესალმებიან ჩვენ და სამწუხაროდ „ცისკარს“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

„მკითხველი უეჭველია მიხვდება, — წერს 1859 წელს ივ. კერესელიძე, — რომ ვლაპარაკობთ უ. მოლაყბეზე. ეს იყო რომ თვითონ ჩვენ დავუბრუნეთ რამდენიმე „სალაყბოს ფურცელი“, რადგანაც აქა-იქ გვესმოდა მღურვა, თუმცა უმეტესთა ნაწილთა მოსწონდა. ბოლოს რამივიდეთ სხვადასხვა მხრითგან თხოვნა, კვალად ამ გვარის სტატიის დაბეჭდვაზე, — მოვყევით „სალაყბო ფურცლების“ გამოსცემასა, იმ აზრით, რომ ვგონებდით საზოგადოება აღტაცებით მიიღებდა ამ საგრძნობელს სტატიას, მაგრამ რას იტყვიო.

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1859, თებერვალი.

თითქმის ოთხკუთხივ აღგვიდგნენ“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ივ. კერესელიძე „სალაყბო ფურცელს“ ხშირად ასეთ შენიშვნებს ურთავს სქოლიოში: „თუმცა ამ სტატიის დაბეჭდვა არ გვინდოდა, მაგრამ იმ გვარმა პირმა გვიბრძანა, რომ ველარ უარყვავით“<sup>1</sup>. ერთი შეხედვით გასაკვირიცაა, რისთვის და ვისთვის იყო საჭირო ასეთი შენიშვნა, რაკი რედაქტორმა „სალაყბოს ფურცელი“ უკვე დაბეჭდა!..

ბევრის მთქმელია, რომ ამ სახის შენიშვნები დართული აქვს იმ „სალაყბო ფურცლებსაც“, რომელთა კერესელიძისადმი კუთვნილება სადავოდ არ ითვლება (1862 წ. ოქტომბერ-ნოემბრის წერილი). კომედიას „სიქსტი მეხუთე“, რომელიც უცილობლად ი. კერესელიძის კალამს ეკუთვნის, — აქვს შემდეგი შენიშვნა: „შემდგომს ნომერში იქნება მეორე მოქმედება... თუ უფალმა რედაქტორმა დამიბეჭდა, ამას ხასიეთათ სჭირს, რაც რამ ნათლად და ცხადად არის, არ მიბეჭდავს და უკან თავში მარტყამს“.

კერესელიძე სისტემატურად ბეჭდავს მოლაყბის დამცველთა წერილებს. რედაქტორის „განცხადებებიდან“ ვიგებთ, რომ იგი უამრავ წერილებს იღებს მოლაყბის მოწინააღმდეგეთაგანაც. ასეთ წერილებს კერესელიძე არ ბეჭდავს.

ივ. კერესელიძის სარედაქციო განცხადებები „სალაყბო ფურცლების“ არაჩვეულებრივ ქება-დიდებას შეიცავს; 1860 წ. ნოემბერში იგი წერდა: „უფ. მოლაყბეს, — ყოვლად ჩინებული და ყოვლად მშვენიერი თქვენი „სალაყბო ფურცელი“, შესახებ კენჭისა, რომელიცა უნდა მოხდეს კეთილშობილთაგან, ვერ იბეჭდება; რადგანაც ამ გვარს სამართლიანს და მეტად სასარგებლო სტატიას მრავალნი წინ აღუდგნენ დაბეჭდვამდინ“.

რასაკვირველია, ვინც არ უნდა ყოფილიყო მოლაყბე, რედაქციას შეეძლო მისთვის პირადად მიემართნა, ხოლო ამ საკითხზე ამდენი განცხადებების გამოქვეყნება გვიჩვენებს, რომ ეს კეთდებოდა არა მოლაყბის წინაშე ბოდიშის მოსახდელად,

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1860, დეკემბერი.

არამედ, ვიმეორებთ, მოლაყბის მტრების წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად.

გაუგებრობის ნაყოფია მოსაზრება, თითქოს ივ. კერესელიძე აღიარებდა, რომ სხვა პირიც წერდა „სალაყბო ფურცლებს“. ამის საბუთად მიაჩნიათ ივ. კერესელიძის „სარედაქციო განცხადებები“, სადაც რედაქტორი მოლაყბებზე ლაპარაკობს, როგორც გარეშე პირზე. უკვე დავრწმუნდით, რომ ასეთი განცხადებები იმ „სალაყბო ფურცლებსაც“ აქვს დართული, რომლებიც საყოველთაო აღიარებით ივ. კერესელიძეს ეკუთვნის.

ქართველი ინტელიგენცია დიდ ინ-  
ივ. კერესელიძის ავტო- ტერესს იჩენდა მოლაყბის ფსევდო-  
რობის დამამტკიცებე- ნიმიხადმი. მკითხველი საზოგადოება  
ლი დოკუმენტური მა- გრძნობდა, რომ ამ სახელთან რაღაც  
სალები განსაკუთრებული ისტორია იყო და-

კავშირებული. ეს ინტერესი მას  
შემდეგაც არ შენელებულა, რაც „სალაყბო ფურცლები“ აიკ-  
რძალა და ასპარეზზე ახალი ძალები გამოვიდნენ.

ნიკო ნიკოლაძე ახალგაზრდობაში მოლაყბის გავლენით  
წერდა და „ქუთაისის მექორის“ ფსევდონიმით „ცისკარში“  
აქვეყნებდა მაჰხილებელ წერილებს, რომლებშიც ხშირად იმოწ-  
ნებდა და აქებდა მოლაყბებს. ამიტომ ბუნებრივია, რომ მას  
განსაკუთრებული ინტერესი გამოუჩენია მოლაყბის ვინაობის  
დასადგენად და დანამდვილებითაც გაუგია, რომ „მოლაყბე“  
კერესელიძის ფსევდონიმი იყო. ერთ-ერთ კერძო წერილში,  
1862 წელს, ნიკო ნიკოლაძე დარწმუნებით წერს კირილე ლორ-  
თქიფანიძეს:

„...ჩემთან მოწერილ წიგნს კერესელიძიდან გიგზავნი. მო-  
ლაყბის ფურცლებზე მინდოდა დამეწერა რამე, მაგრამ — შენ  
მანდ არა ხარ? Отщелкай этого мерзавца! გახსოვდეს, რომ  
მ ო ლ ა ყ ბ ე თ ვ ი თ ო ნ კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე ა რ ი ს“<sup>1</sup>. (ხაზი  
ჩვენია. ა. კ.).

მართლაც, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრა-  
ფიულ მუზეუმში აღმოჩნდა კირილე ლორთქიფანიძის დაუბეჭ-

<sup>1</sup> ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. № 721.

დავი თხზულება (ავტოგრაფი): „ჩინ-მაჩინის გრდემლი და მახარათ აგდება“ მ. თავდგირიძის ფაევდონიმი<sup>1</sup>. ეს ნაწარმოები ივ. კერესელიძის (მოლაყბის) 1862 წლის ოქტომბერ-ნოემბრის „სალაყბო ფურცლის“ წინააღმდეგ მიმართული. ავტორი გარკვევით წერს, რომ „მოლაყბე“ თვითონ „ცისკრის“ რედაქტორის კერესელიძის ფაევდონიშია. ეს წერილი, როგორც ჩანს. სწორედ იმიტომ ვერ გამოაქვეყნა კირ. ლორთქიფანიძემ, რომ მასში გახსნილი იყო ივ. კერესელიძის ფაევდონიმი, მაგრამ წერილის ცალკეული ადგალები კირილეს გამოუყენებია სტატიაში „ამაო ამაოთა“, რომელიც „თერგდალეული“ ხელმოწერითა და ილია ჭავჭავაძის შენიშვნით „საქართველოს მოამბის“ ივნისის წიგნში დაიბეჭდა.

„ჩინ-მაჩინის გრდემლის“ დასაწყისში კირ. ლორთქიფანიძე ირონიულად შენიშნავს: „აქ უნდა მოგახსენოთ, რომ უფ. ცისკრის რედაქტორი თანახმა არის მოლაყბისა ყველაფერში“. შემდეგ, ავტორი პირდაპირ წერს, რომ ჩვენ უწინაც ვიცოდით. „ცისკრის“ რედაქტორი და მოლაყბე რომ ერთი და იგივე პირი იყო და დასძენს: „...ტყვილი არაფერი შემიწამებია ცისკრისათვის, კიდევ ბევრი ვაპატიე, რადგანაც ვიცოდი ვინ იყო უფ. მოლაყბე და სინდისმა მის ჟურნალში მეტის თქმის ნება აღარ მომცა და იქნება ამისათვის მემღურება გამოჩენილი ქართველი მწერალი?“

ივ. კერესელიძის ხელმოწერით გამოქვეყნებულ ნაწერებს კ. ლორთქიფანიძე აკრიტიკებს, როგორც მოლაყბის ნაწერებს.

დღემდე უცნობი იყო ნიკო ნიკოლაძის მეორე — კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ცნობა ივ. კერესელიძის ავტორობის შესახებ.

როგორც ეტყობა, მოგვიანო პერიოდში ნიკო ნიკოლაძე საგანგებოდ დაინტერესდა „მოლაყბის“ ვინაობით. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, ჯერ ერთი, 1863 წ. ამ ფაევდონიმის ირგვლივ „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შორის პოლემიკა გაჩაღდა, — შემდეგ, 1872 წელს „მოლაყბის“ თაობაზე

<sup>1</sup> ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, № 1166 (2173).

პირადად მას (ნიკოლაძეს) კამათი მოუხდა ანტ. ფურცელაძესთან; დაბოლოს, 1881 წელს „მოლაყბის“ სამი პირველი წერილი გ. თუმანიშვილმა თავისი მამის — მიხ. თუმანიშვილის თხზულებათა კრებულში შეიტანა. ყოველივე ამის გამო, ნიკო ნიკოლაძის განცხადებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. 1889 წელს იგი „ნოვოე ობოზრენიეში“ წერდა: „Сколько он (Кереселидзе) написал и перевел стихотворений, пьес, рассказов, путешествий. бойких фельетонов (ему принадлежит псевдоним „Молакбе“) <sup>1</sup>.

როგორც ვთქვით, ნ. ნიკოლაძის ეს ცნობა საიმედო ჯარდაკმია გატარებული. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ნიკო ნიკოლაძე ამას აცხადებს კატეგორიულად, იმ ხანებში შექმნილი გაუგებრობის პასუხად. „მოლაყბე“ რომ მხოლოდ ივ. კერესელიძის ფსევდონიმი არ ყოფილიყო, ისეთი ფრთხილი და საქმიანი პუბლიცისტი, როგორც ნიკო ნიკოლაძეა, იმ დროს ამას არც იტყოდა და ვერც იტყოდა. ნ. ნიკოლაძე მკიდროდ იყო დაკავშირებული თუმანიშვილების ოჯახთან (აგრეთვე გაზ. „ნოვოე ობოზრენიეც“) და ივ. კერესელიძე რომ მხოლოდ „ერთ-ერთი მოლაყბეთაგანი“ ყოფილიყო და არა ერთადერთი „მოლაყბე“, ამის აღნიშვნა ოჯახის პატივისცემის გარდა, ელემენტარული ლიტერატურული ეთიკის თვალსაზრისითაც აუცილებელი იქნებოდა. მაგრამ ნიკო ნიკოლაძე წერდა საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას და ამას არავითარი პროტესტი არ გამოუწვევია.

ივ. კერესელიძის ავტორობის დამამტკიცებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საბუთს წარმოადგენს, აგრეთვე, ალ. ორბელიანის დაუბეჭდავი წერილი: „საქართველოს ჟურნალი „ცისკრის“ რედაქტორი კერესელიძე და მე“.<sup>2</sup> ამ ცნობის ღირსება იმაშიცაა, რომ ალ. ორბელიანის წერილი მთლიანად ივ. კერესელიძის წინააღმდეგაა მიმართული. ავტორი უამრავ ბრალდებას უყენებს „ცისკრის“ რედაქტორს და თავის შეუურიგებელ მტრად აცხადებს მას. ამ ბრძოლის მიზეზებს ჩვენ სხვა ადგი-

<sup>1</sup> „ნოვოე ობოზრენიე“. 1889 წ. № 2059.

<sup>2</sup> საქ. სახელმწიფო მუზეუმი, S — 1634.



ლას განვიხილავთ; აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ასეთ ვითარებაში ალ. ორბელიანი ივ. კერესელიძის მიმართ მიკერძოებას არ გამოიჩინდა. პირიქით, თუკი რამ მისი მამხილებელი ეცოდინებოდა, არ დაზოგავდა. წერილი დაწერილია 1866 წლის იანვარში. ალ. ორბელიანი გარკვევით წერს, რომ ყველა „სალაყბო ფურცლის“ ავტორი ივანე კერესელიძეა. მიუხედავად გასაოცარი სალანძღავი ტონისა, ამის უარყოფა მას არ შეუძლია, სამაგიეროდ, ცდილობს დააყენოს „სალაყბო ფურცლების“ მნიშვნელობა. ჩამოთვლის რა, ივ. კერესელიძის ნაკლოვანებებს, — ალ. ორბელიანი წერს: „...ამასთან, გამოჩენილი დაუწერია რამე ივ. კერესელიძეს, რომ ის გავიკვირვოთ? იქნება, „სალაყბოს ფურცლები“, ზოგიერთებს რომ მოსწონთ, მართლა კარგი იყოს? რა არის იქ კარგი? ის არის უბრალო ლაზღანდარობა, ПОШЛОСТЬ, ანუ წინდაუხედავი ლანძღვა, რომელიცა ის ლაყბობა კარგს ვერას ასწავლის ვერავის, ამისათვის მოკლეთ ვუთხრათ, რაშიც აქვს დიდი ნიჭი...“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.)

როგორც ცნობილია, ალ. ორბელიანმა ასეთივე ბრალდება წაუყენა დან. ჭონქაძის „სურამის ციხესაც“.

1866 წელს, როცა ალ. ორბელიანის ეს წერილი დაიწერა, გაბრ. სულხან-შვილის განცხადება ცნობილი იყო და „საქართველოს მოამბეში“ მოლაყბის შესახებ დაბეჭდილი ცნობა რომ მართალი ყოფილიყო, ალ. ორბელიანი მას აუცილებლად გამოიყენებდა ივ. კერესელიძის წინააღმდეგ დაწერილ წერილში. ეს ფაქტი ალ. ორბელიანზე კარგად ვის უნდა სცოდნოდა? მაგრამ, პირიქით, ივ. კერესელიძესთან პოლემიკის პროცესში ალ. ორბელიანი უნებურად ფარდას ხდის „მოლაყბის“ ფსევდონიმის საიდუმლოებას. მისი ზიტყვით, რადგან ივ. კერესელიძეს საზოგადოებაში (იგულისხმება არისტოკრატიული წრეები) საჭირო ავტორიტეტი არ ჰქონდა, ამიტომ იძულებული გავხდით გვეთქვა, რომ ამ წერილებს („სალაყბო ფურცლებს“) ივ. კერესელიძე კი არ წერს, არამედ ესა და ეს თავადიშვილიო. ალ. ორბელიანს ამ შემთხვევაში

მხედველობაში აქვს კონკრეტულად 1858 წლის „სალაყო ფურცლები“, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი და რომლებშიც პირდაპირ მითითებულია, რომ 1857 წლის ფურცლებიც ამავე ავტორს ეკუთვნის (კერძოდ, 1858 წ. დეკემბრის „სალაყო ფურცელი“, რომელშიაც დაგმობილია ბატონყმობა და რომელმაც არისტოკრატიის განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია).

ამჯერად, ალ. ორბელიანი შემდეგნაირად ავითარებს ივ. კერესელიძისადმი წაყენებულ ბრალდებას: ერიპა გაბამს და სწერს გაუკითხავად. აღარ იცის ტყუილი და მართალი სად არისო, ანუ აქედგან რა გამოვაო? — ერთხელ ერთს შეყრილობაში მეკერესელიძეს ვესარჩლებოდო და ზოგიერთნი იმას ძალიან გმობდნენ იმის გამოცემულის სტატიისათვის. (იგულისხმება 1858 წ. დეკემბრის „სალაყო ფურცელი“. იხ. წინამდ. წიგნის 136-137-138 გვ. ა. კ.). მაშინ მე იმათ ვუთხარი დასამშვიდებლად, ვიცოდო, ეს სიტყვა იმათ დაამშვიდებდა: ეგ ხომ კერესელიძის სტატია არ არის, ეგ ხომ ამა და ამ თავადიშვილისაგან არის მეთქი. ამაზედ ყველანი დამშვიდდნენ...<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ალ. ორბელიანი პირდაპირ აღიარებს, რომ 1858 წელს მან არისტოკრატთა წრეებში კერესელიძის დასაცავად მოიგონა ვინმე თავადიშვილის (იგულისხმება მიხ. თუმანიშვილი) ავტორობა. მაშინ ალ. ორბელიანი ამ გარემოებას-იმით ხსნიდა, რომ ივ. კერესელიძე მდაბიო იყო? ამჯერად, პოლემიკის წინადაგზე, სხვა სარჩულს უდებს ამ ფაქტს.

ანტ. ფურცელაძე, რომელიც წლების განმავლობაში „ცისკრის“ უახლოესი თანამშრომელი იყო, გადაჭრით წერს, რომ „მოლაყბე“ მხოლოდ ივ. კერესელიძის ფსევდონიმია. პირველად ეს გარემოება მას აღნიშნული აქვს 1863 წ. იანვ-

<sup>1</sup> საქ. სახელმწიფო მუზეუმი, S — 1634.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1859, იანვარი.

რის წერილში „სურამის ციხეზე“, შემდეგ, იმავე წლის ივლისის წერილში „ქართული ლიტერატურა“.

ანტ. ფურცელაძის ამ განცხადებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მისი 1872 წლის წერილი „მნათობში“, რომელშიც მან ფაქტურად შეაჯამა „მოლაყბის“ ფსევდონიმზე წამოჭრილი კამათი და ავტორიტეტულად განაცხადა: „აი ახლა იმის ნიშნში, რასაც ვამბობდი მე მოლაყბეზედ, თვით ამ მოლაყბეზედ, რომელიც იყო ივანე კერესელიძე და რომელსაც ასე აქებდა თავის წიგნებში ილია ჭავჭავაძე“.

როგორც ვხედავთ, ამ საქმეში ყველა კომპეტენტური პირი (ალ. ორბელიანი, ანტ. ფურცელაძე, ნიკო ნიკოლაძე, კირ. ლორთქიფანიძე, გ. წერეთელი, ნ. ბერძნიშვილი და სხვ.) ერთხმად და გადაჭრით ადასტურებს, რომ „მოლაყბე“ მხოლოდ ივ. კერესელიძის ფსევდონიმაა. 50-იან-60-იან წლებში, როგორც ვნახეთ, მკითხველი საზოგადოება მხოლოდ ივ. კერესელიძეს თვლიდა „სალაყბო ფურცლების“ ავტორად.

1881 წლამდე, ე. ი. „სალაყბო ფურცლების“ დაარსებიდან 25 წლის მანძილზე, ამ საკითხთან დაკავშირებით მიხ. თუმანიშვილის სახელი (არც სხვა რომელიმე პირის, გარდა ივ. კერესელიძისა) არავის უხსენებია. არც მიხ. თუმანიშვილს განუცხადებია რაიმე პრეტენზია ამ ფსევდონიმზე. პირიქით, 1863 წელს, როცა „ცისკარმა“ ილია ჭავჭავაძის წერილი დაბეჭდა და ივ. კერესელიძემ განაცხადა „მოლაყბე“ ერთი პირის — ჩემი ფსევდონიმაო, აგრეთვე, 1872 წელს, ანტ. ფურცელაძემ „მნათობში“ რომ გამოაცხადა, ილია ჭავჭავაძის მიერ პეტერბურგიდან მოწერილი წერილი ივ. კერესელიძეს ეკუთვნისო, — მიხ. თუმანიშვილს ხმაც არ ამოუღია.

ზიუხედავად ყოველივე ამისა, გიორგი თუმანიშვილმა 1881 წელს თავისი მამის მიხ. თუმანიშვილის თხზულებათა კრებულში შეიტანა პირველი სამი „სალაყბო ფურცელიც“ (ე. ი. ერთი, 1858 წ. იანვრისა, ნამდვილად მიხ. თუმანიშვილისა, ხოლო პირველი ორი — ივ. კერესელიძისა); რა საფუძველს ემყარებოდა ამ შემთხვევაში გ. თუმანიშვილი? ზოგიერთი ფიქრობს, რომ გიორგი თუმანიშვილი წინასწარ მოეთათბირებოდა ამ საქმეზე ივ. კერესელიძეს, რომელიც იმ

დროს ცოცხალი იყო. მაგრამ აღნიშნული გამოცემის წინასიტყვაობიდან აშკარად ჩანს, რომ ეს წიგნი ივ. კერესელიძესთან მოლაპარაკებოს გარეშეა დაბეჭდილი, — უფრო მეტიც, გამომცემელი ივ. კერესელიძისადმი მტრულ დამოკიდებულებას იჩენს. აქედან ცხადია, რომ „სალაყბო ფურცლების“ შეტანის თაობაზე გიორგი თუმანიშვილს არავითარი მოლაპარაკება არ ჰქონია ივ. კერესელიძესთან.

იქნებ, ავტოგრაფებს ან თვით მიხ. თუმანიშვილის გამომცემას ემყარებოდა წიგნის გამომცემელი? არც ეს მოსაზრება დასტურდება რაიმე საბუთით. თუმანიშვილების უმდიდრეს არქივში „სალაყბო ფურცლების“ ხსენებასაც ვერ ვხვდებით.

ამ ზაზით კვლევა-ძიება უმიზნოცაა, რადგან აშკარად ჩანს, რომ გიორგი თუმანიშვილი მხოლოდ გაბრ. სულხანიშვილის მცდარ წერილს ემყარებოდა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი სიტყვასიტყვით იმეორებს გაბრ. სულხანიშვილის განცხადებას: „შემდეგ (1858 წ. იანვარი) „სალაყბო ფურცლებს“ წერდნენ „ცისკრის“ რედაქტორი და იმის თანამშრომლები“ და კონკრეტულად ვერც ერთ ამ თანამშრომელს ვერ ასახელებს.

ამრიგად, გიორგი თუმანიშვილმა უნებურად დაუშვა შეცდომა. ამ შეცდომაზე დღეს თითქმის ყველა მკვლევარი ხედავს, რადგან არავითარ ეჭვს აღარ იწვევს, რომ კრებულში შეტანილი სამი „სალაყბო ფურცლიდან“ პირველი ორი და მესამე ფურცელი სხვადასხვა ავტორს ეკუთვნის.

ახლა უკვე დადასტურებულაა, რომ გიორგი თუმანიშვილის შეცდომა წიგნის გამოსვლისთანავე იგრძნო მკითხველმა საზოგადოებამ. ამას გვაფიქრებინებს აღნიშნულ წიგნზე „დროებაში“ დაბეჭდილი რეცენზიაც. მითქმა-მოთქმის შეწყვეტის მიზნით, რეცენზენტი სულ ორ სტრიქონში ამთავრებს ამ ფურცლებზე ლაპარაკს და საერთოდ არარაობად აცხადებს მათ.

საქმეში გარკვეული პირები ისე ააღელვა ამ გაუგებრობამ, რომ საჭიროდ ჩათვალეს ავტორის უფლებების დაცვა.

ცნობილი ხალხოსანი ეგნ. იოსელიანი ირონიულად შენიშნავს:  
„მიხ. თუმანიშვილი და პუბლიცისტი?!“

ანტ. ფურცელაძე დაცინვით მიმართავდა არჩ. ჯორჯაძეს:  
„საიდან გაიგეთ, რომ მიხ. თუმანიშვილი მოლაყბის ფსევდონი-  
მით წერდა, იმ წყაროდან ხომ არა, რომლითაც მე მომაწე-  
რეთ ფსევდონიმი ულოლიყო?“<sup>1</sup>

ამ უკმაყოფილო წრეების თვალსაზრისი 1889 წელს გა-  
მოხატა ნიკო ნიკოლაძემ „ნოვოე ობოზრენიეში“ — კატეგო-  
რიულად განაცხადა, რომ მოლაყბე მხოლოდ ივ. კერესელი-  
ძის ფსევდონიმი იყო. ასე რომ, ივ. კერესელიძემ ამჯერადაც  
ადვილად შეძლო თავისი საავტორო უფლების დაცვა. ავტო-  
რიტეტულმა ლიტერატურულმა წრეებმა მისი სახელი დაიცი-  
ვეს და მსცოვანი მწერალი, ცხადია, ამ გაუგებრობის გამო  
პრესაში განგაშს არ ატეხდა. ამის შემდეგ ივ. კერესელიძის  
სიცოცხლეში აღარავის უცდია ამ შეცდომის განმეორება.

იმიხ დასამტკიცებლად, რომ ამ პერიოდ-  
ში (80-იან წ. წ.) თუმანიშვილის თხზულებათა  
კრებულის გამოსვლასთან დაკავშირებით,  
ივ. კერესელიძე ლიტერატურულ წრეებს  
ატყობინებდა, რომ „სალაყბო ფურცლების“  
დამფუძნებელი თვითონ იყო, ზ. ჭიჭინაძის  
ცნობებსაც გავიხსენებთ.

ზაქარია ჭიჭინაძეს პირდაპირი ცნობები აქვს შემონახუ-  
ლი, რომ ივ. კერესელიძის სიტყვით, ილია ჭავჭავაძის მიერ  
პეტერბურგიდან მოლაყბის სახელზე გამოგზავნილი წერილი  
პირადად მას — კერესელიძეს შეეხება.

ზ. ჭიჭინაძე 1897 წელს წერდა: „...„ცისკარის“ რედაქ-  
ტორმა ივ. კერესელიძემაც მარწმუნა: „როცა  
„ცისკარში“ მე „სალაყბო ფურცლების“ ბეჭ-  
დვადავიწყეო, მაშინ ამ წერილების ერთ გულმხურვალე  
მკითხველათ ილია ჭავჭავაძე აღმოსჩნდაო. იგი მაშინ პეტერ-  
ბურგში იყოვო; უნივერსიტეტში სწავლობდა და  
მე წერილი გამომიგზავნა და ამ წერილების

<sup>1</sup> „ულოლიყო“ დიმ. ბაქრაძის ფსევდონიმა.

გამოდიდათ მაქოვო, წამახალისაო, მაშინ  
ეს ჩემთვის დიდი საქმე იყოვო, დიდი მოვ-  
ლენა, სხვებისაგან შეამის შესახებ არაფე-  
რი მიმიღია, ქება ყი არა და ბევრნი მყვედ-  
რიდნენ კიდევც, რომ რა არის ყოველთვის  
ქართული ენის და „ცისკრის“ გამოედრიტი-  
ნები ხალხსაო! (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ეს კატეგორიული განცხადება დაიბეჭდა ილია ჭავჭავა-  
ძის სიცოცხლეში, ისიც ნაშრომში მისი ცხოვრებისა და  
მოღვაწეობის შესახებ.

ზ. ჭიჭინაძე 1902 წელს კვლავ იმეორებს ამ აზრს: „ივანე  
კერესელიძემ მითხრა, — წერს იგი, — „სალაყბოს  
ფურცლის“ გამო პეტერბურგიდან ილ. ჭავ-  
ჭავაძისაგან წერილი მივიღე. იგი მწერდა, რომ  
ძლიერ მომწონს „სალაყბოვო“, სწორედ ეგრე უნდა წერაო.  
ყველას მოსწონდა სალაყბოვო!“<sup>2</sup> (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ამრიგად, 60-იანი წლების ყველა ქართველი მწერალი, რო-  
მელმაც კი „სალაყბო ფურცლების“ ავტორობის თაობაზე  
აზრი გამოთქვა, ერთხმად აღიარებს, რომ „მოლაყბე“ ივ. კე-  
რესელიძის ფსევდონიმია.

ივ. კერესელიძის ავტორობის დასა-  
დასკვნა დასტურებლად კიდევ ბევრი საბუთის  
მოტანა შეგვიძლია, მაგრამ ვფიქ-  
რობთ, საჭირო აღარაა. საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად  
უნდა ჩაითვალოს, და ვინაიდან ფაქტების დადგენას არსები-  
თი მნიშვნელობა აქვს პრინციპული ისტორიულ-ლიტერატუ-  
რული პრობლემების გადაჭრისათვის, — დაგვიანებით, მაგ-  
რამ ახლა მსინც, — „სალაყბო ფურცლების“ ავტორად ივანე  
კერესელიძე უნდა ვიცნოთ.

„სალაყბო ფურცელი“ წარმოიშვა ქართული ენის, ლიტე-  
რატურისა და ეურნალის დაცვისათვის ბრძოლაში, როგორც  
ამ ბრძოლის ძირითადი იარაღი და „ცისკრის“ საპროგრამო

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, თ. ილია ჭავჭავაძე... 1897.

<sup>2</sup> ზ. ჭიჭინაძე, „ივ. კერესელიძე“, 1902.

განყოფილება. ქართული ლიტერატურის ამ ორიგინალურ  
ჟანრს საფუძველი ჩაუყარა ივ. კერესელიძის 1857 წლის ივ-  
ნისის სარედაქციო განცხადებამ, ხოლო 1857 წლის ნოემბერ-  
დეკემბრის „სალაყბო ფურცლები“ ივანე კერესელიძემ აღნიშ-  
ნულ განცხადებაში წამოყენებული აზრების დასაცავად და  
დასასაბუთებლად დასწერა.

მიხ. თუმანიშვილს ეკუთვნის ერთადერთი — 1858 წ.  
იანვრის ფურცელი. ამის შემდეგ „სალაყბო ფურცლებს“  
კვლავ მხოლოდ ივ. კერესელიძე წერდა.

## ბატონყმობის მხილება

ჩვენი სახელოვანი ლიტერატურა მუდამ გამოხატავდა ხალხის ინტერესებს, პროგრესულ შეხედულებებს. სიბრძნეს, ალალმართლობასა და გამრჯე მარჯვენას უმღეროდენ შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი... იმდროინდელი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი ედო საფუძვლად ნ. ბარათაშვილის უკვდავ პოეზიას. ბატონყმობის ბოროტებათა მხილებას ვგრძნობთ იონა ბატონიშვილის, გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის შემოქმედებაში.

რაც შეეხება გლენტა სოციალურ მდგომარეობას, — საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების ისტორიული განვითარების შესაბამისად, ჩვენში იგი მხოლოდ 50-იანი წლებიდან იქცა ლიტერატურის საგნად.

აღსანიშნავია, რომ, ისე, როგორც სხვაგან, ჩვენს ლიტერატურაშიც ბატონყმური წყობილების დაგმობა მისი მორალური საფუძვლების მხილებით დაიწყო. ნ. ნიკოლაძე 1873 წ. წერდა:

„მაშინდელმა Современник-მა მოდაში შემოიღო ისეთი ბელეტრისტული თხზულებების ბეჭდვა, რომელშიც გლახაკობა გამოყვანილი იყო კაცურ კანში; ამ თხზულებებში ნიჟადაგ ის აზრი იყო გაყვანილი, რომ გლახებზეც კაცები არიან, ამათაც გრძნობა აქვთო, ამათაც ბედნიერება და კეთილდღეობა სჭირიათო, ამათაც გული აქვთო. მაგრამ, რადგანაც იმ



დროის მწერლობაში თითქმის მარტო რომანების და ფელეტონების ბეჭდვა შეიძლებოდა, და ამ თხზულებებშიაც მარტო სიყვარულზე და ქალისა და კაცის გულზე ლაპარაკის ნება ჰქონდა მწერალს, „სოვრემენიკმაც“ ბატონ-ყმობის საქმე სიყვარულის ასპარეზზე გადაიტანა. მის რომანებში და სხვა თხზულებებში ნიადაგ ის ერთი და იგივე ანბავი იყო აღწერილი, რომ გლესს გლესის ქალი შეუყვარდა, მაგრამ ბატონის ძალამ, გავლენამ და ძალადობამ იმისი ბედნიერება მოსპო და ორი კეთილი გული, ჩვილი გრძნობიერება და სული დასტანჯა, დააობლაო. მაშინდელი რუსული საზოგადოებისათვის იმ დროს ეს დიახაც საჭირო და სასარგებლო მწერლობა იყო. მკითხველი ძალაუვნებურათ იმ შეხედულებას ეჩვეოდა, რომ გლესკაცს გული აბადია, რომ იმასაც ამ გულში კაცის გრძნობა, სურვილი და იმედნი უღვივისო, რომ გლესიც ღეთის გაჩენილი ქმნილებათაა და ღმერთს ის ქვეყანაზე სატანჯველათ და სხვის მრჩენელათ კი არა, თავის თავის სანუგეშოთ გაუჩენიაო. ამით მკითხველ საზოგადოებას, რომელსაც უიმისოთაც ბატონ-ყმობა უსამართლო საქმედ მიაჩნდა და მისი მოსპობა გამოუკვლეველ ნატურათ ჰქონდა, ნამდვილი თანაგრძნობა და შებრალება ებადებოდა გლესკაცობისა. და ეს კილო, ეს მანერა და სარგებლობა ხასიათათ ჰქონდა ყველა იმ მწერლებს, რომლებიც მაშინ Современник-მა წინ წამოსწია, და რომელთაც საზოგადოების ყურადღება, თანაგრძნობა და მადლი მოუპოვა.

ამ მწერლებში პირველი ადგილი ეკავათ გრიგოროვიჩს, პოტეხინს (ალექსის), ტურგენევს („მონადირის წერილებით“) და პისემსკის- განსაკუთრებით მნიშვნელობა მიეცა, რამდენიმე წლის შემდეგ, მარკევიჩის ქალს (მარკო-ვოვიჩის). იმათ თხზულებებს მთელი ათი წლის განმავლობაში მეტის მეტი ხალხით ჰკითხულობდა რუსული საზოგადოება და მწერლობაც, ესე იგი კრიტიკა, იმ სარგებლობის მიხედვით, რომელიც ამ თხზულებებს საზოგადო საქმისათვის მოჰქონდათ, როდი ეხებოდა და როდი ანიშვნინებდა მკითხველებს იმათ ლუსტ მხარეებს, როდი ჰკიცხავდა იმათი ხელოვნური მხარის ნაკლულევანებას, როდი ამბობდა ნამდვილი ხელოვნური მწერლობა უფრო ბეჯითი გზით უნდა დაიარებოდესო. კრი-

ტიკას რომ იმ დროს ეს შენიშვნები გამოეთქვა, იმას რომ იმათი ხელოვნური სისუსტე გამოეაშკარებია, ამით საშინელი ვნება მიეცემოდა საზოგადო საქმეს — გლეხკაცობის გათავისუფლებას, — და... ძალა მიეცემოდა იმ უხეირო მწერლობასა და იმ საზიზღარ მიმართულებას, რომელიც ამ საზოგადო საქმეს ჩუმათ ეწინააღმდეგებოდა და სწყევლიდა. და პირველი ხმა, რომელიც რუსულმა კრიტიკამ ამ თხზულებების წინააღმდეგ ამოიღო, მათი სისუსტის შესანიშნავათ, მარტო გლეხების გათავისუფლების შემდეგ, 1861 წლის ნოემბერში, მოისმა. თვითონ Современник-მა გამოთქვა სხვა უფრო ხელოვნური თხზულებების საჭიროება თავისი უფროსი თანამშრომლის სტატიით — „Не начало ли перемены?“ (Совр. 1861, № 11).

ბატონყმობის საწინააღმდეგო ამ ხასიათის ლიტერატურის პირველი და ყველაზე ტიპური წარმომადგენელი ჩვენს ლიტერატურაში ივ. კერესელიძეა.

ბატონყმური უსამართლობა მას ბავშვობიდანვე აღელვებდა. დაბალი წრიდან გამოსული და სიღარიბეში აღზრდილი მწერალი ყმების აწიოკება-დარბევის, გაყიდვისა და განადგურების ბევრი შემთხვევის მნახველი იყო. ერთ-ერთ მოგონებაში ივ. კერესელიძე გადმოგვცემს: „მე რომ ამგვარის ცნობების აღწერას შევუდგე... ერთობ შორს წავა, მით უფრო, რომ... ხსენებულ წლებში ქართვლებში აღორძინდა ყმათა გასყიდვა, მათი დანიავება, ჩაგვრა და სხვანი; მამულების დაყიდვა, ლოთობა, უზომოდ ქეიფი, ოთხკუთხივ ფლანგვა და ყველაფრის პირქვე დამხობა, მთელი ქვეყნისა და საერთო საქმეების გაქარწყლება, დანაცრება და სრულიად დაღუპვა, რასაც კაცი სისხლის ცრემლით უნდა ასწერდეს!“<sup>1</sup> (ხაზი ჩვენია. ა. კ.)

მეზობელ მარაბდელი გლეხებისაგან ივ. კერესელიძეს ბევრჯერ მოუსმენია სასწულგანთქმული არსენა ოძელაშვილის თავ-

<sup>1</sup> ზ. კვიციანიძე, „ივ. კერესელიძე“, 1902. გვ. 8.

გადასავალი. არსენას საგმირო საქმეები მისი ბავშვობის მოგონებათა ერთ-ერთი ყველაზე დაუფიქარი ფურცელი იყო. ეს მოგონებები ჩაწერილი და დაბეჭდილი აქვს ზ. ჭიჭინაძეს.

ივ. კერესელიძე მოწმე იყო სამეგრელოს გლეხთა ცნობილი აჯანყებისა. თავის უახლოეს მეგობარ რაფიელ ერისთავთან ერთად, იგი დადიოდა სამეგრელოს სოფლებში და ეცნობოდა გლეხთა ღუბჭირ ცხოვრებას. არა ერთხელ მოუხმენია უტუ მიქავას თანამებრძოლთა ვარაძი.

გაბატონებული კლასის თვალსაზრისით, გლეხთა ცხოვრება არ იძლეოდა მასალას მხატვრული ლიტერატურისათვის, — მაღალი გრძნობების, იდეალების, სილამაზისა და მშვენიერების გამოსახატავად; ეს ღირსებაანი თავადაზნაურთა საკუთრებად იყო გამოცხადებული. გლეხისათვის ასეთი თვისებების მიკუთვნება დიდ დანაშაულად ჩაითვლებოდა. ეს მათი ადამიანობის აღიარება და სოციალური ემანსიპაციის იდეური საფუძვლის მომზადება იქნებოდა.

XIX საუკუნის 50-იან წლებამდე ჩვენს ლიტერატურაში არავის უცდია ამ ცრუ რწმენის, კლასობრივი ფანატიზმისა და ბატონყმობის იდეური საფუძვლის წინააღმდეგ პირდაპირი გალაშქრება — გლეხთა ჭირ-ვარაძის, მათი ვნებათღელვის, ადამიანური ხასიათის, ვაჟკაცობისა და გმირობის ჩვენება და, აქედან გამომდინარე, აღიარება, რომ გლეხებიც ადამიანები არიან.

1852—1856 წლებში დაწერილი ივ. კერესელიძის თხზულებები მიზნად ისახავდა ბატონყმობის იდეურ-ზნეობრივი საფუძვლების გაკიცხვას.

ამ საკითხს შემდეგშიაც არ დაუკარგავს აქტუალობა. დანიელ ჭონჭაძე „სურამის ციხეში“ და ილია ჭავჭავაძე „გლახის ნაამბობში“ საგანგებოდ გვიჩვენებენ, თუ როგორ დასცინოდნენ ბატონები ყმაგლეხთა გრძნობებს.

გავიხსენოთ ეპიზოდი „სურამის ციხიდან“. შეყვარებულმა ნოდარმა ქალბატონის გოგოზე ჯვარის დაწერის ნება სთხოვა ბატონს.

„ — დიახ, — გააჯავრა ბატონმა ნოდარი, — დიახ, თითქო არ იყვნენ სხვა გოგოები, რო შინაური არ მოძებნო? „

— რა ვქნა, შენი ჰირომე, ეს მომეწონა და!

— რაო? მოგეწონა? მომეწონა! თითქოს ბატონიშვილი იყოს. სხვა კი არა მოგეწონა რა, მამა გიცხონდა?“.

ივ. კერესელიძე: ცდილობდა გამოეწვია სიბრალოელი ყმებისადმი, დაენახებინა მკითხველისათვის გლეხთა ადამიანური ღირსებანი, მათი სულისა და გონების მაღალი თვისებები. ეს გამოკვეთილი ტენდენცია გარკვეულ დალს აქდევდა მის თხზულებებს. იგი ისე ხატავდა გლეხს „თითქო წინ ნამდვილი გლეხი კი არა, საკუთარი თავი ჰყოლოდეს გლეხკაცურ ფაჩაში ჩაცმული... რადგანაც გლეხი ჩვენისთანა ადამიანია, იმასაც ჩვენსაირი გული უნდა ჰქონდესო, ისიც ჩვენსავით უნდა გრძნობდესო. ამის გამო გლეხის პირით მის თხზულებებში ხშირათ ისეთი სიტყვები და აზრები გამოითქმოდა, რომელთაც გლეხიკაცი არ იცნობს და არ ხმარობს. მკითხველის წინ ნამდვილი, ცოცხალი გლეხის მაგიერათ, მის შეუფერავ გრძნობის ადგილზე იდგა ნასწავლი კაცი, გლეხურ სამოსელში, რომელიც თავის ნამდვილ ენას, თავის საყოველღეო დარდს და აზრს კი არა, გაზეპირებულ, წიგნიდან ამოკითხულ, ბაირონის და შილლერის ფრაზებს ამბობდა და გამოთქვამდა... მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება როდი რჩებოდა, რომელსაც მოუგონელი გრძნობის შეუფერავი გამოთქმა სტოვებს. ის შთაბეჭდილება, რომელიც ჟრუანტელს უვლის კაცს ტანზე და რომელიც თითქმის სანიადაგოდ რჩება მის ტვინში და მეხსიერებაში. ამ შთაბეჭდილებებს მაგიერ ის ხედავდა შეფერილ, გალამაზებულ, ნასწავლ და ზეპირმოლაპარაკე გლეხს, რომელიც ისეთ ნაირად ილაპარაკებს და მოიქცევა, როგორც გერმანელი სენტიმენტალური მწერლობით გამოზრდილი კაცი, და როგორც თავის დღეში ვერ ილაპარაკებდა ვერც ერთი მაშინდელი გლეხი ან გლეხის ქალი...“ (ნ. ნიკოლაძე).

ივ. კერესელიძის აღნიშნულ თხზულებათა გმირი გლეხები „ციდან ჩამოსულ ანგელოზებს ჰგვანან“. ისინი შემკული არიან იდეალური თვისებებით.

თავისთავად ცხადია, რომ სინამდვილის ასეთი შელამაზება უარყოფით გავლენას ახდენდა ნაწარმოების მხატვრულ ღირსებაზე. ტიპიურ სახეთა ნაცვლად იქმნებოდა იდეალურ ადა-

მიანთა (გლენტა) სქემები, რაც, თავის მხრივ, გამოგონილი სიტუაციის დახატვას მოითხოვდა. შეუძლებელი ზღებოდა ადამიანთა სულიერი სამყაროს გადაშლა, მისი მშვენიერებით და ნაკლოვანებებით, სიკეთითა და ბოროტებით, ავ-კარგით, რის გარეშეც არ არსებობს ქვეშაირი ზელოვნება.

მიუხედავად ამ სერიოზული ნაკლოვანებებისა, რომლებსაც, თუ შეიძლება ითქვას, თვითონ მომენტის გადაუდებელი მოთხოვნის იწვევდა, ივ. კერესელიძის ამ თხზულებებს უდავოდ სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდათ. როგორც ვნახავთ, ისინი საგრძნობ გავლენას ახდენდა მკითხველ საზოგადოებაზე და, ამ მხრივ, სავსებით აღწევდა დასახულ მიზანს. ხოლო ქართული ლიტერატურის ისტორიაში ეს თხზულებები მთელ საფეხურს ქმნიან და მათი გათვალისწინება მუდამ აუცილებელი იქნება.

ქართული ანტიბატონყმური ლიტერატურის შემდგომ საფეხურს წარმოადგენს დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ და ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, რომლებიც 1859 წელსაა დაწერილი. ამ თხზულებებში გაცილებით უფრო მეტი სიმძლავრითაა გადმოცემული რეალური სინამდვილე, ტიპიური სახეები და ტიპური გარემო, მაგრამ ზემოაღნიშნული ნაკლოვანებისაგან არც ისინია მთლად თავისუფალი.

ბატონყმობის საწინააღმდეგო ლიტერატურაში ჩვენში მხოლოდ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში მიაღწია კლასიკურ სიმაღლეს. კრიტიკული რეალიზმის ასეთ შედეგებს წარმოადგენს „კაცია ადამიანი?!“ და „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ („კაკო ყაჩაღი“).

ქართული რეალისტური ლიტერატურის ამ თანდათანობითი განვითარების გასათვალისწინებლად აუცილებელია სათანადო ანგარიში გაეწიოს ივ. კერესელიძის ნაწარმოებებს „მწყემსის სიყვარულსა“ და „შვილი უმანკობისა“.

„მწყემსის სიყვარული“

ივ. კერესელიძის პოემა „მწყემსის სიყვარული“, რომელიც 1855 წ. დაბეჭდა ცალკე წიგნად, არის გლენტა სოციალური ცხოვრების ამსახველი პირველი ორიგინალური ნაწარმოები. ავტორის მიზანია გლენტა

თა მძიმე მდგომარეობის დახატვა, მათი მაღალი ზნეობრივი თვისებების ჩვენება და ამით ბატონყმობის უღელში მგმინავი ხალხისადმი სიმპათიის გამორწვევა, პოეტი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ „ბუნებით ყველა ადამიანი ერთია“ და, ამიტომ, ერთნაირი უფლების ღირსიცაა; რომ ბუნებისათვის არ არსებობენ „რჩეულნი“.

არათუ საქართველოში, იმ დროს რუსეთშიც სასტიკად აკრძალული იყო ბატონყმობის შესახებ წერა. ამიტომ, „მწყემსის სიყვარული“ სასტიკი ცენზურის ჯარდაკშია გატარებული; არა მარტო სტრიქონები და სტროფები, მთელი გვერდებიც კი ცენზურის წერტილებითაა დაფარული. ზოგიერთი სტროფი ისეთ ადგილზეა გაწყვეტილი, რომ აშკარად ჩანს, რისი თქმა აუკრძალეს ახალგაზრდა პოეტს. მიუხედავად ამისა, ივ. კერესელიძე მაინც ახერხებს პოემაში პროგრესული თვალსაზრისის გატარებას, ბატონყმობის იდეურ დამცველთა გამათრახებას.

„მწყემსის სიყვარულში“ აღწერილია შეძლებული მემამულის მომხიბლავი ასულისა და უშიშარი ქაბუჯი გლეხის სიყვარული. ნაწარმოები გლეხთა ცხოვრების კოლორიტული სურათით იწყება. შეყვარებული ქალ-ვაჟი სოფლის წყაროსთან საიდუმლოდ ხვდებიან ერთმანეთს. ცხადია, პოეტს გლეხი ვაჟისა და თავადის ან შეძლებული აზნაურის ქალის სიყვარული აქვს ნაჩვენები, თუმცა ქალის წოდებრივი მდგომარეობა პოემაში პირდაპირ მითითებული არ არის, ცენზურა ამის ნებას არ იძლეოდა. პოემის განვითარებიდან მაინც აშკარად ჩანს, რომ ქალი და ვაჟი სხვადასხვა წოდებას ეკუთვნიან.

მწყემსმა დედას გაანდრო საიდუმლო. დედა გააოცა შვილის სიტყვებმა. მის პასუხს მწყემსი ასე გადასცემს სატრფოს:

„შაგრამ მითხრა დედაჩემმა: „არ მოგცემნო შენ ქალსა, — ჩვენი სოფლის პირველ კაცის და დიდის ოჯახის შვილსა: თორმეტსა უღელსა ხარსა, ვგონებ, გამოიტანს წილსა, ამის ქონების პატრონი, ვითა მოგცემნო შვილსა?...“

(ხაზი ჩვენი. ა. კ.)

სოფლის ამ „პირველკაცში“, რომელსაც ბატონყმობის დროს „თორმეტი უღელი ხარი შექმლო გამოეტანა წი-

ლად“ — გლეხი არ იგულისხმება. პოეტი ქონებრივი და უფლებრივი პრივილეგიის ხაზგასმით ახერხებს ქალის წოდებრივი მდგომარეობის ჩვენებას. სხვადასხვა წოდების წარმომადგენელი შეყვარებული ქალ-ვაჟი საგონებელში არიან ჩაყარდნილი. ქალი მოთმინებას ურჩევს ქაბუკს, ვაჟი კი ბრძოლით ფიქრობს მიზნის მიღწევას. იგი უარყოფს მორჩილებასა და მონობას; არ სცნობს ქონებრივსა და წოდებრივ განსხვავებას, — დახავსებულ ადათ-ჩვეულებებს, რომელთა მიხედვით, მშობლების ნებართვა აუცილებელი იყო ქალ-ვაჟის დასაქორწინებლად. გლეხი ქაბუკის სიტყვასა და მოქმედებაში მძლავრი პროტესტი იხმის არსებული წყობილებისადმი, მამა-პაპური ჩვეულებებისადმი, ზნეობის დამკვიდრებული ნორმებისადმი. იგი მემამბოხე და მებრძოლია, — თავგანწირულია დასახული მიზნის მისაღწევად.

შეყვარებული ქალი ცდილობს დაამშვიდოს ბრძოლის ეფნით აღგზნებული მიჯნური, — მოაგონებს მას გაბატონებულ ტრადიციას:

კარგათ იცი, ძველთაგანვე ჩვენი არის ჩვეულება —  
სულ ვერაჟინ გათხოვდება, თუ არ არის მშობლის ნება,  
ჩემის ნდომით, ან თუ შენით, რას გავხდებით, რა იქნება,  
ნურც მტანჯავ და ნურც იტანჯვ, ისევ გვმართებს მოთმინება.  
...მამაჩემმა თუ შემიტყო... გამითხარე მე სამარე,  
შენთვის წყალზედ ჩამოვედი, რომ გავებდე, ეს მაქმარე.

გლეხი წინააღმდეგია მოთმინებისა. მისი რწმენით, ადამიანი ბედს არ უნდა დაემონოს, მდგომარეობას არ უნდა შეურიგდეს და, მიუხედავად იმისა, თუ რა დაბრკოლებებთან მოუხდება შერკინება, — გაბედულად უნდა იბრძოლოს მიზნის მისაღწევად. იგი ვაჟკაცურ პასუხს აძლევს სატროს:

...ღედ-მამასა ვინ რას ჰკითხავს, თუკი რომ გიყვარვარ შენა,  
თუ რომ გინდა — შეუღლებით ბედნიერათ ვიყოთ ჩვენა...  
..შეგირთავ, ცოლათ წავიყვან, მტერს მიეცემ სიტყვის გებასა...

ქაბუკი უსამართლო ცხოვრებიდან გაქცევის გაბედულ გეგმას აღგენს, უშიშრად მიილტვის თავისუფლებისაკენ; რაკი აღარ ეცხოვრება უსამართლო საზოგადოებაში, ზადაც ადამი-

ანს წართმეული აქვს მოქმედების თავისუფლება და გრძნობები არტახებითაა შებოქილი, — უნდა გაეცალოს მას და „მტერს თოფ-იარაღით მისცეს სიტყვის გება“.

არსებული წყობილების წინააღმდეგ ამბოხებული გლეხი ასე აყალიბებს თავის იდეალს თავისუფლებაზე:

...ერთ ღამესა ცხენს მოვიყვან, დაგიციდი, გარეთ დაედგები, შენც ჩუმათ გარეთ გამოდი, ნურავისგან შეშინდები, ცხენსა შეგსვამ, სადავესა ხელს დავიპერ, გაგიძღვები, ჩემს შუესა და დედოფალსა წაგიყვან, მთას შევეუდგები...  
... წაგიყვან ჩემს ნათქვამს ალაგს, იმაზედა დავსახლდები, პატარას ქოხს გავაკეთებ, ცოტ-ცოტათი მოეშენდები. მართალია, ჩემს სახლობას და მამულსა მოვშორდები, მაგრამ შენთან თუ ვიქნები. რილასათვის დავლონდები...  
ცხრა მთას იქით თუნდა ვიყო, შენთან ყოფნა მირჩევნია, თუ შენთან ვარ, მწუხარება, კირიცი ჩემთვის სულ ღებნია...

(აქ ცენზურის მიერ ამოგლეჯილია, ამბის განვითარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეტად საინტერესო ადგილი).

პოემაში მკაფიოდ ჩანს, რომ კანონისა და გაბატონებული ზნეობის წინააღმდეგ ამბოხებულმა გლეხმა გაბედული მოქმედებით მიიღწია საწადელს; „ცხრა მთას იქით“, ტყეში გაქცევით მოიპოვა თავისუფლება.

პოეტი ამითაც არ კმაყოფილდება. იგი დაინტერესებულია გაიგოს, რა ბედი ეწია საზოგადოებიდან იარაღით გაქცეულ მის გმირს. პოემის ამ ნაწილში იგი საკმარისი დამაჯერებლობით აგვიწერს დაჩაგრული, გაპარტახებული ბატონყმური სოფლის სურათს, ყმა გლეხთა უღიმღამო ცხოვრებას; მაშასადამე, იმ საზოგადოებას, რომელსაც შეყვარებული კბაუკი გაეჭვა:

... მიწის მხენელი ოდეს შრომით ერთს ლუკმათა პურს შეიკრებს. ოდეს წყარო ჩრდილოეთით გარდმოვლასა დააპირებს, კვალად ვნახე ის სოფელი, როს ზაფხული მეტად იკლებს, — ზემო ნათქვამს ხევის მალა გარდავაეღე თვალი მინდვრებს...  
... მეტად ფიქრმა გამოიტაცა, ოდეს ვნახე შექმუხვნილი, ვრცელი ბაღი ბუნებისა, დაჩაგრულ, სევდა დართული.



რაც არ იყო, რას მოსძოდნენ, ეყენათ კი ზედან ცხვარი,  
ერთის მხრითა ქარს მოჰქონდა ორთ გლახთ მუნ მყოფთ საუბარი,  
სხვა მხრივ ხევით მდინარისა ხმა იპოდა შეტად წყნარი.

ასეთი სევდას აღმძვრელი, „შექმეზენილი“, „დაჩავრული“, „სევდა დართული“ და „საწყალია“ ის სოფელი, რომელიც ახალგაზრდა გლეხმა მიატოვა. ასე მძიჱვა აქ დარჩენილ გლეხთა ცხოვრება. აღვილი მისახვედრია, რა იგულსხმება ამ ფონზე პოეტის სიტყვებში: „შეტად ფიქრმა გამიტაცა“...

ამ ნაღვლიან, მართლაც დამაფიქრებელ სურათს ავტორი უპირისპირებს ტყეში გაქცეული გლეხის თავისუფალ ცხოვრებას და ამ კონტრასტით გადმოგვცემს პოემის ძირითად იდეას. საზოგადოებიდან გაქცეული მწყემსი ბედნიერია მოპოვებული თავისუფლებით; აქ მას არავინ ჩაგრავეს, არავინ ავიწროებს. „მწყემსის სიყვარულის“ ამ აღგილის წაკითხვისას უნებურად გვაგონდება ილია ქავეკავაძის სიტყვები „კაკო ყაჩაღიდან“:

მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,  
სადაც ჩვენა ვართ ჩვენი პატრონი.

თავის გამართან შეხვედრის სურათი ივ. კერესელიძეს ასე აქვს გადმოცემული: „— გამარჯვება, ბედნიერო...“

...გულამაყად მიპასუხა: „რად არა ვარ ბედნიერი?  
საქონელი სრულადა მყავს, ნახნავი მაქვს ზომიერი“.

ტყეში გაქცეული გლეხი ერთმანეთს უპირისპირებს ახლანდელ მდგომარეობასა და განვლილ ტანჯვა-წამებას:

მოთმენლად დღეს შევსცქერი, ნეტა როდის დაღამდება,  
გული მიხტის, მანამ ნახვა მე ცოლისა მომიხდება,  
დღისით ესრე დროს ვატარებ, ამას სხვა რა შეედრება?  
აღრე ტანჯვა რაც მინახავს, ახლა აღარ მაგონდება.

როგორც ვხედავთ, მძიჱვე საცენსურო პირობების მიუხედავად, ივ. კერესელიძე ახერხებს გააგებინოს მკითხველს, რომ

გლებმა ბრძოლით მოიპოვა თავისუფლება; და ამ თავისუფლების შენარჩუნებას მხოლოდ იარაღით შესძლებს:

...ფარ-ხმალი თუ კაცს უვარგა, რას დააკლებს, აბა სენი.

ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ, რომ ივ. კერესელიძის თხზულებებში ზიტყვა „სენი“ ხშირად იხმარება ბატონყმობის აღმნიშვნელ ტერმინად.

პოეტი აღფრთოვანებულია გლების ვაჟკაცური პასუხით. იგი არ მალავს, რომ იარაღაზნმული, თავისუფალი გლები მისი იდეალია, — რომ ეს ერთადერთი ბედნიერი ადამიანია, რომელსაც ოდესმე შეხვედრია:

რა ეს შესმა მწყემსისაგან, მე უმეტეს მომელხინა,  
რადგანც სრულად ბედნიერი ვნახე კაცი მე მაშინა,  
უფიქრელი, უღარდელი, კარგს მხარესაც აქნდა ბინა,  
ისიც მეტი, ვინც უყვარდა, იმის შერთვა მოვხვდინა.

ამრიგად, სიყვარული არის ძირითადი იდეის მხატვრული გახსნის საშუალება, უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრების მიზეზი, ხოლო პოემის მთავარი მიზანია სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის ჩვენება. პოეტი სანიმუშოდ და სასიქადულოდ სახავს გმირის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას. მისი იდეალი ამ ავბოხებელი გლების მოქმედებაშია განხორციელებული. იგი აღფრთოვანებით უმღერის ძალას, მიზნის მიღწევისათვის თავდადებას.

ივ. კერესელიძე გვიხატავს ძლიერი, ენერგიული, შეუპოვარი გლების სახეს. განა შესაძლებელია მისი სამუდამო დამონება, ბატონყმურ უღელში დაბეჩავება?.. — აი კითხვა, რომელსაც აუცილებლად გამოიწვევდა იმდროინდელ მკითხველში „მწყემსის სიყვარული“. პოემის გმირის მოქმედებაში უშუალოდ იგრძნობა არსენა ოძელაშვილის სახელოვან საქმეთა გამოძახილი.

ეპილოგში პოეტი იძლევა აღწერილი ამბის განზოგადებას. მისი აზრით, ბუნებამ ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანი გააჩინა; მონობა, ყმობა — თვით ადამიანთა ძალმომრეობის ნაყოფია. ბევრნი ამბობენ, უბედურნი ვარ-

თო... ამ უბედურებს ჩვენ მწყემსის გზაზე, მის მაგალითზე მივუთითებთ, — დაასკვნის ივ. კერესელიძე:

. ბუნებასა თვის შვილთათვის მიუცია ერთი სული;  
თუმც ანბობენ ზოგნი ერთნი: ბედნიერი არვინ არი,  
მაგრამ კიდენ მე მწყემსთან ვარ და იმისა ბედს შევნატრი...

პოემის უკანასკნელი ნაწილი უმოწყალოდ გაჩანაგებულია ცენზურის მიერ: გაწყვეტილია სტრიქონები, ამოგლეჯილია სტროფები, ამოშლილია დასასრული. ამჟამად, რომ ცენზურამ „სუნი აულო“ ივ. კერესელიძის პოემას, მაგრამ პოეტი მაინც ახერხებს დასკვნის გამოტანას:

...მიიღე მხურვალ ჩანგზედ გალობა,  
იკითხე გლეხთაჲ კარგი ქალობა...  
სოფელმაც იცის, მსიან, სიყვარული.  
შენ კი... (ცენზურის წერტილები).

ამრიგად, ივ. კერესელიძის „მწყემსის სიყვარული“ პირველი ქართული ორიგინალური ნაწარმოებია ბატონყმობის უღელში მგმინავ გლეხთა ცხოვრებაზე. მასში ნაჩვენებია გლეხობის დუხჭირი მდგომარეობა, შევიწროება და უუფლებობა, — დახატულია ძალადი მორალური და მოქალაქეობრივი თვისებებით შემკული ქართველი გლეხი, რომელშიაც გაერთიანებულია ენერჯია, თავგანწირულება, ვაჟკაცობა, დასახული მიზნისათვის ბრძოლის უნარი. დაპირისპირებულია თავისუფლება და მონობა. გამართლებულია არსებული წესებისა და კანონების წინააღმდეგ ამხედრებული გლეხი; დასაბუთებულია, რომ არ არსებობს განუხორციელებელი მიზანი.

უღარესად მძიმე ცენზურულმა პირობებმა უდავოდ შეასუსტა პოემის მხატვრული ღირსება. ამოგლეჯილია სწორედ ის ადგილები, სადაც ამბობებული გლეხი ბატონყმურ საზოგადოებაში გამოვლილი ტანჯვა-წამების აღწერას იწყებს.

ცენზურის მოგერიების მიზნით, პოემას, რომელშიაც კონკრეტული სინამდვილეა განსახიერებული, ივ. კერესელიძემ იდილია უწოდა; ამავე მიზეზის გამო — პირდაპირ ვერ აღნიშნა ქალის წოდებრივი მდგომარეობაც. სოციალური ცხოვრების გამომხატველი სიუჟეტი მეტსამეტად შეფუთვნილია

სატრფილო თავგადასავლის სამოსელში; — მაგრამ, როგორც ვიცით, ხუთი წლის შემდეგ დანიელ ჰონქაძეც იძულებული იყო ამავე ხერხებისთვის მიემართა, — „სურამის ციხის“ მოქმედება შორეულ წარსულში გადაეტანა და მოთხრობის განვითარების ღერძად ქალ-ვაჟის სიყვარული ექცია.

„მწყემსის სიყვარული“ მხატვრულად სუსტი ნაწარმოებია. მაგრამ ივ. კერესელიძემ მაინც მიაღწია მიზანს. მკითხველმა საზოგადოებამ ადვილად გაიგო ავტორის თვალსაზრისი; პოემამ გზა გაიკვლია ხალხში. მის წარმატებას ხელი შეუწყო ხალხურმა ენამ; ხალხის განწყობილებასთან მისი შინაარსის სიახლოვემ. მოწინავე ელემენტებში პოემაში ადვილად ამოიცნეს თანამედროვე საქართველოს მდგომარეობა.

„მწყემსის სიყვარულის“ ეპილოგი დანიელ ჰონქაძემ ეპიგრაფად წარუძღვარა „სურამის ციხეს“. ეს გვიჩვენებს, რომ ივ. კერესელიძის პოემა პოპულარულ საკითხავ წიგნად ითვლებოდა. ისეთი მოაზროვნე და მწერალი, როგორც იყო დ. ჰონქაძე, უცნობი, მივიწყებული ან უავტორიტეტო ნაწარმოებიდან აღებულ წამყვან ტექსტს არ დაურთავდა თავის სანუკვარ ნაწარმოებს.

იმდროინდელმა ოფიციალურმა კრიტიკამ არ დასტოვა უყურადღებოდ ივ. კერესელიძის პოემა. „კავკაზის“ იმავე 1855 წლის № 48-ში დაიბეჭდა ამ გაზეთის რედაქტორის ე. ვერდერევესკის საკმაოდ ვრცელი რეცენზია; რეცენზენტის მიესალმება ახალი ნაწარმოების გამოჩენას ქართულ ლიტერატურაში, რომელიც მისი სიტყვით: „ღიღი ხანია ნადვლიან ძილსა და უმოძრაობას მისცემია“. ვერდერევესკის „მწყემსის სიყვარული“ იღიღინებდა. იგი საყვედურობს, რომ პოეტი გლეხურ ენაზე ალაპარაკებს თავის გმირს. რეცენზენტს ზოგიერთი სწორი შენიშვნაც აქვს გამოთქმული, მაგრამ, საერთოდ, მას, გასაგები მიზეზის გამო, ამ აქტუალური ნაწარმოების გაბიაბრუება უცლია<sup>1</sup>. რეცენზენტი გაკვირვებუ-

<sup>1</sup> ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის. ქრესტომათია. ს. ხუციშვილის წინასიტყვაობითა და შენაშენებით. თბილისი, 1955, გვ. 58 — 63.

ლია, რომ „ცრემლის ველზე“ პოეტი მხოლოდ „ერთადერთ ბედნიერ ადამიანს“ შეხვდა.

ალანინინაია, რომ „ნიწყემისის სიყვარული“ ივ. კერესელიძემ საკუთარი ხარჯით გამოსცა და უფასოდ გაავრცელა მდამბიო ხალხში.

„შვილი უმანკობისა“ ქრონოლოგიურად ამავე პერიოდს ეკუთვნის ივანე კერესელიძის გადმოკეთებული ხუთმოქმედებიანი დრამა „შვილი უმანკობისა“.

1856 წელს ეს პიესა სცენაზე დაუდგამთ; წარმოდგენას დიდძალი მაყურებელი დასწრებია<sup>1</sup>.

1858 წლის დასაწყისში ივანე კერესელიძემ მოახერხა ამ დრამის პირველი ოთხი მოქმედების დაბეჭდვა. ეს არის ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული პირველი თხზულება, რომელიც „ცისკარში“ გამოქვეყნდა.

1863 წ. გ. წერეთელმა სამართლიანად აღნიშნა, რომ „შვილი უმანკობისა“ გადმოკეთებულია გერმანელი სენტიმენტალისტის ავგუსტ კოცებუს ხუთმოქმედებიან დრამიდან, რომელიც 1824 წ. რუსულადაც დაიბეჭდა („Театр Августа фон Коцебу, часть первая. Сын лионви“). შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ივ. კერესელიძე საკმაოდ ზუსტად მიჰყვება ორიგინალის სიუჟეტურ ხაზს, მაგრამ ამძაფრებს პიესის სოციალურ მხარეს, შეაქვს მასში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ამბახველი სურათები, ცდილობს უფრო მკვეთრად გამოხატოს კოცებუს სენტიმენტალურ გმირთა სახეები. ივ. კერესელიძის თავადი დიაპაზონი გაცილებით უფრო მკაცრი და შეუბრალებელია, ვიდრე კოცებუს ბარონ ფონ ნოიპოფი.

მართალია, „შვილი უმანკობისა“ არ არის ივ. კერესელიძის ორიგინალური ნაწარმოები, მაგრამ ჩვენ მას განვიხილავთ, როგორც ისეთ თხზულებას, რომელშიც გადმომკეთებელი ცდილა შეძლებისდაგვარად აესახა თანამედროვე ცხოვრება და გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ბატონყმობისადმი.

პიესის შინაარსი გადმოტანილია საქართველოს თანამედ-

<sup>1</sup> „ივერია“. 1899. № 209.

როვე ცხოვრების ფონზე. დასაწყისში აღნიშნულია, რომ „მოქმედება წარმოებს სომხეთის მხარეს, ალგეთის ხეობაზედ“. აღსანიშნავია, რომ ეს მხარე არის არსენა ოძელაშვილის სამშობლო, სადაც იმ დროს თვითონ ივ. კერესელიძეც ცხოვრობდა.

თავადმა დიასამიძემ შეაცდინა შინამოსამსახურე გოგო სალომე. ახალგაზრდა ბატონი ცოლად შერთვას ჰპირდებოდა მომზიბლავ გლეხის ქალს, მაგრამ მშობლებმა მალე შეაგნებინეს, რომ გლეხი და თავადი ისე დაშორებული არიან ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა. თავადიშვილმა უპატრონოდ შიატოვა გაუბედურებული ქალი და იმერეთში გადავიდა სამხედრო სამსახურში. იქ მალე გამოჩნა თავისი „კეთილშობილებისათვის“ შესაფერისი თავადის ასული და მიეცა განცხრომით ცხოვრებას.

ნამუსახილი სალომე, როგორც „უჟანკო ბატონიშვილის გამბზრწნელი გლეხის გომბიო“ — დიასამიძის მედიდურმა მშობლებმა სასახლიდან გააგდეს. „ოჯახის შემრცხვენელ“ ქალიშვილს მშობლებმაც ზურგი შეაქციეს: „წადი, შე გვართა მარცხვენელო... თვალით აღარ დაგვენახო“.

ქუჩაში გამოგდებულმა ფეხმძივე სალომემ აღარ იცის, რა გზას დაადგეს... სასოწარკვეთილი მდინარისაკენ გარბის თავის დასახრჩობად.

ამ ამბის შემთხვევითი მოწმე, მოხუცი მღვდელი სიკვდილიზაგან დაიხანის მას; გამოჰკითხავს თავგადასავალს და, რა გაიგებს მის მდგომარეობას, ანუგეშებს და თბილისში ერთ სათნო ქალთან გაგზავნის. მღვდლის თხოვნით, სალომე შეიკვდლა ქალაქელმა ქველმოქმედმა ქერიმმა დედაკაცმა. სალომეს შეეძინა ვაჟი — გრიგოლი. დედა-შვილს ცხოვრების სახსარი არ გააჩნიათ. გაჭირვებაში მყოფი სალომე წერილებს სწერს დიასამიძეს, შვილის დაბადებას ატყობინებს და დახმარებას სთხოვს. უგულო თავადი, რომელსაც დიდი თანამდებობა უკავია და ფუფუნებით ცხოვრობს, პასუხისთვის თავს არ იწუხებს.

გლეხის ქალი გმირული შრომითა და მოთმინებით ზარდის მამისგან უარყოფილ პირშობს: ლატაკურ ქონში ცხოვრობს,

თავდადებით მუშაობს. ბატონებს ემსახურება და ერთდ-ერთ ნუგეშს — გრიგოლს, თავს ევლება. თხუთმეტი წლისა რომ გახდა, გრიგოლი მილიციაში შევიდა მოხალისედ და კახეთის დასაცავად გასწია.

ბატონყმური უსამართლობისაგან გაუბედურებული სალომე ასე გადმოგვცემს შემდგომ თავგადასავალს: „რა გაგისტუმრე, შვილო, შეველ ფიქრში: რად მიყო დიასამიძემ ამისთანა უწესური საქმე. მეტი სინანულისაგან დავსნეულდი, დამაწყებინა ციება; ხელსაქმით საღლა შემემლო ცხოვრება და თავი დავანებე ამ ქოხსა, რაშიაცა ვიდექი; იმისათვის რომ, საითგან მიმეცა ქირა და რით მერჩინა თავი! ავდექი და გამოვმგზავრდი ამ სოფელში. ვიფიქრე, წავალ, ჩემს ძელებს იქ ჩავყრი, სადაც დავიბადე და გავუბედურდი მეთქი. გზაზედ მომივიდა ციება და ამ დუქანში შევაფარე თავი“.

სოფლის გზისპირა სამიკიტნოს პატრონს „თრევით გამოკყავს დუქნითგან სალომე, რომელსაც აცვია ძველძული ტანი-სამოსი და ჰსჩანს, რომ ავად არის“. სალომე მუხლებზე დაჩოქილი ევედრება ვაჰარს: „როგორ არ გრცხვენიან, რომ მაგდებ სახლითგან საწყალსა და ავადმყოფს დედაკაცსა... მე შემომეხარჯა უკანასკნელი ფული შენს სადგომში და ახლა მაგდებ...“ ზნედაცემული მიკიტანი ყველაფერს ფულით ზომავს: „მეც მაგას ვაპბობ, რომ შემოგეხარჯა ფული და მე მუქთად ხომ არ გაქმევ პურსა!“.. სალომე ჰპირდება, როცა მოვრჩები, საქმეს გაგიკეთებო, მაგრამ მიკიტანი დაციწვით უპასუხებს: „სად შეგიძლია საქმის გაკეთება, რომ ძლივსა ლაპარაკობ. როდესაც მორჩე, მაშინ მოდი!“

„ვის მივმართო ესრეთ საწყალმა?.. სად დავადგე?.. როგორ ვიცხოვრო?.. ვის შევაფარო თავი“... ჩივის ავადმყოფი ქალი; მისი ხვეწნა მიკიტნის გულს ვერ აღბობს.. გულქვა ვაჰარი ურჩევს, მინდორში გაათიოს ღამე, — ხოლო სალომეს წამოძახილზე: „...ამ ჩემს ღარიბს ძველ-ძვეულს ტანისამოსს არ შეუძლიან დაჰიცვას წვიმისა და სიცივისაგან... ან ვინ მომცემს ერთს ლუქა პურს, რომ მოვიკლა შიმშილიო“, — მიკიტანი ცინიკურად მიუგებს: „როგორც გინდა მოიკალ შიმშილი; მე რა შენადვლებ! ჩვენი მღვდლისაგან ილაჯი იყო

გაწყევტილი, სულ იმას იძახდა: კაცსა საზრდოს ის მისცემს, ვინცა ზრდის და ინახავს ფრინველთაო. რა ვიცი, იქნება შენზედაც ახდეს ესა!“ ამ დაცინვას განსაკუთრებით ამძაფრებს მიკიტნის სიტყვები პიესის დასაწყისში: „...დღეს ამ ღუქნის მოშორებით ეკლესია უნდა აკურთხონ და აბა ახლა გასინჯე, თუ რამდენი ხალხი მოვა სანახავათა, კურთხევის უკან ამ ჩემს ღუქნისაკენ გამოსწევენ დასასვენებლათა“. ამრიგად, ვაჭარი, რომელიც ეკლესიის გახსნას შეჰხარის, ავადმყოფ მოხუც ქალს ცემა-გინებით აგდებს ქუჩაში.

ლუკმაპურის სათხოვნელად ხელგაწედილ სალომეს თავს წამოადგება მიკიტანი, რათა იქვე დასტყუოს მიღებული მოწყალება. შემდეგ სალომეს ჩაუვლის გლახკაცი, რომელსაც მოწყალების გაღება არ შეუძლია, რადგან „თვითონაც გლახა არის და ღელსაქმითა ცხოვრობს, რომლითაც შოულობს ერთს ლუკმა პურს“.

ამაყად მოაბიჯებს სოფლის ნაცვალი, „რომელიც ძალიან მდიდარია და ყოველ კვირას საყდრის კარზედ რომ ჩაივლის, თითოს გროშს განზანაკში ჩააგდებს ხოლმე; ამისათვის დიდი არაფერია, რომ ერთის ლუკმის ფასი აჩუქოს გლახას“. მაგრამ, ღვთის მორწმუნე სოფლის ბობოლა ზიზღით შეაქცევს ზურგს გაუბედურებულ ავადმყოფ ქალს. კიდეც დასცინის: „ამ ქვეყანაში კაცი ყოველს მწუხარებას (მითხინებით) უნდა აიტანდესო“.

გამწარებული სალომე წყევლის თავისი უბედურების მიზეზს და ამ წყევლაში მკლავნდება არსებული უსამართლობის გამო. „...მაგრამ, შენ კი, თვითონ შენ, რომელიცა ხარ მიზეზი ამ ჩემის ტანჯვისა!.. მაგრამ, არა, არ შეგიძლიან დაგწყევლო: ისევ ღმერთმან მოგცეს მშვიდიობა, თუ რომ შეუნდობს უმანკოების წარმხოცველს ცოდვასა... როგორ მშიერი ვარ, როგორის მადითა ვჭამდი ერთს ლუკმაპურსა, რომ მქონოდა ახლა“...

სცენაზე შემოდის სანადიროდ მიმავალი მდიდარი მებატონე. მათხოვარ ქალს რომ დაინახავს, ზიზღით ამბობს: „ფუ, დასწყევლა ღმერთმა! რაღა ბებერი დამხვდა. — აბა, ახლა



დავხოცამ ბევრსა! რაკი ეს წყეული ბებერი დედაკაცი დაძვ-  
და გზაში, ერთს ჩიტააც ველარ მოვკლამ, ეშმაკები მოვიდნენ  
და წაიღონ შენი თავი!..“ ეს გულქვა მონადირე თვითონ  
თავადი დიასამიძე ბრძანდება, რომელიც ველარც კი ცნობს  
თავის მსხვერპლს.

პიესის გადმომკეთებელი მიზნად ისახავს გვიჩვენოს, რომ  
გაბატონებული ფენების წარმომადგენლებში — თავადაზნაუ-  
რებში, ვაქრებში, მოხელეებში ადამიანობის ნიშანწყალიც  
აღარ მოიპოვება და მათგან არაფერ უნდა მოელოდეს არათუ  
თავისუფლებას, — ერთ ლუკმა პურსა და ოდნავ შეპრალება-  
საც კი.

„განკითხვის მაგიერათ, გამლანძღა! ახ, ბოროტებო!“ —  
მიადანებებს სალომე გულქვა მებატონეს.

მჩაგვრელთა ამ არაადამიანურ საქციელს უპირისპირდება  
ყმა გლეხების შეუბღალავი ზნეობა. მართალია ისინი ღარიბე-  
ბი არიან, თვითონაც საქმეობრივ აქეთ ლუკმა, მაგრამ მაინც მუ-  
დამ მზად არიან ხელი გაუწოდონ უფრო გაჭირვებულს, დაეხ-  
მარონ და გაამხნეონ იგი.

ახალგაზრდა გლეხის ქალი არც კი ელოდება სალომეს  
თხოვნას, თვითონვე შეჩერდება და ჰკითხავს თანაგრძნობით:  
„აქ რას ზიხარ, დედავ?

ს ა ლ ო მ ე: ახ, შვილო! ხომ არ გექნება ერთი ლუკმა  
პური?

გ ლ ე ხ ი ს ქ ა ლ ი: (დადგება სიბრალულის სახით) პური?  
არა მაქვს, დედაშვილობამა...

ს ა ლ ო მ ე: ვკვდები მშიერი.

გ ლ ე ხ კ ა ც ი ს ქ ა ლ ი: ახ, ღმერთო! ფულიც არა მაქვს,  
რომ მივცე... ახლა, დედავ, მივდივარ ქალაქს კვერცხების და  
რძის გასაყიდავათა და როდესაც დავბრუნდები, ღმერთს გე-  
ფიცებ, რომ ერთს გროშს გაჩუქებ. მაგრამ მანამდისინ რომ  
მშიერი იქნები? თუ გინდა, რძე დალიე!

ს ა ლ ო მ ე: კარგი იქნება, შვილო. ყელს მაინც გაეცხე-  
ლებ.

გ ლ ე ხ კ ა ც ი ს ქ ა ლ ი: აი, დედავ. დალიე (სალომე სუ-  
რის ტუჩს პირს მიადებს დიდის სიხარულით). კიდევ მოსვი,

დედაშვილობასა, კიდევ... (გლახკაცის ქალი რა გადის სცენითან, სიმღერას ამბობს სოფლურათ)“.

სალომე სევდიანად გააყოლებს თვალს და ამბობს: „მეც იმისთანა ვიყავი,... მეც ისე მიყვარდა კეთილის ქმნა!“

ჩამოივლის ღარიბი მილიციელი. სალომეს უხერხულად მიაჩნია, რომ ამ გაქირვებულ ახალგაზრდას მოწყალება სთხოვოს.

მილიციელსაც შია, ჯიბეში კი მხოლოდ ღარიბული სადილის ფულია დარჩენია; მაგრამ თვალს მოჰკრავს თუ არა მოხუც ქალს, ამბობს: „ეს ვილაა? მგონი ავადმყოფია. საწყალს სიკვდილის ფერი დასდებია; ხელსაც ძლივსა სძრავს. ამ საწყალს შეშწობა უნდა. განა კაცმა მოწყალება არ უნდა მისცეს, მინამდისინ არა სთხოვენ? მაგრამ ძნელი ეს არის, ამა-საც რომ მივცე, არაყიც რო დავლიო, სადილის ფული აღ რ დამრჩება. რა უშავს, არაყის მაგიერ წყალს დავლევ; წყალი მომიკლავს წყურვილსა და მე ვიქნები მხიარულად, რადგანაც ვიქმ კეთილს საქმესა. აჰა, დედავ, ფული!“

სალომემ იცნო თავისი ერთადერთი ვაჟი გრიგოლი. დედაშვილი თავდავიწყებით გადაეხვევიან ერთმანეთს. მშვიერი დედის მკერდს ჩაკრული გრიგოლი მალე გამოერკვევა, მიიჭრება დუქანთან და მზად არის ყველაფერი მიაშტურ-მოამტვრიოს, რომ მომაკვდავ დედას ლუკმაპური უშოვნოს. იგი თავს ევლება სნეულ მშობელს, ანუგეშებს მას; დღე და ღამეს გავესწორებ და შეგინახავო.

გრიგოლის ნაამბობიდან ჩანს, რომ იგი ცუდად ცხოვრობდა მილიციაში: ხუთი წლის განმავლობაში ერთხელაც ვერ მოახერხა იმდენი ფულის შოვნა, რომ დედისათვის წერილი გამოეგზავნა.

გრიგოლი დაბადების მოწმობის ასაღებად ჩამოსულა. მეტრიკის უქონლობის გამო მას დასცინიან თურმე, — „ბუშს“ ეძახიან. სურს დედისაგან გაიგოს — რატომ არ არის მონათლული და არა აქვს საბუთი.

შვილის სიტყვებმა დედას მწუხარება მოუმატა, გულის კრილობები გაუხსნა. თვალწინ წარმოუდგა უკანონოდ შო-

ბილი ვაჟის უბედურება. გრიგოლი დაეინებით მოითხოვს მამის ვინაობის გაგებას...

დავრდომილმა დედამ შეიღს მწარე საიდუმლო გაანდო: „შავი და უყულმა იყოს ის დღე, რა დღესაც მე დავიბადე, აგერ, შვილო, იმ სოფელში, რომელსაცა ვხედავთ პირდაპირ! მშობელნი ჩემნი იყვნენ კეთილნი და პატიოსანნი გლახკაცნი... როდესაც რომ შევიქვენ ცამეტი წლისა, მაშინ სადღაცა მნახა იმ სოფლის მემატონის ცოლმა, რომელიცა იყო ქვრივი. დიდად მოვეწონე... მიმიყვანა სახლში... როდესაც რომ შევიქვენი თექვსმეტის წლისა, ამ დროს მოუვიდა სამსახურითგან შვილი, ახალგაზრდა აფიცერი თავადი დიასამიძე, რომელიც მე ჯერ არ მენახა. ის ყმაწვილი კაცი იყო მეტად მშვენიერი და ყოველთვის სიყვარულზედ მელაპარაკებოდა ხოლმე და ცოლ-ქმრობაზედ... მეც... ჩემის უგნურობით და გულწრფელობით მოვაკლდი უმანკოებასა. შევიქვენი ორსულათ. ფიქრი მომავალს დროზედ მეტად მტანჯავდა. ჩემის ორსულობის მიზეზს კი ეშინოდა, დედამ არ შემიტყოსო და მთხოვდა ხოლმე არავის უთხრაო, აღმითქვამდა,... თავის დროზედ დიდად დაგასაჩუქრებო... მეცა აღუთქვი უთქმელობა, რადგანაც დიდათ მიყვარდა. როცა მოუვიდა დათხოვნის ვადის შესრულება, წავიდა თავისავე სამსახურში და გამომეთხოვა გულგრილად“.

გრიგოლი უფრო მეტი სიყვარულით იმსჯვალეზა გაუბედურებული დედისადმი. „არა უშავს რა, — ამშვიდებს მას, — ღონიერი მკლავები მაქვს, შვიმიძლიან ზენა, თესვა, ღამითაც ვიმუშავებ და შეგინახაეო“.

გრიგოლი წყევლა-კრულვას უგზავნის უგულო მამას, ზიზლით გმობს მის უნამუსობას. „როგორ შორს წაშულა ის წყეული, სინდისს ხომ შორს ვერ წაუვა! არა, რასაჭირო არის, რომ შევიტყო ვინ არის მამაჩემი, მაშინ, როდესაც არის ბოროტი და ავიკაცი: ჩემთვის ესეც საკმაოა, რომ მყავს კარგი და კეთილი დედა... მე არ მინდა იმისთანა მამა, რომელსაც ვძულვართვალზე დასანახავად!“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

შარავზაზე დარჩენილი დედა-შვილი ჯერ მიკიტანს სთხოვს თავშესაფარს; მეღუქნე ზიზლით მიიკეტავს კარს. გრიგოლი ქვას წამოაღებს ხელს, რომ თავი გაუქცილიტოს ამ პარაზიტს, მაგრამ დაუძლურებული დედის წინაშე მოვალეობა ერთბაშად გამოაფხიზლებს.

ხელში აყვანილი დედით — გრიგოლი შიადგება გლეხის ოჯახს. მასპინძელი თავაზიანად გაუღებს ქოხის კარს. როცა სტუმარი შეეცდება აუხსნას თავისი გაქირვება, გლეხკაცი გაჯავრდება — შენი დარიგება რათ მინდა, განა მე ვერ ვხედავ, რა გასაქირიც გადგიაო?.. ავადმყოფს მაშინვე ლოგინს გაუშლიან, მთელი ოჯახი ნაღესაური მზურნველობით დასტრიალებს თავს.

ბიესის მეორე მოქმედების დასაწყისი ყმაგლეხის ქოხში მიმდინარეობს. თვალწინ გადაგვეშლება გლეხების მძიმე მდგომარეობა. თავადები უკანასკნელ ლუკმას ართმევენ მხვნელ-მთესველებს. მაგრამ ისინი მაინც შეუპოვრად ებრძვიან ცხოვრების სიძნელეებს.

ყმაგლეხების თანაგრძნობით გულაჩუყებული გრიგოლი დედას ეუბნება: „დედიჯან, რა კეთილს ხალხში ხარ ახლა!“ მასპინძელიც აიმედებს მათ: „თუკი რამე გვაქვს, არ დავიშურებთო“.

მაგრამ სალომეს აქაც სული მისდის უქმელობით, რადგან მშრომელი გლეხის ოჯახში, რომლის ქოხი წვრილშვილითაა სავსე, ერთი ლუკმა პურიც არ აღმოჩნდა. შეწუხებული დიასახლისი საყვედურით ეუბნება ქმარს: „კ ა ც ო. რ ა დ ა გ უ შ ი ნ წ ა უ ლ ე ხ ა რ ჯ ი ბ ა ტ ო ნ ს ა, ა ხ ლ ა რ ო მ გ ვ ქ ო ნ ო დ ა, რ ა კ ე თ ი ლ ს ს ა ქ მ ე ს ვ ი ზ ა მ დ ი თ!“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.). ამ ეპიზოდში ივ. კერესელიძე გვიხატავს ბატონყმური წყობილების საშინელებათა შეტად მკვეთრ სურათს. გაუპაძლარ, გარყვნილ მებატონეს უკანასკნელი ლუკმაც კი გაუტანია წვრილშვილიანი ყმის ოჯახიდან. წინააღმდეგ თავადაზნაურთა მტკიცებისა, რომ ბატონყმობას ჩვენში მამა-შვილური ხასიათი ჰქონდა, — ივანე კერესელიძე გვიჩვენებს ყმების უფლებრივ და ეკონომიურ დაბეჩავებას. ხაზს უსვამს ბატონყმური გადასახადების არაადამიანურ ღასიათს. ამ სუ-

რათს აძლიერებს მებატონეთა თავგასულობა. მასპინძლის ნაამბობიდან ირკვევა, რომ სალომეს გადაკარგვის შემდეგ მისი მშობლები შვილის ჯავრმა გადაიტანა და თავად დიასამიძის მხეცური მოქმედების შედეგად გამრჩე ყმაგლეხის ოჯახი გაპარტახდა.

„რასაკვირველია, რომ არ მიმეტანა გუშინ, ამ სეზონებს შევეწეოდი, მაგრამ დმერთსა ვფიცავ. რომ ახლა ერთი გროშიც არა მაქვს!“ — ამბობს ყმაგლეხი.

გრიგოლი საყაჩაღოდ წასვლას გადაწყვეტს, რათა ერთი ლუკმა პური მაინც მოუტანოს მომავლად დედას. ამ განზრახვას ის გულლიად უცხადებს იქ მყოფ გლეხებს:

„მეტი გზა არ არის; რა ვქნა? უნდა მოწყალება ვითხოვო, თუ არა ვინ მომცემს, მოვიპარავ სადმე, ძმანო!“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ყმის ღარიბული ქოხის სურათს, სადაც შიმშილისაგან გულშეწუხებული სალომე გდია და მამუკალი პურის ყუაზე ოცნებობენ, — საიდანაც ეს არის, ლუკმაპურის საშოვნელად გაიპრა ბატონყმური უსამართლობის მსხვერპლი გრიგოლი, — ცვლის ამ სოფლის მებატონის — თავად დიასამიძის მდიდრული სასახლის სურათი. ავტორი გვიხატავს ზნედაცემული და გონებაჩლუნგი მებატონეების განცხრომითს ცხოვრებას.

თავადი დიასამიძე მხოლოდ გართობაზე ფიქრობს; მისი ინტერესების წრე შეზღუდულია: „რა სანადირო დღე არის, — ამბობს იგი, — გაირეკე ახლა ძაღლები და დაუარე სანადიროსა. მაგრამ ეს სტუმარი ცუდ დროს დამატყდა“. ერთი გულისტკივილი აქვს თავადს — ვაჟი არა ჰყავს; ერთადერთი ქალიშვილი პელაგია გათხოვდება და ბრწყინვალე გვარს გადაშენება მოეღის: „... მშვენიერი სოფელი ჩემი. მამულები და ყმები სხვა გვარის კაცს დარჩება. ეს ძალიან სამწუხაროა“.

დიასამიძეს სახლში მოუწვევია პელაგიას საქმრო — თავადი შერაშიძე; მაგრამ ქალს სძულს ეს უქნარა „სტატკის სერთუკით, შლიაპითა და ხლისტით“. მას უყვარს გლეხის შვილი დიონისე — ახალგაზრდა, განათლებული დიაკონი,

რომელიც მის აღმზრდელ-მასწავლებლად მსახურობს დიასამიძის ოჯახში. თავადს ფიქრადაც არ მოსდის ეს „საშინელება“.

დრამატურგის სიმპათია დიონისეს მხარეზეა, ხოლო თავად შერაშიძის სახით იგი გვიხასიათებს ქალაჩუნა, უჭკუო, ცხოვრებისათვის გამოუსადეგ ზედმეტ ადამიანს.

შერაშიძე გლახს ადამიანად არ თვლის. „საძაგელი მოსამსახურე მყავს, — ჩივის იგი თავის შინაყმაზე, — ბარგს რომ ალაგებდა, ყოველიფერი ჩაულაგებია და პომადა კი დავიწყებია, რომელიცა იღვა ჩემს სპალნის ფანჯარაში. ახლა არ ვიცი, რა ვქნა! ნეტავი ერთხელ მეთქვას და ორჯელ, ასჯერ ვუთხარ, არ დაგავიწყდეს-მეთქი, რომ უიმისოთ ჩემი დადგომა არ შეიძლება-მეთქი. იმისთანას პომადას აქ სად ვიშოვნო; თუმცა მაქვს აქ სხვა, მაგრამ იმისთანა არ გახლავსთ, გავუბედავ თქვენს ბრწყინვალებას, რომ პარიჟში გახლავსთ გაკეთებული.“

როდესაც ღუბერნატორთან გახლავარ ზოლმე სადილათ მიწვეული, იმ პომადას ვისვამ თავზედ. იმის სუნით ღუბერნატორის ცოლი გაოცებულია. რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის: „Боже мой, князь! Когда вы бываете у нас, говорит, то все комнаты порфированы, говорит“.

შერაშიძე თავს იმით იშვებებს, რომ პომადის დავიწყებისათვის ოცდაათი წლის ნამსახური კაცი გაუგდია.

„ახლა რა ქნას იმ საწყალმა?“ — ეკითხება გულმოწყალე პელაგია.

„მამე მე რა მექნა! ხომ ხედამთ, რომ ასე უპომადოთ დამაგლო“.

პელაგიას ხვეწნა-მუდარაზე — ის საწყალი შახატრი აუცილებლად დააბრუნეო, — თავადი სულელურ პასუხს აძლევს: „თქვენი თხოვნა ჩემთვის ისე მტკიცეა და შეუტრყველი, რომ დედამიწაზედ არ დაეშვება, მაგრამ მაგ თხოვნის ასრულება კი ძნელია... თუ ბრძანებთ, რით იცხოვროსო, არა უშავსრა, ბლომათა ჰყავს შვილები, გაეზრდებიან და შეინახამენ მამასა“.

პიესაში ნაჩვენებია, რომ ყმაგლეხთა მდგომარეობა გაუარესდა, რადგან მადაგახსნილმა მებატონეებმა ფუფუნების

საგნების შექმნას უმატეს. თავადი შერაშიძე ტრაბახობს, რომ მისი სანადირო ტანისამოსი პარიზშია შეკერილი, რომ ტანსაცმელი „ახლის მოდისაა“, „თოფის ლულა ჩამოსხმული გახლავთ ლონდონში“ და ა. შ.

ასე გამოიყურება პიესაში თავადი შერაშიძე — იმდროინდელი მახვილი მოხელე, „ლუბერანატორის კანცელარიის ჩინოვნიკი“.

გონებამახვილი დიონისე სამართლიანად კითხულობს: „ამისთანასა კაცისგან რა კეთილსა და კარგს უნდა მოველოდეთ?“ როცა ეს იდიოტი დიქამიდის სახლში ჩავარდობს, ყველა ადამიანური ღირსებით შემკული გრიგოლი ქუჩაში გამვლელ-გამომვლელს ლუქვაპურს სთხოვს, რომ შიმშილისაგან მომაკვდავი დედა ვადაარჩინოს. მოწყალებას არავინ იძლევა, მდიდრად მორთულმა თავადიშვილმა და ტარანტასით სალოცავედ მიმავალმა ქალბატონმა ზიზლით ჩაუარეს მან. ღვთის მსახურმა ბერმაც გამოლანძღა ხელგაწვდილი ვაჟკაცი: „ზარმაცი რომ არ იყო, გლახაობას არ დაიწყებდიო“. „მხოლოდ გლახამ, საწყალმა გლახამ, — ამბობს გრიგოლი, — რომლისათვისაც სრულებით არც კი მიიჯივნიან, მომცა ეს ცალი ფული... იმ ჩემსავით საწყალს სწორეთ ერთი გროში ჰქონდა, გაჰყო შუაზე და ნახევარი წილი რა მომცა, დამლოცა!“...

სოციალური უთანასწორობის გმობაა გამოხატული გრიგოლის მონოლოგში ტყის პირას: „... ამ ცოტაოდენის ფულით უნდა დავბრუნდე, უნდა დავბრუნდე და ვნახო, როგორ კვდება მშობელი ჩემი... (დაკუთრებს ფულს მწუხარებით). ახ, კაცო, შეუბრალებელნო კაცო... ამას იძახით, რომ კეთილის მომქმედნი ვართო და არ გეშინიანთ ღვთისა, რომ აღმოუშვებთ პირთაგან ამგვარ ფარისეულს სიტყვასა... აბა რა ვიყიდო ამით? კუბოს ერთს ფიცარსაც არ ეყოფა, ერთის ადრის თოკის ფაიც არ არის, რომ ვიყიდო და ჩამოვირჩო თავი... მე ესე მიქირს და ვიფიქროთ ახლა, რამდენი ფული მიღის და მოღის სტოლზე და დალდის თამაშობაში ტფილისის კლუბში... (ხაზი ჩვენია. ა. კ.). მამაჩემო! მამაჩემო, რომელსაც არ გიც-

ნობ და არ მინახავხარ... როგორც მშობელი ჩემი არის ახლა ყოვლით უნუგეშო და უმოწყალებო, ეგრეთ არ მოგეცეს შენ ნუგეში და მოწყალება!"

ამ დროს გრიგოლი თვალს მოპკრავს ტყეში სანადიროუ გაშობულ დიასამიძესა და შერაშიძეს; მოწყალებას სთხოვს მათ. „ეხ, ეს ვინ არის, საძაგელი... უთუოდ გლახა არის... ი... შენ... საძაგელო, როგორ არა გრცხვენიან მავისთანას მრთელს კაცსა, რომ მოწყალებას თხოულობ... ეტყობა, რომ ამ მხარეზედ ცოტათი უყურებენ ცუდად მოსიარულეთა და იმგვარ კაცებს, რომელნიცა ტყვილათა ჰქამენ პურსა“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.). — წყრომით ამბობს თვითონ მუქთახორა თავადი შერაშიძე. უკანასკნელ სიტყვებზე გრიგოლი შენიშნავს: „გ მ ე ც ვ ი ც ი, მ ა გ რ ა მ“... დიასამიძე მრისხანედ შეუყვირებს მათხოვარს: „სულელი ხომ არა ხარ, კაცო, ვილაცა მუდრეგი ხარ!“ — და შემდეგ მოწიწებით მიმართავს შერაშიძეს — „წავიდეთ, კნიაზო მიხეილ, რას ჩამოგვეკიდა, ვილაცა გიყია!“ გრიგოლი ხმალს იმიშვლებს და სიკვდილით ემუქრება ბატონებს.

შეშინებული დიასამიძე შინაპირსა დასურეებს მოუწოდებდა დასახმარებლად: „გვიშველეთ... გვიშველეთ, ჩქარა, თორემ დაგვხოცეს!“ გრიგოლი შეიბყრეს და თოფ-იარაღი აპყარეს, მაგრამ თავადი შერაშიძე მაინც დიდხანს ვერ მოდის გონს, დაფეთებული გარბის ყვირილით: „მიშველეთ, რაზბონიკები... რაზბონიკები!“.. გრიგოლი ციხეში მიჰყავთ. იგი ამაყად აცხადებს: „დედღიემისათვის ამოვიღე ხმალი და დედის ჩემის გულისათვის მზათა ვარ, დავანთხოო ზისხლი!“.. „წყუელი იყო ამამაჩემი!.. ყვირის ის,—რისთვის მაძლევდა მე სიცოცხლესა!..“

ამ სცენას მოჰყვება თავადის ასულის პელაგიას დიალოგი დიონისესთან. პელაგიას სურს სიყვარული გაუმეღავენოს თავის მამაწავლებელს, გლეხის შვილს დიონისეს, — ცდილობს წაათამაშოს და გაამხნევოს იგი, ხოლო ამ უკანასკნელს თავადისაგან დავალებული აქვს თავის აღსაზრდელს „შესაფერი ოჯახის შვილზე“ გათხოვება ურჩიოს.

გაუბედავ დიონისეს თავადის ქალი უცხადებს სიყვარულს. უხერხულ მდგომარეობაში მყოფი შეყვარებული ვაჟი არწმუნ-



ნებს ახალგაზრდა ქალს, რომ ეს ოცნება განუზოტელებელია: „... თქვენ უნდა შეგროონ კნიაზი, რადგანაც კნიაუნა ხართ. პელაგია დაბადებულთა კნიაზისათვის და არა ჩემისთანა საწყალის კაციისათვის; ვინ კითხულობს ჩემს ბედნიერებას, ბევრიც რომ მინდოდეს“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

„რა ვქნა, რომ დიდკაცების შთამომავლობა მაქვს... მხოლოდ გული გააპართოსნებს კაცს!“ მიუგებს პელაგია. ქალის პასუხი წარმტაც ფიქრებს აღუძრავს დიონისეს: „მე დიდი სიხარულით შეგიერთავდით, თუ რომ ვიქნებოდით იმ საუკუნეში, როდესაც რომ გაიხარებენ მოლექსენი, მაგრამ ეს ღა სხვა დროა!“

ნადირობიდან დაბრუნებული მოურავი ასე აღწერს თავადებზე გრიგოლის თავდასხმას: „... შეხვდნენ ერთს ვილაც მილიციონერს, რომელიცა დადიოდა მოწყალების სათხოვნელად... იმ შეჩვენებულმა რაზბონიკმა ამოიღო ხმალი და როგორც გაცოფებული ძაღლი ისე მივარდა თქვენს ბრწყინვალე მამასა, თუ რომ ბიჭები არ მიშველებოდნენ, შენი მტერი!“ მოურავს ამ შემთხვევის გალექსვაც მოუსწრია. ამ ლექსში, რომელსაც იგი სტირზე ამღერებს, „არსენას ლექსის“ გამოძახილი ისმის:

„იმ დროს, კაცებს რომ შოშორუნენ, ახლოს იყვნენ აქ ტყესთანა,

ერთი კაცი გამოვარდა, ხელში ეპყრა მჭრელი დანა“...

შემდეგ მესტიკირე ამბობს: „მე კი ამ შემთხვევაში ძალიან სიქმე მიყო... ერთი კარგი ლექსი სხომ შევთხზე ბუტულა-შვილზედ, უყურე, რა ლექსი შევთხზო ჩემს ბატონზედ?“

თავადი დიაპაიძეც ანალოგიურად გადმოგვცემს ამ ამბავს: „სწორეთ ვიცი, რომ იმ კაცს უნდოდა ჩემი გაცარცვა... რა მოეშორდი, ფიცხლავ მომვარდა ჰმალამოღებულთა... როდესაც მტაცა ხელი, შევატყვე, რომ კანკალებდა“... ამასავე აღიარებს გრიგოლიც: „დაჰე რა მესმის: ის კაცი, რომელზედაც ამოვიღე ხრმალი, მამაჩემია. ერთი მინუტიც რომ დამცლოდა, უეჭველად შევიქმნებოდი მამიჩემის მკვლელი!“

გაბაწრულ გრიგოლთან ჯერ პელაგია მიდის საპყრობილე-ში და საკმელი მიაქვს, — შემდეგ თავადი დიასამიძის დავა-ლებით, დიონისე დიაკონიც ესაუბრება მას. ამათთან ლაპარაკ-ში გრიგოლმა გამოარკვია, რომ იგი მამის ოჯახში იმყოფე-ბა; — რომ კაცი, რომელსაც მოკვლას უპირებდა, მამამისი ყოფილა. გრიგოლი თავად დიასამიძესთან მარტო შეხვედრას მოითხოვს. ჩაკეტილ ოთახში იგი მკაცრად ამხელს ზნეობრი-ვად დაცემულ თავადს და უარყოფს მას.

„საჭკვიდროდ მამის ჩემისაგან არა დამრჩომია რა, დე-დის ჩემის ცხარის ცრემლუბის მეტი. თავის დღეში ჩემთვის მამაჩემს არა უფიქრია რა... ფიქრშიაც არ მოსვლია... რამ-დენჯერ ვიყავი მშიერი, ვინ იყო პატრონი. მამაჩემი აბა რას ინაღვლიდა ამაზედ, როდესაც რომ აქვს კარგი სასმელი, კა-რგი საკმელი, კარგი სახლი, კარი და სიმდიდრე. სინდისი იმ-ში სრულებით არ მოიპოვება, რადგანაც არ არას გრძნობს... რათ იფიქრებდა მამაჩემი იმ საწყალს დედამზედ, ვაშინ, რო-დესაც სასახლე კარგი უდგას, ბალიშები და ქვეშაგები თბილი აქვს და რა მოკვდება, სიმდიდრე იმისთანას გულმობიერს სიტყვებს და აწერს საფლავ-ზედ კეთილ მოქმედებისას, რომ ის სიტყვე-ბი გარდეცემიან ნათესავით ნათესავამდე (ხაზი ჩვენია. ა. კ.) ... იმას კი აღარ ფიქრობს ის კეთილი კაცი, რომ სისუსტე უმანკო ქალისა მოიხმარა ბოროტად, დაარწმუ-ნებდა რა ცრუს ფიცითა, რომ მოიყვანა ქვეყნად უბედური არ-სება, რომელიცა ყოველდღე სწყევლის მამასა: რომ თავის შვილი მიიყვანა იქამდინ, რომ კინაღამ მოკლა თავისი შებქმ-ნელი მამა...

... ამ სახლში, იქნება, კიდევ თვითონ აი ამ ოთახში, შეა-ცდინე დედაჩემი და მომეცი მე სიცოცხლე მხოლოდ იმისა-თვის, რომ შენგნითვე ვიყო მიცემული სასიკვდილოდ და და-სასჯელად. — ახლა, ხელმწიფეო ჩემო, მე თვითონ არ მინდა, რომ თავის უფალი ვიყო. — არ მინდა! მე რაზბონიკი ვარ, თული ვარ, სახალხოთ გა-ვიმტყუნებ თავსა. თქვენ თვითონ უნდა მიმ-ცეთ სამსჯავროსა, რომელმაცა უნდა ჩამო-

მარჩოს, როგორც კაცისმკვლელი დ თული  
კაცი; თქვენ თვითონ უნდა ნახოთ, როგორ და-  
მარჩობენ. თქვენ თვითონ უნდა გაიგონოთ,  
როდესაც ამიყვანენ ძელზედ ჩამოსაკიდებ-  
ლად, თუ როგორ გულხურვალედ დავსწყევ-  
ლი მამაჩემს, თქვენ თვითონ უნდა იდგეთ მა-  
შინ იქ და ხედავდეთ, რისთვისაც ქანაობს  
თოქზედ დამრჩვალთ თქვენი შვილი“. (ხაზი ჩვე-  
ნია. ა. კ.).

გრიგოლის მხილებამ შეაძრწუნა თავადი დიასამიძე. როცა  
გამოფხიზლდა, გახარებული მივიარდა შვილს გულში  
ჩასაკრავად, მაგრამ გრიგოლმა ზიზლით ჰკრა ხე-  
ლი: „მე რაზბონიკი ვარ — მე კაცის მკვლელი ვარ, მაგრამ  
რასაც ახლა ამ საათში ვგრძნობ, ვერ აღიწერება ენით; მე  
წელანაც ვანობდი, რომ არ მინდა თავისუფლება; მე თვი-  
თან ჩემის ფეხით ჩავალ ქალაქში, შევალ საცა ალაგია და  
გამოვუცხადებ ჩემს დანაშაულს“.

გრიგოლი მამის სახლიდან გარბინ; ყურს არ ათხოვებან  
მამის ზვეწნა-ძუღარას, ეზიზღება ნაშუსწანზღარი თავადის  
სასახლე. თავადი დიასამიძე ბიჭებს გამოაღევენებს გრიგოლს;  
შინამოქანანაშურენი გრიგოლს დაიჭერენ და უკანვე მოპვერიან  
მამას.

ამით მთავრდება პიესის მეოთხე მოქმედება. ყურნალის  
მომღეენო ნოჰერში ამ დრამის დასასრულიც უნდა გამოქვეყ-  
ნებულიყო, მაგრამ დაბეჭდვა აღარ ეღირსა.

როგორც აღვნიშნეთ, ეს პიესა ჯერ კიდევ 1855-56 წლებში  
იდგმებოდა ქართულ სცენაზე. ამიტომ ექვს არ იწვევს, რომ  
პიესის გაგრძელების ბეჭდვა ცენზურამ აკრძალა. პიესის  
დაბეჭდილი ნაწილი, ცხადია, დიდ შემფოთებას გამოიწვევდა  
თავდაზნაურებში; ამ დრამის გმირებში ისინი აღვილად გა-  
მოიცნობდნენ საკუთარ თავს. პიესის შინაარსმა, როგორც  
სცენიდან, ისე ყურნალის ფურცლებიდან, უეჭველად გზა გაი-  
კვლია ხალხის დაბალ ფენებში.

მეხუთე მოქმედებაში, რომლის ბეჭდვაც აკრძალა ცენზუ-

რამ, ნაწარმოების კვანძი უნდა გახსნილიყო. პიესის ბოლო ნაწილში ივ. კერესელიძე საგრძნობლად შორდება ორიგინალს, ამწვავებს სოციალურ მომენტს, თავისუფლდება კოცებუს სენტიმენტალიზმისაგან და დედნის მეხუთე მოქმედების მიხედვით შეუძლებელია გადმოკეთებული დრამის დასასრულზე მსჯელობა. სიუჟეტის ბუნებრივი განვითარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გრიგოლს ან საბოლოოდ უნდა უარეყო თავად დიასამიძის მამობა და გაქცეულიყო, როგორც არსებული ზელისუფლებისა და ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ ღრმა შეგნებით ამბოხებული ყაჩაღი, ან კიდევ, თავად დიასამიძის სახლში უნდა დარჩენილიყო ისე, როგორც ორიგინალშია. უკანასკნელ შემთხვევაში, „დიდი გვარის“ წარმომადგენელ უმემკვიდრო ოფიცერს თავისი ოჯახი უნდა დაემტკიცებინა გლეხური წარმოშობის, გაუნათლებელი, დაბალ წრეში აღზრდილი „უკანონო“ შვილისათვის, რომელიც ბატონყმური წყობილების მტერი იყო. ამასთან ერთად, ცენზურის მიერ აკრძალულ V მოქმედებაში თავადმა ქალი პელაგია ცოლად უნდა გაპყლოდა უთვისტომო გლეხს დიონისეს.

ამრიგად, დრამას „შვილი უკანკოებისა“ იკვივე ბედი ეწია ცენზურის კლანჭებში, რა ბედიც ეწია ივ. კერესელიძის ბევრ სხვა ნაწარმოებს—დაუმთავრებელი დარჩა. მიუხედავად ამისა, ივ. კერესელიძემ პიესის დაბეჭდილ ნაწილშიაც მოახერხა იმ დროისათვის პროგრესული აზრების გატარება, ბატონყმური წყობილების არაადამიანური ხასიათის მხილება.

იმდროინდელი საზოგადოებრივ გაბატონებული ნაწილი პიესაში დაპირისპირებულია დაჩაგრული კლასის—გლეხობის წარმომადგენლებთან. დრამაში გამოყვანილი ყველა თავადი, ვაჭარი, მოხელე უარყოფითადაა დახასიათებული. ისინი ზნეობრივად ისე დაქანებულან ცხოვრების კიბეზე, რომ შეუძლებელია მათ ადამიანის სახელი ვუწოდოთ. ხოლო კოცებუს მთავარი გმირები, განსაკუთრებით ბარონი ფონ ნოიპოფი (დიასამიძე), გადაჭარბებით კეთილნი და გულჩვილნი არიან. ავტორმა შექმნა თავად შერაშიძის, თავად დიასამიძის, მიკიტნის დასამახსოვრებელი სახეები. თავადი დიასამიძე ზნედაცემული, გულჭევა, უპირო და უნებისყოფი მებატონის განსახიე-

რებაა. შეაცდინა რა ყმაგლეხის მცირეწლოვანი ქალი, მან ბედისანაბარად მიატოვა იგი; ერთხელაც არ მოჰგონებია, რომ ეს ქალი მისი შვილის დედა იყო. მაშინაც კი, როცა მისგან გაუბედურებული სალომე წერილით სთხოვდა — შვილს დაეხმარეო, მან პასუხის ღირსადაც არ გახდა საბრალო ქალი. მართალია, დროდადრო ამ პირუტყვშიაც იღვიძებს ადამიანური ინსტიქტი და სინანულის გრძნობა, მაგრამ იგი ბოლომდე გულქვა და ფანატიკოს მებატონედ რჩება.

პელაგია, რომელმაც თანადაც განუცხადა, გლეხის შვილი ღიონისე მიყვარს და ცოლად უნდა გავეყეო, — განარსებულნი თავადი დატუქავით ეუბნება: „შენ მადგისთვის ღირსი ხარ დასჯისა... გამიგონე, რე გვენო, შენ თავადის ქალი ხარ და თავადის შვილმა უნდა შეგიერთოს და არა იმის თანა უგვარკუდო გლეხმა, რომელიცა სწავლით ცხოვრობს და თუ ის სწავლაც არა ჰქონდა, ნახშირი უნდა ეწეა. (ხაზი ჩვენია. ა. კ.). შენ ჰკუთაროგორდაც გიხტის და ის კი არ იცი, რომ ჩვენთვის დიდი სირცხვილია ეგ საქმე. გულში თუ გედო, როგორ ამბობდი!“.

თავადაზნაურობის გადაგვარების, გონებრივი დაჩლუნგებისა და ზნეობრივი ფაჩრწნის უფრო მკაფიო მაგალითს შერაშიძე წარმოადგენს. ეს სწავლამიღებული, დიდ თანამდებობაზე მყოფი თავადი იმდენად დაკნინებულია, რომ ქალაჩუნობით, მეტიჩრობით, სასაცილო ყოყლოჩინობითა და ჰკუთის სიჩჩატიით თავისი წოდების წარმომადგენელთა ზიზღსაც იმსახურებს. დიჭამიძე ყოველ ნაბიჯზე აბუჩად იგდებს მას; „კაი მოუვა შენს თავს, კარგი ჰკვიანი რამ შენ ჰყავხარ მამაშენს!“ — ასე ეუბნება იგი რეგვენ საჭიძოს. თავადის ასულიც უსაზღვრო სიბუღვილითა და ზიზღითაა გამსკვალული „ყეყეჩი საქმროსადმი“. „მამაჩემო, თუ გინდა გეწყინოთ, სწორედ მოგახსენებ, რომ მე მაგალი შემრთველი არა ვარ“. — უცხადებს პელაგია მამას. პელაგიას ვერც კი წარმოუდგენია „ნასწავლი გლეხის“ ღიონისეს შედარება ამ ტვინთხელ თავადთან.

ნამდვილი ადამიანი ავტორმა ყმაგლეხთა შორის დაინახა.

ეს არის ადამიანი მაღალი მორალური თვისებებით, მტკიცე ხასიათით, ენერგიით და ჭანჭალი აზრით. დიქსონის მიერ გაუბედურებული და საკუთარი ოჯახიდან განდევნილი გლეხის ქალი სალომე თავს ევლება ობოლ შვილს. გმირული შრომითა და თავდადებით მან გულმართალი, მხნე, ჰკვიანი და ერთ-ერთი ვაჟი ადუზარდა სამშობლოს.

პიესის მთავარი გმირი გრიგოლი — შვილი ჟმანკოებისა — ავტორის იდეალია. იგი თავგანწირული იბრძვის სიმართლის გამარჯვებისათვის; მისი გული აღსაფრთხილებელი სიყვარულით და იგი თავსაც სწირავს აღმზრდელ და მოამაგე დედას.

გაქირვებაში აღზრდილი ვრიგოლის ხასიათის მთავარი თვისება სიკეთეა. ის გულმონყაა და ალაღმართალია, გაბედულად უარყოფს ზნედაცემულ მამას; ურჩევნია ღარიბებთან გაინაწილოს ლუკმა, ვიდრე მდიდარი თავადის მემკვიდრეობა მიიღოს და მძათვის საძულველი წოდების ბოროტებათა თანაზიარი გახდეს. პიესა გვიჩვენებს, რომ ბატონყმობა ბუნებისა და ზნეობის საწინააღმდეგო მოვლენაა. „შ ე ნ დ ი დ კ ა ც ო ბ ა ზ ე დ რ ა ს ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ? დ ი დ კ ა ც ო ბ ა მ ი ქ ა რ ვ ა ა , ყ ო ვ ე ლ ნ ი კ ა ც ნ ი ე რ თ ი ს კ ა ც ი ს შ თ ა მ ო მ ა ვ ა ლ ნ ი ვ ა რ თ“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.) — ვკითხულობთ ერთგან.

დაბეჩავებულ გლეხობას თავადაზნაურობის იველი არ უნდა ჰქონდეს; საკუთარი ბედი თვითონვე უნდა გამოსჭედოს. „უბედურთათვის ვისა სცალიან, — ამბობს გრიგოლი, — ჰკუა და გონება კურდღლებში აქვთ გართული [თავადებს]. მაშინ, რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა , რ ო მ კ ა ც ი ს გ უ ლ შ ი შ ე ვ ა რ ა დ ა ც რ ა მ გ რ ძ ნ ო ბ ა“. (იარაღით ბრძოლის აზრი. ა. კ.).

პიესა სავსებით ამართლებს ბატონყმური სიმახინჯის წინააღმდეგ იარაღით ბრძოლას. გრიგოლი ამბობს: „მე ვიცი, რომ მაქვს გრძნობა, მაგრამ ამ გრძნობის წარმოთქმა და დაქტკიცება არ შემიძლია. მიუხარით, ღვთის გულისათვის, რ ა ც ო დ ვ ა ი ქ ნ ე ბ ო დ ა , რ ო მ წ ა მ ე რ თ მ ი ა რ ა მ ე ი მ თ ა ვ ა დ ი ს ა თ ვ ი ს ... ა ბ ა ე რ თ ი თ ქ ვ ე ნ ყ ო ფ ი ლ ი ყ ა ვ ი თ ჩ ე მ ს ა ლ ა გ ს ...“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

„სინდისი მე სრულებით არა მსჯელა, — განაგრძობს გრიგოლი, რომელმაც იარაღი აღმართა თავად დიასამიძის მოსაკლავად, — თქვენ კითხულობთ ჩემს დანაშაულს ან ალარამბობთ, თუ რა იყო მიზეზი დანაშაულები ს. თუ რიგიანად განსჯით, გარწმუნებთ, რომ უეჭველად გამამართლებთ“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

გრიგოლი ამყარებს აცხადებს, რომ იგი „რაზბონიკია“, „კაცის მკვლელია“. ზურგს შეაქცევს თავად დიასამიძის უნამუსობით აღსავსე ბუნებას. ეს არის სავსე ბრალდება, გაამართლება მჩაგვრელი კლასისა, რომელიც კაცთმკვლელობის გზაზე აყენებდა კეთილსინდისიერ ადამიანებს.

„შვილი უმანკოებისა“ ლიტერატურულად ღირსშესანიშნავ ნაწარმოებად არ ჩაითვლება, მაგრამ ამჟამად იგი გვიანტირებს ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების თვალსაზრისით და მის მხატვრულ აკვარგიანობაზე არაფერს ვაპირობებთ.

**ბატონყმობის წინა-  
აღმდეგ გალაშქრება  
პუბლიცისტურ  
წერილებში**

როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ „ცისკრის“ დაარსებამდე, როცა ბატონყმობის გაუქმების შესახებ „ჩამი-ჩუმიც არ იყო“, ივანე კერესელიძე ყმაგლეხთა ინტერესებს იცავდა. „ცისკრის“ დაარსების შემდეგ იგი განაგრძობდა

ბრძოლას ამ პროგრესული აზრის გამარჯვებისათვის; ასპარეზზე, თერჯდალეულთა გამოსვლამდე სათავეში ედვა ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს. იმ დროს ჩვენს პრესაში სიტყვა „ბატონყმობა“ ხსენებაც აკრძალული იყო. მაგრამ ივ. კერესელიძე მაინც ახერხებდა ბატონყმობის საწინააღმდეგო მასალების გამოქვეყნებას და ამ თემაზე ღისკუსიაც გამართა. აქ ახალი სიძლიერით იჩინა თავი მისმა ჟურნალისტურ-რედაქტორულმა ნიჭმა; ქარაგმული გამოთქმებით, მოსაგერიებელი მანევრებით, ზოგჯერაც მოურიდებელი გალაშქრებით იგი საკმაოდ აშუქებდა თავისი დროის ყველაზე დიდ სოციალურ პრობლემას.

ყურნალის ერთ ნომერში ივ. კერესელიძე წერდა: „რა უბედურებაა, რომ ყოველთავეში ქართულად უნდა მოვიქცეთ: უმთავრესს საგანს უნდა თავი დავანებოთ და წვრილმანს გამოვუდგეთ... კიდენ რომ ვერ მოგახსენებთ, რაც დამავიწყდა! ვსთქვა? ნებას მიბოძებთ? არ გამიჩინებთ? როგორღაც ვერიდები თქვენს წყენას. ფჰ ადრეა თუ გვიან, ხომ უნდა მოხდეს, და რწმუნებულნი ბრძანდებით, ამის გარდა, ჩემის თქმით თუ უთქმელობით რა იქნება? მაშ მოგახსენებთ: ბატონ-ყმობა დიაღ, ბატონ-ყმობა — უმთავრესი და უპირველესი საგანი ჩვენთვის და ჩვენის შვილებისათვის. შემდგომში ამაზედაც მოგელაპარაკებთ და მოგახსენებთ იმ ბატონ-ყმობის პროექტის ღირსებაზედ, რომელზედაც დიდის ყურადღებით ლაპარაკობენ ხალხში. მაშ ნახვამდინ“<sup>1</sup>. (ხაზი ჩენია. ა. კ.).

რედაქტორმა დაწყებული სიტყვის გაგრძელება ვერ შეძლო; პარზე ააფარა ცენზურამ ხელი; გულისტკივილს გამოხატვა მაინც მოასწრო და ეს რეპლიკა საკმარისი იყო იმდროინდელი რეაქციის პირობებში; მკითხველი ადვილად გაიგებდა ავტორისა და რედაქციის თვალსაზრისს „უმთავრეს და უპირველეს საგანზე“.

დაწყებული 1857 წლიდან „ცისკარის“ ფურცლები სავსეა ბატონყმური უსამართლობისა და მისი მოსპობის აუცილებლობის შესახებ ასეთი ნაწყვეტ-ნაწყვეტი წამოძახილებით.

იმავე პერიოდში დაიბეჭდა მისი ლექსებიც უპატრონოდ დარჩენილ, საზოგადოებიდან გარიყულ ადამიანთა შესახებ.

1858 წ. 3 აგვისტოს იმპერატორმა ალექსანდრე II მოსკოვის კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც თავადანზაურობისათვის და პირადად მისთვის საწუხარო, მაგრამ ისტორიული აუცილებლობით გამოწვეული აზრი გამოხატა: „... ადრე იქნება თუ გვიან, უნდა

<sup>1</sup> „ცისკარი“. 1862. იანვარი.



შევეუდგეთ ბატონყმობის უფლებათა ცვლილებას და უპიჯობეს არს დაწყება მალლიდან, ვიდრე ქვეიდან“.

იმპერატორის მოწოდებამ თავზარი დასცა ნენამულებს. მეფის რეჟიმის ბურჯი — თავადაზნაურობა რომ არ გაეღიზიანებინათ, პრესაში აკრძალეს ამ საგანზე მსჯელობა; ბატონყმობაზე ლაპარაკს შეეძლო დაეჩქარებინა ხალხის მოძრაობა და მინამ საიდუმლო კანცელარიაში პროექტების მოწმადებას დაამთავრებდნენ, — გამოეწვია მთავრობისათვის საშიში „განთავისუფლება ქვეიდან“. საქართველოში, ვანსაყუარებით, სახიფათო იყო ამ საკითხზე წერა, რადგან ადგილობრივ თავადაზნაურობას იმით აშოშმინებდნენ, რომ მომავალი რეფორმა აქ ან სულ არ გატარდება, ან დიდი ხნის შემდეგ განხორციელდება და ისიც კულშეკვეცილად.

ბატონყმობის გაუქმებაზე ხმების გავრცელებასთან დაკავშირებით, ქართველი თავადაზნაურობის განწყობილებას ღიბ. ყიფიანი ასე გაღმოვცემს: „...საქართველოს მებატონენი ვიყავით შეშფოთებულნი, ხმა რომ გვესმა, ბატონყმობა ირღვევაო. მომასწავებელი ნიშნები თუმცა აქაც წინასწარვე იხილებოდნენ, მაინც დასაჭერებლად არ მიგვაჩნდა პირველში ეს ხმა: დასაბამითგან არსებობს ჩვენი ბატონყმობა და ასე ადვილად რა დაარღვევს. მერე რა, რომ ლაპარაკი გახშირდა და შემამშფოთებელი ზიზიზები იგავვიმართლდა, რა რომ მრავალი წინასწარი მაგალითებითაც, მპართველობის მოხელეებს ლაპარაკითაც და რუსეთიდან მომავალთა ბეჭითის აბებითაც გული დავიჭერეთ, რომ უსათუოდ ჩვენც მოგვატანა ეს არის ამ საქმემ, მაშინ ჩვენის ღირსების შესაბამად თვალი ვავუსწორეთ საზარელს ამ საქმესა და ვიწყეთ მოლაპარაკება ერთიერთმანეთთან, როგორც შინაობაში და კერძობითად, ისე უეზღებში... ჩვენი ჰაზრების ქალაღლით გამოთქმას დიდათ ვერიღებოდით და ამ საზოგადოს განსაცდელში ურთმანეთსაც ვეღარ ვეზღობოდით...“

ამ დიდათ სანწუხაროს საქმეს რომ ფიქრი შევაჩვიეთ... ვიწყეთ თვითეულად ზრუნვა... რა იყო და რა ჩივეა იყო მაშინ ისეთს საქმეზედ, რომლის უმძიმესი, არათუ ჩვენს ხსოვნაში არა მომხდარა რა ამ მხარეზედ, — მამაპაპათაგან მონათხრობ-

შიაც არა გვსმენია რა. ეს საქმე უბედურების გარდა სხვას არა რას გვიქადდა საშვილით შვილოდო<sup>1</sup>. დიმ. ყიფიანი ამას წერდა 1864 წელს, ე. ი. მაშინ, როცა რუსეთში ბატონყმობა უკვე კარგახნის გაუქმებული იყო. აქედან ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ როგორ შეხვდებოდა ადგილობრივი თავადაზნაურობა პირველ ხმებს ბატონყმობის გაუქმებაზე. დამახასიათებელია, მაგალითად, რომ მიხ. თუმანიშვილი 1863 წელსაც კი მთელი წელი პასუხს უგვიანებდა დიმ. ყიფიანს მის ცნობილ 14 კითხვაზე<sup>2</sup>.

ივ. კერესელიძე არ მოერიდა არისტოკრატის რისხვას, დაუყოვნებლივ ისარგებლა შემთხვევით და, იმპერატორის სიტყვას ამოფარებულმა, რადიკალური შეხედულებები გამოთქვა ბატონყმობის მოსაბობის აუცილებლობაზე. ოფიციალურ მასალას „ცისკარი“ თითქმის არ აქვეყნებდა, მაგრამ ამჯერად ივანე კერესელიძემ გადმოთარგმნა იმპერატორის ზემოაღნიშნული სიტყვა და დაბეჭდა იგი „ცისკარის“ 1858 წლის დეკემბრის ნომერში („სიტყვა ნაბრძანები ხელმწიფის იმპერატორისაგან მოსკოვის საკეთილშობილო წინამძღვართადმი აგვისტოს 3, 1858“). ამ სარედაქციო მანევრმა „ცისკარის“ რედაქტორს შესაძლებლობა მისცა გამოეთქვა თავისი აზრი „უმთავრეს და უპირველეს საგანზე“.

მაშინ, როცა თავადაზნაურობის დიდ ნაწილს იმპერატორის სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა, ხოლო თვითონ იმპერატორი ოფიციალური გულვრილობით ღაპარაკობდა ამ „საშინელ აუცილებლობაზე“, ივანე კერესელიძე მხურვალე სურვილს გამოთქვანს — სიცოცხლე შესწიროს მეფის მიერ ცივად და ფრთხილად წარმოთქმული აზრის დაუყოვნებლივ განხორციელება. იგი წერს: „სხვათა სტატიათა შორის იყო ღიჯი შენიშვნისა ერთი სტატია: ჩიტყვა მისის იმპერატორო-

<sup>1</sup> ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ შეკრებისადმი მოხსენება დეპუტატელნი სტატსკი სოვეტნიკის დ. ყიფიანისა ბატონყმობის საქმეზედ — საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდ № 15751-ხ (ავტოგრაფი).

<sup>2</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, მ. თუმანიშვილის ფონდი.

ბითქს დიდებულებქა მოსკოვქს კეთილშობილთადქი. აქ სტატისწაკითხვაზე ყოველი რქემი გონებქ, სული, გული და თვითეული ასო გარდაიქცა გრძნობად და ვიძახდი: რად არ შემიძლია სიცოცხლე შევსწირო მას, რომელსაცა ჩემის შეწირვით შეეძლოს აღსარულებაში მოყვანა კეთილისა იმ განზრახვისა, რომლისათვისაც დაუცხრომლად ზრუნავს-მეთქი“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

როგორც ვხედავთ, ამ სიტყვებში მეფის განცხადების შედეგად წარმოშობილი აზრი კი არ არის გამოხატული, არამედ გადმონთხეულია წლების განმავლობაში შეგუბებული გრძნობები, რომელსაც ავტორის „სული და გული, თვითეული ასო გაუქდენთავს“.

ფაქტიურად ამ წერილში ივ. კერესელიძე, „მეფის აზრქ“ აღსასრულებლად, ე. ი. ბატონყმობის მოსასპობად, ბრძოლისა-კენ მოუწოდებდა თანამემამულეებს.

წერილი, რომელსაც ეტრნალის სამი ვვერდი უკავია, ქართველი ხალხისადმი მხურვალე მოწოდებით მთავრდება: „...ქართველნო, თუ ხართ სადმე, ჯერ კი ვერ მიპოვნისხართ და თუ გიპოვნეთ,—თქვენი ძველად ხასიყთი იყო, არა თუ ქონებას, მეფისათვის სიცოცხლეს შესწირავდით; არა თუ თავსა,—აკვნის ყმაწვილსაც გამოიყვანდიო და მეფის აზრს არ უარყოფდით“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ეს მოწოდება ხალხისადმი, გლეხობისადმი მიმართული, თორემ „მეფის აზრის“ შესასრულებლად, ე. ი. ბატონყმობის მოქაპობად, თავადაზნაურობა არასოდეს გამოვიდოდა იარაღით ხელში. ან კი ვის უნდა შებრძოლებოდა ის?

თავადაზნაურობას ივ. კერესელიძე ბრძოლისა-კენ კი არ მოუწოდებს, არამედ „მეფის რისხვით“ ემუქრება. უღმობელი ირონია ისქია ამ სიტყვებში: „პრისხანება მეფისა არს მრისხანება „ღვთისა“ (ე. ი. არავინ გაბედოთ ბატონყმობის გამოქომაგებაო. ა. კ.). (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

„... რას მოგვიკეცნია, — მიმართავს ივანე კერესელიძე თავადაზნაურებს, — რატომ შეძლებისამებრ არ მოგვიხსენებია: იმპერატორო, ჩვენო მფარველო... გვიბრძანე და მზადა ვართ ერთგულნი შეილნი ივერიელნი... თუ იტყვი, გვიყვარსო, მაშ, დავამტკიცოთ და ნუ მივიყვანთ იქამდინ, რო იმ აზრით ბრძანდებოდეს, რა აზრითაც მიუღია მოსკოვის კეთილშობილნი, ღმერთმა დაგვიფაროს!“

უსაზღვრო დაცინვა და ნიშნისპიგება იგრძნობა ივანე კერესელიძის ამ სიტყვებში როგორც თავადაზნაურთა, ისე თვით მეფის მიმართაც. ამიტომ პრიმიტიულად მიგვაჩნია არჩილ ჯორჯაძის მოსაზრება, თითქოს ეს წერილი მაინცდამაინც საშიში არაეისთვის იყო და „ავტორის თვალში თავიდათავი იყო აღსრულება ხელმწიფის სურვილისა“<sup>1</sup>.

ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა ივ. კერესელიძის თვითული ქართველის პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნია. იგი წერს: „... წარმომიდგა რა, რომ ყოველი კაცი უნდა ცდილობდეს თავის შესავარად, ფიცხლად მოეკიდე ხელი კალამსა, გადმოეთარგმნე (იმპერატორის სიტყვა) და იმ საათს გავუგზავნე „ცისკარს“.

„ცისკარს“ ამავე ნომერში დაბეჭდილ მეფის სიტყვაში ნათქვამია, რომ „ყმა მიწიანად უნდა განთავისუფლდესო“. „მეფის ამ აზრის“ განსახორციელებლად ივ. კერესელიძე ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ქართველებს. ამჟათან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ, რომ თავადაზნაურობა 1864 წელსაც კი პუნქტობრივად ჩაპყრიკიტიბდა ბატონყმობის გაუქმების პროექტს და როცა ილია ჭავჭავაძემ გლეხის მიწიანად განთავისუფლება მოითხოვა, მას ხანჯლით აკუწვას უპირებდნენ.

ივანე კერესელიძის ამ წერილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. „ცისკარის“ მომღვენო ნომერში გამოქვეყნებულია ალექსანდრე ორბელიანის წერილი, საიდანაც ვტყობილობთ, რომ „კერესელიძის სასტიკად გმობდნენ, ეს რა დაუწერილო და ემუქრებოდნენ“. მართლაც, ვინ აპატა-

<sup>1</sup> არჩილ ჯორჯაძე. წიგნი V. 1914.

ებდა ბატონყმობის წინააღმდეგ ასეთ გაბედულ გამოწვევას ივანე კერესელიძეს, რომელსაც არც ყმა გააჩნდა, არც მამული და არც ხმა ჰქონდა თავადაზნაურთა შეკრებაში. ალექსანდრე ორბელიანი იძულებული გამხდარა თავადაზნაურები იმით დაეშოშმინებია, რომ ამ სტატიის დამწერი კერესელიძე კი არ არის, არამედ თავადი შვილიო.

ივანე კერესელიძე უკმაყოფილო იყო, რომ ცენზურის მიზეზით „ცისკარში“ არ ზერხდებოდა ბატონყმობის წინააღმდეგ მთელი სიძველეთა ვალანქრება, რომ მას არ შეეძლო ეს „უპირველესი საგანი“ ყურნალის იდეური ბრძოლის წამყვან თემად გადაექცია, ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა „ცისკარის“ 1863 წლის მაისის (ცენზურის მიერ დაჩეხილი) შინაური შიშობილება, რომელშიაც ვკითხულობთ: „ბატონყმობის საქმეზედ რას ვიტყვით? ყველა ჩვენმა მკითხველმა კარგათ იცის ან დაწყობილება ან წარმართულება ამ საქმისა; თუ ვიტყვით რასმე, ამაზედ უნდა ვსთქვათ და სხვა შემთხვევაში უნდა დავიდუმოთ...“ (ცენზურა). შემდეგ ავტორი ყოველი მხრიდან თავს დამტრიალებს ამ საკითხს, რათა იქნებ როგორმე „სუნის ამღებ“ ცენზორს თვალი აუხვიოს, მაგრამ ამაოდ... წერილი აჭრელებულია წერტილებით და „ყოველმხრივ გაბოჭილი“ ავტორი იძულებულია ასეთი წამოძახილით დაამთავროს სტატია: „...ბევრი რამ უნდა გვეთქვა, მაგრამ... (ცენზურა) ეჰ, მე და თქვენ ხომ ვიცნობთ ერთმანეთს, მკითხველო... (ხაზი ჩვენია. ა. კ.) (ცენზურა). ამ ბატონყმობის საქმეს თავი დავანებოთ ჩვენ, რაკი აქამდინ არა ვსთქვით რა, მინამ საათქმელი იყო, ახლაც არას ვიტყვით, როგორცა...“ (აქ საბოლოოდ ჩააწყვეტინა ცენზურამ ხმა).

ივანე კერესელიძე ბატონყმობის დაუძინებელი მტერი იყო.

ზაქარია კიკინაძე, რომელიც სარწმუნოდ იცნობდა ამ საქმეს, წერს: „თვით ივანე კერესელიძესაც მეტი სმეტი აღმატებული, შესაფერი შეხედულება ჰქონდა ვლახთა უფლებაზე შედგენილი მაშინ (ბატონყმობის დროს. ა. კ.) თუ ერთი და ორი ითვლებოდა ასეთის შეხედულების და“

მიმართულებების (ად), ერთი ამათგანი იყო იგი. იმის ნატურას საზღვარი არა ჰქონდა: ნეტა მალე ეშველოს გლახთა საქმესაო. (ხაზი ჩვენია. ა. კ.). თვითონ ივანე კერესელიძე მნახველი იყო თავის თვალთ მრავალ ისეთ საქმეთა, რომელიც გლახთა და მებატონეთა შორის მომხდარიყო; ბევრი რამ იცოდა ამაზე და ერთი ასეთი ცნობა ჩვენ ზემოთაც მოვიყვანეთ<sup>1</sup>.

წერილში „ახალი საქართველი და იმის მოქმედება ხალხზედ“ ივ. კერესელიძე ასე იგონებს ბატონყმურ უსამართლობას: „ვის არ ახსოვს ის დაშამათული დრო, როდესაც ჩვენს ძმებს, გლახკაცობას, ვუყურებდით, როგორც უენო საქონელს, — ვის არ შეზარდება, როდესაც მოგვაგონდება იმათი საქონელსავეთ გაყიდვა, დაგირავენა და ჩუქება“<sup>2</sup>.

ივანე კერესელიძეს დიდი ღვაწლი მი-  
ივ. კერესელიძე და უძღვის დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“  
„სურამის ციხე“ დაწერა, დაბეჭდვასა და პოპულარი-  
ზაციაში. ცოლს ძმისადმი გაგზავნილ  
წერილში დ. ჭონქაძე გარკვევით აღნიშნავდა, რომ მშობლიური  
მწერლობის საქარეზზე მისი გამოხელა და „სურამის ციხის“  
შექმნა „ცისკარს“ არსებობისა და ქართული ლიტერატურის  
მოტრფილეთა წრის საქმიანობის უშუალო შედეგი იყო.

დ. ჭონქაძის ბიოგრაფი ზაქ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს: „კერესელიძემ მიამბო, ჩემი ერთადერთი დაახლოვებული კაცი და საყვარელი მეგობარი დანიელ ჭონქაძე იყო. ამის სიკვდილით წელი მოჰყდაო... ჭონქაძის შესახებ „ცისკარს“ რედაქტორმა მიამბო, რომ დიდი ვულუმბატკივარი და საწყალ ხალხთა შემბრალებელი კაცი იყოვო. ხშირად ამის შესახებ ჟღაპარაკნია კიდევცა, განსაკუთრებით ბატონყმობის შესახებ. ამ სენის (ბატონყმობის) შესახებ საუბარი იმ დროში მას ყველასთან არ შეეძლო. ის თურმე ხშირად დადიოდა „ცისკარის“ რედაქციაში და ბატონყმობის შესახებ მხოლოდ კერესელიძეს ელაპარაკებოდა. როგორც მიამბო კერესელიძემ, მასთან ერ-

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე. „ივანე კერესელიძე“. 1902.

<sup>2</sup> „ცისკარი“. 1868, აპრილი.

თადერთი დაახლოვებული კაცი და საყვარელი მეგობარი მხოლოდ დ. ჰონქაძე ყოფილა“<sup>1</sup>.

ამ ცნობას დ. ჰონქაძის ბარათი და „სურამის ციხის“ ადგილებიც ადასტურებს.

„სურამის ციხეში“ აღწერილია ქართული ლიტერატურისა და ისტორიის მოტრფიალეთა წრის საქმიანობა. წრის წევრები, რომელთა შორის ავტორი თავის თავსაც ასახელებს, უოველ საღამოს იკრიბებოდნენ რიყეზე; ანჩისხატის ჩააწერივ და ერთმანეთს უამბობდნენ სხვადასხვა მოთხრობებს, აგრეთვე ეპიზოდებს საქართველოს ისტორიიდან. ამ წრეში კამათი ჰქონიათ ბატონყმობის შესახებაც; წრის წევრები დაინტერესებული ყოფილან ჩქარა გაეგოთ ახალი ამბები ყმების განთავისუფლებაზე და გაეპართათ მსჯელობა მის გარშემო.

უდავოა, რომ „სურამის ციხეს“ საფუძვლად დაედო ამ წრეში გაგონილი ამბები<sup>2</sup>. თხზულება კარგა ხანს მუშავდებოდა და იხვეწებოდა დ. ჰონქაძის მეგობართა მონაწილეობით. ეს აუცილებელი იყო, თუ გნებავთ იმიტომაც, რომ „სურამის ციხის“ ავტორმა პირველად აიღო კალამი ხელში. მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტსაც, რომ დ. ჰონქაძემ „სურამის ციხეს“ ეპიგრაფად წარუძღვარა ივ. კერესელიძის სტრიქონები „მწყემსის სიყვარულიდან“; ეს იყო ერთგვარი მინიშნება იმ იდეური და ლიტერატურული გავლენისა, რომელიც მასზე მოახდინა 50-იანი წლების ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ. ამასთანავე, როგორც ირკვევა, „სურამის ციხის“ ავტორს მოთხრობის ერთ-ერთი სიუჟეტური ხაზისათვის ივ. კერესელიძის მოგონებაც გამოუყენებია.

ზ. ჰიჭინაძე წერს: „ერთხელ აი რა მიაქვო მან (კერესელიძემ) ქართლში ერისთავთაგან ალ. ორბელიანს 150 მანეთად ერთი ოსტა ოჯახი ეყიღნა, ყველა ესენი ტფილისში ჩამოიყვანეს და ბატონიშვილთა სახლს გვერდით ერთ ოთახში იყვნენ დამწყვდულნი. ყველა ესენი საცოდავად ბლაოდ-

<sup>1</sup> სანძალა. წერილები ქართულ მწერლობაზე. 1888.

<sup>2</sup> შ. რადიანი. ახალი ქართული ლიტერატურა. 1954.

ნენ, ეშინოდათ, რომ ბატონმა ცალცალკე არ დაევიდოსო-  
მათის ტირილისაგან ყველას ზიზრალული მოხდიოდა; მეც  
მეცოდებოდნენ, მაგრამ ბატონს აბა რას გავუბედავდი. მე მა-  
შინ გოწათე ვიყავი ალ. ორბელიანმა ამ ყმათა დედაკაცი სო-  
მხეთში გაყიდა, კაცი კახეთში, ერთი ბიჭი ერევნელ სომხი-  
ხათვის მიუყიდნია და ერთი გოგო ჰყვანდა, ის კი შინ დაატოვა  
მოახლეთ. მერე თავის ქალს დარიას გაატანა მზითევში ქობუ-  
ლოვზე...“<sup>1</sup>

ეს ფაქტი ცხადად მოგვაგონებს ოსმან-ალას თავგადასავალს-  
საფიქრებელია, რომ ბავშვობის ეს მძიმე შთაბეჭდილება ივ-  
კერესელიძემ „ცისკრის“ მოწინავე თანამშრომლებს, კერძოდ  
დ. ჭონქაძესაც გაანდო. ამ ვარაუდს ისიც ადასტურებს, რომ  
„სურამის ციხის“ დაბეჭდვით ყველაზე უკმაყოფილო ალ. ორ-  
ბელიანი დარჩა. თავის წერილში „დართულს დართული“, რო-  
მელშიც ალ. ორბელიანი „სურამის ციხეს“ განიხილავს, სასტი-  
კად კიცხავს დ. ჭონქაძეს იმისათვის, რომ მან კონკრეტული  
ამბები აღწერა და შეურაცხყოფა მიაყენა ზოგიერთ ქართველ  
თავადს, — მართალია, ასეთი ამბები მოხდა და მე თვითონაც  
მოწმე ვყოფილვარ, მაგრამ რა საჭირო იყო ამის სახალხოდ  
გამოტანაო.

ალ. ორბელიანი განსაკუთრებით ოსმან-ალას თავგადასა-  
ვალს აუღელვებია.

იგი წერს: „ის საკვირველი ოსმანადა, ის გასა-  
შტერებელი რაინდი, ის გულოვანი გმირი.  
რაო რეებია ის იმდენი მიკერ-მოკერება-  
წაყვან-წამოყვანა, გაქცევა-გამოქცევა, მითა-  
თრებ-მოთათრება, ვაი-ვაება, ანუ მკვლე-  
ლობა და წყალში დახრჩობა? — იყო მარ-  
თალია ერთი საშინელი საცოდლობა, საიდუმ-  
ლო შური სიმსხვერპლე, მაგრამ არა ისე, რო-

---

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, „ივ. კერესელიძე“, 1902. შდრ. ზ. ჭიჭინაძე. „ბატონყმობა  
საქართველოში“; ფ. მახარაძე. „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“.



გორც აღწერს დ. ჰონქაძე, ცოტად კომიემ გვანება იმას<sup>1</sup>. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

აღ. ორბელიანის აზრით, როგორც დურმიშანისა და ვარლუას, ისე ოსმან-ალასა და მისი ოჯახის თავდადასავალი ნამდვილი ამბავია, — მე ყველა ამ პირებს და მათ ბატონებს ვიცნობდიო.

ამასთან ერთად, აღ. ორბელიანი დურმიშანის ისტორიასთან დაკავშირებული ყველა პირის ინიციალებს აღნიშნავს და კიდევ ახასიათებს მათ; იმაგრამ ოსმან-ალას თავდადასავლის მონაწილეთა ინიციალებს არ ასახელებს და აღშფოთებული წერს: „... თუ სწერთ რომანს ანუ მოთხრობასა, რატომ არ გამოიკითხამთ მართალსა და ტყუილსა? იმის კევრში შებმა და კლოში სირბილი დედამშვილსა მართალია თუ არა? გე ნამ დვილად ვიცო, გაგონილს ჰორზედ არის აშენებული ის თხზულება ჰონქაძისა, ამისათვის, რომ ვინც და რომელმანაცა გააკეთა ის ჰორი და სახალხოთ გამოიტანა, მრცხვენიან, თორემ იმ მეშურნის სახელს გამოვაცხადებდი. ყველა ვიცი წერილად“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

აღ. ორბელიანმა მართლაც, მალე დასწერა ვრცელი წერილი, რომელშიაც ივ. კერესელიძეს თავის მოწინააღმდეგედ აცხადებს: „თუ შენ ისე გგონიაო, რომ რასაც შენ სხვებზედ იტყვი, შენი ნათქვამი არავის ეწყინოსო, არც შენ უნდა გეწყინოს, რაც ითქვას შენზედაო“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

როგორც ცნობილია, ივ. კერესელიძეს ცუდად არასოდეს მოუხსენებია აღ. ორბელიანი. ამაგდარ მოხუცს, ეტუობა, ივ. კერესელიძის ზეპირი სიტყვები აქვს მხედველობაში. იგი წერს: „...თვე არ გავიდოდა, (ივ. კერესელიძეს) ჩემთვის არა ეჩხვლიტა რა... თვით კერესელიძე მე არ მეშვება — ჩუმათ ძალიან იცემება შაშრას ჩემზე და მეც აღამიანი ვარ... მე ხომ

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, S — 1641.

ამასავით კუთხეებში არა ვიტყვი, როგორც ის ლაპარაკობს ჩემზე...“

აღ. ორბელიანის წერილები დან. ჭონქაძისა და ივ. კერესელიძის წინააღმდეგ მკვიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ივ. კერესელიძეზე მისი გალაშქრების ერთ-ერთი მიზეზი იქნებ ის იყო, რომ „ცისკრის“ რედაქტორმა აღ. ორბელიანის ოჯახში მომხდარი ყმების გაყიდვის შემთხვევა უამბო დან. ჭონქაძეს, რომელმაც ეს ეპიზოდი ოსმან-ალას თავგადასავალში გამოიყენა.

მას შემდეგ, რაც „სურამის ციხე“ მზად იყო დასაბეჭდად, მისი გამოქვეყნების მთელი პასუხისმგებლობა ივ. კერესელიძეს დააწვა. ცენზორთან, როგორც იქნა, მოაგვარა საქმე, მაგრამ არისტოკრატია, რომელმაც ჯიუტად იცავდა ბატონყმური წყობილებას შეუვალობას, „სურამის ციხის“ დაბეჭდვის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მოთხოვნის გამოქვეყნებას არც „ცისკრის“ თანამშრომელთა ერთი ნაწილი უპერდა მხარს. ივ. კერესელიძემ იცოდა, რომ განრისხებული თავდაზნაურობა ურნალსაც დაუხურავდა და „სურამის ციხეც“ ვერ მიაღწევდა მკითხველ მასამდე. თხზულების დაბეჭდვის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო სწორი და მოხერხებული გზის გამონახვა.

60-იან წლებში თავადაზნაურობა თავგამოდებით ამტკიცებდა, ძველ საქართველოში ბატონყმური ურთიერთობა არ არსებობდაო, — საქართველოში ბატონსა და ყმას შორის მამაშვილური დამოკიდებულება იყოო, თავადსა და აზნაურს თვით ყმებიც პატივს სცემდნენ და ბატონს პატრონად სცნობდნენო. ამ მტკიცებას გარკვეული მიზანი ჰქონდა. თავადაზნაურებს უნდოდათ საქმე ისე დაესახათ, თითქოს საქართველოში გასაუქმებელი არაფერი იყო: მათი აზრით, საქმის მოსაგვარებლად საკმარისი იქნებოდა ბატონყმური ურთიერთობის ძველი სახით აღდგენა. ეს რეაქციული თვალსაზრისი იმდროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებშიცაა გატარებული<sup>1</sup>.

ამრიგად, ძველ საქართველოში ბატონყმობის მამაშვილური ხასიათის მტკიცებას თავადაზნაურობისათვის აქტუალური

<sup>1</sup> საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმის ფონდი, № 14751-ბ.

მნიშვნელობა ჰქონდა. იგი დარწმუნებული იყო ბატონყმობის შენარჩუნების შესაძლებლობაში. ამაში მეფის მთავრობაც აიძვებდა მას. 1861 წლის მანიფესტის გამოცემიდან შვიდი თვის შემდეგ — სექტემბერში, იმპერატორი ქუთაისს ეწვია და თავადაზნაურობას სიტყვით მიმართა: „საქართველოში არსებული წყობილების არავითარი ცვლილება არ მომიხდენია და ამას არც ვაპირებ. ჯერ ამის დრო არ დამდგარაო“<sup>1</sup>.

მოწინავე ინტელიგენცია მიზნად ისახავდა გადაჭრით ემხილებინა რეტროგრადთა ეს სიყალბე. სხვა გზა არ იყო, ივ. კერესელიძემ გადაწყვიტა ამ მეტად აქტუალურ საკითხზე ერთგვარი დისკუსია გაემართა და ამით გზა გაეკაფა „სურამის ციხისათვის“, რომლის მოქმედებაც შორეულ წარსულშია გადატანილი. დისკუსიის მოწყობას მოითხოვდა აგრეთვე ეურნალის უახლოეს თანამშრომელთა შორის „თანხმობის“ შენარჩუნების ინტერესიც.

„ციცკრის“ რედაქტორი დარწმუნებული იყო, რომ მკითხველი ადვილად გამოიცნობდა მტყუანსა და მართალს. ამიტომ „სურამის ციხის“ დაბეჭდვამდე მან მიზანშეწონილად ჩათვალა ალ. ორბელიანის სტატიის გამოქვეყნება.

ივ. კერესელიძე კარგად იცნობდა ალ. ორბელიანის შეხედულებებს ბატონყმობაზე. ლიტერატურულ მუშეუშში დაცული ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რომ ბატონყმური წყობილების მამაშვილური ხასიათის შესახებ ალ. ორბელიანს ჯერ კიდევ „ციცკრის“ დაარსებამდე ჰქონდა გაპოტქმული თავისი თვალსაზრისი. 1846 წელს იგი წერდა: „თუ რომელიმე მოახლე მოინდომებდა გათხოვებას [ძველ საქართველოში], ვერ დაიჭირდნენ [ბატონები]. კარგის მზითვით უნდა გაეთხოვებინათ და უთუოთ უნდა გასულიყო კიდევ, შინ აღარ შეინახამდნენ, მაგრამ ზოგნი ერთნი ბატონის სახლში დაბერებას ირჩევდნენ, რომ იმათის ხელით დავიმარხნეთო“<sup>2</sup>.

„ციცკარში“ ალ. ორბელიანის სტატიის დაბეჭდვას ივ. კერესელიძე შემდეგი მიზეზით ხსნის: „იმ დროს

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I, გვ. 171.

<sup>2</sup> საქართველოს ლიტ. მუშეუშის ფონდი, № 16295-ბ.

ქართველთ შორის ძლიერ აღორძინებული იყო ბატონ-  
ყმობის შესახებ საუბარი და ამბობდნენ... საქართველოში ბა-  
ტონყმობა ძველის ძველთაგანვე მონურ წესწყობილებას წარ-  
მოადგენდაო. ამის წინააღმდეგნი იყვნენ მრავალნი, სხვათა  
შორის, ალ. ორბელიანმა სწორედ ამ აზრით დასწერა წერი-  
ლი<sup>1</sup>. როცა ბატონყმობის დამცველები წინ აღუდგნენ  
„სურამის ციხის“ დაბეჭდვას, ივ. კერესელიძეს, — ზ. ჭიჭინაძის  
გადმოცემით, — ასე უმართლებია თავი: „დაუბეჭდაობა  
(„სურამის ციხისა“) როგორ იქნებაო. დე, მათ თავიანთი აზრი  
გამოთქვან და შემდეგ ჩვენ მივცეთ პასუხიო. გავამტყუნოთ  
ისე, რომ მაგ საგანზე ხმა, კრინტი ველარავინ დაძრასო, თუ  
არა და, ასეთი აზრები ხალხში ფეხს იდგამს ლაპარაკით და  
ჩვენ კი წინააღმდეგ წერილების დასაწერად ხელში არაფერი  
მასალები გვექნებაო. ასეთი წერილების ბეჭდვის შემდეგ ჩვენ  
სრული უფლება გვექნება, საწინააღმდეგო წერილების წერი-  
საო. ასეთი სიტყვებით დავაწყუნარე მოწინა-  
აღმდეგენი და „სურამის ციხის“ ბეჭდვაც  
დამთავრდებო“<sup>1</sup>.

ალ. ორბელიანის სტატია — „უწინდელს დროს ბატონყმობა  
საქართველოში“ — დაიბეჭდა „ციხის“ 1859 წლის ნოემბრის  
ნომერში. იგი მეტად გულუბრყვილო შთაბეჭდილებას სტო-  
ვებს. ფეოდალურ ტრადიციებზე აღზრდილი ავტორი, რო-  
მელსაც ეს მსოფლმხედველობა ძვალსა და რბილში ჰქონდა  
გამჭდარი, წარსულს აიდევლებს.

ალ. ორბელიანი იმოწმებს ყურმოკრულ ამაბებსა და აშკა-  
რად ტენდენციურ მაგალითებს. თვით მანერაც წერისა იმდე-  
ნად ზერელეა, რომ ოდნავ გონებაგახსნილი მკითხველიც კი  
ავტორის საწინააღმდეგო დასკვნას გამოიტანდა. ყმასა და ბა-  
ტონს შორის მამაშვილური დამოკიდებულების დასაზნისათე-  
ბლად ალ. ორბელიანი ამბობს: „თუ ბატონი ჯოხით სცემდა  
ყმას, ამ უკანასკნელს ყოველი ღონისძიება უნდა ეხმარა ბა-  
ტონთან შესარიგებლად და თუ ვერ შეურიგდებოდა, ძალიან  
გული სტკიოდაო“.

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე. „ივ. კერესელიძე“. 1902.

ანალოგიური აზრი ალ. ორბელიანს გატარებული აქვს სტატიის „ივერიანელების გალობა, სიმღერა და ლილინი“, რომელიც „ცისკრის“ 1861 წლის იანვრის ნომერშია დაბეჭდილი.

ალ. ორბელიანის წერილმა შეასრულა მოსაგერიებელი დანიშნულება და „ცისკრის“ მომდევნო ნომერში „სურამის ციხეც“ დაიბეჭდა. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს, რა მიზნით გამოქვეყნდა ალ. ორბელიანის წერილი. „სურამის ციხე“, რომელიც ივ. კერესელიძის ეპიგრაფითაა დაბეჭდილი, მკაფიოდ გვიჩვენებს, როგორი იყო რედაქტორის პოზიცია ბატონყმობის შესახებ გამართულ იდეურ ბრძოლაში.

„სურამის ციხემ“, რომელშიც მხატვრული ოსტატობითაა გადმოცემული ბატონყმობის შემადრწუნებელი სურათები, არაარაობად აქცია ალ. ორბელიანისა და მის მომხრეთა უსუსური თეორია მამაშვილური ურთიერთობის შესახებ; ივ. კერესელიძის სარედაქციო ზერზმა მიზანს, შიადღწია. „ცისკრის“ რედაქტორმა მებატონეებს თავს მოახვია მათთვის არასასურველი დისკუსია.

სიძველის დამცველებმა „სურამის ციხის“ პირველი ნაწილის გამოქვეყნებისთანავე იგრძნეს, რომ „ცისკრის“ რედაქტორმა ისინი გააცურა: გიორგი მუხრანსკიმ და სხვა წარჩინებულმა პირებმა ივანე კერესელიძეს მოახოვეს დაუყოვნებლივ შეეწყვიტა „სურამის ციხის“ ბეჭდვა, მაგრამ რედაქტორმა უარი უთხრა მათ და მომდევნო, 1860 წლის იანვრის ნომერში დასასრულიც დასტამბა.

„სურამის ციხის“ დაბეჭდვის გამო რედაქტორს ბოიკოტი გამოუცხადეს; ჟურნალი მოსპობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რადგან არისტოკრატიამ ზურგი შეაქცია მას.

ზ. კიკინაძე გადმოგვცემს: „ნაწარმოების („სურამის ციხის“) ბეჭდვის წინააღმდეგ ძლიერ ბევრნი დაირაზმენ. ბევრმა იუცხოვა, იუკადრისა“<sup>1</sup>. ისინი კევირობდნენ, — „ცისკარი“ ხომ ჩვენი სახსრებით ირჩენს თავს და კერესელიძემ ჩვენივე ფულით ნაყიდი დანით ყელი როგორ გამოგვექრაო.

<sup>1</sup> სანძალა, წერილები ქართულ მწერლობაზე. 1888.

ბატონყმობის მოსპობის შიშით გულგახეთქილი მებატონეები დანიელ ჭონქაძეს კუკიას ხიდიდან უპირებდნენ გადაგდებას. ისინი ავტორის თანაბარ პასუხისმგებლობას აკიარებდნენ რედაქტორსაც.

რეაქციონერებმა ხელისუფლების ორგანოებთან დააბეზლეს ივ. კერესელიძე და მათი ინტერესების მოწინააღმდეგე ჟურნალის დახურვა მოითხოვეს. ამ დაბეზლების შედეგად, „ცისკარი“ მართლაც დაიხურა<sup>1</sup>. იანვრის ნომერში „სურამის ციხის“ მეორე ნაწილი დაიბეჭდა, ხოლო თებერვალში ჟურნალი აღარ გამოსულა. როგორც ჩანს, ივ. კერესელიძეს მარტის ბოლო რიცხვებში მოუხერხებია „ცისკრის“ აღდგენა. 1860 წ. თებერვლისა და მარტის ნომრები დაიბეჭდა ერთ პატარა წიგნად.

მამაშვილური თეორიის მომხრეებს დ. ჭონქაძის საპასუხო წერილებიც დაუწერიათ, მაგრამ ეს მასალები კერესელიძემ არ გამოაქვეყნა. როგორც ვიცით, შემონახულია ალ. ორბელიანის წერილი „დართულს — დართული“, რომელიც „სურამის ციხის“ ცალმხრივ კრიტიკას შეიცავს. დ. ჭონქაძის და ივ. კერესელიძის მოქმედებით შეურაცხყოფილი ავტორი ცდილობს დააკნინოს ამ მოთხრობის მნიშვნელობა.

ალ. ორბელიანის „დართულს — დართული“ „ცისკარში“ გამოაქვეყნებლად და დაწერილი. ავტორს მრავალჯერაც უცდია მისი დასტამბვა, მაგრამ რედაქტორთან ვერაფერი გაუწყვია. საყურადღებოა, რომ ალ. ორბელიანი, რომელიც „ცისკრის“ უახლოესი თანამშრომელი და ივ. კერესელიძის დაუღალავი შემწე იყო, ამის შემდეგ თითქმის ჩამოსცილდა ჟურნალს. მხოლოდ ზოგჯერ თუ ეწვეოდა რედაქტორს, მიჰქონდა მასთან ახალი თხზულებები, რომლებშიც ძველი საქართველოს გაიდელალების, წარაულის შელამაზების სურვილი გამოსჭვიოდა, მაგრამ ძველი მეგობარი დაბეჭდვაზე უარს ეუბნებოდა. ალ. ორბელიანის ამ თხზულებებზე ვხვდებით მოხუცის ათრთოლებული ხელით წარწერილ სიტყვებს:

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდი, № 13458-ბ.

„რედაქტორმა არ დამიბეჭდა“, ხოლო მოზრდილ წერილში — „საქართველოს ჟურნალი „ცისკრის“ რედაქტორი კერესელიძე და მე“ — აღ. ორბელიანი წერს: „ჩემი ზოგიერთი სტატიები რომ არ დამიბეჭდა რედაქტორმა, უკმაყოფილებას ვეტყოდი, სიმართლეს მიმიძღოდა, მაგრამ ზულ არ მწყენია, მერწმუნეთ... რჩევას ვეუბნებოდი, ვუშლიდი კიდევ თავის ნაკლებეანებას, რა არის იმისაგან იმისთანა ამპარტავენება, რომ ჩემგანით ისე ძალიან სწყინდა?“..

რედაქტორის მხარდაპერით გაზნევებულ დ. ჭონქაძეს მეორე მოთხრობის წერაც დაუწყია „ცისკარში“ გამოსაქვეყნებლად. ივ. კერესელიძის ცნობით, ამ მოთხრობის სათაური ყოფილა „ვისი ბრალია?“ მასში, როგორც ივ. კერესელიძე გადმოგვცემს, დ. ჭონქაძე კიდევ უფრო ვრცლად უნდა შეხებოდა ბატონყმობის საკითხებს. მაგრამ ეს განზრახვა უღმობელმა სიკვდილმა ჩაუშალა.

დ. ჭონქაძის გარდაცვალებამ თავზარი დასცა ივ. კერესელიძეს. იდეური თანამებრძოლი და უახლოესი თანამშრომელი, როგორც ნამდვილმა ჭირისუფალმა, ცხარე ცრემლით დაიტირა. დ. ჭონქაძის კუბოს, რომელსაც არც ერთი თავადი და აზნაური არ გაჰკარებია, ი. კერესელიძე ზედ დამხობია და ისე ხმამაღლა დაუწყია ტირილი, რომ ზოგს იქ მყოფს განსვენებულის ნათესავი ჰგონებია.

დ. ჭონქაძე 1860 წლის ივნისში გარდაიცვალა; როგორც აღვნიშნეთ, „ცისკარი“ ამ დროს ახლადდგენილი იყო. რედაქტორი მაინც არ მოერიდა საფრთხეს და ჟურნალში ნეკროლოგი დაბეჭდა. ეს მოკლე განცხადება დიდი სიყვარულითაა დაწერილი. იგი პირველი აღიარებაა დ. ჭონქაძის შემოქმედების უღირესი მნიშვნელობისა. დ. ჭონქაძეს, რომელსაც თავადაზნაურობისათვის საძულველი „სურამის ციხის“ გარდა, არაფერი დაუბეჭდავს, — ივ. კერესელიძე „ცისკრის“ უახლოეს თანამშრომელს უწოდებს; ნეკროლოგში ვკითხულობთ: „ცისკარის“ რედაქციამ, თავის სამწუხაროდ, დაჰკარგა ერთი თავის თანამშრომელთაგანი. რომელიცა მოჰსცემდა ჩვენს ლიტერატურას დიდხიმედს თავისის მწერლობით: 16

იენის ამა წლისას გარდაიცვალა ოცდაათი წლის ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი დანიელ ჭონქაძე. ვისაც ყურადღებით წაუკითხავს ამ განსვენებულის თხზულება „სურამის ციხე“, ის შექველდის, უკეთ დააფასებს რედაქციის დანაკარგსა. (ხაზი ჩვენია. ა. კ.). კარგი კეთილის განზრახვა ჭკონდა, მაგრამ ყოველივე ჩაუშალა უღროთ სიკვდილმა. არ არის ეჭვი, რომ დარჩებოდა დ. ჭონქაძეს რამდენიმე თხზულება, რომლისთვისაც ვთხოვთ იმასთან დაახლოვებულთ მეგობართ გადმოჰსცენ რედაქციაში დასაბეჭდად და ამასთანავე აცნობონ განსვენებულის ცხოვრების აღწერა, რომლითაც დიდად დაგვავალებენ“<sup>1</sup>.

ამრიგად, მიუხედავად სუსხიანი ტერორისა, ივანე კერესელიძემ პირველმა მისცა დანიელ ჭონქაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობას მაღალი შეფასება. სახალხო დღიარა, რომ „სურამის ციხე“ მისი უსაყვარლესი თხზულება იყო. იგი ოდნავაც არ მოერიდა, რომ „დ. ჭონქაძის მტრები მთელ თავიანთ შურისძიებას მასზე გადაიტანდნენ“<sup>2</sup>.

მწერლის კუბოსთან ივ. კერესელიძემ წაიკითხა ლექსი „დანიელ ჭონქაძის გარდაცვალებაზე“<sup>3</sup> ამ ლექსიდან ჩანს, რომ ისინი ერთ საქმეს ემსახურებოდნენ, ერთი მიზნისთვის იბრძოდნენ. პოეტი დ. ჭონქაძეს მიმართავს სიტყვით „ძაო“, ხოლო მის კუბოსთან მოგროვილ თანამოაზრეებს „მოძმეებს“ უწოდებს.

1860 წელს, როცა ბატონყნობა მძვინვარებდა, ივ. კერესელიძე არისტოკრატიისაგან დევნილ მწერალს მიმართავდა:

„გუშინ გლეხკაცსა ჰფარავდი, ვლიდი მათ საქმეს ახალსა...

...მიხვალ, მიგაქვს თან ყველასგან კუთხევა დაუღველი, და შენ საბოლოოდ აქ გვრჩება „სურამის ციხის“ სახელი“.

როგორც ჩანს, „ციხარის“ ახალგაზრდა თანამშრომლებს ივ. კერესელიძე ხშირად ესაუბრებოდა დ. ჭონქაძის შესახებ.

1 „ციხარი“. 1860. ივლისი.

2 ფ. მახარაძე, დანიელ ჭონქაძე და მისი დრო.

3 გაზ. „ახალი აზრი“. 1910 წ. № 4.



ამით უნდა აიხსნას, რომ „ციცქარში“ ზედიზედ დაიბეჭდა რამდენიმე თხზულება „სურამის ციხის“ ავტორზე, რამაც დიდების შარავანდედით შემოსა მებატონეთაგან სასიკვდილოდ განმეტებული დ. ჰონჭაძე.

„ციცქარის“ 1863 წლის ივნისის ნომერში დაიბეჭდა აკ. წერეთლის ლექსი „მოგონება“, რომელიც დ. ჰონჭაძის გარდაცვალების სამი წლისთავისადრე მიძღვნილი. პოეტი ქება-დიდებათ იხსენებს სიმართლისათვის მებრძოლ მწერალს, ხოლო მის მტრებს სამარცხვინო ბოძზე აკრავს.

„სურამის ციხის“ დაბეჭდვის სამი წლისთავზე — 1863 წლის იანვარში, ამავე ეურნალში დაიბეჭდა ანტონ ფურცელაძის ვრცელი წერილი: „სურამის ციხე“ დ. ჰონჭაძისა“, რომელშიც, ბატონყმური უსამართლობის დაუზოგავი მხილების ფონზე, პირველად იქნა სრულყოფილად შეფასებული „სურამის ციხის“ როლი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ანტონ ფურცელაძე გამანადგურებლად ესხმის თავს რეაქციონერებს და პასუხს სთხოვს მათ იმისთვის, რომ სულ რაღაც ორიოდ წლის წინათ იმათ ბოლო მოუღეს ხალხის სააზყო შვილს. ამ წერილით ივ. კერესელიძის „ციცქარმა“ საბოლოო ანგარიში გაუსწორა „სურამის ციხის“ მტრებს, ბატონყმური წყობილების მომხრეებს. რედაქტორმა მორალური ვალი მოიხადა უდროოდ დაკარგული იდეური თანამებრძოლის წინაშე.

ა. ფურცელაძე მიწასთან ასწორებს კონსერვატორებს, რომლებმაც საკუთარი თავი იცნეს ოსმან-ალას ბატონებში და სთქვეს: „სწორედ ჩვენა ვართ“. ავტორი შეფარვით ეკავათება ალ. ორბელიანს და აშკარად აყენებს ერთ მხარეზე ივ. კერესელიძესა და დ. ჰონჭაძეს, ხოლო მეორე მხარეზე — კონსერვატორებს. იგი წერს: „...ეს თხზულება, (ლაპარაკია „სურამის ციხეზე“. ა. კ.) რასაკვირველია სიხარულით იყო მიღებული რედაქტორისაგან და მაშინვე, თუმცა მოკრძალებით და შიშით დაიბეჭდა. ამ თხზულებამ დაჰსცა საშინელი ელდა და მოსწყვიტა წელები დავარდ-

ნილს ხალხსა და ძველი აზრების პატრონებსა... ოსმანდას ბატონებმა ლანძღეს მინამ მოიღლებოდნენ, ავტორიცა და რედაქტორიცა" (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ანტ. ფურცელაძის წერილს „სურამის ციხეზე“ ნაკლები მნიშვნელობა როდი ჰქონდა იმ დროს. არც მანამდე, არც იმის შემდეგ ბატონყმური უსამართლობის შესახებ ასეთი მკაცრი პუბლიცისტური წერილი არ გამოქვეყნებულა ქართულ პრესაში. ამ წერილის გამოქვეყნებით ივ. კერესელიძემ ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი იდეური პრინციპულობა.

დ. ჭონქაძის პოპულარიზაციის მიზნით „ცისკარში“ გაჩაღებულმა კამპანიამ მოწინააღმდეგეთა ახალი რისხვა გამოიწვია. მათი აზრით, დ. ჭონქაძე უკვე დავიწყებას მიეცა, მის მიერ მიყენებული ჭრილობები მოშუშდა, მაგრამ, დახეთ უბედურებას—„ცისკრის“ რედაქტორი მაინც არ ისვენებს! ამ მიზეზის გამო დაიწერა ალ. ორბელიანის წერილიც „დართულს—დართული“. ალ. ორბელიანი წერს: „ამდენი ხანი გავიდა, არავის აღარ უთქვამს რა ჭონქაძეზე... სწვებსაც გულიდგან გადავარდნილი ჰქონდათ, ეთქვათ რამე იმაზე... (მაგრამ) ახლა კიდევ განაახლეს ჩვენი ბატონების მოსაგონათ... კარგი, მითომ მართალია ყველა, მაგრამ რა ვქნათ, რა საშუალება ვიპოვოთ, რომ ყველანი კარგნი ვიყვნეთ მებატონენი?“...

ზაქარია ჭიჭინაძე წერს: „როცა მე ეს წერილი წავიკითხე (ლაპარაკია ანტ. ფურცელაძის წერილზე „სურამის ციხის“ შესახებ. ა. კ.) ერთობ გამიკვირდა მასზე, რომ ასეთი მიმართულების წერილის დაწერა მაშინ გაუბედია ფურცელაძეს... მე გაკვირვებული ვარ იმაზე, რომ ეს წერილი „ცისკრის“ რედაქტორს დაუბეჭდია. შევიტყე, რომ ამ სტატიის ბეჭდვის გამო „ცისკრის“ რედაქციას მრავალ უდიდეს მწერალთაგან საყვედურებიც მიუღია“...

ამრიაგად, დანიელ ჭონქაძის სახელი „ცისკრის“ რედაქტორისა და მის გარშემო დაარსებული ახალგაზრდა პროგრესული მოღვაწეების იდეური ბრძოლის დროშად იქცა. აღნიშნული მასალების გარდა, „ცისკარში“ გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის, კირ. ლორთქიფანიძისა და სხვა წერილები, რომ-

ლებშიც ბრწყინვალედაა შეფასებული დ. კონქაძის „სურამის ციხე“. თვითონ ივ. კერესელიძეც არა ერთხელ შეეხო დანიელ კონქაძის შემოქმედებას „სალაყბო ფურცლებში“. მას საამაყოდ მიაჩნდა, რომ ეს ნაწარმოები „ცისკარში“ დაიბეჭდა.

ეტყობა, წყაროების შეუსწავლევლობით იყო გამოწვეული ალ. ხახანაშვილის დასკვნა, რომ „...დ. კონქაძე... კბედავს განმარტოებით გამოვიდეს მონობის გაჰკიცხველად“. როგორც ვნახეთ, დ. კონქაძე მარტოდმარტო არ იყო. მას ჰყავდა იდეური წინამორბედებიც და თანამებრძოლებიც.

პროფ. გ. ჭიბლაძე სამართლიანად წერს: „შეუძლებელია ეს ფაქტი („სურამის ციხის“ დაბეჭდვა „ცისკარში“. ა. კ.) შემთხვევითად მივიჩნიოთ ან კიდევ შემთხვევითი იყოს რედაქტორ ივ. კერესელიძის მოქმედება. გავრცელებული აზრის წინააღმდეგ თითქოს კერესელიძე ლიბერალი, სოციალურ საკითხებში უზრუნველი და უდარდელი იყო, ჩვენ გვგონია, რომ მან თავისი მოქმედებით საკმაოდ გაბედული აქტი ჩაიდინა, როცა ალექსანდრე ორბელიანის წერილს მაშინდელი საზოგადოების ოფიციალური აზრის გამომხატველს, დაეპირისპირა დანიელ კონქაძის ბრწყინვალე მოთხრობა, თავიდან ბოლომდე რომ აქარწყლებდა და არარაობად აქცევდა ბატონყმობის, როგორც მამაშვილობის ორბელიანისეულ „თეორიას“. კითხულობთ ორივე ნაწარმოებს — ორბელიანის წერილს და დანიელ კონქაძის მოთხრობას და 'ვაოცებულნი რჩებით: გვეგონებათ თითქოს „სურამის ციხე“ დაწერილი იყოს პასუხად ორბელიანის წერილისა, იძლეოდეს მის თანმიმდევრულ კრიტიკას ყველა საკითხში“<sup>1</sup>.

გარდა ალ. ორბელიანის წერილისა, ბატონყმობის საწინა-რომლის დაბეჭდვის მიზეზები და აღმდგომ სხვა მასა-მიზანი უკვე გარკვეულია, ბატონ-ლები „ცისკარში“ ყმოშის გასამართლებლად „ცისკარში“ სხვა არაფერი დაბეჭდილა. ასეთ თხზულებად ვერც დ. ბერიძის (ბერივეის) ლექსს „გუთნის დედა“-ს ჩავთვლით. ილია ჭავჭავაძემ ეს სუსტი ლექსი სა-

<sup>1</sup> გ. ჭიბლაძე. კრიტიკული ეტიუდები. II. 1955.

მართლიანად გააკრიტიკა იმის გამო, რომ მასში სწორად არაა გაშუქებული გლეხის ცხოვრება.

სამაგიეროდ, ზემოთ განხილულ ნაწარმოებებთან ერთად, „ცისკარში“ დაიბეჭდა ათობით ლექსი, მოთხრობა და წერილი, რომელშიც გაკიცხული და უარყოფილია ბატონყმური წყობილება, სოციალური უსამართლობა. რაფ. ერისთავის ლექსი „მთხოვნელა მსაჯულისადმი“ (გამოქვეყნებულია „ცისკრის“ 1861 წლის იანვრის ნომერში, იოსებ მიქაბერიძის ხელმოწერით) ბატონყმური უსამართლობის ამალელებელ სურათს გვიხატავს.

„ცისკრის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ივ. კერესელიძის ლექსები: „ბედნიერების ძებნა“ (1859, ნოემბერი), „ახალი წელიწადი“ (1860, იანვარი) და სხვა. ი. ჭავჭავაძის „ელეგია“, „გაზაფხული“, „კარებებთან“ (რუკერტით) და სხვა; აკაკი წერეთლის თითქმის ყველა ანტიბატონყმური ლექსი: „მუშური“, „გლეხის აღსარება“, „სიმღერა მკის დროს“, „იმერული ნანი-ნა“ და ბევრი სხვა; ეს თხზულებანი ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ ნაწარმოებთა ოქროს ფონდში შედის. ამ ჟურნალიდან გაისმა სახალხოდ სიხალისმწოველ მებატონეთა გმობა:

რომ იცი, რალათ მკითხავ: ასე რისთვის ვლონდები?  
მისთვის, ჩემო ბატონო, რომ სულ შენ მაგონდები,  
პირუტყვივით მიმონებ, მფლობ და არ გეცოდები,  
მაგრამ, ჩემო ბატონო, აჰ, — იქ შენ ვერ ცხონდები .

„ცისკარშივე“ გამოქვეყნდა ანტ. ფურცელაძის მოთხრობა „რევან გუდაბრელიძე“, აგრეთვე მისი ლექსები და კრიტიკული წერილები, — ნეკრასოვის „როდეს შექმნის კვალად ბრძოლის ხმა“ (1861, ნოემბერი), „ფიქრები საპარადო მისავალთან“ და სხვა.

გასაოცარიია, როგორ ახერხებდა ივ. კერესელიძე ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული ამდენი მხატვრული და კრიტიკულ-პუბლიცისტური მასალის გამოქვეყნებას, განსაკუთრებით 1863 წელს.

ალარ შევეხებით „ცისკარში“ დაბეჭდილ სხვა მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმებს. რომლებშიც მხილებულია ბატონყმობის საშინელებანი; ორიოდვე სიტყვით მხოლოდ

გ. ქართველის წერილზე შეეჩერდებით. ეს წერილი და „სურამის ციხე“ თითქმის ერთდროულად დაიბეჭდა „ციხარში“, მაგრამ იგი აღმდე არ არის სათანადოდ განხილულ-შეფასებული; გამოურკვეველია, ვინ იფარება ამ ფსევდონიმის ქვეშ. ნაჩქარევ დასკვნას ვერიდებით და, ამჯერად, მხოლოდ იმის აღნიშვნით დაკმაყოფილდებით, რომ პოლიტიკური რადიკალიზმით გაქლენილი ეს სტატია სერაოზულ მოვლენას წარმოადგენდა ქართული აზროვნების განვითარებაში.

გ. ქართველი ფარდას ხდის სოციალურა უსამართლობის საშინელებებს, მზის სინათლეზე გამოაქვს ექსპლოატაციის ამაღელვებელი მაგალითები, ცდილობს გაარკვიოს ხალხის უბედურების მიზეზები. ავტორი, მშრომელი ხალხის დუხჭირი მდგომარეობის დასახსნიათებლად, მრავალ ცოცხალ სურათზე და კონკრეტულ ეპიზოდზე მიუთითებს.

გ. ქართველი დაწვრილებით ავვიწერს ყმა გლეხთა ცხოვრების აუტანელ პირობებს და გვიჩვენებს იმ მიზეზებს, რომლებიც წელში სტეხდა მშრომელ გლეხობას. წერილში მოცემულია მდიდართა და ღარიბთა, მებატონეთა და გლეხთა ცხოვრების მკვეთრი კონტრასტი.

გ. ქართველის წერილი სარკეა, რომელშიც მკაფიოდ მოჩანს რადიკალურად მოაზროვნე და რევოლუციურად განწყობილი თანამედროვის მიერ დანახული ცხოვრება.

ავტორი ღიღი მღელვარებით გვიჩვენებს „ვინ ცხოვრობს საქართველოში კარგად“. ყურადღებას იპყრობს წერილის გაბედული ტონი, დაჯერებული და მკაფიოდ გამოკვეთილი დემოკრატიული მსოფლმხედველობა. გ. ქართველი მოუწოდებს მწერლებს, მოღვაწეებს — ჩაიხედონ მშრომელთა გულში, კარგად გაიგონ მათი ჭირ-ვარამი და მთელი თავიანთი არსებით, თავგანწირვამდე ექსახურონ ხალხის განთავისუფლებისა და ბედნიერების საქმეს.

„აბა ახლა მიზრძანდით სოფელში და დახედეთ გლეხკაცების ცხოვრებას, — წერს გ. ქართველი, — გაიგეთ იმათი ქონება, შემოსავალი, ხარჯი, სამსახური და მერე ახსენით

მიუწვთომელი მრავალთათვის მიზეზი: რატომ არ არიან ბედნიერნი“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

„... მაშ რას ხედავთ, თუ უბედურების სპილოებიც ვერ დაგინახავთ“, — მიმართავს ავტორი მწერლებსა და პუბლიცისტებს. „ა, საწყალი ყმაწვილი კაცი, — განაგრძობს ის, — რკინის ქალამნებითა და ჯოხითა დავიდარაბაში გაბმული ყური დაუგდეთ, რას ანმბობს: ნეტავი, ჩემს სიცოცხლეში მაინც გადავწყვიტო ეს დავაო, რომ ჩემს შვილებს არ დავუგდოო. აგერ, გლეხი კაცი ატუზული სასამართლოს კარების წინა და „ზავტრა და პოსლე ზავტრა“ სამსე ხურჯინითა; აგერ შვიდი წლის ტუშალი, რომლის საქმის გასინჯვასა ჯერ რიგი არ მოსვლია. ბედნიერებაა ესა?“

ეს სტატია თავისი რადიკალიზმით დ. ჰონჭაძის „სურამის ციხესა“ და მის შესახებ ანტონ ფურცელაძის სტატიას უთანაბრდება. სიღარიბით წელში გატეხილი ოჯახის ცხოვრებას გ. ქართველი ასე აგვიწერს: „...აგერ სახლეულობა საწყალი კაცისა, რომელსაც ორი დღეა პური არ გაუტეხნია; მისუსტებულა თავის და შვილების მწუხარებითა, დედა ძლივს (ეტყვის) ყმაწვილებსა: ეხლა მოვა მამაო და პურსაც მოიტანსო და ჩიჩიასაცაო. შემოდის მამა დაღონებული და გადმოუგდებს ვერცხლის ქამარსა, გაიტა, დააგირავეო.

ყველანი სხდებიან პურის საქმელათ შამის გარდა; მშინ და ვერ მიჰამია, ყელში აღარ ჩადისო. შემდგომ ყველანი წვებიან, მამა კი დადის გაცხარებული ოთახში. რაღაც საზარელი ფიქრი აწუხებს და საშინელს მოუხვენრობაში იმყოფება. შუალამისას კუთხიდან რაღაცას აიღებს და ჩაიდებს ჯიბეში; ოხვრით გადახედამს ცოლ-შვილსა; წამოიბუტბუტებს: „დრო არისო“ და გავა. ვინ იცის სადა და რისთვის? იქნება, საწყალი, საავაზაკოდაც!“.

მკვლევარებს, რომლებიც ალ. ორბელიანის წერილის გამოქვეყნებისათვის ივ. კერესელიძეს უსამართლოდ სდებდნენ ბრალს, მხედველობიდან გამოორჩათ გ. ქართველის ეს მრისხანე მამხილებელი სტატია. წლების მანძილზე „ცისკარში“ გაჩაღებული ანტიბატონყმური პროპაგანდის გამო, ა. ორბელიანი, რომელსაც რედაქტორი ბატონყმობის დასა-

ცავი წერილების დაბეჭდვაზე უარს ეუბნებოდა, შეწუხებული ჩივის: „ჩვენს მებატონეებზედ რომ მოუყუდებიათ ჯოხი და იმ ჯოხს ჩვენის ბეჭებიდან არღარ იღებენ, ის არა სჯობია, რომ რაშიაც საგინებელი ვართ ნამდვილათ, იმაზედ გვაგინონ, იმაზედ გვლანძღონ, იმაზედ დაიჩივლონ?“

ივანე კერესელიძე არ კმაყოფილდებოდა ბატონყმობის წინააღმდეგ მიტოვებული მოღვაწეობა მართული მასალების ბეჭდვით. იგი, ბატონყმობის წინააღმდეგ როგორც მშრომელი გლეხობისა და ყველა ჩაგრულის გულშემატკივარი და მოსარჩლე, ყმაგლეხთა შორის

პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწეოდა. ივანე კერესელიძესთან, რომელსაც მრავალი წლის ენერგიული ბრძოლისა და უანგარო მოღვაწეობის წყალობით პოპულარობა და ნდობა ჰქონდა მოპოვებული, — ხშირად მოდიოდნენ ბატონყმობის ამბის გასაგებად. „ცისკარი“ ანტიბატონყმური პროპაგანდის ერთგვარ ცენტრსაც წარმოადგენდა. ბატონყმობის საწინააღმდეგო მასალები აქედან სწრაფად ვრცელდებოდა გლეხობაში.

ცნობილია, რომ ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ თხზულებებს („მწყემსის სიყვარული“, „სურამის ციხე“, აკ. წერეთლის ლექსები და სხვ.) ივ. კერესელიძე ყოველთვის გადიდებული ტირაჟით ბეჭდავდა და უფასოდ ურიგებდა ხალხს. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ივ. კერესელიძეს ხშირად მოსდიოდა ყმაგლეხთა, ჭელოსანთა, ვაჭართა წერილები ბატონყმობის მოსპობის თაობაზე. იგი თანაგრძნობით აღსავეს, დამაიმედებელ პასუხებს უგზავნიდა მათ. „ცისკრის“ მარტოხელა რედაქტორისათვის ასეთი პროპაგანდისტული მუშაობა ადვილი არ იყო, მაგრამ იგი განსაკუთრებული ხალისით ასრულებდა ამ საქმეს. ივ. კერესელიძე გადმოგვცემს: „საქართველოში ბატონყმობის გადავარდნა 1864 წლიდან დაიწყო; ყველა განცვიფრებით ისმენდა ამ ცნობებს, დიდათ უხაროდათ გლეხთა, ნამეტურ მებატონეთაგან დაჩაგრულთა... [„ცისკრის“ რედაქციაში] ხშირად მოდიოდნენ გლეხნი, ტფილისის ხელოსანები და ვაჭრები და მე მკით-

ხავდნენ, თუ, ბატონო, ბატონყმობა მართლა გადავარდებო? მეც ყველას სწორე ცნობებს ვეუბნებოდი, ყველა მოხარული იყო, ზოგ ჩემს მცნობს მებატონეთ კი ჭავრი მოსდიოდა. მეუბნებოდნენ, რომ -ნუ ეუბნები მათაო, თორემ გათამამდებიანო. გლებთაგან კითხვები წერილობით მე ქუთაისიდან უფრო ხშირად მომდიოდა და მკითხავდნენ. მე პასუხს წერილობითვე ვაძლევდი. საუბედუროდ, მაშინდელი მათი წერილები დამეკარგენ, თორემ დღეს იგინი დიდ მასალათ გამოდგებოდნენ ჩვენის ისტორიისათვისოა<sup>1</sup>.

დამოკიდებულება  
საგლებსო რეფორ-  
მისადმი

„ციცკარი“ აღფრთოვანებით შეხვდა აღმოსავლეთ საქართველოში ბატონყმობის გაუქმებას. წერილში „ბატონყმობის ამბავი“, რომელიც „ციცკარის“

1864 წლის ნოემბრის ნომერშია დაბეჭდილი, ივ. კერესელიძე წერს: „ეს 1864 წელიწადი, უმეტესად ამ წლის ნოემბრის მერვე დღე, ვისაც კი ესმის კაცობრიობა და იმისი მნიშვნელობა, ყოველთათვის დაუვიწყარი დღე არის. ამ დღეს გამოეცხადათ საქართველოს გლებთ თავის უფლება მებატონეთ მონებრისაგან. (ხაზი ჩვენია. ა. კ.). თითქოს ბუნებასაც უხაროდა საზოგადო სიხარული და მსუე მოწმენდილს ციდან უხვად განზბნევედა სხივებს ახლად განთავისუფლებულ და სიხარულით აღსავსე ხალხზე... რა გაათავა კითხვა [„უკაზის“], ჰაერი შეირყა გლებების დამაყრუებელი „ურას“ ძახილით“.

ასეთივე აღტაცებით მიესალმა ივ. კერესელიძე ბატონყმობის გაუქმებას დასავლეთ საქართველოში: „...ყოველს ქართველს, [რომელსაც] კი ესმის კაცობრიობის წარმატების ღირსება, — წერდა იგი, — უნდა სასიამოვნოთ მიაჩნდეს... რომ იმერეთის მხარეზედაც ინება ჩვენმა დიდმა ხელმწიფემ განთავისუფლება გლებებისა ყმობითის დამოკიდებულებისაგან.

ჩვენი რედაქცია დიდის სიამოვნებით უთმობს სხვადასხვა ამბის ნაწილს ამ მეტად სასარგებლო — საქვეყნო საქმეს“.

ბატონყმობის გაუქმება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ქვე-

<sup>1</sup> ზ. კვიციანიძე. „ივ. კერესელიძე“. 1902.



ყნის პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული განვითარების გზაზე, მაგრამ კულტურულმა რეფორმამ, რომელმაც დიდი პრივილეგიები შეუნარჩუნა მებატონეებს გლეხთა საზარალოდ, ვერ გაამართლა გლეხობისა და მისი ინტერესების დამცველთა იმედები. საქართველოში ბატონყმობის გაუქმების წინ „ციცქარმა“ გაბედულად აღნიშნა, რომ ეს რეფორმა ხელმწიფის მოწყალებას კი არ წარმოადგენდა, არამედ ხალხის მოძრაობის შედეგი იყო.

1864 წლის აპრილის ნომერში აღ. სავანელი წერდა: „...ხალხზედ არის განთავისუფლება გლეხკაცებისა მებატონეებისაგან; საქმე საზოგადოდ მიღებულნი, როგორც აუცილებელი საჭიროება დროებისა და რომლის ცვლილებით უნდა შევიდეთ ახალს ცხოვრებას სფეროში“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ივ. კერესელიძის იმედი, რომ ბატონყმობის მოსპობით მშრომელი გლეხობის მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, არ გამართლდა. „მდიდარს, გლახასა, დიდსა და პატარას“ შორის განსხვავება გაღრმავდა. მართალია, ყოფილ ყმაგლეხს ახლანება ჰქონდა, სადაც სურდა იქ წასულიყო. მაგრამ მისთვის ვერაფერი ნუგეში იყო ამგვარი „მშვიერი თავისუფლება“.

ივ. კერესელიძემ ბატონყმობის გაუქმების პირველსავე წლებში გვიჩვენა სოფლიდან გამოდევნილი, ლუკმაპურის საშოვნელად მოხეტიალე გლეხის გაჭირვება. იგი მხურვალედ თანაუგრძნობდა ამ გაპროლეტარებულ ყმებს. პუბლიცისტიურ და მხატვრულ ნაწერებში მეტწილად მთელი ხალხის სახელით ლაპარაკობდა.

იღგა რა იმ თვალსაზრისზე, რომ ბუნებით ყველა ადამიანი თანასწორია, — ივ. კერესელიძე ილაშქრებდა ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ, ქადაგებდა კაცთმოყვარეობასა და მშობას.

1870 წელს იგი წერდა: „...კაცისათვის მაღალი ჰსწავლა იზარის, იენოს კაცობრიობა. კაცობრიობის შესწავლა ადვილი საქმე არ არის; ნეტავი იმას, ვისაცა აქვს ეს მდიდარი ჰსწავლა, და ვაი იმისი ბრალი, ვინც არ იცის თავისი მსგავსი კაცი რა

ღირსებისა არის, ანუ ვინა ყოფილა... თუ თვალწინაც მიდგა ჩემის სახლის კაცი, ვუყურებ დავრდომილს, დაცემულს, დაბრიყვებულს, დამახინჯებულს სხვადასხვა უბედურის შემთხვევების მიზეზით და ვუყურებ გულგრილად, გაციებული, თითქოს აქ არაფერია, არა მომზდარა რაო, მაშინ (ეს) გადაემეტება ყოველთა უგონო ცხოველზედ“<sup>1</sup>. უმუშევართა, ქალაქში გადმოხვეწილ გლეხთა საკითხს ივ. კერესელიძემ ასეცაილაწერი წერილი მიუძღვნა — „მატყლის საჩეცხი ქარხანა ტფილისში ი. მ. მარზოვეისა“.

ამ სტატიაში ავტორი გვიხატავს უმუშევართა ცხოვრების მძიმე სურათებს; გვიჩვენებს, რომ ბატონყმობის გაუქმებამ ხალხი ოდნავადაც ვერ იხსნა ტანჯვა-წამებისაგან. მშვიერ-მწყურვალთა ხმა „ცათამდის აღწევს“, იმედი კი არსაიდან ჩანს. განცხრომაში მყოფი ბატონები გულგრილად შესტყერიან მშრომელთა აუტანელ მდგომარეობას. მათ სრულებითაც არ აკვირვებთ, რომ ათასობით ადამიანი შიმშილით იხოცება. ივ. კერესელიძე ზამარცხვინო ბომზე აკრავს ამ გარეწარებს; მუქარით ეუბნება: გახსოვდეთ, რომ ამ დაჩაგრულებს ისეთივე უფლება აქვთ ბედნიერებაზე, როგორც თქვენ, უსამართლოდ რომ მოგიხვეჭიათ სიმდიდრე, რომელიც თქვენ არ უნდა გეკუთვნოდეთო. ავტორის მთელი თანაგრძნობა დაჩაგრულთა მსარეზეა.

„...რამდენი ღარიბი, ღატაკი და ოხერტიალი ახვევია ჩვენ ტფილის ქალაქს! — წერს იგი, — რამდენი გამოსალმებია ამ წუთისოველს კარდაკარ ტანტალში ლუკმა-პურისათვის; რამდენი შექმნილა მსხვერპლად უპატიურობისა ცხოვრებისთვის, რამდენი მიაგალითი ვიცით, რომ მშობელს დედას, რა დაუტანებია შიმშილს ძალა, თავის პირმშო, ერთადერთი უმანკო ქალი... თავისი ხელით მიუცია იმ საშინელი ბოროტების ბრძკვალებისათვის, რომელიცა ინთქობს თავის ღრმა უფსკრულში საუკუნოდ და ჰყოფს უბედურად“<sup>2</sup>...

ეს ღარიბ-ღატაკნი, ივ. კერესელიძის აზრით, სრულიად

<sup>1</sup> „ცისკარი“. 1870. აპრილი.

<sup>2</sup> „ცისკარი“. 1868. სექტემბერი.

მოწყვეტილი არიან კაცობრიობის წინმსწავლელობას; მათთვის არ არსებობს განათლებიანა და ცივილიზაციის ნაყოფი; ისინი მოკლებული არიან ადამიანური ცხოვრების ელემენტარულ პირობებს. საზოგადოების ამ უდიდეს ნაწილს ყურადღება და მზრუნველობა ესაჭიროება.

„ჯერ კაცს ლუკმა უნდა ჰქონდეს,—განაგრძობს ის,— კუჭი მაძლარი, და მერე ისე უნდა ფიქრობდეს სხვა საქმიანათვისაც. როდესაც კაცი მაძლარია, ის მაშინ ყუათიანათ და გაბედვით მისდევს ყოველისფერს, ის მაშინ აღარას ზოგავს წინ ბიჯის გადადგმისათვის. რა ადგილი უქირავს შეუძლებელს, ღონე-მოკლებულ კაცს კაცობრიობაში? არაფერი! ის გამორჩეულია ამ სოფლის ყოველ ბედნიერებას; ის მრთელი დღე ფიქრობს მხოლოდ თავის რჩენისათვის; ის მთელი დამე ატარებს ფიქრში ცხოვრებისათვის. იტანჯება, შფოთავს, ვერ ისვენებს, ტრიალებს; და თუ ცოლით და წვრილის შვილებით დატვირთულიც არის, მაშინ ვაი იმისი ბრალი. აღუწერელია მაშინ იმისი საცოდვე მდგომარეობაში ყოფნა; მაშინ ის სიცოცხლითვე ანთებულს საკირეშია... მაგრამ ახლა ეს ვიკითხოთ, კაცობრიობას რომელნი პირნი შეადგენენ? ღარიბნი ხალხნი, რომელნიცა ჩაფლულნი არიან მწუხარების ღრმა ფიქრებში, ხომ კაცობრიობაში არ ირიცხებიან. თუნდაც დავარქვათ კაცობრიობა, რა გამოუვათ ხელითგან? არაფერი! მაშასადამე, კაცობრიობის შემდგენენი არიან მდიდარნი, შემძლებელნი; ისინი, რომელნიცა არ არიან მოკლებულნი ლუკმის შოვნის ღონისძიებას. იმათი ვალია საწყალი ხალხნიც მოაქციონ თავიანთ კაცობრიობის სიაში... წამალი დაადონ იმ იარას, იმ ჰრილობას, რომელიცა აქვთ ერთ-ერთ ტანის ნაწილზედ და რომელსაცა იქნება კიდეცა გრძნობდნენ, მაგრამ ყურს არ ათხოვებენ; აგრე იტკივებს, იტკივებს და მერე თვითონვე დაამდებაო. — დიახ, დაამდება, ჩენო პატროსანო, მდიდარო, შეძლებბის მექონევე, ლუკმის ადვილად მომპოებელო, როდესაც სრულებით მოისპობა ტანჯვა ამ ქვეყნად ღარიბისა, როდესაც სრულებით მოაკლდება ამ დიდებულს და მშვენიერს ბუნებას და დაუტოვებს მწარე სოლატაკეში ცოლს, წვრილშვილს, რომელთა ტირილისა და გო-

დების ხმა აღიწევა ცად მიმართ, გამვლელ-გამომვლელნი ერთს შეხედამენ და გაივლიან, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოს...“<sup>1</sup>

ივ. კერესელიძე სასააცილოდ იგდებს გაბატონებული კლასების მტკიცებას, თითქოს სოციალური უკანონობა ღვთისაგან იყოს დაწესებული. მისი რწმენით, ყველა ადამიანი თანასწორია, ყველას უნდა ჰქონდეს არსებობის საშუალება.

„...ზოგი ახლო დამნახველი იტყვის, — წერს ივ. კერესელიძე, — რა ვუყოთ, ღვთისაგან ასე არის დაწესებული — კაცი იბადება, უნდა მოკვდესო. ერთი ვკითხვით იმ კურთხეულს, რომელიც ამასა ფიქრობს, განა ღმერთმა კაცი იმ აზრით დაბადა, რომ შიმშილით სიკვდილი დაუწესა?.. აგერ მოდის ეკიპაჟით, რომელსაცა გაუღის პრიალი. შიგ დონიჯშემოყრილ, შლიაპა გვერდზედ, თეთრის „ლაიკის“ ფერჩატკებით, წყვილი ჩინებული თეთრის ცხენებით მოდის კაცი, მოლიღინებს და ისე უყურებს სხვა კაცებს, თითქოს ბუზები არიანო... რომ დააჯახოს ერთ-ერთს ამისი გაპრიალებული ეტლი და გაქულიტოს, თითქოს მატლი გაქულიტაო. იმას კი აღარა ფიქრობს, რომ ეს ისეთივე მატლია, როგორი მატლიც თვითონა ბრძანდება... აი ჩვენი ქვეყნის წინ ბიჯის გადადგმა რა მდგომარეობაში არის“<sup>2</sup>.

„ცისკარია“ რედაქტორს სჯეროდა, რომ ხალხის გაქირვებული მდგომარეობიდან გამოყვანის ერთადერთი საშუალება სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება იყო. საქართველოში ფაბრიკა-ქარხნების დაარსება, მისი ფიქრით, შესაძლებლობას მისცემდა რეფორმის შედეგად სოფლიდან გამოდევნილ „განთავისუფლებულ გლეხთა“ მასას, — რომელიც მშვიერ-მწყურვალე ქუჩა-ქუჩა დაწანწალებდა, — სამუშაო ეშოვნა და, მართალია, მძიმე და არაადამიანური შრომით, მაგრამ მაინც დღიური საზრდო მოეპოვებინა.

ამიტომ ივ. კერესელიძე ერთ-ერთი პირველი მიესალმა ჩვენში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებას, მიესალმა ახალი ქარხნების დაარსებას, სადაც ლუკმაპურის მაძიებელმა ადამიანმა ორიოდვე კაპიკის გამომუშავების შესაძლებლობა მიიღო.

<sup>1</sup> „ცისკარი“. 1868. სექტემბერი.

<sup>2</sup> იქვე.

მან ქველმოქმედებადაც კი ჩათვალა ფაბრიკა-ქარხნების მეტრო-  
 რონე-დამაარსებელთა საქმიანობა, თუმცა სამართლიანობა მო-  
 ითხოვს ითქვას, მანვე დაგვისურათა ქართველი მუშის მძიმე  
 ხვედრი: მუშისა, რომელიც იმითაც კი გახარებულა, რომ მისი  
 სამი წლის ბავშვს ქარხანაში სამუშაოდ მიიღებენ, რომ ახალ-  
 ფეხადგმული ბავშვის გაწამებული მუშაობით ოჯახს ორი კაპიკი  
 შეემატება. ივ. კერესელიძე წერს: „უფ. მირზოვემა გააკეთა  
 ორთაქალის მხრისაყენ, მტკვრის პირას, ქარხანა მატყლის გასა-  
 რეცხი. წყლის პირას ამართულია ორთქლის მაშინა, რომელ-  
 საცა ამოაქვს წყალი ზემოთ, სადაცა არის დიდი შენობა. ერთს  
 დიდს სახლში აუზებია მომართული. ცალს კუთხეში დგას დი-  
 დი ქვიტკირის ფეხი. ჯერ წყალი ცხელდე-  
 ბა, შემდგომ ჩადის აუზში. რომელთაც დაე-  
 ხვევიან დედაკაცები თავიანთ წვრილშვი-  
 ლეებით დარეცხამენ. სხვა მხარეზე დგას რამდენსამე  
 ალაგას დახურული ფიცრებით ჩარდახები, აქ ჰკიდებენ გასაშ-  
 რობად; ზოგნი ყმაწვილები, ზოგნი დიდრონი  
 დედაკაცები, თუ მოხუცი კაცები ჰფენენ ამ  
 მატყლსა. ბევრნი არიან იმ გვარი კაცი თუ  
 დედაკაცი, რომ წვრილშვილები ჰყვანან და  
 ესენიც მოუდით იქ ამ სუბუქ სამუშაოზედ;  
 ყმაწვილებს ეძლევათ დღეში (თუნდა სანის  
 წლისა იყო, მიიღებენ) ორი შაურითგან ერთ  
 აბაზამდინ, დიდრონებს ცხრა, ათ შაურამ-  
 დინ. მე მგონია, ამათში ბევრნი იმ გვარნი ერივნენ, რომელ-  
 თაც თავისის შვილებიც რომ ვიანგარიშოთ, შვიდი თუ რვა  
 აბაზი აიღონ დღეში?.. უ. მირზოვეს ჰქონია აზრათ,  
 შეეწიოს რითიმე საწყალ ხალხს, ქვიტკივ-ოხ-  
 ერს, ობოლს, დარიბს და ეს მოუგონია...“  
 (ხაზი ყველგან ჩვენია. ა. კ.).

წერილის დასასრულს ივ. კერესელიძე შენიშნავს: „უფ.  
 მირზოვეი ყოველსა ღონისძიებით სცდილობს გამოიყვანოს  
 დარიბი ხალხი შევიწროებისაგან;.. მაგრამ მთელი წერილის  
 შინაარსი აშკარად უჩვენებს მკითხველს, რომ მირზოვეის ფა-  
 ბრიკაში სამი წლის ბავშვების ოფლით მოპოვებული კაპიკები

ვერ გააძღვებს „ათასობით ღარიბ-ღატაკს, რომლებიც გარს ახვევიან თბილისს“.

ივ. კერესელიძემ კარგად იცოდა, რომ სამრეწველო კაპიტალიზმი არ იძლეოდა შიმშილისა და სიღატაკისაგან თავის დაღწევის გარანტიას. 1868 წლის „ცისკრის“ თებერვლის ნომერში იგი იუწყებოდა: „(ევროპაში) ...ტირილის ხმა პურისათვის აღიწევა ცათამდის, — მაშინ როცა მდიდრებს „ბალები და ვეჩერები“ აქვთ გაჩაღებული, იმათი თანაპოძმენი ქოხებში შიმშილითა წყდებიან“.

განხილულ სტატიაში ავტორი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ ქარხანაში შრომა მუშისათვის აუტანელია; ამ შრომით დედ-მამა მარტო ვერ გამოკვებავს ოჯახს და ისინი იძულებული არიან სავი წლის ბავშვებიც მოიყვანონ სამუშაოდ. თუ ასეთ პირობებშიც კი ფაბრიკანტ მირზოევის კაპიტალისტური წამოწყება ავტორს „ქველმოქმედებად“ მიაჩნია, ამით უფრო აშკარა ხდება, რამდენად მძიმე ყოფილა ხალხის მდგომარეობა რეფორმის შემდეგ. არსებითად, ამის დასურათხატება წარმოადგენდა ავტორის მიზანს და არა ფაბრიკანტ მირზოევის აპოლოგია.

ივანე კერესელიძე სხვა ნაწერებშიც ეხება ბატონყმობის გაუქმების შედეგად წარმოშობილ სოციალურ ურთიერთობას; ხაზს უსვამს, რომ გლეხთა მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა; თავდაზნაურობა ძველებურად განაგრძობს ხალხის ყველფას, ყოველგვარი საშუალებით იბრძვის ეკონომიური და პოლიტიკური პრივილეგიების შესანარჩუნებლად.

კომედიის „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მგებარსა“ („ცისკარი“, 1868, დეკემბერი) ივანე კერესელიძე გვიხატავს რეფორმის დროინდელი ქართული სოფლის ცხოვრებას. კომედიის გმირს, სოფელელ თავად ელიზბარს, კვლავინდებურად თან დასდევენ „შინა მოსამსახურეები“, რომლებსაც იგი ყმებს უწოდებს. თავადი ცდილობს „არ დაჰკარგოს ძველი გზა“; როცა მუშაობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ელიზბარი მედიდურად აცხადებს: „...ამისთვის მოსამსახურეები არიან [გაჩენილნი]... მაღლობა ღმერთს, ძაღლთ უმრავლესნი მიყრიან შინა“.

თავადი მართლაც ძალღივით ეპყრობა ყოფილ ყმებს, რომლებსაც, მოდის შესაფერად, ზოგჯერ „მოსამსახურებლაც“ უწოდებდა. ავტორის რწმენით, ბატონყმობა შეცვლილი სახით კვლავ განაგრძობს არსებობას. მემამულეები სცემენ, შიმშილით კლავენ თავიანთ „განთავისუფლებულ ყმებს“. ისინი ირონით ლაპარაკობენ მათს თავისუფლებაზე: „შენ უმსგავსის შეილო, — მიმართავს ელიზბარი თავის მოსამსახურეს, — სად ეგდე? [დაცინებით]: რას მიბრძანებდით!.. დმერთმან ნუ იცის მკითხავის თავი, რასაც გიბრძანებდი... ბიჭო, ვირის ყურები ხომ არ გაბია?.. მაგისთვის გაქმევე პურს და გინახავ, რომ ეგრე უხიაკათ მომექცე?.. ხომ არ გინდა გამოგაღვიძო და გონს მოგიყვანო?“

ელიზბარი არ აპირებს მამაპაპური პოზიციების დათმობას. „ყმა და მამული მას „ზალოგში“ აქვს დაგირავებული“.

„განთავისუფლებულ გლეხს“ ლუკმაპურიც სანატრელი ჰქონდა. სოფელში შიმშილი მძვინვარებდა. წერილში — „ჩვენი ძველ-ძულიანობა“ („ცისკარი“, 1870, თებერვალი), ივ. კერესელიძე წერდა: „...პური გაგვიიაფეთ, პური, რომელზედაც არის კაცის ზიციოცხლე დამოკიდებული! რა ვქნათ, ტანთსაცმელი ძვირია, მაგრამ ვისთვის არის ძვირი? რასაკვირველია, დაბალი და ღარიბი ხალხისათვის“.

ცოტა უფრო ადრე, 1868 წელს იგი აღნიშნავდა: „რუსეთის რამდენსამე გუბერნიაში შიმშილი არის ახლა და არა თუ რუსეთში, თითონ ევროპაშიაც... ტირილის ხმა პურისათვის აღიწევა ცად მიმართ. რამდენს ალაგს არის ბალები და ვეჩერები, სადაც დიდი ხალხი ძლება და იმათი თანამომძმენი ქოხებში შიმშილითა წყდებიან“<sup>1</sup>.

მებატონესთან ერთად, „განთავისუფლებულ გლეხს“ მძიმე ტვირთად დააწვა მევახშე. ჩარჩ-ვაჭართა ექსპლოატატორული ბუნება ივ. კერესელიძემ 1855 წელს გვიჩვენა ღრამაში „შვილი უმანკობისა“. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ სოფლის წურბელა უფრო მაგრად დაეწათა გლეხის სისხლს. 1869 წელს ივ. კერესელიძე წერდა: „ქართლსა და კახეთს

<sup>1</sup> „ცისკარი“. 1868. თებერვალი.

ერთი საუბედურო სენი შესჩვევია, ესეც ხალხის სიღარიბისა გამო... მოატანს თუ არა მკა, ლეწვა, ერთის სიტყვით, ზაფხულის სამუშაო დღეები, — დასჭირდება ფული, რა ქნას, ვის წიმართოს, ვისთან წავიდეს?.. ყოველს ოჯახს... თავისი ვაჭარი... ჰყავს შეჩვეული, რომელიც დიდის სიამოვნებით უმართავს ხელსა, მისცემს ფულსა, დააწერს ერთი ორად და როცა შემოდგომა მოვა, ვალში დახვეტავს მთლად მოსავალსა და შამულის პატრონი რჩება ცარიელი და ცარიელი შეჰყურებს მომავალს წელიწადს; მოვა გაზაფხული, ისევ იხ ხვედრი მოელის, ისევ იხ შეჭირვება, ისევ სესხება, ისევ მიცემა და თავის დღეში ვერცა თუ ერთსა გროშსა ხედავს თვალთა“<sup>1</sup>.

ივ. კერესელიძე კარგად იცნობდა ქართველი გლეხის ცხოვრებას, მთელი არსებით თანაუგრძნობდა მას და შეეძლო დაეხატა წელში გატეხილი სოფლის ავ-კარგი.

„შემოსავლას მებუთედს გლეხი აძლევს მამულის პატრონს, — გადმოგვცემს ივ. კერესელიძე, — მებუთედი ვაჭარს მიაქვს, დანარჩენს კვლავ შემამულე უყოფს შუაზე, ნახევარს თავის სასარგებლოდ იღებს, მეორე ნახევრიდან, რომელიც მაინც უნდა დარჩეს გლეხკაცსა — მოურავი თავის სამოურავოს იღებს, ზოგან აწყვაში ატყუებს და გლეხკაცი საცოდავი რჩება ხელცარიელი“.

აქედან ამჟამად, რომ გლეხოზა, რომელსაც სული ძლივს ედგა პირში, იძულებული იყო მიეტოვებინა სოფელი და ლუკმა-პურის საძებნელად აბარგულიყო.

ივ. კერესელიძე ლექსებშიც გვიჩვენებს „განთავისუფლებულ“ გლეხთა აუტანელ ცხოვრებას,

იგი დაუზოგავად კიცხავდა იმ თანამემამულეებს, რომლებიც გულგრილად შეჰყურებდნენ ხალხის, დამშეული გლეხების მიძიმე ხვედრს ბატონყმობის გაუქმების შემდეგ.

1871 წელს საქართველოს ეწვია იმპერატორი ალექსანდრე II, რომელსაც საგლეხო რეფორმის გამო, ოფიციალური პრესა „გლეხთა განმათავისუფლებლად“ სახავდა. იმპერატორის ჩამოსვლას ქვეშევრდომული აღტაცებით მიესალმა თავად-აზნაურობა; ადგილობრივმა ხელისუფლებამ საზეიმო განწყო-

<sup>1</sup> „ცისკარი“. 1869. ივნისი.



ბილება შექმნა მეფის პატივსაცენად. ისინი ყველასაგან მოითხოვდნენ ამ „ქვეშევრდომლური გრძობების“ გაზიარებას. პროგრესულმა ჟურნალ-გაზეთებმაც ვერ შეძლეს ამ შემთხვევისათვის დუმილით გვერდის ავლა. ივ. კერესელიძე იძულებული გახდა მძიმე ღარკი გადაეხადა მთავრობისათვის. ლექსში „გლეხის ღიღინი“ პოეტი მიესალმება იმპერატორს, როგორც „გლეხთა განმათავისუფლებელს“ და გარეშე მტერთაგან საქართველოს მფარველს. იგი განსაკუთრებით ამ უკანასკნელ მომენტს უსვამს ზუსტს.

ლექსში ვხვდებით სულმდაბალ სტრიქონებს:

მეფე, მობრძანდი იმ გლეხთა შორის,  
ლოცა-კურთხევა საღ ზშირალ იშისი!..! და სხვ.

ამ ნაძალადეგ თხზულებაში გამოხატული აზრი დიამეტრულად ეწინააღმდეგებოდა როგორც „განთავისუფლებულ გლეხთა“ განწყობილებას, ისე ივანე კერესელიძის გულწრფელ თვალაზრისს ამ საკითხზე.

„ცისკარის“ 1869 წ. ივნისის ნომერში დაიბეჭდა ხელმოწერილი წერილი „ახლანდელი დრო“, რომელშიც სწორადაა გაშუქებული წარსულთან შედარებით აწმყოს უპირატესობა. სტატიაში ნათქვამია, რომ რეფორმის შედეგად გლეხთა მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამასთანავე, წერილში გამოთქმულია ბევრი ცრუ აზრი: გადაჭარბებითაა შეფასებული მანიფესტის მნიშვნელობა.

აზრიგად, ბატონყმობის შემდეგ, ისე, როგორც მანამდე, ივანე კერესელიძე ზალხის ინტერეებიდან გამოდიოდა; მთელი მისი სიმპათია მშრომელთა მხარეზე იყო. იგი ხედავს ზალხის გაჭირვებას, აღწერს „განთავისუფლებული ყმების“ აუტანელ ცხოვრებას, მთელი თავისი არსებით სწადია მათი მდგომარეობის გაუმჯობესება, ბედნიერება, წინსვლა, მაგრამ არ იცის რა გზით უნდა განხორციელდეს ეს, როგორ უნდა „შეუშროს მტირალს ცრემლი“.

\* \* \*

სამშობლოს სიყვარული ივ. კერესელიძეს ადამიანის უპირველეს ღირსებად მიაჩნდა. ათეული წლების მანძილზე იგი თავდადებით იბრძოდა მშობლიური ენის, კულტურისა და ლიტერატურის საკეთილდღეოდ, იღვა მშობელი ხალხის ეროვნული უფლებების სადარაჯოზე, აღვივებდა თანამემამულეებში პატრიოტულ გრძნობებს, ანმტკიცებდა მომავლისადმი რწმენას, გაბედულად გამოდიოდა გადაგვარება-გათქვეფის წინააღმდეგ.

მოქმედებს, აქტიურობის, წინსვლის აუცილებელ პირობას აწმყოს „ცნობა“ წარმოადგენდა. პირველი გენიოსური სიტყვა ამ მიმართებით ნიკოლოზ ბარათაშვილმა თქვა. მისი „საფლავი მეფის ირაკლისა“ და „ბედი ქართლისა“ წარსულთან ვაჟკაცური ანგარიშსწორებისა და სინამდვილის ცნობის პირველი ნიშანია. ასეთივე ცდა მოცემულია დავით მაჩაბლის პოემაში „მთიული“, რომელიც 1839 წელსაა დაწერილი<sup>1</sup>. გიორგი ერისთავის პრაქტიკული მოღვაწეობა (აგრეთვე მისი თანამებრძოლებისა) და მხატვრული შემოქმედება „სინამდვილის ცნობის“ შედეგია, მაგრამ წარსულის გადამწყვეტი გადაფასებისა და სინამდვილის სრული აღიარების დასაბუთებას ამ პერიოდში ვერ ვხედავთ.

1857 წლიდან მოყოლებული „ცისკარში“ სისტემატურად იბეჭდებოდა პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც, როგორც რედაქტორი, ისე სხვა თანამშრომლები, ილაშქრებდნენ წარსულის გაიდვალების წინააღმდეგ, ამტკიცებდნენ აწმყოს უპირატესობას და, აქედან გამომდინარე, ეწეოდნენ აქტიური მოქმედებისა და ცოცხალი პრაქტიკული საქმიანობის დაუღალავ პროპაგანდას.

ყურნალი აღვივებდა აქტივობას, ინიციატივას, თვითმოქმედებას; ცდილობდა მძლავრად შეენჯღრია პატრიარქალური უზრუნველობით მიძინებული საზოგადოებრივი აზრი, წამოეყენებინა სამოქმედო პროგრამა, დღის წესრიგში დაესვა გადაუღებელი ამოცანები.

<sup>1</sup> ა. ბ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. ქართული რომანტიზმი, 1948.

ივ. კერესელიძე გულმოდგინედ ასაბუთებდა, რომ არსებული პირობები ხელსაყრელი იყო ეროვნული კულტურის ასაღორძინებლად.

ივ. კერესელიძემ საზოგადოების ყურადღება წარსულიდან მომავლისაკენ გადაიტანა: „დრო არის გაღვიძებისა, — წერდა იგი, — ...ვიფიქროთ მომავალზედ, ვიფიქროთ ჩვენს შვილიშვილებზედ“.

ეს იღეა მალე კლასიკური სიცხადით გამოხატა ილია ქავ-ქავაძემ: „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი, ჩვენ უნდა ვსდით ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“.

ქართული ხალხის ბედნიერება, — ივ. კერესელიძის რწმენით, — დიდად იყო დამოკიდებული ეროვნულ სულისკვეთებაზე. ქართული კულტურის წარმატების საფუძვლად მას ერთიანობა, თანხმობა მიაჩნდა. ეროვნული თანხმობის ქადგებას ივ. კერესელიძის პუბლიცისტურ და მხატვრულ შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია. ეს გამოწვეული იყო ქართველი ხალხის, ქართული კულტურის იმდროინდელი მდგომარეობით. ივ. კერესელიძის აზრით, ამ თანხმობის საძირკველი უნდა ყოფილიყო მშობლიური ენის სიყვარული, ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარების ინტერესი, გადაგვარებულ ელემენტთა წინააღმდეგ ბრძოლა.

ქართული ყურნალი და თეატრი ივ. კერესელიძეს ეროვნული აღორძინების დასაყრდენად მიაჩნდა, ხოლო მათ უპირველეს მოვალეობად მშობლიური ენის დაცვას თვლიდა.

„სამშობლო ენის დაცვაში“ გულისხმობდა მთელი ეროვნული ინტერესების დაცვას. \*

ივ. კერესელიძემ დააყენა აგრეთვე ქართული ენის დაცვის საკითხი, დაანახვა თანამედროვეებს, რომ ეს ენა მოსპობის საფრთხის წინაშე იდგა. ქართული ენისათვის ზრუნვა მან თვითვე ქართველის ეროვნულ მოვალეობად გამოაცხადა. ივ. კერესელიძე დაუნდობლად ამხელდა „თვის გვარის დამვიწყებელთ“, რომლებიც ქართული ენის მოსპობის გარდუვალობას იმით ამტკიცებდნენ, რომ ამ ენაზე მხოლოდ „დიღმიდან თბილისის აბანოებამდე“ შეიძლება გაგებინებო.

კერესელიძემ ჩამოაყალიბა ქართული დაწყებითი სკოლის გახსნის პროგრამა და დაასაბუთა დედაენაზე პირველდაწყებითი განათლების აუცილებლობა. ეს არის დედაენაზე სწავლებისათვის იმ ბრძოლის დასაწყისი, რომელიც 70 — 80-ან წლებში გაჩაღდა. დედაენაზე სწავლის უარყოფა ივ. კერესელიძეს ბუნების საწინააღმდეგო მოვლენად მიაჩნდა; მშობლიური ენის დაცვის საფუძვლად. იგი თვლიდა მტკიცე ეროვნულ შეგნებას. ამიტომ ივ. კერესელიძე მედგრად ეკვეთა ზნეობრივ სიმახინჯეს, რომელიც აჩქარებდა ეროვნულ გადაგვარებას. მისი რწმენით, ენის დაკარგვა და ზნეობრივი გახრწნა ერთმანეთთან. იყო დაკავშირებული. ამორალიზმი აღუწებდა ხალხის სასიცოცხლო ძალებს, უჩლუნვებდა მას პოლიტიკურ აღიარებას და ბორჩილად აბამდა მონობის უღელში. ივ. კერესელიძე გაბედულად ლაპარაკობს საერთოდ ქართველებს მანკიერ მხარეებზე. მთელ ერსაც, მისი აზრით, ისევე ესაჭიროება დარიგება და ზნეობრივი აღზრდა, როგორც თვითეულ ადამიანს. მკაცრი მხილება მიზნად ისახავდა ეროვნული სიფხიზლის გაძლიერებას. ივ. კერესელიძე უამრავ ზნეობრივ ნაკლს ამჩნევდა თანამემამულეებში; ამ ნაკლოვანებათა გამომწვეურება მას თავის პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნდა.

ქართული ენის მტრებთან ივ. კერესელიძის ბრძოლა მწვევე ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან ეს ბრძოლა იყო დაკავშირებული გაბატონებული წრეების მორალური დაცემის მხილებათან. სიზარმაცე, გულგრილობა. დაუდევრობა, ფლანგვა, უკადრისობა, შური, ქიშპობა, კარიერიზმი — აი, რა უთხრის ძირს ეროვნულ წინსვლას. ივ. კერესელიძეს გამთაქვეს ეს სიმახინჯე სახალხო სამსჯავროს წინაშე, რადგან მისი მიზანია „კეთილმდგომარეობაში იყვნენ ქართველნი“. „ჩვენ გვინდა ზნეობის გამართვა“, — წერს იგი, — და, თუ ვერ შევძლებთ ეროვნულ მოძრაობაში მთელი ხალხის ჩაბმას, მისი კეთილდღეობის უზრუნველყოფასა და ზნეობრივ განსპეტაკებას, — მაშინ, დღეს იქნება თუ ხვალ, აუცილებლად დავიღუპებით.

ივ. კერესელიძე გმობდა სამშობლოს უარყოფლებსა და ცრუ პატრიოტებს („სალაყბო ფურცლები“, „ერთი საზოგადოების სურათი“ და სხვ.).

პატრიოტული მოსაზრებით „ცისკარი“ დიდ ადგილს უთმობდა საქართველოს იატორიის მასალებს. იბეჭდებოდა საგანგებოდ შერჩეული თხზულებანი გამოჩენილ გმირთა, ეროვნულ მოღვაწეთა, პროგრესულ მოაზროვნეთა შესახებ.

ამ ყურნალში ერთნაირი აქტივობით მონაწილეობდნენ ამერ-იშერნი. ყურნალმა გავრცელება დაიწყო საქართველოს ყველა კუთხეში. „ცისკარი“ თანაბრად აშუქებდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ცხოვრებას. შეიძლება ითქვას, რომ იგი სრულიად საქართველოს პირველი ორგანო იყო. მის ფურცლებზე „ქართველი“ კვლავ ყველა ქართველი ტომის გამაერთიანებელ ცნებად იქცა. ამ ყურნალში უძველესად დიდი როლი შეასრულა საერთო ეროვნული შეგნების გამოკვეთვასა და ვანპტიკიცებაში.

„ცისკარმა“ ხელი შეუწყო ახალი ქართული სალიტერატურო ენის გავრცელებას საქართველოს ყველა კუთხეში.

ივ. კერესელიძე ადრე დაინტერესდა მესსებისა და აქარლების ბედითაც; იგზავრა თურქეთის უღელქვეშ მყოფ აქარაში და რამდენიმე წერილიც გამოაქვეყნა ამ საკითხზე. „ცისკარის“ ასობით ეგზემპლარს ივ. კერესელიძე უფასოდ გზავნიდა იქ.

„ცისკარი“ შეუპოვრად გამრდიოდა ეროვნული ინტერესების დასაცავად; საწმობლოს შეურაცხყოფლებს ყურნალი უპასუხოდ არ ტოვებდა.

60-იან წლებში ფეხი მოიკიდა მცირე ერების მოსპობის თეორიამ. „ცისკარმა“ 60-იანი წლების დასაწყისში ამხილა გიორგი მუხრანაკისა და მის თანამოაზრეთა ზრახვანი.

ივანე კერესელიძე დიდ ადგილს უთმობდა დაჩაგრული ქვეყნების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ამსახველ მასალებს, რომლებიც გამოქსატავდა მის მსოფლმხედველობასა და პროგრესულ მკითხველთა განწყობილებას, წერილები იტალიისა და საბერძნეთის შესახებ ეხმაურებოდა ქართველი ხალხის მდგომარეობას, მისი მოწინავე ნაწილის რევოლუციურ განწყობილებებს.

მასალებს ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ

მოდრობაზე ივ. კერესელიძე ბეჭდავდა პატრიოტული გრძნობის გაღვივების მიზნით.

ივ. კერესელიძე სიყვარულით იყო გამსჭვალული რუსი ადამიანისადმი. იგი არაერთხელ ეწემა რუს-ქართველთა საბრძოლო თანამეგობრობის საკითხს და ქართველი ხალხის ბედნიერ მომავალს მკვიდროდ უკავშირებს რუს ხალხთან ურთიერთობის განმტკიცებას. პირადადაც ახლოს იყო დაკავშირებული ადგილობრივ რუს მოღვაწეებთან და მათი უანგარო მხარდაჭერით სარგებლობდა.

იგი ხალხთა შორის ძმობის დაუღალავი მოქადაგე იყო. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეზობელ ერებთან მეგობრულ ურთიერთობას. ადამიანური ღირსების შელახვად მიაჩნდა ეროვნული მძულვარება, შევიწროება და შური. მეზობელ ხალხთა წარმატებას სიხარულით ეგებებოდა და ხშირად სამაგალითოდაც სახავდა.

„წავლა-განათლებლა და მეცნიერული ცოდნის გავრცელების უმთავრეს მიზნად ივ. კერესელიძე საზოგადოების ზნეობრივ აღზრდას, მათე ზნეჩვეულებების აღმოფხვრას სახავდა. ამ მასალებს დიდი ადგილი უჭირავს როგორც ივ. კერესელიძის პუბლიცისტურ და მხატვრულ ნაწერებში, ისე საერთოდ ჟურნალ „ცისკარში“.

იგი ვრცლად განიხილავს საზოგადოებრივი და პიროვნული ინტერესის ურთიერთ დამოკიდებულებას და კარგად ასახულებს, რომ საზოგადოებრივი ინტერესი ადამიანმა მუდამ პიროვნულ ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს. ამის გარეშე, მისი აზრით, შეუძლებელია წინსვლა, საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

დიდ ბოროტებად და ღარიბი ხალხის გამანადგურებლად მიაჩნდა დრომოკმული ჩვეულებები — ალაპი, ხელგაშლილი ქორწილი, ნათლობა და სხვ.

ივ. კერესელიძე იბრძოდა სახალხო განათლებისათვის, განურჩევლად წოდებისა; პირველ რიგში ხაზს უსვამდა მშრომელი კლასების განათლების აუცილებლობას; მაგრამ ეს მიუღწეველ ოცნებად დარჩება, სანამ ხალხის დაბალი ფენები ლატაკი და უუფლებოაო.

ივ. კერესელიძე და „ცისკარში“ მასთან ერთად მოღვაწე მწერლები უფროთხილდებოდნენ და რუსეთის მოწინავე აზრის გავლენით, შეძლებისდაგვარად, ავითარებდნენ 30 — 40-იანი წლების (სოლ. დოდაშვილისა და სხვ.) ეროვნულ-გამათავისუფლებელ, განმანათლებლურ იდეებს. ცხადი ხდება იმ შეფასების მნიშვნელობა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე აძლევდა ივ. კერესელიძის „ცისკარს“: „მრავალი წელიწადია, რაც ჩვენს საზოგადოებას ერთი ცოცხალი აზრი, ერთი ფხიზელი გრძნობა არ ჩავარდნია გულში. ასეთნაირად დავნამცეცდით, რომ დიდი სიტყვა „მამულიც“ დავანამცეცეთ. მამული ერთობ ჩვენ სამშობლო ქვეყანას კი არ ნიშნავდა, არამედ თვითეულს სოფლის საკუთრებას. არ იქნება ხუთი წელიწადი, რაც მაგ საოცარმა საყვარელმა სიტყვამ, რომლის ხსენებაზედაც სხვა ბედნიერ ქვეყნებში უღონოსაც გული მიეცემა ხოლმე და მტლად დაედება საყვარელს მამულს, არ იქნება ოთხი-ხუთი წელიწადი, რაც მაგ სასწაულთმოქმედმა სიტყვამ თავისი დაკარგული მნიშვნელობა ჩვენში ისევ დაიბრუნა. ღმერთმა უშველოს „ცისკარს“! ეგ მისი მეოხება არის“.

მაგრამ ივ. კერესელიძე, მისი „ცისკარი“ მხოლოდ სუსტად შეეხენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დროშას; დააყენეს აქტუალური საკითხები, მაგრამ ვერ შეძლეს მათი გადაწყვეტა; ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დროშა თერგდალეულებმა ააფრიალეს დიდი ილიას მეთაურობით.

## ივანე კერესელიძე და ქართველი სამოციანელები

თერგდალეულებს მოუშადადებელ ნია-  
„ცისკარმა“ ნიადაგი დაგზე არ დაუნერგავთ რევოლუციურ-  
მოუშადა სამოცია- დემოკრატიული მოძრაობის იდეები.  
ნელებს მათ მსოფლმხედველობას საფუძვლად

ედო ქართული ლიტერატურის მრავალ-  
საუკუნოვანი ტრადიცია. „ცისკარმაც“ სერიოზული გავლენა  
მოახდინა ახალი თაობის ეროვნულ-პოლიტიკური შეხედულებების  
ჩამოყალიბებასა და მხატვრულ შემოქმედებაზე. ამ ეურ-  
ნალში გამოქვეყნებულმა პროგრესულმა თხზულებებმა კვალი  
დააჩნია თერგდალეულთა შემოქმედებას. ქართულმა აზროვნე-  
ბამ 1854-1861 წლებში განვლო შემდგომი წინსვლისათვის აუ-  
ცილებელი საფეხური.

თითქმის ყველა ქართველი სამოციანელი (ი. ჭავჭავაძე,  
ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ანტ. ფურცელაძე, პ. უმიკაშვილი,  
ს. აბანიძე, ს. მესხი, გ. წერეთელი და სხვ.) „ცისკარში“ გამო-  
ვიდა სალიტერატურო ასპარეზზე. ივ. კერესელიძე იყო მათი  
თხზულებების პირველი დამფასებელი და წამხალისებელი. პე-  
ტერბურგელი სტუდენტები დიდი ინტერესით აღევნებდნენ  
თვალს ერთადერთ ქართულ ეურნალს, მტკიცეხულად განიცდი-  
დნენ მის ნაკლოვანებებს და მისი წარმატებით ხარობდნენ.

აქ დაეუფლნენ ისინი ქართულ საეურნალს სქემეს, წერას.  
„ცისკარმა“ აღუძრა ბევრ მათგანს ქართული ლიტერატურის  
ასპარეზზე მოღვაწეობის სურვილი. ისინი მჭიდროდ იყვნენ  
დაკავშირებული ეურნალთან და მის რედაქტორთან, მიწერ-  
მოწერა ჰქონდათ მასთან, თანაუგრძობდნენ მის უანგარო



შრომას. ნ. ნიკოლაძე 1860 წელს წერდა: „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ უფ. კერესელიძე თავის საკუთარ ფულს ხარკავს, ოღონდ კი „ცისკარს“ მოეხმაროს“.

„საყვარელი მოლაყბის წიგნი მოგვივიდა... და იმან გამოგვადვიძაო“. — ამბობს ნიკ. ნიკოლაძე.

რუსეთის უნივერსიტეტებში მოსწავლე ახალგაზრდების აზრს ივ. კერესელიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს მიაჩნდა მას ეურნალის გზისმკვლევად.

ილია ქავჭავაძეც შენიშნავდა თურმე: „პეტერბურგის ქართულ სტუდენტთა წრე ყურადღებით და მხურვალე გულით აღევნებდა თვალს ყოველივეს, რაც იწერებოდა ერთადერთ ქართულ ეურნალში“.

1858 წლის დასაწყისში ილია ქავჭავაძე პეტერბურგიდან იწერებოდა: „...რა სიხარბით ვკითხულობდით მარტივ სატყუასა კარგის გულიდამ გამოსულს. უნდა გენახა, რა სიჩქარით გადადიოდა ხელიდამ ხელში ის ბედნიერი „ცისკრის“ ნომერი, სადაც... მოლაყბის ფურცლები ბრწყინავდნენ“.

ილია ქავჭავაძის დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემულ წიგნში, 1897 წელს, ზაქ. კიკინაძე წერდა: „ილია ქავჭავაძის თვალის გახილების დრო შეკავშირებული და შეხორცებულია იმ ხანასთან, როცა საქართველოში ქართული მწერლობის დასაწყისი აღორძინდა, როცა ივ. კერესელიძის „ცისკრის“ გამოცემა განახლდა. ამ ეურნალის პირველი წლის ნომრებშივე ვხედავთ ილია ქავჭავაძის სახელს“.

ილიას სიცოცხლეშივე დაიბეჭდა შემდეგი სიტყვები:

„...ცისკარში“ ილია ქავჭავაძის ნაწერებმა დიკავა საპატიო ადგილი. ეს პირი „ცისკარს“, ამ ერთადერთს ქართულს გამოცემას, ჯეროვან ყურადღებას აპრობდა, თავიდან ბოლომდის ფურცლავდა, აქ დაბეჭდილს ყოველს წერილს სიამოვნებით კითხულობდა, ყველაფერს დიდის სიბეჯითით ავლებდა თვალს“.

ყოველივე ამის გამო სამოღვაწეო ასპარეზისათვის გამზადებულ თერგდალეულებს შესაძლებლად მიაჩნდათ „ცისკარში“ საპროგრამო გამოსვლა. ორი წლის განმავლობაში ისინი მხოლოდ „ცისკარში“ მოღვაწეობდნენ და აქვე თქვეს პირვე-

ლი სიტყვა. ამრიგად, ქართველი სამოციანელებისათვის ივ. კერესელიძის „ცისკარი“ იყო არა მარტო აკვანი, არამედ საბრძოლო არენაც.

მაგრამ „ცისკარს“ მთელი რიგი ნაკლოვანებები ჰქონდა. მსატვრულად და იდეურად გამართულ თხზულებებთან ერთად, ჟურნალში უსუსური და მანკიერი ნაწერებიც იბეჭდებოდა. ხალხურ სამეტყველო ენაზე დაწერილ ქმნილებათა გვერდით ანტონ კათალიკოზის ენაზე შეთხზული „უსტარებიც“ ქვეყნდებოდა. მკითხველს ისეთ ნაწერებსაც აწვდიდნენ, რომლებიც ზედაქციის თვალსაზრისს არ შეესაბამებოდა.

ხელისმომწერთა დაკარგვის შიშით, ივ. კერესელიძე რედაქცია იძულებული იყო ხშირად ასპარეზზე მოეწოდა დაეთმო რეაქციული წრეებისათვის. დებს ახალ თაობას იგი ვერ იჩენდა საქირო გაბედულებას, რაც ასე აღუენებდა საზოგადოებრივი აზრის განვითარებასა და ლიტერატურის წინსვლას, მწერლობაში რეალიზმის გაბატონებას, სალიტერატურო ენის გაბედულ დემოკრატიზაციას.

ცხოვრება სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ. საქართველოში გაჩნდნენ რუსეთში განსწავლული ახალგაზრდები, რომლებიც „ცისკარს“ უფრო პროგრესულ მოთხოვნილებებს უყენებდნენ. ეს იწვევდა წინააღმდეგობებს, რომლებიც ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების გამოხატულებას წარმოადგენდა.

რედაქცია ცდილობდა ცხოვრების განვითარებას მიჰყოლოდა, მაგრამ აღებული ტემპი საკმარისი აღარ იყო. 60-იანი წლებიდან სულ უფრო აშკარა გახდა „ცისკარის“ ჩამორჩენა. ქართული ჟურნალის მოსაზრების შიში ძველის დამცველებთან ბრძოლაში მოკრძალებულს ხდიდა რედაქტორს. ცხადია, ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზროვნებას რომ შემდგომშიც იმ ტემპით განეგრძო სვლა, რომლითაც „ცისკარი“ და ქართველი განმანათლებლები 60-იანი წლების დასაწყისში მიდიოდნენ, ჩვენი კულტურის წინაშე მდგომი აქტუალური პრობლემების გადაწყვეტას ათეული წლები დასჭირდებოდა. განმანათლებლები შეგუებული იყვნენ ამ აზრს. 1861 წელს ალ. ორბელიანი სწერდა ივ. კერესელიძეს: „...პირ-

დაპირ ვთქვათ ისა სჯობია: ჩვენი ქართული ჟურნალი ბობ-  
ლავს, მაგრამ ეაეც არის, რომ არ ვსწუხვარ — იბობლოს,  
ოლონდ კი იყოს. ვისაც მოთმენა აქვს, მოითმენს და ვისაც  
არა, — შუაგზიდან გაიქცევა.

ქართველებმა ვიციით, გაჯავრებულნი დავემუქრებით ვის-  
მე, მაინც ურმით გდგო და სადაც იქნება მოგასწროფო. ჩვენი  
ქართველების ხაზიათისაწებრ, უნდა ურმით ვლიოთ და ბო-  
ლოს დროს რკინის გზაც გვექნება“. ეს „ურმით სიარული“  
არც კერესელიძეს აკმაყოფილებდა, მაგრამ სხვა გამოსავალს  
ვერ ხედავდა და ნათელი იყო, რომ ცხოვრების მიერ დღის  
წესრიგში დაყენებული ამოცანების გადაწყვეტა მას და მის თა-  
ნამებრძოლებს აღარ შეეძლოთ. რეფორმის წინა ოთხი-ხუთი  
წლის განმავლობაში ცხოვრება ისე სწრაფად წავიდა წინ, რომ  
ის, რაც 1855 — 1858 წლებში პროგრესული იყო, 1861-63  
წლებისათვის უკვე ჩამორჩენილობად იქცა.

სხვა ადგილას, ანტ. ფურცელაძე მოსწორებულად შენიშ-  
ნავს, რომ თავის დროზე ივ. კერესელიძე (აგრეთვე სხვა იმ-  
დროინდელი განმანათლებლები) ახლისათვის, პროგრესული-  
სათვის მებრძოლი მოღვაწე იყო, მაგრამ შემდგომში ისე შეაში-  
ნეს „ძველის მქადაგებლებმა“, რომ მოკრძალებული გახდაო.  
ასეთივე მოსაზრებას გამოთქვამდა „ცისკარის“ შესახებ გ. წე-  
რეთელიც წერილში „ცისკარს რა აკაკანებდა?“.

60-იანი წლების დასაწყისში ქართული საზოგადოებრივი  
აზრისა და ლიტერატურის განვითარებაში აშკარად იგრძნობა  
შეტბორება, მოღუნება. ნაკადი შედგა და დროთა ვითარებაში  
იგი შეიძლება დაჭაობებულებო. აუცილებელი იყო ძალა, რო-  
მელიც ამ შეტბორებას დაეჯახებოდა და გაარღვევდა; საზოგა-  
დოებრივი აზრისა და კულტურის განვითარებას ახალ მიმარ-  
თულებას, ახალ მძლავრ დინებას მისცემდა. ივ. კერესელიძე,  
ლავრ. არდაზიანი, დიმ. ბაქრაძე, ალ. სავანელი და სხვ. უკვე  
გრძნობდნენ კონაერვატიზმის საფრთხეს, აზრის დამყაყების  
საშიშროებას: საჭირო იყო განახლება, რადგან საზოგადოებრი-  
ვი აზრის გაყინვა პროგრესისათვის ყველაზე დიდი საფრთხეა.  
ქართველ განმანათლებელთა თაობას, რომელსაც მოკლე ხნის

განმავლობაში ხელთ ეპყრა განახლების დროშა, ახალი აქტუალური ამოცანების გადაწყვეტისათვის აღარ ჰყოფნიდა არც ცოდნა, არც გაბედულება, არც რევოლუციური შემართება. ამიტომ ივ. კერესელიძე, ლავრ. არდაზიანი და სხვა განმანათლებლები ახალგაზრდობას სამოღვაწეო ასპარეზზე მოუწოდებდნენ.

სამშობლოს იმედად ისინი თვლიდნენ რუსეთის სასწავლებლებში მყოფ პროგრესულად მოაზროვნე ახალ თაობას. მათი აზრით, ამ ახალგაზრდობას უნდა მიეტანა გამამწყვეტა იერიში სოციალური უსამართლობისა და ეროვნული ჩაპორჩენილობის ციხე-სიმაგრეზე.

„ცისკრის“ რედაქტორმა 1857 წელს განაცხადა: „ერთი მხოლოდ იმითღა ვნუგეშობთ, რომ არიან იმ გვარნი პირნიცა, უმეტესად ყმაწვილნი კაცნი ამ ახლის განათლებისანი, რომელთაცა ესმით ქურნალის ღირსება და ძალა და რომელთა იმედიტაც ვეწევით შრომას“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

შემდეგშიც მას არა ერთხელ მიუმართავს ახალგაზრდობისათვის, ხოლო 1861 წლის იანვრის სარედაქციო წერილი „რამდენიმე აზრი შესახებ კენჭის გათავებისა“, რომელიც ივ. კერესელიძის კალამს ეკუთვნის, — ახალთაობისადმი მხურვალე მოწოდებაა.

შესავალში ავტორი ილაშქრებს იმ თავადაზნაურთა წინააღმდეგ, რომლებსაც არ გააჩნდათ ეროვნული შეგნება, ცოდნა, განათლება; რომელთაც არ შეეძლოთ „ახალი დროის მოთხოვნილებათა“ გაგება და რომლებიც მხოლოდ „გვარიშვილობით შედიდურობდნენ“.

ავტორი აღმფოთებუღია, რომ „საზოგადოებას არა სურს დაინახოს დაახლოებით თავისი საჭიროება, თავისი უფლება, თავისი მოვალეობა“.

შემდეგ, ივ. კერესელიძე ასეთ რჩევას იძლევა: „...უნდა აღვარჩიოთ ახლანდელი დროების კაცი საზოგადოების თანამდებობაში და არა თუ ძველ არსების მექონი. ძველებურ აზრის

მქონებელი გელარ გამოდგება ახლანდელ დროში. ახალი აზრები მეფობენ ეხლა და საზოგადოებაც ამ ახალი აზრების მიხედვით უნდა. მოიქცეს საზოგადო საქმეში... ვინ უფროა ახალის აზრის მქონებელი, ახალის აზრის უკეთესად გაქვები და აღმასრულებელი? რასაკვირველია, ახლანდელი დროების კაცნი — სასწავლებელში ანუ შინ ნასწავლნი, ნამდვილათ განათლებულნი, კეთილშობილნი. მხოლოდ ამათ შეუძლიათ მისცენ საზოგადოებას ნამდვილი და ქეშმარიტი სარგებლობა“.

მართალია, ამ აზრების გამოთქმის საბაბად ივ. კერესელიძე თავადაზნაურთა არჩევნებს იყენებს, მაგრამ თვითონვე ამბობს, მე თავადაზნაურთა წრეს არ ვეკუთვნის, „არც შავი კენჭი მზადია და არც თეთრი“, გამოვდივარ, როგორც ქართული ექურნალის რედაქტორი, როგორც მამულიშვილი და ხალხის სახელით ვლაპარაკობო.

„ვერ წარმოიდგენთ, — ამბობს ის, — რა სასარგებლო საქმეა განათლებულ ახალგაზრდათ კენჭით საზოგადო სამსახურისათვის აღმორჩევა, როგორ საქირთა იმათი საზოგადო სამსახურისათვის მოზიდვა; პირველად საქართველო იმათგან მოელის ბედნიერებასა; კეთილდღეობასა და განათლებასა“.

ამ გაშლილ სარედაქციო პროგრამაში ივ. კერესელიძე მიმართავს „ახალი დროის“ ახალგაზრდობას, რომ დაჩქარებით და გაბედულად გამოვიდეს ასპარეზზე, — ჰპირდება თანაგრძნობასა და მხარდაჭერას.

„...ახალგაზრდობას თუ გზას ურ მიეცემთ, — განაგრძობს ის, — დაინთქმიან იმავე უფსკრულში, რომელშიაც გადააგდეს ძველი დროების კაცთა საზოგადოება...“

...სცდებიან ისინი, რომელნიც ამბობენ, რომ ამ გვარნი ახალგაზრდანი ცოტანი

1 ეს სარედაქციო წერილი შემთხვევით არ დაუბეჭდავს. ივ. კერესელიძეს ილია ჭავჭავაძის და ი. წინამძღვრიშვილის მიმოწერიდან ცნობილია, რომ ამ დროს, 1861 წლის დასაწყისში, „ცისკრის“ რედაქციას უკვე მიღებული ჰქონდა ილია ჭავჭავაძის მრისხანე სტატია, რევაზ ერისთავის თარგმანზე და რედაქტორი ცდილობდა წინასწარ მოემზადებინა საზოგადოებრივი აზრი თერგდალეულთა ამ საპროგრამო გამოხელისათვის.

არიან საზოგადო სამსახურისათვისა. არა, მერწმუნეთ, იმდენნი არიან, რამდენიც გნებავთ და ამ მცირე ხანში უფრო განმრავლდებიან; აგერ, იზრდებიან სხვა და სხვა სასწავლებლებში ყმაწვილნი კაცნი, იმაზრით, რომ შესწირონ თავი თვისი საზოგადო სამსახურსა, უძვირფასეს სამშობლო ქვეყანასა, უსაყვარლეს საქართველოსა: იმათი ეხლავე წახალისება, წინ წაყვანა, შემწეობა და ზურგის მიცემა. ამიტომ უფრო საქირთა; რომ ჩვენი საზოგადოება ზრუნავს იმათთვის და უმზადებს იმათ ადგილს საზოგადო სამსახურისათვის... დიან, ახლა კიდრთა დავარწმუნოთ ჩვენი საზოგადოება, [რომ] განახლდება, განათლდება, გავრცელდება, გაკეთილშობილდება, მხოლოდ იმათგან, რომელნიც იზრდებიან რუსეთის სასწავლებლებში... მე გარწმუნებთ, ვინც უნდა იმ ახალგაზრდათაგანი გამორჩიოთ, მაინც კიდევ ემჯობინება იმათ, ვინც დღეს აქამომ დე აღმორჩეულა ორიოდ პირთ გარდა“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

აგორი მოუწოდებს ძველ თაობას — უბრძოლველად დათმოს პოზიციები; მაგრამ თვითონვე გრძნობს, რომ ეს ასე არ მოეწოდება, რომ ბრძოლა გარდუვალთა: „...იმათით (იგულისხმება რუსეთში განსწავლული ახალგაზრდობა. ა. კ.). უნდა აყვავდეს საზოგადოება, იმათით უნდა გავრცელდეს სწავლა, განათლება. კეთილი მდგომარეობა საზოგადოებისა და შეგნება მოვალეობისა; იმათით უნდა განახლდეს, აყვავდეს საქართველო... ახალს აზრებს, ახალ საზოგადოების საქირთებას უნდა აყვავდეს კაცნიცა ახალნი, ახალი აზრით, ახალის განათლებით... გამორიცვალა დროება; გამორიცვალა საზოგადოება... უნდა

გამოიცვალნენ კაცნიცა; ძველის აზრის მექონებელმა უნდა დაუთმოს სარბიელი ახალ დროს კაცსა. კარგათ ვიციით, რომ ეს დათმობა უთუოდ უნდა მოხდეს ბუნების წესით, დღეს თუ არა, ხვალ; მაშ, არა სჯობია, რომ ეს მოხდეს ეხლავე, ესე იგი, რომ დაძველებული აზრების მექონემ დაუთმოს სარბიელი ახლანდელ დროების აზრების მექონეთა? არა სჯობია, რომ იმათ ეხლავე ჩააბარონ თავიანთი მოვალეობა, თავიანთი უფლება, თავიანთი საქმე იდრო ახალგაზრდებსა, რომ ესენიც არ დაძველდნენ...

...არა სჯობია, რომ ეხლავე შევიდნენ ეს ეხლანდელი დროების აზრების მექონენი თავიანთ მოვალეობის აღსრულებაში და გამოიხსნან საზოგადოება ძნელ მდგომარეობისაგან, რომელშიაც არის და რომლითგან ვერ გამოსულა; რომ გაუხილონ თვალი, გასწვრთნან, ასწავლონ, განანათლონ, გაზგებინონ საზოგადოებას თავისი მოვალეობა, თავისი დრო, თავისი საქმიროება და ნაკლებობა განა უნდა კიდევ შეიშუროს რომელიმე ძველ აზრების მექონემა და არ დაუთმოს თავისი ადგილი ახლანდელი აზრების მექონესა? განა ერთნიცა, მეორენიცა, ერთი და იგივე სახლობისანი არ არიან? განა ერთნი ხალხნი, ერთის მიწაწყლისანი არ არიან? განა ესენი უმცროსნი საქართველოს შვილნი არ არიან?" (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ამ სიტყვებს უდავოდ შთამაგონებელი ძალა ჰქონდა რუსეთში მყოფი ან იქიდან დაბრუნებული ახალგაზრდებისათვის, რომელთა წინაშე რთული კითხვა იდგა: „რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?“.

რუსეთში მოსწავლე ახალგაზრდობის შესახებ ამავე აზრს

განოთქვამდა მ. რუსეთუმე „ცისკრის“ 1860 წლის მარტის ნომერში: „...ღმერთმა გვიცოცხლოს კეთილი სტუდენტები და გვიმრავლოს და გვძმრავლოს იმათი ღირსი ამხანაგები. იმათგან ქელით საზოგადო სასარგებლო საქმეებსა, ისინი უნდა იყვნენ ჩვენი განმანათლებელნი. იმათ უნდა გადმოვრგონ ჩვენს ქვეყანაში ახალი სწავლა, ახალი აზრი, ახალი მდგომარეობის მოწყობა. ისინი უნდა იყვნენ წინამძღვარნი ჩვენი საზოგადოებისა და მოციქულნი კეთილის ზნეობითის განათლებისა“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ახალგაზრდა მწერლებისადმი ასეთსავე მხურვალე მოწოდებას შეიცავს გ. ქართველის წერილი, რომელიც 1860 წლის აგვისტოში დაიბეჭდა.

ივ. კერესელიძეს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დემოკრატიულად განწყობილ ახალგაზრდობასთან. აი, რას სწერს ამის შესახებ 1861 წლის მარტში კოლა ყიფიანი მამას:

„ახ, როგორ მადლობელი ვარ, რომ გამომიგზავნე ეს წიგნები, მეტად გარიბალდის ბიოლრაფია; მე ძლიერ შემეყვარდა ისა, რაც წავიკითხე ბიოლრაფიაში მაგისი პატიოსნება და ვაჟაკობა; მე იტალიაში რო ვყოფილიყავი, უეჭველად წავიდოდი სამსახურათ იმის ჯარში; მაგრამ ქართველი რომ ვარ, ჩემი ვალია ვემსახურო საქართველოს და ვიყო იმისთვინ სასარგებლო ყოველთვის...“

...ამ დღეებში მე და კოტე კალოუბანსკი ვიყავით კერესელიძესთან: მრავალი მოკითხვა მოგახსენა...

...კერესელიძე სცდილობს, რომ აქაც წარმოადგინონ „გაყრა“ და შენი ნათარგმნი „რომეო და ჯულიეტა“!

როცა „ცისკარი“ ოდნავ მოღონიერდა, თანამშრომელთა

1 საქ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდი — № 15958-ბ.  
პ. უშიკაშვილი 1860 წ. დღიურში აღნიშნავს, რომ მან ივ. კერესელიძესთან წაიყვანა სტუდენტები: კირ. ლორთქიფანიძე და ნ. ლოლობეჩიძე.



რიცხვი გამრავლდა და მასალებმაც იმატა, ივ. კერესელიძემ ხელი შიშყო მათ შერჩევასა და გასწორებას — ჯერ ენობრივი, ხოლო მოგვიანებით — იდეურ-შინაარსობლივი თვალსაზრისითაც. ამ მხრივ საინტერესოა მისი 1860 წლის თებერვლის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია:

„...განმხნევებული რედაქცია განიზრახავს, რომ ერთი ან ორი გამოცდილი კაცი შემწედ შეიძინოს და რაც რამ თბზულება ან თარგმანი მოგვივა ვისგანმე, დასაბეჭდათა. ჯერ იმ-თ გადავავლებინოთ თვალი, აქა-იქა შალაწიანი ვაკერევინოთ; ყადაც უვარგისს ბალახსა ჰნახვენ რასმე, ან უცხო თესლსა და ღვარძლსა. შეცვალონ, რამდენიც შეიძლება, დაქსწმინდონ ქართული ენა; მაგრამ ისე, რომ აზრი მწერლისა არსად შექსცვალონ და უნამეტნავესად პოეზიას არსად შეუხებოდნენ. რადგან პოეტის თბზულებას კაცი არ უნდა შეეხებოდეს... ჩვენ ასე ვფიქრობთ, რომ ამ განზრახვას დავადგეთ და დღეითგან მოკიდებული რაც რამ პროზათი დაწერილი მოგვივა დასაბეჭდათა, გამმართავის ხელში გავატაროთ და ისე ვბეჭდოთ და თუ ვინ იცის, ისეთი ნაწერიც მივიღეთ რამე, რომ გამართვა გავვიკირდა, იმას სულ ველარ დავბეჭდავთ, რომ ყანას უბრალო ბალახი არ მოერიოს, ვინც ამ მარგვლაში მოგვეხმარება. ვინც ამ პირობით თავის ნაღვაწს გამოგვიგზავნის, წინასწარვე მთელის ქართულის მწიგნობრობის მაგივრად გულითაღს მადლობას მოვახსენებთ“.

ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ილია ჭავჭავაძის კულტურის განვითარებაში გადამწყვეტ-საპროგრამო გამოსვლა ტი გარდატეხის მოხდენა წილად „ცისკარში“ ხვდა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის იდეებზე აღზრდილს, სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ ილია ჭავჭავაძეს, რომელშიც — „მინცდამაინც, ქართული დვრიტა იყო დადებული“. მან გაარღვია ქართული საზოგადოებრივი აზრისა და კულტურის ეს შეტბორება, რომელსაც დაჭაობება ელოდა, — უმოკლეს დროში გადაწყვიტა აქტუალური პრობლემები, რომლებიც ვერ გადაწყვიტეს ჩვენმა განმანათლებლებმა; ილი-

ამ რევოლუციური გზით დააჩქარა ჩვენი კულტურისა და აზროვნების განვითარება.

„ცისკარს“ 1861 წლის აპრილის ნომერში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის წერილი „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“. ეს იყო ქართველ სამოციანელთა საპროგრამო გამოსვლა. ამ მებრძოლი წერილისათვის ივ. კერესელიძეს არავითარი შენიშვნა არ დაურთავს. უნდა გავიხსენოთ, რომ არისტოკრატი მკითხველები პირადად რედაქტორს სთხოვდნენ პასუხს ჟურნალში გამოქვეყნებული პროგრესული თხზულებებისათვის. ჟურნალის წინა (მარტის) ნომერში „კახეთის მებუჯე“ „ანუკა ბატონიშვილის“ „უსხოლით დაბეჭდვისათვის“ „ცისკრიდან უკუდგომით“ ემუქრებოდა რედაქტორს.

ილ. ჭავჭავაძის წერილის უშენიშვნოდ დაბეჭდვა შემთხვევითი არ იყო. წინა ნომერში, მოუწოდებდა რა ახალგაზრდობას აქტიური მოქმედებისაკენ, ივ. კერესელიძე სთხოვდა განათლებულ ლიტერატორებს მიშველებოდნენ რედაქციას „შალგმორეული ყანის გამარგელაში“, ე. ი. „ცისკარში“ დაბეჭდილი უნიჭო და უსარგებლო თხზულებების მკაცრად გაკრიტიკებაში. ილია ჭავჭავაძის წერილიც, ერთი მხრივ, ამ მიზანს ემსახურებოდა. აქედან აშკარაა, რომ ეს სტატია ივ. კერესელიძემ სიხარულით მიიღო და დაბეჭდა.

ილია ჭავჭავაძისადმი რედაქტორის მხურვალე თანაგრძობის მაჩვენებელია ისიც, რომ ჟურნალის ამავე ნომერში გამოქვეყნებულია ილია ჭავჭავაძის სამი ლექსი: „ალექსანდრე ჭავჭავაძის“, „ალბომში“ და „გაზაფხული“. ამრიგად, ილია ჭავჭავაძის წამყვანი ადგილი უკავია „ცისკარში“ და აშკარად ჩანს, რომ რედაქტორი მხარს უჭერს მას.

როგორც ირკვევა, ილია მაინც არ ყოფილა მთლად დარწმუნებული, რომ ივ. კერესელიძე მის წერილს დაბეჭდავდა. ეს ეჭვი იმით იყო გამოწვეული, რომ ილია ჭავჭავაძის წერილი საკმაოდ გავლენიანი პირს — რევაზ ერისთავის წინააღმდეგ იყო მიმართული. წერილი „ცისკარს“ ზოგიერთ სხვა აქტიურ თანამშრომელსაც აკრიტიკებდა. რევაზ ერისთავი, მართალია, ნიჭით არ ბრწყინავდა, მაგრამ, მაღალი

არისტოკრატის უმრავლესობისაგან განსხვავებით, ქართული ლიტერატურის განვითარების გულმსურვალე მსურველი, „ცისკრის“ ერთგული მხარდამჭერი იყო,

აქამდე „ცისკრის“ მახვილი ქართული ენისა და კულტურის მტრების წინააღმდეგ იყო მიმართული, ხოლო რევანს ერისთავის მსგავს მოღვაწეებს რედაქცია გარკვეულ ანგარიშს უწევდა და მათი მტრად გადაკიდება ახალფეხადგმული ქართული ჟურნალისათვის საზიანოდ მიაჩნდა. ამიტომ, ილია ჭავჭავაძის წერილის დაბეჭდვა მისთვის, მართლაც, ახალ გაბედულ ნაბიჯს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ თვითონ ილია ჭავჭავაძესაც საჭიროდ არ დაუნახავს თავისი მრისხანე წერილის საკუთარი გვარით გამოქვეყნება და გადაუწყვეტია გვარი ცენზორისა და რედაქტორისათვისაც არ გაემჟღავნებინა.

1860 წლის ბოლოს ილია ჭავჭავაძე თავის მეგობარს ი. წინამძღვრიშვილს სწერდა: „აი ამ სტატიას გიგზავნი, ჩემი საკუთარია, თუმცა სხვა გვარი აწერია; მე არ ვინდა გამოვაჩინო, რომ ეს ჩემი დაწერილია მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. შენც ძალიან შეგეხვეწებო, რომ არ გამომიამჟარაო... არავისთან, ხელაღებით არავისთან. იმისთვისაც არ მინდა, რომ შენ მიუტანო კერესელიძეს ეს სტატია, რადგანაც ის ვიხვდება, რომ შენ ჩემს მეტი არავინ გიგზავნის სტატიებსა. ისე უნდა მოიქცე, რომ თითონ რედაქტორს და ცენზორსაც არ შეატყობინო. კანონით იმათ უთუოდ უნდა იცოდნენ, მაგრამ შენ, როგორც იყოს, სხვის მხრით დააჯერე ისინი, რომ მართლა და აზნაური ზუმბერიძე მართალი გვარია და არა მოგონილი... ვ ი ც ი, კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე ს თ. რ. შ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა ე შ ი ნ ი ა ნ და ი ქ ნ ე ბ ა ი მ ი ს თ ვ ი ს არ დაბეჭდოს“<sup>1</sup>. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ავტორის სახელისა და გვარის მიუთითებლად თხზულების დაბეჭდვის ნებას ცენზურა არ იძლეოდა და ამიტომ, როგორც ეტყობა, ივ. კერესელიძეს პირდაპირი მოლაპარაკება გაუმართავს ილია ჭავჭავაძესთან და შეთანხმებისთვისაც მიუღწევია. წერილის დაბეჭდვის მთელი პასუხისმგებლობა, ავტორთან

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, 17543-ბ.

ერთად, რედაქტორმაც იღო თავს და მისდამი მხარდაჭერის ნიშნად, თითქმის მთელი ნომერი ილია ჭავჭავაძის ნაწერებს დაუთმო.

„ცისკარში“ დაბეჭდვამდე ეს წერილი პროგრესულ მოაზროვნეთა შორის უკვე გავრცელებული ყოფილა: გრ. ბარათაშვილის წერილიდან ჩანს, რომ ვისაც კი წაუყითხავს ეს სტატია, ყველას მოსწონებია. გრ. ბარათაშვილი წერს: „...შეგვიტყვია, თავის სტატია ილია ჭავჭავაძის ბევრთათვის წაუყითხებია და ყველას ერთობ მოსწონებია“.

ილიას წერილი „ცისკარში“ დაბეჭდილ სუსტ და იდეურად მდარე ნაწარმოებებს შეეხებოდა. კრიტიკოსმა საშავალითოდ აიღო რევან ერისთავის „შეშლილის“ თარგმანი, მაგრამ მწარე მათრახები სხვებსაც გადაჰკრა. ეს მხოლოდ საბაბი იყო. არსებითად, ილია პრინციპულ ლიტერატურულ პრობლემებს შეეხო — დასაბუთა სენტემენტალური სკოლის ნაწარმოებთა თარგმნის უსარგებლობა, რეალიზმის გამარჯვების გარდუვალობა, ვრცლად განიხილა ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, კატეგორიულად მოითხოვა ენის გახალსებობა და პირველად წამოაყენა ქართული ორთოგრაფიის გამარტივების საკითხი.

ილია ჭავჭავაძის ამ წერილს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის. მასში უაღრესად აქტუალური და საჭირობოროტო საკითხები იყო წამოყენებული. ამასთან ერთად, ილიას წერილი გამოირჩეოდა პირდაპირობით, მწვავე ტონით, საბრძოლო განწყობილებით, გასაოცრად მკაცრი კრიტიკული მიდგომითა და პოლემიკური სიტყვებით. ამჟამად ჩანდა, რომ წერილი დიდი მწერლისა და მოღვაწის კალამს ეკუთვნოდა, რომელიც ძლივს იკავებდა აბოზოქრებულ ენერჯიას, ქართული კულტურის სარბინელისათვის მანამდე უჩვეულო ძალასა და წინ სწრაფვას; თვითეულ სიტყვაში ახლად აფრენილი არწივის ფრთათა შრიალი ისმოდა. ეს საბრძოლო მღელვარება, ეს პირდაპირი დამტერება, და ახალი, კიდევ უფრო მედგარი დაჯახებისათვის მზადყოფნის სულისკვეთება, რომელიც ამ წერილის თვითეულ სიტყვიდან ანათებდა — აი, რა იყო სრული-

ად ახალი და სრულიად მოულოდნელი იმდროინდელი ჩვენი ლიტერატურის ასპარეზზე, სადაც საბრძოლო შეძახილს მოკრძალებული მობოდიშებაც თან მოჰყვებოდა.

ილია ჭავჭავაძის წერილმა საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პროგრესული ინტელიგენცია აღფრთოვანებით შეხედა მას. ახალგაზრდა მწერალი მოწინავე მკითხველის გულთა მპყრობელად იქცა. მაგრამ, მეორე მხრივ, წერილმა აღშფოთება გამოიწვია — არა მარტო ქართული ლიტერატურისა და ენის აშკარა მტრების ბანაკში, არამედ ძველი თაობის იმ წრეებშიაც, რომლებიც გულწრფელად თანამშრომლობდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის საკეთილდღეოდ. ისინი განრისხებული იყვნენ, რომ იე. კერესელიძემ უშენიშვნოდ დაბეჭდა ისეთი სტატია, რომელიც, მათი ფიქრით, შეურაცხყოფდა მათ უანგარო შრომას, უმადურად იხსენიებდა მათ სუსტ, მაგრამ მაინც, საქმობლოს საკეთილდღეოდ გაწეულ სამსახურს. ილია ჭავჭავაძის წერილის დაბეჭდვისათვის არისტოკრატ მკითხველთა საზოგადოებამ პროტესტი განუცხადა „ცისკრს“ რედაქტორს და ჟურნალზე ხელისაღებით დაემუქრა. ჟურნალი მოსპობის საფრთხის წინაშე დადგა, — ამჯერად უფრო მეტად, — ვიდრე ოდესმე. რედაქტორს ხელიდან ეცლებოდნენ ერთგული თანამშრომლები, „ცისკრის“ მხარდამკერხნი.

შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში რეილიას საწინააღმდეგო წერილები „ცისკარში“ შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში რეილიას საწინააღმდეგო წერილები „ცისკარში“ — ატეხილ დავას დისკუსიის ხასიათი მისცა; გადაწყვიტა, ორივე ბანაკის წარმომადგენელთათვის მიეცა აზრის გამოთქმის შესაძლებლობა და აპით ნაწილობრივ მაინც დაეშოშმინებინა ილიას წერილით „შეურაცხყოფილი“ თანამშრომლები.

„ცისკრის“ მომდევნო (მაისის) ნომერში ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ სამი წერილი დაიბეჭდა — ბარბარე ჯორჯაძისა, გრიგოლ ბარათაშვილისა და რევაზ ერისთავისა. ეს ავტორები რეაქციული პოზიციებიდან ეკამათებოდნენ ილია ჭავჭავაძეს, მის კრიტიკას ლანძღვას უწოდებდნენ, ხოლო ახალგაზრდა

კრიტიკოსს ქართული ლიტერატურის მტრობას სწამებდნენ. თითო-ოროლა მართებულ წვრილმან შენიშვნასაც იძლეოდნენ, მაგრამ ამავე დროს, იცავდნენ საღმრთო წერილის ენას, ანტონ კათალიკოსის „რიტორიკასა და პიიტიკას“ და აღშფოთებდას გამოთქვამდნენ, რომ ილია ჭავჭავაძე „უდიერად იხსენიებდა“ ქართველ მწერლებს.

ივნისის ნომერში ილია ჭავჭავაძის „პასუხი“ და სარდიონ მესხინიშვილის „უსტარი ანტიკრიტიკული“ დაიბეჭდა.

ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართული წერილები უსაზღვრო აღშფოთებით იყო აღსავსე და უსამართლო ბრალდებებს შეიცავდა. აღსანიშნავია, რომ ეს მწერლები ისეთი აზრებისთვისაც კი გმობდნენ ილიას, რომლებიც მანამდეც არა ერთხელ იყო გამოთქმული „ცისკარში“. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის გალაშქრება ძველი ენისა და ანტონ კათალიკოსის წინააღმდეგ ისე იქნა მიღებული, თითქოს, აქამდე ხმაც არ აშოედო „ცისკარს“ ამ საკითხზე. დამახასიათებელია წვრილმანიც: ბარბარე ჯორჯაძისას, მაგალითად, არ შეუძლია გაიმეოროს ილიას სიტყვები: „ისეთ ნაირად ჭრიჭინებენ თავად ერისთავის რითმები, როგორც გაუსაპნავი ურმის თვლებიო“ და დასძენს: „...მე მრცხვენია ამ საძაგელის ლექსის განმეორება, ლიტერატორი და ამგვარი სიტყვების შემოტანა ჩვენს მშვენიერ ენაში?“ — თუმცა, ეს გამოთქმა ილია ჭავჭავაძემდეც იყო ხმარებული „ცისკარში“ (იხ. „ცისკარი“ 1860, № 5).

ილია ჭავჭავაძის „პასუხი“ პირველ სტატიასზე კიდევ უფრო მეტი სიძაფრითა და ცხარე პოლემიკური ტონითაა დაწერილი. ავტორის მახვილი უმთავრესად, ბარბარე ჯორჯაძის წინააღმდეგაა მიმართული. იგი სამართლიანად აკრიტიკებს მწერალი ქალის მცდარ შეხედულებებს, სასტიკად ეხება მის უნიკობას და მის ნაწერებს ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის საზიანოდ და მავნებლად თვლის. ბარბარე ჯორჯაძესა და მის მსგავს მწერლებს ილია ურჩევს თავი გაანებონ ლიტერატურას. პოლემიკური სიტყვარე უაღრესად მწვავე გამოთქმებში ვლინდება მაგალითად, ილია ასე მიმართავს ბარბარე ჯორჯაძისას: „თუ „ცისკარი“ უვარგისია, კიდევ

თქვენგან, ყვაებო ფარშევანგის ფრთებითა, ბულბულეზო ყორნის ჩხავილითა“.

ამრიგად, 1861 წლის აპრილიდან „ცისკარის“ ფურცლებზე გაჩაღდა მწვავე იდეური ბრძოლა ძველი რეაქციული შეხედულებების დამცველებსა და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით შეიარაღებულ ახალ თაობას შორის, რომელსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე ედგა. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიას მანამ არასოდეს უნახავს ასეთი მწვავე, დაუნდობელი, პრინციპული იდეური შერკინება. ყოველივე მოძველებული, განვითარებისა და წინსვლის დამაბრკოლებელი გაბედულად იჭნა უარყოფილი. დაიწყო მანამდე უქველ ქეშმარიტებად მიჩნეულ შეხედულებათა გადაფასება. ძველი ციხე-სიმაგრეების დანგრევა ახალი თაობისაგან მოითხოვდა სიმტკიცეს, თავგანწირულებას, გაბატონებული საზოგადოებრივი აზრისათვის ანგარიშის გაუწევლობას, ყოველგვარი მოკრძალებისა და მობოდიშების უკუგდებას. ილია ჭავჭავაძისათვის გადაამწყვეტი იყო არა გაბატონებული წრეების თვალსაზრისი მისი გამოსვლის შესახებ, არა მათი შეფასება, არამედ ხალხისა და სამშობლოს ინტერესები. საჭირო იყო კერპების დამსხვრევა, რათა უფრო მკაფიოდ გამოჩენილიყო ახალი აზრები, ახალი იდეები და ამ იდეებს უფრო სწრაფად და ეფექტიანად გაეკვლია გზა ხალხის გულისაკენ.

ძველი თაობა, რომელიც მიჩვეული იყო ივ. კერესელიძისა და სხვა განმანათლებელთა ბოდიშებსა და კომპრომისს, აბობოქრდა ილია ჭავჭავაძის უკომპრომისო, რევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ; იგი აღშფოთებული იყო ილიას „პაჩუხით“, რომელიც ნაცვლად მობოდიშებისა, პირველ წერილზე კიდევ უფრო დაუზოგავად ამათრახებდა ძველის დამცველებს. ბრძოლამ თავიდანვე მკაცრი ხასიათი მიიღო. დახავსებული ფეოდალური იდეების წარმომადგენლები ყოველგვარ საშუალებას იყენებდნენ სამშობლოს განახლებისათვის მებრძოლი მგზნებარე ჭაბუკის წინააღმდეგ. არ ერიდებოდნენ ცილისწამებას, დაბეზობას, დევნას, მუქარას. ორი იდეური ბანაკი დაუპირისპირდა ერთმანეთს მთელი თავისი იდეოლოგიით, შემოქმედებით; ერთ მხარეზე დადგა პატრიარქა-

ლურ-ფეოდალური შეხედულებების დამცველთა რაზმი, ხოლო მეორეზე — ახალი, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებთანათვის მებრძოლი თაობა.

რუსეთისაგან განსხვავებით, ამ ბრძოლის შინაარსი ჩვენში იმით იყო გართულებული, რომ იგი მჭიდროდ გადაენასკვა ქართული, ეროვნული კულტურის განვითარების, ქართული ჟურნალის შენარჩუნების, ქართული ენის დაცვის საკითხებს. ამ საკითხების გადაწყვეტაში დიდი როლი შეასრულეს ქართველმა განმანათლებლებმა, მაგრამ 1861 წლისათვის, როცა ილია ჭავჭავაძე იდეურ ბრძოლაში ჩაება, ეს საკითხები ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ იყო. მათი გადაჭრა ილიას შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ რევოლუციური გზით — სოციალურ-ლიბერალურ პრობლემებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში, ქართული კულტურის მტრებთან დაუნდობელი, უკომპრომისო ბრძოლის საშუალებით. იგი მზითხვოვდა ერთდროულად გადაწყვეტილიყო ქართული ჟურნალის არსებობისა და მისი ხარისხის საკითხი. მისი დევიზი იყო — არა ჟურნალის შენარჩუნება საერთოდ, არამედ იდეურად, ენობრივად და ლიბერალურულად გამართული ჟურნალის შექმნა. მხოლოდ ასეთი ქართული ჟურნალის არსებობა იქნებოდა, ილიას რწმენით, მისი შენარჩუნების გარანტიაც; მხოლოდ მას დაუჭერდა მხარს ხალხი, მხოლოდ იგი უზრუნველყოფდა ქართული კულტურის შემდგომ წინსვლას. ამიტომაც ასე დაუზოგავად დაუსხა ილია თავს „ცისკრის“ ნაკლოვანებებს: „ცისკრის“ კრიტიკაში მან სრულყოფილი ქართული ჟურნალის იდეალი ჩამოაყალიბა. ამიტომ, შეიძლება, ეს კრიტიკა დღეს გადაჭარბებით მკაცრადაც მივიჩნიოთ. მაგრამ მაშინ ეს აუცილებელი იყო. აუცილებელი იყო უკეთესისათვის ბრძოლის თვალსაზრისით; ეს იყო პროგრესისათვის ბრძოლის გარდუვალი პირობა. უკეთესის იდეალის დასახვა არსებულის გადაფასებასა და მის გაბედულ უარყოფას ზოიბოვდა.

ნაკლოვანებათა სასტიკი კრიტიკა ილიას პროგრესის აუცილებელ პირობად მიაჩნდა. „ცისკრის“ შესახებ დაუმთავრებელ ნაშრომში იგი წერდა: „რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად



არის გამოთქმული ის ნაკულულოვანება, მით უფრო ჰსჩანს გამოთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი ცხარი წადილი გასწორებისა“.

ქართული კულტურის განვითარების კონკრეტულმა პირობებმა განსაზღვრა „ცისკრის“ რედაქტორის პოზიცია თაობათა შორის გაჩაღებული იდეური ბრძოლას დასაწყისში. როგორც ვნახეთ, ილია ჭავჭავაძის წერილი მან ყოველგვარი შენიშვნის გარეშე სიხარულით დაბეჭდა „ცისკარში“. მაგრამ ამ წერილის გარშენო გაჩაღებულმა დისკუსიამ ივ. კერესელიძე შეაშინა. მისი ფიქრით, იმდროინდელი ქართველი მკითხველი საზოგადოება ჯერ კიდევ მოუწიზადებელი იყო ასეთი მძაფრი კრიტიკული გამოსვლისათვის, ლიტერატურაში ასეთი მკაცრი იდეური ბრძოლისათვის. „ცისკრის“ ხელისმომწერებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ყურნალს და მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ „ცისკრის“ მტერთა რიცხვში მოექცნენ ილიას წერილით განაწყენებული ლიბერალურად განწყობილი მოღვაწეებიც, რომლებსაც ამ ყურნალის არსებობაში მცირე ღვაწლი როდი მიუძღოდათ.

ილია ჭავჭავაძეს ქართული ლიტერატურის წინსვლისათვის საზიანოდ მიაჩნდა „ცისკრის“ რედაქტორის ასეთი შემარბიებლობა. მან გადაწყვიტა ვრცლად დაეხსიათებინა ივ. კერესელიძის საყურნალო მოღვაწეობა და 1862 წ. დაიწყო მუშაობა სტატიებზე. — „ცისკარი“ 1857-1863 წლამდინ“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის III ტომში (პ. ინგოროყვას რედაქციით) ეს წერილი დასათაურებულია: „ცისკარი“ 1857 წლიდან-1862 წლამდინ“. ავტორგრაფის ზოგიერთ ნაწყვეტში (საქართველოს სახ. მუზეუმი; ი. ჭავჭავაძის ფონდი, 49) ნაჩვენებია: „1857-186... წლამდინა“, რაც იმის მათყუებელია, რომ ავტორს თავდაპირველად არ ჰქონდა გადაწყვეტილი, თუ რომელ წლამდე მიიყვანდა განხილვას. აღნიშნულ ავტორგრაფის 26-ე გვ. უკვე ვკითხულობთ „(ყურნალის) ცისკრის მნაშენჯლობა 1857-1863 წლამდინ“; ეს კი გვიჩვენებს, რომ ილია 1863 წელსაც განაგრძობდა ამ სტატიებზე მუშაობას. ერთ-ერთ ნაწყვეტში ვკითხულობთ: „რაკი ყურადღებით ვადავიხილეთ ექვსის წლის ნაწარმოებო ლექსები“.

ამიტომ უფრო სწორად მიგვაჩნია მეხუთე ნაწყვეტის სათაური — „ცისკარი“, 1857-1863 წლამდინ“.

ამ სერიოზულ ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომში ილიას განზრახული ჰქონდა ფართოდ გაეშუქებინა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების, ჟურნალისტიკისა და მხატვრული ლიტერატურის განვითარების ძირითადი პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ სტატია „ცისკართან“ გამწვავებული პოლემიკის დროს იწერებოდა, ავტორი სათანადოდ აფასებს ამ ჟურნალის მნიშვნელობას.

შემდეგ ილია დაუნდობლად აკრიტიკებს „ცისკარსა“ და მის რედაქტორს; დანაშაულად თვლის ლიტერატურაში პირფერობას, შეპირებულობასა და თვითდაშევიდებას. „გამზილავი ცდილობს, — წერს ის, — ისე ილაპარაკოს, არ უღალატოს თავის აზრსა, არ გაჰყიდოს თავისი ფიქრი ბრმათა მოწონების ფასად. ის ცდილობს გამოაჩინოს დაუნდობლად ცუდი — ცუდად, კარგი — კარგად. პირფერობა, ტყვილი ქება გლახის და მათხოვარის საქმეა და არა ქეშმარიტების მსახურისა“.

ილია ჰავკავადე მოითხოვდა, რომ რედაქციას მკაცრი შერჩევით ებეჭდა მხატვრული თხზულებები, რადგან „ლიტერატურა — ხალხის ჰკვა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია“. თავის ცნობილ „პასუხში“ ილია წერდა: „მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბლაჯნის, აღარა ბლაჯნოს; რადგანაც ისინი თავის ბლაჯნით ამდაბლებენ ჩვენს ენას. მე იმისთვის ვლაპარაკობ ეგრე სასტიკად, პირმოუფერებლად, რომ უნიჭონი და აპასთან უსწავლელნიც თავის ოთახიდან ფეხს ნუ გამოდგამენ გარეთ, ლიტერატურაში; ამას ვთხოვთ ხალხის სახელითა, ხალხისვე სახელის დაცვისათვის!..“

ილია ჰავკავადე სამართლიანად აკრიტიკებდა ივ. კერესელიძეს, რომელსაც 60-იანი წლების დასაწყისში თავისი მიზანი ძირითადად მიღწეულად მიაჩნდა და იმავე მეთოდით განაგრძობდა ჟურნალის შენარჩუნებისათვის ბრძოლას, როგორც 5-6 წლის წინათ იბრძოდა. ურიგდებოდა ნაკლოვანებებს, აწარმოებდა მანევრირებას და ამის შესაბამისად, გარკვეულ შიშსა და მოკრძალებას იჩენდა ძველი თაობის მიმართ. ამ გზას დაადგა იგი 1861 წლის ზაფხულში გაჩაღებული პო-

ლემიკის დროსაც, მაგრამ ეს უკვე ახალი თაობის მტრების წისკვილზე წყლის დასხმას ნიშნავდა, რადგან ეურნალის ფურცლებს ილია ჭავჭავაძის მოწინააღმდეგეებაც უთმობდა და მათ რიდითა და კრძალვით ექცეოდა. 60-იან წლებში გამწვავებულ იდეურ ბრძოლაში გარკვეული როლი შეასრულა, მაგალითად, ბარბარე ჯორჯაძისადმი დამოკიდებულების საკითხმა. ი. ჭავჭავაძის წერილმა „ცისკარში“ დაბეჭდილ მღარე წაწარმოებთა შესახებ უსაზღვროდ აღაშფოთა თავმოყვარე მწერალი ქალი და ილიას სასტიკი პასუხი დაუწერა.

მთელ რიგ შეცდომებთან და არასწორ მოსაზრებებთან ერთად, მისი წერილი ამეღავნებს პოლემიკურ სიმახვილესა და, იმ პერიოდის შესაბამისად, მომზადებას. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ „პასუხში“ თავისი „მეხიანი ენა“ ილიამ ბარბარე ჯორჯაძის წინააღმდეგ აამეტყველა და სასტიკად ჩაქოლა სამოღვაწეო ასპარეზზე შიშითა და კრძალვით გამოსული პოეტი ქალი. ამ უთანასწორო გაპაექრებამ დიდი მიტემა-მოტემა გამოიწვია. უსაქმური არისტოკრატია და „ცისკრის“ თანამშრომელთა ერთი ნაწილი თანაგრძნობას უცხადებდა დამარცხებულს. მწერალი ქალის დამშვიდებისა და ნუგეშისცემის სურვილმა, როგორც ვნახეთ, უარყოფითი კვალი დააჩნია „ცისკრის“ რედაქციის საქმიანობასაც.

ბარბარე ჯორჯაძის „შეურაცხყოფით“ გამოწვეული მიტემა-მოტემა ეურნალს საფრთხეს უქმნიდა.

დამახასიათებელია, რომ ახალი აზრების მტრებმა, ილიას იდეურმა მოწინააღმდეგეებმა ეს მიზეზი ხელზე დაიხვიეს: იდეურ ბრძოლაში დამარცხებულები ხავსს ეჭიდებოდნენ.

ამიტომ, ივ. კერესელიძე ცდილობდა პოლემიკა ამ ხაზით არ გაგრძელებულიყო და არ გამწვავებულიყო. პირველ რიგში, იგი ბარბარე ჯორჯაძეს ურჩევდა ხელი აეღო ილია ჭავჭავაძის საწინააღმდეგო წერილების გამოქვეყნებაზე.

1861 წ. სექტემბრიდან 1862 წ. თებერვლამდე ილია ჭავჭავაძის წერილის გარშემო გაჩაღებული პოლემიკა დროებით შეწყდა. 1862 წ. თებერვლის ნომერში დაიბეჭდა „ზემოური იმერლის გორისელი წერეთლის ეფთვიმეს“ — „წიგნი

რედაქტორთან“. ავტორი უკიდურესი რეაქციული პოზიციე-  
ბიდან ებრძვის ილია ჭავჭავაძისა და საერთოდ, ახალ თაობას.  
ექვ. წერეთლას წერილი, გრ. ბარათაშვილისა და ალ. სულხა-  
ნიშვილის წერილებთან ერთად, „მამათა“ ბანაკის იდეური  
არსენალის ტიპიურ ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ.

რით უნდა აიხსნას ასეთი წერილის დაბეჭდვა „ცისკარში“?  
1861 წელს გაჩაღებული კამათის გამო, მკითხველებმა, რომელ-  
თა უმრავლესობას კონსერვატორები შეადგენდნენ, „ცისკარს“  
ბოიკოტი გამოუცხადეს. ხელის მოწერაზე უარი თქვეს. „ცის-  
კარის“ მკითხველთა საგრძნობ ნაწილს ქუთაისელი არისტოკრა-  
ტები შეადგენდნენ, რომელთა შორის ექვ. წერეთელი გავლენი-  
ან პირად და განათლებულ კაცად ითვლებოდა. ივ. კერესელი-  
ძის პირად ბარათებს ქუთაისელ ხელისმომწერთადმი — განე-  
გრძოთ ჟურნალზე ხელმოწერა, გადაერჩინათ იგი მოსპობისა-  
გან, — ისინი უპასუხებდნენ — ისეთ ჟურნალს, სადაც ამდენი  
„სალანძლავი წერილები“ იბეჭდება, აღარ გამოვიწერთო. ექვ.  
წერეთელი სწორედ ამ ბრალდებით იწყებს თავის წერილს.

„ცისკარის“ რედაქციის თვალსაზრისი გორისელის წერი-  
ლის შესახებ გამოხატა ალექსი ელბაკიძემ, რომელიც „მძალე  
დომნალს“ უწოდებს ექვ. წერეთლის წერილს.

არსებობს მოსაზრება, თითქოს ივ. კერესელიძეს შეესწო-  
რებინოს ექვ. წერეთლის წერილი, ჩაერთოს მასში ილ. ჭავჭა-  
ვაძის გინება და თავისი შეხედულებები მოეხვედროს თავზე ავ-  
ტორისათვის. ამის საბუთად მოაქვთ მხოლოდ ნ. ნიკოლაძის  
ერთი კერძო ბარათი, რომელიც კირილე ლორთქიფანიძისად-  
მია მიწერილი 1862 წლის სექტემბერში. ფაქტები სრულიად  
სხვაა ამტკიცებს: ივ. კერესელიძეს არა მარტო არ „შეუესწო-  
რებია“ ექვ. წერეთლის წერილი, არამედ ზიზღით უყურებდა  
მას და ამიტომ ექვ. წერეთლის წინააღმდეგ დაწერილ მასალებს  
ღიღი აღვილიც დაუთმო ჟურნალში.

ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ დაწერილ სტატიებს შორის  
განსაკუთრებით გამოირჩევა გრ. ბარათაშვილის „წერილი  
რედაქტორთან“.

გრ. ბარათაშვილი ილია ჭავჭავაძის ვაკრიტიკებით არ კმა-  
ყოფილდება. იგი თავს ესხმის „ცისკარს“, იწუნებს მის მიმარ-

თულებას და განსაკუთრებით აღელვებულა ივ. კერესელიძის 1861 წლის იანვრის წერილით თავადაზნაურთა არჩევნების შესახებ, აღსანიშნავია, რომ „ნამათა“ ბანაკის წარმომადგენელი პირდაპირ კავშირს ხედავს ივ. კერესელიძის აღნიშნულ წერილსა და ილია ჭავჭავაძის სტატიას შორის.

როგორც ვნახეთ, „ცისკარის“ რედაქტორი ცდილობდა გაჩაღებული ბრძოლა შეენელებინა, „თანხმობა“ აღედგინა. პირველ რიგში იგი ძველი თაობის წარმომადგენლებს ურჩევდა გაჩუქებას.

„ცისკარში“ დასაბუქდად ილიას დაუწერია წერილი: „უფ. მესხიევის ანტიკრიტიკულ უსტარის პასუხად“. ეს სტატია რედაქტორს დასაბუქდად გაუზიარებია. ივ. კერესელიძემ ვერ მოახერხა მისი გამოქვეყნება. ამის გასაგებად საკმარისია იტყვას, რომ ს. აღექსი-მესხიშვილი, რომლის წინააღმდეგაც ილიას წერილია მიმართული, მკიდროდ იყო დაკავშირებული ცენზურასთან. საქართველოს სახ. მუზეუმში დაცული ერთი ხელნაწერიდან ჩანს, რომ სარდიონ და იაკინთე მესხიშვილებს ერთად დაუწერიათ ილიას ამ წერილის „შენიშვნები“ და, ეტყობა, კერესელიძისათვის უბრძანებიათ, რომ ილიას წერილი მხოლოდ ამ შენიშვნებთან ერთად დაებეჭდა. „ცისკარის“ რედაქტორს ეს წინადადება ჟურნალისა და ავტორისათვის დამამკირებლად მიუჩნევია. როგორც ჩანს, ამ შენიშვნების გარეშე წერილის დაბეჭდვის ნება ცენზურამ არ მისცა ჟურნალს<sup>1</sup>.

ილია უკმაყოფილო იყო „ცისკარის“ რედაქციის მოქმედებით. მისი რწმენით, რედაქციას არ უნდა დაებეჭდა ახალთაობის მოწინააღმდეგეთა სტატიები. ახალთაობის იდეურ მტრებს ამკარად უნდა გამოეჩნოდა და ჟურნალი მხოლოდ ილიას მიერ დასახული გზით წარემართა. ამასთანავე, ჟურნალის რეაქციონერი მკითხველები დაუინებით მოითხოვდნენ გამწვავებული პოლემიკის შეწყვეტას, — წინააღმდეგ შემთხვევაში, „ცისკარს“ ბოიკოტით ემუქრებოდნენ.

შექმნილი მდგომარეობით შეშინებული „ცისკარის“ რედაქტორი ცდილობს სასწრაფოდ შეწყვიტოს პოლემიკა, დააშოშ-

<sup>1</sup> ა. გაჩეჩილაძე. ლიტერატურული გაზეთი. 1955. № 5.

მინოს „შეურაცხყოფილი“ ძველი თაობა და ამით სიცოცხლე შეუნარჩუნოს ჟურნალს.

ამიერიდან „ცისკრის“ რედაქტორი და მისი თანამებრძოლები (ლ. არდაზიანი, ალ. სავანელი, დიმ. ბაქრაძე და სხ.) ძველი და ახალი თაობის მოღვაწეთა შორის თანხმობას ქადაგებდნენ და შესაძლებლად თვლიდნენ ერთ ჟურნალში მათ თანამშრომლობას, პროგრესული ელემენტის გაძლიერებისა და წინ წამოწევის ტენდენციით.

ილია ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლებს, რომლებმაც რევოლუციური განწყობილება შენოიტანეს ჩვენს ლიტერატურაში, — „ცისკრის“ რედაქტორის პოზიცია სრულებით არ აკმაყოფილებდათ. აქამდე ივ. კერესელიძეს ისინი თავიანთ კაცად, „ზურგის მიმტეზად“ თვლიდნენ, ხოლო მის მიერ „თანხმობის“ ქადაგება სამართლიანად იქნა მიჩნეული „ზურგის გამოშლად“. თერგდალეულები უკმაყოფილონი იყვნენ, რომ ივანე კერესელიძემ დაბეჭდა ბარ. ჯორჯაძის, გრ. ბარათაშვილის, სარდიონ მესხიშვილის, რევ. ერისთავის, ექვ. წერეთლისა და თ. მაჭავარიანის წერილები. მართალია, იგი თერგდალეულთა წერილებსაც დაუბრკოლებლად ბეჭდავდა და თავის ჟურნალსაც სთავაზობდა მათ, მაგრამ ახალ თაობას ეს არ აკმაყოფილებდა. ბარ. ჯორჯაძისა და სხვათა საპასუხო წერილების გამოქვეყნებისადმი პროტესტის ნიშნად, 1861 წლის შემოდგომიდან ილიამ „ცისკარში“ თანამშრომლობაზე ხელი აიღო. მაგრამ მის თანამებრძოლებს ა. წერეთელს, პ. უნიკაშვილს, ა. ფურცელაძეს, კირ. ლორთქიფანიძეს, ნ. ნიკოლაძეს არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ ამ ჟურნალთან კავშირი.

„ცისკარში“ ისინი თავს ესხმოდნენ არა მარტო „მამებს“, არამედ ივ. კერესელიძესაც, რომელსაც ძველ თაობასთან შემარიგებლობას აბრალებდნენ, რომხრივობას უსაყვედურებდნენ.

ილია ჭავჭავაძეს ღრმად სწამდა, რომ ახალ იდეებს ახალი ორგანო ესაჭიროებოდა. ახალ ორგანოში მკითხველი უფრო მძლავრად იგრძნობდა ამ იდეების სიახლეს, მის ცხოველყოფელ ძალას; უფრო მეტად იწამებდა მისი გამარჯვების გარდუვალობას.

როგორც ირკვევა, ილია ჭავჭავაძეს უკვე 1861 წლის გაზაფხულზე ჰქონია ახალი ჟურნალის დაარსების სურვილი. ამჟამად დროს, ხალხში განათლების შეტანის მიზნით, განუზრახავს ქართული წიგნების გამოცემა. იგი დაკავშირებია პეტერბურგის უნივერსიტეტში მის მიერ შექმნილ ქართველ სტუდენტთა წრეს და საქართველოშია ჩამოუყალიბებია ამ საქმის ენთუზიასტთა ჯგუფი, რომელსაც საქირო თანხის შეგროვებაც დაუწყია; ამას ადასტურებს, სხვათა შორის, ნიკო ლოღობერიძის 1861 წლის აპრილის წერილი ილია ჭავჭავაძისადმი.

უპირველესი ფაქტორი, რომელსაც ილიამ საქმის დასაწყისშივე ყურადღება მიაქცია, იდეურ თანამგრძობთა და თანამებრძოლთა წრის შექმნა იყო. მისი რწმენით, ახალი ჟურნალი ამ წრეს უნდა დაყრდნობოდა. ეს ახალი მოვლენა იყო ჩვენი ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის ისტორიაში.

ი. ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები სისტემატურ მომწერას აწარმოებდნენ პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტებთან. დასავლეთ საქართველოში „საქართველოს მოამბის“ სასარგებლოდ აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ ნიკ. ნიკოლაძე, ნიკ. ლოღობერიძე, ილია მამაცაშვილი, გ. ლოღობერიძე და სხვა. მომავალ ჟურნალს საქართველოს ყველა კუთხეში ჰყავდა გამავრცელებლები, რომლებიც ახალი ჟურნალის დაულაღვ პროპაგანდას ეწეოდნენ, აცნობდნენ ხალხს მის პროგრამას და აგროვებდნენ ხელისმომწერებს.

ილია ჭავჭავაძის თანამოაზრეებმა „საქართველოს მოამბის“ სასარგებლოდ აქტიური პროპაგანდა გაშალეს „ცისკრის“ ფურცლებზედაც. ახალი ჟურნალის აუცილებლობის დასაბუთებლად 1862 წელს აქ დაიბეჭდა კირ. ლორთქიფანიძის, გ. წერეთლის, აკ. წერეთლისა და სხვათა წერილები, რომლებშიც ისინი ვრცლად განიხილავდნენ მომავალი ჟურნალის მნიშვნელობას.

ი. პოლტორაკი 1862 წლის 7 ოქტომბერს უგზავნის კირილე ლორთქიფანიძეს (პეტერბურგში) „საქართველოს მოამბის“ პროგრამას და თხოვს გამოგზავნოს თავისი შენიშვნები.

პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტებს, როგორც ეს პოლტორაკის სხვა წერილიდან ირკვევა, ცხოველი ინტერე-

სი გამოუჩენიათ ახალი ჟურნალისადმი და მისი პროგრამის გარშემო საყურადღებო შენიშვნებიც გამოუგზავნიათ ილია ჭავჭავაძისათვის.

ილია ჭავჭავაძისა და მისი ჯგუფის „ცისკარი“ „საქართველო-სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლამ-ლოს მოამბის“ ქართული აზროვნების ისტორიაში მოლოდინში უდიდესი როლი შეასრულა. ახალმა თაობამ ახალი ენერგია, ძალა, სულსკვეთება და საბრძოლო განწყობილება შემოიტანა „ცისკარში“ და საერთოდ, ჩვენს ლიტერატურაში. თერგდალეულებმა ყოველი მოვლენა მებრძოლი სულსკვეთებით აწონ-დაწონეს და ყველა საკითხს კრიტიკული თვალთ შეხედეს.

ქართული ლიტერატურა გამოცოცხლდა. ილიას მებრძოლმა წერილებმა საზოგადოებრივი აზრი აამოძრავა და ხელი შეუწყო სამოქმედო არენაზე პროგრესული ელემენტების უფრო გაბედულად გამოსვლას. ძველი თაობისადმი მოკრძალება და შიში გაქრა. ამჟამად გახდა, რომ რეფორმის წლებში საზოგადოებრივმა აზრმა სწრაფი ნაბიჯით იწყო განვითარება.

თერგდალეულთა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლამ „ცისკარს“ რედაქტორიც აღაფრთოვანა და დაამბოვდა, გამოაფხიზლა და ჩააფიქრა. მან იგრძნო, რომ „ცისკარი“ ცხოვრებას ჩამორჩა, რომ შესაძლებელი იყო ჟურნალის პროგრესულ-დემოკრატიული ტენდენციის გაძლიერება, უფრო მარცხნივ წასვლა, და არა იმ ტემპით, როგორც აქამდე, არამედ უფრო სწრაფად, გარდატეხის გზით.

ივ. კერესელიძემ გაბედულად მოჰკიდა ხელი ჟურნალის გაუმჯობესებას, იდეური და მხატვრული თვალსაზრისით მის გაძლიერება-გამშვენიერებას. მის წინაშე ერთი წუთითაც არ წამოჰკრილა კითხვა, თუ ამიერიდან ჟურნალი რომელი მიმართულებით წარემართა. ამ ჟურნალს მუდამ ჰქონდა გარკვეული იდეური ტენდენცია — ეს იყო ივ. კერესელიძის (მოლაყბის) — ალ. ჩიქოვანის, ლავრ. არდაზიანის, ალ. სავანელის, დ. ქონქაძის, დიმ. ბაქრაძის, რაფ. ერისთავის, გ. ქართველის, ილია ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ნიკ. ჩიკოლაძის,



ი. მაშაცაწვილის მაგისტრალური ხაზი, ამიტომ, პავსებით ბუნებრივია, რომ 1862 წლიდან „ცისკრის“ მთავარი თანამშრომელი, „მიმართულების მიმცემი“ გახდა ილია ქაქავაძის თანამებრძოლი, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით გატაცებული ანტონ ფურცელაძე.

„საქართველოს მოამბის“ ნოლოდინში „ცისკრის“ ფურცლებზე გაცხოველებული კამათი იმართება იმის შესახებ, თუ რა მიმართულება უნდა ჰქონდეს ქურნალს, ან რა წინადადება, საერთოდ, მიმართულება. პ. ჩარქვიშვილი წერდა: „პირველი პირობა ის არის, რომ ქურნალს აქენდეს მიმართულება თანადროული... მეორე... სასტიკი მიუდგომლობა, სინამდვილე და დამოუკიდებლობა, მესამე და უმთავრესი პირობისაგან არის თავისუფლება და დამოუკიდებლობა ქურნალისაო“<sup>1</sup>. ამ უკანასკნელ პირობას ავტორი ამა თუ იმ სახელმწიფოში ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების საკითხს უკავშირებს.

1862 წლის ოქტომბერში „ცისკარში“ დაიბეჭდა „საბუღაქციო განცხადება“, რომელსაც საპროგრამო მნიშვნელობა აქვს: „პირველის იანვრიდამ დავიწყობთ „ცისკარში“ გარიბალდის ცხოვრების ბეჭდვასა. ჩვენ დიდათ დამნაშავეთა ვრაცხთ ჩვენს თავსა, რომ აქამდისინ არ გავაცანით „ცისკარის“ მკითხველებს ეს გამოჩენილი და სამაგალითო თავისის კეთილშობილებით და უბიწოს მოქმედებით კაცი, ცნობილი მთელს ხმელეთზედ. გარიბალდი ამ ქაზად არის დაქრილი და იმყოფება ტყვეთა იტალიის კონსულის ვიქტორ ემანუილისაგან. იტალია, რომლისათვის ეხლა ეს... გმირი იმყოფება ტყვეობაში, არის დიდის ხნიდგანვე გაგლეჯილი... ნაწილებად და ზოგნი ნაწილნი არიან ჩაფარდნილნი სხვა სახელმწიფოების ხელში; ამ მიზეზით იყო და არის კიდევაცა საშინელს შევიწროებაში. ამის გამო გარიბალდი თანახმად ხალხის სურვილისა (ხაზი ჩვენი. ა. კ.), თითქმის თავის დღენი იბრძვის იტალიის ერთობისა და კეთილდღეობისათვის. მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ჯერ ვერ მოუყვანია ეს კეთილი საქმე აღსრულებაში... გარიბალდი გაცვა-

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1862, დეკემბერი.

ლეს ნაპოლეონის პოლიტიკაზედ და ნაპოლეონის უთანხმოთ ვერ გაჰბედა მთავრობან<sup>1</sup> შიყოლა, ამის გამო მოხდა განხეთქილება გარიბალდისა და მთავრობათა შორის: ხალხი დარჩა გარიბალდისაკენ, რადგან ხედვიან ამაში თავის შემწესა და ჭარები დარჩნენ მთავრობის მხარესა<sup>1</sup>. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

რედაქცია არა ერთხელ მოაგონებს მკითხველს, რომ „...ამ წელიწადს სრულებით სხვა მიმართულებით გამოვა „ცისკარი“... იმ გვართხზულებებს შემოვიტანთ ჩვენს ჟურნალში, რა გვარსაც მოითხოვს ახლანდელი დრო და ახლანდელი საჭიროება“<sup>1</sup>. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

1861 — 1862 წლებში „ცისკარი“ წინანდელზე უფრო მეტად ეხება სოციალურ პრობლემებს და გაბედულად ებმება ცხოვრების ორომტრიალში.

1862 წლის ივნისის ნომერში დაყენებულია ქართული სასწავლებლის გახსნის, განათლების გავრცელების, ქართული რეალისტური თეატრის აღორძინების პრობლემები.

1862 წლის ნოემბრის „ცისკარში“ დაბეჭდილია რაფერისთავის თხზულება „Литературный вечер“, რომელშიაც ავტორი ჟურნალის ნაკლოვანებებსა და მისი მუშაობის სიძნელეებს ეხება. შემთხვევითი არ არის, რომ ახსენებს ტურგენევის რომანს „Отцы и дети“. რაფ. ერისთავი მხარს უჭერს ენის გახალხურებას.

„ცისკარი“ წინანდელზე უფრო მკაცრად აკრიტიკებს მხატვრულად სუსტ, არქაული ენით დაწერილ ნაწარმოებებს.

1862 წლის ნოემბრის ნომერში რეცენზენტი იწუნებს ალექსი-მესხიშვილის მიერ გადმოთარგმნილ რომანს „მომოგზაური ურია“; უსარგებლოდ თვლის ასეთი ნაწარმოების თარგმნას და გმობს მთარგმნელის „თარგამოსის ენას“. წერილს აშკარად ეტყობა ილია ჭავჭავაძის გავლენა, რაც სავსებით

<sup>1</sup> „ცისკარი“. 1862. ნომებრი.

ბუნებრივია, რადგან ამ ხანებში „ცისკარი“ ფხიზლად აღევ-  
ნებს თვალყურს ილია ჭავჭავაძის ჯგუფის საქმიანობას „სა-  
ქართველოს მოამბის“ ორგანიზაციის ხაზით.

ზემოაღნიშნულ რეცენზიას ავტორი შემდეგი სიტყვებით  
ამთავრებს: „შევიტყვეთ, რომ „საქართველოს ნოანბეში“ იქ-  
ნება ბიბლიოგრაფიული სტატია იმ ნათარგმნებზედ, რომე-  
ლიც ჩვენა გვექონდა მხედველობაში სალაპარაკოთ“-ო.

სარედაქციო-საპროგრამო მნიშვნელობა აქვს „თავხედის“  
(ანტ. ფურცელაძის) სატირულ ოხუნჯობას — „წავიდა ის  
დრო“, — რომელიც „ცისკარს“ 1862 წლის დეკემბრის ნო-  
მერში დაიბეჭდა.

ამ ნაწარმოების მოქმედ პირებად გამოყვანილი არიან  
„უაზრო მწერლების ხორა“, „სიძველის მქადაგებელი ნწერ-  
ლების ხორა“, „საქართველოს მოამბის“ რედაქტორები და  
„ცისკარის“ რედაქტორი.

თხზულების აზრი ასეთია: „ცისკარი“ მუდამ პროგრესს,  
განათლებას, განახლებას ქადაგებდა, რადგან თვითონ „ცის-  
კარის“ რედაქტორიც ამ მიმართულებას ეკუთვნოდა, მაგრამ  
ძველს მქადაგებელი „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ მას ძალით  
აკმედინებდნენ ხმას. ამიერიდან ჩამორჩენილებს, სიძველის  
მქადაგებლებს, რეაქციონერებს „ცისკარი“ არავითარ ანგა-  
რიშს აღარ გაუწევს, გაბედულად გააწევს წინ — საყოველ-  
თაო განახლებისაკენ.

„სიძველის მქადაგებელნი“ იკვეხნიან: „...ზოგიერთებს  
უნდოდათ, რომ რაღაც ჯანაბეთი ქვეყნის — ევროპია თუ რა-  
ღაცა, იქაური ჩვეულება და განათლება შემოეტანათ ჩვენს  
დალოცვილს საქართველოში, თითონ „ცისკარის“  
რედაქტორიც მაგ აზრისაა (ხაზი ჩვენია. ა. კ.),  
მაგრამ თავის ქეიფის ხალხი და მწერლები მალე შევაშინეთ  
და შევკარით... და დაგვრჩა ჩვენ ბურთი და ნოედანი“...

„სიძველის მქადაგებელნი“ ამაყად აცხადებენ: „მე ვსწერ,  
ბატონო, რომ თუ მამა-პაპის ჩვეულებას გადავუდექით რაში-  
მე, სულ დავიღუპებით მეთქი და ევროპიელებივით უშვერები  
შევიქნებით... (იგულისხმება ა. სულხანიშვილი. ა. კ.). ...მე  
ვსწერ, ბატონო, რომ ჩვენს ქალს სწავლა არ უნდა, თორემ ძა-

ლიან ირყვნებიან ზნეობითა, აღარ გვემორჩილებიან... (იგული-სხმება ა. სულხანიშვილი. ა. კ.). ...მე, ბატონო, ვამბობ, რომ ქართული ენა ძლიერ წაახდინეს, მეტად რემოლაცებმა და იძახიან, რომ იმისთანა ენაზედ უნდა ვსწეროთ, რომ სუყველას ეყურებოდესო (ხაზი ჩვენია. ა. კ.). ამის გამო დავსწერე და ვამტკიცებ კიდევ... მაგის ურიგობასა და ვანბობ, რომ დავითნის ენით დავსწეროთ, რომ ხალხს არ ეყურებოდეს, თორემ ისინიც სწავლას დაიწყებენ და დიღსა და პატარაში გარჩევა აღარ იქნება“ (იგულისხმება სარდ. მესხიშვილი. ა. კ.). „ძველის მქადაგებელთა“ ამ წინადადებებს ორივე რედაქტორი (ივ. კერესელიძე და ი. ჭავჭავაძე) სასტიკად უარყოფს: „მარისთვისა ვსწერთ, თუ ყველა არ ისარგებლებს, არ გაიგებს და არ ისწავლის? არა, ჩვენ ვერც მაგას მივიღებთ, — ეგეც კატკოვისა და ასკაჩენსკის ხელობაა“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

როგორც ვხედავთ, „ცისკარი“ გადაჭრით გმობს რეაქციულ და ლიბერალურ პრესას.

რედაქტორთან შემოდის ახალგაზრდა მწერალი, რომელიც ამბობს: „...მე ერთი ჩინებული რომანი დავსწერე, — მიბაძვა გოგოლისა და ჩვენი ხალხის ჩვეულებსა, ხასიათებთ, უწვერება და ბევრი სხვა მხარე ისე გამოვხატე, როგორც მოგაგონდებოდეთ გოგოლის „Мертвые души“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.). რედაქტორი იწონებს ახალგაზრდა მწერლის ამ წინადადებას: „ქარგი უნდა იყვესო“.

დასასრულს, ნაჩვენები არიან „ცისკარს“ რედაქციაში სათხოვნელად მოსული „ძველი მწერლები“ და „უაზრო მწერლები“. „ცისკრის“ რედაქტორის მოლოდინში, ისინი გულს იოხებენ ყოველივე პროგრესულის ძაგებით, აგინებენ რკინიგზას, ტელეგრაფს, განათლებას.

ერთი მათგანი ამბობს: „მე ეხლა დავწერე ერთი აზრი დასაბეჭდად: ვუცხადებ ყველა ქართველებსა, რომ ეგება საზოგადოთა ვსთხოვოთ მთავარმართებელსა, რომ ეგ ტილიფრა-

ლები და მაგისტრანა მოჯადოებული საქმეები გადაადგოს ჩვენი საქართველოდამა“.

„სიძველის მქადაგებელნი“ ფიცს სდებენ, რომ ბოლომდე იბრძოლებენ ძველი აზრების დაცვაად, მაგრამ ამ დროს „ცისკარს“ რედაქციაში შემოდის ახალი (1863) წლის ორი იასაული. დამხედურთ ეკითხებიან, რასა სწერთო, რაზედაც „სიძველის მქადაგებელნი“ უპასუხებენ: „ჩვენ ესწერთ და ვქადაგობთ, რომ მამა-პაპის ჩვეულებას და ცოდნას არ გადავუდგეთ“.

ახალი წლის იასაულები წინადადებას აძლევენ მათ, გაანებონ მწერლობას თავი და დასტოვონ „ცისკარს“ რედაქცია. „სიძველის მქადაგებელნი“ და „ხორა უაზრო მწერლებისა“ სასტიკ უარზე არიან; იპართება დაუზოგავი ბრძოლა ძველსა და ახალს შორის.

ი ა ს ა უ ლ ე ბ ი: ჩვენა გვაქვს ბრძანება ახლის წელიწადისაგან, რომ ვინც ძველს მისდევს, ისინი ძველს ხალხთან — მამა-პაპასთან გავისტუმროთ და ვინც ქვეშაირტებისა და სინამდვილის წინააღმდეგს სწერს, ისინი ყიზილბაშებში გავისტუმროთ და აღარ გაბედონ, რომ „ცისკარში“ მაგისტრანა რამ დასწერონ...

ო რ ი ვ ე მ ხ ა რ ე (შეტევი): „ვინა, ჩვენა? ჩვენ უნდა დავანებოთ მწერლობას თავი?.. ჩვენ რომ მწერლობას თავი დავანებოთ, ხომ დაიღუპება საქართველო. არა! ჩვენ ჩვენის ცოცხალის თავით არ დავანებებთ მწერლობას თავსა. ევრე მოახსენეთ ახალწელიწადსა.“

ი ა ს ა უ ლ ე ბ ი: არა, ჩვენ სასტიკი ბრძანება გვაქვს, რომ აქედამ გაგრეკოთ.

ო რ ი ვ ე მ ხ ა რ ე (გაბრაზებთ): ვინა, ჩვენ უნდა გავგრეკოთ? ჩვენა? აბა, ამათ კეტი ძველებურათა — ქართველურათა! კეტი ამათ მამა-პაპურათა, კეტი... (...იასაულნი ჰყვირიან და აპირებენ გაქცევას). (შემოდის ახალი წელიწადი და თან ახლავს სიხალით მოსილი ჰეტი): „რა ამბავი გაქვთ?“

ო რ ი ვ ე მ ხ ა რ ე: ჩვენა ვართ. მეცოდნენი საქართველოს კეთილდღეობისა და ჩვენგნით იყო აქამდინ საქართველო დაფარული ყოვლის განსაცდლისაგან.

ახალი წელიწადი: პო, გიცნობთ თქვენ იყავით მიზეზი მკითხველების ასე დავარდნისა; თქვენა ცდილობთ თქვენი უგვანის მწერლობით ძველი ჩვეულების დაცვას და ყოვლის წარსულის ძველის მწერლობის შემოტანას და ახლა არის თქვენის მეცადინეობისა და შრომის ბოლო: დღეის შემდეგ „ცისკარს“ აქვს თქვენთვის კარები დახსული, — ახლა უნდა იქადაგოს: წარმატება ხალხისა, აუხსნას თვალი ყოვლის შეცდომილებისა და ნაკლოვანებებისაგან და უნდა უჩვენოს ყოველი საჭიროება თქვენგნით დაცემულს ხალხს. ყოველგან შევიდა მეცხრამეტე საუკუნე და აქ ისევე შახაბასობაა... გამოსალმეთ მწერლობას. რადგან არ დაგიშლიათ, გინდათ იქადაგოთ წინ წაუწეობა და სიბზნელე, არის ორი ჟურნალი: ერთი კატკოვისა და ერთიც ოსკაჩენსკისა; შეგიძლიათ ერთმა ერთს და მეორემ მეორეს დააბეჭდინოთ... (იასაულებს): მათრახი მაგათა, მათრახი. თორემ სხვა მაგათ ვერა დაიოკებს რა. (იასაულები დაუშენენ მათრახს და მწერლები არეულნი გარბიან ყვირილით და ტირილით).

ორივე მხარე: ვაი, ჩვენო ძველო დროვ, ვაი ჩვენო ძველო მწერლობავ (გადიან მოთქმით).

უაზრო მწერლები: გარდამხდა გადასავალი, უარესაცა მოველი...

სიძველის მქადაგებელი: ის დრო წავიდა, დრო სანატრელი, ვაჰ ამ დროთ მოყრას, ვაჰ, ჩვენი ბრალი... (ორივე მხარე იწეწენ თმებსა და გადიან)“.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის მძლავრი იდეური ზეგავლენის შედეგად, 1862 წლის ბოლოდან „ცისკარმა“ აირჩია ერთი მიმართულება, ჩამოაყალიბა თავისი საბოლოო პროგრამა და მიჰყვა მას.

ვ. ი. ლენინი საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე ამგვარ გავლენას 60-იანი წლების რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად თვლიდა. ლენინი წერდა: „...ჩერნიშევსკი იყო არა მარტო სოციალისტ-უტოპისტი. ის იყო აგრეთვე რევოლუციური

დემოკრატი, ის რევოლუციურ გავლენას ახდენდა თავისი ეპოქის ყველა პოლიტიკურ მოვლენაზე<sup>1</sup>.

თხზულებამ „წავიდა ის დრო“ საზოგადოებაში დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. „მამათა“ ბანაკი ამხედრდა „ცისკრისა“ და მისი რედაქტორის წინააღმდეგ. ჟურნალის ზოგიერთ აქტიურ თანამშრომელსაც კი „სიძველის მქადაგებლებში“ თავისი თავი უცვნია. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ალ. ორბელიანის წერილი „მაგიერი პასუხი“<sup>2</sup>. ეს წერილი დათარიღებულია 1863 წლის 14 იანვრით, ე. ი. დაწერილია „ცისკრის“ დეკემბრის ნომრის გამოსვლის პირველსავე დღეებში. სტატია თავიდან ბოლომდე ივ. კერესელიძის წინააღმდეგაა მიმართული. ალ. ორბელიანის ფიქრით, „წავიდა ის დრო“ თვითონ ივ. კერესელიძემ დაწერა პირადად მისი — ალ. ორბელიანის გასაკრიტიკებლად.

„მაგიერი პასუხი“ ალ. ორბელიანს ივ. კერესელიძისათვის მიუტანია „ცისკარში“ დასაბეჭდად, მაგრამ „ცისკრის“ რედაქტორს დაბეჭდვაზე სასტიკი უარი უთქვამს, ხოლო ჟურნალის მონაბაგე მოხუცი იმით დაუშვებელია, რომ „წავიდა ის დრო“ შენ არ შეგეხებაო. ალ. ორბელიანი ვერ დააკმაყოფილა რედაქტორის პასუხმა. თავისი ხელნაწერის არშიაზე მას წაუწერია: „ცისკრის“ რედაქტორმა კერესელიძემ არ დამიბეჭდა. მითხრა, მითომ: ეს სტატია ჩემზედ არ იყოს. მეც თანაწარვხდი, მაგრამ ჩემზედ კი არის დაწერილი: წავიდა ის დრო. რა უყოთ, აგრე იქნება, უნდა რედაქტორს უთავაზოთ“.

თავისი სასტიკი წერილი ალ. ორბელიანმა მართლაც ივ. კერესელიძეს „უთავაზა“, მაგრამ დაბეჭდვა ვერსად მოახერხა, რადგან „მამებს“ თავიანთი ორგანო არ გააჩნდათ.

ალ. ორბელიანის წერილი დაწერილია კითხვა-მიგების ფორმით. შესავალში ავტორი ამბობს, რომ ეს კერესელიძისაგან მისი „დევნილების“ პირველი შემთხვევა არ არის. „კიდევ უსამართლო დევნილება შენით“, — ეუბნებიან ალ. ორბელიანს. თავის თხზულებაში ალ. ორბელიანს ივ. კერესელიძე

<sup>1</sup> ლენინი ლიტერატურის შესახებ, 1945, გვ. 73.

<sup>2</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, S — 1634.

გამოყვანილი ჰყავს ახალი დასის მეთაურად, რომელიც ასე მიჰართავს ალ. ორბელიანს: „— მტერი ხარ ახლანდელი განათლებისა, ახლანდელი სწავლისა, ახლანდელი მეცნიერებისა.

— რომელმა რეგვენმა თქვა ეგ? ეხლანდელი სწავლა, განათლება და მეცნიერება მე მძულდეს? სახლით და კარით ამოაგდე, ღმერთო, მაშინ.

— მაშ ძველს ამბებს რისთვის ამბობ, გეტყობა იმის იქით შორს აღარ უნდა წახვიდე!

— ...რომელი დიდი სასწავლებელი მოგიშალა ჩემმა ძველმა ამბებმა ქართველებსა, რომელი სასწავლებლები?“

კამათი მწვაავდება. ფერხულის სიმღერით შექოდიან მენახ-შირეები, წინ მესტირეები მოუძღვიან. „ცისკრის“ რედაქტორი მკერდგამოქიმული და გამობღინძული იხედებოდა ყოველს მხარეს, ვით ნაპალიონი თავის არმიას წინ. აი ის ფერხულის სიმღერა:

შენ, ჩვენო დიდ ყვენო. ჰაიდა ვარალალო.  
საით ინებებ ლაშქრობას. ჰაიდა ვარალალო.  
შენი დასი მზათ გახლავართ. ჰაიდა...  
შენი ხმლის კეთა გვიჩვენე. ჰაიდა...

„ცისკრის“ რედაქტორი იშიშვლებს „მუხის ქერქის ხმალს“, „პაერში ქნევას“ იწყებს, „ეგონა დიდს კაფაში შევედიო“. ეს ეპიზოდი ძალიან მოგვაგონებს „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი „სხარტულას“ შინაარსს.

1863 წელს ალ. ორბელიანი ხმასაც აღარ სცემდა ივ. კერესელიძეს. ერთ გამოუქვეყნებელ წერილში იგი წერს: „... ეტყობა, რომ ორი დასი იბადება. კარგი ნიშანია. ეს ის არის, [რომ] წინ მივდივართ და უკან აღარ ვრჩებით. პროგრესისტებს უნდათ კონსერვატორები გაიგდონ წინ. კონსერვატორები შეჰყურებენ ჯერ სახეში იმათ: ენახოთ, რა იქნებაო. რაღა რა იქნება, უნდა პასუხი ვსთქვათ ჩვენის აზრებისამებრ ასე“. ამას მოჰყვება პასუხი, რომელიც ივ. კერესელიძემ არ დაუბეჭდა. ამასთან დაკავშირებით, ალ. ორბელიანი სხვა წერილში წერდა: „...ჩემთვის ხომ თვე არ გავიდოდა,



არა ეჩხვლიტა რა (ივ. კერესელიძეს) ...მე და კერესელიძის საქმე ახალს მთვარეზედ იყო დამოკიდებული... არც კარადგან კარზე დავდივარ კერესელიძესავით, დასი შევიძინო... კარგი არა უყო რა კერესელიძემ „ცისკარს“, მეტი ცუდი მიმართულება მისცა... ის, კერესელიძე, შეუგნებელია და თავის გზაზედ დგას ისა“.

ერთ-ერთ წერილში პირდაპირ წერს, ანტ. ფურცელაძის სტატიები ივ. კერესელიძის ნაკარნახევიანო.

წერილი ხელმოწერილია საგულისხმო ფსევდონიმით „დეენილი“.

შექმნილი მდგომარეობის გამო, ძველი თაობის წარმომადგენლებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მამებს“, ალ. ორბელიანის ინიციატივით 1863 წლის იანვრიდან გადაუწყვეტიათ სატირული გაზეთის გამოცემა, „მასხარას“ სახელწოდებით.

„მამათა“ ბანაკს ამ საქმისათვის არც ცოდნა ჰქონდა და არც საჭირო ენერჯია გააჩნდა. ყურნალ-გაზეთის დაარსებისა და „შვილებთან“ თეორიული ბრძოლის უნარი ჩვენს „მანებს“ არ ჰქონდათ.

1862 წლის შემოდგომა ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში აღინიშნა თავისებურა შეჯიბრით „ცისკარსა“ და ჯერ ორგანიზაციის პერიოდში მყოფ „საქართველოს მოამბეს“ შორის. ორივე ქართული გამოცემა ერთმანეთს ეცილება იმაში, თუ რომელი უფრო პროგრესული იქნება, რომელი უფრო მედგრად შეებრძოლება სიძველეს. ეს იყო სასარგებლო შეჯიბრება, რომელიც ხელს უწყობდა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების უფრო წარმატებით გავრცელებას, მაგრამ, ამასთან ერთად, ამ ბრძოლას მეორე მხარეც ჰქონდა. ბრძოლა მიმდინარეობდა თანამშრომელთა და ხელისმომწერთა მოსაპოვებლად.

ჯერ კიდევ 1862 წლის აპრილში ივ. კერესელიძე სწერდა რაფ. ერისთავს: „სტუდენტების ყურნალის შესახებ მწერ, თუ შენ კარგა მყევეხარ, მე არავისი არ მეშინიან. ისეთი პარტია შევადგინე, რომ მოგეწონება, ოთხნი შევეერთდით ერთად: მე, ბაქრაძე, ბერძენოვი და არდაზიანი, ერთად მიყვავით ხელი“.

წერილში გარკვევით ისმის გულისტკივილი, რომ ილია და მისი თანამებრძოლები „ცისკარს“ ჩამოშორდნენ: „ეს სულ კრიტიკებმა კი ქნეს შარშანდღელებმა. მახლას, რაც მოხდება, ის იქნება. თუ ღმერთი გწამს, შენებურად დაწერილი პროზა გამომიგზავნე“<sup>1</sup>.

თანამშრომელთა და მკითხველთათვის ბრძოლა უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებდა. 1862 წლის ბოლოს ივ. კერესელიძე წერდა: „აქაური ამბავი ეს არის, რომ ჩემს მოწინააღმდეგეებს ახლა. უთქვამთ, რაფიელს ჩვენს სახელობაზედ ფული მოუტრეფია და კერესელიძისათვის გაუგზავნიაო. რა გითხრა? ყოველის ფენის გადადგმაზედ მემტერებიან და უნდათ ჩემი წახდენა და დაცემა. ბევრნი ხელის მომწერნი ჰყვანან. ყველგან კაცები ჰყვანან დაჰყრილნი. ჯეროთხასამდინ ასულა და ჩემი ასამდინ ძლივს არის. ამას კი გეტყვი, ჩვენი ჟურნალი, ღვთით ხუთი იქნება გამოსული და ამათი ერთიც ვერა: პირველი რომ ათ თაბახზედ ნაკლები არ გამოვა ჩვენი. პირველი ნომერი თოთხმეტი თაბახი იქნება. მეორე ეს, ვინც რიგიანი მწერლები არიან, ჩვენ ჟურნალში არიან. გუშინ ჩემთან იყვნენ და სტატიები ამოვარჩიეთ იანერისათვის: ბაქრაძე, ბერძენოვი, არდაზიანი, რჩეულოვი, სერებრიაკოვი და სხვ. მაგრამ ხელის მომწერნი სუსტობენ. კარგად იცი ანდაზა: „ახალი ცოცხი კარგათ გვის, ძველი მოატანს ჩირსაო“... „შენის სტატიისათვის ბევრი ილაპარაკეს და უნდა გითხრა, ძლიერ მოსწონთ, რომ მეტი არ შეიძლება. მაგრამ რაც უნდა კარგი რამ იყოს, ისეთი ხმა დაუგდეს ჭავჭავაძის პარტიამ იმათ ჟურნალს, რომ ჩვენი ჟურნალი სულ გაპყინა. ფიქრი კი არ არის ღვთით, დრო და ჟამი, ამასთანავე მოქმედება გამოაჩენს, ჯერ ამათ ასოები არა აქვთ მოსული. ესენი იბეჭდებიან ენფიანჯიანის ტიპოგრაფიაში, წელიწადში მორიგებიან ას სამოცს თუმანს მარტო ბეჭდვაში, ქალალდსა და სხვას გარდა. იმათ რომ ჰყავდეთ ათასი და მე ხუთასი, მე უნდა იმათზე უკეთ და დიდი გამოვსცე, რადგან მე მოწყობილი

<sup>1</sup> „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1935. გვ. 541.

ვარ...". ხელისმომწერთა და თანამშრომელთათვის გაჩაღებულ ზრდოლას „ცისკარი“ არ აუმხედრებია ახალი ჟურნალის გამოცემის წინააღმდეგ.

1862 წლის ივლისში „ცისკარის“ რედაქციის პროზის განყოფილების გამგემ ლავრ. არდაზიანმა, გაეციხა რა ახალგაზრდობის ერთი ნაწილის უსაქმურობა, დამაჯერებლად დაასაბუთა ქართულ ენაზე გაზეთისა და ახალი ჟურნალის გამოცემის საჭიროება, მოუწოდა ხალხს, რომ ერთდროულად მხარი შეეცათ ივ. კერესელიძისა და ილია ჭავჭავაძისათვის („ცისკარი“, 1862, ივლისი. ბიძია თონიკე — „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზე“).

როცა „ცისკარს“ „საქართველოს მოამბისადმი“ მტრული დამოკიდებულება დააბრალეს, ლავრ. არდაზიანი წერდა: „...ბიძია თონიკე ...მოიწვევს საზოგადოებასა, შეეწიოს უ. უ. ჭავჭავაძესა და კერესელიძეს, რომ ლიტერატურა გაგვიჩაღონ. რაო, აქ ჭავჭავაძეს დასცინის, თუ სურს, რომ ხელი მოემართოს და ნაყოფი გამოსცეს? უ. თერგდალეული ფიქრობს, ...ვითომ ბიძია თონიკე დასცინოდეს უ. ჭავჭავაძესა... მიზეზი რომ არ ჰქონდა, საიდან დაჰბადა ეს უმსგავსო აზრი... არა,— ნუ იფიქრებთ, უ. თერგდალეულო, რომ უ. ბიძია თონიკე უ. ჭავჭავაძეს არ იცნობდეს თქვენზედ უკეთესად. ბიძია თონიკე ძალას ატანს, სირცხვილში აგდებს ყმაწვილკაცებსა, რომ გავგახარონ სწავლის ნაყოფით, მეორეს მხრით ებრძვის საზოგადოებას მისცეს ყმაწვილკაცებს, ნამეტნავათ უ. ჭავჭავაძეს. შემწეობა“.

იმ დროის მოწინავე ახალგაზრდობამ, რომელიც სასოებით მოელოდა „საქართველოს მოამბის“ გამოცემას, უკვე ამ ჟურნალის გამოსვლამდე იგრძნო, რომ „ცისკარიც“ იმავე პროგრესული მიმართულებით მიდიოდა, როგორც ილია ჭავჭავაძის ჟურნალი.

1863 წლის 22 იანვარს ნიკ. ყიფიანი, რომელიც იმ პერიოდის რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის თვალსაზრისს გამოხატავდა, აღფრთოვანებით აცნობებდა დიმ. ყიფიანს, რომ ქართულ ენაზე ორი პროგრესული ჟურნალი არსებობსო. იგი წერდა: „მოამბე“ печатается и печатается

отлично. 1-ый № выйдет, кажется к этому Воскресенью. „ცისკარი“ также не унывает, идет теперь прогрессивно: наш Антон Пурцеладзе... сделался сотрудником большим редактора“<sup>1</sup>.

დვებოდა ნანატრი დღე, როცა ილია ჭავჭავაძის ეურნალი უნდა გამოსულიყო.

1862 წლის ოქტომბერში „ცისკარში“ დაიბეჭდა შემდეგ განცხადება: „ეახარებთ ჩვენის „ცისკრის“ მკითხველთა და ყოველს ქართველს, ვისაც კი უყვარს თავისი სამშობლო ენა, რომ მომავლის წლის იანვრიდგან გამოიცემა თბილისში ახალი ქართული ეურნალი „საქართველოს მოამბე“. დარწმუნებულნი ვართ, ჩვენი „ცისკრის“ მკითხველნი მიიღებენ გულმხურვალედ მონაწილეობას ამ საზოგადოთსასარგებლოს საქმეში. ამასთანავე ვბეჭდავთ ახლის რედაქციის გამოცემის პროგრამას“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ამ განცხადების შემდეგ დაბეჭდილია „საქართველოს მოამბის“ პროგრამა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე აწერს ხელს.

„საქართველოს მოამბის“ გამოსვლასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო მეტი აღტაცებაა გამოხატული „ცისკრის“ 1863 წლის თებერვლის „თბილისის მიმოხილვაში“, რომელიც ივ. კერესელიძის კალამს ეკუთვნის. ავტორი წერს:

„...პირველს დიდმარხვის კვირას გამოვიდა დიდის ხნითგან მოუთმენლივ მოსალოდნელი „საქართველოს მოამბე“. მართლად და, რომ იტყვიან, გული დატკბაო, — იამა ყოველს ქართველს, ვისაც კი აქვს მცირედიც არის გრძნობა და უყვარს თავისი სამშობლო ენა, ახლა შეგვიძლიან გაბედვითა ვსთქვათ: ჩვენც ხალხში ვურევივართო: ერთი ეურნალის ნაცვლად ორი და სამი გვაქვს, თუ არ შეა-

<sup>1</sup> საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმის ფონდი № 14967-ხ.

ქციეს ქართველებმა ზურგი და გაიტანეს. ყველას გემართებს, ვისაც ეს მისთავისთავის მოვალეობა, შევეწეოდეთ, რაც ღონე და გული მოგვდევს. ნუ ვიტყვი, „ცისკარი“ მოგვდის და „მოამბე“ რა საჭიროაო. ამ აზრით ჩვენ ვერასოდეს ვერ წავაღოთ წინ“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ამავე წერილში ივ. კერესელიც საზს უსვამს. რომ ორივე ქართული ყურნალი. როგორც „ცისკარი“, ისე „საქართველოს მოამბე“ პროგრესული მიზნითულენისაა და ერთს საქმენს ემსახურება: „ერთი ცა და მეორეც მამულს მსახურობენ; ერთი ცა და მეორეც ცდილობენ ერთობის, სიყვარულის და ურთიერთის თანხმობის გავრცელებასა; რა უყოთ თუ თქვა რამე „ცისკარზედა“, სიყმაწვილეს მიეწერება, როდესაც დამწიფდება, მაშინ სულ სსვა აზრისა იქნება“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

1862 წლიდან „ცისკარს“ საგრძნობი გაუმჯობესება დაეცყო. „ცისკარისთვის“ არც უწინ იყო უცხო თვითკრიტიკა, მაგრამ ახლა კიდევ უფრო ცხადად აღიარებს შეცდომებს, რათა ყველას აგრძნობინოს. რომ იგი საბოლოოდ გამობს თავის ნაკლოვანებებს, წარსულის მანკიერ მხარეებს.

„დაარსებიდამ „ცისკარისა“ ამ დრომდინ. — წერს 1863 წლის პირველსავე ნომერში ანტ. ფურცელაძე. — ეს ჯერნალი არ შეჰხებია არც ერთს იმისთანა საგანსა, რომელსაცა მოითხოვდა დროების საჭიროება, ან რომელიც აღმოჩნდებოდა თითონ ხალხის მდგომარეობაში“. ეს მეტისმეტად მკაცრი ანგარიშსწორებაა წარსულთან. მაგრამ მასში გამოხატულია რედაქციის გულისტკივილი.

1863 წელს „ცისკარში“ დაიბეჭდა ანტ. ფურცელაძის 17 თხზულება, ა. წერეთლისა — 12, ლავრ. არდაზიანიასა — 6; ვასილ მაჩაბლისა — 9, გ. დიდებულისა — 8. ივ. კერესელიძისა — 4, ვ. ბარათაშვილისა — 2, ივ. ევლახოვისა — 1. პ. ჩარეჭიშვილისა — 1, ი. მამაცაშვილისა — 1. „ჭვარცხელისა“ (სამ. აბაშიძის) — 1, „ულოდიკოსი“ (დ. ბაქრაძის) — 1, „გვერდოვანელისა“ — 1. ამას გარდა, თხზულებანი: დიპ.

ყიფიანისა — 1 და გრ. ორბელიანისა — 4, რომლებიც, ერთ-  
დროულად, „საქართველოს მოამბეშიაც“ თანამშრომლობ-  
დნენ. დაიბეჭდა აგრეთვე ალ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვი-  
ლის ლექსები.

მხოლოდ ბოლო ნომრებშია დაბეჭდილი ბარბარე ჯორჯა-  
ძისა — 2, თომა მაჭავარიანისა — 1, გრ. რჩეულიშვილისა —  
1 და დ. ბერიძის — 4 ნაწარმოები.

როგორც ვხედავთ, ჟურნალს ტონსა და მიმართულებას აძ-  
ლევდნენ ახალი თაობის წარმომადგენლები.

1863 წელს ჟურნალი ცდილობს მტკიცედ მიჰყვეს ერთ  
კურსს და ერთმანეთის საწინააღმდეგო სტატიებს ადგილი არ  
დაუთმოს. ამიტომ იშვიათი არ არის ასეთი განცხადებები:  
„დიმიტრი თუმანიშვილსა და ირაკლი ლორთქიფანიძეს  
(ორივენი „მამათა“ ბანაკის წარმომადგენლები იყვნენ. ა. კ.):  
თქვენგნით გამოგზავნილი პასუხი „ცისკარის“ რედაქციაში ქე-  
რელი ბექას კრიტიკაზედ არ იბეჭდება“. (აქვე დავსძენთ, რომ  
ირ. ლორთქიფანიძე და დიმ. თუმანიშვილი „ცისკარის“ მუდმი-  
ვი ხელისმომწერი იყვნენ. მათ წერილებს, ცხადია, არც „სა-  
ქართველოს მოამბე“ დაბეჭდავდა და ბუნებრივია, რომ გა-  
ნაწყენებულნი ქართული ჟურნალების გამოწერაზედაც ხელს  
აიღებდნენ)<sup>1</sup>.

ანტ. ფურცელაძე გადმოგვცემს, „ცისკარში“ ამ დროს ავ-  
ტორიტეტად ბელინსკისა ვსცნობდით და სხვას არავის მივს-  
დევდითო. პროგრესული აზრები, რომლებსაც მაშინ „ცისკა-

---

<sup>1</sup> საქართველოს სახ. მუზეუმში (H-3228) დაცულია ირ. ლორთქიფა-  
ნიძის ორი წერილი ივ. კერესელიძისადმი. წერილებში ირ. ლორთქიფანიძე  
მოითხოვს რედაქციამ აუცილებლად დაბეჭდოს მისი სახობბო სტატიეზი  
დ. ბერიევის შესახებ. იგი წერს: „მე გაყვედრით თქვენ უსამართლობას  
უფლის ბერიევისადმი“... „მოწერილი ჩემი არა ღირს ჰყავთ ადგილისა  
„ცისკარშილ“ იმ მიზეზით, რომ ნაწერი ჩემი თქვენის ჰაზრით არ არას  
ქართულის ენით... ეს ცოტაა: თქვენ ნებულობთ, როგორც იმის, თქმასა,  
რომ ვითომც წიგნი, თქვენთან წარმოგზავნილი, მე მომეწეროს თხოვნისა  
გამო უფლის ბერიევისა... მე ვთხოვლობ ჩემის ბარათის დაბეჭდვას  
უთუოთ მაისის თვის „ცისკარშილ“.

რი“ გამოთქვამდა, მხარდამხარ მიჰყვებოდა რუსეთის მოწინავე აზროვნებას<sup>1</sup>.

აკაკი არ დაეთანხმა ანტ. ფურცელაძეს ამაში და იმავე წელს „კვალში“ უპასუხა: — „ცისკრის“ თანამშრომლები მაშინ ჩერნიშევსკისა და პისარევსაც ვიცნობდით და ავტორიტეტებად ვაღიარებდითო.

მართლაც, „ცისკრის“ თანამშრომელნი თავიანთ წერილებში ავტორიტეტებად ასახელებენ და იმოწმებენ ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, გოგოლს, „სოვრემენიკს“; რაც ცხადად მიუთითებს „ცისკრის“ იმდროინდელ მიმართულებაზე.

„ცისკარში“ დაბეჭდილ ანტ. ფურცელაძის სტატიებს შორის იდეური სიმახვილით გამოირჩევა „სურამის ციხის“ გარჩევა (1863, № 1).

წერილში „ქართული ლიტერატურა“ ანტ. ფურცელაძე იძლევა სოციალური უთანასწორობის წარმოშობის მოკლე მიმოხილვას, გვიჩვენებს მისი მოსპობის გარდუვალობას, ახასიათებს რელიგიის კლასობრივ ბუნებას და ილაშქრებს მის წინააღმდეგ.

1862 წლიდან „ცისკარმა“ ვრცლად გააშუქა იტალიის გამათავისუფლებელი ბრძოლის საკითხები და მთელი რიგი წერილები მიუძღვნა გარიბალდის. ამ წერილებს ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლო ენთუზიაზმის გაღვივების ტენდენცია აქვს. „ცისკარში“ წინა პლანზე წამოწეულია გარიბალდის ბრძოლის ხალხური ხასიათი.

ამრიგად, 1863 წელს „ცისკარი“ იმავე იდეურ პოზიციაზე იდგა; რომელზედაც „საქართველოს მოამბე“. „მამათა“ ბანაკს ამ დროს ბეჭდვითი ორგანო არ გააჩნდა. ეს იყო იმ იდეური გავლენის შედეგი, რომელიც ილიამ და მისმა „საქართველოს მოამბემ“ მოახდინა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე. ამ შემთხვევაშიაც მკაფიოდ გამოვლინდა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის რევოლუციური ხა-

<sup>1</sup> ანტ. ფურცელაძე — „მე, პისარევი, სანდალა და კიტა“. „ივერია“. 1894, № 202-303.

სიათი. ივ. კერესელიძე, ლ. არდაზიანი, ალ. სავანელი, რ. ერისთავი, დიმ. ბაქრაძე და წინა თაობის სხვა ქართველი განმანათლებლები, რომლებიც 1861—1862 წლებში დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შორის მერყეობდნენ, 1863 წელს ახალი თაობის პოზიციაზე დადგნენ.

თავისი ერთადერთი სიმდიდრე „ცისკარი“ ივ. კერესელიძემ 1863 წელს მთლიანად გადასცა ილია ჭავჭავაძის იდეურ თანამებრძოლებს — აკ. წერეთელს, ანტ. ფურცელაძეს, ვას. მაჩაბელს, პ. ჩარექიშვილსა და სხვებს. ახალი იდეებისათვის ამაზე მეტი მხარდაჭერა წარმოუდგენელი იყო. შეუძლებელია, „ცისკრის“ რედაქტორს ან სხვა განმანათლებელს არაგულწრფელობა შეეწამოთ ამასთან დაკავშირებით. მატერიალურად, ჩამორჩენილ მკითხველთა მხარდაჭერის თვალსაზრისით, ცხადია, მისთვის გაცილებით ხელსაყრელი იქნებოდა, რომ ჟურნალი „მამების“ ხელში ჩაეგდო.

ასეთი გარდატეხა მოახდინა ილია ჭავჭავაძემ და მისმა ჟურნალმა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ვისაც სამშობლოს კეთილდღეობა ასულდგმულებდა, მას ადარე შეეძლო ძველი გზით სიარული. საჭირო იყო განახლება, გადახალისება, წინსვლა,

1863 წლის დასაწყისში როგორც „სამოციანელები ქართველოს მოამბე“, ისე „ცისკარი“ „ცისკარში“ 1868 წ. ილია ჭავჭავაძის იდეურ თანამებრძოლთა ხელში იყო, ძველი თაობის წარმომადგენლებს — „მამებს“ საკუთარი ბეჭდვითი ორგანო არ გააჩნდათ. ისინი სხვა გზითა და საშუალებებით აწარმოებდნენ ახალი თაობის წინააღმდეგ ბრძოლას. „ცისკრის“ ფურცლებიდან ადარ იმის ირ. ლორთქიფანიძის, გრიგოლ ბარათაშვილის, ალ. სულხანიშვილის, რევაზ ერისთავის, ალექსანდრე ორბელიანის, სარდიონ მესხიშვილისა და ძველი თაობის სხვა წარმომადგენელთა ხმა. „ცისკარს“ ილიას იდეური თანამებრძოლები: ანტ. ფურცელაძე, აკაკი წერეთელი, ვასილ მაჩაბელი, მიხ. ყიფიანი, პ. ჩარექიშვილი, ს. აბაშიძე და სხვანი ამოძრავებენ. პრინციპულ საკითხებში ისინი იმავე აზრებს ქადაგებენ, რასაც „საქართველოს მოამბე“ და ილია ჭავჭავაძე.



ეს საკითხებია: ბრძოლა ბატონყმობისა და, საერთოდ, სოციალური უსამართლობის, ეროვნული ჩაგვრისა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ; ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და პრესის საზოგადოებრივი დანიშნულების პროპაგანდა და, ამის შესაბამისად, კრიტიკულად რეალიზმის დამკვიდრებისათვის ბრძოლა; სალიტერატურო ენის დემოკრატიზაცია, ათეიზმი და ა. შ.

ამასთან ერთად, ქართველ სამოციანელებს ყველა საკითხზე ერთნაირი შეხედულება არ ჰქონდათ. სამართლიანად შენიშნავს ნიკო ნიკოლაძე: „...ვინ არ იცის, რომ ყველაფერში ორი ან სამი კაცი თანახმა იშვიათად იქნება. განა ამ სტრიქონების დამწერი ყველაფერში ეთანხმება, მაგალითად, გ. წერეთელს, ილ. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელს ან ს. მესხს? ან, განა ესენი ყველაფერში ეთანხმებიან იმას? არა. ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვებზე ჩვენ სხვადასხვა აზრისა ვართ, მაგრამ ჩვენ საზოგადო მიზანი ყველას ერთი და იგივე გვაქვს და უნდა გვექონდეს“.

როგორც ირკვევა, ილია ჭავჭავაძის ის თანამებრძოლები, რომლებიც „ცისკარში“ დარჩნენ, ზოგიერთ „წერილმან აზრებსა და წერილმან საგნებზე“ მართლაც არ ეთანხმებოდნენ „საქართველოს მოამბეს“.

ანტონ ფურცელაძე, მაგალითად: თავიდანვე არ თანაუგრძნობდა თერგდალეულთა გალაშქრებას „ცისკრის“ ზოგიერთი პოპულარული თანამშრომლის წინააღმდეგ. ამ გარემოებამ ვადაწყვიტა მისი „საქართველოს მოამბესთან“ ურთიერთობის საკითხი. მას შესაძლებლად მიაჩნდა აგრეთვე ახალთაობის წარმომადგენელთა „ცისკარში“ თანამშრომლობა. მაგრამ ცნობილია, რომ ანტ. ფურცელაძე ი. ჭავჭავაძის აღტაცებული და გულწრფელი თაყვანისმცემელი იყო.

ილია ჭავჭავაძის წერილებმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ანტონ ფურცელაძეზე. 1863 წელს, როცა თავადაზნაურობა მოკვლით ემუქრებოდა ილიას, — გლეხთა მიწიანად განთავისუფლება რათ მოითხოვეო, — ანტონ ფურცელაძე:

ქრ. მამაცაშვილთან ერთად, იარაღით თან დაჰყვებოდა ახალი თაობის იდეურ მეთაურს მტრებისაგან დასაცავად.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების პირველი ბრწყინვალე დახსიათებაც ანტ. ფურცელაძემ მოგვცა 1864 წელს, წერილში „კაცია აღამიანის?!“ შესახებ.

„ცისკარში“ დარჩენას ანტ. ფურცელაძე ასე ამართლებს: „... ბარბარე ჯორჯაძისამ გამოსთქვა თავისი აზრები. მის მაგიერათ, რომ წაეხალისებინათ ეს, ქალებში პირველად გამოსული მწერალი, რომ სხვებსაც მიეზიდათ მისთვის, მიჰყვეს პირი და ვინ იცის რაები არ აკადრეს. ამასაც არ დასჯერდნენ, როგორც ითქვა, აუტეხეს „ცისკარს“ ბრძოლა, მის მაგიერათ, რომ მიეცათ ამისთვის პირი, ჩაეგდოთ ეს უურნალი ხელში და გაეძლიერებინათ, ჩაეყარათ მისთვის მკვიდრი საძირკველი“<sup>1</sup>.

აქვე დავსძენთ, რომ როცა საკითხს იმ პერიოდის იდეური ბრძოლის თვალსაზრისით ვუდგებით, აშკარა ხდება ანტ. ფურცელაძის შეცდომა. როგორც ზემოთ ვთქვით, ახალი იდეების გამარჯვებისათვის ახალი ორგანოს დაარსების ფაქტს უკვე თავისთავადაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მასში თანამშრომლობას მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო.

აკაკი წერეთელიც ამ მიზეზით დარჩა „ცისკარში“ და მხარი დაუჭირა ამ უურნალის პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულებით წარმართვას. არც ის თანაუგრძნობდა „საქართველოს მოამბის“ დამოკიდებულებას ძველი თაობის ზოგიერთი წარმომადგენლისადმი.

საყურადღებოა, რომ აკ. წერეთელმა ლექსი მიუძღვნა და დიდი ქებაც შეასხა ახალთაობის ერთი ნაწილის მიერ გაკიცხულ ბარბარე ჯორჯაძისას. ამან ახალი თაობის აღნიშნული ნაწილის უკმაყოფილებაც გამოიწვია. „დროებაში“ დაიბეჭდა ბეთანელის წერილი, რომელშიაც ძველი თაობის მწერლებისადმი აკაკის დამოკიდებულება დანაშაულადაა გამოცხადებული. ამის თაობაზე აკაკი წერდა: ... მე არ ვეხები გარეშე კერძობით ღირსებებს კ. ბ. ჯორჯაძისას, მაგრამ ვაქებ ვი-

<sup>1</sup> ა. ფურცელაძე. „ვინ არის საზიზღარი?“ საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდი № 5915-ბ.

თარცა მწერალ ქალს, რადგანაც ამ ჩვენს დაცემულს დროში ქალის მწერლობით შრომას დიდათ ვაფასებ... ჩვენი ქალები არ ეძებენ წერა-კითხვას, ერცხვინებათ, ეთაკილებათ და კ. ბ. ჯორჯაძისა კი გამოჩნდა და მართალია თავისთავად გენიოსურს ვერას შეგვეძენს, მაგრამ მაინც სანუღეშო და სასიხარულოა მისი გამოჩენა, რადგანაც სხვებს მაგალითს აძლევს...

... ისეთი დაცემულია ჩვენი საზოგადოება, რომ მთელს საქართველოში ათასში ერთ ქალს ვერ მიხევენებთ, რომ არ ჰკიცხავდეს ყოველიფერს და ეთაკილებოდეს ქართული ენა, ათს დედა ქალს, რომელიც რომ ქართულად რამეს ჰკითხულობდეს და რომ თვითონაც სწერდეს, დღეს ვერავის ეხედავთ გარდა კ. ბ. ჯორჯაძისა. ახლავე თქვენვე გპკითხავთ — ამ შემთხვევაში საქებია კ. ბ. ჯორჯაძის ქცევა, თუ არა?.. ვინ უფრო საქებია თქვენის აზრით: ის ქალები, რომელნიც უსაქმურად ატარებენ დროს და თითქმის ჰკიცხავენ ყოველივე ქართულს, თუ ის, რომელიც არა თუ ჰკიცხავს, თანაუგრძნობს და მაგალითსაც აძლევს სხვებს: შეძლებოდა გვარად სწერს და კითხულობს? თქვენ ეს როგორც გეტყობათ, არაფრად მიგაჩნიათ, რომ ყოველივე დროსი და ადგილის მიხედვით ფასდება?.. თქვენ უცხო ქვეყნის სათვალეებით დაჰყურებთ ჩვენს საზოგადოებას...

„თუმცა თქვენ მოინდომებთ მის დამტკიცებას, რომ მისი [ბ. ჯორჯაძის] თხზულებები, აგრეთვე ბერიფეისა და რჩეულოვისა არ იყონ კრიტიკის ღირსი, მაშინ დიახაც გამოგიჩნდებიან მოპასუხენი და დაგიმტკიცებენ, რომ მათ თხზულებას დროებითი მნიშვნელობაცა ჰქონიათ და სარგებლობაც მოუტანიათ“.

1893 წელსაც აკაკი წერეთელმა „კვალში“ დაბეჭდა წერილი „გახსენება“, რომელშიაც იგი ვრცლად განიხილავს „ცისკარში“ მისი დარჩენის მიზეზებს და გულახდილად წერს იმ განსხვავებაზე, რომელიც „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბის“ ჯგუფს შორის არსებობდა ძველი თაობის ცალკეული წარმომადგენლისადმი დამოკიდებულების საკითხში. აკაკი წერს: „ამ ოცდა ათის წლის წინედ, როდესაც

„ცისკარი“ გამოდიოდა, პირდაპირ და შეუპოვრად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზედ ერთი ახალგაზრდა ქალი და ეს ქალი იყო კნ. ბარბარე ჯორჯაძისა. იმან არ მიაქცია ყურადღება ძველი თაობის კიცხვა-გინებას და მშვენიერი ლექსებით აცხადებდა თავის გულისპასუხებს; მოსთქვამდა წარსულზედ. შეფრქვევით უგალობდა მომავალს და უსიტყვოდ არ აგდებდა აწმყოს ავ-კარგიანობას. ამ გვარი მოვლინება, რასაკვირველია, სასიამოვნო იყო და მაშინდელი ახალთაობაც უნდა სიამოვნებით მიგებებოდა და მხარი მიეცა, მაგრამ მისდა საუბედუროდ, მაშინ პოეზიისათვის მეტად ცუდი დრო იყო. მწერლობაში მხოლოდ ცარიელი სიტყვების ბრაზა-ბრუნსა და თუთიყუშივით გამეორებულს სხვების აზრს ჰქონდა პატივი. ვინც ამ კანონს არ ემორჩილებოდა, იმაზედ ახალთაობას იერიში მიჰქონდა და ბევრსაც გააგდებინეს კალამი ხელიდან. მაგალითებრ: თავადი რევაზ შალვასძე ერისთავი სწერდა ლექსებს, და იმ დროს შესაფერად არც ურიგოს, თარგმანითაც ბევრს თარგმნიდა, სხვათაშორის ეთარგმნა კანლოვის პოემა „შეშლილი“ და ისე შეანანეს მას შრომა, რომ საუკუნოდ ხელი ააღებინეს წერაზედ. ამგვარივე დღე დააყენეს ბევრს სხვებსაც, მაგრამ კნ. ბარბარე ჯორჯაძისამ კი იარაღი არ დააგდო, შეებასა ახალ თაობის მეთაურებს და მაშინ... ატყდა ერთი ალიაქოთი... \* ქალის მხარეს იჭერდნენ: მაგალითად, ალ. ორბელიანი, ი. კერესელიძე, ლ. არდაზიანი და სხვები. საიდუმლოდ დიმ. ბაქრაძეც მიუდგა. ახალ თაობიდანაც ერთი ორი მიუდგა“.

მოტანილი და მთელი რიგი სხვა საბუთების საფუძველზე უნდა უარგყოთ ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულება, თითქოს, ა. წერეთელი, ისე როგორც ანტ. ფურცელაძე, ილიასთან პირადი უკმაყოფილების ნიადაგზე დარჩა „ცისკარში“. ჩვენს საამაყო მოღვაწეებს უსაფუძვლოდ ვერ შეესწამებთ მწვავე იდეური ბრძოლის დროს ასეთ უპრინციპობას.

როგორც აკაკიმ განაცხადა ი. ჭავჭავაძის დასაფლავებაზე, მათ შორის მუდამ მეგობრული და გულთბილი დამოკიდებულება არსებობდა. ისინი „ნახევარსაუკუნის განმავლო-

ბაში ერთს უღელს ეწეოდნენ, ერთი გზით ვიდოდნენ“. ილიასა და აკაკის მტკობრობა თავიდანვე სამშობლოს ბედნიერებისათვის საერთო ბრძოლის შეგნებაზე, იდეურ თანაზიარობაზე იყო დამყარებული. თაობათა ბრძოლის დროსაც ისინი ყველა პრინციპულ საკითხში ერთ პოზიციაზე იდგნენ, მხოლოდ ერთ საგანზე პქონდათ განსხვავებული შეხედულება: ეს იყო ძველი თაობის ზოგიერთი წარმომადგენლისადმი დამოკიდებულების საკითხი. აკაკი „ცისკარში“ დარჩა, ილიამ ახალი ორგანო დააარსა, მაგრამ მათ იდეურ მეგობრობასა და ერთმანეთისადმი უღრმეს პატივისცემას ეს ხელს არ უშლიდა. „ცისკრის“ ფურცლებზე აკაკიმ პირველად გაამუქა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების უდიდესი მნიშვნელობა. ახალგაზრდა ილია შოთა რუსთაველსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს გაუხწორა და ეს აზრი ღრმად დაასაბუთა<sup>1</sup>.

აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ისტორიული თვალსაზრისით ანტ. ფურცელაძე და აკ. წერეთელი ძველი თაობის მწერალთა (ბარ. ჯორჯაძე, დიმი. ბერივევი, რევ. ერისთავი და სხვ.) სწორ შეფასებას იძლევიან, მაგრამ იმ დროის იდეური ბრძოლის ინტერესების თვალთახედვით ამ შემთხვევაშიაც უდავოდ ილია ჭავჭავაძე იყო მართალი. აღნიშნულ მწერალთა იდეურად მანკიერი და მხატვრულად სუსტი ნაწარმოებებისადმი მკაცრი დამოკიდებულებით ილია მიზნად ისახავდა არა მათი ისტორიული დამსახურების უარყოფას, არამედ იმ ნაკლოვანებებისა და იდეური შეხედულებების გადაჭრითა და დაუნდობლად დაგმობას, რომლებსაც იმ დროს კონკრეტულად ეს მწერლები განასახიერებდნენ. შემდეგში ილიაც სათანადოდ აფასებდა აღნიშნულ მოღვაწეთა როლს ქართული კულტურის განვითარებაში.

1863 წლის თებერვალში „ცისკრის“ რედაქციამ განსაკუთრებული განცხადებით აუწყა მკითხველებს ჟურნალში აკაკის მუღმივი თანამშრომლობა:

---

<sup>1</sup> ამავე პერიოდში (1862-63 წ. წ.) ი. ჭავჭავაძეც მეტად მაღალ შეფასებას აძლევდა ა. წერეთლის პოეზიას. „მასალებში „ცისკრის“ წარმოების გასარჩევად“ მას ამოწერილი აქვს აკაკის რამდენიმე ლექსი მიწაწერიტ: „კარგია“.

„ვახარებთ ჩვენს „ცისკრის“ მკითხველებს, რომ ჩვენმა გამოჩენილმა მოლექსემ თ. აკაკი წერეთელმა მიიღო „ცისკარში“ სამუდამოდ დავალებითი თანამშრომლობა. ახლა წავიდა პეტერბურლში, საიდანაც აპირებს სამზღვარს გარეთ გასვლას სწავლის შესამსებლად და დიდი იმედი აღგვითქვა იქიდან შემწეობის მოცემაზე“.

მართლაც, აკაკიმ დიდი ნაყოფიერება გამოიჩინა, გაამდიდრა და დაამშვენა „ცისკარი“ იდეურად მძაფრი და მხატვრულად უზადო ლირიკული ლექსებით.

რევოლუციური პათოსით აღსავსე, დემოკრატიული იდეებით გაყენილი აკაკის ლექსები ფართოდ იკვლევდა გზას დაბალ ხალხში, მშრომელ მასებში. მიჰქონდა იქ პროგრესული, მებრძოლი იდეები და მომავლის რწმენა. „ცისკარი“ ხელს უწყობდა ხალხის მასების გამარევოლუციონერებელი მასალების გავრცელებას. „... მისი (აკაკის) ლექსი როცა „ცისკარში“ იბეჭდებოდა, იმ ნომერს ყოველთვის უფრო მეტს ვბეჭდავდი... მიტომ, რომ ხალხში ძალიან კითხულობდნენ აკაკის ლექსებსო“. — იგონებს „ცისკრის“ რედაქტორი<sup>1</sup>.

საკმარისია წავიკითხოთ „ცისკარში“ დაბეჭდილი აკაკის ლექსები: „მოგონება“ (მიუძღვნა დ. ჭონჭაძეს. ა. კ.), „სიმღერა მკის ღროს“, „იმერული ნანინა“, „ვედრება“, „მუშური“ და სხვა, რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, თუ რა მიმართულება ჰქონდა 1863 წელს „ცისკარს“.

ამავე პერიოდში „ცისკარში“ აქტიურად თანამშრომლობდნენ ცნობილი სამოციანელები: სამსონ აბაშიძე („ჯვარელის“ ფსევდონიმით), მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი, პეტრე ჩარეჭიშვილი, ვასილ მაჩაბელი და სხვა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მათგანი (სამს. აბაშიძე) ერთდროულად თანამშრომლობდა „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“.

ივ. კერესელიძეს გულითადი დამოკიდებულება ჰქონდა „ცისკრის“ თანამშრომელ სამოციანელებთან. იგი ყოველმხრივ ხელს უწყობდა მათ, და ისინიც გულწრფელი პატივისცემით იყვნენ გამსჭვალული „ცისკრის“ რედაქტორისადმი.

<sup>1</sup> ზ. ჰიჭინაძე, ივ. კერესელიძე, 1902.

არჩილ ჯორჯაძის წინააღმდეგ დაწერილ სტატიაში ანტ. ფურცელაძე წერს: „მისდგომიხართ და აფურთხებთ ამგვარ კაცს საფლავეში (ი. კერესელიძეს), ჰყოფთ მისს, რიგიან საზოგადოებაში სადიდებელს სახელს საგმობლად, წყევლით მოსაგონებლად... გავიწყდებათ, რაც სამსახური გაუწია ამ ჟურნალს და ქვეყანას მისმა გამომცემელმა კერესელიძემ... ეს ყოველად უსახსრო კაცი შეუდგა ამ ჟურნალის გამომცემას უფულოდ, უქაცოდ... თავისი ჯანი, თავისი ღონე, თავისი სიცოცხლე ჩააყარა საზოგადო საქმეს, ჩაუყარა პირველმა საძირკველი ქართულს მწერლობას, ჩვენს ჟურნალისტიკას, ჩვენს საზოგადო აზროვნებას“<sup>1</sup>.

ივ. კერესელიძემ დიდი როლი შეასრულა აკაკის ლიტერატურულ ცხოვრებაში. აკაკი გარკვევით წერს, რომ იგი ივ. კერესელიძის წყალობით შერჩა მწერლობას.

ლექსს „საიდუმლო ბარათი“, რომელიც „ცისკრის“ 1860 წლის იანვრის ნომერში დაიბეჭდა, ივ. კერესელიძემ აკაკის დაუკითხავად მოაწერა: „აკ. წერეთელი“. აკაკი გაწყრა.

ახალგაზრდა პოეტს ივ. კერესელიძემ გულთბილი, გამამხნევებელი წერილი მისწერა, რომელშიც მეგობრულად უხსნიდა საქმის ვითარებას: „ძმაო აკაკი წერეთელო იმერლობას ნუ გამოიჩენ და ნუ გაფხუკიანდები, რომ შენი სამაგალითო ლექსი „საიდუმლო ბარათი“ დავბეჭდე და უშენოდ შენი სახელი და გვარი მოვაწერე და არა მარტო უმნიშვნელო ორა ასო. აი, რა იყო მიზეზი: ჩვენი პლატონი, ფილოსოფოსი, ასწავლის ბარიათინსკის ქართულს, იმას უჩვენებია შენი ლექსი მისთვის და დიდად მოსწონებოდა; დამიბარა მე, და როდესაც გაიგო ჩემგან შენი ვინაობა, მიბრძანა, რომ მისი სახელი და გვარიც მოაწერეო. მეც რაღა გზა მქონდა?! მაინც რა არის ეგ იმერული სიფრთხილე, რომ შენს ლექსებს სახელს არ აწერ? ყველას ძალიან მოსწონს შენი ლექსები, განსაკუთრებით ქალებს, იმღერიან კრდეცა. აბა შენ იცი, თუ მომაშველებ მალე-მალე. შენი ივანე“.

<sup>1</sup> „ბათუმის გაზეთი“, 1912, 141.

ამ წერილის მნიშვნელობას თვითონ აკაკი წერეთელი ასე განსაზღვრავს:

„ეგებ რედაქტორმა, როგორც ყმაწვილის გულგასაკეთებლად ისე მოიწერა, მაგრამ მე კი დავიჯერე და დიდათაც მეფონა, რომ ყურადღებასაც მაქცევენ-მეთქი... იმ დღიდან კი გადავწყვიტე, რომ მწერლობას გამოვდგომოდი და თუ ვინმე ჩამომამორებდა, ის კომისნებაზე მიმეშვა“. (ხაზი ჩვენი. ა. კ.).

ასეთი ტაქტიკით, სიფრთხილითა და გულისხმიერებით უღებოდა ივ. კერესელიძე ყველა ახალგაზრდა მწერალს; ამიტომაც დაბეჯითებით აღნიშნავენ ანტ. ფურცელაძე, პეტრე უმიკაშვილი, აკ. წერეთელი, ზაქ. კიკინაძე და სხვანი, რომ ივ. კერესელიძემ ააღებინა ხელში კალამი და შეასწავა წერას ბევრი ჩვენი მწერალიო.

ცნობილია, რომ აკაკი თავიდანვე მეტად მკაცრად და პრინციპული ავტორი იყო, ამიტომ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებთან ხშირად მოსდიოდა უკმაყოფილება. ამგვარი უკმაყოფილება აკაკის ივ. კერესელიძესთანაც მოსვლიდა. მაგრამ მცირე ხნით. 1860 წელს აკაკი დედას ატყობინებდა პეტერბურგიდან, ივ. კერესელიძემ ლექსები წამიხდინა თავისებურად და ამის შემდეგ მას აღარაფერს გაუუგზავნიო. აკაკის იმ დროს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა მძიმე ცენზურულ პირობებში იმყოფებოდა ქართული ჟურნალი, არ იცოდა, რომ ცენზურისაგან ასევე „წახდენილი“ იყო „ცისკარში“ დაბეჭდილი ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანისა და თვითონ ივ. კერესელიძის ლექსებიც.

მაგრამ, აკაკიმ მალე იგრძნო თავისი შეცდომა, დარწმუნდა, რომ „ლექსის წახდენაში“ ივ. კერესელიძეს არავითარი ბრალი არ მიუძღოდა; ამის შემდეგ კიდევ უფრო მჭიდროდ დაუახლოვდა „ცისკარს“.

1862 წელს აკ. წერეთელმა პირადადაც გაიცნო ივ. კერესელიძე. „მამათა“ და „შვილთა“ შორის ამ დროს მწვავე ბრძოლა იყო გაჩაღებული და „ცისკარის“ რედაქტორთან აკაკის შეხვედრას სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა. „მეორე დღესვე ადრე წავედი „ცისკარის“ რედაქტორის სანახავად, —



წერს აკაკი, — რომელსაც პირადად ვერ ვიცნობდი და მიწერ-მოწერით კი დიდი ხნის მეგობრები ვიყავით“. (ხაზი ჩვენი. ა. კ.). ივ. კერესელიძესთან შეხვედრის დროს აკაკი კიდევ უფრო დარწმუნდა, რომ „ცისკრის“ რედაქტორი გულმხურვალე პატრიოტი, ლიტერატურისა და კულტურის თავდადებული მოღვაწე და პროგრესული მოაზროვნე იყო<sup>1</sup>. აკაკი რომ, თითქოს, ილიასთან პირადი უკმაყოფილების გამო დარჩა „ცისკარში“, ჩვეულებრივ, იმოწმებენ ერთ ადგილს მისი წერილიდან კირ. ლორთქიფანიძისადმი: „კერესელიძეს რაღათ მივსცემ (ლექსებს. ა. კ.) თუკი შენისურვილი იქნება. მაგრამ რა ვქნა, რომ ილიკო ჭავჭავაძე ჩემი მაგინებელია. მის სტატიას, რომ შემეხვეწოს, არ დავბეჭდავო, — ასე ამბობდა“<sup>2</sup>.

რა ირკვევა ამ წერილიდან? — კირ. ლორთქიფანიძეს წინადადება მიუცია აკაკისათვის „საქართველოს მოამბეში“ ეთანამშრომლნა. ცხადია, ამ წინადადების მიცემა კირ. ლორთქიფანიძეს მხოლოდ ილია ჭავჭავაძის დავალებით შეეძლო. კირ. ლორთქიფანიძის წერილი აკ. წერეთლის „ცისკრიდან“ გადაბირების ცდას წარმოადგენდა, ხოლო აკაკის პასუხი ამ წინადადების უარყოფას. თავის უარის გასამართლებლად აკაკის ილიასთან ცუდი განწყობილება მოუმიზეზებია. ნამდვილ მიზეზს კირ. ლორთქიფანიძეს აკაკი ამ დროს აღარ გაუმჟღავნებდა, რადგან რამდენიმე ხნის წინ მან ურჩია კირ. ლორთქიფანიძეს არ გაელაშქრნა ლავრ. არდაზიანის წერილის — „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზე“ — წინააღმდეგ. აკაკის რჩევის მიუხედავად, კირ. ლორთქიფანიძემ ლ. არდაზიანი არ დაინდო.

ივ. კერესელიძეს გულით უნდოდა დაებეჭდა „ცისკარში“ აკაკის ლექსი „სიმღერა“, მაგრამ ცენზურის თვალისახვევა ადვილი არ იყო. ბოლოს იძულებული გახდა ხერხი ეხმარა. აკაკი ასე იგონებს ამ ამბავს:

„იმ დროში არა თუ ულიდენ ნაწერებს

<sup>1</sup> „კვალი“. 1893, 2.

<sup>2</sup> გ. წერეთელი, ტ. 1, გვ. 399 (ს. ხუნდაძის შენიშვნები).

ცენზორები, თავისასაც ჩააწერდნენ ხოლმე სამაგიეროს და ისე იბეჭდებოდა.

„ერთხელ კერესელიძესთან შევედი, გახარებული დამხვდა: გავაშვებინე შენი ლექსიო! დიდ უარზე კი იდგა, სანამ სათაური არ გამოცვალეს და „სიმღერის“ მაგიერ ასე დავაწერეო: „დიდის მთავრის მობრძანების დროს ახალთაობა უგალობს საქართველოს...“

აი, ხერხს რა შეუძლიან!.. მოჰყვა კითხვა: „სამეფო ოქველთა ოქველო“ და სხვა. ამგვარი რამ გადაგვხდია და ბევრი სიმწარეც გამოგვივლია ცენზორების ხელშიო“<sup>1</sup> (ხაზი ჩვენია. ა. კ.)

ასეთი ხერხებით ივ. კერესელიძემ ბატონყმობისა და უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული ლექსების მთელი სერია დაბეჭდა „ცისკარში“. „გლახის აღსარება“, რომელიც 1863 წლის მაისში დაიბეჭდა, კინალამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა პოეტს. „... ამ ლექსმა, — წერს ის, — რომელიც ბატონყმობის გადავარდნამდეა დაწერილი, ძალიან უსიამოვნება გამოიწვია თავადებში და ბევრი მტერიც შემძინა. ერთმა მათგანმა, თავადმა მიქელაძემ, სასიკვდილოდ შემომიტია და ალაღბელზე გადამარჩინეს“<sup>2</sup>.

ახალგაზრდა პოეტის მჩქეფარე გაქანებისათვის ივ. კერესელიძეს ფრთები კი არ შეუკვეცავს, არამედ ყოველგვარი შემწეობითა და თანაგრძნობით ფართო გასაქანი მიუცია შემოქმედების ასპარეზზე.

ამრიგად, სამოციანელები „ცისკარში“ თანამშრომლობდნენ ივ. კერესელიძესთან იდეური სიახლოვისა და მისი ჟურნალისადმი ნდობისა და პატივისცემის შეგნებით.

მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს მოამბე“ და „ცისკარი“ 1863 წელს ერთ იდეურ პოზიციაზე იდგა, მათ შორის მაინც მწვავე პოლემიკა გაჩაღდა. მაგრამ, ცხადია, ეს პოლემიკა ორ იდეურ ბანაკს შორის ბრძოლის გამოხატულებას არ

<sup>1</sup> აკაკი. „მცირე შენიშვნა“. „კრებული“, 1897, № 7.

<sup>2</sup> „თემი“, 1912, № 28.

წარმოადგენდა. კამათი მიმდინარეობდა თვით ქართველ სა-  
მოციანელთა, ახალი თაობის წარმომადგენელთა შორის. გა-  
ვიხსენოთ თუნდაც, რომ „ცისკრის“ სახელით „საქართველოს  
მოამბეს“ ეკამათებოდა ანტონ ფურცელაძე — ახალი თაობის  
ერთი თვალსაჩინო მებრძოლთაგანი, რომელიც ამ წერილებში  
უაღრესად რადიკალურ-რევოლუციურ იდეებს ქადაგებდა. ეს  
იყო მოწინავე პოზიციებიდან გაჩაღებული ურთიერთ კრიტი-  
კა. ამ კამათის გაგრძელებად მიგვაჩნია 1871 — 1872 წწ.  
„კრებულსა“ და „მნათობს“ შორის გაჩაღებული მეტად მწვავე  
პოლემიკა, რომელსაც არც ერთი მკვლევარი არ თვლის ორ  
იდეურ ბანაკს შორის ბრძოლის გამონახატულებად. ვფიქრობთ,  
ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს პროგრესულ მოღვაწეთა  
ლიტერატურულ პაექრობასთან.

„საქართველოს მოამბის“ მიერ წამოწყებული პოლემიკა  
სავსებით გამართლებული და აუცილებელი იყო. ახალი ქურ-  
ნალი თავს უსხმოდა „ცისკრის“ წარსული მუშაობის ნაკლო-  
ვანებებს, მის მანკიერ მხარეებს და ამით ანგარიშს უსწორებ-  
და წარსულის ჩამორჩენილობას, უფრო მკაფიოდ უჩვენებდა  
მკითხველს ახალი ქურნალის მიმართულებასა და მიზანდასა-  
ხულობას. ამასთან ერთად, „ცისკრის“ წარსული ნაკლოვა-  
ნებების დაუნდობელი კრიტიკით „საქართველოს მოამბე“  
ცდილობდა საბოლოოდ გადაეჭრა ამ ქურნალისათვის უკან  
დასახევი გზა, შთაენერგა ყველასათვის ახალი მიმართულე-  
ბის სული და აღეკვეთა წინა თაობის მერყეობა, დაენახვები-  
ნა მათთვის თავიანთი შეცდომები და ნაკლოვანებები, განე-  
მტკიცებინა მათი რწმენა აქლისადმი.

როგორც ვხედავთ, „საქართველოს მოამბის“ პერიოდში  
„მამათა“ ბანაკის ხმა აღარ ისმოდა ქართულ პრესაში. ილია  
ჭავჭავაძის ახალი აზრები მთლიანად დაეუფლა ორივე ქურ-  
ნალს. ახალ თაობას იერიში მიჰქონდა იმ მოღვაწეებზე, რომ-  
ლებიც ძველსა და ახალს შორის „თანხმობას“ ქადაგებდნენ;  
„თანხმობის“ ლიბერალური თეორიის კრიტიკა ბასრ მახვილს  
წარმოადგენდა რეაქციულ ძალებთან ბრძოლაში, რომლებიც

ამ პერიოდში სხვა გზით აწარმოებდნენ ახალი თაობისა და ახალი ჟურნალის წინააღმდეგ გალაშქრებას.

რეაქციონერთა გალაშქრება ქართული ჟურ- ნალების წინა- აღმდეგ	„საქართველოს მოამბისა“ და „ცისკრის“ პროგრესულმა მიმართულებამ, ამასთანავე, ამ ჟურნალებს შორის გამწვავებული პოლემიკამ მკითხველი საზოგადოების სასტიკი პროტესტი გამოიწვია.
---	--

როგორც ვთქვით, მკითხველთა დიდ ნაწილს კონსერვატორები შეადგენდნენ. ამათ ბოიკოტი გამოუცხადეს ორივე ჟურნალს და, რათა სიცოცხლე მოესწრაფათ მათთვის, უარი განაცხადეს ხელმოწერის დარჩენილი თანხის გადახდაზე.

1863 წლის შემოდგომაზე ორივე ჟურნალის რედაქციისათვის ამკარა გახდა, რომ 1864 წელს არც ერთ მათგანს ხელისმომწერი არ ეყოლებოდა და დაიხურებოდა.

ამ პერიოდში ორივე ჟურნალი გამოსატავს საზოგადოების მტრული დამოკიდებულებით გამოწვეულ შეშფოთებას. ისინი არა მარტო მკითხველთა მერყევი ნაწილის დარწმუნებას ცდილობენ, არამედ თავს ესხმიან ჟურნალისადმი მტრულად განწყობილ წრეებს; ეტყობა, საცენზურო რეპრესიებსაც „მამებს“ მტრული საქმიანობით ხსნიან.

„ცისკრის“ აგვისტოს (1863 წ.) ნომერში „ჯვარელი“ ორივე ჟურნალს სახელით გამოდის და შეშფოთებულ საზოგადოებას ასე უხსნის ახალი თაობის ბრძოლის მიზნებს: „.....ასე ფიქრობენ შენი თვალგამოხელილი შვილები, რომ შენს მორჩენას და გამოღვიძებას თითქო არა ეშველება რა. ვინც შენ გზას გიჩვენებს, ან სიმართლეს გეუბნება, იმას მტრად თვლი. ჩემი სიკეთე არ უნდაოდ და სდევნი საფლავამდე! ღვთის გული-სათვის, გასწორდით, გამოიღვიძეთ, კმარა ამდენი ხნის მცონარება. აი, ამიტომაც აღიძრა შენი შვილები შენზედ, იმათ გული უკვდება, შენ ეგრე დაცემულს და მიწასთან გასწორებულს რომ გიყურებენ... ზახათი-

თა და ზნეობით ისე დაეცი, რომ თავის დღე-  
შეიაც არ ყოფილხარ ასე...“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ამ დროს „საქართველოს მოამბე“ მეტად მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იყო, მაგრამ ილიამ საზიანოდ ჩათვალა საზოგადოებისათვის შეეჩივლა თავისი გასაქირი; ივ. კერესელიძემ კი ოსევ იკადრა დაბლა დაშვება და ძველებური თხოვნა-მუდარა გააჩადა. 1863 წლის სექტემბრის ნომერში იგი აცხადებდა: „ცისკარის“ მკითხველებთან დიდ ბოდიშს მოვიხდით ასე დაგვიანებისათვის... მიზეზი დაგვიანებისა ეს გახლავთ, რომ რამდენხუდ შემოსატანი ფული დარჩომილა და დღევანდლამდინ არ შემოაქვსთ. მეტი გზა არ არის, უნდა ისევე ჩვენი ვეცადნეთ და ყოველის ღონისძიებით იანვრამდინ გავასწოროთ ქურნალის გამოცემა. (ხაზი ჩვენია. ა. კ.). იმათ, კი ვიხედაც ფული დარჩომილა, ვსთხოვთ, ღროით შემოიტანონ და ამახედ მეტს ზარალში აღარ შეიყვანონ რედაქცია“.

როგორც ვხედავთ, 1864 წლიდან ივ. კერესელიძეს ქურნალის გამოცემის იმედი აღარ ჰქონია.

შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში ორი ქურნალის სოლიდარობის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ 1863 წლის ბოლოს „ცისკარში“ გამოქვეყნებული მოწოდებები მკითხველთადმი.

„ცისკარის“ 1863 წლის დეკემბრის ნომერში რედაქტორმა მხურვალე მოწოდებით მიმართა საზოგადოებას — თანაგრძნობით მოჰკიდებოდა ორივე ქურნალს — როგორც „ცისკარს“, ისე „საქართველოს მოამბეს“, ხელი მოეწერათ მათზე და ეხსნათ ისინი მოსპობისაგან.

რედაქტორი წერდა: „...ამ წელიწადს, ამ ახალს დამდეგს წელიწადს ჯერ ორმოცდაათი ხელმომწერი, თუნდა ვთქვათ, სამოცია; მთელს იმერეთში, გურიაში, აფხაზეთში და სრულიად საქართველოში სამოცი გახლავან; ვინც წინ წავა, ჩვენ უკან და უკან მივიღვართ; ვინც წარმატებაში შევა, ჩვენ გვაკლდება; საქართველოში ორი ქურნალი, უპირაბევირია, ვინ აუვა — საკვირველი რამყოფილა, ამოდენა ქვეყანაში ორი ქურნა-

ლი გვქონია. (ხაზი ჩვენი. ა. კ.). სომხებმა მარტო თეატრი და ჟურნალი არ იკმარეს, ახლა სალიტერატურო საღამოებიც გამართეს. აფერუმ, სომხებო, ჩვენ კი დავალოთ პირები და ვუყუროთ ამ ჩვენის ძმების მოქმედებას! დალოცვილებო, მივბაძოთ მაინც! სიშურე არის სირცხვილი და ცოდო, მიბაძვა არ არის არც ცოდო, არც სირცხვილი, არც სათაკილო“.

„საქართველოს მოამბისა“ და „ცისკრის“ გამოცემის საქმე ამ პერიოდში ისე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ „ცისკრის“ რედაქტორი იძულებული გახდა კვლავ ალ. ორბელიანის ავტორიტეტი გამოეყენებინა.

ალ. ორბელიანი სასტიკად ილაშქრებს „საქართველოს მოამბისა“ და „ცისკრისთვის“ ბოიკოტის გამოცხადების წინააღმდეგ, ასაბუთებს, რომ ჟურნალებისადმი ასეთი დამოკიდებულება საფრთხეს უქმნის ქართული კულტურისა და ლიტერატურის უწყვეტი განვითარების საქმეს.

შექმნილი მდგომარეობით აღელვებული ალ. ორბელიანი 1864 წლის იანვარში, როცა ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო, რა ბედი ეწეოდა ერთ ან მეორე ჟურნალს, აქვეყნებს წერილს: „მოთმინებისაგან გამოსვლა“. ამ საგანგაშო სტატიაში იგი წერს: „ყოველი ქართველი ჩვენსა ენასა უნდა უფრთხილდებოდეს. არ დაეკარგოთ ეს საკუთარი ჩვენი ენა, მეტად კარგი ენა!.. აი, მაგ ენას ეთაყვანოს ქართველთ მგრძნობელთ თავი, აზისათვის, რომ არც ერთ ენაზე ნაკლები ენა არა ხარ შენ, შენ მთელს ქვეყანაზე არც სირცხვილით, არც სიწმინდით, არც პატიოსნებით და არც არაფრით სხვითა. ეს ამისთანა ჩვენი ენა ქართველებმა დაეკარგოთ, რა ვიქნებით? კაცობრიობასთან შემეცოდე, ე. ი. ქურდზედ ქურდი“...

როგორც ვხედავთ, საქმეს ისეთი სახიფათო მსვლელობა მიუღია, რომ აუცილებელი გახდა ქართული ენის საჭიროებისა და ქართული ჟურნალების შენარჩუნების საკმაოდ გულუბრყვილო პროპაგანდა.

ალ. ორბელიანი ერთნაირი ენთუზიაზმით იცავს ორივე ჟურნალს, წინსვლისათვის სასარგებლოდ თვლის მათ ფურცლებზე გამართულ პოლემიკას, რომელსაც საზოგადოების აღშფოთება გამოუწვევია, და წერს: „ვი ნ ა მ ბ ო ბ ს კ ა რ გ ი

მიმართულება არა აქვთ არც ერთ ქართულ  
 ჟურნალსო. (ხაზი ჩვენია. ა. კ.). ეს მართალი არ არის;  
 ორივე მიმართულება საგანგებოა... ვის რა ენაღვლება ჟურ-  
 ნალმა რომ ჟურნალი გალანძლოს, ან მწერალმა მწერალი,  
 ანუ ჩვენსა საზოგადოებას მოსდონ ძლიერი სიტყვები, ღირსნი  
 არა ვართ? მიბრძანეთ, ჩვენს საზოგადოებაში რა არის კარ-  
 გი?.. ჩვენი თავიანთ ცნობა გვაქვს? მოღალატენი არა ვართ  
 ერთმანეთისა? ერთმანეთის დამლუპავნი?.. თუ მე ამას არ  
 ვიტყვი, ვინ გაბედავს ამისთანა ყაჩაღა-  
 ნასა სიტყვებსა ამისთანა არეულსა დრო-  
 ში??. (ხაზი ჩვენია. ა. კ.). მისასვედრი არ არის გონებისაგან  
 მიზეზი რა არის ჯავრობისა: ხელს აღარ მოვაწერთ  
 ჩვენ ჟურნალებსაო (ხაზი ჩვენია. ა. კ.), რა არის  
 საზოგადო სავენებელი იქა?.. გარედან რომ არეული  
 ყიჟინა გვაქვს, გვეკადრება მერე? (ხაზი ჩვენია.  
 ა. კ.). დავაცალოთ თვით მწერლებსა, იმათ უფრო უკეთესად  
 იციან, როგორც წაიყვანენ ჟურნალების საქმეს... ჩვენს ჟურ-  
 ნალებს არა დააკლდეს რა, არამც თუ დააკლდეს, უნდა ვე-  
 ცადნეთ, უფრო და უფრო წინ წავიყვანოთ, რომ ბოლოს  
 დროს უნოთ არ დავრჩეთ ჩვენი დაუხედველის წინკლიანის  
 ენისა გამო.. არამც თუ ორი, შეგვიძლიან ათი ჟურნალი  
 გვქონდეს ქართველებსა, ოღონდ სურვილი იყოს ჩვენი; ამას-  
 თან მოთმინება... არა, ვის ვაყვედრიოთ, ვისი გამო-  
 ჯავრებული ვამბობთ: ხელს აღარ მოვუწერთ  
 ჩვენს ჟურნალებსაო? (ხაზი ჩვენია. ა. კ.). ოჰ, გული  
 თრთის ამ სიტყვებზე. ამით ჩვენს თავს დავაკლებთ, სხვას  
 ვის, ეს იქნება ჩვენი თავის ცხადი მტრობა, მთელს ქვეყანაში  
 ჩვენი შესარცხვენი... ვილა არის დარჩომილი მთელს ქვეყა-  
 ნაზედ, რომ თავიანთი ჟურნალები არ ჰქონდეს? ასე გასინ-  
 ჯეთ, რომ ველურს ხალხებსაც კი აქვთ თავიანთ ენაზე... ამის  
 შემდეგ, აბა ბრძანეთ, ჩვენმა ჟურნალებმა ვის რა დაუშავა,  
 ვის რა აწყენინა, რა არის აქ ცუდი? ცუდი არის ჩვენი ბორო-  
 ტება“...

მიუხედავად ერთგვარი წინსვლისა, ქართული ჟურნალის  
 წარმართვა ამ ხანებშიაც თითქმის ისეთივე ძნელი იყო, რო-

გორც „ცისკრის“ დაარსების პირველ წლებში. ჯერ კიდევ ძლიერი იყო კონსერვატორთა ფრონტი არა მარტო რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების წინააღმდეგ, არამედ ქართული ენისა და ქართული ჟურნალის წინააღმდეგაც.

ამ მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ „საქართველოს მოამბეს“ განსაკუთრებულ საცენზურო პირობებში უხდებოდა მუშაობა. როგორც ცნობილია, ამ დროს რუსეთშიაც გაბლიერდა რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის მეთაურთა დევნა-შევიწროება. ადგილობრივი ხელისუფლება შეძრწუნებული ადევნებდა თვალს, თუ როგორი დაჟინებით ეწეოდა ორი ქართული ჟურნალი ერთმანეთს მარცხნივ. ამას ზედ ერთვოდა ამ ჟურნალების საქმიანობით გაშმაგებული „მამათა“ ბანაკის ზოგიერთი წარმომადგენლის დაბეზღებები. ამის შედეგად, ჟურნალის ფურცლებს სულ უფრო და უფრო მეტად ფარავს ცენზურის შავი წერტილები, ზოლო ივლისში ცენზურამ და აღელვებულმა „მამებმა“, შეიძლება ითქვას. ორივე ჟურნალის ნამდვილი რბევა მოაწყვეს.

გერცენის „კოლოკოლი“ წერდა: „Вместо уничтожения лезуры—цензуры удвоили, запутали, прежде цензуровани—цензоры, попы и тайная полиция. Теперь все ведомства будут цензуровать“. (1858. 1 აპრილი).

1863 წელს ივ. კერესელიძე რამდენჯერმე დაუბარებია საცენზურო კომიტეტში ამ კომიტეტის თავმჯდომარეს მაქსიმოვიჩს და გამოუცხადებია, შეეწყვიტა „ცისკარში“ რევოლუციურ-დემოკრატიული მასალების, განსაკუთრებით, ანტონ ფურცელაძის წერილების ბეჭდვა. თანაც სასჯელითა და ჟურნალის დახურვით დამუქრებია. თუ „ცისკრისადმი“ ასეთ სისასტიკეს იჩენდა ცენზურა, ადვილი წარმოხადგენია, როგორ მოექცეოდა იგი „საქართველოს მოამბეს“<sup>1</sup>. აშკარაა ილია ჭავჭავაძის ზშირად უხდებოდა ცენზურის უხეში მუქარის მოსმენა. 1863 წლის ივლისში, როგორც ირკვევა, მეფის ხელისუფლებას „ცისკრის“ აშკარა რბევა მოუწყვია. ივლისიდან ჟურნალში ველარ ვხედავთ წამყვან თანამშრომლებს: ან-

<sup>1</sup> „საქართველოს მოამბეს“ რომ პირველი ნომრიდანვე სდევნიდა ცენზურა, ამას ნათლად ამტკიცებს ნიკ. ყიფიანის 1863 წლის 5 თებერვ-



ტონ ფურცელადეს, ლავ. არდაზიანსა და აკაკი წერეთელს; აკაკი და ანტონ ფურცელაძე შემდეგ წლებში კვლავ დაუბრუნდნენ „ცისკარს“, ხოლო ლავრ. არდაზიანი ამის შემდეგ სამუდამოდ ჩამოშორდა სალიტერატურო ასპარეზს!

რამ გამოიწვია ზელისუფლების ეს სასტიკი რეპრესია? ამის პასუხს აღნიშნული მწერლების „ცისკარს“ უკანასკნელ (იენის-ივლისის) ნომრებში გამოქვეყნებული ნაწარმოებების გაცნობა გვაძლევს. ამ ნომრებში დაიბეჭდა ანტ. ფურცელაძის რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების წერილი „ქართულ ლიტერატურაზე“, ლავრ. არდაზიანის მიერ თარგმნილი პოლემარის პოლიტიკურ-ეკონომიური თხზულება „ყოველივე მოიპოვება შრომით“, ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული აკაკის მრისხანე ლექსები: „მოგონება“ (დანიელ ჭონქაძის შესახებ) და „სიმღერა მკის დროს“.

როგორც ირკვევა, საცენზურო კომიტეტმა 1863 წლის ივლისში რედაქტორს უბრძანა გაეძეებინა ეს თანამშრომლები „ცისკრიდან“ და გამოუცხადა: თუ იგი მათ ისევ დააბრუნებდა ჟურნალში, ჟურნალს დაუქვეტავდა. ამის შესახებ ანტონ ფურცელაძე წერს: „ც ე ნ ზ უ რ ნ ი კ ო მ ი ტ ე ტ მ ა... თ ა ვ ი ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ი ს მ ა ქ ს ი მ ო ვ ი ჩ ი ს პ ი რ ი თ გ ა მ ო უ ც ხ ა დ ა კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე ს, რ ო მ თ უ მ ე კ ი დ ე ვ დ ა ვ ი წ ე ყ ბ დ ი „ც ი ს კ ა რ შ ი“ წ ე რ ა ს,

ლის წერილი (საქართველოს სახ. მუზეუმი, დიპ. ყიფიანის არქივი, № 414). ნიკ. ყიფიანი წერს:

„...1-ჩ № „საქართველოს მოამბე“, еще не вышел: цензор задерживал долго статьи; наборщиков мало в Типографии... вторую книжку уже начали готовить; боятся, чтоб и она крепко не опоздала, как первая... Так, как с „Вестником“ случилась такая беда, редакция его принуждена отложить до второго № и Митчелля, и статью одну—Датику нашего, и многие другие статьи. С нашим „თავისუფალი“, тоже случилась беда... нам сказали, что тут крепко следят за проявлением какойнибудь более или менее либеральной идеи...“.

ლავრ. არდაზიანი რომ ამის შემდეგ აღარ დაბრუნებია ლიტერატურას, ამას ამტკიცებს აგრეთვე ნეკროლოგებიც. („დროება“, 1870, 2; „მნათობი“, 1869. 11-12).

„ცისკარს“ დაუკეტავდნენ“<sup>1</sup>. (ხაზი ჩვენი. ა. კ.).  
ამავე ხანებში კიდევ უფრო აუტანელი გახდა ცენზურის რეპრესიები „საქართველოს მოამბის“ მიმართ.

„საქართველოს მოამბის“ 1863 წლის ნომერის ნომერში ილია წერს: „არც ერთი ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება, არც ერთი თითქმის ფაქტი, არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალწინ გვიტრიალებდა, რომელიც ყოველი ცოცხალი კაცისათვის საინტერესოა, არამც თუ ვერ ახსნა ჩვენმა უურნალმა, არამედ ვერც კი გაბედა, რომ მიჰკარებოდა, თუმცა ზოგჯერ სცადა კიდევ, იმავე მიზეზით, რომ „დრონი მეფობენ“. ამის გამო ჩვენს უურნალს ფერი დააკლდა, „მოამბემ“ შორიდან დაუწყო ტრიალი მას, რაც ახლოდან გასასინჯი იყო“.

უნდა ვიფიქროთ, რომ „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბის“ რედაქტორებს ერთდროულად გამოუძახეს საცენზურო კომიტეტში. რადგან 1863 წლის მეორე ნახევარში ორივე უურნალს ემჩნევა ზელისუფლებასთან მომხდარი ინციდენტის სამწუხარო შედეგი<sup>2</sup>.

საყურადღებოა, რომ „ცისკარი“ და „საქართველოს მოამბე“ ერთნაირად არ შეხვედრია კარზე მომდგარ საფრთხეს. ამ შემთხვევაში ორმა უურნალმა სხვადასხვა გზა აირჩია და აქ, ჩვენი ფიქრით, ყველაზე ნათლად გამოვლინდა ის განსხვავება, რომელიც ილია ჭავჭავაძის რევოლუციურ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობასა და ივ. კერესელიძის შემარიგბლურ პოზიციას შორის არსებობდა. ილია ჭავჭავაძემ არ დაუთმო არც ზელისუფლებასა და არც ცხოვრების ჩამორჩენილობას, უურნალის განწირვა ამჯობინა. ივ. კერესელიძემ ერთსაც დაუთმო და მეორესაც.

ცენზურისაგან კატეგორიული გაფრთხილებისა და დახურვის მუქარის შემდეგ ივ. კერესელიძე საკმაო ადგილს უთმობს უურნალში ძველი თაობის წარმომადგენლებს: ბარბა-

<sup>1</sup> ამას ადასტურებს საარქივო მასალაც: სსცსა, 480-4.

<sup>2</sup> ამ პერიოდში (1863 წ. აგვისტო-სექტემბერი) საცენზურო პირობების გამწვავება გამოუწვევია საგანგებო დადგენილებებს ცენზურის გაძლიერების შესახებ. სსცსა, ფ. 80 — 1, 4:

რე ჯორჯაძეს, გრ. რჩეულიშვილსა და დიმ. ბერიძეს (ბერიევს).  
ეს აიხსნება არა მარტო რედაქტორის თანაგრძნობით ქარ-  
თული ლიტერატურის ამ მუშაკთაღმძი, არამედ იმდროინდელ  
მკითხველთა დიდი ნაწილის მოთხოვნილებიას გათვალისწინე-  
ბითაც. ერთ-ერთ წერილში ანტონ ფურცელაძე შენიშნავს,  
თუ მკითხველი ყურნალში ბერიევისა და რჩეულოვის თხზუ-  
ლებებს ნახავს, აუცილებლად გაკრის გვერდებს, ხოლო თუ  
ჩვენი კრიტიკული წერილები შეამჩნია, ყურნალი გაუკრელი  
რჩებაო.

აღნიშნული მიზეზების გამო, აგვისტოდან „ცისკარს“ გაუ-  
არესება დაეტყო. იგი ამ დროსაც დიდი რაოდენობით ბე-  
ჭდავს ორიგინალურ ნაწარმოებებს, მაგრამ ეს ნაწარმოებები  
იდუურად და მხატვრულად მდარე ღირსებისაა.

გაუფერულება დაეტყო „საქართველოს მოამბესაც“, რაც,  
როგორც აღვნიშნეთ, იმაში გამოიხატა, რომ ამ ყურნალში  
თითქმის, მთლიანად შეწყდა ორიგინალური თხზულებების  
ბეჭდვა. უდავოა, რომ ილიასაც შეეძლო თავისი ყურნალი  
მდარე ღირსების ორიგინალური თხზულებებით შეევსო, მაგ-  
რამ ის თავიდანვე პრინციპულად წინააღმდეგი იყო ამისი. მხა-  
ტვრულად სუსტი და უიდეო თხზულებების ბეჭდვას ილიამ  
ყურნალის დახურვა ამჯობინა.

ასეთი თხზულებების დაბეჭდვა ილია ჭავჭავაძეს რე-  
ალიზმის პოზიციების დათმობად მიაჩნდა. მთელი მისი სა-  
რედაქციო მუშაობა სწორედ იქითკენ იყო მიმართული, რომ  
მწერლობა ხალხისა და სამშობლოს სამსახურში ჩაეყენებინა.

ამ თვალსაზრისით განიხილავდა იგი „ცისკარში“ დაბეჭ-  
დილ პოეტურ ნაწარმოებებს და წერდა: „რაკი ყურადღებით  
გადავიხილეთ ექვსის წლის ნაწარმოები ლექსები, ჩვენ შევ-  
ნიშნეთ, რომ „ცისკრის“ ახალ მოლექსეებს, ზოგიერთს გარდა,  
დიდი კავშირი აქვსთ ძველებზედა, კავშირი ისტორიული გან-  
ვითარებისა კი არა, მსგავსებისა. ეხლანდელი მოლექსენი  
თითქოს იმას იმეორებენ, რაც უწინდელებს უთქვამთ, ისეთ-  
ნაირად ჰგვანან ამათი აზრები იმათ აზრებსა, ამათი მიმარ-  
თულება იმათ მიმართულებასა“.

ილია სასტიკი წინააღმდეგი იყო, რომ ოდნავაც კი დაე-

თმო საზოგადოების ჩამორჩენილობისა და განუვითარებლობისათვის, საზოგადოებრივი აზრის დაწოლისათვის, სუსტი მწერლებისათვის, დაბალი გემოვნებისათვის. „წარსულმა დრომ მრავალჯერ დაგვიმტკიცა, — წერს ის, — რომ რასაც ჩვენ თვითონ ვსთხოვდით ჩვენს ეურნალს, რასაც მისგან მოველოდით — ამას ყველაფერს წინ კედელი დახვდა... ეურნალის საქმეში ზოგი იმისთანა დაბრკოლებაა, რომელიც უნდა სძლიოს რედაქტორმა და რომლის ძლევაც შეიძლება. ზოგი იმისთანაა, რომელთანაც ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თავგამოდება უქმია. ხოლო, თუ მცა გზა გახილული გვექონდა, მაგრამ გულწრფელად და გაბედვით ვიტყვი, რომ სხვის მოსაწონად არც ერთის ჩვენის გულითადის აზრისთვის არ გვიღალატნია, სხვის მოსაფერებლად არც ერთი გრძნობა არ გაგვიყიდნია. რომელიმე ანგარიშებისათვის ყალბი ვერცხლად არ გაგვიყვანია. ჩვენ დავჩუმებულვართ და სვინდისისათვის კი არ გვიღალატნია. როგორც გონება ჩვენი ჰქრია, როგორც გული გვითხრობდა — ისე ვლაპარაკობდით, როცა კი შეგვეძლო და კვლავაც ასე მოვიქცევით, თუნდ რომ ამით ჩვენს ეურნალს ბოლო მოეღოს“. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

როგორც ვხედავთ, ილიას საყვედური მარტო ცენზურულ პირობებს არ შეეხება; მას პირველ რიგში ეურნალისადმი იმდროინდელი მკითხველი საზოგადოების დამოკიდებულება აქვს მხედველობაში.

„საქართველოს მოამბის“ ბედი საბოლოოდ 1864 წლის თებერვალში გამოირკვა. „ცისკრის“ მარტის ნომერში ამის თაობაზე ვკითხულობთ: „გაზეთს „კავკაზიდან“ მივიღვეთ ქართულს ენაზედ დაბეჭდილი „მოამბის“ რედაქციისაგან განცხადება შესახებ „მოამბის“ აღარ გამოცემაზე“.

„საქართველოს მოამბის“ დახურვა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მოუმწიფებლობის შედეგი იყო. ამასთან დაკავშირებით შეუძლებელია არ გავიხსენოთ თვით ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჟურნალი მარტო ერთის კაცის ნებით იბადება. არა, თითონ ცხოვრებავე გვაჩვენებს ხოლმე იმის საჭიროებას. კაცი კი მხოლოდ მიხვდება ამ საჭიროებას და ჟურნალის გამოცემით პასუხს აძლევს. რაც ცხოვრება უფრო ძლიერია, უფრო ჭანიანია და ღონიერი, იმდენათ იმისი მოთხოვნილებანი და საჭიროებანი დიდნი არიან“.

„ცისკარის“ სარედაქციო განცხადებაში ერთგვარი კმაყოფილებაც იყო გამოთქმული „საქართველოს მოამბის“ დახურვის გამო. მაგრამ ცხოვრება სულ უფრო წინ მიდიოდა, სულ უფრო „ჭანიანი და ღონიერი“ ხდებოდა, იზრდებოდა მისი „მოთხოვნილებანი და საჭიროებანი“; ამის შესაბამისად, ნოყიერი ნიადაგი მზადდებოდა იმ ნერგის გასახარებლად, რომელიც ახალმა ჟურნალმა დარგო. თესლი, რომელიც „საქართველოს მოამბემ“ ხალხში გადაადგო, ცხოვრების წინსვლასთან ერთად ფესვს იდგამდა და ძლიერდებოდა.

1864 წლიდან 1866 წლამდე „ცისკარი“ კვლავ ერთადერთი ქართული პერიოდული გამოცემა იყო<sup>1</sup>, ხოლო 1869 წლამდე („მნათობის“ გამოცემამდე) — ერთადერთი ლიტერატურული ჟურნალი.

ცენზურისა და მკითხველი არისტოკრატიის ძლიერი დაწოლის შედეგად, ძველისადმი დათმობის ნიშნები „ცისკარს“ უკვე 1863 წლის ბოლოდან დაეტყო, როცა აქ დ. ბერიძისა (ბერიევის) და ბ. ჯორჯაძის სუსტი და იდეურად გაუმართლებელი რამდენიმე თხზულება დაიბეჭდა.

მიუხედავად ამისა, ჟურნალი მაინც იოლად არ აპირებდა არჩეული მიმართულებიდან გადახვევას.

---

<sup>1</sup> „გუთნის დედასა“ და „სასულიერო მახარობელს“ საუწყებო მნიშვნელობა ჰქონდათ.

„ცისკრის“ დამსახურებას ამ პერიოდში წარმოადგენს ის, რომ იგი ცდილობს გაამხნევოს პროგრესულად მოაზროვნე მკითხველი საზოგადოება, შეუნარჩუნოს მას ახალი აზრებისადმი, მებრძოლი ახალგაზრდობისადმი რწმენა და გააღვიოს პროგრესის სულისკვეთება.

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ, წლების განმავლობაში, „ცისკარი“ ეწეოდა ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედებისა და კრიტიკული შეხედულებების პროპაგანდას. „ცისკარი“ პირველი ქართული ორგანოა, რომელმაც უდიდესი შეფასება მისცა ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებებს და დიდი ქართველი მწერალი სამართლიანად ამოუყენა გვერდში შოთა რუსთაველსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს. ჭერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, რომელიც ამ პერიოდში დროებით ჩამოცილებული იყო საეჟურნალო ასპარეზს, „ცისკარმა“, სადაც მან ფეხი აიდგა და პირველად გამოხატა თავისი იდეური მრწამსი, — ქართველი ხალხის საამაყო შვილად და მისაბამ მაგალითად აღიარა.

ამ პერიოდში განსაკუთრებით ღირსშესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ივ. კერესელიძის კომედიის „ბაქიების ხროვა“, ცალკე წიგნად გამოცემა („კირილე შავწყაროელის“ ფსევდონიმით).

1866 წელს ცენზურამ საბოლოოდ აკრძალა „სალაყბო ფურცლები“. კერძოდ, შეაჩერეს ივ. კერესელიძის კომედიის „სიქსტი მეხუთის“ გაგრძელების ბეჭდვა, ავტორმა ბევრგვარ ხერხს მიმართა დარჩენილი ნაწილის გამოსაქვეყნებლად და „ბაქიების ხროვაც“ ერთ-ერთი ამ ნაწილთაგანია. კომედიაში ივ. კერესელიძე ერთმანეთს უპირისპირებს ძველ და ახალ თაობას. ალეგორიული ლექსებით ამხელს კონსერვატორებს.



1867 წლის მაისში ანტ. ფურცელაძე გავიდა „ცისკრის“ რედაქციიდან. ანტ. ფურცელაძესთან ერთად, „ცისკარს“ ზოგიერთი სხვა ახალგაზრდა თანამშრომელიც ჩამოსცილდა.

ანტ. ფურცელაძის „ცისკრიდან“ გასვლის შემდეგ ეჟურნალის მდგომარეობა გაუარესდა. იგი თანდათან ჩამოშორდა

თანადროულობას, მასში უნიკო, მდარე ხარისხის კალმოსნებ-  
მა მოიყარეს თავი. „ცისკრის“ თორმეტი წლის სახელოვანი  
მუშაობის ტრადიცია დავიწყებას ეძლეოდა. რა თქმა უნდა,  
ასეთ ჩამორჩენილ და არაპოპულარულ ჟურნალში მონაწი-  
ლეობა აღარც აკაკი წერეთელს შეეძლო. მისი მგზნებარე პოე-  
ტური ენერგია ფართო სარბიელს მოითხოვდა. ასეთი სარ-  
ბიელი ამ დროს უკვე არსებობდა. ეს იყო „დროება“.

აკაკი წერეთლის „ცისკრიდან“ გასვლამ საბოლოოდ შეარ-  
ყია ამ ჟურნალის მდგომარეობა. 1869 წლიდან დაიწყო „ცის-  
კრის“ არსებობის უკანასკნელი პერიოდი, რომელიც 1875  
წლამდე გაგრძელდა.

ჟურნალის ფურცლებზე ვეღარ ვხვდებით სერიოზულ  
სტატიებს სოციალურ საკითხებზე. პოეზიისა და პროზის  
განყოფილება უმთავრესად, თარგმანებსა და პიიტეკოსთა  
ნაცოდვილარს ეთმობა. კრიტიკული ნაწერები იშვიათად  
იბეჭდება.

ამ დროისათვის „ცისკარი“ გაძვალტყავდა, ეტყობა, რე-  
დაქტორი ჭირის ოფლში იწურებოდა, მინამ მორიგი ნომრის  
მასალას შეაკოწიწებდა. ერთი ჰიტყუით, „ცისკარმა“ თავისი  
ვალი შეასრულა და მას უკვე ძალა აღარ შესწევდა საზოგა-  
დობრივი განვითარების კვალდაკვალ ევლო. ცხოვრების  
სწრაფმა ტრიალმა იგი ბოლოში ჩამოიტოვა. მხოლოდ ხანდა-  
ხან თუ გაიეღებდა დრომოკმული ჟურნალის ფურცლებ-  
ზე თითო-ოროლა საინტერესო მასალა.

„ცისკრის“ მდგომარეობაზე დიდი გავლენა მოახდინა  
გაზ. „დროების“ გამოსვლამ 1866 წელს. ამ პოლიტიკურ-  
ლიტერატურულმა გაზეთმა თავის გარშემო გააერთიანა ქარ-  
თული კულტურის პროგრესული ძალები. გაზეთი კვირაში  
ერთხელ გამოდიოდა და უფრო აქტიურად ეხმაურებოდა ცხოვ-  
რების მაჯისცემას. „ცისკრის“ ყველა ნიჭიერი მწერალი  
„დროებაში“ გადავიდა სათანამშრომლოდ.

„ცისკარსა“ და „დროებას“ შორის პოლემიკა იშვიათად  
იმართებოდა, რადგან ახალ ჟურნალ-გაზეთებს სათაკილოდაც  
მიაჩნდათ ქართული ჟურნალისტიკის ვეტერან ხეიბართან  
პაექრობა; ზოგჯერ მაინც გაჰყენწლავდნენ ხოლმე თავმოყვა-  
რე რედაქტორსა და მის ჟურნალს.

კამათი მხოლოდ ქართული ენის სიწმინდის საკითხებს შეეხებოდა. 1868 წლის ნოემბერში „ცისკარში“ დაიბეჭდა ივ. კერესელიძის წერილი („კულაბზიკას“ ფსევდონიმით) — „დროების“ გაზეთი და იმისი სიტყვიერება“. ავტორი პროცინციალიზმებისა და ბარბარიზმების წინააღმდეგ ილაშქრებს.

1874 წლის სექტემბერ-ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილია გრ. ორბელიანის („ძველი სემინარისტის“ ფსევდონიმით) რეცენზია: „მგზავრობა სვანეთისაკენ გ. წ“.

ივ. კერესელიძეს ამ პერიოდშიც სურდა ახალ თაობასთან დაახლოვება, უნდოდა თავი გამოეხსნა ძველი თაობის ზეგავლენისაგან, მაგრამ ამოდ, — ახალგაზრდობა სიახლოვეს აღარ ეკარებოდა მის ჟურნალს; „ცისკარში“ თანამშრომლობა სირცხვილად ითვლებოდა. როცა 1875 წ. ივ. კერესელიძემ გამოაცხადა, მომავალი წლიდან პეტრე უმიკაშვილი მიიღებს მონაწილეობას ჟურნალშიო, ამ უკანასკნელმა პრესაში უარყო ეს ცნობა და სახალხოდ გააშავა ძველი კეთილისმყოფელი.

1867 წლიდან მოკიდებული ბევრჯერ გავრცელდა ხმა, რომ „ცისკარი“ ხან ანტ. ფურცელაძის, ხან ნ. ავალიშვილის, ხან რაფ. ერისთავის ხელში უნდა გადასულიყო.

„დროების“ ცნობით, 1875 წელს „ცისკრის“ არცერთი ნომერი არ გამოსულა. კარლ მარქსის სახ. ბიბლიოთეკაში ინახება 1875 წლის პირველი ნომერი (იანვრისა და თებერვლისა ერთად). მაგრამ, როგორც ჩანს, საკონტროლო ეგზემპლართან უნდა გვექონდეს საქმე, რადგან მასში ცენზურის აღნიშვნებია და, ეტყობა, 1875 წელს „ცისკარი“, მართლაც, აღარ გამოსულა (ცენზურამ დააკავა).

„ცისკარმა“ 18 წელიწადი იარსება. ეს პერიოდი საზოგადოებრივი ცხოვრების ჩქარი განვითარებით ხასიათდებოდა, რასაც შესაბამისად, თან ახლდა საზოგადოებრივი აზრის სწრაფი აღმავლობა.

ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე „ცისკრის“ მნიშვნელობა და მიმართულება ერთნაირი არ იყო. როგორც ვნახეთ, ჟურნალის განვითარებაში მკაფიოდაა გამოსახული ოთხი პე-



ბიოდი: 1857—1862 წლები, -- „ცისკარი“ ერთადერთი პროგრესული ქართული პერიოდული გამოცემა. 1863 წელი — „ცისკარი“ ერთ მიმართულებას ადვას — სამოციანელთა ზელშია. 1864—1868 წლები — „ცისკარი“ უკან იხვეს, მაგრამ ძირითადად მაინც ხელს უწყობს სამოციანელთა შეხედულებების გავრცელებას. 1869 — 1875 წლები — „ცისკარი“ საბოლოოდ მოწყდა ცხოვრების წინსვლას და, აწესებითად, ჩამორჩენილი შეხედულებების თავშესაფარი გახდა:

„ცისკარის“ ტიპის ჟურნალი კონკრეტულ-ისტორიულ თავისებურებათა ნაყოფია და მისი შესწავლა-შეფასებაც ამ თავისებურებათა გათვალისწინებას გულისხმობს.

ჩვენი ქვეყნის იმდროინდელმა ჩამორჩენილობამ წარუშლელი დალი დაასვა მას; მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ცისკარმა“ წარმატებით შესძლო მის წინაშე მდგომი ამოცანის შესრულება. ივ. კერესელიძისა და მისი ჟურნალის მოღვაწეობა შთამაგონებელ მაგალითს წარმოადგენდა სამშობლოს ყველა გულშემატკივარისათვის. ამ ჟურნალმა იმედით აღანთო მშობელი ქვეყნის მოყვარულთა გული.

1857—1862 წლებში „ცისკარი“ იყო არა მარტო ერთადერთი ქართული გამოცემა, არამედ ერთადერთი ქართული კულტურული ცენტრიც. იმ დროს არ არსებობდა ქართული თეატრი, სკოლა, კლუბი და სხვ. ყოველგვარ სასარგებლო ეროვნულ საქმეს, იქნებოდა ეს წარმოდგენის გამართვა, ღარიბ მოსწავლეთათვის სახსრების შეგროვება, წიგნის გამოცემა, თუ უცხოელ სტუმრებთან შეხვედრა. — „ცისკარი“ ედგა სათავეში.

მიუხედავად იმისა, რომ „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის პერიოდში ივ. კერესელიძე მერყეობდა ლიბერალიზმსა და დემოკრატიზმს შორის, ახალი თაობა მაინც მუდამ სიყვარულითა და პატივიანცემით იყო მისდამი გამსჭვალული. ილია ჭავჭავაძე მხოლოდ 1863 წელს, გამწვავებული პოლემიკის დროს, აკრიტიკებდა მას. დამახასიათებელია, რომ ამ კრიტიკისათვის მან ფელეტონური ხერხი აირჩია („სხარტულა“) და მოერიდა „ცისკარს“ შესახებ. ფაქტიურად უკვე

გამზადებული სტატიის გამოქვეყნებას. „სხარტულაც“, ძი-  
ზითადად, ანტონ ფურცელაძის წინააღმდეგაა მიმართული.

ივ. კერესელიძის მოღვაწეობისა და „ცისკრის“ შეფასებას  
ჩვენი სახელოვანი მოაზროვნე ნიკ. ნიკოლაძე მუდამ იმ წე-  
რილებში იძლევა, რომლებიც ანტონ ფურცელაძის წინააღ-  
მდეგაა მიმართული. ათეული წლების მანძილზე გაჭიანურებუ-  
ლი ეს ცხარე პოლემიკა (ფურცელაძესა და ნიკოლაძეს შო-  
რის) არ ქმნიდა 60-იანი წლების მნიშვნელოვან პრობლემებზე  
მიუდგომელი მსჯავრის დადების შესაძლებლობას. ამას თვი-  
თონ ნ. ნიკოლაძეც გრძნობდა და 1889 წელს დაბეჭდილ ერთ-  
ერთ წერილში ყოველმხრივ ცდილობს ივ. კერესელიძის  
დამსახურებათა ღირსეულად დაფასებას; თვლის მას ახალი  
თაობის წინამორბედად.

## მხატვრული შემოქმედება

ივ. კერესელიძემ ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის-თანავე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. 1854 წელს გაზ. „ზაკავკასკი ვესტნიკმა“ ქართულ ენაზე დაბეჭდა ივ. კერესელიძის ლექსი „1854 წლის ომზედ“. იმავე ნომერში სპეციალური წერილი მიეძღვნა ივ. კერესელიძის შემოქმედებას. რეცენზენტი წერდა: „С удовольствием помещаем на грузинском языке стихотворение гос. Кереселидзева а для незнакомых с грузинским языком представляем прозаический перевод этого прекрасного стихотворения, проникнутого неподдельно патриотическим чувством“.

ფრაგმენტებში „ცისკრის“ წარმოების შესახებ“ ილია ჭავჭავაძეს ამოწერილი და შეფასებული აქვს 1857 — 63 წწ. ამ ჟურნალში დაბეჭდილი ყველა ლექსი, მათ შორის ივ. კერესელიძის ლექსებიც. იგი მკაცრად განიხილავს „ცისკრის“ პოეტთა შემოქმედებას და ღრმად ასაბუთებს ქართული პოეზიის ჩამორჩენას. ილია წერს: „რაკი ყურადღებით გადავიხილეთ მთელი ლექსები 1857 — 1862 წწ., ჩვენ შევნიშნეთ, რომ უფრო მომეტებულნი მოლექსენი უკაცრავად არიან პოეზიაზედ. არამცთუ პოეზია, ენა დამახინჯებული აქვთ, შეუბრალებლად წამხდარი... ჩვენ შევნიშნეთ, რომ „ცისკრის“ ახალ მოლექსეებს, ზოგიერთთ გარდა, დიდი კავშირი აქვთ ძველებზედა. კავშირი ისტორიული განვითარებისა კი არა, მსგავსებისა. ეხლანდელი მოლექსენი თითქოს იმას იმე-

ორებდნენ, რაც უწინდელებს უთქვამთ“. შემდეგ ილია აღნიშნულ პოეტთა საერთო დახასიათებას გვაძლევს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ მათ შემოქმედებაში გაბატონებულია წუთისოფლის მღურვა, სიცოცხლის ამაოებაზე ოხვრა, სააქაო ცხოვრების წარმატლობაზე ჩივილი, „პლატონიკური სიყვარული“ და სხვ.

ეს ნიშნები დამახასიათებელი იყო ივ. კერესელიძის შემოქმედების პირველი პერიოდის ზოგიერთი ნაწარმოებისათვისაც. მიუხედავად იმისა, რომ ილიას წერილი გამწვავებული პოლემიკის დროს იწერებოდა, ზხვა პოეტებთან შედარებით იგი მაღალ შეფასებას აძლევს ივ. კერესელიძის ლექსებს. კრიტიკოსს ამოწერილი და შეფასებული აქვს ივ. კერესელიძის ლექსები: „მტკვრისადმი“, „სიყრმით უბედური“, „მოთქმა გლახაკისა“. „ღვთის მომღურავე კაცთადმი“, „როსტომ და ირინე“, „კ. ნ. ა“, „შავი ზღვისადმი“, „არ ვსცნობ სოფელს ცრულ ადვსილსა“, „ბულბული“, „დე, ჩემს საფლავსა მნათობი ქალი“, „ანგელოზი“, „სიზმარი“, „ბედნიერების ძებნა“, „ბეთანია“, „გაზაფხული“, „ცრემლი ალაზნისა“, „ციცკარი“, „ჩემს ციცას“ და სხვ. ამათგან ორ ლექსს აქვს მეტად მკაცრი განაჩენი: „საძაგელია“. სხვა ლექსებს, თუ ვიმსჯელებთ იმ სისასტიკის მიხედვით, რომლითაც ილია დანარჩენ პოეტებს განიხილავს, კრიტიკოსი გულთბილად აფასებს. ივ. კერესელიძის ბევრი ლექსი მას მთლიანად ამოუწერია; „ბეთანიას“ მიწერილი აქვს: „კიდევ ღირსია კითხვისა“, „ბულბული“ — „მშვენიერია“, „თუ გაივლიდე“ — „ენა მაინც ვარგა“, „არ ვსცნობ სოფელს ცრულ ადვსილსა“ — „რიგიანია“, „მოთქმა გლახაკისა“ — „ურიგო არ არის“ და სხვ.<sup>1</sup>

ივ. კერესელიძის ლექსების პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ისინი ხელნაწერებითაც ვრცელდებოდა.

ნიკო ნიკოლაძე შენიშნავს: „ჯერ მარტო მისნი ლექსნი რომ შეგვეკრიბა, კარგა მოზრდილი ტომი გამოვიდოდა, მერედა მათ შორის მცირე როდია რიცხვი ისეთი თხზულებისა, რომელიც გნებავთ, ქრესტომათიას რომ დაამშვენებდა.

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ი. ჭავჭავაძის ფონდი, № 49.

რასაკვირველია, ბედს რომ სხვებსავეთ გაელაღებია იგი, რომ იძულებული არ ყოფილიყო დღენიდაც, შეუსვენებლივ ემუშავა, დაეტვირთა მთელი თავისი ძალა და ენერგია, საშუალება ჰქონოდა ეწერა მხოლოდ ხანდახან, საღალღობოდ, ეწერა მხოლოდ მაშინ, როცა ხალისი მოუვლიდა, როცა ზეშთაგონება ეწვეოდა, თავის თხზულებათა შორის ის მხოლოდ უპირველესსა და უკეთესს დაბეჭდავდა და შთაგონების ეს კუთხბეულნი ნაყოფნი როდი შთაინთქმებოდნენ ყოველდღიური აუცილებლობით გამოძალვილ თხზულებებში. მორიგი ნომრის ან ცენზურის მიერ აკრძალული ადგილების შესავსებად სახელდახლოდ რომ იწერებოდა“.

ამრიგად, მოწონებას იმსახურებდა ივ. კერესელიძის მხატვრული თხზულებების თემატიკა და ენა.

ივ. კერესელიძის შეხედულებები ენის შესახებ მისი მსოფლმხედველობის განუყოფელი ნაწილია. ქართული ლიტერატურის განვითარებას იგი ხალხის ფართო მასების მხარდაჭერით მოელოდა, მათ თავისუფლებაზე ოცნებობდა და წერასაც მათთვის გასაგებ ენაზე მოითხოვდა. მისი რწმენით, ხალხი იყო ენის კანონების განმსაზღვრელი.

ივ. კერესელიძეს კარგად ესმოდა მეტყველების უშუალო კავშირი აზროვნებასთან და აუცილებლად ბედიდა გრამატიკას, როგორც ენის მომაწესრიგებელ მეცნიერებას.

კომედიებში „სიქსტი V“, „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“ და სხვ. ივ. კერესელიძემ საჯაროდ გააშავა არქაისტები, გამოააშკარავა მათი ენობრივი კონსერვატიზმის ბუნება და განაჩენი გამოუტანა „თარგაშოსის დროინდელი ენის“ დამცველებს, ანტონ კათალიკოსის მიმდევრებს.

ლიტერატურულ პრაქტიკაში ი. კერესელიძე ხალხურ ენას იყენებდა. ჭერ კიდევ „ციხკრის“ დაარსებამდე დაბეჭდილ თხზულებებში: „ნაოხარი სოფელი“, „მწყემსის სიყვარული“, „შვილი უმანკობისა“, აგრეთვე მის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებში ივ. კერესელიძე ახალი სალიტერატურო ენით სარგებლობს.

ახალ სალიტერატურო ენას უკვე 17—18 საუკუნეების

მწერლობაში ვამჩნევთ, მაგრამ მის ისტორიას მაინც გიორგი ერისთავიდან იწყებენ. გიორგი ერისთავის „ცისკრის“ პერიოდში იგი არ გასცდენია დრამატული ჟანრის (ზუსტად, კომედიის) ფარგლებს; ახალი სალიტერატურო ენის საკითხი არც თეორიულად და არც პრაქტიკულად მწვავედ არ დასმულა; არ გამჭლარა მსჯელობისა და კამათის საგანი. არავის უცდია ამ ენის გაბედულად გამოყენება მხატვრულ პროზაში, პუბლიცისტიკაში.

გიორგი ერისთავის კომედიებში ხალხური მეტყველების გამოყენებას თანამედროვენი სოციალური კოლორიტის დაცვის აუცილებლობით ხსნიდნენ; ამიტომ სხვა ჟანრებზე მის გავრცელებას საჭიროდ არ სცნობდნენ. გიორგი ერისთავსაც არ გამოუთქვამს ამ საკითხზე რაიმე მოსაზრება. ამიტომაც უკიჟინებდა ალ. ორბელიანი გიორგი ერისთავსა და პლ. იოსელიანს — თუ ნამდვილად ამ ახალი მეტყველების მომხრე ხართ, რატომ არ იყენებთ მას თქვენს პრაქტიკაში და რატომ მის აუცილებლობას არ ასაბუთებთო. კომედიის მოქმედი პირის თავის ბუნებრივ სალაპარაკო ენაზე ამეტყველება ადვილია, მაგრამ სცადეთ ამ ენის სხვა ჟანრებში გამოყენება და თქვენი შეხედულების თეორიულად დასაბუთებო.

გიორგი ერისთავმა და ზურაბ ანტონოვმა უდავოდ დიდი როლი შეასრულეს ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებაში. მაგრამ ამ საკითხზე შემდგომი სიტყვის თქმა ისტორიკოს ივ. კერესელიძის ჟურნალს არგუნა. თეორიულად პირველად „ცისკარში“ დაიწვა ახალი სალიტერატურო ენის პრობლემა; პირველად აქ მოიკიდა ფეხი და აქ დაიკავა გაბატონებული პოზიციები პროზაში, პოეზიასა, კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში.

„ცისკრის“ დაარსების დროს სალიტერატურო ენა ზოგიერთ დარგში გაუტეხავ ყამირს წარმოადგენდა. ქართული ენა ჩამორჩა მოწინავე ქვეყნებში მეცნიერების, კულტურის, ტექნიკისა და ლიტერატურის განვითარებას.

მხედველობაში გვაქვს სიტყვიერი მარაგის სიღარიბე, მოსაძებნი იყო ახალი სიტყვები, გადასაწყვეტი იყო, რა გზით

უნდა მომხდარიყო ლექსიკური ფონდის გამდიდრება. ახალი სალიტერატურო ენისათვის ბრძოლა ბუნებრივად გადაეჯაჭვა ბრძოლას მისი უფლებებისათვის. უკვე 50-იან წლებში ივ. კერესელიძე მოითხოვდა და ასაბუთებდა მხატვრულ ლიტერატურაში ხალხური სალაპარაკო მეტყველების შემოღებას. ძველი მწიგნობრული ენის შენარჩუნება შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ სასულიერო ლიტერატურაში, რიტორიკაში, საღვთისმეტყველო ფილოსოფიაში, რომელსაც, მისი სიტყვით, ხალხი არ კითხულობდა, — ხოლო ლიტერატურის, განათლებისა და მეცნიერების დარგში იგი გადაჭრით მოითხოვდა ისეთი ენის გავრცელებას, რომელიც მთელი ხალხისათვის, პირველ რიგში, მდებრივ ადაპიანისაოვის, ადვილად გასაგები იქნებოდა. თუ ამ აზრს სასწრაფოდ არ მივიღებთ, ჩვენს ლიტერატურაშია და ენას მომავალი არ ექნება, აუცილებლად დაიღუპებაო, — დაასკენიდა ის.

არქაული ენის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ივ. კერესელიძის დებულებას მხოლოდ ორგვარი ენის არსებობაზე. მისი დასკვნით, არსებობს საეკლესიო ენა და მდებრივი ანუ ხალხური სალაპარაკო ენა. შესაძვე გზა არ არის. ან ერთი უნდა მივიღოთ, ან მეორეო. საკითხის ასეთი დაყენება გზას უჭრიდა ლიბერალურ პოზიციასაც. ივ. კერესელიძე ხაზს უსვამდა გ. ერისთავის ღვაწლს ამ საქმეში და მის დიდ დამსახურებად მიაჩნდა, რომ — „ამან დაიწყო ახლანდელს დროში წერა მდებრივის ენით“.

წინააღმდეგ ივ. კერესელიძისა, რომელიც ორგვარი ენის არსებობას (საეკლესიო და მდებრივი — სახალხო) უსვამდა ხაზს, ალ. ორბელიანი აღნიშნავდა, რომ ქართული სალიტერატურო ენის გარშემო სამგვარი მოსაზრება არსებობს: „... ერთნი ირჩევენ საეკლესიოს, მეორენი დარბაისელთა ენას და მესამენი — დაშვებულს ენასო“.

სწორი არაა მოსაზრება, თითქოს ალ. ორბელიანი უკიდურესი არქაისტი იყო ენის საკითხში. უკიდურესი არქაისტები ძველ საეკლესიო ენას იცავდნენ, ხოლო ალ. ორბელიანს „საშუალოს“, — „დარბაისლურს“ ირჩევდა და კიდევ მეტყუ-

ობდა „გლახურსა“ და „დარბაისლურს“ შორის. მას ლიბერალური პოზიცია ეკავა.

ენის საკითხში უკიდურესი არქაისტები იყვნენ სარდ. მესხიშვილი, ალ. სულხანიშვილი, თომა შაქავარიანი, ირ. ლორთქიფანიძე და ჩხვ.

1857-1858 წლებში ივ. კერესელიძე „ცისკარში“ ბეჭდავდა თავის ორიგინალურ და თარგმნილ მოთხრობებს, ფელეტონებს, ამბებსა და სხვა თხზულებებს, რომლებიც „ყოველთაღვის გასაგებ ენაზე“ იყო დაწერილი და რომლებმაც უთუოდ გზა გაუკაფა ახალ სალიტერატურო ენას პროზაში. ივ. კერესელიძის პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები დაწერილია მსუბუქი, ხალხური ენით. ეს ენა იმდენად სააიმოვნო და ბუნებრივი იყო, რომ სამოციანელთა აღტაცება გამოიწვია. ახალი სალიტერატურო ენა კლასიკურ სიმალღემდე აიყვანა ილია ჭავჭავაძემ. დაეყრდნო რა წინამორბედთა მონაპოვარს, მან განავითარა და დაამკვიდრა იგი მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა დარგში.

**პოეზია.** ივ. კერესელიძემ ახალი თემები შემოიტანა ჩვენს პოეზიაში და ხელი შეუწყო მხატვრულ შემოქმედებაში მოქალაქეობრივი მოტივების განმტკიცებას.

**პოეზია** ივ. კერესელიძის მოწოდება იყო. მან სიყრმიდანვე შთაგონებით მოჰკიდა ხელი ჩანგს და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უმღეროდა სამშობლოს. მისი ლექსის ხალასი გრძობა და სოციალური. შინაარსი მკითხველს გულში სწვდებოდა და ივ. კერესელიძის პოეზიაც საკმაო პოპულარობით სარგებლობდა.

1855 წელს ცალკე წიგნებად დაიბეჭდა ივ. კერესელიძის პოემები: „მწყემსის სიყვარული“ და „ნაოხარი სოფელი“. 1859 წელს გამოიცა ლექსთა პირველი კრებული, ხოლო 1878 წელს — ლექსთა მეორე კრებული. ივ. კერესელიძის ლექსები, უმთავრესად, „ცისკარში“ იბეჭდებოდა. ზოგიერთი ლექსი გამოქვეყნდა აგრეთვე „დროებაში“, „იმედში“, „ივე-



რიაში“, „მწყემსსა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთში. ბევრი ლექსი გამოუქვეყნებელი დარჩა.

ლექსთა კრებულები ვერ აკმაყოფილებს გამოცემის მოთხოვნილებებს. როგორც შერჩევის, ისე პუბლიკაციის მხრივ. კარგ შთაბეჭდილებას სტოვეებს, მხოლოდ, 1904 წელს გამოცემულ კრებულში შეტანილი ხუთი ლექსი: „ვადიდჯა-ცებულს“, „ჩემს მეგობარს“, „ძმაო ქართველო, ძმობასა ვფიცავ“, „ოჰ, ქართველო, რა კაცი ხარ“ და „ჩემო თვალს სინათლევ“<sup>1</sup>.

მომდევნო პერიოდში ქართულ პოეზიას გოლიათები შე-  
ემატნენ. ივ. კერესელიძე დაეიწყებას მიეცა და მისი პოეტუ-  
რი მემკვიდრეობა შესწავლის საგანი აღარ გამზღარა; აღარც  
მისი ლექსები გამოცემულა.

პოეტს ივ. კერესელიძე ხალხის წინამძღოლად და დამრი-  
გებლად თვლიდა. მისი რწმენით, მწერალი ხალხის ინტერესე-  
ბის სადარაჯოზე უნდა იდგეს, ხალხის მისწრაფებებს იცნობ-  
დეს და გამოხატავდეს. ამისათვის აუცილებელია, რომ პოეტი  
აზლოს იყოს ხალხთან და პირადი ღირსებით მაგალითს წარ-  
მოადგენდეს მისთვის; რასაც პოეტური შემოქმედებით ქადა-  
გებს, იმას საქმიანად ერთგულად უნდა ემსახურებოდეს.

· ივ. კერესელიძეს ღრმად სწამდა პოეტური სიტყვის  
ძლიერება, მისი აქტიური საზოგადოებრივი ზემოქმედება.  
მტკიცედ სჯეროდა, რომ ომანიან პოეტურ სიტყვას ბოროტე-  
ბისა და უსამართლობისათვის თავზარის დაცემა შეეძლო.  
ამ აზრს იგი რამდენიმე ლექსში გამოთქვამს.

· აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ ლექსში წერს:

· ყოვლის კეთილის ნიჭით აღსავსეს,  
პოეტის ჩანგს აქვს ის ძლიერება,  
რომ დღეს არის თუ ხვალ, — ბოროტება  
თვის ბრკყალით, იმის წინ დაეცემა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ქართველი პოეტები. 1904, ქ. შ. წ. კ. გ. ს. გამოცემა, ნაწ. 1.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1868, მარტი.

1857 წელს დაბეჭდილ ლექსში — „სიყრმით უბედური“, ბატონყმური უსამართლობისაგან ცხოვრების უფსკრულში გადატყორცნილი, გამათხოვრებული მშრომელი ადამიანი პოეტს მოუწოდებს ერთგულად ემსახუროს დაჩაგრულ ხალხს, იბრძოლოს შისი მძიმე ზვედრის შეაამსუბუქებლად და ამ საქმეს შესწიროს სიცოცხლე<sup>1</sup>.

ქართულ პოეზიაში, უთუოდ, ახალი განწყობილება შექმნა ივ. კერესელიძის საპროგრამო ლექსმა — „ცისკარი“, რომელიც 1857 წლის იანვარში დაიბეჭდა. რომანტიზმის ეპიგონთა უძიზნო ოხვრა-ვაების ნაცვლად, ამ ლექსმა შემოიტანა რწმენისა და სიხალისის შუქი, ცხოვრებისადმი აქტიური დამოკიდებულების განწყობა. მასში რეალისტურადაა შეფასებული საქართველოსა და ქართული კულტურის არსებული მდგომარეობა და გაბედულად, საბრძოლო ტონითა და სრული სიცხადითაა გამოხატული ასპარეზზე გამოსული ახალი თაობის სამოქმედო მიზანი.

თანამედროვე მკითხველის გაფაქიზებული სმენა ადვილად გრძნობს, რომ ლექსი ბორძიკობს და სტროფები ამაყად წელში გამართული ვერ მიემართება წინ; ავტორი თავგამეტებით ებრძვის თვითეულ სიტყვას, ცდილობს მის დამორჩილებას.

ამ შერკინებაში ჩვენ 60-იანი წლების ქართული პოეზიის პირველი ხმები გვესმის; მხატვრულად ეს ხმა ჯერ კიდევ მოუმაგრებელია, მაგრამ იდეურად მტკიცეა, ვაჟკაცური და გამარჯვების მარწმუნებელი.

ეს წლები ქართული რეალისტური პოეზიის მღელვარე ძიების ხანაა. პოეტის მგზნებარე გულს, რომელიც ხალხისა და სამშობლოს სამსახურის მხურვალე სურვილით იყო ანთებული, მებრძოლი იდეები მოჰქონდა; ეს იდეები გაშმაგებით ეძებდა ახალ ფორმას, გაშლილ კალაპოტს.

ამ ძიებაში მკითხველს პოეტის განწყობილება, გულწრფელობა და სიახლისადმი სწრაფვა ატყვევებდა, სისუსტეს ჯერ კიდევ ვერ ამჩნევდა.

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1857, მარტი.

ივ. კერესელიძეს გულს უშფოთებს ბოროტებით აღსავსე სინამდვილე; სურს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეერკინოს მას. მის ლექსებში მკაფიოდ ჟღერს ეს შინაგანი — მღელვარებითა და განსაცდელით აღსავსე — სულიერი ბრძოლის ხმა.

ეს შინაგანი ჭიდილი, მღელვარება, ძიება კარგადაა გადმოცემული 1856 წელს დაწერილ ლექსში — „ჩემი ლოცვა“.

პოეტმა იცის, რომ მძიმე დაბრკოლებებთან ბრძოლაში არა ერთხელ მოუხდება მარცხი, წამოჩოქება, ზღვის აბობოქრებულ ტალღებთან თავგანწირული შეჭიდება, — იცის, რომ ბევრჯერ სასოწარკვეთილებამდეც მიადწევს, მაგრამ დასახული მიზნის განხორციელებაში ეჭვი არ ეპარება.

ერთ ლექსში („სიზმარი“, 1860) ივ. კერესელიძე თავს ადარებს ბობოქარი ზღვის ზვირთებთან მოჭიდავე ნავს. ტალღები გამეტეზით ეგახება შუა ზღვაში მოცურავე პატარა ნავს: უფსკრულში დანთქმით ემუქრება. ტალღებთან ჭიდილში პოეტი მოიქანცა.

განწირულების უამს იგი მუხამ დაიხსნა. მუზების კრებულიდან ჩანგით ხელში გამოვიდა ვენერა, რომელმაც განსაცდელში მყოფი მომღერალი მშვიდობიანად გამოიყვანა ხმელეთზე.

ავტორის მიზანი ნათელია: პოეზია ბოროტებასთან ბრძოლის საიმედო იარაღია. მას ღრმად სწავს მისი ცხოველმყოფელობა, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და შემოქმედების ძალა. იგი მხოლოდ მაშინ დაეცა სულით, მაშინ მიენდო უიმედოდ ზღვის მღელვარებას, როცა ზღვასთან შერკინებაში ქნარი დაემსხვრა.

ივ. კერესელიძის პოეტური შემოქმედების მთავარი მოტივი პატრიოტიზმია. მისი ფიქრი საქართველოს დასტრიალებს თავს, მისი ოცნება სამშობლოს თავისუფლება და ბედნიერებაა.

რომანტიკოს პოეტებისგან განსხვავებით, რომლებიც ფეოდალურ საქართველოს მისტიროდნენ, ივ. კერესელიძე საქართველოს თავისუფლებისა და ბედნიერების აქტიური შემოქმედია. იგი რეალურად განიცდის სამშობლოს მდგომარეობას, ესმის რა არის საჭირო მისი ბედნიერებისათვის და

როგორც პრაქტიკული, ისე მხატვრული შემოქმედებით ცდილობს სარგებლობა მოუტანოს მას, გააღვივოს თანამემამულეთა ჯანსაღი პატრიოტული გრძნობა და დარაზმოს ისინი ქვეყნის მომავლის გამოსაქედად.

სამშობლოს გულწრფელმა სიყვარულმა, მისდამი მოვალეობის შეგნებამ და მომავლისადმი მტკიცე რწმენამ მკაფიო გამოხატულება პპოვა 1855 წელს დაწერილ ლექსში „ნანა“. გადაქარბება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს ლექსი ჩვენს რეალისტურ პოეზიაში ხალხური შემოქმედების წმინდა სათავეებიდან შემოქრილი ანკარა წყაროა. ხალხურა თქმები. ოპტიმისტური ეღერა, ცელქური რიტმი, ჯანაღი განწყობილება, სიხალისე, სიღაღე, მომავლისადმი რწმენა და მებრძოლი სულისკვეთება ახალი სალიტერატურო ენით დაწერილ ამ ლექსს ჩვენი რეალისტური პოეზიის ღირსშესანიშნავ ძეგლად ზღის. პოეტი ნანას უმღერის პატარა ქართველს და ეუბნება, რომ მას იარაღით ხელში მოუხდება სამშობლოს განთავისუფლება, რაღგან: „ეს სოფელი სიცრუითა და ბოროტებითაა აღვსილი“ და „ქვეყანასაც მრავალი მტერი ჰყავს“. აკვანში მყოფ ნორჩ თაობას პოეტი ბასრი ზანჯლით ასაჩუქრებს. ეს დანათვლა აღვიღად აღსაქმელი სიმბოლო იყო იმდროინდელი მკითხველისათვის. იმ დროისათვის ფენომენალურად უნდა ჩაითვალოს ამ ლექსის ხალხურობა, მისი ენა.

სამშობლოს მღგომარეობა პოეტს მწარე ფიქრებს აღუძრავს.

ლექსში „ანგელოზი“ პოეტი სიმბოლურად წარმოგვიდგენს საქართველოს „მფარველ ძალას“, რომელიც ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში გამოჩნდება ცის სიღრმეში, რათა გაიგოს, რა ბედი ეწია მის „წილხვდომილ ქვეყანას“. ამასთან დაკავშირებით, პოეტი გრძნობით აგვიწერს მშობლიური ბუნების სურათებს.

ერთ ასეთ ღამეში, ერთკლე მეფის დროს, „მფარველი ანგელოზი“ თავს გადაუფრენს საქართველოს; აღტაცებული დარჩება ქართველების მამაცობით, შრომისმოყვარეობით:

შემდგომს შობრუნდა და ორივე ხელს  
ქფარავდა ერს, ვით სხივი მდელოსა.  
რა რომ ჰხედავდა მადლსა მაშინდელს,  
ლოცავდა გრძნობით საქართველოსა.

მაგრამ, გავიდა წლები. ხალხი გამოიცვალა, ერთობა გაქ-  
რა, ბოროტება და უთანხმოება გამეფდა.

„მფარველიც“ დიდხანს აღარ გამოჩენილა. მან მხოლოდ  
ერთხელ გაიელვა საქართველოს ცაზე და, რა იწილა. ქართვე-  
ლებში ფეხმოკიდებული მტრობა, ბოროტება და უთანხმოე-  
ბა, სამუდამოდ განერიდა მას:

დასდგა, დახედა და დანანებით,  
მწუხარებითა მან გაიცინა —  
არცა ულოცავს, არც დაულოცავს,  
შეკმუხებით ოდენ უკანვე იქცა.

და ესრეთ ღტოლილთ, საუბედუროთ —  
სჩანს, რომ დაგვეხშო ცა საუკუნოდ<sup>1</sup>.

მიუხედავად ასეთი სამწუხარო დაპასრულისა, ლექსი  
უიმედობის განწყობილებას არ იწვევს. იგი ჩამაფიქრებელია  
და გამომაფხიზლებელი. ავტორის ჩანაფიქრიც ამაში მდგო-  
მარეობს. მისი მიზანია თვალი აუხილოს თანამეგობრულეებს,  
აგრძნობინოს, თუ როგორ ჩამორჩა ქვეყანა, გამოიწვიოს  
პატრიოტული აღტკინება. ამ ხერხს ივ. კერესელიძე, რო-  
გორც ვნახეთ, პუბლიცისტურ წერილებშიც იყენებდა.

ეს იღეა ივ. კერესელიძეს განვითარებული აქვს „ელეგია-  
ში“. სამშობლოს ბედნიერება პოეტს ხალხის სოციალური  
კეთილდღეობის გარეშე ვერ წარმოუდგენია. საზოგადოებრივ  
ცხოვრებაში ფესვგამდგარი ბოროტება, მტრობა, ერთმანეთის  
ჩაგვრა შეუძლებელს ხდის ქვეყნის წინაეულას. თვითეული  
საკუთარ თავზე ფიქრობს მხოლოდ და სამარეს უთხრის  
სხვას; ძმა ძმას ყელსა ჭრის და მახეს უგებს; ჭადაც კაცი  
მოძმისაგან შევლას მოელის — ვერაგობას აწყდება. აღამიან-  
ნებს ერთმანეთის უბედურება ახარებთ. ამ ჯოჯოხეთურ

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1859, შიასი.

პირობებში ქვეყანა დასაღუპავადაა განწირული. სამშობლოს კეთილდღეობისათვის პოეტი ერთობას, ძმობასა და თანხმობას ქადაგებს. „ელეგია“-ში ივ. კერესელიძის პოლიტიკური მრწამსია გამოხატული, სინამდვილისადმი მისი დამოკიდებულებაა აღბეჭდილი:

ავერ მივატან მეორმოცე წელს, —  
ბევრი ტანჯვა თავს გარდამხედია;  
ფიქრით ვუყურებ წარმავალ სოფელს,  
რომელს დანგიც არ მომატებია.  
რა ვნახე სოფლად მე? არაფერი,  
მხოლოდ მინახავს რთმევა, ტაყება;  
კაცობრიობის დამცემი მტერი:  
უთანხმოება და მოძმის გაყემა.  
იქ, სადაც ელის ძმა ძმისგან შეელას,  
პგონებს, მიაწვდენს საშველად ხელსა, —  
თქვენ რა გგონიათ? — უხარის ყველას,  
შველის ნაცვლად რომ ძმა ძმას სკრის ყელსა.  
საფლავში ძრწიან წინაპართ ძელები,  
რა უყურებენ ჩვენს უთანხმობას, —  
რას იფიქრებდნენ, მათნი შვილები  
დაშორდებოდნენ ერთობით ძმობას.  
დღესაცა ეცხოვრობ მე იმ იმედით,  
ძმათ მხარი მოგვეცენ ჩვენ, ძმათ, ეგება;  
მაგრამ რას ბრძანებთ, ჩვენს უბედობით,  
ამ იმედს დაგნიც არ ემატება...

როგორც პუბლიცისტურ თხზულებებში, ისე ლექსებში ივ. კერესელიძე ახალგაზრდობას უნერგავდა ეროვნულ სიამაყეს, სამშობლოს ერთგულებას. მისი „ქართული სიმღერა“ ხალასი პატრიოტული გრძნობების საუკეთესო გამოხატულებაა. პოეტი ცდილობს დაანახვოს თანამემამულეთ სამშობლოს სიდიადე, შთაუწერგონ მათ მშობელ ქვეყანასთან ორგანული კავშირის შეგნება:

ძმაო ქართველო, ძმობასა ვფიცავ,  
რომ მოიარო მთელი ხმელეთი,  
ჩვენი სამშობლოს ქვეყნისა მზგავსი  
შენ ვერ შეგხვდება კუთხე ვერც ერთი...  
გიყვავებს და გზრდის თვისის ძუძუთი,

გათამაშებს თვის მშვენიერს ველზედ,  
და როს მოკვდები, დიდ სიყვარულით  
ბოლოს თვითონვე მიგიკრავს მკერდზედ...  
თუ გაწერია შუბლზედ ეს ხვედრი,  
რომ იმის მტრებზე იქნით ხმალი,  
დიდის კმაყოფით აღიღე მკვეთრი,  
ეს არის შენი თვით საღმრთო ვალი...!

ივ. კერესელიძეს მოსვენებას არ აძლევდა სამშობლოს ბედი. იგი მთელი არსებით გრძნობდა მამულის დაჩაგრულ მდგომარეობას, მის ჩამორჩენილობასა და ქართველთა ერთი ნაწილის უსულგულობას. ლექსი მისთვის ის „ღოროტოტო“ იყო, რომლითაც უკვე 1854 წლიდან ცდილობდა თანამემამულეთა გამოფხიზლებას.

სამშობლოს სამსახურს პოეტი ადამიანის უპირველეს მოვალეობად თვლის. ვინც მშობელ ქვეყანას არ გამოადგება, ის ვერც კაცობრიობას მოუტანს სიკეთეს; მისი ამქვეყნად ყოფნა ფუჭი და გასაკიცხია. სამშობლოს სამსახური ივ. კერესელიძეს „ღვთაებრივ ვალად“ მიაჩნია. მისი სიტყვით, „სამშობლოს მსგავსს კაცი ვერსად ნახავს“. მამულის ბედნიერებისათვის ადამიანმა სიხარულით უნდა გასწიროს თვით სიცოცხლეც. პატრიოტული გრძნობა ადამიანს აკეთილშობილებს, ამტკიცებს და ახალისებს, — მიზანს აძლევს ამქვეყნად მის არსებობას.

დაჩაგრული ხალხისა და მამულისადმი სიყვარული ივ. კერესელიძის ლექსებში ზრძოლისაკენ მოწოდებად იქცევა. ამის მკაფიო დადასტურებაა მისი „სიმღერა“ („მ.-ას“); მშობლიური მუსიკისა ჰანგებით შთაგონებული პოეტი ასე მიმართავს თანამემამულეებს:

შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი, —  
დაკა გრძნობით დაირასა!  
თუ ხარ საქართველოს შვილი,  
ნუ მომაკლებ მაგ ტკბილ ხმასა.  
მაგა ხმამან სანეტარომ

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1857 წ. თებერვალი.

მომიმატა მწუხარება;  
 მასში ისმის სევდიანი  
 ჩენი ქვეყნის მდგომარება.  
 მამა-პაპათ ეგ მაგონებს,  
 ეგ მიწყლულებს ტანჯულს გულსა.  
 ეგ არის, რომ წარმომიდგენს  
 ჩემს სამშობლოს დაჩაგრულსა.  
 ტურფავ, დაკა, დაკა გრძნობით,  
 შემოსძახე ქართველურად!  
 დაკა, მაგ ხმას მსურს დაეკლა  
 მსხვერპლად თავი ჩემი სრულად.  
 შენმა მღერამ დამაღრუბლა,  
 მომიმატა მწუხარება;  
 მასში ისმის სევდიანი  
 ჩემი ქვეყნის მდგომარება!

ივ. კერესელიძის პატრიოტული ლექსების ღირსება იმა-  
 შიცაა, რომ სამშობლოს სიყვარულის გრძნობა მათში უწყვე-  
 ტი რგოლითაა დაკავშირებული მთელი კაცობრიობის, მთე-  
 ლი საზოგადოების სიყვარულთან, მათ საკეთილდღეოდ  
 შრომისა და ბრძოლის მოვალეობასთან. მშობელი ქვეყნის  
 აწმყო პოეტს სუსხიან ზამთარს აგონებს და იგი მზადაა სი-  
 ცოცხლე ანაცვალოს სამშობლოს გაზაფხულს:

...ოჰ, გაზაფხულო, განაშვეენე ჩემი მამული,  
 და დაუყენე დიდხნით ტანჯულს ტურფა ზაფხული.  
 დე, სოფლის წესით ზვედრი ჩემი იყოს ჩანთქმული,  
 ოღონდ მამული იყოს შარად აყვავებული!...

აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდა ივ. კერესელიძის მიერ  
 გადმოკეთებულ პოემას „ვირგინიას“ („რომის ძველის  
 დროების სიმღერა“); იგი ხელს უწყობდა მებრძოლი პატრი-  
 ოტული სულისკვეთების გაღრმავებას;

კვირიტიელნო, დღეს თქვენა გწყველით  
 თქვენის სამშობლოს ქვეყნის სახელით,  
 თქვენის წინაპართ გამხმარის ძვლებით,  
 თქვენის შვილებით, შვილიშვილებით

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1872, სექტემბერი.



კმარა: აღზდევით, რომ გამოვიხსნათ  
ჩვენი სამშობლო ბორკილისგანა!  
... დღეს რომ შეგვეყაროს მოედანზედა.  
არა გვეყავს კაცი ჩვენ იმისთანა;  
არა გვეყავს კაცი, რომ დაჩაგრულა  
დაიციას, ძმებო, ძლიერისგანა!

პოემაში დახატულია აჯანყება ტირანიის წინააღმდეგ; ნაჩვენებია ხალხის ძლიერება, მისი დამონების შეუძლებლობა. ივ. კერესელიძე ამით ხელს უწყობდა საბრძოლო სულსავეთების გაღვივებას. ხალხს საკუთარი ძალისაღმი რწმენას უნერგავდა.

ბრძოლისაგენ მოწოდება ისმის აგრეთვე ივ. კერესელიძის მიერ გადმოცემებულ პოემაში „ბრძოლა ბერძენთა პირისპირ ოსმალთა“, რომელშიც აჯანყებული ხალხი საყვედურით მიმართავს ღმერთს:

ეს დაჩაგრული,  
ტანჯული ვრი  
ამას მოსთქვამს და,  
ამას შეგბლავის:

ნუთუ არღა ხარ ღმერთი ომისა,  
ნუთუ არღა ხარ ღმერთი ბრძოლისა!..

პრაქტიკული მოღვაწეობითა თუ მხატვრული შემოქმედებით, ივ. კერესელიძე ერთგულად ემსახურებოდა ხალხის ბედნიერ მომავალს. მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ წინააღმდეგობისუფლება ჯერ კიდევ შორს იყო, იცოდა, ვერ მოესწრებოდა ოცნების განხორციელებას. პოეტი მოუთმენლად ელადა ყოველ ახალ წელს. რომელსაც ბუნდ უფრო ახლოს მოქქონდა სამშობლოს გამარჯვება. მძიმე იყო ეს მოლოდინი; ზოგჯერ იგი გულს უსერავდა მას; შორეულზე ტკბალი ოცნებით გატაცებულს, კიდევ უფრო აუტანლად ეჩვენებოდა არსებული მდგომარეობა:

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1864, აპრილი.

ა, კვალად ჩავდემ ახალსა წელში,  
ჩეულებრ ღიმიტ მივეგებები;  
ის კი არ ვიცი, ამ ცრუ სოფელში  
რა შევიძინე, რას ვეხეტებო.

პოეტი ჩივის, რომ ეამთა სვლას მისთვის სინარული არ მოაქვს და ყოველ სტროფს ამთავრებს რეფრენით: მაშ, რათ მიხარის ახალი წელი?

ლექსის ამ ნაწილში პოეტი მიზნად ისახავს გააძლიეროს ფინალში გამოხატული ძირითადი იდეის ეფექტი. კითხვაზე: „მაშ, რათ მიხარის ახალი წელი?“. ივ. კერესელიძე იმ დროისათვის მეტად მოულოდნელ პასუხს აძლევს:

ჩემთვის იქნება ახალი წელი  
ის დღე, როს ვნახავ მე ჩემსა მამულს  
რიდე მოხდიდეს პირთაგან ბნელი,  
ზღვას დასცურავდეს სიბნელით განსრულს.  
ერთგვარ მყოფობა, ერთგვარ ცხოვრება  
ერთ ბიჯით მივალს ჩემი იმედი.  
სად სულის დეღვა, სად მეუღროება,  
რომელს კუთხეში არს ჩემი ბედი?  
ახ, ხვედრო ჩემო, ამგვარი წელი  
ჩემთვისლა არის, მაშ, რისა მქნელი?..  
არ არის ეპეი აღრე მოვევლები —  
აღსრულებამდენ ჩემის სურვილის;  
არ არის ეპეი, ცა რომ ღრუბლდების,  
შარაევანდია მის უკუმერელი.  
მამულის ბედი, მაშ, ვინცა ნახოს,  
მოესწროს მას დროს შვილი რომელი,  
მოვიდეს საფლავს და ჩამომძახოს, —  
იქ მსურს ვიუქმო ახალი წელი...!

სამწუხაროდ, რევოლუციური პათოსით აღსავსე, მომავლის რწმენით გაშუქებული ეს ლექსი საშინლად დაუმახინჯებია ცენზურას. რომელსაც ადვილად აუღია მისთვის აღდრო; მიუხედავად ამისა, პოეტმა მაინც ოსტატურად მოახერხა დემოკრატიულ-პროგრესული მრწამსის გადმოცემა, დაგვიხატა თავისი იდეალი: მონობისაგან განთავისუფლებუ-

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1860, იანვარი.

ლი სამშობლო, სადაც თანასწორობა და ძმობა.— „ერთგვარ  
წყოფობა, ერთგვარ ცხოვრება“. აქნება დაჰკვიდრებული.  
პოეტმა უკვე 50-იან წლებში შეამჩნია ამ ღიადი ეპოქის  
მოახლოების ნიშნები და მტკიცედ შეიცნო მისი გამარჯვების  
გარდუვალობა: „არ არის ეჭვი, ცა რომ ღრუბლდების, შარა-  
განდია მის უკუყრელი“. ეს იყო რუსეთის რევოლუციურ-  
დემოკრატიული მოძრაობის პირველი მძლავრი გამოძახილი  
ჩვენს პოეზიაში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაო-  
ბის გარიყრყის მანიშნებელი.

მომავლის მტკიცე რწმენა მაგისტრალურ ხაზად გასდევს  
ივ. კერესელიძის მთელ პოეზიას. მას ურყევად სჯერა, რომ  
ხალხის დამონება შეუძლებელია; ადრე თუ გვიან, „კეთილი  
მალა მოექცევა ბოროტს“. ლექსში „მაშ, უნდა მოვკვდე?“—  
იგი სამშობლოში დამარხვას ნატრობს. რათა აქ საფლავში  
მაინც ახარონ სანუკვარი ოცნების ასრულება:

ღე, ჩემი ძვლები იქ დაიშალოს,  
რომელ მიწასაც მარად ვეტრფოდი!  
ვინ იცის, მოხდეს,  
ვისმეს ვახსოვდე,  
მოვიდეს ერთხელ ჩაფიქრებული —  
და ჩემსა ძვლებსა,  
მიწად ქცეულსა...  
ამცნოს, ახაროს  
იგი იმელი,  
რა იმელითაც  
ქვეყნად ვცხოვრობდი!

ივ. კერესელიძე ეროვნული გადაგვარების, უპრინციპობი-  
სა და ანგარების შეუზღებელი მტერი იყო. მშობლიური  
კულტურის აყვავებისათვის მოღვაწეობის დროს მას „თვის-  
ტომის მოლაღატეებთან“ დაუნდობელი შეჯახება მოუხდა,  
ქართული პატრიოტული შეგნება რენეგატებთან. შეუპოვარ  
ბრძოლაში ყალიბდებოდა და იწრთობოდა. ამ ბრძოლამ ივ.  
კერესელიძის პოეტურ შემოქმედებაშიც კპოვა გამოხატუ-  
ლება. „სატირა“ მისი ბასრი იარაღი იყო და მანამდე არავის

ასე მოხერხებულად არ უსარგებლია ამ იარაღით. 1857 წ „ციკარში“ დაიბეჭდა ლექსი „ვირი“, რომელშიც ნაჩვენებია, თუ რა ბედი მოელის თვისტომის მოღალატეს. ეს ლექსი აკაკი წერეთლის „ლამურას“ წინამორბედი. სამშობლოს მოღალატეს პოეტი ნახირიდან გამოქცეულ ვირს ადარებს და მას მწარე ბედს უწინასწარმეტყველებს.

პოლიტიკური სიმანჯილითა და მხატვრულობით გამოირჩევა პაროდია — „ოჰ, ქართველო, რა კაცი ხარ!“ ავტორი დაუნდობლად ამათრახებს თანამემამულეთა გაუტანლობას. ხალხური თქმების გამოყენებით გვიხატავს გაიძვერა, სულმდაბალი ადამიანის დასამახსოვრებელ კარიკატურას. რეალისტი პოეტის მახვილი თვალით დანახული ფაქტის ეს ნიჭიერი განზოგადება იმდროინდელი არისტოკრატიის ზნედაცემულობის ამომწურავი დახასიათებაა. ამ ბრწყინვალე პაროდიამ დიდი გამოსმაურება ჰპოვა საზოგადოებაში; არსებული წყობილებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და იდეალის გარკვეულობა ივ. კერესელიძეს საშუალებას აძლევდა არა მარტო შეემჩნია და უარეყო დამკვიდრებული სიმანჯინჯე, მძაფრ მხატვრულ ფორმაშიც გამოესახა და განეზოგადებინა ის.

ივ. კერესელიძე დაინტერესებული იყო სამშობლოს წარსულით, მისი ისტორიით, კულტურით. ყველაზე მეტად მას წინაპართა საგმირო საქმეები იტაცებდა. სამშობლოსადმი მათი ერთგულება, თავგანწირვა და ვაჟკაცობა თანამედროვეთათვისაც სამაგალითოდ მიაჩნდა. უყვარდა ქართული ციხესიმაგრეები, უდიდესი ხელოვნებით ნაგები ეკლესია-მონასტრები, ხიდეები და ქალაქები. წარსულის ამ ნაშთებში პოეტი მშობელი ერის ნიჭის, შრომისმოყვარეობისა და ეროვნული შეგნების დადასტურებას ხედავდა და ეს მისი მომავლისადმი რწმენას უმტკიცებდა. გრძნობდა ამ უბადლო ძეგლთა შემქმნელი ხალხის უკვდავებას. ამ თვალსაზრისით, ივ. კერესელიძის დამოკიდებულება წარსულისადმი თავიდანვე განსხვავდებოდა რომანტიკოსთა მსოფლმხედველობისაგან. რომანტიკოსებისათვის წარსულით ტკობა თვითმიზანი იყო, ხოლო ივ. კერესელიძისათვის წარსულისათვის თვალის გადავლება

მომავლის გამოქედვის ერთი აუცილებელი მომენტთაგანია. მართალია, თვალის ამ ერთი გადავლების დროსაც, ხშირად, მასაც ათრობს განვლილ საუკუნეთა სურნელება და გულზე მწარე სევდაც შემოაწვება, მაგრამ ეს დროებით, მხოლოდ წუთიერად, რათა ოცნებიდან გამოფხიზლების შემდეგ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლოს უკეთესი მერმისისათვის. მაგრამ იმ დროს, როცა ქართველი ხალხი მძიმე მდგომარეობაში იყო, წარსული დიდების წარმოსახვას, სამშობლოს ბედით გულდამწვარი მგრძნობიარე პოეტის შეგნებაზე მაინც დიდი გავლენა ჰქონდა და ივ. კერესელიძის შემოქმედებაში 50-იან წლებში ჭერ კიდევ შესამჩნევია რომანტიზმის ნიშნები. ეს მით უფრო გასაგებია, როცა ვითვალისწინებთ, რომ მას — ერთ პირველთაგანს მოუხდა ჩვენს ლიტერატურაში რეალიზმისათვის გზის გაკაფვა.

წარსულის თემაზე ივ. კერესელიძეს დაბეჭდილი აქვს ხუთი ლექსი: „ცრემლი ალაზნისა“, „დაფუძნება ტფილისისა“, „ბეთანია“, „გრემის ნაქალაქევი“ და „ვარძიის მონასტერი“.

ალაზნის ხილვამ პოეტს მკმუნვარე ფიქრი აღუძრა და გული აუჩუყა. მდინარის ნაპირზე იგი ამაოდ დაეძებდა წარსულის ნაშთებს: ყველაფერი წალეკილი და განადგურებულია. პოეტის ცრემლს ალაზანი თავის გულამოსკვილ ქვითინს უერთებს; მაგრამ პოეტი მალე გამოფხიზლდება. იგი აქ ცრემლის საღვრელად როდი მოსულა. მისი მიზანია ნუგეში სცეს და გმირული სული აღუდგინოს „მშვენიერთა წარსულთა დღეთა“ მოწამეს. პოეტი მდინარეს ურჩევს გამოცოცხლდეს. ზვირთები შეათამაშოს, ნაპირები მორწყოს, რათა „ზედ ჩინარნი აღიზარდნენ“: მწყემსების სიმღერას ყური მიუგდოს და ქვეყანას სარგებლობა მოუტანოს.

ლექსს — „დაფუძნება ტფილისისა“ საფუძვლად უდევს ცნობილი ლეგენდა ვახტანგ გორგასალის მიერ საქართველოს დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანის შესახებ. დამახასიათებელია, რომ ამ სიუჟეტზე დაწერილ ლექსსაც კი პოეტი თანამედროვე თბილისის აღწერით ამთავრებს.

წარსული, აწმყო და მყობადი ივ. კერესელიძის წარმოდგენაში განუყრელ კავშირშია ერთმანეთთან:—რაც დაქცეუ-

ლა, აღდგება. ასეთია მისი რწმენა წარსულზე დაწერილ ლექსებშიც.

ვარძიის დათვალიერება სამხრეთ საქართველოს ავბედობაზე ჩაათქვამს პოეტს და თავის ლექსს ამ ძველი ციხე-ქალაქისადმი შემდეგი მიმართებით ამთავრებს:

შენ დაუბრუნე მცოდნე შვილნი შენს სავანესა,  
რათა დამყარდეს შენს ტაძარში იგივე დიდება!

ამრიგად, ივ. კერესელიძე შორსაა წარსულის რომანტიკული განდიდებისაგან და მტკიცედ დგას რეალიზმის პოზიციებზე. ის მცირე ხარკი, რომელსაც იგი სულთმობრძავ რომანტიზმს უხდის, ახალი ცხოვრების ბრძმედშია გატარებული.

სამშობლოს ბედნიერებისათვის ბრძოლა ივ. კერესელიძის შემოქმედებაში იმთავითვე მჭიდროდ დაუკავშირდა მშრომელი ხალხის პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობის საკითხს. უფრო მეტიც: თავისი პირველი ნაწარმოებების თემად ივ. კერესელიძემ მშრომელი ხალხის ცხოვრება აირჩია. ქართულ პოეზიაში მან პირველთაგანმა შემოიტანა სოციალური უსამართლობის ნიადაგზე ფეხქვეშ გაბედილ ადამიანთა მდგომარეობის ამსახველი სურათები.

1857 წლის მარტში „ციცქარში“ დაიბეჭდა ლექსი „სიყრმით უბედური“. მასში სოციალური უსამართლობის შედეგად გაუბედურებული ადამიანის მძიმე ხვედრია აღწერილი. ლექსის გმირი „სიყრმით“, ე. ი. დაბადებით — სოციალური წარმოშობით — უბედურია. მთელი სიცოცხლის განმავლობაში მას ერთი წუთის სიხარულიც არ უგრძნია. ცხოვრების კარები მისთვის მუდამ მაგრად იყო დახშული. უბედურებაში, მძიმე შრომაში გათეთრებულ უთვისტომოს ქვეყნად არაფერი ახარებს; არავინ ეგულება ამსოფლად. იგი ზიზღით უცქერის მომხიბლავ ბუნებას — ზღვას, ცაში მოციმციმე ვარსკვლავებს, თვით ქვეყნის მაცოცხლებელ მზესაც. ბუნება, რომელსაც სხვები „მდბრძულად მორთულ მშვენიერ ქალს“ ადარებენ,

<sup>1</sup> „ციცქარი“, 1869, მაისი.

მას „კუბოში ჩასვენებულ მკვდარს“ აგონებს; მზე — „ფუჰად გამოთხრილ ორმოს“; საწყარო — „ამძოვრებულ, აყროლებულ — დარღვეულ სასაფლაოს“.

დასაწყისში პოეტი გვიხატავს ზღვის ნაპირზე მდგომი სიყრით უბედურის პორტრეტს. ეს გაყვითლებული მოხუცი მწარედ უჩივის თავის სასტიკ ბედს. იგი უსაზღვრო მრისხანებით უცქერის „მაღლა მჯდომ, გამდიდრებულ მედიდურ გულს“, რომელიც მისი უბედურების მიზეზია. მას სურს დაინგრეს და გაცამტვერდეს მთელი საწყარო, სადაც მისთვის უბრალო თავშესაფარი, ერთი ლუკმა პურიც კი არავის ემეტება. უსამართლობისაგან გადათელილი მოხუცი განწირული ხმით მოუწოდებს აღამიანებს თანაგრძნობისა და დახმარებისაკენ.

მაგრამ, მოხუცმა იცის, რომ ვისაც მისი შველა შეუძლია, გულგაციებულნი და შეუბრალებელნი არიან. მოხუცი მუზას მოუწოდებს საშველად, რათა მან თანაუგრძნოს დაჩაგრულთ, იბრალოს მათი ბედის შესაცვლელად. ლექსში დახატულია უუფლებო, გარიყული ადამიანის ცხოვრების ამაღელვებელი სურათი. მიუხედავად იმისა, რომ იგი გაუმართავ-გაუარანდავია, გულწრფელობის წყალობით, მაინც აღწევს მიზანს. ამ ლექსის გაუბედურებულ გმირში იმდროინდელი მკითხველასათვის ადვილი გამოსაცნობი იყო ბატონყმური უსამართლობისაგან უფსკრულში გადაჩხვნილი გლეხი.

ეს იდეა უფრო მკაფიოდაა გამოხატული ლექსში — „მოთქმა გლახაკისა“, რომელიც ერთი თვის შემდეგ — 1857 წლის აპრილში, დაიბეჭდა. ივ. კერესელიძეს დამაჯერებლად აქვს გადმოცემული უკუღმართი ცხოვრებისაგან განადგურებული ადამიანის ფიზიკური წამება და სულიერი ტკივილები. პოეტი რეალისტური საღებავებით გვიხატავს ღარიბი ქონიდან ქუჩაში სამათხოვროდ გადმოტყორცნილი მშრომელი კაცის სასოწარკვეთილებას. ამ მშვიერ-მწყურვალ კაცის კვნესა გულის სიღრმემდე სწვდება მკითხველს:

როდემდის უნდა ესრე ვიტანჯო;  
როდემდის უნდა ყველას ეეაჯო  
ეს ჩემი ენა როგორ გამოთქვამს,

თუ რამდენის გზით მწუხარება მწვამს.  
აბა, ვინ მოსთვლის, სად არის გული,  
რამდენ სიხარულს ვარ მოკლებული...

ეს სიტყვები იმ დროის ყველა დაჩაგრული ადამიანის საერთო ჭირ-ვარამის, შევიწროებისა და უუფლებობის გამომხატველია.

ავტორი გვიჩვენებს, რომ ასეთ ადამიანს მეფარველი არავინ ჰყავს, მასზე არავინ ფიქრობს, არავინ ზრუნავს. მაგრამ, ღმერთი? — ლექსის გმირის უკანასკნელი იმედიც თითქოს ღმერთია, მაგრამ ის აშკარა ექვს გამოთქვამს ამ იმედის არსებობაზე. ირონიულად ლაპარაკობს საიქიო ცხოვრებაზე.

1859 წლის ნოემბერში დაიბეჭდა ივ. კერესელიძის სიუჟეტური ლექსი „ბედნიერების ძებნა“. ეს ალეგორიული თხზულება არსებული სოციალური სისტემის წინააღმდეგაა მიმართული. იდეური და მხატვრული ღირსებით „ბედნიერების ძებნა“ იმ პერიოდის ქართული პოეზიის საინტერესო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ლექსის ალეგორიულობა იმდენად გამჭვირვალეა, რომ მკითხველს ძალდაუტანებლად შეეძლო მისი გაშიფვრა.

ლექსში ნიღაბჩამოხდილია თვითმპყრობელური ტირანია; ნაჩვენებია კეთილსინდისიერი მშრომელი კაცის ტრაგედია უსამართლობაზე დამყარებული სოციალური სისტემის პირობებში. ღარიბი ამაოდ ეძებს ბედნიერებას.

„სიღარიბის კვერთხით“ ღვთის ანაბარა მიტოვებული უნუგეშოდ დახეტილობს დაუნდობელ ქვეყანაში. — მას უბრალო თავშესაფარიც არ გააჩნია.

დიდი ხნის შემდეგ, როგორც იქნა, ბედნიერების კარებს მიადგა; კარებზე ეწერა:

ეს არის შტილი სიმდიდრის და ბედნიერების,  
ვინც შევა შიგნით — არ გამოვა; მასშიგან კვლების.

ძნელი გადასაწყვეტი იყო ამ საფრთხეში ფეხის შედგმა, მაგრამ უსახლკაროსთვის სხვა გზა არ არსებობს...

ღარიბის წინაშე სიმდიდრისა და ბედნიერების მაცდუნებელი სურათები გადაიშლება, მაგრამ უსახლკაროსათვის მალე



ნათელი შეიქნა, რომ „ბედნიერების ნაყოფი“ ყველას არ ჯდება წილად. ბედნიერების სამყაროში საშინელი უთანასწორობა მეფობს. ძლიერი სუსტს ჩაგრავეს, ერთმანეთს თავპირს ამტვრევენ; ლუკმაპურის მოსაპოვებლად სულისა და სინდისის გაყიდვაა საჭირო:

მაგრამ თითო ხეა კატრონობდა თითო ცხოველი,  
ლომი და ფორცხეი, სპილო, ვეფხეი და დიდი გველი...

უსახლკარო აქაც ცხოვრების უკანასკნელ საფეხურზე მდგომი აღმოჩნდა; „ბედნიერების ხის“ ნაყოფი მას არ ერგო. მან უფროსებს უნდა მიმართოს; იგი ძრწოლით გაიგებს, რომ „ბედნიერებისა და სიმდიდრის სამყაროს“ მეფე გველია: მის ხელშია ხალხის ბედი; ვისაც ლუკმაპურის შოვნა უნდა, აუცილებლად მას უნდა ემონოს. რადგან მისი სამეფო გველის წიწილებითაა მოფენილი. ისინი იცავენ „სიმდიდრისა და ბედნიერების სამეფოს“.

ლუკმაპურის მაძიებელი მალე დარწმუნდება, რომ იქ, სადაც გველი ბატონობს, არ არსებობს ჩირქმოუცხებელი მსახური; მეფე-გველმა მას იმედი მისცა:

მაგრამ რას იტყვიო, ამის ღირსს მქმნა ერთის პირობით:  
რომ ჩემის კვერთხით მელარაჯნა მის წიწილათათვის.

ამ ბოროტების სამეფოში საწყალ ადამიანს უმიზეზოდ სჯიან და ლუკმას ართმევენ.

დასკვნით ნაწილში ნაჩვენებია ხელისუფლებისგან დევნილი ადამიანის მძიმე ხვედარი.

პოეტმა მოხერხებულად შეძლო სოციალური სინამდვილის გაშიშვლება: სამარცხვინო ბოძზე გააკრა საძულველი მეფის ხელისუფლება; სახელმწიფოს მეთაურს გველის იარაღი მიაწება, ხოლო მის ერთგულ მსახურთ — გველის წიწილებისა.

იდეური გარკვეულობა, სურათთა მრავალფეროვნება, სიუჟეტის აღმავალი განვითარება და შინაგანი მღელვარება ამ ლექსს საკმაო მხატვრულ ძლიერებას ანიჭებს. — თუმცა იგი გაურანდავ-გაუპრიალბებელია: ზოგიერთი სიტყვა ხელოვნუ-

რადაა შეკვეცილი რიტმის შესანარჩუნებლად. აქა-იქ ყურომ მოთრეულ გამოთქმებსაც ვხვდებით.

სოციალური პრობლემები ივ. კერესელიძის პოეტური შემოქმედების ერთ-ერთი წამყვანი თემაა. უსამართლობისა და მონობის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსმა ააზღვრა იგი. ამ თემას მიუძღვნა მან თავისი პირველი — 1855 წელს ცალკე წიგნად გამოცემული პოემა „მწყემსის სიყვარული“.

როგორც აღვნიშნეთ, ამ პოემაში ივ. კერესელიძემ გვიჩვენა სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ამხედრებული გლეხი. მართალია, ცენსურული პირობების გამო, პოეტი იძულებული გახდა თხზულების სიუჟეტი ბუნდოვან გარსში გაესვია და, თავისი პოემისათვის იდილიაც ეწოდებინა, მაგრამ ამან მაინც ვერ შეუშალა ხელი ახალი იდეური ტენდენციის გამოვლინებას.

„მწყემსის სიყვარული“ პასტორალი არ არის. მასში სოციალური სინამდვილის მხატვრული განზოგადებაა მოცემული და ხალხის წარმომადგენელთა აქტიური მოქმედებაა ასახული.

„მწყემსის სიყვარულში“ შედარებით პკრთალად გამოხატული იდეა ივ. კერესელიძემ უფრო განავითარა და გააღრმავა მომდევნო პერიოდის მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწერებში.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ივ. კერესელიძე შეუპოვრად ამხელს სოციალური სინამდვილის სიმახინჯეს; იბრაქვის უთანასწორობის, ჩაგვრისა და თვითნებობის წინააღმდეგ. პოეტმა რეფორმის პერიოდშივე იგრაძნო „მეფის წყალობის“ თვალთმაქცური ხასიათი; მალე დარწმუნდა, რომ ჯოჯოხეთურ ჭირ-ვარამში გამოვლილი ხალხი კვლავ დაჩაგრული და მწყუხარეა. ეს შეხედულება მან კარგად გამოხატა ღრმა ლირიზმით გამთბარ ელეგიაში „მშვიდობიანი სურვილი“, რომელიც ბატონყმობის გაუქმების წლისთავზე დაიბეჭდა „ცისკარში“. ამ ლექსში პოეტი გულწრფელად თანაუგრძნობს დაჩაგრულთა მდგომარეობას, მათ აუტანელ ხვედრს.

ნაღვლიან სტრიქონებში მკაფიოდ ყღერს უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტის ხმა. არსებული რეჟიმის დროს ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება პოეტს წარმოუდგენლად

მიაჩნია. ლექსში სოციალური სინამდვილისადმი მწარე ირო-  
ნია გამოსჰვევის. მძიმე განცდა, რომელსაც ეს ელევგია იწ-  
ვევს, ბრძოლის აღიარებამდე ვითარდება. სოციალური უთ-  
ნასწორობის მსილებისა და დაგმობის ტენდენცია ამ პერიოდ-  
ში სულ უფრო და უფრო ძლიერდება ივ. კერესელიძის პო-  
ეზიაში. პოეტს ყველაზე მეტად კონტრასტი ემარჯვება; მისი  
მცირე ლექსებიც სიუჟეტურ ქარგაზეა განვითარებული და  
მათში ნაჩვენებია, ერთი მხრივ — დღიური ლუკმის მძებნელ,  
უსახლკარო, უსამართლობისაგან გადათელილ უმუშევართ-  
ტანჯვა, ხოლო მეორე მხრივ — გულქვა, მექრთამე, სისხლის  
მწოველი ბატონების აღმაშფოთებელი ბოროტება და აღვირ-  
ახსნილი დროს ტარება.

ამ მოტივზე ივ. კერესელიძემ შექმნა ლექსების მთელი  
ციკლი, რომელსაც საპატიო ადგილი ეკუთვნის ქართულ  
ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ლექსში — „ღარიბი“ პო-  
ეტს ნაჩვენები აქვს მძიმე განსაცდელი უმუშევარი კაცისა,  
რომელსაც ცოლ-შვილი შიმშილით ეხოცება. უნუგეშო ღარი-  
ბი — დასმარების მოლოდინში დღენიდავ „დიდი კაცის  
კარებთანაა ატუზული“. პოეტი სიბრალულით მიმართავს მას:

დიდის კაცის კარს მიხვალ, მოსწევ მავთულს ზარისას, —  
შუბლზედ ოფლი წურწურით მოგდის, ძმავ, სიმწარისა.

ბატონკაცის მომლოდინე ღარიბს გულს უღრღნის დამცი-  
რების შეგარძნება, მაგრამ ამავე დროს, მშვიერ-მწყურვალ  
ცოლ-შვილი აგონდება და ჭირის ოფლში იწურება.

ღარიბ-ღატაკს დიდი კაცის მსახურიც მედიდურად უყუ-  
რებს. კლასობრივ საზოგადოებაში ადამიანს მხოლოდ ქონე-  
ბითა და თანამდებობით აფასებენ.

პოეტს ფუჭად მიაჩნია დიდკაცთან სათხოვნელად მისვლა,  
რადგან ბედით კმაყოფილი არასოდეს თანაუგრძნობს ჩაგ-  
რულს:

ბოლოს გამოდის დიდ ალერსით, შენცა მხნვედები,  
სრულის იმედით ფიქრობ, იმას შეებრალები.  
მაგრამ ამაოდ, იქ, ჩემო ძმავ, აცდენ სიტყვებსა;  
კეთილს ნუ ელი, თუ არ ისევ მისგან ტყვილებსა!

... თუმცა, გგონია, შენ ხვედრისთვის ის ძლიერ დრტვინავს.  
არა, ჩემო ძმავე, იმის ფიქრი სხვაგანა ფრინავს.  
თვით, ზომ მალლა დგას, ღარიბისთვის დაეძებს ბევრსა,  
ის წვრილად უკუხენის გამაძლარი, შენებრ მშვიერსა.  
ლიტონის სიტყვით რომ გაგაძლოს, ამაოდ სცდება.  
მით რა აკლდება მის დიდებას, რა ენაღვლება.

ივ. კერესელიძე გვიხატავს ყოველის მხრიდან გზადახშულ ადამიანთა ცხოვრების სურათს. მკითხველის წინაშე დგება გადამწყვეტი კითხვა: რა გზა უნდა გამონახოს ამ მდგომარეობაში მყოფმა კაცმა? ამ კითხვაზე პოეტი პასუხს არ გვაძლევს; იგი მშრომელი კაცის აუტანელი მდგომარეობის დასურათებით კმაყოფილდება. ლექსის დასასრულში ავტორს დახატული აქვს ცრუ დაპირებით გამოსტუმრებული უმუშევარის სასოწარკვეთილი მდგომარეობა.

ივ. კერესელიძე კონკრეტული სინამდვილიდან იღებს ლექსთა სიუჟეტებს; ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა აღინიშნოს, რომ განხილული ლექსის სიუჟეტი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს 1858 წლის დეკემბრის „სალაყბო ფურცელში“ აღწერილ ერთ ეპიზოდს.

ლექსებშიც ივ. კერესელიძე სოციალური თანასწორობის მხურვალე დამცველად გვევლინება. 1854 წლიდან იგი თავგამოდებით ამტკიცებს, რომ უთანასწორობა ბუნების საწინააღმდეგო მოვლენაა. ყოველი ადამიანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცხოვრების პირობებით, ყველანი თანასწორი უფლებით უნდა სარგებლობდნენ, მდიდარსა და ღარიბს შორის განსხვავება არ უნდა იყოს; ერთი არ უნდა ჩაგრავედეს მეორეს. სოციალური თანასწორობის ქადაგება ივ. კერესელიძის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი მოტივია. მის თითქმის ყველა თხზულებაში, ამა თუ იმ სახით, გამოხატულია ადამიანთა თანასწორუფლებიანობის იდეა.

ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დასასაბუთებლად, ივ. კერესელიძე ხშირად ლაპარაკობს კაცის სიცოცხლის ხანმოკლეობაზე და წუთისოფლის წარმავლობაზე. ყველა სიკვდილის შვილები ვართ და ამიტომ ერთმანეთი უნდა დავინ-

დღით და შევიბრალოთო, — ამბობს ის. ლექსში „ბეთანია“  
წერს:

ცელი ცელაჟს სოფელსა, არ დასდევს არეის რასა,  
თითქოს მწვანის ბალისას, თითქოს ელზედ თივასა.  
...არაჲ ჰსცელავს და ჰსცელავს, ცელი სასტიკ მკვეთელი.  
არც დიდს დასდევს, არც მცირეს, ერთ არს ძუნწი და ჭველი<sup>1</sup>.

აქედან გამომდინარე, ივ. კერესელიძისათვის ბუნებრივია  
ასეთი მოწოდება:

კაცო, გიყვარდეთ ერთმანეთი, ვით ძმანი, მტკიცეთ,  
ამას ეცადეთ, ამ ჭვეყანას კეთილი ჰქმენით<sup>2</sup>. („დილა“)

ეს აზრი ივ. კერესელიძემ მკაფიოდ გამოხატა ლექსში  
„უძღვნი დიდ კაცებს“:

ერთია კაცი ბუნებისათვის,  
მდიდარი, გლახა, დიდი, პატარა;  
რა დღით ის წუთი ცხოვრებისათვის  
ჭვეყნათ მოვიდა და დაემყარა.  
მათზე განაგებს ერთგვარ ბუნება  
ერთგვარად უსვამს იგი მათ ცელსა —  
და ისე სული დიდ კაცსაც ხდება,  
როგორც მის მსახურს უკანასკნელსა<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ ეს ლექსი 1868 წელს ი. გოგებაშვილმა  
„ბუნების კარის“ პირველ გამოცემაში შეიტანა.

ამ ლექსის იდეა ივ. კერესელიძემ უფრო გააღრმავა „სიზ-  
მარში“. პოეტი აგვიწერს გომბორის მთაზე უზენაესი მსაჯუ-  
ლის გამოჩენას; ეს არის მოხუცი, რომელსაც სახეზე „სიმარ-  
თლის, სიუხვისა და სიმშვიდის ბეჭედი უბრწყინავს“. მტყუ-  
ან-მართლის გამოსარკვევად მოხუცს ხელთ უპყრია სასწორი.  
რომლის შესახებაც პოეტი გვამცნობს, რომ „მის სამართალი  
არს მარად სწორი“.

<sup>1</sup> „ცისკარი, 1859, სექტემბერი.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1872, ნოემბერი-დეკემბერი.

<sup>3</sup> „ცისკარი“, 1864, მაისი.

აჩრდილისაგან სამი კაცი მოითხოვეს სამართალს, ერთი მათგანი, — ღარიბი „შავის წვერითა“, უჩივის ორ ზარმაც მღი-  
დარს. სასწორის ერთ მხარეს მდიდრებმა ათი ოქრო დაუდეს  
მსაჯულს და გამარჯვებული სახით უყურებდნენ ღარიბს, რო-  
მელსაც ერთი გროშის დადებაც არ შეეძლო სასწორის მე-  
ორე მხარეზე. „უშენაესი მსაჯულის“ სასწორი მაინც ღარიბი-  
საქენ. გადაიხარა, რადგან იგი მართალი იყო. თავზარდაცე-  
მულ მდიდრებს მსაჯული ასე მიმართავს:

სოფლის წინ მუხთლის, დაუდგრომელის —  
მდიდარი. გლახა — ყველა ერთია.

ივ. კერესელიძე უსაზღვრო ზიზღითაა გამსჭვალული „დიდ-  
კაცებისადმი“; მუქთახორებად და სისხლისმწოველებად  
თვლის მათ; დაუზოგავად ამხელს მათს ბოროტებას. აღმუო-  
თებულისა, რომ დიდკაცებს ზეადამიანებად წარმოუდგენიათ  
თავი.

ივ. კერესელიძის ლექსებში „დიდკაცებად“ იგულისხმე-  
ბიან მსხვილი მოხელები, ვაჟრები და მემამულეები.

ღარიბის ალალი ლუკმა, პოეტის სიტყვით, მდიდრის გან-  
ცხრომით ცხოვრებაზე სანატრელია. მეფეც ისეთივე ადამია-  
ნადაა დაბადებული, როგორც ღარიბი, მშრომელი კაცი.

ივ. კერესელიძე სხვადასხვა მხრიდან უდგება უთანასწო-  
რობის საკითხს; იმ დასკვნამდე მიდის, რომ ქონებრივი და  
წოდებრივი განსხვავება არის ის მიზეზი, რომლისგანაც ყო-  
ველგვარი ბოროტება წარმოდგება.

მისი ლექსების შინაარსიდან პირდაპირ გამომდინარეობს  
საზოგადოების ამ პარაზიტული ნაწილის მოსპობის აუცი-  
ლებლობა.

პოეტი, თითქოს, გონიერებისაქენ მოუწოდებს მათ, მაგ-  
რამ მისი ზიზღი, ირონია და მხილება აშკარად გვიჩვენებს,  
რომ შეუძლებლად მიაჩნია იმ კუზიანთა გაჩრდილვანა, რომ-  
ლებსაც მხოლოდ სამარე თუ გაასწორებს.

ივ. კერესელიძე ჩაგრულთადმი სიბრაღულსა და თანა-  
გრძნობას ქადაგებს. მისი მიზანია მკითხველში აღძრას კაცთ-  
მოყვარეობა — დაარწმუნოს ის, რომ აღადამიანის დამოწმება და

ფეხქვეშ გაქელვა უკან სწევს საზოგადოებას, ამდაბლებს კაცის ღირსებას.

პოეტი სინამდვილის ჩვენებით არ კმაყოფილდება; ცდილობს დაგვანახოს სოციალური ცხოვრების პერსპექტივა; არა ერთხელ აქვს გამოთქმული აზრი, რომ მდიდრებს არ შერჩებათ ბოროტება; ერთხელაც არის, მოეკითხებათ ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაული:

როგორ უყურებ აგრე გულგრილად,  
მწუხარებით ძმა რომ წინ გიკვდება;  
ეს მოქმედება, ჩემო ძმობილო,  
იცოდე, ერთხელ მოგეკითხება!

ივ. კერესელიძემ მშრომელი ხალხის მძიმე მდგომარეობის აღწერას მიუძღვნა თავისი ლექსების უდიდესი ნაწილი. ამ ლექსებიდან აღსანიშნავია „დანიელ ჰონჭაძის გარდაცვალებაზედ“, „მჭედელი“, „გლესკაცო ძმაო, რაა გძინავს“ და სხვა. მათში ნაჩვენებია გლესთა ცხოვრების სურათები, როგორც ბატონყმობის გაუქმებამდე, ისე შემდეგ. — აგრეთვე მუშა-ხელოსანთა მძიმე შრომა და შევიწროებული მდგომარეობა.

ივ. კერესელიძის ლექსებში გამოყვანილი მშრომელები, — მიუხედავად ღუხპირი მდგომარეობისა, — აღსავსე არიან ნებისყოფითა და ენერგიით. დიდიდან საღამომდე ოფლში გაწურული მკედელი ამბობს:

...აროდეს მტერს მე თავს არ დაუყარამ,  
მაწყენინებს? — კბილის კრიჭას აუყარამ<sup>2</sup>.

პოეტს მოსვენებას არ აძლევს „ორათ გაყოფილი სოფელი“. როგორც ვნახეთ, მან ადრე იგრძნო, რომ ბატონყმობის გაუქმებამ ხალხის მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა. დიდი რეალისტური სიმძაფრით ხატავს იგი მშრომელთა ეკონომიურ-პოლიტიკური შევიწროების სურათებს ბატონყმობის გაუქმების შემდეგ და ამ ფონზე წარმოგვიდგენს სხვისი შრო-

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1874, მარტი.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1864, სექტემბერი.

მით გამდიდრებულთა გასაოცარ გულქვაობას. ივ. კერესელი-  
ძე მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ გაბატონებულ წრეებს ხალხი  
სძულს და მისი ტანჯვა-წამებაც ნორმალურ მდგომარეობად  
მიაჩნია. იგი გამანადგურებელი ირონიით მიმართავს მჩაგვ-  
რელებს.

დაიძინე, ჩემო ძმაო, უკეთესი რა იქნება,  
ბევრს დაეძებ, შენი მოძმე შიმშილით თუ წინ გიკვდება!  
შენთვის ღამე დღეთ შექმნილა და დღე ღამედ შეგიცვლია,  
ვის გკითხავს, თუ ქვეყნისათვის არაფერი არ გიქმნია.  
ქერიე-ოხერი, დავრდომილი შუადღემდინ კართან გელის,  
სამართალსა კანონიერს, ძმაო, შენგან გამოელის.  
მაგრამ შენ კი შენებურად ქვეშაგებში ტბილად ფშვინავ,  
საფლავში ხომ აგრე შენებრ უსარგებლოდ მკედარსაც სძინავს !

მკითხველისათვის ადვილი გასაგებია, ვის ხელში იყო  
ხალხის ბედი თვითმპყრობელობის დროს. გმობდა რა ხელი-  
სუფლების მსახურთ, პოეტი ამხელდა არსებული წყობილების  
ანტიხალხურ ხასიათს. ივ. კერესელიძე იყო მეფის ბიურო-  
კრატიული აპარატის — ხალხის ჩაგვრისა და დამონების ამ  
ჯოჯოხეთური მანქანის შეურიგებელი მტერი.

პუბლიცისტურ და მხატვრულ ნაწარმოებებში მას მოცე-  
მული აქვს თვითმპყრობელობის ერთგულ მსახურთა ზნეობ-  
რივი და გონებრივი უზადრუკობის მკვეთრი სურათები. სა-  
მარცხვინო ბოძზე აკრავს მეფის მოხელეებს, საქვეყნოდ კიც-  
ხავს მათ უსაქმურობას.

ივ. კერესელიძე საკმაო ოსტატობით გვიჩვენებს ბიურო-  
კრატი, კარიერისტი, მექრთამე-რუტენერი „ჩინოვნიკის“  
ბრიყვულ სახეს. ამ საკითხს პოეტმა რამდენიმე პუბლიცის-  
ტური წერილი და პიესაც მიუძღვნა.

ამ ტიპის ლექსებიდან აღსანიშნავია: „ბედნიერების ძებ-  
ნა“, „ღიდ კაცს“, „გადიდკაცებულს“, „ჩემს მეგობარს“, „ჩი-  
ნოვნიკი“, „ადგილის მძებნელი“, „ადგილიდან დათხოვნილი“,  
„დაიძინე, ჩემო ძმაო“, „ოჰ, ქართველო, რა კაცი ხარ“ და  
სხვა.

<sup>1</sup> „ცისკარი“. 1867, იანვარი.



პოეტი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო სამსახურში ადამიანი წინაურდება მხოლოდ ქრთამის, მლიქვნელობისა და პროტექციის წყალობით. პირად ღირსებას არავინ აქცევს ყურადღებას; სინდისიერ, გულმოწყალე და ხალხის გულშემატკივარ ადამიანს სახელმწიფო სამსახურს ახლოსაც არ გააკარებენ; საკანცელარიო მაგიდებთან სხედან ხალხის მტრები და ორგულეზი, რომლებსაც „ოფლით არაფერი მოუშკიათ“. მეფის „ჩინოვნის“ ივ. კერესელიძე „კაცის მტრად“ სახავს. იგი დაუნდობლად ესხმის თავს „დიპლომიან ბიუროკრატებს“.

სამსახურის შოვნას „ვარაყიანი დიპლომი“ როდი შველის: „ჩინოვნის“ უფროსის წინაშე მორჩილება და პირმოთნეობა მართებს; ხელქვეითმა უსიტყვოდ უნდა შეასრულოს ხეპრე, ბრიყვი უფროსის ყოველგვარი ბრძანება.

ივ. კერესელიძე თანაგრძნობით აღწერს სახელმწიფო სამსახურში დამონებულ-დამცილებული წვრილი მოხელის მდგომარეობას; ბიუროკრატიული რეჟიმის მსხვერპლად თვლის მას. ამ ადამიანებს „კანონის სახელით“ აიძულებენ ადამიანურ ღირსებაზე ხელი აიღონ. „საქმიდან დათხოვნილი“ წვრილი მოხელე ჩივის:

... ბოლო დრომდის საქმეებს ვემსახურე.  
ერთგულად და მორჩილებით ვუყურე  
ჩემს უფროსსა, — მაგრამ დახეთ წერასა:  
ის უფროსი მივაბარეთ ვერასა...  
ა, მოვიდა ჩემთვის პირი ახალი —  
შემიტია, შემომაჯდა კისერსა.  
თვით უსაქმოდ იჯდა მაძლრად და მთერალი,  
მე საქმეში მკლავდა მთელ დღეს მშიერსა.

ქართულ პოეზიაში ივ. კერესელიძე პირველთაგანი გამოეხმაურა სავაჭრო კაპიტალის განვითარებას. 50-იან წლებში გამოქვეყნებულ ლექსებში იგი მხატვრულად ასახავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფულის გაბატონების პროცესს. უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალის დაგროვება ივ. კერესელიძემ წარმოგვიდგინა მშრომელი ხალხის გაძლიერებული ექსპლოატაციის ფონზე. პოეტი სიძულვილითაა გამსჭვალული ვაჭრებისადმი, რადგან დარწმუნებულია, რომ გამდიდრება ღარიბ-

21. ა. კალანდაძე.

ლატაკთა ველური ძარცვის ნაყოფია. მდიდართა ოქროს საღაროები მშიერ-მწყურვალთა ცრემლითაა მორწყული. გვიხატავს რა სიკვდილის სარეცელზე სულთმობრძავი ვაჭრის აგონიას, — პოეტი მწარედ დასცინის მის ცხოველურ სიხარბესა და ბიწიერებას. 1859 წელს დაბეჭდილ ლექსში — „მომაკვდავი მდიდარი“. ივ. კერესელიძემ გვიჩვენა ახლად მოვლენილი სისხლისმწოველის სახე. სამარის კართან მყოფი მდიდარი ოქროთი გატენილ ქიხებს ეალერსება. ოქროს ალერსში მომაკვდავს აგონლებს. თუ რა „სიმწრით“ აგროვებდა ქონებას: არავის ინდობდა. არც ავადმყოფს, არც ქვრივ-ობოლს, არც ნათესავს. მას მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში:

ყოველთვის ფული, ფული და ფული.

პოეტის მიზანია დაგვანახვოს გამდიდრების მძარცველური ხასიათი, დაკვდოს ოქროსადმი გიჟური სწრაფვა. სახელი და ღაღება კაცმა ნამუსიანი შრომით უნდა მოიპოვოს, სხვა ყველაფერი წარმატალია. სიხარბით გულსავეს ვაჭარიც გრძნობს ამას სიკვდილის წინ.

ლექსი მხატვრულად გაუმართავია, მაგრამ თემის სიახლე და საკითხისადმი თავისებური მიდგომა მას მაინც გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს. საგულისხმობა, რომ იგი ლავრ. არდაზიანის სახელმძღვანელო ნაწარმოებთა დაწერამდე გამოქვეყნდა.

შეძენა-გამდიდრებისადმი ველური ლტოლვის გმობა მოცემულია ივ. კერესელიძის სხვა ლექსებშიც („ფული“, „ველეგია“ და სხვ.).

თანამედროვე საზოგადოებაში გამეფებული უთანასწორობა, ხალხის ტანჯვა-წამება და აფასი სხვა ბოროტება პოეტს გულს უწამლავს. როგორც აღვნიშნეთ, კაცობრიობის ბედნიერი მომავალი მას მტკიცედ სჯერა, მაგრამ ისიც იცის, რომ ამ ბედნიერებას ვერ მოესწრება. მძიმე მოლოდინში მის ფიქრს ხშირად სევდა ეუფლებს და ზოგიერთ ლექსში „მუხთალ ცხოვრებაზე“, „წუთისოფლის არარაობაზე“ მოთქვამს:

... რა არის კაცი, ან მისი ყოფნა,  
ერთი მითხარით, რის მკენისია.

სადაც უყურებ: ცილობა, მტრობა,  
ოთხკუთხივ ყველა შენი მტერია<sup>1</sup>.

ამ მხრივ ივ. კერესელიძის პოეზიაზე საგრძნობი გავლენა მოახდინა რომანტიზმმა. ადამიანის ხანმოკლე სიცოცხლე მას მცენარის ბედს აგონებს:

...შენც, ხევ, მოგივალს დრო გახმობისა,  
ვით ამა სოფელს — დღე დამხობისა<sup>2</sup>.

პოეტის რწმენით, ყველაფერი მოძრაობაშია, ყველაფერი იცვლება. სადაც ერთ დროს სიცოცხლით სავსე სოფელი იყო, დღეს საბრალო ნანგრევებსღა ვხედავთ („ნაოხარი სოფელი“, „ბეთანია“), ხოლო სადაც კაცშეუვალი უღრანი ტყე იდგა, ახლა ხალქით სავსე ქუჩებია („დაფუძნება ტფილისისა“). ადამიანი მისთვის მაინც მუდამ ბუნების დიდი შემოქმედი ძალაა და ამიტომ მოუწოდებს მას თავისი ნაკვალევი დაამჩნიოს ცხოვრებას („სოფლის ამაოება“). ბუნება ჭერ კიდევ ამოუცნობი და დაუმორჩილებელი ძლიერებითაა სავსე, მაგრამ მისი მარად დაუცხრომელი და მოუსვენარი შვილი — ადამიანი, ამ ძლიერების წინ ქედს არ იხრის („დროს რბენა“).

ბუნების გამოუცნობ საიდუმლოებათა წინაშე რომანტიკულ ქედის მოხრასთან აქ დაპირისპირებულია ადამიანის შემოქმედებითი ძალების რწმენა, თანამედროვე მეცნიერებისა და ცივილიზაციის წარმატებათა პატივისცემა.

პოეტის სევდას ყველაზე მეტად ადამიანის სიცოცხლის ხანმოკლეობა აღრმავებს. იგი უკმაყოფილოა, რომ ერთ თაობას არ შეუძლია სანუკვარი ოცნების განხორციელება, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, საკუთარი ღვაწლის ნაყოფით დატკობა.

ივ. კერესელიძის სევდა მიზნის მიუღწევლობითაა გამოწვეული; ეს არ არის ცხოვრებიდან გამდგარი, უიმედო ადამიანის ოხვრა. პოეტი გმობს სიკვდილს, როგორც ბოროტებას,

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1871, იანვარი.

<sup>2</sup> ლექსი „ამაოება“ — საქართვე. სახ. ლიტ. მუზ. № 9370-ბ.

რომელიც მას საოცნებო მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლიდან წყვეტს. მგოსნის ნალველში ბრძოლაში დაქანცული ადამიანის ჩივილი ისმის. როცა ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე პოეტი დასახული მიზნის განხორციელებისათვის აღმართს შეუდგა, იმედით შთაგონებულს მწვერვალი ახლოს ეჩვენებოდა. ლექსში „მოგზაური“, პოეტი თავს ადარებს ცხოვრების გზაზე რწმენით დამდგარ ღარიბ მგზავრს. რომელიც მედგრად მიილტვის აღმოსავლეთისაკენ — განთიადის შესახვედრად. თანამგზავრი არსად ჩანს, მაგრამ იგი დიდხანს არ უშინდება გზის სიძნელეს. ნავით გადალახავს ბობოქარ მდინარეს და უშიშრად განაგრძობს გზას მომავლისაკენ. წინ კვლავ თვალუწვდენი ოკეანე გადაიშლება და პოეტო წერს:

შორით, ზღვის ორთქლში ეუშვებრ იმედებს,  
მაგრამ არ იქნა, ვერ მივალწიე.

„ნაპირისათვის მიუღწევლობა“, „მწვერვალის დაუპყრობლობა“ ივ. კერესელიძის სევდა-ნალველის მთავარი მიზეზია. პოეტი ეჭვს გამოთქვამს „სხვა სამყაროს“ არსებობაზე. ადამიანის ჭიციოცხლე სამუდამოდ ქრება, ამქვეყნად მისი საქმეები რჩება მხოლოდ.

მაშინაც კი, როცა პოეტი განგებისადმი მორჩილებაზე ლაპარაკობს, ცხადად ისმის მღურვა ღვთისადმი („ღვთის მომღურავი კაცთადმი“)<sup>1</sup>; ეს მღურვა იმდენად სამართლიანი და დასაბუთებულია, რომ ავტორის თვალსაზრისი ეჭვს არ იწვევს. სამყაროს გრანდიოზული უსასრულობა პოეტს არაერთხელ აიძულებს იფიქროს ქვეყნის უძლიერეს ძალაზე; ასეუ ძალად მას ისევ და ისევ ადამიანი მიაჩნია. ადამიანის ბედნიერებასა და სიხარულს მხოლოდ ერთი სამყოფელი აქვს -- დედამიწა.

ივ. კერესელიძემ სცადა ცხოვრებიდან ადამიანის განდგომის მიზეზებიც აეხსნა და ამ საკითხს საკმაოდ ვრცელი თხზულება („მწირი“) მიუძღვნა, მაგრამ სიუჟეტის მხატვრუ-

<sup>1</sup> „ციცკარი“, 1857, მაისი.

ლად განვითარება ვერ მოახერხა. ავტორს უნდოდა ეჩვენებინა, რომ ბერად შედგომის, სოფლიდან გასვლის მიზეზით თვით ამ ქვეყნის მოუწყობლობა, აქ გამეფებული უსამართლობაა. რელიგიური გრძნობა მან საზოგადოებრივ ცხოვრებაში განცდილ მარცხს დაუკავშირა. ოჯახის წევრთა შებილწვის თავიდან ასაცდენად, ახალგაზრდა მეომარმა საკუთარი ხელით დახოცა ცოლი, დედა, ძმა და „ცოდვის მოსანანიებლად“ უდაბნოს, — ბერთა სადგურს შეაფარა თავი. ქვეყნისაგან გამდგარი მწირის ცხოვრებას პოეტი ასე აგვიწერს:

...აქ წინამძღვარი დაფიქრდა მცირეს,  
და მიპასუხა ოხერით და კმუნვით:  
— დიხააც, შვილო, ამ სოფლისა წრეს  
გადააბიჯა ლოცვით და ზრუნვით.  
...ქილის პერანგის ამარა იყო  
ზემოდან მარტო ძაძაჩაცმული.  
წელზედან ერტყა თოკის ქაშარი.  
იყო გამხდარი, გაყვითლებული...<sup>1</sup>

ძნელ ფილოსოფიურ თემას პოეტი ვერ მოერიდა; ვერ მოახერხა განდგომისათვის დამაჭერებელი მიზეზის გამონახვა და განზოგადება.

ხალხის ცხოვრებით დაინტერესებული პოეტი ბუნებაშიც საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნას ეძებს. ვარსკვლავები, აბობოქრებული ზღვა, იღუმალი ტყე, გაზაფხულის მოახლოებით გაცოცხლებული სამყარო მას ამქვეყნიურ ფიქრებს აღუძრავს. ბუნება მისი ბრძოლისა და სულიერი მღელვარების მოწმეა.

პოეტს ბუნების დაუშრეტელი ძალა და მშვენიერება იტაცებს. გაზაფხულის ჭანსალი სუნთქვა მას ენერგიით ავსებს; შეჭხარის ბუნების დღესასწაულს, მის ცხოველმყოფელ ძალას, და ამაში მკაფიოდ ვლინდება სიცოცხლის სიყვარული და ცხოვრებისადმი აქტიური დამოკიდებულება. ეს ჭანმრთელი განწყობილება პოეტურ ცხოველმყოფელობას აძლევს ტექნიკურად დაუხვეწავ სტრიქონებსაც.

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1862, ნოემბერი.

ბუნების მრავალფეროვნებაში პოეტის ყურადღებას იპყრობს ადამიანის დაუდგარი შრომის ნაყოფი: ბალ-ვენახები. მობიბინე ყანა, მზის შუქზე აელვარებული ცელი.

ივ. კერესელიძის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სატრფიალო ლექსებს. პოეტი აღტაცებული უმღერის სიყვარულის მომჯადოებელ ძალას, რომელიც სიცოცხლის ხალისითა და შემოქმედებითი ენერგიით ავსებს ადამიანს. ქალის მშვენიერება მისთვის ბუნების სიდიადის განუყოფელი ნაწილია. გაზაფხულის სიახლოვე მას ბუნების წალკოტში მხიარულად გამოფენილ ყმაწვილ ქალთა გულის ამაჩქაროებელ კისკისსა და ცეკვა-თამაშს აგონებს.

ლექსი—„ჩემო თვალის სინათლევ“<sup>1</sup>, ივ. კერესელიძის ლირიკული პოეზიის შედეგია. პოეტი დიდი ემოციით გადმოგვცემს მგზნებარე სიყვარულის ძალას. სატრფოსადმი თავდავიწყებული ლტოლვა აქ ნაზ ლირიკულ აკორდებშია გახშიანებული, რასაც ხალხური სიმღერისათვის დამახასიათებელი უბრალოება და ბუნებრივობა აძლიერებს.

ამ ლექსმა დიდი პოპულარობა მოიპოვა და მალე ხალხის კუთვნილებად იქცა.

ლექსში „დედაბერი“ ივ. კერესელიძე გულისტკივილს გამოთქვამს ქალის მშვენიერების წარმავალობაზე. იგი ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ ერთ დროს სიცოცხლით აღსავსე, გულთა დამმონებელი არსება სახედადმეკილ, წელში მოხრილ დედაბრად იქცევა. პოეტი ოსტატურად გვიხატავს ყმაწვილქალობისა და მოხუცებულობის კონტრასტს.

ივ. კერესელიძეს თავიდანვე აინტერესებდა სიყვარულის სოციალური ბუნება. ამ საკითხს იგი შეეხო პოემაში „მწყემსის სიყვარული“. 1857 წელს დაბეჭდა ამავე თემაზე გადმოკეთებული (შილერიდან) პოემა „როსტომ და ირინე“. პოეტი გადაჭრით იცავს წოდებრივი, ქონებრივი და სხვა შეზღუდვისაგან სიყვარულის განთავისუფლებას. ქალისა და ვაჟის გულწრფელი სიყვარული, მისი რწმენით, ოჯახური ბედნიერების საფუძველია. დედამ ვერაგულად დააშორა

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1868, ივნისი.

მშვენიერი ირინე გულით სიყვარულ როსტომს და ამას სამუადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ქალ-ვაჟის სიყვარულში მშობლებიც არ უნდა ჩაერიონ, რადგან სიყვარული თვითონეა. ქეუის მასწავლებელიცა და ვზის გამკვლევაც.

სამწერლო ასპარეზზე გავოსვლის პირველ წლებში ივკერესელიძე ზოგჯერ ღვინით სავსე აზარფეშას, ხეივანში გამლილ სუფრასა და „ძველ ქართველურ“ დროსტარებმასაც უმღერს, რითაც გარკვეულ ხარკს უხდის წინა თაობის პოეტურ ტრადიციას („ლხინი ბახუსელთა“, „სადილის წინ გალობა“ და სხვ.)

ივ. კერესელიძის პოეზიამ გარკვეული ყურადღება დაიმსახურა. მართალი ვულიდან ამოხეთქილმა პოეტურმა სიტყვამ ადვილად გაიკაფა ხალხში გზა. მისი ლექსები: „ქართული სიმღერა“, „ჩემო თვალის სინათლევ“, „სიმღერა“, — ხალხურ სასიმღერო ლექსებად იქცა.

ივ. კერესელიძის პოეტური შემოქმედებმა ანალიზი ცხადად გვიჩვენებს, რომ იგი კვალდაკვალ მიჰყვებოდა ცხოვრების განვითარებას და დროულად პასუხობდა თანამედროვეობის საჭირობორტო საკითხებს. აქტუალობა მისი ლექსების უპირველესი ღირსებაა. იმ დროს, როცა ივ. კერესელიძე პოეტური შემოქმედების სარბიელზე გამოვიდა, ქართული რეალისტური პოეზია ახალფენადგმული იყო.

არქაული ენა, გაცვეთილი თემები და მოტივები, ცხოვრებისაგან განდგომა, ნაძალადევი მწიგნობრულობა ხელ-ფეხს უბორკავდა რეალისტურ პოეზიას. მაგრამ, ამასთან ერთად, ხელნაწერების სახით საკმაოდ გავრცელებული იყო ნ. ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის პოეტური მარგალიტები, რომლებსაც ივ. კერესელიძე ბავშვობიდან იცნობდა. სამი დიდი რომანტიკოსის პოეზიიდან ივ. კერესელიძეს, პირველად ყოვლისა, სამშობლოსადმი აღტაცებული სიყვარულს გრძნობა გადმოედო. ესეთმა შედეგებმა, როგორცაა „მერანი“, „ფიქრნი მტკერის პირას“, „ბედი ქართლისა“, „იარალის“, „გოგჩის ტბა“ და სხვ. დიდი გავლენა მოახდინა ივ. კერესელიძეზე; ამასთან ერთად, ივ. კერესელიძემ ახალი

სიტყვაც თქვა ქართულ პოეზიაში; გაბედულად შემოიტანა ლექსებში ხალხური სიტყვები და გამოთქმები. ამის დადასტურებას წარმოადგენს 1854-1855 წლებში დაწერილი მისი ნაწარმოებები: „მწყემსის სიყვარული“, „ნაოხარი სოფელი“, „ნანა“ და სხვ. მანამდე, XIX საუკუნის პოეზიაში ფოლკლორული ელემენტისათვის ასე ფართოდ არავის გაუღია კარი. ივ. კერესელიძის ლექსები დაწერილია ხალხის ფართო ფენისათვის: გასაგები, უბრალო ენით.

ივ. კერესელიძემ პოეტური შემოქმედების თვემად გაიხადა ხალხის ცხოვრება. პოეზიაში შემოიტანა სოციალური მოტივი. სამშობლოს თავისუფლებასა და ჩაგრული ხალხის ბედნიერების საკითხი მკვიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს და პოეზიის ამოცანად მშრომელთა კეთილდღეობისათვის ბრძოლა გამოაცხადა; პოეტი ხალხის მსახურად და დაჩაგრულთა მფარველად აღიარა. მანვე იმედით შეხედა სამშობლოსა და ხალხს მომავალს.

ახლის ძიებაში ივ. კერესელიძე ვერ ამალდა პოეტური სრულყოფის დონემდე. მის ლექსებს დაუმუშავებლობის ბეჭედი ამჩნევია. აშკარად ეტყობა, რომ პოეტი სათანადოდ არ ზრუნავდა ლექსის მხატვრულ ღირსებაზე, გულმოდგინედ არ ეძებდა რითმას, მოხდენილ ეპითეტს, შესატყვის გამოთქმას. საერთოდ, ივ. კერესელიძის ბევრი ლექსი „ნახევარფაბრიკატი“.

მცირე მონდომებითაც კი, ავტორს ადვილად შეეძლო ამ ლექსთა დამუშავება-სრულყოფა. პოეტი, ზშირად „ენაზე მომდგარ“ მოხერხებულ რითმასა და ეპითეტსაც ვერ ამჩნევს. შეუძლებელია დაუდევრობით ან უნიჭობით ავხსნათ ეს. ივ. კერესელიძეს არ ჰქონდა შემოქმედებითი მუშაობისათვის აუცილებელი პირობები, მყუდროება და მოცალეობა. იგი, უფრო მეტად, ყოველდღიურ ამბებს ეხმაურებოდა და სახელდახელოდ დაწერილი ლექსი პირდაპირ ასოთამწყობის ხელში გადადიოდა. ივ. კერესელიძის საუკეთესო ლექსების გაცნობა გვარწმუნებს, რომ იგი მოკლებული არ იყო პოეტურ ტალანტს და ნორმალურ პირობებში მეტის გაკეთება შეეძლო.



ივ. კერესელიძე ჯერ კიდევ არ იყო შესული პოეტურ სიმ-  
წიფეში, როცა ქართული პოეზიის აპარეზზე ჩვენი ლიტერა-  
ტურის ორი ბუმბერაზი — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი  
გამოჩნდა.

მისმა პოეტურმა შემოქმედებამაც მოახდინა ერთგვარი  
შემოქმედება მათ დებიუტზე, ხოლო შემდეგ თვითონვე მძლავ-  
რად განიცადა მათი გავლენა.

პოეტური მეტყველების ელემენტებიდან ივ. კერესელიძე  
ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევდა რითმას. მისი თითქმის  
ყველა ლექსი დაწერილია ჯვარედინი რითმით. მთელ რიგ  
ლექსებში იგი საკმაო ოსტატობით აღწევს მიზანს და ჯვარედინ  
რითმებში დაქტილურ და ჰიპერდაქტილურ კომპლექსებს იყენ-  
ებს.

ერთ და ორცეზურიანი ტაქების შერწყმით შედგენილ  
სტროფში პოეტი მოხერხებულად იყენებს პარალელური და  
ჯვარედინი რითმის კომბინაციას.

აზრგაბმის თვალსაზრისით პარალელური რითმა ივ. კერეს-  
ელიძესთან ხელს უწყობს საერთო კომპოზიციური ერთეუ-  
ლის გაფორმებას. ლექსი „ბედნიერებას ძებნა“, მაგალითად,  
სამმარცვლოვანი პარალელური რითმითაა აკინძული (პატარა  
— მატარა; საკვირველი — პირველი და ა. შ.).

როგორც ვთქვით, რითმის ძიება ივ. კერესელიძის ზოგი-  
ერთ ლექსში ხშირად გრამატიკული ფორმის დარღვევამდეც  
მიდის, მაგრამ ზოგჯერ, მისი ლექსების რითმაკანონულობა საკ-  
მაო სიმალღესაც აღწევს. პოეტი დიდი ექსპრესიით აზავებს  
სტროფში მაღალი მუსიკალური დატვირთვის შინაგან, პარალე-  
ლურ და ჯვარედინ რითმებს.

მრავალფეროვანი რითმული კომპლექსის გამოყენება,  
ტაქებიდან ტაქში ბუნებრივად გადატანილი აზრი და „ნელსევე-  
დიანი“ განწყობილება ივ. კერესელიძის ამ რიგის ლექსებს  
თავისებურ ინტონაციას აძლევს.

ივ. კერესელიძის ლექსებში ინტონაცია მეტად მდებარეობს რო-  
გორც უშუალოდ რიტმულ ელემენტებში (თვითთელი საცე-  
ზურო მონაკვეთი დამთავრებულ აზრობრივ კომპლექსს წარ-  
მოადგენს), აგრეთვე მიმართვა-შეკითხვებში (მიმართვა ლექსის

გმირისადმი, მკითხველისადმი, საკუთარი თავისადმი, კაცობრიობისადმი და ა. შ.), შეძახილსა და კონტრასტულ გადასელებში. მის პოეტურ ინტონაციას ინდივიდუალურ ხასიათს ანიჭებს აგრეთვე ეპიკური და ლირიკული ელემენტის შერწყმა:

სიწყვლიადე შავი ღამისა,  
ტფილის-ქალაქს ზეგადმოჰფენოდა,  
და თრთვილვა ოღენ ცისგნით ნამისა  
მხიარულთ ყვავილთ მსოლოდ შვენოდა.  
შემდგომ მობრუნდა და ორივე ხელს  
ქფარაედა ერს, ვით სხივი მდელოსა,  
რა რომ ჰხედაედა მადლსა მაშინდელს.  
ლოცაედა გრძნობით საქართველოსა.  
(„ანგელოზი“)

ლირიკულისა და ეპიკურის ამ შეზავებამ მსგავსი ინტონაციით გავრცელება ჰპოვა ჩვენს პოეზიაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივ. კერესელიძე ლექსში ხშირად იყენებს მიმართვა-შეკითხვებს. შეკითხვის ფორმითაა დაწერილი არა მარტო ცალკეული სტროფები, ზოგჯერ მთელი ლექსიც. ეს ინტონაციური მანერა კარგად გამოხატავს ეპოქის სულისკვეთებას, ავტორის განწყობილებას, მღელვარებას, ძიებას.

ივ. კერესელიძე ლირიკულ ლექსში ხშირად ურთავს ყოფით დეტალსა და სატირულ-იუმორისტულ ქვეტექსტს. იგი ასე მიმართავს, მაგალითად, გადიდკაცებულს:

შენს დიდებას ვუმზერ, ძმაო, გულგრილად  
(ნუ გაწყრები, რომ გიწოდე ძაშა).

ივ. კერესელიძემ შემოიტანა ჩვენს პოეზიაში პროზაულ-პუბლიცისტური ელემენტი. იგი აუცილებლად თვლიდა მას და ამით ხაზს უსვამდა ლექსის საზოგადოებრივ დანიშნულებას.

საგულისხმოა ისიც, რომ ივ. კერესელიძემ დაამკვიდრა ჩვენს პოეზიაში სოციალურ თემაზე შექმნილი სიუჟეტიანი ლექსი.

ამასთან, ათეული წლების განმავლობაში ივ. კერესელიძე ნაყოფიერად თარგმნიდა რუსული და დასავლეთ-ევროპული ლიტერატურის ნიმუშებს.



**პროზა.** ქართული რეალისტური პროზის განვითარებას ხელს უშლიდა როგორც უახლოესი ტრადიციის უქონლობა, ისე სალიტერატურო ენის დაუმუშავებლობა.

არქაული ენით თარგმნილი პროზაული თხზულებანი მკითხველისათვის გაუგებარი იყო; ამასთანავე, ამ ენით შეუძლებელი იყო თანამედროვე ცხოვრების მრავალფეროვნების მხატვრულად ასახვა. 1857 წლიდან ივ. კერესელიძემ დაიწყო ორიგინალური, თარგმნილი და გადმოკეთებული წერილი მოთხრობებისა და ამბების გამოქვეყნება. ეს მოთხრობები, უმთავრესად, თანამედროვე ცხოვრების სურათებს გადმოგვცემს. ისინი მდაბიური ენითაა დაწერილი.

ივ. კერესელიძის პროზაულ თხზულებებში ყველაზე საყურადღებოა „მგზავრის წერილები“, რომლებიც დროგაძროშეებით 1857 წლიდან 1871 წლამდე ქვეყნდებოდა „ცისკარში“. ამ წერილებში საქართველოს სხვადასხვა კუთხის (ქართლი, კახეთი, იმერეთი, მესხეთი, აჭარა) თანამედროვე ცხოვრებაა ასახული. მათში ვხვდებით ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი ყოფისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის ცოცხლად დახატულ ეპიზოდებს.

„მგზავრის წერილებში“ ივ. კერესელიძე მხატვრულად აგვიწერს ხალხის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას, ყოფას, კულტურას, მეურნეობას, ისტორიულ ნაშთებსა და ბუნებას.

პირველ წერილში, რომელიც 1857 წლის ნოემბერში დაიბეჭდა, ავტორი, ხაზს უსვამს რა ამ ეპოქის მნიშვნელობას, საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს რეალისტური პროზის საკითხებზე.

„მგზავრის წერილები“ დაწერილია თბილისში მყოფი

მეგობრისადმი ბარათების ფორმით. პირველ წერილში, სოფ. კავთისხევიდან — ივ. კერესელიძე წერს:

„საყვარელო მეგობარო ჩემო! ვისწრაფი გზიდან წიგნის მოწერასა, თუმცა დიდად დაღალული ვარ; რა გამოვიარე ორმოც ვერსამდენ გზა და ვისვენებ ერთს ბაღში, მშვენიერი ხის ძირას. ხომ იცით, რომ მიყვარს სჯა და ამისათვის შორიდგან გეტყვი ჩემსა აზრსა მოგზაურობაზედ: ერთი ფილოსოფოსი ამტკიცებდა: „ვისაც ბევრი უმოგზაურნია, იმას ორი წელი მეტი უცხოვრიაო“. რომელი არ დაეთანხმება ამ აზრსა? რომელი მიიღებს ამას წინააღმდეგად? მოგზაურობა არის წყარო ყოვლის განათლებისა, კსწავლისა, გონების გახსნისა და, თუ გნებავთ, საგანი ყოვლის მშვენიერის თხზულებისა.

მოგზაურობით შეგიძლიანთ შეიტყოთ თვისება ხალხისა. ზნეობა, კსწავლა, ჩვეულება და სხვა. მაგრამ ძნელი ეს არის, (რომ) ახლანდელს დროში ყოველი სასარგებლო განზრახვა მოითხოვს ქონებასა, რომლისა საშუალებითაც შეიძლოს კაცმა მოიყვანოს თავისი განზრახვა სისრულეში.

მსურს ძალიან ნახვა საფრანგეთისა, ანგლიისა, იტალიისა. მკითხავ, მეგობარო ჩემო, რაღა გიზღისო? ამაზედ შემეძლიან გაბედვით მოგიგო — ჯიბე... მაგრამ დავიჯერო, რომ უექველად უნდა ენახო ევროპა, სადაც შემეძლოს სწავლის მიღება გარემოების მიხედვით? არიან ქართველნი, რომელნიცა მიეშურებიან ევროპის სანახავად და თავიანთი საქართველო არ უნახავთ.

ქართველს არ ენახოს საქართველო! თქვენ რა გგონიათ? დავიჯერო, რომ არ იყო ღირსი ნახვისა ქართველთათვის საქართველო? დავიჯერო, რომ არ იყოს... ღირსი შენიშვნისა? მრავალნი, ძალიან მრავალნი შესანიშნავნი საგანნი არიან, იმგვარნი სავანნი, რომელთაცა აქამომდე არცა ერთის მწერლის კალამი მოხვედრია.

როგორც ზემოთ მოვიხსენიე, თუმცა მსურს ძალიან ევროპის ნახვა, მაგრამ ჯერ დიდს არ მოვექიდე, წერილებითგან დავიწყებ; დაეხსენ, ვნახავ ჯერ ჩემს საქართველოს. ქართველი საქართველოს ვუწოდებ მე კავკასიის მთას აქეთ

მდებარეს (ქვეყანას)... მაგალითად... იპერელნი არიან ქართველნი, აგრეთვე მეგრელნი და სხვა“.

მწერალი რამდენიმე ცოცხალ სურათს ხატავს მოთხრობაში. ზეხილის ბაღში დასაბუთებლად შესულ მგზავრს გლეხები ჯოხით მიუხტებიან და აგინებენ. როცა მგზავრი უსაყვედურებს გლეხის დედაკაცს, სტუმართმოყვარეობა დაგვიწყნიათო, დედაკაცი მას ეკითხება: „...მე რომ შენს ღუქანში შემოვიდე, შემომიშვებ?“.

ავტორი საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე ქართველებზე; საყურადღებოა ახალ, კაპიტალისტურ წესზე მოწყობილ მეურნეობათა აღწერაც.

ივ. კერესელიძის „მგზავრის წერილებში“ საქართველოს ბუნების მომხიბლავ სურათებს ვხვდებით: „მოგზაურობა ჩემი გუშინდელს დღეს იყო მეტად სასიამოვნო. დღე დაგვიდგამშვენიერი, გზაზედ ყანების შრიალი ნიავთაგან მეტად დაატკობდა ყურსა მოგზაურისასა. სადამო იყო გრილი, მზე წყნარად შორდებოდა ციაცსა ცასა, როდესაც დამანახვეს შორითგან მარჯვნივ მტკვრის გაღმა ციხე უფლოწიაა. ნახევარსაათს თითქმის დაჰსტკებოდი ყურებითა და არ ვაშორებდი თვალსა“<sup>1</sup>.

ან კიდევ: „...როდესაც ნისლმა ცოტათი მალლა აიწია,... გამოჩნდა მართლა და დიდებული პანორამა: პირდაპირ დაინახავთ კახეთის გარს სანგრად შემოვლებულს თეთრად მოსილს თვალუწვდომს მთას... წინ დაქანებულს ვრცელს ალაზნის მინდორს, რომლისა შუა გველისა მსგავსად დაკლაკენით მიდის ალაზანი და იკარგება შორსა, გველსავე მსგავსად, მოშავო ტყეში“<sup>2</sup>.

50-იან წლებში დაბეჭდილ „სამგზავრო წერილებში“ ივ. კერესელიძე დიდ ადგილს უთმობს წარსულის ნაშთთა აღწერას, საქართველოს გმირულ წარსულს, ხოლო 60-იანი წლებიდან „სამგზავრო წერილებში“ სულ უფრო და უფრო მეტ

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1858,

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1861, სექტემბერი.

ადგილს იჭერს სოციალური საკითხები. განიხილავდა რა ივ. კერესელიძის „სამგზავრო წერილებს“ მესხეთში მოგზაურობის შესახებ, პ. უმიკაშვილი („ანჩისხატელი“) 1869 წელს „დროებაში“ წერდა: „...ვიხილე ახალი სტატიები („მოგზაურობა მესხეთში“) დიდის ტალანტით დაწერილი ჩვენის ი. კერესელიძისაგან... ჩვენი ძველი პოეტი ივ. კერესელიძე ბევრს დაძველებულ პოეტათ მიაჩნდა, მაგრამ მოგზაურობამ მისცა ტალანტი... დიდის სიამოვნებით წავიკითხე. ...ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ტალანტი კაცს მაინც თავის ჰვედრს ადგილს დააყენებს. ჩვენ ვურჩევთ („ცისკრის“) მაისისა და ივნისის წიგნები წაიკითხონ ჩვენმა მეგობრებმა — ძალიან დაგვიმადლებენ. ბევრს ცნობებს მექანეთზე შეიტყობთ სამსავე სტატიიდგან, რომელნიც ამ ორ ნომერში არიან დაბეჭდილნი“.

1857 წელს ივ. კერესელიძემ დაბეჭდა გადმოკეთებული მოთხრობები: „ფრანცუზის მწერალი პრევო და თული კაცი“, „სულგრძელი ყასაბი“, „ვაჭრის შეგირდი“, „გაუმარჯვებელი არშიყობა“; 1858 წელს — „ჭინერვა“; 1859 წელს — „მეგდიას მოსვლა სპარსეთში“ და სხვ.

დაკმაყოფილებით მისი ერთი ადრინდელი მოთხრობის — „გაუმარჯვებელი არშიყობა“ -ს, მოკლე განხილვით. ეს პატარა მოთხრობა ქართული რეალისტური პროზის გარიჟრაჟზე დაიწერა და ამდენად მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ლიტერატურის ისტორიისათვის.

მოთხრობის მთავარი გმირია რომანტიკულად განწყობილი ახალგაზრდა კაცი/გაბრიელი, რომელმაც სამსახურს თავი გაანება და საცხოვრებლად სოფელში გადავიდა. იგი სოფლის მყუდროებასა და ბუნების იდუმალებაზე ოცნებობს. ამქვეყნიური ცხოვრებიდან განმარტოებული უკრავს თარზე და წერს გაუგებარ, საზოგადოებისათვის უსარგებლო ლექსებს. სოფლის მყუდროებაში ერთხელ ლამაზ ბანოვანს მოჰყრა თვალი და შეუყვარდა; შორიდან შესტრფის მას, შთაგონებული წერს ლექსებს სიყვარულზე და აღშფოთებულია, რომ მის რომანტიკულ სმენას შეურაცხყოფს სოფლელთა ხმაინა-ღალი ყვირილი, ნახირის ბლავილი და გლეხური სიმღერები.

ირგვლივ კი დღენიადაგ ისმის „პარიარალოს ხმა“, „ჰა, პრუ, კამბეჩო, რქიანო“ და სხვა ამგვარი.

ერთხელ, როცა განმარტოებული გაბრიელი ჩვეულებრივ რაღაც ბუნდოვან, რომანტიკულ ლექსს სთხზავდა, მას ესტუმრა ნაცნობი ახალგაზრდა თავადიშვილი მახვილი, რომელიც მისი ლექსის შესახებ ამბობს: „ეხ, ძმაო, ეგ ნისლიური პოეზია არის; ჰაზრი კი, მგონია, არ გამოდის“. გაბრიელი დამშვიდებით უპასუხებს: „არაფერი არა უშავს რა, ჰაზრი არ გამოდის, მაგრამ პოეტური სიცრუეა... თვითონ ბესიკიც ვერ დასწერდა მაგისტანა ლექსს“.

თავის ნაცნობს გაბრიელი გულის საიდუმლოს გაანდობს, — ეუბნება, რომ შეყვარებულია. როცა მიხეილი გამოიძიებს ვინ არის „პოეტის“ სიყვარულის საგანი — გადაიხარხარებს, მაგრამ სიცილის მიზეზს არ აუხსნის. გაბრიელი მიდის იმ სახლთან. სადაც საყვარელი არსება ცხოვრობს და მის გასაგონად თარზე დაჰმღერის ახლად დაწერილ ლექსს. ქალმა გამოაღო ფანჯარა და რომანტიკულად მეოცნებე შეყვარებულს „ნიშნად თანაგრძნობისა, სამახსოვრო“ ჩამოუგდო. გაბრიელი აღტაცებით დასწვდა ძვირფას ნივთს, მაგრამ ხელში შერჩა „ძველი ქუდის ჩაჩი. რომლის დაღურვას უკანასკნელი მენახშირეც არ იკადრებდა“.

მეოცნებეს იმედი მაინც არ დაუკარგავს; იფიქრა, იქნებ, შიგ წერილი იყოსო; ბევრი ეძება, მაგრამ „მხოლოდ გასვრილი საძაგლად, ცარიელი ქუდის ჩაჩი იყო“. ამ დროს სახლიდან ხარხარით გამოვიდა მიხეილი, რომელმაც გაბრიელს გაუმედავნა, რომ ეს ქალი მისი ცოლია. გაბრიელი სასოწარკვეთილებით წამოიყვირებს: „ცოლი?“, ქუდის ჩაჩი ხელიდან გაუვარდება და შერცხვენილი გასწევს სახლისაკენ.

მხატვრული ღირსებით ეს მოთხრობა განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ მისი უდავო მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი პირველი ქართული მოთხრობაა, რომელშიც რომანტიკული ოცნება რეალურ სინამდვილესთანაა დაპირისპირებული. ნაჩვენებია, რომ ცრუ ოცნებამ. ცხოვრებისაგან მოწყვეტამ თავისი დრო მოჰპაე და სინამდვილე ადამიანთაგან უფრო საღ აზროვნებასა და მოქმედებას

მოითხოვს. ამასთანავე, მოთხოვნა გასაგები ხალხური ენითაა დაწერილი.

თანამედროვე მკითხველისათვის ივ. კერეჟელიძის პროზაული ნაწარმოებები ნაკლებ საინტერესოა, მაგრამ ქართული პროზის გარიჟრაჟზე შექმნილმა მისმა პატარა მოთხოვნებმა გარკვეული წვლილი შეიტანა ჩვენი რეალიტური პროზის განვითარებაში.



**დრამატურგია.** ივ. კერესელიძე გიმნაზიაში სწავლის დროს დაუახლოვდა ქართული თეატრის დამაარსებელს გ. ერისთავს და მოკლე ხნის განმავლობაში მისი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. ქართული თეატრის მამამთავარმა ახალგაზრდა დრამატურგი თავის თანაშემწედ დანიშნა სარეჟისორო ნაწილში და რეპეტიციების ჩატარებაც მიანდო. ამას გარდა, ივ. კერესელიძე წერდა პიესებს, მონაწილეობდა წარმოდგენებში, ასრულებდა სხვა ორგანიზაციული ხასიათის დავალებებს.

1854-1855 წლის სეზონი გ. ერისთავის თეატრმა დიდი გაჭირვებით ჩაატარა. რეაქციონერებმა აშკარად დაიწყეს ქართული თეატრის მუშაკთა დევნა-შევიწროება.

ეროვნული კულტურის აღორძინების მოტრფიალეთა მცირერიცხოვან ჯგუფს ჯერ გამოჩენილი კომედიოგრაფი ზ. ანტონოვი — ხოლო მისი ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ ივ. კერესელიძე ჩაუდგა სათავეში. ივ. კერესელიძემ მეტად მძიმე პირობებში იღო თავს ქართული თეატრის ხელმძღვანელობა და ამ საქმეს დიდი ენერგია მოახმარა.

განამხნევა დეზორგანიზებული დასის წევრები, შეადგინა რეპერტუარი, თვითონ გადასწერა პიესები და 1855 წლის შემოდგომაზე ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართა თხოვნით. რომ ქართულ დასს საკუთარი ხარჯით მოეწყო თეატრი.

ხელისუფლების ორგანოებმა ამჯერადაც ხელოვნური დაბრკოლებები შეუქმნეს თეატრს. მოითხოვეს ქართული პიესების რუსულად თარგმნა და დასამტკიცებლად იმპერატორის კანცელარიაში წარდგენა.



ივ. კერესელიძე ცდილობდა გაეღვიძებინა საზოგადოების ინტერესი ქართული თეატრისადმი და ამ მიზნით საგანგებო თათბირებსაც მართავდა.

უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილი ქართული დასის მსახიობებს თავიანთი ახალგაზრდა ხელმძღვანელის დიდი პატივისცემა და იმედი ჰქონდათ.

1855-1856 წლის სეზონის სიძნელეებმა ივ. კერესელიძეს გული ვერ გაუტეხა და გადაწყვიტა შედგომოდა 1856-1857 წლის სეზონისათვის სამზადისს. მართლაც მოახერხა წარმოდგენების გამართვა, მაგრამ ქართული თეატრის შენარჩუნების თავგანწირული ცდა მარცხით დამთავრდა. დასი დაიშალა. ქართული თეატრის დასაცავად ზელისუფლებასთან და არისტოკრატიასთან შეებმა ივ. კერესელიძეს ძვირად დაუჯდა.

ივ. კერესელიძემ გადაწყვიტა ჯერ ჟურნალი განემტკიცებინა და იგი გადაეჭკია ქართული თეატრის აღდგენისათვის ბრძოლის ტრიბუნად. „ცისკარმა“ სერიოზული სამსახური გაუწია ქართულ თეატრს. ჟურნალი სისტემატურად აშუქებდა სცენის მოყვარეთა საქმიანობას. აქვეყნებდა წერილებს თეატრზე და ივ. კერესელიძე წლებიან განმავლობაში დაბეჯითებით უმტკიცებდა თანამემამულეებს თეატრის მნიშვნელობას ხალხის კულტურული ცხოვრების განვითარებაში. ჟურნალის გაცნობა გვარწმუნებს, რომ თეატრის აღდგენის სურვილი ერთი წუთითაც არ ჩამქრალა. ივ. კერესელიძე არ კმაყოფილდებოდა თეატრის საკითხებზე წერილების გამოქვეყნებით და, როგორც პ. უმიკაშვილი იგონებს: „... დასი იშლება, მაგრამ მაინც ხანდახან მოყვარულთა დახმარებით ივ. კერესელიძე ჰმართავს წარმოდგენებს, რომ მოაგონოს ქართველებს: თეატრი არ დაგავიწყდეთო“.

ივ. კერესელიძე სცენის მოყვარეთა წარმოდგენების ორგანიზატორი და მსახიობი იყო.

თეატრის ამოცანად ივ. კერესელიძე თვლიდა ქართული ენის დაცვას, ეროვნული სახის შენარჩუნებას, ნაკლოვანებებისა და ბოროტების მხილებას, „ზნეობის აღზრდა“-ს, ცოდ-

ნის გავრცელებას. ივ. კერესელიძე რამდენიმე თეატრალური რეცენზიის ავტორია.

70-იან წწ. ივ. კერესელიძე ენერგიულად მონაწილეობდა ქართული თეატრის აღდგენაში. განახლებულმა ქართულმა თეატრმა რამდენჯერმე დადგა მისი ორიგინალური, გადმოკეთებული და თარგმნილი პიესები; მასვე ეკუთვნის საინტერესო მოგონებები ქართული თეატრის ისტორიიდან.

სხვა სიძნელეებთან ერთად, გ. ერისთავის თეატრს რეპერტუარის სიღარიბეც უშლიდა ხელს. ქართული დრამატურგიის ჩასახვა-განვითარება არსებითად, ქართული თეატრის დაარსებასთანაა დაკავშირებული.

პიესების წერა ივ. კერესელიძემ 1848-1849 წლებში დაიწყო და ორმოცი წელი მუშაობდა ლიტერატურის ამ ენაში. იგი ერთადერთი ქართველი მწერალი იყო, რომელიც თეატრის დახურვის შემდეგ, 60-იან წლებშიც სისტემატურად წერდა და აქვეყნებდა დრამატულ ნაწარმოებებს.

გ. ერისთავის თეატრის სცენაზე ივ. კერესელიძის ოთხი პიესა დაიდგა. ეს პიესებია: „აქტიორი“, „მარჩიელობა ტფილისში“, „სადგურის ზედამხედველი“ და „დაღესტნის ტყვეები“. ზ. ანტონოვთან, ჯაფარიძესთან და მეიფარიანთან ერთად, ივ. კერესელიძე გ. ერისთავის თეატრის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი და ნიჭიერი დრამატურგი იყო.

პირველი პიესა, რომელიც მას გ. ერისთავისათვის წარუდგენია, რუსულიდან ნათარგმნი „მოჯადოებული თავადი“ ყოფილა. ეს პიესა მას გ. ერისთავის თეატრის დაარსებამდე ჰქონია დასადგმელად გამზადებული.

აღნიშნული პერიოდის პიესებიდან ასე თუ ისე სრული სახით შემონახულია დრამა „შვილი უმანკოებისა“, რომელიც 1855-1856 წლებში სცენაზედაც დაუდგამთ და რომლის პირველი ოთხი მოქმედება 1858 წელს „ცისკარში“ დაიბეჭდა. მეხუთე მოქმედების ბეჭდვა ცენზურამ აკრძალა.

თანამედროვე სინამდვილის ფონზე იშლება ივ. კერესელიძის კომედია „სიქსტი მეხუთე“, რომელიც 1864 წლის აპრილში დაიბეჭდა. ავტორი ნიღაბს ხდის უნიჭო კალმოსნებს, მეფის მექრთამე, გონებაჩლუნგ მოხელეებს.

„სიქსტი მეხუთე“-ს აკრძალვის შემდეგ ამ კომედიის მოტივები და ცალკეული სახეები ივ. კერესელიძემ გამოიყენა ახალ სამმოქმედებიან კომედიაში — „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“, რომელიც 1868 წლის დეკემბერში დაიბეჭდა. ავტორი გვიჩვენებს, რომ თავადაზნაურობის ერთმა ნაწილმა სახელმწიფო სამსახურში მოიკალათა, უსინდისობით დაწინაურდა და ქრთამებით გამდიდრდა.

ივ. კერესელიძე ცხოვრების გულიდან იღებდა პიესების მასალას. მისი კომედიების მახვილი მაშინდელი პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგაა მიმართული.



ივ. კერესელიძემ საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა ქართული კულტურის ისტორიაში. მან დაგვიტოვა მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ეს არის ჩვენი საზოგადოებრივი აზრისა და მწერლობის განვითარების მკაფიოდ გამოკვეთილი საფეხური, რომელიც ერთმანეთთან აერთიანებს წინმსწრობ და მომდევნო თაობებს. ამ მემკვიდრეობის შესწავლა-გათვალისწინება აფართოებს წარმოდგენას შუალედზე გიორგი ერისთავიდან თერგდალეულებამდე.

ივ. კერესელიძე არის რომანტიზმიდან რეალიზმზე გარდამავალი პერიოდის ღირსშესანიშნავი ფიგურა, მასში მთელი სიცხადითაა აღბეჭდილი იმ დროის ღირსება და ნაკლი. იგი ნათლად წარმოგვიდგენს წინანდელის ათვისებისა და ახლისათვის ნიადაგის მომზადების რთულ პროცესს, რაიც ისტორიული განვითარების აუცილებელი პირობაა.

სამშობლოს სიყვარულით შთაგონებულმა ივ. კერესელიძემ ეკლიანი გზით მიიტანა ფინიშამდე წინა თაობისაგან გადმოცემული ქართული ლიტერატურის წმინდა ალამი და გადასცა იგი უფრო ძლიერ და მომზადებულ ახალ თაობას.

იმ დროს, როცა ივ. კერესელიძე სათავეში ჩაუდგა ქართულ კულტურულ საქმიანობას, ეროვნული მოღვაწეობა, ხალხის სამსახური დიდ პირად მსხვერპლს მოითხოვდა. თა-

ვისი კეთილშობილი, ნათელი პატრიოტული მიზნების განხორციელებისათვის ივ. კერესელიძეს არასოდეს დაუზოგავს ენერგია, ოჯახური ბედნიერება, ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

უანგაროდ, სიხარულით მიიტანა სამშობლოს სამსახურებში ყველაფერი, რაც გააჩნდა, და ღირსეულად დაიმსახურა სამარადისო ხსოვნა და სიყვარული.

---

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	3
ცხოვრება . . . . .	7
ივანე კერესელიძის სარედაქციო მოღვაწეობიდან . . . . .	31
ივანე კერესელიძის სალავბო ფურცლები	61
მოლაყბემ უარყო გაბ. სულხანიშვილის წერილი	67
„მოლაყბედ“ ივ. კერესელიძე იქნა აღიარებული . . . . .	70
1857 წელს მიხ. თუმანიშვილი „ცისკარში“ არ თანამშრომლობდა	73
მიხ. თუმანიშვილმა მიმართულება შეუცვალა ივ. კერესელიძის დაფუძნებულ „სალავბო“ ფურცლებს . . . . .	80
„სალავბო ფურცელი“ ქართული ჟურნალის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ნაყოფია . . . . .	93
„სალავბო ფურცელს“ დასაბამი მისცა ივ. კერესელიძის იენისის განცხადებამ	94
ლავრ. არდაზიანი მოლაყბის ფსევდონიმით არ წერდა	102
თემბაკური განსხვავება	110
ენობრივ-სტილიური ნიშნები	120
ივ. კერესელიძის ავტორობა შედევნდება „სალავბო ფურცლების“ ქარაგმულ გამოთქმებშიც . . . . .	134
სარედაქციო მანერები მოლაყბის ფსევდონიმის დაფარვის მიზნით	136
ივ. კერესელიძის ავტორობის დამამტკიცებელი დოკუმენტური მასალები . . . . .	142
დასკვნა . . . . .	150
ბ ა ტ რ ნ ყ მ ო ბ ი ს მ ხ ი ლ ე ბ ა	152
„მწყემსის სიყვარული“	157
„შვილი უმანკობისა“ . . . . .	165
ბატონყმობის წინააღმდეგ გალაშქრება პუბლიცისტურ წერილებში	183
ივ. კერესელიძე და „სურამის ციხე“ . . . . .	190
ბატონყმობის საწინააღმდეგო სხვა მასალები „ცისკარში“	203
	341

ჩვ. კერესელიძის პრაქტიკული მოღვაწეობა ბატონყმობის წინააღმდეგ	207
დამოკიდებულება საგლებო რეფორმისადმი	208
ივანე კერესელიძე და ქართველი სამოციანელები.	224
„ცისკარმა“ ნიადაგი მოუმზადა სამოციანელებს	224
ივ. კერესელიძე ასპარეზზე მოუწოდებს ახალ თაობას	226
ილია ქაეჯაყაძის საპროგრამო გამოსვლა „ცისკარში“	233
ილიას საწინააღმდეგო წერილები „ცისკარში“	237
„ცისკარი“ „საქართველოს მოამბის“ მოლოდინში	248
სამოციანელები „ცისკარში“ 1863 წ.	264
რეაქციონერთა გალაშქრება ქართული ეურნალების წინააღმდეგ	276
მხატვრული შემოქმედება.	291

რედაქტორი თ. გოგოლაძე  
მხატვარი ჯ. ყავლაშვილი  
მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე  
ტექნიკური რედაქტორი შ. ძოწენიძე  
კორექტორი მ. ცინცაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/III-59 წ.  
ქალაქის ზომა 84×108<sup>1</sup>/<sub>2</sub>. ნაბეჭდი თაბახი 17,63.  
სადრ.-საგამომ. თაბახი 15,51. სააქტორო თაბახი 15,19.  
უე 00252. შეკვეთის № 1296. ტირაჟი 3000.  
ფასი 8 მან. 40 კაპ.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს  
მთავარბოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.  
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.

1-я типография Главполиграфиздата  
Министерства культуры Грузинской ССР.  
Тбилиси, ул. Орджоникидзе, № 50.